

ვასეანო

თხზულებანი
სხრა ზოგად

ჭეშტი

ცხოვრება ივანე მაჩაბლისა

მოძღვარი (ავტ. ემზახ ჯვინციანი)

ტომი პირველი

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

გამოჩენილი ქართველი მწერლისა და ლიტერატორის ვახტანგ ჭელიძის ცხრატომეული, მართალია, სრულად ვერ შეიცავს მის მდიდარ შემოქმედებას, მაგრამ ვფიქრობთ, მაინც კარგი საჩუქარი იქნება მწერლის ნიჭის თაყვანისმცემლებისთვის.

თხზულებათა პირველ ტომში იბეჭდება ბიოგრაფიული რომანი „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“. ამავე ტომში იბეჭდება ცნობილი მწერლის, ვახტანგ ჭელიძის უმცროსი მეგობრის, ემზარ კვიციანიშვილის, ნაშრომი „მოძღვარი“, რომელიც მოიცავს ვახტანგ ჭელიძის მთელ შემოქმედებას.

მეორე-მეექვსე ტომები მთლიანად დაეთმობა ისტორიულ ნაშრომს „ქართლის ცხოვრების ქრონიკები“.

მეშვიდე-მერვე ტომებში განთავსდება ვახტანგ ჭელიძის ლიტერატურული და პუბლიცისტური წერილები.

მეცხრე ტომში შევა მწერლის ბოლო ნამუშევარი პირობითი სათაურით „მოგონებები“.

რედაქტორი: დავით ჭელიძე

ცხრატომეულის რედაქტორი: ემზარ კვიციანიშვილი

დამკაბადონებლები: ნანა ბაღდავაძე

დალი ჯვარშიშვილი

© ვახტანგ ჭელიძე

© გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

ISBN 978-9941-406-53-9 (ცხრავე ტომი)

ISBN 978-9941-406-54-6 (I ტომი)



ცხოვრება
ივანე მაჩაბდისა

აქ მოთხრობილი ამბები ფაქტებზეა დამყარებული. ავტორი შეეცადა ისე აეკინძა ეს ფაქტები, რომ მკითხველისათვის დიდი მწერლის მიხედვით ცხოვრება გადაეშალა. წიგნში უხვად არის გამოყენებული ივანე მაჩაბლის კერძო მიწერ-მოწერა, აგრეთვე სხვა იმდროინდელ მოღვაწეთა პირადი წერილები, დაბეჭდილი თუ ჯერ გამოუქვეყნებელი მემუარები და მოგონებები, სამუზეუმო და საარქივო მასალები, მაშინდელ ჟურნალ-გაზეთებში გაბნეული მდიდარი ფაქტების შემცველი ქრონიკები და წერილები... ერთი სიტყვით, ავტორს გამოუყენებელი არ დაუტოვებია არც ერთი ასე თუ ისე მნიშვნელოვანი მასალა, რაზედაც კი ხელი მიუწვდებოდა. ეს წიგნი ორმოცდაათიან წლებში დაიწერა. მაშინ ჯერ ისე ცოცხალი იყო მაჩაბლის ბევრი ნაცნობი და მომსწრე. ავტორი პირადად ესაუბრა მათ და ცოცხლად მოისმინა იმ დრამატული ამბების ოფიციალური თუ ინტიმური ეპიზოდები. მრავალი საგულისხმო და მნიშვნელოვანი რამ უამბო მას თავისი დედ-მამის ცხოვრებიდან თვით მაჩაბლის ქალმა, აწ განსვენებულმა ელენე ივანეს ასულმა ჩერქეზიშვილისამ. მანვე დაუზარებლად გააცნო თავისი პირადი არქივი და მამის ბევრ ნაცნობ-მგობარსა და ნათესავს შეახვედრა. მაჩაბლის მოკლე სიცოცხლე ჩვენი ისტორიის სწორედ ამ პერიოდს დაემთხვა, როცა ერის ცხოვრებაში უდიდესი ძვრები ხდებოდა; სულ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ისეთი რამ მოხდა, რასაც ზოგჯერ ერის ცხოვრებაში საუკუნეები სჭირდება ხოლმე. ამ გიგანტურ ბრძოლას იღია ჭაეჭაეაძე მეთაურობდა. მის ირგვლივ დაირაზმნენ ხალხის საუკეთესო შვილები. მაჩაბელს მათ შორის ერთ-ერთი პირველი ადგილი ეჭირა. ამ წიგნის ავტორმა განიზრახა მოწყვეტილად და განყენებულად კი არ მოეთხორო მწერლის ტრაგიკული ცხოვრება, არამედ ორგანულად დაეკავშირებინა იგი ჩვენს ისტორიასთან, იმ საოცრად დაძაბულ მოვლენებთან, რითაც სავსე იყო ჩვენი ხალხის მაშინდელი ცხოვრება.

ჯონისცხენიანი მხედარი

*ხელაე, ამ სიბერეში რა დაუდგრომელი
ბასიათი დაიჭირა!*

მეფე ლირო

თოვს. ბარდნის, მსხვილი ფანტელები ზანტად ეცემიან თეთრად გადაპენტილ ეზოს. ასწლოვანი კაკლისა და თუთის ხეები ჩამობურულან, ტოტები დაბლა დაუხრიათ. დამძიმებული რტო ზოგჯერ შეირხვეა, თოვლს დაიბერტყავს და გასწორდება, მაგრამ ახალი ფიფქები ისევ მალე დაახრეეინებენ თავს, მაღალ გალავანს ადლი თოვლი დასდებია, შორიდან გვეგონება პირდაპირ უერთდება გადათეთრებულ ცასაო. პორიზონტი შემოზღუდულა. ზამთრის სამარისებურ მყუდროებას ხანგამოშვებით სანადირო თოფის მჭახე ხმა თუ დაარღვევს, ერთს ყრუდ დაიგრუხუნებს და ექო სადღაც შორს გადაიკარგება, ლიახვის ხეობაში. დამფრთხალი შაშიე ჭახჭახით გადაიფრენს. კიბის ქვეშ მიყუჩული მთელემარე ყურშა ერთბაშად ყურებსა ცქვეტს, თავს წამოსწევს, მაგრამ, მოტყუებული, უხალისოდ გააყოლებს თვალს ფრინველის ნაეარდს და ისევ მოიყუჩება.

ეს მერამდენედ ააცდინა ესტატემ!..

თოვლით შეფუძმფლული კაცი ეზოს გადასჭრის და ქვევით დაუხვევს, ლიახვისაკენ. ახლა, ალბათ, იხვებზე უნდა სცადოს ბედი. თოფი მხარზე გადაუკიდია, ლულით დაბლა, უკმაყოფილოდ აქნევს თავს, ალბათ კვლავ გული მოსდის — ეს ჩიტები რამ დააფეთაო; გათოშილ ხელებს სუნთქვით ითბობს, ჯერ თვალს არც კი მიჰფარებია და მისი ნაფეხურები თოვლს უკვე ჩაუჩუმქრავს...

მეორე დღეა ასე გადაუღებლად თოვს, ბარდნის, ცას თითქოს დაბლა ჩამოუწვევია და გაუთავებელ ზღაპარს უამბობს დედამიწას...

თოფის ხმა ახლა უფრო ყრუდ მოისმის შორიდან; მხოლოდ მახვილი სმენა თუ დაიჭერს.

არც პაპიდას გაუგონია. მას ნახევრად ჩაბნელებულ კუთხეში მოუკეცია დაბალ ტახტზე, და თავისთვის ჩიფინიფებს, უხალისოდ მარცვლავს კრიალოსანს. ზოგჯერ ბურნუთს გადასწვდება ზანტად, თითო მწიკვს ამოიღებს და ასევე უხალისოდ მიიტანს ცხვირთან.

— ახლა ქალაქს იქნება მოსული ახალი წელი!

ამას ამბობს შეიდი-რეა წლის გოგონა და გაფაციცებით იყურება ჭიშკრისაკენ, თითქოს ჭიშკრიდან ელოდება ახალ წელს.

— ქალაქს რათა, აქამდე გორშიაც ჩამოაღწევდა! — უკმაყოფილოდ შეესიტყვება პატარა ძმა, მასზე ერთი-ორი წლით უმცროსი ბიჭუნა, რომელიც თითის წვერებზე დგება, რომ ფანჯარას მისწვდეს და ხეირიანად დაინახოს, რა ხდება ეზოში. მაგრამ თავისივე სუნთქვით შეორთქლავს მინას; ხელით გადასწმენდს და კვლავ თითის წვერებზე შედგება.

მესამე ბაეშესაც, ამათ ბიძაშვილს, რაღაც უნდა თქვას, მაგრამ უეცარი ხმაური შეაჩერებს. მეზობელ ოთახში თითქოს რაღაც დაანარცხეს იატაკზე. ამას მოჰყვა გაბმული ხეელა. პაპა კვლავ ანჩხლობს! ბაეშეებმა შეწუხებული სახით მოიხედეს. პაპიდას კრიალოსნის მძივი ხელში გაშეშებია და აყურადებს, კიდევ ხომ არ განმეორდება ეს ხმაური...

პაპა ანჩხლობს... ხასიათი გამოეცვალა. საკმარისია პატარა რამ, და მაშინვე გაგულისდება, სიბრაზისაგან ხეელა აუტყდება, ლამის დაახრჩოს!.. ადრე ბაეშეებს შემოიხვევდა, მკვირცხლ, მწვანეთვალებიან პატარა ვანოს მუხლზე დაისვამდა და მოჰყვებოდა ხოლმე წარსულ დროზე ლაპარაკს...

მაშინაც ბევრს ოხრაედა, წუთისოფლის დაუდგრომლობას უჩიოდა, მაგრამ მეფე ირაკლის ბრძოლაზე ლაპარაკს რომ მოჰყვებოდა, თვალები აენთებოდნენ და თითქოს მეტყველი გახდებოდნენ. ახლა უფრო გაჭირვეულდა თავადი...

უკმაყოფილოა სვიმონ მაჩაბელი, თითქმის უკანასკნელი მოპიკანი ამ დიდი გვარისა. ცუდ დროს მოვიდა ამქვეყნად. დიდი ერეკლეს სახელოვან ბრძოლებს ვერ მოესწრო. უკვირს და შეშფოთებულია ფიცხი თავადი. ჯერ კიდევ არ განქარებია ის ბოლმა და მწუხარება, რაც მან ოსების ჩამორთმევით განიცადა. ახლა კი რუსხელმწიფე ბატონყმობას აუქმებსო... ეს ხმა მაჯღაჯუნასავით მოედო მთელს დუნიას და თუმცა ამას ჩურჩულით ანდობენ ერთმანეთს, ყმებს, ეტყობა, მაინც გაუგიათ, ბატონის რიდი დაჰკარგეს, ჩუმ-ჩუმად ქირქილებენ...

არა, ბატონყმობის გაუქმება შეუძლებელია. განა თვითონ კი არა სჭირდება რუსხელმწიფეს ყმები!.. თავისთავს ხომ მაინც დაინდობს! ამასეე ამბობს მაჩაბლის ცოლისძმა, თავადი ამილახვარი, რომელიც იმ დღეს ესტუმრა, და თითქმის მთელი დღე გამოკეტილ ოთახში ეწურწურა. მას შემდეგ უფრო მეტი ჭირვეულობა ეტყობა პაპას... გაანჩხლებულია. ყმებს დასანახადაც ვეღარ იტანს. ისიც ახლა მოაგონდა, როგორ წაართვეს გაამაყებულმა და ჩინოსანმა ორბელიანებმა მამული ტაბახმელას... შეილიც ამ გადაგვარებული თავადების კვალს დაადგა, გულზე ჯვარ-მედლები დაუკიდნია და მდაბიოსავით ქალაქის ბაზრებში დაწანწალებს...

ვაგლახ, სამაჩაბლო! განა ასე ხედებოდნენ ძველად ახალ წელს...

მეზობელ ოთახში ხველა დაცხრა, აღარც ხმაური განმეორებულა. ეტყობა, ჩასთელიმა პაპას...

...და ისეე ამოძრავდა კრიალოსანი პაპიდის ხელში. ბავშვებმა კვლავ ჭიშკრისაკენ დაიწყეს ცქერა. ბუხარში ცეცხლი გიზგიზებს. ცეცხლის სინათლეზე ლაპლაპი გააქვს თურქულ ხალიჩაზე ჩამოკიდებულ მოვერცხლილ ხმალს. ლიახვის ხეობიდან ისეე ყრუდ მოდის თოფის ხმა. შორიდან ღორის ჭყვიტინიც მოისმის, მაგრამ პაპიდის ყურს ვერა სწევდება. პატარა ვანო კვლავ თითის წვერებზე დგება, რომ ხეირიანად დაინახოს, რა ხდება ეზოში. თოვს, ბარდნის...

— დარიკო, პა, დარუბხან, — მიმართავს ვანო ფიქრებში წასულ უფროს დას, — აქამდის მაინც ხომ მოვიდოდა ახალი წელი გორსა?..

დაახლოებით ასეთია ვანო მაჩაბლის პირველი მოგონება...

ნახევრად დანგრეული ძველებური სასახლე, რომელსაც მხოლოდ პირობით შეიძლება სასახლე ვუწოდოთ; თეთრწვერა პაპა, რომელსაც ზაფხულობით დიდი ხნობით უყვარს ხოლმე აივანზე ჯდომა და სადღაც შორს ცქერა; ამაყი და გაუცინარი პაპიდა, რომელიც გარეგნული სიმკაცრის მიუხედავად, საოცრად საყვარელი და ალერსიანია; მარად დაულალავი, მოფუსფუსე დედა, რომელსაც აქვს თუ არა საქმე, მაინც საქმიანობს...

კაკლის ხეებით დაბურულ, ვრცლად გაშლილ ეზოს მაღალი გალავანი აქვს შემორტყმული. პირველად ეს ეგონა ვანოს სამაჩაბლო და ამაყად დააქროლებდა ჯოხის ცხენს თავის „სამაჩაბლოში“. გალავნის ერთ კუთხეში სპილენძის ზარბაზანი გდია, რომელსაც თეიმურაზ II-ის

სახელი აწერია. ეს პაპამ წააკითხა. ვანო და მისი ბიძაშვილები ზაფხულის დღეებში, არცთუ ისე იშვიათად, მიცვივდებიან ხოლმე ამ ზარბაზანს, რის ვაი-ვაგლახით ოდნავ დასძრავენ ადგილიდან და მუსრს აელეპენ ალა-მაჰმად-ხანის ურდოებს. ალა-მაჰმად-ხანი ყველაზე საძულველი და ბოროტი მტერია. ეს სახელი ბავშვობიდანვე გულქვაობის, სისაძაგლისა და ბოროტების გამოძახველი შეიქნა ვანოსათვის...

„მებრძოლთა“ შორის ვანო ყველაზე უფრო მკვირცხლი და ფიცხია. გული არ უთმენს, აღარ უცდის ზარბაზნით მტრის განადგურებას, პირდაპირ გადაეშეება ხოლმე ომში თავისი წინაპარი მანაბელივით, რომლის გმირობის ამბავი მას პაპისაგან გაუგონია, და მუსრაეს მტერს. მერე აივანთან მიიჭრება და პაპას ახარებს ალა-მაჰმად-ხანზე გამარჯვებას. იცის, რომ პაპას ეს გაუხარდება. პაპა ვერ მოესწრო დიდებული ერეკლეს ბრძოლებს. სწორედ იმ წელს დაიბადა სვიმონ მანაბელი, როცა ალა-მაჰმად-ხანი თბილისს შემოესია.

„მტერზე გამარჯვების“ შემდეგ დამაშერალი პატარა მანაბლები კაკლის ჩრდილში ჩამოსხდებიან და გაიმართება პაექრობა. შაირობენ, მოსწრებულ სიტყვებს ეუბნებიან ერთმანეთს. შემოეხვევიან ვანოს პატარა ბიძაშვილს — ტიტტიკოს და აჯავრებენ: „ტიტლი, ტიტლი, ტიტლი ტიტიტო“. ბავშვების მხიარული ჟრიამული ხშირად დაღამე ბამდე არა ცხრება.

თანდათან გაფართოვდა ვანოს „სამანაბლო“, ლიახვის პირამდე ჩავიდა. ლიახვი იქვე ჩამოდის. გალავანს გასცდები თუ არა, ცოტას ჩაირბენ და ლიახვიც გამოჩნდება. საღამოობით, როცა მთვარით განათებულ მიდამოს დიადი სიწყნარე მოიცავს და მხოლოდ ძაღლების შორეული და კანტიკუნტი ყეფა არღვევს მყუდროებას, ეზოშიაც კი გაიგონებ მდინარის ბუტბუტს. მთვარის შუქზე მომხიბლავად ელვარებს მოპირდაპირე მთაზე აღმართული ტაძრის გუმბათი. ეს მთა ლიახვის გაღმაა, ვანოს „სამანაბლოს“ იქით. იმავე მთაზე ციხის ნანგრევებიც მოჩანს, რომელიც ღამდამობით ზღაპრული დევივით წამოიყუტება ხოლმე.

ღვევების ზღაპრებს ვანო გლეხი ბიჭებისაგან ისმენს ზაფხულობით, როცა ტყეში წაელენ ხოლმე შემაზე ან თევზაობის დროს...

ლიახვში თევზაობა ძალიან სახალისოა. გემრიელი თევზი იცის. ჩადგებიან ბიჭები მდინარის ტოტში, ყორეს გააველებენ, ყორეზე ფარდაგებს გადააფარებენ და ისე დაიწრიტება წყალი, თითქოს სულაც არ ედინოს. მცხუნვარე მზე ქვეებს მაშინვე გააშრობს. ახლა თუნდა რიყეზე გივლია, თუნდა მდინარის კალაპოტში, ბიჭები პატარა

გუბეებში დაერევიან ასხმარტალეებულ თევზებს... ზოგჯერ მაინც შემოიპარება ყორუში წყალი. ჯერ გამოჟონავს, გზას გამოიკვლევს, კარგად მოსინჯავს, უფრო მოხერხებულად სად შეიძლება გაძრომა; ერთბაშად იხუელებს, ზღუდეს გადმონგრევს და გამშრალ ქეებს თაეზე გადაეელება, განწირულ თევზებს საბურველივით წაეფარება და გააპარებს. ამას მოჰყვება საერთო ღრიანცელი, სიცილ-კისკისი, ბიჭები ისეე მიეარდებიან ყორეს და გაამაგრებენ...

იქვე ნახირი ბალახსა ძოეს გალადებით, ბუზით შეწუხებული მოზვერი ერთს ციბრუტივით დატრიალდება, მაგრამ რაკი რქით ვერ მიწელება აბეზარ ბუზებს, იშვერს ფეხსა და ელვის სისწრაფით გაქანდება. სახრემომარჯვებული, ფეხშიშეეღა ბიჭი დაედენება და თან ცალი ხელით ნახევრად ჩამძვრალ, კონკებადქცეულ შარვალს იჭერს. მღინარის ნაპირას, ბექობზე, დარბაისელ ყურშას ენა გადმოუგღია და სიცხისაგან შეწუხებული ქელავს, ჩეუული სიღინჯით შეჰყურებს მოთეეზაეე ონავარ ბიჭებს. შორიდან გლეხების ჰოპუნა მოისმის...

ბიჭები დასხდებიან ტირიფის ჩრდილში და დაიწყება ზღაპრები. ვანომ ბვერი ზღაპარი იცის. გულისყურით უსმენს გლეხის ბიჭებს და თან მუდმიე შიშშია, პაპიღამ არ დაუძახოს.

ეს არც ისე იშვიათად ხდება. პატარა ბიჭი მოირბენს და მოახსენებს, ქალბატონი გიხმობსო. გაკეეთილი იწყება!..

პაპიღა ადრე დაქვრიეებულა და რაკი შეილიც არა ჰყოლია, ძმის ოჯახს დაბრუნებია. მას შემდეგ სულ სახლშია. ვანოს მამა-ბიძებს მან შეასწავლა წერა-კითხეა, წიგნებიც შეაყვარა. ახლა ვანოს ასწავლის...

ღიდ, ძეელებურ დარბაზში, რომელსაც სპარსულ ყაიღაზე აქვს სარკმლები დატანებული, თაეი მოუყრიათ ვანოს ბიძაშეილებსა და უფროს დას — დარიკოს. ვასიკომ, ვანოს უფროსმა ძმამ, უკვე დაამთაერა პაპიღის „სასწავლებელი“ და ახლა ქალაქს სწავლობს, გიმნაზიაში. პაპიღა ტახტზე ზის, ბაეშეები ირგვლიე შემოსხდომიან. ვანო მკეირცხლად შეიჭრება ოთახში და თაეის ადგილს დაიჭერს. პაპიღა მოშხადებულია. საყეედურის სათქმელად, რად დაიგვიანეო, მაგრამ ვანოს მალხაზ, ხალისიან სახეს რომ შეხედაეს, გაიბადრება, შეეებას იგრძნობს...

ვანო პაპიღის ყეელაზე საამაყო მოწაფეა. ექესი წლისაა და უკვე მშეენიერად კითხულობს ხუცურსაცა და მხედრულსაც. ზეპირად იცის ლოცვანი, ფსალმუნები; წაუფორხილებლად აბულბულებს

სახარებას, ჟამნს, დავითნს, სამოციქულოს... კიკნა ბიჭია, სუსტი და ფერმკრთალი, მაგრამ სწავლით ყოჩაღად სწავლობს. ხმაც სასიამოვნო აქვს; ისე ტკბილად ჩააბუღებულებს ხოლმე სახარებას, რომ პაპიდა თვალებს მილულავს და, ნახევრად მთვლემარეს, ვინ იცის, იქნებ წმინდა მოციქულები ეჩვენება. მანამ სახარების კითხვას შეუდგებოდნენ, მკაცრი მასწავლებელი ჯერ ტუჩებს უზომავს გოგონებს. ტუქსავს, გაგზრდიათ, ეტყობა ბევრი გიჭორავიათო, მერე „ხელთა ანგარიშს“ გაამეორებინებს თავის მოწაფეებს, მთელი წლის ანგარიშს თითებზე გამოათვლევინებს ხოლმე...

სწავლა კარგა ხანს გრძელდება. ბავშვები იმეორებენ ერთსა და იმავეს. ოთახი თითქოს ჩამოიხუთა. ახლა ისევ გარეთ ნაევრდია კარგი. რა სჯობს მორთულ თამარაშენს გაზაფხულ-ზაფხულზე! ვანოს თვალეები გარეთ გაურბის. ეზოში მერცხლები ჟღურტულეებენ, ბაღის მხრიდან საამური სიო უბერავს და ნაზად აშრიალებს აივანთან აღმართულ ცაცხვს, რომელსაც ბზუილით ეხვევა ფუტკრების გუნდი. ხანდახან გუგული გადაიფრენს...

ვიწრო სარკმლიდან პაპაც მოჩანს. იგი აივანზე გამოსულა და „ცისკარს“ ფურცლავს. ეს ჟურნალები ძველ და საყვარელ მეგობარს, უკვე სახელმოხვეჭილ პოეტსა და დრამატურგს გიორგი ერისთავს გამოუგზავნია მისთვის.

ზანტად ფურცლავს პაპა ჟურნალს, მაგრამ, ეტყობა, მისი ფიქრები წარსულში გაჭრილა. გიორგი ერისთავთან პირველი შეხვედრა აგონდება.

ეს იყო ძველად, ალბათ ათას რეაას ოცდაცამეტი წლის დასაწყისში, როცა ოცდათორმეტი წლის შეთქმულების მონაწილენი ერთად ჩაყარეს ავლაბრის ყაზარმებში. სწორედ აქ შეფიცეს სვიმონ მაჩაბელმა და გიორგი ერისთავმა „ურთიერთ მეგობრობანი“. მაშინ ოციოდე წლის ჭაბუკი იყო ერისთავი. იგი მოხიბლა უფროსი მეგობრის მგზნებარე ხასიათმა, ტკბილმოუბრობამ, სიმტკიცემ და გაუტეხლობამ...

სწორედ ამ გაუტეხლობამ იხსნა სვიმონ მაჩაბელი: შეთქმულებაში მონაწილეობა ვერ დაუმტკიცეს და გაათავისუფლეს, მაგრამ მაინც სიფრთხილე გამოიჩინეს და მკაცრი მეთვალყურეობა დაუნიშნეს. პაპა მაშინ სოფელში დაბრუნდა. ხშირად მოიგონებს ხოლმე ღიმილით ერთ ეპიზოდს, რომელიც შემდეგ საქვეყნოდ გახმაურდა.

ციხიდან გათავისუფლებულ სვიმონ მაჩაბელს ცხინვალში ერთი ადგილობრივი ებრაელი შემოეყარა და მოწიწებით მიესალმა დიდ

თავადს. მერე შებედა და ჰკითხა: „რა უნდოდით მაინც, კნიაზო, ამდენ ხანს ციხეში რაზედ იჯექითო“. სვიმონ მაჩაბელმა ერთი შეუბღვირა და უყვირა: „რუსის ჩინოვნიკებმა ვერ გამტეხეს, და ერთი ამას შეხედე, გამოტეხას მიპირებსო!“

გიორგი ერისთავმა ლექსი მიუძღვნა უფროს მეგობარს, სვიმონ მაჩაბელმაც ლექსითვე უპასუხა. გადასახლებიდან ახლად დაბრუნებულმა გიორგი ერისთავმა სიყვარულით გაიხსენა უფროსი მეგობარი და კელაე ლექსი მიუძღვნა:

„ბედმან კვალად, ძმაო, ხშული განმიღო კარი,
მოვედი, მნახე მე, მოყვასი და მეგობარი,
მსურის მოხევენა, გარდაკოცნა წვერის ჭკლარის;
ექვსი წლის უსმენს შენის ენის მოჭიკჭიკარის,
მშის, ვით მომეზარს, მოვისმინო ხმა შენი ტკბილი,
მოგელი ესრედ, ვით მიჯნური, ტრფობით შეშლილი,
ნუღარ იყოენი, მოისწრაფე, ნახვით მახარე,
მარილ მოყრილის შენის ენით მო, მახარხარე“.

თავისი ლექსებიცა და სვიმონ მაჩაბლის პასუხიც შემდეგ „ცისკარში“ დაბეჭდა გიორგი ერისთავმა...

პაპის ბუტბუტი ოთახშიაც აღწევს: ზოგჯერ ხმით კითხულობს ხოლმე პაპა ლექსებს. პატარა ვანოს მახვილმა სმენამ გარკვევით დაიჭირა ერთი სტრიქონი — „აწლა ფიალა სიტყბოების მექნა დაცლილი“.

ეს გიორგი ერისთავის ლექსიდან არის.

ტკბილად იგონებს სვიმონ მაჩაბელი თავის უმცროს მეგობარს, რომელიც ხშირად ეწვევა ხოლმე გორიდან სტუმრად. მაგრამ ის მაინც არ მოსწონს მოხუც მაჩაბელს, რომ ქართველი თავადაზნაურობა ასე გამამსხარავე ერისთავმა თავის პიესაში, ვერაფრით ვერ უპატიებია!.. ზოგი რამ მართალია, მაგრამ საქვეყნოდ გამამსხარავება თავადებისა?! მუთაქის გაყოფაზე ჩხუბი (მაშინ რას წარმოიდგენდა ამაყი თავადი, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ მის ოჯახშიაც დატრიალდებოდა ასეთივე სურათი გაყრისა)! მაგრამ მისი შეილებიც რომ გიორგი ერისთავის გმირებსა ბაძავენ! გადაგვარდნენ. გადაგვარდნენ მამულიშვილები. გაუტკბათ მამულების გაყიდვა, გაფუქსაეატდნენ, თავადიშვილური სიამაყე დაკარგეს, ქალაქში დაწანწალობენ, ლოთობენ, ლამის მღაბიოებში გაითქვიფონ!..

სვიმონ მაჩაბელი არა ცდებოდა. გადაგეარების გზაზე დამდგარი თავადების ერთი ნაწილი, რომელსაც დიდი მთავარმართებლის გრაფ ვორონცოვის წყალობით პრიკაზის ფულებმა გეაროვნული ზვიადობაც დააეიწყა და მამულის სიყვარულიც, თავდაეიწყებით მიეცა თავაშეებულ დროსტარებასა და გაუთავეებელ ღრეობებს, ბალებსა და ახალი მოდის გასართობებს. გაუტკბათ ფუქსავატური ცხოვრება, მთავარმართებლის კარზე დარდიმანდული სიარული და მდიდრული კარეტებით ქროლვა. ერთი სიტყვით, „ტკბილი ცხოვრების“ მორეეში ჩაეშენენ. არცთუ ისე იშვიათად ტუჭყვიან ტრაქტირებსაც ეწვეოდნენ ხოლმე და, „მდაბიობეში გათქვეფილნი“, ზურნის ჭყვიელში ატარებდნენ დროს. დაგირაეებულ მამულებს კი ამ დროს თანდათანობით ემატებოდა სარგებელი და ერთადერთი გამოსავალი ისეე და ისეე ახალ-ახალი მამულების დაგირაეება იყო...

* * *

ჩვენ შეგვიძლია უფრო ახლოს გაეეცნოთ ერთ-ერთ ასეთ „ტკბილი ცხოვრების“ მიმდევარ თავადს.

იგი ბარბაცით ამოვიდა სარდაფიდან, შეებით ჩაისუნთქა შემოდგომისგრილი ჰაერი, ულვაშებზე ხელი გადაისევა, თვალები აახამხამა, დილის შხეს შეხედა, გემრიელად დააცემინა ცხვირი და კიდევ ერთი ნაბიჯით გადაინაცვლა წინ, რათა უფრო მტკიცედ დამდგარიყო. სარდაფიდან ზურნის ჭყვიტინი და მოქეიფეების ღრიანცელი ამოდის, ვიდაც ჩახრინწული ხმით თავგადმოდებით გააკვივის: „შენ სოროში როგორ გაძლებ, წიკლო საბედოო! ჯან გულო!“...

სარდაფის კარებზე აკრულ ფიცრის მოზრდილ დაფას თოვლისა და აედრისაგან საღებავი ნახევრად გადასცლია, მაგრამ დაკვირეებული თვალი მაინც გაარჩევს: — „ტრახტირი“... მეერე გადაშლილია მსხვილი ასობებით ნაწერი და იქვე უფრო წვრილად მინაწერი მოჩანს: „კარგა ვსეათ და კარგა ვჭამოთ, ამის მეტი რა შეგერჩება“... მეტრაქტირეს წინდახედულობა გამოუჩენია და ცოტა უფრო ქვემოთ რუსულადაც დაუწერიანებია, რათა ყველას გააგებინოს — „Не уезжай, голубчик мой!“

ეს არის ტრაქტირი მთელს გორსა და გორის უეზდში განთქმული მიკიტინისა, რომლისთვისაც მეტსახელად „ბელტიყლაპია“ შეურქმევიათ. ბელტიყლაპია სწრაფად ამოჰყვა თავადს, ქონით გაპოხილი ხელსახოცით გაოფლიანებული დაჟღაჟა სახე ჩამოიწმინდა, მერე თავადს მიეახლა და მოწიწებით რაღაცა შეჰკადრა. ამ უკანასკნელმა ერთი შეუბღვირა და მერე, ალბათ, რაღაცა მოსთხოვა. ბელტიყლაპიამ, ეტყობა, უკვე იცოდა, რასაც მოითხოვდა თავადი — გაზინთული ჯიბიდან დაჭმუჭუნული ქალაღდი ამოიღო და რაღაც ჩაანიშენინა. მერე ქალაღდი უბეში შეინახა და მახლობლად გაჩერებულ მეეტლეს ანიშნა, ეტლი ჩამოაყენეო. მეეტლემ ერთი კი შეხედა თავადს, უსიამოვნოდ დაიჭყანა და უხალისოდ გაემართა ეტლისაკენ.

მანამ ეტლი ჩამოდგებოდა, მეტრაქტირემ თავის კლიენტს მოწიწებით გაუსწორა მკერდზე ჩამოკონწიალებული ჯვარი და მედლები. ეტყობოდა, იცოდა, რომ ამით ასიამოვნებდა, ხოლო როცა ეტლი ჩამოდგა, ჩაჯდომა უშეელა თავადს და კვლავ სარდაფში ჩაძვრა. კოპებშეკრულმა მეეტლემ მათრახი გადაუტლაშუნა ცხენებს და ეტლიც ადგილს მოწყდა.

ეტლმა გრუხუნით გაიარა გორის ოღროჩოღრო ქუჩები, მდინარე ლიახვი გადაჭრა და ცხინვალის გზას დაადგა. მიეყვეთ ამ ეტლს. იგი გაივლის კარაღეთს, ქიწნისს, ძევერას და ტყეიაეში შევა.

გორიდან რომ გამოვიდნენ, ჯერ კიდევ დილა იყო, ტყეიაეს ჩასელამდე კი საკმაოდ ჩამოცხა. შემოდგომაზე, თუ კარგი დარები დაიჭირა, ამ ადგილებში შუადღისას სიცხე იცის. ასე რომ, ბაღებში ჩაფლულმა სოფელმა ჩვენს მგზავრს ხალისი მოჰგვარა. ხოლო როცა ეტლი გადაჩრდილულ ორღობებში შეგრიალდა და პატარა ლიახვის საამურმა ნიაემა მთელი დამის ნაქეიფარ თავადს გახურებული შუბლი გაუგრილა, მეეტლეს უბრძანა მარჯვნივ შეეხვია. მეეტლეცა და ცხენებიც, ეტყობა, დაჩეუულნი იყენენ მარჯვნივ შეხვევას, რადგან მეეტლეს, გორიდან მოყოლებული, მხოლოდ ახლა გაებადრა სახე, ხოლო ცხენებმა სირბილს უმატეს და სულ მალე ეტლი კაკლებითა და ჭადრებით დაბურულ ეზოსთან მიაგრიალეს.

აქა ცხოვრობდა აზნაური იასე ფაეღენიშეილი, გორსა, ცხინვალსა და ახლომახლო სოფლებში „იასე რამანიჩად“ წოდებული. ახალგაზრდობაში იგი განთქმული იყო თავისი სტუმართმოყვარეობითა და პურადობით, ჭიშკართან ეტლს ისე არ გაატარებდა, რომ მგზავრი ეზოში არ შეეპატიჟებინა და არ გამასპინძლებოდა. ხოლო შემდეგ, როცა შეიღები დაეზარდა, ცნობილი გახდა, აგრეთვე, როგორც

გამოჩენილი ქართველი ხალხოსნის რომანოზ ფაელენიშვილის მამა. უფრო მოგვიანებით კიდევ ერთმა მოელენამ გაუთქვა სახელი: 1880 წელს კალიამ თითქმის სულ გააჩანაგა ქართლში ჭირნახული. მოსახლეობა დაიმშა და სასოწარკვეთილებაში ჩაეარდა. ხალხოსანი შვილის გაელენით იასე ფაელენიშვილს თავისი სასიძინდეები გაუხსნია და სიძინდი ახლომახლო სოფლების დამშეული გლეხობისათვის დაურიგებია. „ჩვენს საძაგელ და ცუდ ღროში, ეს საკვირველ მოელენად ჩაითვლება“, — შენიშნავს ერთი იმდროინდელი მოგზაური.

ამჟამად რომანოზი თბილისში იმყოფებოდა, სასწავლებელში, ხოლო მისი უმცროსი ძმა კოლა, რომელსაც ქვემოთ კიდევ ბევრჯერ ვახსენებთ, ახლა ეზოში თამაშობდა და სტუმრები რომ დაინახა, სახლში შეეარდა.

ჯერჯერობით ამ ცნობებით დაეკმაყოფილდეთ და მივხედოთ ჩვენს მგზავრს, რომელმაც კიდევ ერთხელ დალოცა მასპინძლის ფუძე და ჭერი, ხოლო მზე რომ გადაიწვერა, გზა განაგრძო.

ცხინვალში კიდევ გადაახვევინა ეტლს თავადმა, ერთ ზეართან შეჩერდა, ეტლიდან ჩამოხტა, ხელი მოიჩრდილა და დააკვირდა; სიამოვნებით დარწმუნდა, რომ ყურძენი უკვე დაეკრიფათ. შემდეგ ისევ ჩაჯდა ეტლში და უკან გამობრუნებისას მუშტრის თვალით კიდევ ერთხელ გადახედა ზეარს. წამით ჩაფიქრდა. ეტყობა, გონებაში რაღაცას ანგარიშობდა...

ორიოდე წუთში ეტლი თამარაშენში შვერიალდა და სვიმონ მაჩაბლის სახლთან შედგა. მანამ სახლიდან ეინმე გამოვიდოდა და ახლად მოსულს გამოეგებებოდა, ჭიშკართან მეეტლესა და მგზავრს შორის უცნაური დიალოგი გაიმართა. ეს საუბარი არც ერთი მხარისათვის არ იყო სასიამოვნო. მეეტლე, ეტყობა, მგზავრობის ფულსა სთხოვდა მგზავრს, ეს უკანასკნელი კი დიდსულოვნად ამშვიდებდა — ცოტა დამაცა და წინანდელსაც და ამასაც ერთად გადაგიხდით. მეტს ვეღარ ჩააცივდებოდა მეეტლე, ამის უფლება თავისი მდგომარეობის მიხედვით არა ჰქონდა. არც აზრი ჰქონდა ამას, გამოცდილებით იცოდა. ისევ ძველ გამოსავალს მიმართეს; მეეტლემ ხიფთანის ჯიბიდან გაპოხილი დაეთარი ამოაძრო და დაუზარელმა მგზავრმაც რაღაც ჩაუნიშნა. ყურებჩამოყრილი ცხენებიც და ცხვირჩამოშეებული მეეტლე უკანვე გაბრუნდნენ, ხოლო მგზავრმა ქულაჯის კალთა გაიბერტყა და გაუბედავად შეალო ჭიშკარი.

ეს მგზავარი გახლდათ გიორგი მაჩაბელი, სამაჩაბლოს უკანასკნელი მთავრის სვიმონ მაჩაბლის შვილი და მომავალი დიდი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ივანე მაჩაბლის მამა.

გაუბედავად იმიტომ შეაღო საკუთარი ეზოს კიშკარი, რომ რამდენიმე უსიამოვნო შეხვედრა ელოდა.

პირველი შეხვედრის შიში მაინცადამაინც არცა კქონია და ადვილადაც გადარჩა. ცოლს ეზოშივე შეხვდა და თვითონ დაასწრო: სასწავლებელში მიბარებული უფროსი შვილის ამბავი ახარა — კარგად სწავლობს, კარგადაც არის, მაგრამ ყურის გდება უნდა, მარტოკას ხომ ვერ დაუვადებ, აქამდეც იმიტომ შევრჩიო. ეს სიტყვები ადრევე კქონდა მოფიქრებული და კარგადაც გასჭრა. საყვედურის თქმა იქნებ ისედაც ვერ გაუბედნა ცოლს, მაგრამ შვილის ამბავი რომ უთხრეს, სახე გაებადრა.

პირველმა გამარჯვებამ ცოტათი წაათამამა თავადი და გულმოცემულმა უფრო გაბედულად შეაღო მამის ოთახის კარები. მაგრამ ახლა ვეღარ გადარჩა, ეს შეხვედრა, ჩვეულებრივ, მარცხით დამთავრდა.

— გაგონილა?! — კარების შეღებისთანავე დაიწყო ქალაქიდან ახლადდბრუნებულმა შვილმა, რომ მამისათვის დაესწრო და საყვედურების თქმის საშუალება მოესპო, — გაგონილა?! ეს ილია ჭავჭავაძე მანდილოსნებსაც რომ აღარ ეპუება!.. ლეჩაქსაც არაფრად აგდებს!.. არ წაიკითხე?..

მაგრამ მოხუცი მამის შეჭმუხნილ შუბლს რომ შეხედა, შედგა და ერთბაშად სიმთვრალისგანაც გამოფხიზლდა. გამოცდილებით იცოდა, რომ ასეთი დაბღვერილი შუბლი დიდი ჭეჭა-ქუხილის მაუწყებელი იყო.

ახალგაზრდა თავადს გათვალისწინებული კქონდა მამის განსაკუთრებული სიყვარული ლიტერატურისადმი და თითქმის დარწმუნებული იყო, რომ ამ მშვენიერი მისატყუებელით მოხუცი მაჩაბელი ანკესზე წამოგვებოდა. მაშინ არისტოკრატულ ოჯახებში სულ ეს ეკერათ პირზე, ყველგან ჭავჭავაძის „თავხედურ“ წერილებზე ლაპარაკობდნენ.

— ახია! — დაიგრგვინა მოხუცმა, — თქვენისთანებზე ახია!..

მოულოდნელობისაგან სახტად დარჩა ახალგაზრდა თავადი, მაგრამ მაინც არ დაიბნა და წინასწარვე მოფიქრებული მეორე მისატყუებელი გადაუგდო ვეფხვივით გამძვინვარებულ მოხუცს.

— ე დლოცვილი რუსხელმწიფე მაინც რაღამ გადარია, რომ დღეს თუ ხეალ ყმები უნდა წაგვართვასო!..

მეხი რომ გაეარდებოდა, ეს მაშინვე იგრძნო გაქალაქელებულმა თავადმა, როგორც კი მეორედ შეხედა მოხუცს, მაგრამ რას იფიქრებდა, ასე დამანგრეველი თუ იქნებოდა.

გაცოფებულმა მოხუცმა „ცისკრის“ ნომერი ბუხრისკენ მოიქნია, დიდი ჩიბუხი გამწარებით დაანარცხა იატაკს და კი არ შეაკვირა, შებღავლა „ტკბილი ცხოვრების“ მოყვარულ შვილს, რომელიც ამ დროს უკვე მოხერხებულად იძურწებოდა კარებში:

— ახია! თქვენისთანებზე ყველაფერი ახია!..

მეორე ოთახში გამოსულ თავადს მამიდის დაბღვერილი სახე შეეფეთა, მაგრამ საშიში აქ არაფერი იყო, რადგან მამიდას ჩხუბი და აყალმაყალი არ უყვარდა.

თავადმა სინანულით შეხედა კედელზე გაკრულ ძვირფას თურქულ ხალიჩას, რომელიც მან ოსმალეთის ფრონტიდან ჩამოიტანა, ხელი ჩაიქნია, უხერხულიაო, ჩაიდუღუნა და სწრაფად გავიდა. მაგრამ მოხუცი მამის ყვირილი ეზოშიაც აღწევდა. მთელ ფრაზებს ვერ არჩევდა, მხოლოდ ცალკეული სიტყვები ესმოდა — „თრევა“, „წანწალი“, „ღეთის რისხვა“, „მდაბიო“, „საღდათები“...

საქმე ის იყო, რომ მამა, საერთოდ, უკმაყოფილო იყო თავისი შვილისა. ფუქსაეატი გამოდგა, ახალგაზრდობიდანვე დაეჩვია ქალაქში წანწალს. შემოსავალს ფლანგავს, ისე გაკადნიერდა, რომ მამულების დაგირაეებაც გაბედა. მერე ადგა და ვიღაც მდაბიოს, ვიღაც ქალაქელი დაბადის ქალი შეირთო ცოლად. ამაზე დიდი შერცხვენა და თავლაფისდასხმა იქნება?! საქეეყნოდ თავი მოსჭრა ოჯახს! მთელი ქეეყანა დასცინოდა მაშინ გიორგი მაჩაბელს, ლექსებიც კი შეთხზეს მასზე!..

გიორგი მაჩაბელი გაჭირეებიდან ყველაზე იოლსა და იმხანად თავადაზნაურობისათვის არცთუ ძალიან უცხო გზას დაადგა: ცოლად შეირთო მდიდარი თბილისელი სომეხი მოქალაქის — ერეეანცოვის ქალი, ნატალია. ახალგაზრდა თავადიშვილი იმდენად ქალის სილამაზეს არ მოუხიბლაეს, რამდენადაც მამამისის ოქროების ელვარეებამ მოსჭრა თვალი.

მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ თავის ნამდვილ გულისწადილსა და ზრახვას პირდაპირ არ განუცხადებდა მდიდარ სასიმაძროს. როგორც გადმოგვცემენ, არც სასიმაძრო დარჩენილა დიდად აღფრთოეანებული ღარიბი თავადიშვილის დამოყვრებით, რომელსაც, რამდენადაც შე-

მოსავალი უმცირდებოდა და ღარიბდებოდა, იმდენად ქეიფებისა და უზრუნველი ღროსტარების მადა და ხალისი ემატებოდა. ეტყობა, ახალგაზრდა ქალის თვითნებობამ იმძლავრა და ძუნწი, მაგრამ მდიდარი მამაც, რომელიც, ალბათ, მიკირტუმ გასპარიჩის პროტოტიპად გამოდგებოდა, ბოლოს და ბოლოს დათანხმდა ბედოვლათი თავადიშვილის მოყვრობაზე. მაგრამ იმავე გაღმოცემის მიხედვით, მდიდარ სიმამრს ისეთი ხელგაშლილობა არ გამოუჩენია, როგორსაც წარჩინებული სიძე მოელოდა. მზითვეი საკმაოდ ძუნწი და ღარიბული აღმოჩნდა, ხოლო თუ ერთ-ერთ მოგონებას ვერწმუნეთ, სიმამრის სახლიდან გამოტანილ ზოგიერთ დაბეჭდილ სკივრში, პატიოსანი თვლებისა და ოქრო-ვერცხლის ნაცეკლად, კენჭები და აგურის ნატეხები აღმოჩენილა.

სწორედ ამას დასცინოდნენ მაშინ ხალხში:

მაჩაბელო ფესაო,
თვალი დაგიდგესაო,
დაბლის ქალი ცოლად შეერთეს,
ფული არ მოგცესაო...

ადვილად მოატყუეს რბილი ხასიათისა და ფულის ყაირათს შეუჩვეველი სასიძო. არც სიძეს გამოუდვია თავი: იმავე სკივრებში იმდენი ფული მაინც აღმოჩნდებოდა, რომ რამდენიმე ხანს ყოფნოდა ახალგაზრდა თავადს. ჯერჯერობით მეტი არც უნდოდა, რადგან მამიდის ნასწაველი სახარებიდან მის სულსა და გულს ყველაზე უფრო ერთი სიბრძნე შეეგუა — „ნუ ჰზრუნავთ ხეალისათვის, რამეთუ ხეაღმან იზრუნოს თავისა თვისისა“.

ხოლო როცა ეს ხეაღე გათენდა, ტკბილ ცხოვრებას დაჩვეული თავადიშვილი ქალაქიდან შინ ავიდა და შემოსავლის ერთი ნაწილი წამოიღო. მერე მამულების დაგირაეებასაც მიჰყო ხელი...

ეს ფული იფლანგებოდა ორთაჭალის ბაღებში, მასკარადებზე, ბაღებზე, მდიდრულ კარეტებში, ახალგაზრდა ბანოვანებში...

რაც დრო გადიოდა, მით უფრო ჭირდა ცხოვრება, რადგან მამულების დაგირაეება და გაყიდვა სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. თანდათანობით, ფართო ბინიდან, ალბათ უფრო ვიწრო ბინაში გადაინაცეკა გალაღებულმა ახალგაზრდამ, მაგრამ ქალაქი მაინც ვერ დათმო. შემდეგ ეს საცხოვრებელი ბინა კიდევ დაეწროვდა, და, ბოლოს, მისი შვილის თქმით, „პატარა სადგომად“

იქცა. უღარდელ ცხოვრებას მიჩვეულმა თავადმა წერილ-წერილი ვალების აღებას მიჰყო ხელი. მაგრამ ვალებს ხომ გადახდა უნდოდა, სარგებელთან ერთად! გამოსავალი ისევე ადგილების გაყიდვასა, ან, როგორც თვითონ იტყოდა, „გაპარადალებაში“ იყო, და შერჩა კიდეც ეს სახელი — „პარადალა“ შეარქვეს... ერთ დროს დიამბეგობაც იკისრა, უფროსი შვილის ცნობით, მაზრის უფროსის თანაშემწედ დანიშნეს... ადვილი წარმოსადგენია, როგორი ავტორიტეტი ექნებოდა ასეთ სახელშერქმევულ, რბილი და მერყევი ხასიათის მაზრის უფროსს!..

რუსეთ-თურქეთის ომი რომ დაიწყო, გიორგი მაჩაბელი მოხალისედ ჩაეწერა კავალერიის გენერალ-ლეიტენანტ ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილის რიონის რაზმში, უფროსობდა ოსების „სოტნას“. 1853 წელს ეს პოლკი ახალციხესთან იბრძოდა, ხოლო 1854 წელს, სწორედ იმ დროს, როდესაც გიორგის მესამე შვილი შეეძინა, ანდრონიკაშვილის ჯარებმა მწარე დამარცხება აგემეს მტერს. ამ ბრძოლაში მაჩაბელმაც ისახელა თავი და გიორგის ჯვარი მიიღო.

ჩოლოქთან ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ გიორგი მაჩაბელმა თავისი უფროსის — ივანე ანდრონიკაშვილის შვილი არჩილი თამარაშენში გამოატარა და ახლადშექმნილი ვაჟი მოანათელინა, რომელსაც უფროსის პატივსაცემად ივანე შეარქვეს. ამ ბრძოლების შემდეგ გიორგი მაჩაბელი კიდეც უფრო დაუახლოვდა გაელენიან გენერალს და მის ვაჟს არჩილს, რომელიც მერე ბებუთოვთან მსახურობდა ადიუტანტად, და რომლის გაელენის სფეროც საკმარდ ერცელი იყო. ამრიგად, ტკბილი და „განათლებული“ ცხოვრების მიმდევარი თავადი ახლა კიდეც უფრო ხშირად ახერხებდა მთავარპარტებლის კარსა და წარჩინებულ საზოგადოებაში ტრიალს. სოფელში იშვიათად თუ ავიდოდა, ოთხ-ხუთ წელიწადში ერთხელ, და ისიც შემოსავლის ასაკრეფად. „აკრეფდა შემოსავალს, ცოლ-შვილს არაფერს დაუტოვებდა და წავიდოდა... ცოლ-შვილში ყოფნა არ უყვარდა“, იგონებს ვანო მაჩაბლის სოფლელი და მასთანვე შეზრდილი გლეხი.

დედა, ნატალია, ერევანციოვის ქალი, შრომისმოყვარე და მშრომელი ადამიანი იყო, ამასთან მეტად ანგარიშიანი და ყაირათიანი, შეიძლება ითქვას, ძუნწი. ვანო შემდეგ უცხოეთიდან სწერს თავის დას: „დედა რასა იქს? თავის ტკივილი ხომ აღარ მოსდის? ან სიძუნწეს თავი დაანება თუ არა?“ ქართულად იყო აღზრდილი, იცოდა ქართული წერა-კითხვა, მაგრამ ქართულ ლიტერატურას ზერეულედ იცნობდა და შეილების აღზრდის საქმეში არც ერეოდა. ეს მთლიანად პაპიდას

ქქონდა მინდობილი. გრიგორიანული სარწმუნოება გაათხოვების შემდეგაც არ დაუთმია.

მაგრამ დედის დასახასიათებლად უფრო საინტერესო იქნება მისივე მომსწრესა და ოჯახის ახლობელს ალექსანდრე ძაჩაბელს მოუესმინოთ:

„დედა ვანოსი, ნატალია, მეტად სათნო და კეთილი ადამიანი ბრძანდებოდა, მხიარული გამოძეგულება ქქონდა, ძალიან მოხუცი (იგულისხმება როცა ძალიან მოხუცდა), მოძცრო ტანისა, წელში მოხრილი, მუხლმაგარი, უკანასკნელ დღემდე დაუზარელი. პატარა ბავშვს რომ დაესაქმა, გაუგონებდა. ვასოს სახლში ყველას ყურადღებას იქცევადა, მსჯელობაში მონაწილეობას იღებდა და ბევრჯერ მისი პაზრი იმარჯუებდა... ყველა წერილმანს იხსომებდა; თუ მოხდებოდა და რამე გადააუვიწყებოდა, უკვირდა, რათ დამაუვიწყდარო, დაიცა, მოვიგონებო და იმდენს ფიქრობდა, რომ მოიგონებდა. დიდი გამფრთხილებელი ოჯახში ყველაფრისა. ერთი ახალციხური ყუთი ქქონდა, დახატული, რომელიც ვიდაც ბაყალს მიერთმია ფეშქაშად. „კაი ჩირებს ვაკეთებ და იმიტომ მომართუა ეს ყუთითო“, — იტყოდა ხოლმე. იმ ყუთში რა გინდოდა, რომ არა ქქონდა — ლურსმანი, ბულდი, ნევსები, მახათი, საღვისი და ათასი რამ ამისთანები; რაც კი დასჭირდებოდა მოსამსახურეებს თუ შვილიშვილებს, იმ საათში იმ ყუთიდან ამოუძერენდა და მისცემდა.

— მომიტანეთ, შვილო, ტომრები, ხურჯინები, საცკლები. მე დაუაკერებ, ვინემ პატარათ არის დახეული, ადვილი დასაკერებელია, რომ გადიდდება — ძნელი...

„— ყველაფერი დანიშნულ ალაგს ქქონდა შენახული. არაფერი არ სჭირდებოდა.

— „შვილო, ბერი ხალხი ნუ შემოგიდის ოთახებში და ბალკონში, პოლს ძალა მოუვა, კრასკაც გაცეთება, ჩემი შვილი შეწუხდება.

„ვანო უყვარდა... უყვარდა ძალიან. სულ მის მოგონებაში იყო. ისე გაეზარდე, რომ არაფერი გაუტეხნია რა, ძალიან ნიჭიერი არის, ვენაცვალე, გინება არ იცოდარო, და არა სჯეროდა თუ დაკარგული იყო ვანო.

„— აბა რა? ჩემი ჭკვიანი ვანო ადვილად არ გადაიგდებდა თავს, ის წასულა სხვათა ქვეყანაში, დიდ საქმეებს აკეთებს, და წერილიც მოსულა, ამბავი მოუტანიათ, მაგრამ მე კი ვერა ვხედავ.

„მუდამ შემოდგომას ჩურჩხელებს უშზადებდა ვანოს — უყვარს, ვენაცვალეო“. ერთ შემოდგომაზე ატეხილი წვიმები იყო, ჩურჩხელები

არა შრებოდა. სწუხდა დედა ნატალია. ეანოს ჩურჩხელები დაუბდებო. ერთი მოურავი სიმონა სუთიაშვილი ჰყავდა, მას შესწიოდა. მან მოახსენა: „ასე გამიგონია, დედა ადამიანი ცხენზე უნდა შეჯდეს, წვიმაში გაიარ-გამოიაროს და გადაიღებს“.

„— ოღონდ ჩემს ეანოს ჩურჩხელები არ წაუხდეს და ჩემზე დედა ადამიანი ვილა არის, შემიკაზმეთ, მე შეეკვდები ცხენზედაო.“

„და დედა ნატალია ეზოში ცხენით გაატარ-გამოატარეს.“

„დედა ნატალია მაინცდამაინც მორწმუნე არა ბრძანდებოდა. თუმცა კვირა ძალზე სანთლებს ანთებდა, სომხის სჯული მაგრა ეჭირა და არასოდეს არ ზიარებულა.“

„მე როცა მოვეკვდე, ქელეხი არ გადამიხადოთ, რა საჭიროა, ჩემი შვილი ხარჯში ჩაეარდება...“

მაგრამ ძალიან წინ წავედით!..

შეიდი წლის ეანო პაპიდას ეკლესიაში დაჰყავს, რათა მღვდელს უშეელოს. გადაშლილი სამოციქულო ხელში უჭირავს დიაკონს, რომელმაც დამარცვლით ძლივს იცის კითხვა. ეანო საამური ხმით დაიწყებს. დიდხანს ეერა სძლებს ფეხზე, იღლება, სუსტია. სკამს მიაშეულებენ და ზედ შესვამენ.

თანდათანობით გაფართოვდა პატარა ეანოს მრევლი. ახლა შორეულ სოფლებშიაც გაჰყავთ სახელგანთქმული ბავშვი.

„ცხრა თუ ათი წლისა ვიქნებოდი, როდესაც პირველად ვნახე ეანო მაჩაბელი, — ასე იწყებს თავის მოგონებას ეკატერინე გაბაშვილი, — იმ დროს ციებამ დამიგდო და ბებიაჩემმა მკითხავის რჩევით გერისთავში წამიყვანა. ეკლესიის ეზო სავსე იყო ხალხით და დაჩარდახული ურმებით. აქა-იქ დიდი ღვინები იყო გაჩაღებული და ჩვეულებრივი ჯვარობის ჟრიაშისაგან ყურთასმენა აღარ იყო.“

„მამაჩემს ხელმოკიდებული დავეყავი ერში და მიხსნიდა გერისთობის ბაზრის მნიშვნელობას ზემო ქართლის ცხოვრებაში. ეკლესიაში წირვა იდგა. ხალხი შედიოდა ხატის სამთხვევად და პარაკლისის გადასახდელად, ჩვენც იქითკენ ვიწვედით, რამდენადაც ხალხის ტალღა ნებას გვაძლევდა.“

„უცებ ხმა გაეარდა, სამოციქულოს სულ პაწაწინა ბავშვი კით-

ხულობსო და ხალხი უფრო აჩოჩქოლდა და ეკლესიის შესავალს მიაწყდა. მამაჩემმა ფეხს აუჩქარა, ხელი უფრო მაგრად ჩამჭიდა და რამდენიმე წამის შემდეგ ეკლესიაში შემიყვანა.

„ხატების წინ მრავალი სანთელი ენთო, მაგრამ ეკლესიაში მაინც ბნელოდა, პატარა საყდრის ვიწრო სარკმლებიდან საკმაო სინათლე არ შემოდოდა და ხალხს ვერ ატანდა. ამ ბინდში მკაფიოდ მოჩანდა მხოლოდ ხელში აყვანილი რვა წლის ბავშვი, რომელსაც მარჯვენა ხელში დიდი კვლახტარი ეჭირა და წინ გადაშლილ უშეველებელ წიგნს კითხულობდა.

„სიზმარივით ჩამრჩა ეს სანთლის შუქით განათებული მშვენიერი ბავშვის გაფითრებული სახე. დიდრონის, მომწვანო თვალებით შემკული და ქერა ხუჭუჭი თმით გადაფენილი სპეტაკი შუბლი.

„ის არა ბავშვური სახის გამომეტყველებით დაშტერებოდა წიგნს და მაღალი ხმით, გარკვევით კითხულობდა სწორედ იმ კილოთი და ტონით, რომლითაც ჩვეულებრივ სამოციქულოს კითხულობენ. ხალხი გაკვირვებული, თითქმის ცრუმორწმუნეობამდე მისული, უცქეროდა და უსმენდა. მე თან სიამოვნებით და თან შურიით შევცქეროდი არა ჩემოდენას, მაგრამ გასაოცარ ბავშვს და ეკვირობდი იმის თავისუფლად თავის დაჭერას და ხმის რიხიანობას.

„— როგორ მოგწონს? — წამჩურჩულა მამაჩემმა.

„— მიკვირს ამოდენა ხალხში როგორ ბედავს, არა კრთება... — ჩურჩულითვე მიუუგე მამას და უფრო ჩაეაკვირდი მის გაფითრებულ სახეს, ამაყურად მოღერებულ ყელს, მწვანე, კატის თვალებისმაგვარ თვალებს, მორკალულთ ქერა წარბებით, წერილწერილ ტუჩებს, ცოტათ ჩავარდნილ ბაგეზედ; და მაშინდელი იერი უცვლელად შერჩა ვანოს, რომლის სიცოცხლემ მართლაც რომ ჩემს თვალწინ გაიარა.

„— ვინ არის? ვისი შვილია? — გაისმა კითხვა. ყველას უნდოდა უფრო ახლოს დაენახა ეს არაჩვეულებრივი, იშვიათი ბავშვი, მაშინდელ დროს თითქმის უმაგალითო მოეგონა.

„მამაჩემმაც კითხვით მიმართა ჩვენს ახლო მდგომ მანდილოსანს და იმან სიცილით მიუგო:

„— კნიაზო რევაზ, ნუთუ ვერ მიცან ელენე, დიასამიძის ქერივი, ჩემი ძმისწულია ვანო და თან ჩემი საამაყო და საყვარელი მოწაფე.

„— ახლა კი მესმის, თუ საიდან შეისწავლა ამ პატარამ ასე მკაფიოდ საღმთო წერილის კითხვა. თქვენი სიბრძნე განთქმულია მთელს ქართლში.

„ — კარგი, კარგი, შენს გაზრდას, ქათინაურებს ნუ მოჰყვები! — და წინ წამოაყენა მასთან მოახლოებული, ეხლა მოლად გაწითლებული ვანო.

„ — აი ჩემი იაღონი და მომავალი საქართველოს პატრიარქი! — სიცილით დაუმატა მოხუცმა ელენემ“.

მაგრამ პატარა ვანო მანაბელი არაფრით არა ჰგავს მომავალ პატრიარქს. მას ახლავე ეტყობა, რომ პაპასავით მუცლისა და დაუდგრომელი ბუნებისა იქნება. ამას ნათლად ღაღადებენ მისი მკვირცხლი თვალები და ასაკისათვის შეუფერებელი ამაყი გამოხედვა. ეკატერინე გაბაშვილი იქვე დასძინს: „ბავშვი ტუჩმოკუმული, სახეკუმტად იდგა და პაპიდას ალერსი, თითქოს, ღირსეულად შეიფერა და ამაყად გადმოგვხედა. და ეს ამაყური გამოხედვა ვანოს ვაჟკაცობამდის შეჰყვია. ვანო ერთი იმათთაგანი იყო, რომელთაც სწამთ თავიანთი მოწოდება და თავი ყოველთვის ღირსეულად უჭირავთ“.

არა, ნამდვილად პაპას ჰგავს, სამანაბლოს უკანასკნელ ღირსეულ მთავარს...

ახლა ესეც ვნახოთ, რას წარმოადგენდა თვით სამანაბლო.



საისტორიო წყაროებში მანაბლის გვარი მეთხუთმეტე საუკუნიდან მოიხსენიება, ქართლისა და კახეთის სამეფოების გაყოფის შემდეგ. როგორც ჩანს, აფხაზეთიდან უნდა იყვნენ გადმოსულები. ვახუშტი წერს: „მანაბელი, იტყვის ანჩაფისძეობას, აფხაზეთიდან მოსვლას“. ერთი შტო მანაბლებისა რაჭაშიაც ყოფილა. ბროსეს ცნობით, ამბროლაურის ციხე მანაბელს ეკუთვნოდა. ირკვევა აგრეთვე, რომ მანაბლების წინაპრები ახალციხეშიაც გადასულან და მუსულმანური რჯული მიუღიათ. ერთ-ერთი მათგანი ციხის კომენდანტიც ყოფილა ახალციხეში...

მაგრამ მთავარი ძარღვი ამ გვარისა დასახლებული იყო დიდი ლიხვის აუზში. რეზიდენციად ჰქონდათ თამარაშენი, ერთ დროს ცნობილი ქალაქი. პლატონ იოსელიანის ცნობით, ეს ქალაქი 1190 წელს დაუფუძნებია თამარ მეფეს. ქალაქის მცხოვრებნი ვაჭრობას აწარმოებდნენ ოსებსა და მთის სხვა მოსახლეობასთან. სფერო მათი ვაჭრობისა კარგა დიდი იყო — რაჭასა და იმერეთში აღწევდა. მაგრამ სულ საუკუნე-ნახევარი იარსება ამ ქალაქმა. რუსუდანის მეფობის დროს იგი ერთიან მოსრნა და მიწასთან გაასწორა ჯალალედინმა.

მერე, თანდათანობით, ისევე აღმოცენდა ამ ადგილზე ცხოვრება, და როგორც აღენიშნეთ, მეთხუთმეტე საუკუნის აქეთ თამარაშენი მანაბლების რეზიდენციას წარმოადგენს. მაგრამ ქალაქად აღარ მოიხსენიება, ნაქალაქევეს ეძახიან, ხოლო უფრო ხშირად — სოფელს. ძველად მანაბლები საზაფხულოდ ფაწის წყალზედაც ადიოდნენ, რომლის შემოგარენი მათ ეკუთვნოდათ და პატარა ციხეც კქონდათ იქ აგებული...

თავის დროზე მანაბლები სახელგანთქმული და ძლიერი მთავრები იყვნენ. ცხინვალიდან მოკიდებული, დიდ ღიახეს აღმა რომ შეაკვებოდი, მდინარის ორივე ნაპირას ფართოდ გადაშლილი ნაყოფიერი და თვალწარმტაცი მიწები, ქართველთა და ოსთა სოფლები, მთისა და ბარის გლეხოვა სამანაბლოში შედიოდა. მათი იყო ცხინვალი, მეღვრეკისი, ზემო ნიქოზი, თამარაშენი, აჩაბეთი, მონასტერი, ქურთა, კეხვი, მსხლები, ჯაეის ხეობა, მუგუთი, ხეთი, საბაწმინდა, ქემერტი, სეერის ხეობა... მარტო ჯაეის ხეობაში ათასამდე კომლი ჰყოლიათ.

ეს ადგილები იშვიათი სილამაზით და სიკეკლუცით გამოირჩევა, საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს კუთხედ ითვლება. ატეხილი ტყით დაფარული მთები, მწვანედ მოხასხასე მინდვრები, მოჩუხჩუხე ჩანჩქერები და ანკარა ღიახევი, რომელიც ზემოთ, სათავისაკენ შმაგივით ბორგავს, ხოლო როცა გაივსკებს, უფრო დინჯად მოედინება!.. ერთი მოგზაური გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში აღფრთოვანებით შენიშნადა: „მგზავრს არ მოსწყინდება აქ სიარული, რაც უნდა დიდი გზა გაიაროს, იმიტომ რომ ათასნაირი სანახავეები დახვდება, ათასნაირი გასართობი საგნები, ათასნაირი ბუნების სიმშვენიერე. აქ დაინახავთ — ჩხრიალით გადმოდის წყალი, იქ ხედავთ, რომ მიწიდგან შადრევანივით ბრილიანტიფრად ამოჩუხჩუხებს წყარო, მშვენიერი წმინდა, ანკარა და გასაოცრად ცივი... ბევრი ვინატრე თბილისის ქალაქისათვის“...

ბუნების სილამაზე ერთი მხარეა. ეს კუთხე გამოირჩეოდა, აგრეთვე, სიმდიდრითა და ბარაქით. მთიან ადგილებში უმთავრესად მეცხოველეობას მისდევდნენ. განთქმული იყო აქაური მატყლი, ხოლო აქაურ ყველს თბილისის ბაზარზედაც კი დიდი მოწონება კქონდა. ბარში უხვად მოდიოდა მარცვლეული და მრავალნაირი ხილი...

ერთი სიტყვით, უფლებამოსილი და მდიდარი მთავრები იყვნენ მანაბლები. მებატონეებს მადა გახსნილი კქონდათ და, რაც დრო გადიოდა, მეტსა და მეტს მოითხოვდნენ ყმებისაგან. ყმებს, თავიანთი

ოჯახებით, „ტორგში“ ჰყიდდნენ, ბეგარას ყოველწლიურად ზრდიდნენ, იქამდეც მივიდა საქმე, რომ წელში გაწყვეტილმა მთიელებმა ვეღარ გაუძლეს ახალ ბეგარას და 1772 წელს მეფე ერეკლესთან უჩიველეს მანაბლებს. გადმოცემით, მეფე ერეკლემ მანაბლებს ჯავის მიდამოები ჩამოართვა და გიორგი ბატონიშვილს გადასცა. ყმებთან ასეთი დაუა შემდეგაც ჰქონდათ აქაურ მებატონეებს.

სამანაბლოს ისტორია შორს წაგვიყვანს. ერთი რამ კი უნდა აღინიშნოს: მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდანვე, პოლიტიკურ უფლებებთან ერთად, საფუძვლიანად შეირყა სამანაბლოს ეკონომიური მდგომარეობაც. ხოლო ბატონყმობის გაუქმების შემდეგ იმდენად გაღარიბდნენ და დაკნინდნენ, რომ ძველი დიდებით მოსილი სამანაბლო მწარე მოგონებადღა იქცა. ამ დროს უკვე სამანაბლო ფაქტიურად აღარც არსებობდა და წარსული დიდებით გაამაყებული მებატონენი ამ სახელწოდებით მხოლოდ თავს იტყუებდნენ, საკუთარ პატივმოყვარეობას ეფერებოდნენ. ოთხმოციან წლებში ვანო მანაბლის ერთი მეგობარი მოხდენილად შენიშნავს — „Саманайи — веде мнѣ“. ხოლო თვითონ ვანო ამავე ხანებში უფროს ძმას სწერს: „თუ მალე არ მოეუარეთ ჩვენს საერთო სამანაბლო მამულს, სრულებით დაგვეღუპება, ან თუ გაყოფის შემდეგ გვერგება რამე, გვერგება ხრიოკი, ტყესა და წყალს მოკლებული მამული“.

ამ წერილში, რა თქმა უნდა, იგი გულისხმობს არა დიდ სამანაბლოს, იმ გაგებით, როგორც ეს ისტორიაშია ცნობილი, არამედ გაყიდვასა და დაგირაევბას გადარჩენილ, აქა-იქ გაფანტულ მიწის ნაკვეთებს. დიდი სამანაბლო საფუძვლიანად შეირყა ჯერ კიდევ ვანო მანაბლის დაბადებამდე, ხოლო ვანოს ბავშვობაში იგი საოცრად სწრაფი ტემპით დაინგრა და მოიშალა.

1854 წელს, როცა ვანო მანაბელი დაიბადა, ხშირდება უკიდურესად შევიწროებულ და ექსპლოატირებულ ყმათა აჯანყებები, და თურქეთთან ომში დამარცხებული მეფე იძულებული ხდება თვითონვე მოაშზადოს რეფორმები ბატონყმობის გასაუქმებლად. პატარაობისას ვანო მოწმე იყო ამ რღვევისა, რამაც თვით მებატონეების წრეში ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ხასიათები წარმოქმნა. ერთმანეთისაგან განსხვავებული და, ხშირად ერთმანეთის საწინააღმდეგოც! ამ განსხვავებულ ხასიათებს ვანო მანაბელი საკუთარ ოჯახშიაც ხედავს. ამაყი პაპა, რომელიც მეთვრამეტე საუკუნის მიწურულში დაიბადა და „წარსულის დიდებას“ მოესწრო, ახლაც იხტიბარს არ იტებს და თავი მედგრად უჭირავს, ვინ იცის მოჩვენებით თუ

ნამდვილად. საინტერესოა მისი ისტორია და გაორებული ხასიათიც. როგორც სამაჩაბლოს დიდი მთავარი და უფლებამოსილი მებატონე, მთავარმართებლის კარზე წანწალსა და წრიალს არ კადრულობს, სხვა გადაგეარებულ თაეადებს არ ბაძავს, რომელთაც პირფერობისა და ერთგულების გასამრჯელოდ მკერდზე ვეარ-მედლების ადგილი არ ღარჩენიათ. მაგრამ ამავე დროს გრძნობს, რომ უამისობაც არ იქნება... ბედი არა სწყალობს და ზოგჯერ ჩინ-მედლების ნაცვლად „ნაობახტში“ სეამენ. თეითონეე მწარე გაკვირეებითა წერს:

„სამხედრო სამსახურსა შინა არა ვყოფილეარ და პახოდში კი რამდენჯერმე, ღენერალ-ლეიტენანტის ველიამინოვის, მთავარმართებლობის თანამედებობის აღსრულების დროსა, მისის ბრძანებით გორის ოკრუენის ნაჩაღნიკისაგან ოსეთში როტით შესეღის დროს ვიმსახურე და რამდენიმე აეაზაკი ოსნი შეეიყარ და მივეც, და რომელს წელს იყო, სახელდობრ, არ მახსოვს; ჩემსგან მოხსენებითა, მთავარმართებლად მყოფისა ერმალოვისაგან სამგზის ვიყავე გაგზავნილი და წაეიყვანე ინჯინერნიცა აღმოსაჩენად ახალის სახელმწიფოს გზისა; და მეოთხედ ამავე საქმესა ზედა ვემსახურე ღენერალს პოპოვს, მთაში ბატალიონის შესეღის დროსა, რომლისგანაც ვიქმენ საიდუმლოდ გაგზავნილი, დარჩომიღის გზის გასასინჯავად, სადაც ყოველი ბრძანება აღვასრულე; და იქიდანვე ჩავეღ ღინიაზედ, და განეუცხადე ყოველიეე გარემოება მის გზისა, ერმოლოვს. ათას რეაას ოცდა ექვსში ვემსახურე გრანიცაზედ პახოდში. რეასა და ცხრაში ვემსახურე ოსეთისა მიღიციამში, ყოვეღის ჩემის შესრულებით, და რაიცა სამსახური აღმოეაჩინე, მაქვს ამაზედ ატესტატინი“...

„ატესტატინი“ კი შერჩა ამაყ თაეადს, მაგრამ ჩინი არავის მიუცია. ეს აღბათ მისი გადაჭარბებული ზეიადობითა და სიფიცხით უნდა აიხსნას. გადამწყვეტ მომენტში, ეტყობა, ბოლომდე ეერ მიჰყავდა თაეისი „სამსახური“...

ჩინს ეინ დაეძებს, როდესაც...

„სახელდობრ არ მახსოვს რომელსა წელსა, გორის ოკრუენის ნაჩაღნიკად მყოფის ტიტოვის ბრძანებით, მივეღ სოფელსა ბეყმარს ჩემის კაცის ასაყრელად და ამაზედ თაეადმა დავით ფალავანდოვმა ჩხუბი მიყო და ეს საქმე წარმოებდა სუღსა შინა და მისის გადაწყვეტილებით, დაგვსხეს ორნიეე ორ კვირას ნაობახტში“, — იქეე დასძენს იმედგაცრეებული თაეადი.

მეორედ ოცდათორმეტი წღის შეთქმულებაში მონაწილეობისა-

თვის იჯდა სვიმონ მაჩაბელი „ნაობახტში“. მაშინ გადასახლებას გადაურჩა. არ გატყდა და გაათავისუფლეს. ამის შემდეგ იგი თავის სამთავროში ჩაიკეტა და ლექსების წერას მიჰყო ხელი. საკმაო განათლება ჰქონდა მიღებული, იჯდა და ხან ძველ ლიტერატურას კითხულობდა, ხან წერდა. „ვეფხისტყაოსანი“ თითქმის ზეპირად იცოდა და მის „გულასპიანშიც“ ჭარბად იგრძნობა დიდებული პოემის სიუჟეტური გავლენა. ხშირად ეწვეოდნენ ხოლმე მეზობელი თავადები და სტუმართმოყვარე მასპინძლის მოხდენილი ზმებითა და მოსწრებული სიტყვა-პასუხით ტკბილად ატარებდნენ დროს. შემოსავალი ორას თუმნამდე ჰქონდა თეთრი ფულით. მერე თანდათან შემცირდა ეს შემოსავალი და ამასთან დაკავშირებით, მით უფრო გახშირდა მთიელებთან დაეა და ჩხუბი. მაგრამ ეს დაეა, თუ შეიძლება ასე ითქვას, უფრო პრინციპული ხასიათისა იყო: დიდ მთავარს შემოსავლის შემცირებაზე უფრო მეტად წელსა წყევტდა მისი განუსაზღვრელი გავლენისა და უფლების თანდათანობით შემცირება.

პატარა ვანო მაჩაბელი სულ სხვანაირი დავის მოწმეც არის. მას ბავშვობაში უნახავს ან გაუგონია, როგორც ცოცხალი ამბავი, თუ როგორა ჰყიდდა ყმებს პაპის ძმა, გრიგოლ მაჩაბელი. ამათგან საესებით განსხვავებულია გიორგი ერისთავის ანდუყაფარივით უდარდელი და ნადირობით გაგიჟებული იასე, ვანოს ბიძა, რომელიც მეძებრების დაგეშვასა და ქორ-შეყარდნების გაწვრთნაზეა გადაყოლილი და დიდად არ აწუხებს თავისი სამთავროს საერთო რღვევა; სვიმონ მაჩაბლის მეორე შეილმა გიორგიმ — ვანოს მამამ — კიდევ უფრო იოლი გამოსავალი იპოვა: ქალაქს შეეჩვია და ტკბილად ატარებს დროს გავლენიან მეგობრებთან... მამულები კი გირაედება, სამაჩაბლოს პორიზონტი თანდათანობით იზღუდება, ცა საადრო დრუბლებით იტვირთება...

სვიმონ მაჩაბელი ადრევე გრძნობდა მოახლოებულ ქარიშხალს, უფრო წინდაუხედავი მებატონეები, და მათ შორის სვიმონის შვილებიც, ამას ვერ ამჩნევდნენ. მაგრამ საერთო კატასტროფამ — ბატონყმობის გაუქმებამ, რაც პირველად უფრო მწარე და საშინელი ეგონათ, ვიდრე სინამდვილეში გამოდგა, ერთნაირად დაარეტიანა ყველა. აწრიადნენ. შეიქნა მითქმა-მოთქმა, მისულა-მოსულა, ჩუმი ჩურჩული გამოკეტილ ოთახებში, მწარე ამოოხვრა, გოდება, მოლაპარაკება, მსჯელობა, არზების წერა, პარაკლისები... მოხდა

ისეთი გარდატეხა, რაც, თითქოს მთელი ისტორიის მანძილზე არ მომხდარა, და რაც, მათ შვენებაში, ყოველგვარ ალა-მაჰმად-ხანისა და ჯალალედინის შემოსევაზე საშინელი იყო... „მაშინ თავად-აზნაურობას ბნელი და გამოურკვეველი მომავალი ელოდა და არ იცოდა დღევანდელი დღე რა ხვალეს უქადდა“.

„მოვიდა ჩვენზედ წარღვნა და არსად სჩანს ახალი ნოეს კიდობანი, სადაცა შევაფართოთ თავი ჩენი, არსადა სჩანს გამომხსნელი... ეკ, იღუპება, იღუპება საქართველოს თავად-აზნაურობა. საცაა მოვა წარღვნაც და შთანთქაეს ყველას!.. ტყუილია ჩენი მეცადინეობაცა, ჩენი სურვილიცა, ცხადად სჩანს რისხეა ღეთისა ჩვენზედა მოვლენილი და ვიღუპებით! აღარაეინ გეებადება, აღარაეინ გვეზრდება. ხმა საიდუმლო ისმის: „აქამდის იცოცხლეთ, კმარა, გეყოფათ, აიყარენით“.

ეს იყო მათი განწყობილებისა და სულიერი მდგომარეობის პოეტური გამოხატვა.

მაგრამ ბევრი აღარც ასეთი პათეტიკური შეძახების გუნებაზე აღმოჩნდა: ამ მოვლენისადმი თავიანთი დამოკიდებულება მათ უფრო საქმიანად ჩამოაყალიბეს და მთავრობას მიართვეს.

„რა რომ გლეხებს თავისუფლება გამოეცხადებათ, ჩენი ოჯახები მაშინვე დაეცემიან, ჩუენ კართით კარად უნდა ვეთრიოთ და მოწყალება ვითხოვოთ. აღარ გვეყოლება მოსამსახურე, აღარც ვენახებისა და მიწის შემშუშაებელი, აღარც საქონლისათვის მწყემსი და აღარც შვილების გამოზრდელი ძიძა... როგორც დამწუარი სანთელი გააქრეს, ისე გააქრება ჩუენი ცხოვრება“...“

ეს შთაბეჭდილებები ცოცხლად ისახებოდა პატარა ვანოს გონებაში და არ შეიძლებოდა გაეღვნა არ მოეხდინა მის ხასიათსა და მსოფლმხედველობაზე... ჩუენ ენახეთ, როგორ რაინდულად გამოექომაგება იგი სასტიკი მეძაბონეებისაგან შეეიწროებულ გლეხებს, ხოლო ერთ თავის ძალიან ახლობელ ადამიანს გლეხების აწიოკებისათვის ალა-მაჰმად-ხანს შეარქმევს...

* ეს სიტყვები ივანე შანაბელის ეკუსონის.

** ეს წარმოადგენს ნაწყვეტს ცნობილი მიმარსუვისას, რომელიც ბატონყმობის გაუქმებასთან დაკავშირებით შეადგინა ქართულ მეძაბულეთა ერთმა ჯგუფმა. სიტყვები „მოვიდა ჩვენზედ წარღვნა“ და ა.შ. ამოღებულია გრიგოლ ორბელიანის კერძო წერილიდან.

რვა წლის ვანოს უკვე წაკითხული ჰქონდა „ვეფხისტყაოსანი“ და მეოცნებე ბავშვს თავისებურად ჰყავდა წარმოდგენილი რუს-თაველის დიდებული პოემის გმირები. ზოგიერთი ადგილები „ვეფხისტყაოსნიდან“ ზეპირადაც იცოდა, ამას პაპიდაც აუალებდა. იმავე ხანებში ჩუმად წაიკითხა პაპამისის ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში დაწერილი სატრფიალო რომანტიული თხზულება „გულასპიანი“. რომელიც ეპიგონურ ნაწარმოებს წარმოადგენს და რუსთაველის უკვდავ ქმნილებას სიუჟეტურადაც ბაძავს და მხატვრული ფორმითაც.

მწიგნობრობა მაჩაბლებზე მეტყვიდროებით გადმოდის. პატარა ვანო საოჯახო ბიბლიოთეკაში წააწყდება აგრეთვე დიდი პაპის, სვიმონის მამის — ფარსადან მაჩაბლის ხელნაწერებს და გაფაციცებით გადაიკითხავს, თუმცა ამ უცნაური თხზულებებისა არაფერი ესმის... რვა წლის ვანოს წაკითხული ჰქონდა, აგრეთვე, „ვისრამიანი“, „ყარამიანი“, „ბარამიანი“, „დაერიშიანი“, და ყველა ის ქართული წიგნი, რაც პაპის საკმაოდ მდიდარ ბიბლიოთეკაში მოიპოვებოდა. ამ წიგნებიდან ბევრის წაკითხვა სასტიკად აკრძალული ჰქონდა პაპიდისაგან, მაგრამ ვანო მაინც ახერხებდა მათ მოპარვას. გადაიკითხა „ციცკრის“ ნომრებიც.

ამ სრულიად უსისტემო განვითარებას მაინც ჰქონდა დადებითი მნიშვნელობა, რადგან ბავშვს წარმოსახვას უმდიდრებდა: ხოლო ისეთი კლასიკური ქმნილებანი, როგორიცაა „ვეფხისტყაოსანი“, „ვისრამიანი“... გლეხის ბავშვებისაგან მოსმენილ ზღაპრებთან ერთად, თავიდანვე აყალიბებდა ივანე მაჩაბლის სალიტერატურო ენას.

მაგრამ ყველაფერს დასასრული აქვს, და, მით უმეტეს, პაპის ბიბლიოთეკას. როცა ბიბლიოთეკაში წიგნები გამოილია, მოსდგა ბავშვი და ისევ თავიდან გადაიკითხა ყველაფერი. მეორედ წაკითხვას უფრო კრიტიკული ხასიათი ჰქონდა. რვა წლის ბავშვმა უკვე იგრძნო, რომ ყველა წიგნი ერთნაირად არ იკითხებოდა. თუნდაც პაპის იგივე თხზულება ავიღოთ: თითქოს საინტერესოცაა გულასპისა და ალუასტრას სამიჯნურო თავგადასავალი, კაცს გაიტაცებს, მაგრამ ის მაინც არ არის, რისთვისაც დამსგავსებას ასე ცდილა პაპა...

პაპის ბიბლიოთეკა უკვე აღარ აინტერესებს პატარა ვანოს. იგი ახლა მოუთმენლად ელოდება უფროსი ძმის ვასიკოს ჩამოსვლას,

რომელიც ქალაქს სასწავლებელშია მიბარებული. ვასიკო ზაფხუ-
ლობით ჩამოდის, ზოგჯერ სააღდგომოდაც, რამდენიმე დღით. და,
მიუხედავად იმისა, რომ ქმებს შორის დიდი ასაკობრივი განსხვავებაა
(თითქმის მთელი ათი წელი), ჩამოვა თუ არა ვასიკო ქალაქიდან,
გვერდით მიუჯდება თავის პატარა ძმას და საათობით ესაუბრება,
როგორც ტოლს. უამბობს ქალაქის საოცარ და ზღაპრულ ამბებს,
აუწერს გიმნაზიას, სწავლას. ესაუბრება ლიტერატურაზე. უნდა
ვიფიქროთ, რომ იგი ესაუბრება დიდი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვი-
ლის ლექსებზედაც, რომელთაგან ზოგიერთი ვანოს დამოუკიდებლად
დაც წაუკითხავს „ცისკარში“; სწორედ ამ ხანებში სისტემატურად
იბეჭდებოდა ხოლმე ჟურნალებში ბარათაშვილის ლექსები. ამავე
ხანებში გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და სხვათა
ლექსები და წერილები ბარათაშვილზე. ალბათ, ილია ჭავჭავაძის
სახელიც სწორედ ამ დროს გაიგონა ვანომ ძმისაგან, რომელიც ილიას
დიდი მეგობარი და თაყვანისმცემელი იყო. ვანო მაშინ, რა თქმა უნდა,
ვერ ჩასწვდებოდა იმ ბრძოლის მნიშვნელობასა და სიღრმეს, რაც
ილიასა და მის მიმდევრებს გაეჩაღებინათ „მამების“ წინააღმდეგ და
რაზედაც ახლა, დიდი თუ პატარა, ყველა ლაპარაკობდა...

პირველი მასწავლებელი საპატიო და საკმაოდ ავტორიტეტული
იყო. მან ჩინებულად მოაზნადა საფუძველი: წერა-კითხვა შეასწავლა,
ქართული ლიტერატურის ძირითადი საგანძური გააცნო და სწავლის
წყურვილი აღუძრა ბავშვს.

ახლა განათლების მეორე საფეხური იწყება, ცხრა წლის ბავშვი
მეორე მასწავლებლის — ძმის ხელში გადადის. ახალმა „მოდღეარმა“
მოწინებით და სიყვარულით ჩაიბარა მოწაფე, რათა გზა გაუკვლიოს,
9 წლიდან მოკიდებული უნივერსიტეტის დამთავრებამდე უხელ-
მძღვანელოს, ქვეყნის ავ-კარგი შეასწავლოს და ცხოვრებაში
გამოიყვანოს, როგორც დიდი საზოგადო მოღვაწე...

1863 წელს, ზაფხულის მიწურულში, სისხამ დილით, როცა
მდინარე ლიახვს ჯერ კიდევ ღამის ნისლი ებურა, ხოლო კეხვის
მთაზე წამომართულ ციხის ნანგრევებს შევარდისფერებულ ცის
ფონზე კიდევ უფრო დიდებული იერი მიედო, მაჩაბლიანთ ჭიშკრიდან
მძიმედ გამოგორდა ურემი, რომელზეც რამდენიმე ხურჯინი იდო და
მეურმის ტყაპუჭგადაფარებული ჩალა ეყარა. ამ ურემს პატარა ივანე
მაჩაბელი ქალაქს უნდა ჩაეყვანა.

ასპარეზი ფართოვდება, ბავშვის ოცნება ფრთას ისხამს, გამო-
ცოცხლებულ საზოგადოებას ახალი წვერი ემატება...

გამოთხოვება უხმო და სევდიანი იყო. პატარა და, დედა და პაპიდა ჭიშკართან დარჩნენ. ურემი კი გრუხუნით მოშორდა გალავანშემოვლებულ ეზოს. მას ღიდხანს მიაცილებდა სამი წყვილი ცრემლიანი თვალი. მგზავრებიც კარგა ხანს უხმოდ მიდიოდნენ, ზოლო როცა გაივაკეს და ცხინვალის ფართო შარას დაადგნენ, უხერხული დუმილი დაირღვა და მოსიყვარულე ძმებს შორის ჩვეულებრივი საუბარი გაიმართა. ეს საუბარი უმთავრესად თბილის-ქალაქს შეეხებოდა, საითკენაც ისინი ამჟამად მიემგზავრებოდნენ.

TO SEE – ВИДЕТЬ TO HEAR – СЛЫШАТЬ

*მაშ მოეშადა წასასვლელად,
ხომალდი გელის, ქარიც საგზაო უბერავს.*

ჰამლეტი

საბურთალოს აღმართს რომ აივლიდა მგზავრი და თბილისს გადახედავდა, ქალაქის განაპირა ნაწილი ერთბაშად მძეინვარე ხანძარში გახვეული მოეჩვენებოდა. განსაკუთრებით ღამით, როცა ირგვლივ წყვილადი იყო გამეფებული და მხოლოდ ქალაქის განაპირა უბანში გიზგიზებდა ცეცხლი. ამ შთაბეჭდილებას ისიც აძლიერებდა, რომ ცეცხლი ერთ ადგილას კი არ ენთო — ირგვლივ გაფანტულიყო, მთელს უბანს მოსდებოდა. მახვილი თვალი შორიდანაც გაარჩევდა ცეცხლის გარშემო მოფუსფუსე შავ სილუეტებს, რომლებიც სწრაფად დაჰქროდნენ აქეთ-იქით. ღამის სიჩუმეში შორიდანვე ისმოდა შეძახილები, გრუხუნი, ზოგჯერ საქონლის ბღაეილიც... ასე გრძელდებოდა დილაძდე და მერე მთელი დღის განმავლობაშიც. დღე და ღამე გასწორებული ჰქონდათ, მაგრამ საქმეს მაინც ვერ ასდიოდნენ. ნერვიულობდნენ, დარბოდნენ, ჩხუბობდნენ, ივინებოდნენ... ურმები ერთმანეთს გვერდს ვერ უქცევდნენ და სახრემომარჯვებული მეურმეები პირუტყვებზე იყრიდნენ ჯავრს. საბურთალოდან მოსული შეშით დატვირთული ურმები იცლებოდნენ და უკან ცარიელები ბრუნდებოდნენ; ქალაქის მხრიდან მოსული ცარიელი ფურგონები კი აგურით იტვირთებოდნენ და უკან მძიმე-მძიმედ მიემართებოდნენ.

ვერაზე სახელდახელოდ აშენებული რამდენიმე აგურის ქარხანა და საკირე ველარ ასლიოდა ქალაქს. ძველი თბილისი დიდი ხანია გამოსულიყო თავისი საზღვრებიდან და ახლა, საგუბარიდან გადმოხეთქილი წყალივით, სხვადასხვა მიმართულებით განშტოებული, ნელა, მაგრამ მტკიცედ მიიკვლევდა გზას...

საბურთალოს აღმართი რომ აიარეს ჩვენმა თამარაშენელმა მგზავრებმა, პირველად სწორედ ცეცხლში გახვეული აგურის ქარხნები დაინახეს. შუალაშე იყო და ეშურებოდნენ, ამიტომ საბურთალოზე, საცა მეურმეები გრძელი აღმართის შემდეგ ჩვეულებრივ ისვენებდნენ ხოლმე, ახლა აღარ შეჩერებულან. თავქვე დაემხენ, გაიარეს მდინარე ვერაზე გადებული ოთხთაღიანი ქვის ხიდი და ჯვრის აღმართს შეუდგნენ, დაქანცული ხარები ზანტად მიათრევდნენ ურემს, მეურმე წარამარა აქეზებდა — ხან სააღერსო სიტყვებს ეტყოდა, ხანაც სახრეს გადაუჭერდა.

აქა-იქ სინათლეები გამოკრთოდა, ისმოდა საქონლის ხენეშა, ცოხნის ხმა და ჰაერშიაც ნახირის სუნი ტრიალებდა. ეს დიდი კონტრასტი იყო ბაღებში ჩაფლულ საბურთალოს შემდეგ, სადაც ატმისა და დაშაქრული მსხლის სურნელება იდგა. მდინარე ვერის სანაპიროებზე ფუნდუკები და დუქნები პქონდათ გამართული. სოფლებიდან საეაჭროდ ჩამოსული მეურმეები, საქონლის საკვების სიძაფის გამო აქ ჩერდებოდნენ ხოლმე, ღამეს გაათეოდნენ და დილას ადრე შევიდოდნენ ქალაქში.

ვერის ხიდს რომ გასცდნენ ჩვენი მგზავრები, ე. წ. საფოსტე გზას დაადგნენ. იქვე, დუქნიდან გამოჭრილ სინათლის შუქზე ქვის პიედესტალზე აღმართული თუჯის ჯვარი შენიშნეს, რომელიც იმპერატორ ნიკოლოზის გადარჩენის სახსოვრად დაეღათ...

აგერ ზანტად ქშინავს საბერველი და მჭედელი ღონივრად ურტყამს კვერს გრდემლზე, ძილმორეული შვეირდი კი ცალი ხელით საბერველის ტარს ჩაფრენია, ხოლო მეორე ხელით თვალებს იფშენეტს, უკმაყოფილოდ და უსიცოცხლოდ გადახედავს ოსტატს. აქ საფოსტო ეტლების სახელოსნოა. გზის მარჯვენა მხარეს კი, სახელოსნოდან გამოსულ შუქზე მოზრდილი შენობა მოჩანს. პატარა ვანო ძმას ჰკითხავს, ეს რა არისო, და ძმაც დაუზარებლად უპასუხებს, რომ ეს საავადმყოფოა, ვანო დააკვირდება ამ პირქუშად აღმართულ შენობას და უსიამოვნოდ მიმოიხედავს ირგვლივ...

მაშინ რას იფიქრებდა, რომ დიდი ხნის შემდეგ სწორედ აქ დასახლდებოდა, და აქედანვე გაქრებოდა სამუდამოდ!..

საავადმყოფოს პირდაპირ სასაფლაოა. ამ ადგილებში აგურის ქარხნებისა და საკირის სინათლევ აღწევს. ისედაც ცხელი აგვისტოს ჰაერი თითქოს კიდევ უფრო შეხუთულა. ცოტა უფრო იქით, სადაც მბჟუტავი ფარნებით განათებული გოლოვინის პროსპექტი იწყება, მდებარეობს ეგრეთ წოდებული მოსკოვის ხეობა, სადაც სამსახურიდან გადამდგარი სალდათები დასახლებულან. ღამის სიბნელეში ბუნდოვნად მოჩანს თეთრად შეღებილი ქოხმახები. მოპირდაპირე მხარეს დიდი ხრამია, იქვე ახლოს კი — წყლის საქაჩავე ორთქლის მანქანა. სწორედ ამ წყლით ირწყვება ახლად გაშენებული ალექსანდრეს ბაღი...

პატარა ვანო გაფაციცებით ისმენს ძმის ყოველ სიტყვას და ცდილობს ყველაფერი დაინახოს.

მანამ გოლოვინის პროსპექტს მიადგებოდნენ, მხოლოდ სიბნელით თუ განსაზღვრავდა კაცი, რომ გვიანი ღამე იყო, რადგან ქალაქის ამ უბანს ეღვიძა. აქედან კი ნამდვილად იგრძნობოდა შუალამე: ქალაქს ღრმა ძილით ეძინა. აქა-იქ გამოკიდული მბჟუტავი ფარნები, ძაღლების კანტიკუნტი ყეფა, პროსპექტის ორივე მხარეს გაშენებულ ხეთა ნელი შრიალი და ორიოდე ძილმორეული ღამის ყარაული, რომელთაც ახლა ზანტად აიხედეს და უხალისოდ გააყოლეს თვალი ურემს, კიდევ უფრო აძლიერებდნენ მყუდროებისა და ძილის განწყობილებას. ზოგჯერ ფარნიანი ეტლი ჩაიხრიგინებდა ახლად მოკირწყლულ ქუჩაზე და თვალს მიეფარებოდა. გიმნაზიის წინ, სადაც პატარა ვანოს გამოცდა უნდა დაეჭირა, მკრთალი ფარანი იდგა. მთავარმართებლის სასახლეს ორი ჩახჩახა ფარანი ანათებდა.

აქედან ურემმა მარცხნივ ჩაუხვია, ერევანსკის მოედანი, სადაც სისხამ დილით შეშითა და თივით ვაჭრობა დაიწყებოდა, ხელმარჯვნივ მოიტოვა და თაეკვე დაეშეა. მალე ისინი მიადგნენ სალდათის ბაზრის მახლობლად მდებარე ულაზათო სახლს, სადაც გიორგი მანაბელს „პატარა სადგომი“ ეჭირა...



თბილისი სწრაფი ტემპით იზრდებოდა, გოლოვინის პროსპექტის პარალელურად, მტკვარგაღმა, ახლა მიხეილის პროსპექტის გაყვანა დაეწყოთ. მშენებლები დღე-ღამეს ასწორებდნენ, მუშა-ხელი მუქთი იყო — ბატონებს გამოქცეული და ქალაქს გადმოხიზნული ყმები

ყოველგვარ პირობებზე თანხმდებოდნენ. ზურგით ეზიდებოდნენ კირს, აგურს, ქვას, შენდებოდა ახალი სახლები, ახალი უბნები, ცხოვრება ახლებურად ეწყობოდა. ამ დროისათვის თბილისში ორი ათასამდე საეკლესიო დაწესებულება და ორასზე მეტი ფაბრიკა-ქარხანა იყო. რაღა თქმა უნდა, ამათი რიცხვი იზრდებოდა მოსახლეობის ზრდასთან ერთად. თბილისში ამ დროს სამოცდაათი ათასამდე სული ცხოვრობდა.

ვითარდებოდა საეკლესიო კაპიტალიზმი, რასაც სამრევველო კაპიტალიზმის სწრაფი აღმავლობაც მოჰყვა. თითქმის ყოველდღიურად შემოდინდნენ ქალაქში სხვადასხვა ჯურის ვაჭრები, რომელთაც ათასნაირი საქონელი შემოჰქონდათ. აქლემების პატარა ქარავენების გვერდით, რომლებიც უძველესი დროიდანვე ეზიდებოდნენ აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ძვირფას საქონელს, ახლა ფურგონების ქარავენებიც გაჩნდნენ, რომლებიც, რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო მრავლდებოდნენ და ძლიერ კონკურენციას უწევდნენ აქლემების ქარავენებს. ფურგონებით რუსეთისა და ევროპის საქონელი შემოჰქონდათ. ეს საქონელი ფოთის ნავსადგურში დიდი საზღვაო გემებით მოდიოდა, ფოთიდან ორპირამდე — სამდინარო გემებით, იქიდან კი მოჰქონდათ ურმებით, ფურგონებით, ცხენებით... როგორც მოუხდებოდათ. ამიტომ იყო, რომ საქონლის მოტანა ევროპის რომელიმე ქვეყნიდან ფოთამდე უფრო იაფი ჯდებოდა, ვიდრე იმავე საქონლის ფოთიდან თბილისს გადმოზიდვა და ამიტომაც გამალებით ეშხადებოდნენ ფოთიდან ბაქომდე რკინიგზის გასაყვანად. ინით წვერშელებილი ჭრელტანსაცმლიანი ვაჭრების გვერდით გაჩნდნენ ევროპულ ფრაკებში გამოწყობილი, სუფთად წვერგაპარსული ფრანგი და ბელგიელი ვაჭრები, რომელთაც ჯერჯერობით მხოლოდ შურიტ შესცქეროდნენ ადგილობრივი წერილი ჩარჩები.

სხვადასხვა ქვეყნებიდან მოსული ვაჭრების მსგავსად მოსახლეობაც ჭრელი იყო. ჭრელი იყო ჩაცმულობით, ენით, საქმიანობით, მანერებით... თბილისის ბაზრებზე გაიგონებდით ქართულს, რუსულს, სომხურს, სპარსულს, ფრანგულს...

რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო ჩქარდებოდა კაპიტალიზმის განვითარების პროცესი, რომელიც აქამდე შედარებით შეუძინველად მიმდინარეობდა. ქვეყანა დღითიდღე იცვლებოდა, ხოლო ეს ცვლილება ყველაზე ადრე და ყველაზე მეტად თბილისს დაეტყო. ნახევრად გლეხურმა ქალაქმა ფეოდალური ურთიერთობის არტახები დასწყვიტა და ახალი ცხოვრებისათვის მოემზადა.

თბილისში იმ ხანებშიაც კი გლეხური მოსახლეობა სჭარბობდა, რომელიც იმდროინდელი აღწერილობის მიხედვით მცხოვრებთა ნახევარს შეადგენდა. აღმწერელნი, ალბათ, გულისხმობდნენ იმ მუშებს, რომელთაც მთლიანად არ გაეწყვიტათ კავშირი სოფელთან და უფრო ხშირად სეზონურ მომუშავეებად გვევლინებოდნენ. ნიკო ნიკოლაძე გაზეთ „კილოკოლში“ წერდა:

„საქართველოში მუშას მოქალაქეობის არავითარი უფლება არა აქვს. ის „მეშინანი“ და დროებით გათარხნებულიც კი არ არის, ის გამოქცეული კაცია და სხვა არაფერი. ესენი არიან იმერელი, გურული, მგვრელი და რაჭველი გლეხები, რომლებიც არ ემორჩილებიან ბატონის ძალას და ბატონის მათრახისათვის ვერ გაუძლიათ, თბილისში მირიბიან... მაგრამ რაკი ბუნებაშიაც კი არ არსებობს უეკლო ვარდი, ამიტომ ლტოლვილ გლეხთა თავისუფლებაც ყველაფრით მიშინდველი ვერ არის. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მთელი გლეხობა მიეტანებოდა „ნებაყოფლობით დაქირავებული ქალაქელი მუშების თავისუფალ ცხოვრებას“. ოჯახსა და სამშობლოზე ხელის აღება გლეხს მემამულის ბატონობისაგან ათავისუფლებს. მაგრამ სამაგიეროდ იგი ბურჟუაზიის და მოხელეების ხელქვეითი, ლუკმა-პურის ძებნის მონად ხდება. დიდი უმრავლესობა ქვასა, ქვიშასა და კირს ეზიდება შენობების ასაგებად, ტომრებსა და სხვა მძიმე ტვირთს — ვაჭრებისათვის, წყალსა და შეშას — მცხოვრებთათვის, და ასეთი ჯაფისათვის იშვიათად იღებს ორ-სამ აბაზს... ევროპელ მუშას ოჯახი ჰყავს, ეს ოჯახი მას, მართალია, მძიმე ტვირთად აწევება, მაგრამ ხშირად ჭირ-ვარამსაც უქარევებს. ცოლ-შვილი ქართველ მუშასაც ჰყავს, მაგრამ „ცხრა მთას იქით“. ცოლ-შვილის რჩენის სიმძიმე მას აწევება. თუ მუშის ოჯახი არ მოიხდის ბატონის ბეგარა-ვალდებულებას, ბატონი მის შვილებს მოჯალაბეებად წაიყვანს... ლტოლვა და თავის გამოსყიდვა ბატონისაგან, ძალვა და თავის გამოსყიდვა პოლიციისაგან, ჯაფა და თითქმის სრული უიმედობა, რომ როდისმე თავს დაადწევს დუხჭირ ცხოვრებას, იმის შეუძლებლობაც კი, რომ ღვინის სმით დაივიწყოს თავი, როგორც ამას სხვა ქვეყნებში სჩადიან — ასეთია ქართველი პროლეტარიატის სეუბელი... რადგანაც საქართველოში საქალაქო ცხოვრება, მეტადრე ის, რასაც ვაჭრობა და მრეწველობა ეწოდება, მეტისმეტად სუსტად არის განვითარებული, შრომით მონაგარი ფული ძლიერს ჰყოფნის ბატონისა და სხვათა „უფლებისაგან“ თავის გამოსასყიდად და უბადრუკი ცხოვრების გასაჩინალებლად. ყოველსავე ამას ზედ

ერთვის ის, რომ მისი დამქირაველები ანგარიშის გასწორების დროს ფულს აკლებენ; მუშა მათ ვერ გამოეკიდება, რადგან ეშინია, არ შეიპყრან და ბატონთან არ გაგზავნონ.

„ქართველი ქალაქელი მუშებისათვის საუკეთესო დროა შემოდგომა. ნიჟინ-ნოეგოროდისა და როსტოვის ბაზრობიდან მოტანილი საქონელი, აბრეშუმი, ბამბა, მატყლი, კაკლისა და ბზის ხე, რომლებსაც უცხოელები ამზადებენ საზღვარგარეთ გასაგზავნად, ბოლოს, ქალაქად ჩამოსვლა თავადაზნაურებისა, რომლებმაც დაღაგადასახადები აკრიფეს, ყოველივე ეს ქალაქის ცხოვრებას ამოძრავებს და მუშა-ხელს მოითხოვს. შემოდგომის დღეებში, ტალახსა და თოვლ-ჭყაპში, ქარსა და წვიმაში ოფლს იწურავენ წლიური სარჩოს მოსაპოვებლად. ზოგჯერ გადასახადის გასასტუმრებლად“...

კაპიტალიზმის რელსებზე შედარებით სწრაფი გადასვლა უმტკინეულოდ არ მომხდარა. ქალაქის ნახევრად გლეხური და წერილობურყუაზიული მოსახლეობა ამას წინააღმდეგობას უწევდა. წინააღმდეგობის ერთ-ერთი ასეთი გამოვლინება იყო ამქრების ცნობილი აჯანყება 1865 წელს, რისი უშუალო საბაბი ახალი გადასახადების შემოღება გახდა. ეს აჯანყება ჯერ გაფიცვით დაიწყო და მერე ხელჩართულ შეტაკებად გადაიქცა. ან, ნიკო ნიკოლაძის სიტყვებით, „სიცრუით დაიწყო (იგულისხმება მთაერობის მიერ ხალხის მოტყუება) და სისხლით დაგვირგვინდა“. ამქრების აჯანყება დიდი მასშტაბისა იყო და გამომხმაურებაც კპოვა ადგილობრივ და რუსეთის პრესაში. გერცენის „კოლოკოლმა“ მას რამდენიმე წერილი მიუძღვნა. საინტერესოა გ. წერეთლის ერთი კერძო წერილი: „...არეულობა მოხდა საშინელი ტფილისში. გოლოვას, მთაერობის ამორჩეულს, სახლი დაუნგრეს და გაცარცვეს. მისი პამოშნიკი ჩამოახრჩვეს და უკაცრავად პასუხია... მოსჭრეს და პირში ჩაუტენეს. მთელი საქართველო დაიძრა. ეს საქმე, როგორც გამოჩნდა, ამითი არ გათავდება“.

ამქრების აჯანყებაზე ცოტა უფრო ადრე, პატარა ვანო მაჩაბელი კიდევ ერთი მეტად საგულისხმო და ქვეყნის ცხოვრებაში უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენის მოწმე გახდა. მაშინ იგი ახალშესული იყო გიმნაზიაში.

მთელი ერთი კვირა, თუ კიდევ უფრო მეტი, ქალაქში უჩვეულო მოძრაობაა. ხალხი ჯგუფ-ჯგუფად დგას ქუჩებში და ცხარედ კამათობს. ნაცნობები ისე არ შეხედებიან ერთმანეთს, რომ ამ საერთო

* ნაწევრები ნიკო ნიკოლაძის სტატიიდან, რომელიც „კოლოკოლში“ იყო გამოქვეყნებული.

თემაზე არ გააბან საუბარი და ერთმანეთს ახალი ყურმოკრული ამბავი არ უთხრან. ქალაქის მცხოვრებთა დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ სამგვარია: ერთნი შეშფოთებულნი და დაძმარებულნი დადიან; მეორენი სიხარულს ეერ მალავენ და რაღაც, ჯერ არ განცდილი იმედით სახეგაბრწყინებულნი, აღფრთოვანებით დაქქრიან აქეთ-იქით; მესამე ჯგუფს არც მოწყენა ეტყობა და არც ღიდი სიხარული, ესენი უფრო ნეიტრალურნი არიან და სასეირნოდ გამოსული ხალხის იერი ადევთ. სამუშაო დღეებშიაც კი ქუჩებში ისეთი ღრიანცელი დგას, როგორც კვირაობით. ელოდებიან რაღაც ახალსა და მნიშვნელოვანს.

უნო ყურმოკრული ფრაზებითა და საერთო განწყობილებით გრძნობს, რომ საქმე ეხება იმას, რამაც პაპას სიცოცხლის უკანასკნელი დღეები ჩაუშწარა. დაკვირვებული ბავშვი ატყობს, რომ მამა მაინცდამაინც დიდ მღელვარებას არ განიცდის, მაგრამ, ფეხის ხმას აყოლილი, ისიც მოუსვენრად დაფართიფურთობს. რაღა თქმა უნდა, პატარა ბავშვს კიდევ უფრო ღრმა დაკვირვება არ შეეძლო, თორემ მიხედვობდა, რომ მამა არა თუ აღელვებული და დაძმარებული არა ყოფილა, გულში უხაროდა კიდევ, რადგან ხმები დადიოდა, ბატონყმობის გაუქმებას ფულების დარიგება მოჰყვებო; ისევე, როგორც მის მამას, სვიმონ მანაბელს მისცეს ფულები, როცა ყმა ოსები ჩამოართვეს. უდარდელ თავადს კი მეტი არა უნდოდა რა, სოფელთან ხომ თითქმის ისედაც გაწყვეტილი ჰქონდა კავშირი...

როგორც იქნა, დადგა ის დღეც, რომელსაც ასე მოუთმენლად მოელოდნენ ქალაქში. ხალხმა დილიდანვე იწყო დენა გუნების მოედნისაკენ. მიდიოდნენ ჯგუფ-ჯგუფად და ცალ-ცალკე, ზოგი მოწყენით, უმრავლესობა კი მხიარული გულით. აჭრელებული ხალხი გამოფენილიყო ქუჩაში.

აგერ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი, მხარბეჭიანი თავადი მიაბიჯებს მედიდურად; მკერდზე ჯვრები და მედლები უბრწყინავს, გვერდით მიჰყვება ჩიხტი-კოპით თავდამშვენიებული ახალგაზრდა კნინა და გიმნაზიის ფორმაში გამოწყობილი პატარა ბიჭი. თავადი თითქოს გვერდზე გახედვასაც არ კადრულობს, მაგრამ ერთხელ მაინც შეუბღვერს ახმახ კინტოს, რომელსაც თავზე შემოდგომის ხილით სავსე ვეება თაბახი დაუდგამს, დონინჯი შემოუყრია და რწევით მიდის. თურმე ეს კინტო უტიფრად მიაშტერდა ლამაზ კნინას და თავადის გულისწყრომაც ამან გამოიწვია. მაგრამ კინტო დიდად არ ებუება გაბღენძილ თავადს. თავისთვის რაღაცას ჩაიბუტბუტებს და ტანის რწევით მიიკვლევს გზას ღუნდგოდ გამოსულ ხალხში.

მოშორებით ქოლგაამოწრილი, სათვალნიანი ჩია კაცი დგას. ეტყობა, ახალმოწვეული ლათინურის მასწავლებელია, რადგან ყველაფერი უკვირს ამ აზიურ ქალაქში. ჯერ იყო და, კისერწაგრძელებული, კნენინას შესცქეროდა, ახლა კი, თავადის დაბლევრილ სახეს რომ წააწყდა, კინტოზე გადაიტანა შხერა და კიდევ უფრო გააკვირვებულმა თავისთვის რამდენჯერმე ჩაილაპარაკა: O sancta sanctorum!... წერილი ჩარჩები ერთად მობაჯბაჯბენ, თითებზე რალაცას ანგარიშობენ და ხშირ-ხშირად შესასახებენ — „ვაპ, ვაპ“. ქალაქის ჩინოვნიკები ჩეულებრივი ნაბიჯით მიემართებიან, სახე თითქო გაყინვით — ვერც სიხარულს შეამჩნევ, ვერც წყენასა და ვერც გააკვირვებას!.. მოედანი კი თანდათანობით ივსება ხალხით. არის ჩოჩქოლი, ყაყანი; რამდენიმე ადგილას ზურნაც აუჭყევიტინებით. ტევა აღარ არის; სალდათურ დაძველებულ მაზარებში გახვეულ ახლომახლო სოფლების გლეხებს, რომელთაც ყველაზე უფრო მეტად შეეხებათ ეს დიდი მიტინგი, სახედრები მოშორებით დაუყენებით და ერთად მიყუყულნი გაურკვეველი გრძნობით ელოდებიან, რა მოხდება. უფრო მოგვიანებით გენერლებმა, ჩინოსანმა წარჩინებულებმა და დიდმა მოხელეებმა აიარეს დროშეებითა და კარეტებით, და ამის შემდეგ მალე დაიწყო კიდევ...

ზღვა ხალხით გაჭედელ მოედანზე ბუზის გაფრენასაც გაიგონებდა კაცი. მანიფესტი „დიდი ზარითა და ზეიმით იქნა წაკითხული, გათავდა. ხალხი გრგვინავდა, სიხარულის ცრემლებით ერთმანეთს ეხეოდნენ და კოცნიდნენ. საზღვარი არ აქონდა სიხარულს, ბედნიერებას, მეტადრე მათ შორის, ვინც მართლა თავს აცლიდა იმ მძიმე და ადამიანის ღირსების დამამცირებელ უღელს, რომელსაც სახელად ბატონელობა ეწოდებოდა“;^{*} გადმოგვცემს დამსწრე.

სალამო ხანს მთელს ქალაქში ღზინი და ღრუობა გაჩაღდა. გვიან ღამემდე ისმოდა ზურნის, დაირისა და დიპლიპიტოს ხმები, მოქეიფეთა სიმღერა. ქეიფობდნენ ყველგან, სადაც შეხვდებოდათ — ეზოებში, ბაღებში, ქალაქგარეთ მინდერებში, მტკერის ნაპირებზე, ხეებში. იღზენდნენ თავადებიც, რომელთაც იგრძნეს, რომ ეს რეფორმა ფაქტიურად არაფერს ცვლიდა და ყველაფერი ძველებურად წარიმართებოდა...

ასეთი იყო გარემოცვა, რომელშიაც თბილისს ჩამოსული ვანო მაჩაბელი მოხვდა. ბავშვის მეხსიერებაში მტკიცედ აღიბეჭდა ეს შთაბეჭდილებანი.

* ეს სიტყვები ი. მანსუეტაშვილს ეკუთვნის.

მაგრამ არანაკლები მოვლენებით ხასიათდებოდა მეორე მხარე მაშინდელი საზოგადოების ცხოვრებისა.

პატარა ვანო მაჩაბელი სწორედ იმ დროს ჩამოვიდა თბილისში, როცა აქ გაცხოველებული პოლემიკა სწარმოებდა „მამებსა და შვილებს“ შორის. ეს დაეა თავდაპირველად თითქოს მხოლოდ და მხოლოდ ენობრივი საკითხებით დაიწყო, მაგრამ გაცილებით უფრო ღრმა და ფართო აღმოჩნდა. პეტერბურგიდან ახალდაბრუნებულმა, დიდი რუსი მოაზროვნეების პროგრესული იდეებით აღჭურვილმა ახალგაზრდობამ ბრძოლა გამოუცხადა მოძველებულ შეხედულებებს, ცხოვრების ძველებურ წესებს... ამ ბრძოლას ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე ხელმძღვანელობდა. „მამებმა“ მიიღეს ბრძოლაში გამოწვევა, თავდაპირველად მედგრად შეუტიეს ახალგაზრდებს, მაგრამ მალევე იგრძნეს, რომ მათ მოსაზრებებს არგუმენტაცია აკლდა, მათ შეხედულებებს საფუძველი შერყეოდა, ქვეყნის ცხოვრებაში რაღაც დიდი, ჯერ არნახული გადატრიალება ხდებოდა.

ამ ბრძოლის ამბავი პატარა ვანოს ჯერ კიდევ სოფელში ჰქონდა გაგონილი. ახლა „შვილების“ პოზიცია კიდევ უფრო განმტკიცებულიყო და მეტი მიმდევარიც გასჩენოდა. მიმდევართა შორის იყო, აგრეთვე, ვანოს ძმაც, რომელსაც პირადი ნაცნობობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძესთან და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მისი დიდი თაყვანისმცემელიც იყო. პატარა ვანოს ჯერ კარგად არ ესმოდა ამ ბრძოლის მნიშვნელობა, მაგრამ უკვე დიდის პატივისცემით იყო გამსჭვალული ილია ჭავჭავაძის მიმართ და დიდ სიხარულსაც გრძნობდა, როცა ქუჩაში დაინახავდა მას. ძმა აღფრთოვანებით უამბობდა ხოლმე ილიას შესახებ, ბევრს ესაუბრებოდა აგრეთვე იმ დიდ ამოცანებსა და ბრძოლებზე, რაც ქართული ლიტერატურის, თეატრის, აზროვნების და, საერთოდ, ქვეყნის სულიერი ცხოვრების ამაღლებისა და ხორცშესხმისათვის ხდებოდა. უფროს ძმას, რომელიც მაშინ 18-19 წლის ჭაბუკი იქნებოდა, მტკიცედ გადაეწყვიტა ხალხის სამსახურში ჩამდგარიყო და მთელი თავისი ცხოვრება ამ საქმისათვის შეეწირა.

ვანო მაჩაბელი თბილისში ჩამოსვლისთანავე „მამების ბანაკშია“ მოხვდა და ამ „ბანაკის“ ყველაზე გავლენიანსა და სახელმოხვეჭილ მეთაურს გაეცნო. ეს იყო ჩვენი საზოგადოების უხუცესი და უნორჩესი წევრის შეხვედრა და ეს მოხდა მეტად ორიგინალურ ვითარებაში.

პატივისა და ქათინაურების მოყვარულ გიორგი მაჩაბელს უფროსი

შვილით მოქონდა თავი — ეუბნებოდნენ ჭკვიანი და ნიჭიერი ბიჭი გყავსო. ახლა კი, პატარა ვანო რომ ჩამოუყვია, რომლის განსაკუთრებული ნიჭის ამბავი მამიდასაგან კქონდა გაგონილი, გადაწყვიტა უმცროსი ვაჟიც გაეცნო საზოგადოებისათვის და კიდევ უფრო მოეწონებინა თავი.

ერთ კვირა დღეს ორბელიანების ეკლესიის მრევლი, რომელიც თბილისის წარჩინებულ და განათლებულ პირთაგან შედგებოდა, უცნაური მოვლენის მოწმე გახდა: სამოციქულოს კითხულობდა 9 წლის კიკა ბიჭი, რომელმაც, ზედმეტი მღელვარების გამო, ჯერ გაუბედავად დაიწყო კითხვა, მაგრამ თანდათანობით გათამამდა, ხმას აუწია და უფრო გაბედულად განაგრძო. ხშირად იგი ქერა კულულებით დამშვენებულ თავს მაღლა ასწევდა და თვალებს სარკმელს მიაპყრობდა. იმ წუთებში სამოციქულოს ზეპირად ამბობდა. ბავშვის ფერმკრთალი სახე, სანთლების სუსტ შუქსა და ეკლესიის ვიწრო სარკმლებიდან შემოჭრილ მკრთალ სინათლეზე, კიდევ უფრო გადაფითრებული მოჩანდა. რომანტიკულად განწყობილი საზოგადოება მოიხიბლა. „ზორცმესხმული ანგელოზია“, ჩურჩულებდნენ მანდილოსნები.

მოხუცებაში შესული პოეტი გრიგოლ ორბელიანი, რომელიც იმჟამად ეკლესიაში იყო, აღაფრთოვანა ბავშვის ტკბილმა ხმამ, წაკითხვის თავისებურებამ და ინტონაციის სისწორემ, რაც სრულებით წარმოდგენელი იყო ასეთი პატარა ბავშვისაგან.

— ნიჭიერი ბავშვია, — ჩაილაპარაკა დიდმა პოეტმა, — ვისი შვილია?

უპასუხეს, რომ გიორგი მაჩაბლის შვილი იყო, გიმნაზიაში მისაბარებლად ჩამოყვანილი. ეს განსაკუთრებით გაეხარდა პოეტს და წირვის გათავებისთანავე მოიკითხა. გრიგოლ ორბელიანს ვანოს ამაყი გამოხედვაც მოეწონა, და გაეღიმა: პაპამისი მოაგონდა, სვიმონ მაჩაბელი, რომელთანაც პოეტს ახლო ურთიერთობა კქონდა.

სვიმონ მაჩაბელი ბავშვობისას ორბელიანების ოჯახშიაც იზრდებოდა თურმე. ერთ კერძო წერილში გრიგოლ ორბელიანი წერს; „ვინ არ იზრდებოდნენ ჩვენს ოჯახში, ჩვენს ქუჩაში? ანდრონიკაანნი, ჩოლოყაანნი, მაჩაბლიანნი...“ ამას თვითონვე ამბობს სვიმონი გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილ ლექსში: „თქვენს ოჯახში ვარ აღზრდილი, მინახავს კეთილდღეობა“. შემდეგ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის ერთად ისხდნენ ციხეში, და ამან კიდევ უფრო დააახლოვა ისინი ერთმანეთს. მათი მგობრული ურთიერთობა

არც შემდეგ გაწყვეტილა, და 1858 წელს, როცა მაჩაბლებს ოსები ჩამოართვეს, სვიმონს თავისი გაელენიანი მეგობარი გაახსენდა და ლექსად მისწერა, მიშველეო:

ღრმად მოხუცებულს მომაკლდა სრულად ღონე და ძალები,
ყმასა და მამულს მართმევენ, თავზედ მატყდება ვალები,
პურს ვჭამდე, ფიქრი წამიღებს, ცრემლით მევსება თვალები,
ვიცი თქვენ ძაღვის, მეწიე, ბიჭო, შენ გენაცვალები...

დიდმა პოეტმა პატარა ვანო მაჩაბელი შინ წაიყვანა. ამის შემდეგ ვანო ხშირი სტუმარი იყო გრიგოლ ორბელიანისა. ორბელიანების სახლში იმ დროის დიდად განათლებული და წარჩინებული საზოგადოება იკრიბებოდა. საუბრობდნენ ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე, წარსულზე, მომავალზე, ჟურნალზე, თეატრზე, ენის საკითხებზე და, ერთი სიტყვით, ყველაფერ იმაზე, რაც მაშინ ქართველ საზოგადოებას აღელვებდა. აქ ვანო უფრო საფუძვლიანად გაეცნო გრიგოლ ორბელიანის პოეზიასა და, რაც უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო ვანოსათვის, ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებას.

* * *

სოფლიდან ჩამოყვანილი ვანო მაშინვე არ შესულა გიმნაზიაში. ერთი წელიწადი სახლში იყო და ძმის დახმარებით რუსულ ენას სწავლობდა. უფროსი ძმა განაცვიფრა ვანოს საოცარმა ლინგვისტურმა ნიჭმა; ცხრა წლის ბავშვი წარმოუდგენელი სისწრაფით ითვისებდა რუსულს, რომელიც მისთვის მანამდე სავსებით უცხო იყო.

ვანო კითხულობდა, ვარჯიშობდა, სწავლობდა. ახალი წიგნები ვასიკოს მოჰქონდა და ხშირად ძმები ერთად კითხულობდნენ ხოლმე. ცხოვრობდნენ გაჭირვებულად. „მამა ძალიან ხელმოკლე კაცი იყო“, შენიშნავს შემდეგში უფროსი ძმა იმ პერიოდის შესახებ. ერთ მოგონებას თუ ვერწმუნეთ, „საქმე მივიდა იქამდის, რომ ვანო ქუჩაში ნაპოვნ ქაღალდის ნაგლეჯზე ამზადებდა გაკვეთილებს“. მამა უფრო ხშირად ქეიფობდა ხოლმე და გაათენებისას ბრუნდებოდა შინ. ზოგჯერ მთელ დღეებსაც გადააბამდნენ მოქეიფეები და ორთაჭალის ბაღებში, დუდუკის ტკბილ პანგზე ილხენდნენ, შვებით ატარებდნენ დროს.

მაგრამ იყო ისეთი პერიოდებიც, როდესაც შვილებისთვის

მოიცლიდა მამა, სწავლის ამბავს გამოკითხავდა, წააქეზებდა...

არც ასეთი სურათი ყოფილა იშვიათი: გარეთ საშინლად ყინავს, ძვალ-რბილში ატანს, ქრის სუსხიანი ქარი. პატარა უხეირო ოთახში კი, სალდათის ბაზრის მახლობლად, მამა და თავისი ორი შვილი მბჟუტაე ლაჩპას შემოსხდომიან. მუშაობს პატარა ოჯახი. ეანო რუსულ გრამატიკაში ვარჯიშობს, ვასიკო ილიას ჟურნალ „საქართველოს მოამბეს“ ათვალეიერებს, თან კი, ხანგამოშვებით, ძმის რეველსაც გადახედავს და კმაყოფილებით გაიღიმებს; მამას ძველი ხელნაწერი უჭირავს ხელში, გატაცებით კითხულობს და თავისი განცდების ხმამაღლა გამოთქმასაც არ ერიდება; ზოგჯერ გულიანად გადაიხარხარებს. როცა ქეიფსა და დროსტარებისაგან თავისუფალია, გიორგი მაჩაბელსაც უყვარს კითხვა, განსაკუთრებით მარტივისიუჟეტიანი ამბებისა და ზღაპრებისა.

ზამთარი გადის. ეანომ უკვე კარგად გაიტეხა ენა. ლექსიკური მარაგი თანდათანობით იზრდება. ახლა გაბედულად ლაპარაკობს რუსულს. გახარებულ მასწავლებელს შესაძლებლად მიაჩნია „ეგზამენზე“ გაიყვანოს თავისი პატარა ძმა. ახლოდება მღელვარე წუთები. დელავს მასწავლებელი, მოწაფეც, ხოლო მამა სრულებითაც არ დელავს. იგი დარწმუნებულია შვილის წარმატებაში და ამის საჯაროდ განცხადებაც არ ერიდება. შვილებს ამშვიდებს, ამხნეევებს.

„ეგზამენებმა“ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ასეთ წარმატებას არც თვითონ ეანო ძოელოდა, არც მისი მასწავლებელი და არც უდარდელი მამა. მოწაფემ ისე ჩინებულად დაიჭირა „ეგზამენები“, რომ პირდაპირ მეორე კლასში ჩარიცხეს და, როგორც მომზადებული და ნიჭიერი ბავშვი, პანსიონში სახელმწიფო ხარჯზე მიიღეს.

ეანო მაჩაბლის ცხოვრების კიბე კიდევ ერთი საფეხურით ამაღლდა. დადგა დიდი ხნის ნანატრი ჟამი: ბავშვმა შეაღო გიმნაზიის კარები.

მანამ გიმნაზიაში შევიდოდა, პატარა ეანოს ეს სასწავლებელი წმინდა აკენად ჰქონდა წარმოდგენილი, რომელშიაც მისი სათაყვანებელი მწერლები — ნიკოლოზ ბარათაშვილი და ილია ჭავჭავაძე აღიზარდნენ. ეანოს წარმოდგენაში ამ ორი დიდი მწერლის მოკრძალებული სიყვარული იმ სასწავლებელზეც ერცელდებოდა, რომელშიაც ისინი სწავლობდნენ და რომელსაც ბავშვი თბილისს ჩასვლის შემდეგ ყოველდღიურად მოწინებით შეჰყურებდა. უფროსი ძმა ერიდებოდა ბავშვის ნათელი ოცნების ჩამუქებას და ამიტომ ნამდვილი მდგომარეობა და სახე ამ სასწავლებლისა თავისი

„მოწაფისათვის“ წინასწარ არ გაუცნია.

სინამდვილეში თბილისის გიმნაზია ც ისეთივე იყო, როგორც ყველა იმდროინდელი სასწავლებელი, თუნდაც იგივე ქუთაისის გიმნაზია, რომელიც ასე ცოცხლად აკვიწრა აკაკი წერეთელმა, აქაც იგივე უსულგულობა, ცივი ატმოსფერო, უმეტეს შემთხვევაში უსიხარულო დღეები, მოწაფეებთან დამოკიდებულებაში ჩინოვნიკობა, სქოლასტიზმი; აქაც ჩვეულებრივ პედაგოგიურ ხერხად იყო მიღებული მოწაფის გაროზგვა და ცემა-ტყეპა. პ. მელიქიშვილი, რომელიც თითქმის იმავე წლებში სწავლობდა თბილისის გიმნაზიაში, თავის მოგონებაში წერს:

„საზოგადოდ გიმნაზიაში ძალიან გაერცვლებული იყო ცემა-ტყეპა. ერთხელ, მეორე კლასში, მასწავლებელი მეკითხებოდა, თუ როგორ ამზადებენ ფარაონების მუმიას. მე მოუეყევი, მაგრამ მალე შეეჩერდი, რადგან არ ვიცოდი რუსულად შიგნეულობის სახელები და ვერ ვუპასუხებდი. ამის გამო მასწავლებელმა ისე მძლავრად გამარტყა მუშტი სახეში, რომ სისხლი თქრიალით წამსკდა ცხვირიდან. მე, დასისხლიანებული, ტირილით მივედი შინ და განუუცხადე მშობლებს, რომ სწავლას თავს ვანებებ, მაგრამ, როგორც იყო დამაწყნარეს და ისევე დავიწყე გიმნაზიაში სიარული დასივებული ცხვირით...

„გიმნაზიაში ჩემს დროს უმცროსი მოსწავლეებისათვის ფიზიკური დასჯაც კი იყო მიღებული „როზგით“. მესამე კლასის შვეირდებმა დეპუტატია გაუუგზავნეთ ინსპექტორს თხოვნით, რომ ჩვენ, როგორც უკვე უფროსები, განთავისუფლებულები ვყოფილიყავით ამგვარ სასჯელისაგან. ინსპექტორმა უპასუხა დელეგაციას: „თუ თქვენ არა, მაშ ვინ უნდა გაეწყებლოთ“.

მასწავლებლად, უმთავრესად, მოწვეული იყვნენ სრულიად გამოფიტული, უშინაარსო და უხალისო ჩინოვნიკები, რომელთაც თავიანთი საგანიც სძულდათ, მოწაფეებიც და ზოგჯერ სიცოცხლეც. ასწავლიდნენ რამდენიმე უცხო ენას, მათ შორის — ლათინურსა და ბერძნულს, აგრეთვე გერმანულს, რომლის შესწავლაც ვანომ საფუძვლიანად დაიწყო, ამასთან სავალდებულო იყო თათრული და სომხური ენებიც. ამას მეფის მთავრობისათვის წმინდა პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა — გიმნაზიას უნდა მოემზადებინა თარჯიმნები კავკასიელ მუსულმანებსა და უცხოეთის სახელმწიფოებთან ურთიერთობისათვის.

როგორც ასწავლიდნენ ლათინურსა და ბერძნულს, ეს ყველასათვის ცნობილია, მაგრამ თათრული ენა კიდევ უფრო სავალალო დღეში

იყო. პეტრე მელიქიშვილი იმავე მოგონებაში გადმოგვცემს:

„...კიდევ უარეს მდგომარეობაში იყო სომხური და თათრული ენები, რომელნიც ჩვენთვის არასაუაღლებულო იყო. მაგრამ წესრიგისათვის მაინც გვაეალებდნენ ამ გაკვეთილზე სიარულს და თათრული ენის მასწავლებელი მოლა გაკვეთილებსაც კი გვიკითხავდა. რამდენიმე თვის განმავლობაში სამი ასოს მეტი ვერ შევისწავლე: ალიქა, ბეი, სეი. როცა ამის მეტს ვერ ვუპასუხებდი, მეტყოდა „ზახრუმალაო“ და საზოგადოდ, — თუ ბაეშეები ცელქობას დაიწყებდნენ, წაიძრობდა ფეხზე ქოშს და ესროდა მოწაფეებს თავში“.

არც სხვა საგნების სწავლების საქმე ყოფილა სახარბიელო. შეიძლებოდა აქვე გაგვეხსენებინა იაკობ მანსვეტაშვილის საინტერესო მოგონება.

„...არსებითი სახელები და თანდებულნი რომ მტკიცედ და სამუდამოდ ჩაგვებჭლოდა მეხსიერებაში, ლექსებად იყო დაწყობილი და ასე თუთიყუშივით გვაზეპირებინებდნენ. ეს უხეში და უგნური მეთოდი ისე მოეწონათ, რომ სხვა სამოსწავლო საგნებშიც შემოიღეს, მაგალითად გეოგრაფიაში. მოგეხსენებათ, რომ იაპონია კუნძულებზე ძევს, რომელთაგან სამია მოზრდილი და აღსანიშნავი, სახელდობრ: ნიპონი, იეზო, და კიუ-სიუ. და აი, რომ არ დაგვეიწყებოდა ეს სამი სახელი, ასე გალექსილად გვასწავლიდნენ:

ნიპონ, იეზო—სიკოკო,
კიუ-სიუ დრიკოკო.

„ან კიდევ ჩრდილო ამერიკის ახლომდებარე კუნძულები: კუბა, იამაიკა, პორტორიკო, გაიტი, — რუსულად ასე იყო გალექსილი:

Куба, Ямайка – знай-ка,
Порторико, Гаити – не забывайте.~

ქართული ენის სწავლება თავიდანვე აბუჩად იყო აგდებული და ყველაზე ნაკლები ყურადღება ექცეოდა. მაგრამ სამოციანი წლებიდან კიდევ უფრო თავგამოდებით შეუდგნენ ქართულის შევიწროებას. მასწავლებლები უმეტეს შემთხვევაში არაკვალიფიციურნი იყვნენ და დედა-ენის გაკვეთილები, რომელთაც, როგორც წესი, უკანასკნელ, მეექვსე საათს უთმობდნენ ხოლმე, ღრიანცელსა და აურზაურში მიმდინარეობდა. პეტრე მელიქიშვილი შენიშნავს: „(ქართული) ენის

შესწავლა შეუძლებელი იყო, რადგანაც მასწავლებელი მოხუცებულობის გამო ხშირად არ დაიარებოდა სკოლაში“ (პეტრე მელიქიშვილს მხედველობაში ჰყავს მასწავლებელი ყორღანოვი). ოჯახიდან თუ ვინმეს გამოჰყვებოდა ქართული ენის ცოდნა და სიყვარული, თორემ სასწავლებელი თითქმის არაფერს აძლევდა. ზოგიერთი გადაგვარებული ოჯახის შვილი, ოჯახშივე გადაჩვეული ქართულ ენას, ასეთი მასწავლებლების ხელში თითქმის ვერაფერს იძენდა, ასე რომ, პეტრე უმიკაშვილს, როცა იგი ქართული ენის მასწავლებლად მიიწვიეს გიმნაზიაში, ჭრელი სურათი დახვდა: ქართულის კარგად მცოდნე ბავშვების გვერდით იყვნენ ისეთი წარჩინებული ოჯახის შვილებიც, რომლებიც საკლასო თხზულებაში წერდნენ: „ცავეიდა კალაკში“, „ჩამა“ და სხვ. განა მარტო ერთ სკოლაში, სხვა სასწავლებელშიაც ასეთი მდგომარეობა იყო. დედა-ენის მასწავლებლად უმთავრესად არაკვალიფიციური ხალხი ჰყავდათ. და ეს არ ყოფილა შემთხვევითი მოვლენა. საინტერესოა სტეფანე ძიმისტარიშვილის მოგონება, რომელიც მას იონა მეუნარგიას თხოვნით დაუწერია.

„...კლასიდან გამოგზავნილია ორი-სამი ყმაწვილი და უყარაულებს მასწავლებელს (ღრმად მოხუცებულ დეკანოზს ნიკ. ქუთათელაძეს). ყმაწვილები დაინახავენ თუ არა მასწავლებელს, ასტეხენ სიცილს და ხუმრობას. ერთი მათგანი შეირბენს კლასში და დაიწყებს ყვირილს: „ბატონი მოდის, ბატონი მოდის“, დანარჩენი ორი გამოუძღვება მასწავლებელს, ერთი ჟურნალს ჩამოართმევს, მეორე შენდობასა სთხოვს, ხელზე კოცნის და ასე მიიყვანენ კლასის კარამდე, სადაც ყმაწვილებიც მიესალმებიან.

პირე. ყმაწვილი. მადლობა ღმერთს, ბატონო, მშვიდობით მობრძანდით!

მეორე ყმაწვილი. ღმერთო, დიდხანს გვიცოცხლე ბატონი.

მასწავლებელი. ჩუმად იყავით, ბავშვებო, თორემ აგერ ინსპექტორი მოდის.

მესამე ყმაწვილი. ბატონო, თურმე ღირექტორიც უკან მოყვება...

მასწავლებელი. ეს რა გვარისაა?

ყმაწვილი. მე, ბატონო, გოგობერიძე გახლავარ.

მეოთხე ყმაწვილი. მე ვიცი, ბატონო, გოგობერიძის გვარი საიდან წარმოდგება.

მასწავლებელი. აბა, სთქვი.

ყმაწვილი. გოგობერიძე წარმოდგება, ბატონო, გოგოსაგან და ბერისაგან.

მასწავლებელი. დააცხრე ენა შენი ბოროტისაგან და ბაგენი შენნი ნუ იტყვიან ზაკვასა!

ყმაწვილები. ბიჭო, გამოაცხვე ენა შენიო, ბატონი ბრძანებს.

მასწავლებელი. მე გიკარნახებ და შენ სწერე დაფაზე.

ყმაწვილი. რას მიტრახახებ, ბატონო?

მასწავლებელი. გიდიკტოვკებ, გიდიკტოვკებ. ახლა ხომ გაიგე ქართული: არიან ნიშანნი მართლწერისანნი (ყმაწვილი ვერ ახერხებს წერას, მასწავლებელი ცარცს გამოართმევს და თვითონ ხელის კანკალით განაგრძობს), რომელნიც ცხადსა ბრწყინეალებასა მოგვცემენ ანუ სიტყვისა, ანუ ლექსისა, ანუ ასოსასა, რომელთაც ნიშანნი და სახელნი არიან ესენი: მძიმე, წერტილი, საკითხავი, შემკერელი, გარდასატანი, ფრჩხილი, სხოლიო, მახვილი, ბრჯგუ, კრებული, განსაკვირველი, საუფლო, სამთავრული და საზოგადო. ეს ნიშნები ზეპირად დაისწავლეთ, ბაეშვებო.

ყმაწვილი. არა მაქვს, ბატონო, კარანდაში დაეკარგე.

მასწავლებელი. დაეკარგე რა ქართულია? უნდა სთქვა — „კარანდაში წარუსწყმიდე“...

უმეტესად ასეთი იყვნენ მაშინდელი მასწავლებლები. მაგრამ ზოგჯერ „ბედნიერი გამონაკლისიც“ გამოერეოდა ხოლმე. ვინ იცის, რამდენი ყმაწვილისათვის გაუკვლევიათ მომავლის გზა, გაუნათებიათ ირგვლივ გამეფებული წყვილიადი, გაუთბიათ უსდხარულო დღეები ისეთ დიდ მოღვაწეებს, როგორიც იყვნენ იაკობ გოგებაშვილი, ნიკოლოზოური, ნიკო ცხევაძე, ვასილ ბარნოვი... რომლებიც საგნის პედანტური სწავლებით კი არ საზღვრავდნენ თავიანთ პედაგოგიურ მოვალეობას, არამედ ადამიანურ გრძნობას უღვიძებდნენ ბაეშვებს, სულიერად ამალლებდნენ. უნერგავდნენ შრომისა და მშრომელი ხალხის სიყვარულს, სამშობლოსათვის თავდადებას, პატიოსნებას...

პატარა ვანო მაჩაბელსაც ხვდა ასეთი ბედი. გიმნაზიაში ქართულ ენას ცნობილი საზოგადო მოღვაწე პეტრე უმიკაშვილი ასწავლიდა. თავისთავად იგულისხმება, როგორი მასწავლებელიც იქნებოდა „ტკბილი პეტრე“. გარდა ქართული კლასიკური ლიტერატურისა, უმიკაშვილი ბაეშვებს უკითხავდა და აკითხებდა ხალხურ ზღაპრებსა და ლექსებს. იმხანად მას უკვე დაწყებული ჰქონდა ფოლკლორული მასალების შეგროვება და ბაეშვებსაც ავალებდა თავიანთ კუთხეებში გაგონილი ზღაპრებისა და ლექსების ჩაწერას. მასწავლებელი არ

იფარგლებოდა მხოლოდ და მხოლოდ დადგენილი პროგრამით, ბავშვებს აქტიურ შემოქმედებით მუშაობაში აბამდა, უღვივებდა შემოქმედებითი წვის სიტკბოს, ამზადებდა მომავალ დიდ ხელოვანებს — ივანე მაჩაბელს, ეასო აბაშიძეს, ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინს, რომლებიც მაშინ ერთ კლასში სწავლობდნენ.

ეტყობა, მასწავლებელმა განსაკუთრებული ლიტერატურული ნიჭი და მისწრაფება შენიშნა ვანოს. იგი მას ავალებს თარგმნას. ვინ იცის, იქნებ იმ პირველ დავალებას უნდა ეუმაღლოდეთ!.. მოწაფე ხალისით და სიყვარულით ასრულებს დავალებას. ლექსების წერა მას ადრეც უცდია, ახლაც ვარჯიშობს ხოლმე, მაგრამ თარგმნა მაინც განსხვავებული შრომაა. მეტ მოთმინებას, გულმოდგინებასა და ენის ცოდნას მოითხოვს. მაჩაბლის პირველი რედაქტორი პეტრე უმიკაშვილია, იგი არ ერიდება მოწაფისათვის შენიშვნების მიცემას; და ბავშვიც ყურადღებით აკვირდება ყოველ გასწორებულ სიტყვას, იხსომებს და შემდეგ ისე წერს, როგორც მასწავლებელმა გაუსწორა.

უმიკაშვილი აღფრთოვანებულია მოწაფის ნიჭითა და გულისხმიერებით, „ყრმათა მაგალითს“ უწოდებს მას. ანციფერებს ვანოს საოცარი სისწრაფე. ეს მკვირცხლი ბავშვი საქმეშიაც სიმკვირცხლეს იჩენს: მასწავლებლის პირველი დავალება ეცოტაეა და მეორე დღისათვის სამი იმდენი თარგმნა.

უმიკაშვილს ეს უხარია, მაგრამ მაინც სიღინჯისაკენ მოუწოდებს ბავშვს, ეშინია მეტისმეტად არ გაიადვილოსო. ნაშრომს გაუსწორებს და მიაწერს: „სჯობს ცოტ-ცოტა თარგმნოთ“.

უმიკაშვილის ზოგიერთი შენიშვნა საგულისხმოა, მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იგი ზოგ რამეს უმართებულოდ უსწორებს მოწაფეს, რომლის ინტუიცია ხშირად უფრო სწორია.

მაგალითად, ვანო მაჩაბლის თარგმნილი წინადადება — „მედეა თავის საწოლზე იწვა და ეზმანებოდა მას მოუსვენარი სიზმრები“, უმიკაშვილმა ასე გაასწორა: „მედეა თავის საწოლზე იწვა და ესიზმრებოდა მას აღშფოთებული სიზმრები“. ანდა იქვე: „შენ ყმაწვილ კაცთან რა ხელი გაქვს? ის როგორიც უნდა იყოს, — ყოველს გმირებზედ უკეთესი თუ ყოველ კაცზედ უცუდესი, — იმის დაღუპვა აუცილებელია“, თარგმნის მოწაფე, მასწავლებელი კი ასე უსწორებს: „შენ ყმაწვილ კაცთან რა ხელი გაქვს? ის როგორიც უნდა იყოს, — ყოველ გმირებში უკეთესი თუ ყოველ ადამიანებში უცუდესი — იმისი გაფუჭება აუცილებელია“. ვანო მაჩაბელი

თარგმნის: „როდესაც იმათ მეფის პასუხი გაიგეს, პირველად დაეცნენ სულით, მაგრამ მერე კი საშინლად აღელდნენ“. უმიკაშვილი ამ წინადადების თარგმნას ასე ამჯობინებს: „მეფის პასუხი რომ გაიგეს, პირველად დანადგლიანდნენ, მერე კი აენტენ მდელვარე მრისხანებითა“.

ბოლო მაგალითში ზოგი შენიშვნა შეიძლება მართებულად მივიჩნიოთ, მაგრამ საინტერესო ის არის, რომ აქ უკვე იგრძნობა პრინციპული განსხვავება მასწავლებლისა და მოწაფის მოსაზრებათა შორის: მასწავლებლის ბოლო სიტყვებს არქაიზმის იერი დაკარავს, მოწაფე კი იმავე აზრს უფრო უბრალოდ გამოთქვამს, ხალხურად (სხვათა შორის, ამავე მაგალითში იგრძნობა, რომ პატარა ვანო მაჩაბელს უკვე თავისუფლად გადმოაქვს წინადადება ქართულად და იდიომურ გამოთქმას გაბედულად ხმარობს — „შენ ყმაწვილ კაცთან რა ხელი გაქვს“).

მოწაფესა და მასწავლებელს რომ პრინციპულად განსხვავებული მოსაზრება აქვთ ამ საკითხებზე, შემდეგი მაგალითიდანაც მტკიცდება: ვანო თარგმნის: „უბედურო, შენ რისთვის სწუხხარ!“ უმიკაშვილი უსწორებს: „შე უბედურო, რისთვის მწუხარეობ!“.

„მოსაზრებათა პრინციპულ განსხვავებას“, რა თქმა უნდა, პირობით ვამბობ, რადგან 13-14 წლის ბავშვს არ შეიძლებოდა ჩამოყალიბებული აზრი ჰქონოდა ასეთ დიდ საკითხზე. მაგრამ პატარა ვანო მაჩაბლის ინტუიცია რომ სწორია, ეს საეყვებით ცხადია.

გიმნაზიელი ვანო მაჩაბლის ენა თავისი ამხანაგების ენისაგანაც განსხვავდება. მაჩაბლის ენა უფრო რეალისტური, ხალხური და სადაა. ეფიქრობ, ინტერესს მოკლებული არ იქნება აქვე მოვიყვანოთ ამისი მაგალითი. ავიღოთ თუნდაც მისი კლასის ამხანაგის ვასო აბაშიძის საკლასო ნამუშევარი — სრულიად თავისუფალ თემაზე აგებული თხზულება, რომელიც უფრო უბრალო და ცოცხალ ენას მოითხოვს, და შევადაროთ ვანო მაჩაბლის იმავე პერიოდის ნაწარმოებს.

ჩემიერ გატარებული დრო კანიკულებში

„ჩყო წელსა, მარტის ლ დღესა, მე და ჩემი ამხანაგები დაგვითხოვეს სწავლისაგან კანიკულებში. შემდეგ რამოდენიმე დღისა მე წავედი ჩემ დედმამასთან სამშობლო ქვეყანაში იმერეთში; და როდესაც მიედიოდით გზაზედ, მე ხშირად გადმოვხტებოდი ხოლმე ეკიპაჟიდან

და უყურებდი სხეადასხვა მშვენიერ ყვავილებს, რომელნიცა ხშირად
კკრეფდი გზაზედ.

„მეორე დღეს მივედით ერთ ფოსტაში; იქედან შეუდექით დიდ
აღმართსა და შემდეგ იმ აღმართისა მიველი შინა. მსურს რომ მე
ესთქვა, როგორ გაეატარეთ ის საღამო, როდესაც მივედით შინ. ჩვენ
მივედით სახლში საღამოს ათ საათზე, საღაც დაგეხვდნენ ნათესაეები
და სხვანი იმერელნიც, რომელთაც იმ საღამოს დაიწყეს სიმღერა
და შექცევა თავისებურათ. იმ შექცევით და სიმღერით გაეატარეთ
დრო ერთად პირველ საათამდინ. შემდეგ ვახშმისა ყველანი თავთავის
სახლში წაყიდნენ და ჩვენცა მოვისვენეთ. მეორე დღეს დილით
ადრე შემომესმა ყოველის კუთხიდან მშვენიერი ბუღბუღის მღერა,
რომელმაც გამომალეიდა. აედექ და ენახე მშვენიერი ადგილის
მდებარეობა: სიმშვენიერე მთებისა, ყანებისა, მიწებისა, მთის
წვერებისა, წყლის პირებისა, ტყისა, ვენახებისა, ბაღებისა და
აგრეთვე სიღარიბე გლეხკაცების ქოხებისა. ახლა შემიძლია ესთქვა,
რომელ იმერლები არიან მეტად ღარიბნი. ხოლო მიწა არის დიდად
ნამყოფიერი ყოველის მოსავლისა. გარნა მცხოვრებლები არიან მეტად
გაურჯელები და ზარმაცები, და მიზეზიც მათი სიღარიბისა არის
მათი სიზარმაცე და გაურჯელობა.

„მე მოკლედ ვწერ ამას, ამიტომ რომ დიდი ხანი არ დაერჩები
იმერეთში, რომ ყოველნივე გარემოება შემეტყუო იქაური.

ვახილ ა. აბაშიძე“.

ამ თავისთავად საინტერესო ბავშურ თხზულებაში, რომელშიაც
უშუალო განცდა და ერთგვარი პოეზია გამოსჭვავის, უსათუოდ
იგრძნობა არქაიზმი: ამას ვერ ვხედავთ ვანო მაჩაბლის თარგმანში,
მიუხედავად იმისა, რომ სათარგმნი მასალა, თავისი განწყობილებით,
უფრო აიტანდა ძველ ენას. ეს არის ბერძნული მითების თარგმანი
რუსულიდან.

მაჩაბლის ამ თარგმანიდან განვებ მომაქეს ის ნაწყვეტი, რომე-
ლსაც მასწავლებლის ლურჯი ფანქარი არ მოხვედრია.

„...მაშინვე ხალკიოპა თავის დასთან წაყიდა, — რომელიც
თვალცრემლიანი, თავის საწოლში იწვა. „რა მოგივიდა, საბრალო
ჩემო დაო?“ ჰკითხა მას ხალკიოპამ შეწუხებით, — „რა სტანჯავს
შენს გულს? ავით ხომ არ შეიქენი? ან ხომ არ გაგიგონია რა, რომ
მამაჩენი მიპირობდეს მეც და ჩემს შვილებსაც ცუდს რასმე?..

„მაშ თუ აგრეა, — წარმოსთქვა ხალკიოპამ, — ჩემის შვილების გულისათვის უცხო ქვეყნელების^{*} წინამძღოლს შეეწიე, მიეცი იმას რაიმე თილისმა, რომლის შეწვევითაც შეიძლოს მტრების დამარცხება მომავალს ომში. იმისაგან მოვიდა ჩემთან არგოს და ითხოვეს შენ შემწეობას.

„ხალკიოპის ამ სიტყვებზედ მედეას გულმა დაუწყო სიხარულისაგან კანკალი, დაწვებს მოეფინა სიწითლე და აღტაცებით მოცულმა წარმოსთქვა „გულდამშვიდებული იყავ, ჩემო დო, ნუ სწუხარ“^{**} შენი შვილების ბედზედ, მე შენს თხოვნას შეეასრულებ, ხვალ დილაადრიანად წავალ გეკატას ტაძარში და უცხო ქვეყნელს თილისმას მიეცემ, რომელიც დაეხმარება ხარების დამშვიდებისათვის, მხოლოდ შენ ეს საიდუმლო შეინახე, რომ ჩვენმა მშობლებმა ვერა გაიგონ რა.

„ხალკიოპამ დაუტევა თავის დის სამყოფი და წავიდა, აუწყოს თავის შვილებს სასიხარულო ამბავი. მედეამ, მარტო დარჩენილმა, ვერ შეიძლო მთელი ღამე თვალი მოეხუჭნა: სირცხვილი და სიყვარული, შებრალება და შიში ჰბრძოდნენ იმის ამღვრეულს გულში, სტიროდა, ძრწოდა და სრულიად ვერ მოესვენა. ხან გადასწყვეტდა უცხო ქვეყნელი გმირის დახსნას, ხან გადაიფიქრებდა — უნდოდა თავისი თავის მოკვლა დაუყოვნებლივ, იმავე ღამესვე; მაშინ არავინ დააყვედრებდა იმას მამულის და მშობლების ღალატსა. ამ აზრით ადგა საწოლიდან და ამოიღო ყუთი, სადაც შენახული ჰქონდა წამლები და დამლუბებელი, მომაკვდინებელი^{***} საწამლაეები. დაიდო ყუთი მუხლებზედ და ცრემლის ნაკადულები წარმოსდინდა. ახადა ყუთს თავი და საწამლაეი ამოიღო, მაგრამ მაშინ განელეობა სიცოცხლის სურვილი, ^{****} მოაგონდა დრო ბედნიერის ყმაწვილობისა, მოაგონდა ამხანაგები ყმაწვილობის თამაშობისა, სიცოცხლე ძალიან ტკბილად ეჩვენა, ვიდრე როდესმე და მოუცილებელმა სიკვდილის შიშმაც მოიცვა მედეა. გერამ გამოუცვალა აზრები და მიუმატა ძალა. იმან ბეჯითად გადასწყვიტა ააზონი დაიხსნას და მოუთმენლად ელოდა გათენებასა“^{*****}.

* წინა ნაწილში, სხვა კონტექსტში, ვანოს ეწერა — „უცხო ქვეყნის ხალხი“, მაგრამ უმიკაშვილს წაუშლია და „უცხო ქვეყნელებად“ გადაუსწორებია. მეორე ნაწილში ვანოც ასე წერს.

** ზემოთ ჩვენ ვნახეთ, რომ მასწავლებელმა ეს სიტყვა გაუსწორა; ეტყობა, ამ შემთხვევაში მოწაფე არ დაეთანხმა და ისევ თავისებურად წერს.

*** ჯერ დაუწერია „სიკვდილის მომცემი“, მაგრამ მერე მასვე წაუშლია და „მომაკვდინებლად“ გადაუსწორებია.

**** დაუწერია „სურვილი“, მაგრამ რატომღაც „სურვილად“ გაუსწორებია.

წინასწარ რომ არ აღმენიშნა, ეს თარგმანი გიმნაზიის დაბალი კლასის მოწაფეს ეკუთვნის-მეთქი, კაცი ადვილად დაიჯერებდა, რომ იგი დახელონებული მწერლის, სიტყვის გამოცდილი ოსტატის ნაწარმოებია. აქ მომხიბლავია აზრის უბრალოდ გადმოცემა, ძალდაუტანებელი, დარბაისლური თხრობა, სიტყვის ლალი მდინარე-ბა... განმაცვიფრებელია აგრეთვე საოცარი დინამიზმი: „სირცხელი და სიყვარული, შებრალება და შიში ჰბრძოდნენ იმის ამღვრეულ გულში, სტიროდა, ძრწოდა და სრულიად ვერ მოესვენა. ხან გადასწყვეტდა უცხო ქვეყნელი გმირის დახსნას, ხან გადაიფიქრებდა — უნდოდა თავისი თავის მოკვლა და უყოვნებლივ, იმავე დამესვე“ ... და ა.შ. ბოლომდე. ამას გარდა, მთარგმნელი ახერხებს მდგომარეობისა და განწყობილების ზედმიწევნით გამომხატველი სიტყვის მოძებნას, გრძნობთ, რომ ამ განწყობილებას სწორედ ეს სიტყვა მოუხდებოდა; სიტყვა მტკიცედ არის ჩასმული თავის ადგილას. ეს კი, თავისთავად, ნაწარმოებს დამაჯერებლობასა და ძალას მატებს: „...შებრალება და შიში ჰბრძოდნენ იმის ამღვრეულს გულში“. „სტიროდა, ძრწოდა და სრულიად ვერ მოესვენა...“ და ა.შ. ენა ბუნებრივია, ნამდვილი ქართული. მხოლოდ ერთ ადგილას პირდაპირ გადმოუტანია რუსული გამოთქმა: „მოაგონდა ამ ხანაგები ყმაწვილობის თამაშობისა“ — «Товарищи детских игр».

ძალიან გაგვიგრძელდა მოწაფეობისდროინდელ თარგმანებზე საუბარი. ჩვენს ამბავს მიეყვით.

ლიტერატურით დაინტერესებულ მოწაფეთაგან მასწავლებელი სალიტერატურო წრეს აყალიბებს და გაკვეთილების შემდეგ ქართულ წიგნებს აკითხებს, ლიტერატურასა და ხელოვნებაზე ესაუბრება. თავისი ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობის განმავლობაში უმიკაშვილს წესადა ჰქონდა — შეარჩევდა ხოლმე ნიჭიერ შეგირდებს და ცალკე ამეცადინებდა, დამატებით საათებში. „ამ საღამოზე შეყვარე ოთხი ყმაწვილი გიმნაზიიდან, — ეკითხულობთ მის დღიურში, — მოვილაპარაკეთ და შევადგინეთ პატარა საზოგადოება. კვირაში ერთხელ შევიკრიბებით და ქართულ წიგნებს ვიკითხავთ, ვილაპარაკებთ და ნაწერებს გავარჩევთ.

„ერთიც უეჭველად მოგვემატება შემდგომში. ეინ იცის, კვირა და კვირა კიდევ მოგვემატნენ. ჩემი ცდა ის იქნება, რომ პირველად ენაში ცოტაოდენი გაკეთდნენ, მამულის სიყვარული ჩაუვარდეთ გულში

და შრომობდნენ. ღვთით იმედი მაქვს... დღეის სწორს შევიკრიბებით და „ეეფუხის ტყაოსნის“ კითხვას ვაპირებთ. ამას გარდა ვთხოვე, რომ რუსულით გან რამ გადმოსთარგმნონ“.

მასწავლებელი თვითონ იწეის სამშობლოს სიყვარულით და ამ ცეცხლს ბავშვებსაც უკიდებს, ამხადებს საზოგადოებისათვის თავდადებულ მოღვაწეებს.

გიმნაზიელი ვანო მაჩაბელი ჩვეული ხალისით განაგრძობს წიგნების კითხვას. ჯერ კიდევ თბილისში ახლადჩამოსულმა სულ გადაიკითხა ილია ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბე“. გაეცნო ქართული, რუსული და ევროპული ლიტერატურის შედეგებს, რომლებიც ჟურნალში ქვეყნდებოდა. წაიკითხა ლერმონტოვის „ჩენი დროის გმირი“, გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“ (რომელიც მაშინ „საქართველოს მოამბეში“ დაიბეჭდა; სათურად ქონდა „უბედური ჭკუისაგან“, გ. ერისთავმა თარგმნა), პიუგოს „საბრალონი“, ბელინსკისა და დობროლუბოვის თხზულებანი, პრუდონის წერილები... ამავე ჟურნალის ფურცლებზე ეცნობა საქართველოს ისტორიას. სამშობლოს წარსულის შესწავლით დაინტერესებული ბავშვი თავისთვის საქართველოს ისტორიის კონსპექტსაც ადგენს.

როცა რუსულში საკმაოდ გაიწაფა, რუსულ წიგნებსაც მიჰყო ხელი და ამის შემდეგ მისი შესაძლებლობა განუსაზღვრელად გაიზარდა. ძმას ბიბლიოთეკიდან მოაქვს რუსული წიგნები და გიმნაზიის მოწაფე ვანო მაჩაბელი გულმოდგინედ კითხულობს.

ახლანდელ კითხვას უფრო სისტემატური ხასიათი აქვს, მაგრამ მაინც „წინ გარბის“ მაჩაბელი. 13-14 წლის ბიჭი შექსპირს კითხულობს და ვინ იცის, იქნებ ამ საკაცობრიო ტრაგედიების თარგმნაზედაც ოცნებობს!..

ოჯახს კი ისევ უჭირს, ახლა კიდევ უფრო მეტადაც არის გაჭირვებული. მამის ვალები იზრდება, ძმა ამ დროს პეტერბურგში სწავლობს, მაგრამ ვანოსთან ხშირი მიწერ-მოწერა აქვს, უმცროსი ძმის „ცხოვრებაში გამოყვანაზე“ არც ახლა აუღია ხელი და ყოველ წერილში არიგებს, როგორ მოიქცეს. რა წაიკითხოს და, რაც მთავარია (ამას არასოდეს არ ივიწყებს ძმა), როგორ გამოადგეს თავის ქვეყანას. და ვანოც კიდევ მეტის გულმოდგინებით განაგრძობს სწავლას.

ეწაფება უცხო ენებს. მასზე უკვე გიმნაზიის გარეთაც ლაპარაკობენ, როგორც ქართული ენის ზედმიწევნით მცოდნეზე, რომელმაც, ამავე დროს, უკვე უცხო ენებიც იცის.

აკაკი წერეთელი თავის მოგონებაში წერს: „რუსეთიდან რომ დაებრუნდი, ახალ ჩამოსულს, ყველგან და ყველასგან მესმოდა, რომ თავ. გიორგი მაჩაბელს კარგი შეილები ეზრდება და უმცროსი მანაც მეტად საიმედო რამ არისო: „ქართული, როგორც ხუცური ისე მხედრულიც, ზედმიწევნით იცის და უცხო ენებსა და საგნებსაც საზოგადოდ ადვილად იმორჩილებსო“.

მამის მღვდოპარობა კი თანდათანობით უარესდება, მევალებების რიცხვი დღითი დღე მატულობს. ვანო ხშირად ხდება მოწმე მევალებებისა და მამის უსიამოვნო დიალოგისა. დადგა კატასტროფული მომენტიც, როცა ყოველგვარი სახსარი ამოიწურა...

მაგრამ ამ დროს ორბელიანებმა უშველეს, ჯერ კიდევ გიმნაზიადაღმთავრებულ ვანოს კერძო გაკვეთილები გამოუძებნეს. პატარა რეპეტიტორმა გაბედულად გაუსწორა თვალი ცხოვრებას. ცოტ-ცოტას დედასაც კი ეხმარება. „აილებდა თუ არა ფულს გაკვეთილებში, — ვკითხულობთ ერთ მოგონებაში, — მაშინვე იყიდდა ჩაის, შაქარს, საპონს და სხვ. და გაუგზავნიდა თავის დედას თამარაშენში — „ეგ დახარჯე, კიდევ გამოგიგზავნიო, ეხლა მე ფულიანი გაეხდიო“.

თვითონაც ხშირად დადის სოფელში და მარტოდ დარჩენილ დედას, პაპიდასა და დარიკოს სიზარულით აესებს. ეს ჩვეულება ბოლომდე გაპყვა ივანე მაჩაბელს, ყოველ დღესასწაულზე, და ისედაც, მოიხელთებდა თუ არა დროს, უსათუოდ დედის სანახავედ წაეიდოდა.

სოფელში მუშაობას არ თაკილობდა. იმავე მოგონებაში ვკითხულობთ: „ჩაიცვამდა ქალამნებს და უბრალო ტანისამოსს და მარხილით წაეიდოდა შეშის მოსატანად ტყეში. რომ დაბრუნდებოდა, გადმოალაგებდა მუშებთან ერთად, დაჭრიდა, დააპობდა და სანამ სახლში არ აიტანდა, მანამ რაც გინდა საამო სტუმარი მოსელოდა, თავს არ დაანებებდა მუშაობას; როცა კი გაათავებდა, დაიბანდა, გადაიცვამდა სუფთა ტანისამოსს და ვანო ისევ ვანოს დაემსგავსებოდა... ან, მაგალითად, თამარაშენში იცოდნენ ქეიტიკირის ზაბორი (ქვისა და ტალახისა) და ვანო ხშირად ხელებდათხუპნული იღვა და ამ დობის კეთებას შეელოდა...“

ვანო ყველაზე პატარაა თავის ამხანაგებს შორის, მაგრამ

„საშინელი მკვირცხლი, მალხაზი და მეტისმეტი ხალისიანი“*. ერთი მისი ამხანაგის გადმოცემით, „იმისთანა ცოცხალი ყმაწვილი მთელს გიმნაზიაში არ მოიპოვებოდა. ყველგან შურდულივით დაქკროდა“. ამხანაგებს უყვარდათ და დიდი პატივისცემა ჰქონდათ პატარა ეანოსი. არაუის აჩაგვრინებდნენ, თუ ვინმე რასმე აწყენინებდა, მაშინვე გამოექმომაგებოდნენ ხოლმე.

მთელი გიმნაზიის მოწაფეების საერთო სათაყვანებელი მაშინ ილია ჭავჭავაძე იყო. ბავშვები გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს საზოგადოებრივ ცხოვრებას და გრძნობდნენ, რომ ერის სულიერ ცხოვრებაში რაღაც დიდი და მეტად მნიშვნელოვანი ხდებოდა. გრძნობდნენ, რომ ეს იყო უდიდესი ძეგლი, უდიდესი გარდატეხა. ილიას „საქართველოს მოამბე“ ხელიდან ხელში გადადიოდა. მის ფურცლებზე ამოკითხული სიტყვები საესებით ეთანხმებოდა მოსწავლეების განწყობილებას:

„ყოველი კაცი, რომელსაც კი თვალგზედ ჩამოფარებული არა აქვს რა, ხედავს, რომ ცხოვრება, რაც გუშინ იყო, დღეს აღარ არის, რომ იგი იცვლება, მიდის წინ, და მოაქვს განახლება ყოვლის ფერისა... გული სხვარიგად ჰსცემს, როცა ცხოვრებაზედ ამოვა, თავს ამოპყოფს ბრწყინვალე ყვაეილი ახალი აზრისა“.

„საქართველოს მოამბის“ ყოველ ნომერს სატიტულო გვერდზე ეპიგრაფი ჰქონდა წამძღვარებული: „ხოლო ლელვისაგან ისწავლეთ იგაეი ესე: რაჟამს იგი რტონი მისნი დაჩჩიან და გამოვალნ ფურცელნი, უწყოდეთ, რამეთუ ახლო არს ზაფხული“.

ეს ზაფხული დგებოდა, იგრძნობოდა მისი მაცოცხლებელი სითბო, და პატარა ბიჭებს უკვე ხალხის სამსახურში წარმოედგინათ თავი, ოცნებაში ეშხადებოდნენ, რათა ჩქარა ამოსდგომოდნენ მხარში ილიას და მის მეგობრებს. ეს პატარა მეოცნებე ბიჭები, რომელთა შორის, მისივე ამხანაგების გადმოცემით, ეანო პირველი იყო, უკვე მომწიფებული ადამიანებივით მსჯელობდნენ ჩერნიშევსკიზე, გერცენზე, დობროლუბოვზე... ეანო მაჩაბლის გიმნაზიელი ამხანაგი წერს: „ის დრო გუშინდელზე კარგად მახსოვს. მე ელაპარაკობ 1863 წელზე, როცა ილია ჭავჭავაძემ ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ გამოცემა დაიწყო. ეს იყო დრო საერთო გამოცოცხლებისა. სამოციანელი რეალისტები და მატერიალისტები... აღვიძებდნენ საუკეთესო ადამიანურ გრძნობებს... ერის კულტურაში საერთო აღმავლობა იწყებოდა“.

* ეს ძმის დახასიათებაა.

1850 წელს დაარსებული ქართული თეატრი, რომელმაც ოთხიოდე წელს იარსება, ჯერ ისევ ცოცხალ მოგონებად პქონდა საზოგადოებას. ხალხი ოცნებობდა თეატრის განახლებაზე, მაგრამ ეს მაშინ დიდ სიძნელებთან იყო დაკავშირებული. მუდმივი თეატრის დაარსება ჯერ კიდევ შორეულ საქმედ რჩებოდა...

სამაგიეროდ, ხშირად იმართებოდა სცენისმოყვარეთა წარმოდგენები კლუბებში, ხოლო უფრო ხშირად კერძო ოჯახებში. ყოველი ასეთი წარმოდგენის გამართვა დაკავშირებული იყო დიდ მღელვარებასა და სიხარულთან. მასში მონაწილეობდა თითქმის მთელი მოწინავე საზოგადოება. ამიტომ სცენისმოყვარეთა რიცხვიც დიდი იყო. რაც დრო გადიოდა, სცენისმოყვარეთა რიცხვიც მატულობდა და წარმოდგენებსაც სულ უფრო და უფრო ხშირად მართავდნენ.

მაჩაბელი პატარაობიდანვე ყოფილა გატაცებული სცენით. იგი ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის დროს თარგმნის პიესებს და წარმოდგენებშიაც კი მონაწილეობს.

ერთ-ერთ ასეთ წარმოდგენაში იგი უნახავს პეტერბურგიდან ახლად დაბრუნებულ, უკვე სახელმოხვეჭილ მწერალს აკაკი წერეთელს. ეს მოხდა სოლ. ერისთავის სახლში, სადაც სცენისმოყვარეებმა გიორგი ერისთავის „გაყრა“ წარმოადგინეს. პატარა ტანის, ფერმკრთალი ვანო მაჩაბელი მონაუარდისას როლს ასრულებდა.

მაშინ საკმაოდ ხშირი იყო ხოლმე ისეთი შემთხვევა, როდესაც ყმაწვილკაცები ქალების როლებში გამოდიოდნენ. სოფრომ მგალობლიშვილი თავის „მოგონებაში“ წერს: „...ნელ-ნელა მოიკიდა ფეხი ქართულმა წარმოდგენებმა. ამის მიბაძვით ჩვენ, სემინარიელები, შიგ სემინარიაშიც ჩუმად ვდგამდით ხოლმე წარმოდგენებს, გარედაც ვთამაშობდით. ვაჟებისა და ქალების როლებს სულ სემინარიელები ასრულებდნენ“.

გიმნაზიელი ვანო მაჩაბლისა და მისი ამხანაგების დიდი გატაცება თეატრით მიეწერება, ჯერ ერთი, საერთო განწყობილებას — მაშინ ყველას თეატრი ეკერა პირზე და მთელი საზოგადოება იმ სცენისმოყვარეთა წარმოდგენებით სულდგმულობდა, რადგან სხვა შესაკრები ადგილი არ გააჩნდათ; მეორეც, თეატრის სიყვარულს მათ უღვივებდა ქართული ენის მასწავლებელი — პეტრე უმიკაშვილი, რომელიც ბავშვობიდანვე თეატრით სულდგმულობდა და შემდგვაც, უკვე მოხუცებაში შესული, თეატრისათვის წერდა პიესებს. შემთხვევითი არ არის, რომ მისი სამი მოწაფე (ერთი კლასის მოს-

წავლევები) შემდეგ თეატრის დიდი მოღვაწეები გახდნენ — ივანე მაჩაბელი, ვასო აბაშიძე და ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინი. პირველი განახლებული ქართული თეატრის მოამაგე, ხოლო ორი უკანასკნელი — სცენის დიდი კორიფეები. პეტრე უმიკაშვილს ისე გაგიჟებთ უყვარდა თეატრი, რომ მისი პირველი უბადრუკი ჯამაგირი 12 მანეთი, რომელიც ცარიელი პურის ფულადაც ძლივძლივობით კმაროდა, დედამისს განაწილებული ჰქონდა აგრეთვე შვილის თეატრის ხარჯებზედაც (მამის უკვე იტალიური ოპერა იყო თბილისში). უმიკაშვილი თვითონვე წერს: „უთეატროდ მკვდარი ვარ, ჩემი სიცოცხლე მარტო თეატრშია, იქა ვცოცხლდები“.



თექვსმეტი წლის ვანო მაჩაბელი წარმატებით ამთავრებს გიმნაზიას და, როგორც წარჩინებული მოწაფე, საჩუქარს ღებულობს. ოცნებობს პეტერბურგს წასვლაზე, სადაც მისი ძმამ დროს უნივერსიტეტის უკანასკნელ კურსზეა, იურიდიულ ფაკულტეტს ამთავრებს.

მაგრამ სახელმწიფო ხარჯზე მისი გაგზავნა, როგორც უწლოვანისა, ჯერ არ შეიძლება. სახელმწიფო ხარჯზე მხოლოდ ჩვიდმეტი წლისას მიიღებენ. ვანოს გზის ფულიც არა აქვს, რომ პეტერბურგს ჩააღწიოს და შერე ბედს მიენდოს. მამის ვალები ამ დროისთვის ზღაპრულად გაიზარდა. მევალებები უფრო არათავაზიანი და თავის-მომამბეზრებელნი შეიქნენ.

1871 წლის თებერვალში ვანო გორიდან სწერს თავის ძმას პეტერბურგში: „ჩენი ჯაერი ნურა გაქვს რა, ყველანი მშვიდობითა ვართ, ეს არის, რომ მამაჩემის მოვალე თათარი გვაწუხებს. მეორეთაც მოვიდა, მაგრამ, რასაკვირველია, ხელცარიელი წავიდა ისევე ისე. ახლა მამაჩემს უნდა სოსიაშვილის მამული დააგირავოს და იმითი ყველა მანუხებელი ვალები გაისტუმროს, მაგრამ არ ვიცი როგორ მოახერხებს და ან შენ რას მოიწერები ამაზედ. ჩემის აზრით, თუ ამ მამულთ გაუძღვა იმ ვალებს, ძალიან კარგი იქნება“.

მაგრამ, როგორც ეტყობა, ვერ მოხერხდა სოსიაშვილის მამულის დაგირავება. ან არადა ის ფული მამის ახალ ხარჯებს მოხმარდა, რადგან ცოტა უფრო მოგვიანებით, მაისის თვეში, ისევე გულდაწყვეტითა სწერს თავის ძმას პეტერბურგში: „მოვალეებში მხოლოდ თათარმა მნახა, მაგრამ კი არა უთქვამს რა; მხოლოდ, შენი

მოსვლისა მკითხა, ანიკომ კი გამიჭირა საქმე, მაგრამ, როგორც იქნა, დავაშოშმინე. ამას გარდა, ორი უცნობი მოვალე გამოგვიჩინდა. ერთი ვიღაც თუმანიშვილი, ექვსი თუმნის ვექსილი პქონია მამაჩემისაგან და მეორეც ვიღაც მამაჩემის სახლისპატრონი“.

აშკარად ჩანს, რომ ოჯახის იმედის დაჭერა შეუძლებელია. ოჯახში ვანოს გასამგზავრებელი კი არა, ვასიკოსათვის ჩურჩხელების გასაგზავნი ფულიც არა აქვთ.

ძმის წერილები საერთოდ გამამხნევებელია, მაგრამ გზის ფული ხომ მაინც საჭიროა. ძმა გზის ფულის უქონლობის გამო თვითონვე ვერ ახერხებს სამშობლოში დაბრუნებას.

გამოსავალი ისევ კერძო გაკვეთილებში აღმოჩნდა. გიმნაზია-დამთავრებული ვანო მაჩაბელი გაკვეთილებს აძლევს გორში, კონსტანტინე მამაცაშვილის სახლში. ფულს გულმოდგინედ აგროვებს და პეტერბურგში გასამგზავრებლად ეშზადება, ახლა მეტი თავისუფალი დრო აქვს და მეტსაც კითხულობს. თუკი რამ დარჩა წაუკითხავი ივანოვის ბიბლიოთეკაში, ახლა გადაიკითხა, მონდომებით სწავლობს ფრანგულ ენას, და ახლაც სასწავლო მოახდინა მაჩაბლის ლინგვისტურმა ნიჭმა: მისივე ძმის სიტყვებით, „ამ ერთს წელიწადს ვანომ მშვენიერად შეისწავლა ფრანგული ენა“.

1871 წლის ზაფხულში ვანო მაჩაბელი უკვე შზად არის გასამგზავრებლად: სამგზავრო ფული მოგროვებულია, ვასიკო კვლავ გამამხნეველ წერილებსა სწერს; იგი უკვე პეტერბურგშივე მოეწყო სამსახურში და ადარაფერს გაუჭირვებს უმცროს ძმას. სხვანაირადაც „მოეშადა“ ვანო მაჩაბელი: გიმნაზიის დამთავრებისას ისეთივე კიენა და სუსტი ბიჭი იყო, როგორც შესვლის დროს, ახლა კი, სულ რაღაც ერთი წლის განმავლობაში, საეცებით შეიცვალა, ერთბაშად დაუაყვაცდა, ტანი აიყარა, ხმა დაუბოხდა და მისი ფერმკრთალი სახე, რომელსაც მომწვანო მკვირცხლი თვალები უმშვენიებდა, კიდევ უფრო მიმზიდველი შეიქნა.

დადგა გამგზავრების დღეც...

ომნიბუსის გარშემო ღრიანცელია. გამცილებლები მგზავრებს ეთხოვებიან. დასვენებული ცხენები ტორებს ქვაფენილს ურტყამენ მოუთმენლად და ხშირ-ხშირად მოუხედავენ ხოლმე მეეტლეს, რომელსაც ხელი მოუჩრდილებია და მზეს გასცქერის, დროს ამოწმებს... კონდუქტორის საყვირის შემდეგ ღრიანცელი კიდევ უფრო ძლიერდება. ცხენები ყურებს ცქეეტენ, ლურჯხიფთანინი მეეტლე კოფოზე აძერება, მგზავრები ფაციფუცით სხდებიან ომნიბუსში;

აღერსის, დარიგების, გაფრთხილების სიტყვები ერთმანეთშია არეული...

სადგურზე დარჩენილნი დიდხანს იქნევენ ცხვირსახოცებს, ხელით კოცნას უგზავნიან გამგზავრებულებს. ომნიბუსში ერთმანეთს აწყდებიან, რათა, მანამ თვალს მიეფარებოდნენ, ერთხელ კიდევ დაინახონ ნაცნობი სახეები. გამცილებელთა გუნდი დაპატარავდა. გაქანებული ომნიბუსიდან ძლივსღა მოჩანს ჭრელი ქოლგები და მზის სხივებით აელვარებული ოქროსფერი ეპოლეტები...

ვანო მაჩაბელი არავეს გაუცილებია, ამიტომ უკანაც არ იხედება, იგი კოფოზე მოთავსებულა მეეტლისა და კონდუქტორის გვერდით და გაპყურებს დილის მზის სხივებით აფერადებულ ცას, რომელზეც დინჯად დასცურავენ თეთრი ღრუბლების ქარაენები.

ომნიბუსი გრიალით დაეშვა ჯვრის დაღმართზე, ჩაუარა აგურის ქარხნებს, საკირეს, სასაფლაოს, სააეადმყოფოს, ეტლებიან ფაბრიკას, ქუშად აღმართულ სამახსოვრო თუჯის ჯვარს; გაეიდა ოთხთაღიან ქვის ხიდზე, ბაკებსა და ტრაქტირებს გასცდა და უფრო დინჯად შეუდგა ხილის ბალებითა და ვენახებით დაბურულ საბურთალოს აღმართს.

ახალგაზრდა ვანო მაჩაბელს თითქმის ბურანში ესმის მგზავრების მხიარული სიცილი-კისკისი, მეეტლის შეძახილები და კონდუქტორის გულისგამაწვრილებელი ღიღინი, რომელიც მისივე საყვირის მუსიკასავით, ყოველგვარ ტკიბილხმოვანებას მოკლებულია. ჭაბუკი მაჩაბელი ფიქრებში წასულა. უნებურად აგონდება თავისი ბავშვობა, როცა იგი, ძმასთან ერთად, ამავე გზაზე ურმით მოდიოდა. მაშინაც ახალი ცხოვრება იწყებოდა მისთვის, ასევე გაურკვეველი და ბუნდოვანი, მაშინაც ასევე გამალებით უცემდა გული. და მთელი არსებაც ასეთივე გამოუცნობ სევდას მოეცემა, მაგრამ იმდროინდელი მისი განცდები უფრო ვიწრო იყო, სწავლასმოწყურებული ენერგიული ყრმის მისწრაფებებს არ შორდებოდა. ახლა კი ვანოს ფიქრები უფრო ღრმა არის და გაცილებით უფრო შორს ფრინავს. ახლა იგი უკვე საკმაოდ კარგად იცნობს რუსულსა და მსოფლიო ლიტერატურას, წაკითხული აქვს მოლიერი, ჰიუგო, პუშკინი, შექსპირი, დიკენსი და ოცნებობს შექსპირის ტრაგედიების თარგმნაზე. კარგად იცნობს ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის, გერცენის მოწინავე იდეებს... 17 წლის ჭაბუკი სავესებით მომზადებული და მომწიფებული შედის უნივერსიტეტში. სხეების ნაამბობითა და ძმის წერილებით იცის, რას წარმოადგენს ეს უნივერსიტეტი, იქ საოცრად მღელვარე და

მოუსვენარი ცხოვრება დღეს... და ვანო მაჩაბელიც მოუთმენლად მოელის იმ დღეს, როცა პირველად შეადებს უნივერსიტეტის კარს.

ომნიბუსი მიჰქრის. ჯერ ისევე დილა იყო, როცა საქართველოს ძველ სატახტო ქალაქს ჩაუარა. მრავალი ბედნიერი და მწარე დღეების მოწმეა ეს პატარა ქალაქი. უძველესი ტაძრები წარსულის მაღალ კულტურაზე ღაღადებენ, ხოლო მიწის წიაღში ფენა-ფენად აწყვია კიდევ უფრო ძველი, მრავალსაუკუნოვანი კულტურის დიდებული ფურცლები. აქვე განისვენებს საქართველოს უკანასკნელი მეფე გმირი ერეკლე, რომელმაც თავისი მრავალტანჯული სამშობლოს ბედი საბოლოოდ რუსეთს დაუკავშირა.

სამშობლოდან გამგზავრებული ჭაბუკისათვის მშობელი ქვეყნის ყოველი კუთხე ასწილად უფრო ძვირფასი და სანატრელი გამხდარა. თბილისიდან მოკიდებული, იგი თითქმის ყოველ ნაბიჯზე ხედავს მთებზე მედიდურად წამომართულ დიდებულ ძეგლებს, რომლებიც მრავალი გმირული ბრძოლების მოწმენი და მონაწილენი არიან, შეჰყურებს მაჩაბელი და ჟრუანტელი უკლის — „სიღიადე თქვენი მგერიდა კანკალს, ჟრჟოლასა“... თერგდალეულთა იდეებზე გაზრდილ ჭაბუკს მტკიცედ გადაუსწყვეტია — მთელი თავისი უნარი, ცოდნა და სიცოცხლეც კი მშობელი ხალხის სამსახურს მოახმაროს.

ყაზბეგს რომ მიადგნენ, საღამოს ბინდი ჩამოწვა. ღამე აქ უნდა გაათიონ, დილაადრიან კი ვლადიკავკაზისაკენ გასწვევენ, საიდანაც შემდეგ მატარებლით გაემგზავრებიან პეტერბურგს. მგზავრები ომნიბუსიდან ჩამოხტნენ. ყველა ეშურება ბრწყინვალე ყაზბეგს შეაელოს თვალი, მაგრამ ხევის პატარძალს ღრუბლის მანდილი შემოუხევეია. გულდაწყვეტილ მგზავრებს კონდუქტორი ამშვიდებს — დილაზე მთელი მისი სიმშვენიერით იხილავთო.

და მართლაც დიდებული სანახავე იყო ყაზბეგი დილით! მაჩაბელს ილიას მოთხრობა გაახსენდა... იგი დიდხანს შეჰყურებდა სპეტაკი თოვლით დაფარულ მწვერვალს. მაგრამ განა მარტო მწვერვალია მომხიბლავი! საითაც უნდა გაიხედო აქ, ყველგან მშვენიერებას იხილავ, ყველგან ბუნების სიტურფე მოგჭრის თვალსა. თერგის ყრუ ხმაურს ერთვის მწყემსის ტკბილი საღამურის ხმა, რომელიც შორიდან კიდევ უფრო საამურად და გულის დამატკბობლად გაისმის. ამწვანებულ პატარა გორაკებს, რომელთაც თითქოს ფერხული ჩაუბამთ, მოელვარე მყინვარწვერის გარშემო, ცხერის ფარა შეაფენია. კანტიკუნტად ცხერის ბღაველსაც გაიგონებს კაცი. მახვილი თვალი მწყემსებსაც გაარჩევს.

ამ მთებში, საღვთო, ცხვარს უღვას რუსეთიდან ახალდაბრუნებული, ჯანგაბეხილი და იმედგაცრუებული, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა სანდრო ყაზბეგი. ეანო მაჩაბელმა მაშინ მისი არსებობაც კი არ იცოდა, და მით უმეტეს, ვერ წარმოიდგენდა, რომ ეს კაცი რამდენიმე ხნის შემდეგ სასწაულსავე მოეველინებოდა ქართულ ლიტერატურას, ხოლო ის მწყემსები, რომლებიც დინჯი, მედიდური რხევით მისდევენ ფარას, მისი უკედავი მოთხრობების გმირებად იქცეოდნენ.

თავივე რომ დაეშენენ, თერგის ღრიალმა მწყემსის სალამურის ხმაც შთანთქა და ეანოს ფიქრებსაც შეუცვალა მიმართულება.



პატარა სტუდენტური ოთახი პაპიროსის კვამლს გაუესია, ყელმოტეხილ ბოთლში გამაგრებული სანთელი მკრთალად ანათებს ოთახს; სამარისებურ მყუდროებას საათის სუსტი ტაკატუკი არღვევს. გარეთ ცრის შემოდგომის ცივი, გულისგამაწერილებელი წვიმა. ვიწრო ფანჯარაზე ფარდა ჩამოუფარებიათ. ოთახი ღარიბულად არის მორთული, ამ მხრივ ნამდვილი სტუდენტურია, იმ განსხვავებით, რომ ყველაფერში წესრიგი და სისუფთავე იგრძნობა.

მაგიდას მისჯდომია პეტერბურგს ბანკის საქმეებზე ჩამოსული ილია ჭავჭავაძე და რაღაცას გატაცებით კითხულობს. დროდადრო თავს ასწევს და მეგობარს შეხედავს, რომელიც მის პირდაპირ ზის. ეს არის ახალგაზრდა ნაფიცი ვეჭილი ვასილ მაჩაბელი. იგი ამაყი ღიმილით უპასუხებს ილიას შხერას. ეანო ფანჯარასთან დგას, ხელით წიგნის თაროს დაყრდნობია და ილიას შეაყურებს. გული უფანცქალებს, მაგრამ ცდილობს გარჯნულად არ დაიმჩნიოს მღელვარება. სანთლის მკრთალ შუქზე კიდევ უფრო ფერმკრთალი ჩანს. ხშირ-ხშირად აიქნევს ხოლმე თავს და შუბლზე გადმოყრილ თმას გაისწორებს.

დღეს შეხვდა იგი პირველად ილია ჭავჭავაძეს. დღესვე მისი პირველი სერიოზული გამოცდაა: დიდი მწერალი ეცნობა ეანო მაჩაბლის თარგმანს, შექსპირის „მეფე ლირის“ ნაწყვეტებს. ეანომ იცის, როგორი მკაცრი კრიტიკოსიცაა ილია ჭავჭავაძე. აგონდება მისი წერილი „შეშლილის“ მთარგმნელ თავად რევაზ

ერისთაუზე. ახალგაზრდა მწერალს გული ელევა, მანამ ილიას აზრს მოისმენდეს...

მაგრამ ილია სულაც არ ჩქარობს.

მან დაამთავრა კითხვა, ისევ შეხედა ვასილ მაჩაბელს, წამოდგა, გაიარ-გამოიარა, სახეზე ვერაფერს შეატყობ კაცი. კელაე მაგიდასთან მივიდა, სკამზე ჩამოჯდა და ახლა უკვე სახეებადრულმა წარმოთქვა: „დიდებულა“.

ამ სიტყვის მნიშვნელობა მხოლოდ ვასოს ესმის კარგად. მან იცის, რომ ილიას არ უყვარს გადაჭარბებული ქება. არც პირში თქმას მოერიდება. ამიტომ ორმაგი ფასი აქვს ილიას შექებას. ვასო იმასაც გრძნობს, რომ ეს სიტყვა არ ყოფილა განზრახ თქმული, ახალგაზრდა კაცის წასაქებებლად.

რამდენი ხანია რაც ენის შესწავლა დაიწყო, თარგმნას როდის შეუდგაო, კითხულობს ილია.

ენო მაჩაბელმა ჯერ კიდევ გიმნაზიაში გადაწყვიტა ინგლისურის შესწავლა და შექსპირის თარგმნა. განზრახვის შესრულებას უნივერსიტეტში შესვლისთანავე შეუდგა. ენას სწავლობდა ჩვეული მუყაითობით, და ჩვეულ წარმატებასაც მიაღწია. მისი ძმა წერს: „საზოგადოდ დიდი ნიჭი ჰქონდა ენების სწავლაში. ქართული ენა ხომ ზედმიწევნით იცოდა... ფრანგულს გარდა, გერმანული და ინგლისური ენებიც შეისწავლა“. ფრანგული ენის ცოდნამ ინგლისურის შესწავლაც გაუადვილა. ასე რომ, ერთი წლის განმავლობაში საკმაოდ გაიწაფა ინგლისურში.

შექსპირის თარგმნას კი 1873 წლის გაზაფხულზე შეუდგა. მაგრამ დიდი შიშითა და ყოყმანით მოჰკიდა საქმეს ხელი, მუშაობდა ცოტ-ცოტას და ისიც არასისტემატურად. გაზაფხულზე გამოცდებმაც შეუშალა ხელი; ხოლო ზაფხულში, როცა იგი ერთ პეტერბურგელ ჩინოვნიკს გაჰყვა აგარაკზე მდინად, თარგმანს დღეში მხოლოდ თითო საათს უთმობდა. შექსპირის თარგმანზე მისი პირველი მუშაობა გაუბედობითა და ორჭოფობით ხასიათდება...

— ბარაქალა, ბარაქალა! — ამბობს ჩაფიქრებული ილია.

ეს თარგმანი ახლა ორი მხრივ არის საინტერესო. ჯერ ერთი, რომ ჩვენს ლიტერატურას გაამდიდრებს და, მეორეც, თეატრის ფეხზე წამოყენებასაც შეუწყობს ხელს. შექსპირის ხეირიანი თარგმანი ჯერ ჩვენ არა გეჰონია.

რამდენი ხანია ცდილობენ ქართული მუდმივი თეატრის აღდგენას, მაგრამ დღემდე ვერაფერს გახდნენ, სათეატრო ძალები გაუანტულია, სათანადო სახსრები არ გააჩნიათ, და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ღარიბი რეპერტუარი აქვთ. ილია განუსაზღვრელ მნიშვნელობას აძლევს თეატრის დაარსებას, დიდ ეროვნულ საქმედ მიაჩნია. ამიტომაც ასე აქეზებს ახლა ახალგაზრდა ვანო მაჩაბელს — ეცადე მალე დაამთავრო, როცა წავალ, თან წავიღებ და კრებულში დაებეჭდავ, ახალ თეატრს კი, რომლის დაფუძნებას დღე-ღამეზე მოელიან, შესანიშნავი პიესა შეემატებაო.

ილიას განსაკუთრებით უყვარს „მეფე ლირი“. სამოციან წლებში მან ამ პიესიდან ცოცხალი სურათებიც დადგა. ლირი თვითონვე იყო. ახლაც სიცილით აღუთქვა ვანოს, შენს თარგმნილ ლირს პირველად მე ვითამაშებო.

მაგრამ სახეზე წამოწითლებული მაჩაბელი ყოყმანობს, იგი ძმის დარიგებას მისდევს: რა საქმესაც ადგიხარ, ჯერ ის უნდა დაამთავრო, ახლა მთავარია უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრება, თარგმანს დიდ ღროს ვერ დაუთმობს, სწავლას ვერ მოცდება, შექსპირის თარგმნა კი იოლი საქმე როდია!..

ისევ ვასო მოძებნის გამოსავალს:

— შენ ხომ მაინც დიდხანს მოგიხდება დარჩენა, ილიკო, — მიმართავს იგი მეგობარს, — აქაური ჩინოვნიკების ამბავი რომ ვიცი, კარგა ხანს დაგაყოვნებენ, ბარემ დასხედით და ერთად თარგმნეთ.

ილია ჩაფიქრდა. ვანოს სახე გაუბრწყინდა — მისთვის უდიდესი ბედნიერება იქნება საყვარელ მწერალთან თანამშრომლობა. ახლა მთავარია ილია რას იტყვის.

ილიამ ძმებს შეხედა და ხელი ჩაიქნია. თანახმაა.

დიდის გულმოდგინებით შეუდგნენ საქმეს და მალეც მორჩნენ. ვასილ მაჩაბელი წერს: „შრომისმოყვარეობა არც ერთს არ აკლდა და, თუ არ ვცდები, ხსენებული პიესა („მეფე ლირი“) ორს თუ სამ თვეში გადათარგმნეს“.

ილიამ მიიღო ვანოს მოსაზრება — შექსპირის ლექსს თოთხმეტმარცვლოვანი თეთრი ლექსი მოუხდებო. საერთოდ, თოთხმეტმარცვლოვანი ლექსი უყვარს ვანოს. ალბათ, ბარათაშვილის გავლენით. გიმნაზიაში უმთავრესად თოთხმეტმარცვლოვან ლექსებსა წერდა. შექსპირის თარგმნაც თოთხმეტმარცვლოვანი ლექსით დაიწყო, მაგრამ შიშობდა, ვაითუ არ მოუხდესო. ილიამ მოუწონა არჩევანი

— ეს ლექსწყობა ქართულსაც უხდება და შექსპირის ლექსთანაც ახლოს არისო.

მაგიდას ერთი მხრიდან ვანო მანაბელი მისჯდომია, ინგლისურ ტექსტს ჩაკვირკიტებს და სტრიქონს ქართულად თარგმნის, ჯერ პირდაპირ, სიტყვა-სიტყვით. ილია მის პირდაპირ ზის, მოისმენს სიტყვასიტყვით თარგმანს და ჩაფიქრდება. ოთახში ცოტა ხნით დუმილი ჩამოვარდება. ახლა უფრო გარკვევით ისმის საათის ტაკატუკი და გაზეთის შრიალი: ლოგინზე წამოწოლილი ვასო მანაბელი გაზეთს კითხულობს. ვანოს უცებ თვალები გაუბრწყინდება — გონებაში უკვე გამართულია სტრიქონი. უმცროსი მეგობრის ნიჭით მოხიბლული ილია ხანდახან გაუსწორებს, უფრო შესაფერ სიტყვას შეარჩევს. ზოგჯერ ვანოს სიტყვა-სიტყვით თარგმანი გამართულ სტრიქონს წარმოადგენს, მცირე შესწორებაღა თუ დასჭირდება.

Pillicock sat on pillicock hill,
Halloo, halloo, loo, loo!..

კითხულობს მანაბელი და მცირე დაფიქრების შემდეგ ამბობს: ეს უნდა იყოს ნაწყვეტი რომელიმე ძველი ხალხური ბალადისა. ასეთ სტრიქონებს ხშირად ვხვდებით შექსპირის პიესებში.

მერე თარგმნის: „პილიკოკი იჯდა პილიკოკის გორაზე“.

მეორე სტრიქონი, ეტყობა, რეფრენია, რომელიც, ალბათ, ბალადაში რამდენჯერმე მეორდება და გამოხატავს უბრალო შეძახილს.

ილია ჩაფიქრებით უსმენს მანაბელს და გამართულ სტრიქონებს მიაშველებს:

ზის პილიკოკი პილიკოკის მაღალს გორაზედ.
პაღღუ, პაღღუ, პაღღუ, პაღღუ, პაღღუ, პაღღუ.

ვანო დაწერს ნაკარნახევ სტრიქონებს, მაგრამ ეტყობა არ მოსწონს, ჩაფიქრებულია. მცირე ხნის შემდეგ იტყვის: ორიგინალში ეს სტრიქონები მსუბუქია, სხარტი. რეფრენს დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ რაღაც განწყობილებას უნდა ქმნიდეს. თუნდაც ისეთს, როცა ბავშვები ერთმანეთს მივარდებიან და გამოჯავრებით უაზრო სიტყვებს ეძახიან ხოლმე...

თვალები გაუბრწყინდება — უცებ მოაგონდება თავისი ბიძაშვილი ტიტოკო, რომელსაც პატარაობისას აჯაერებდნენ. ილიას შეხედავს და გაუბედავად იტყვის იმავე სტრიქონების ახალ თარგმანს:

პილიკოკი ჯდომილა პილიკოკის მთაზედა
ტიტლი, ტიტლი. ტიტლი, ტიტლი, ტიტლი!..

ბარაქალა! შესძახებს ილია და ახლა თეითონაც გაიმეორებს მაჩაბლის სტრიქონებს.

Fathers that wear rags
Do make their children blind და ა.შ.

კითხულობს მაჩაბელი და თარგმნის. აქ სტრიქონები სენტენციებად არის დალაგებული, ამიტომ სტრიქონთა მომატება თარგმანში არ შეიძლება. ზედმიწევნითი სისწორით თარგმნაც ძნელია. ერთ თარგმნილ სტრიქონში ვერ ჩასტევე ორიგინალის აზრს; საერთო აზრი უნდა გადმოიტანო.

მამას ღარიბსა, ღატაკსა,
შვილები გულს არ უღებენ,
პატარა ჯიბე მოზრდილს კი
თავისთავს ფეხქვეშ უგებენ.

ილია გადაიკითხავს მაჩაბლის ნაწერს და მეორე სტრიქონს გაასწორებინებს — „შვილები მოიძულებენ“ აჯობებს, „გულს არ უღებენო“ არაფრის მთქმელია.

ჯერი მიდგა ბოლო ორ სტრიქონზე. ეანო სიტყვასიტყვით თარგმნის: „ბედი ნამდვილი გარყვნილი დედაკაცია, ღარიბისაკენ ერთხელაც არ მიიხედავს“.

საოცარი დამთხვევაა, ამბობს მაჩაბელი, რამდენჯერ გამიგონია ჩვენში, გლეხკაცები იტყვიან ხოლმე „ბედი უნამუსო ქალიაო“...

„ასეც უნდა ითარგმნოს!“ — მოუწონებს ილია და გამართული სტრიქონები უკვე მზად არის:

ბედი სწორედ უნამუსო ქალია,
ღარიბი სძაგს, მდიდრის ეშხით მთერალია.

ცოტა უფრო გაძნელდა მომღვენო პროზაული სტრიქონების თარგმნა:

„But for all this thou shalt have as many dolours for thy daughters as thou canst tell in a year.“

აქ ხუმარა, სიტყვების ფონეტიკური მიმსგავსების საფუძველზე, ორანზროვან ფრაზას წარმოთქვამს. იგი ამბობს dolours — ვაის, მწუხარებას, მაგრამ თითქოს dollar — დოლარს გულისხმობს. სიტყვასიტყვით რომ ვთარგმნოთ ეს წინადადება, ასე იქნება: „სწორედ ამიტომ, — მიმართავს ღირს ხუმარა, — იმდენ მწუხარებას — dolour (ანუ თითქოს დოლარებს — dollars) ელოდე შენი ქალებისაგან, რომ ერთ წელიწადში იმის თქმასაც ვერ მოახერხებ“.

ეს ადგილი ძნელი სათარგმნია, მაგრამ მაჩაბელსა და ჭავჭავაძეს დიდად მაინც არ გასძნელებიათ, მშვენიერი ხალხური გამოთქმა მოუძებნეს: — „მაშ ნულარ გაგიკვირდება, რომ შენმა ქალებმა იმდენი ვაი გაყვირონ, რომ მთელი წელიწადი თ ე ა ლ ო , ვ ე რ დ ა თ ე ა ლ ო“. საერთოდ სიტყვათა თამაში ადვილად გადმოაქვს მაჩაბელს.

მაგრამ ყოველთვის ასე იოლად როდი მიდის საქმე. ხშირად თითო ფრაზა თითო საათს აწვალებს მთარგმნელებს. ხან ავტორის აზრის ამოხსნა ძნელდება, ხანაც ქართულად გადმოტანა. მაგალითად იქვე, იმავე სურათში, მომღვენო სტრიქონების თარგმნა გაძნელდა:

O. how this mother swells up toward my heart,
Hys terica passio – down, thou climbing sorrow,
Thy element's below!..

„ნაღველა ყელში მომებჯინა და გვემა მომდის“, — წერს მაჩაბელი, მაგრამ მასევე არ მოსწონს ეს სტრიქონები და ხაზს გადაუსვამს, ხელახლა დაწერს:

ყელთ მობჯენილო საღმობანო, ნუ დამახრჩობთ მე!

არც ეს მოეწონებათ მთარგმნელებს და ისევ წაშლიან.

შიგნეული სულ ამერია, ყელთ მომებჯინა.

უკარნახებს ილია, მაგრამ სწრაფადვე დაატანს: „წაშალე, არ გამოდგება“...

ყელთ მობჯენილო საღმობანო, ძირსა დაეშვით.

წერს მაჩაბელი, მაგრამ ილიას არც კი წააკითხებს, ისე წაშლის.

ნაღველა გასკდა და ბაღლაში გულს გადამესხა,
წარვედით ჩემგან, პოი მწეავო...

დაიწყებს ილია, მაგრამ ისევ წააშლევიანებს მაჩაბელს; არც ეს მოსწონს.

გულზედ მომადგა ნაღველისა ჩემის ბაღლაში!..
ძირს დაიწიე, მომიფონე...

არც ეს სტრიქონები მოსწონთ. მაჩაბელი ისევ წაშლის.

საოცარია, ზოგჯერ როგორ გაძნელდება ხოლმე ერთი შეხედვით თითქოს სრულიად მარტივი სტრიქონის თარგმნა! ილია შუბლს მოისრესს, ფარდაჩამოფარებულ ფანჯარასთან მივა (ამ ადგილს იგი ხუმრობით „მუზის კუთხეს“ უწოდებს), ფარნებით განათებულ ქუჩაში გაიხედავს, კიდევ ერთხელ მოისრესს შუბლს...

მაჩაბელს გული მოსდის და კვლავ ამ დათარსულ სტრიქონს ჩაჰკირკიტებს.

პოი, რა რიგად მომებჯინა ყელში ნაღველა,
თითქოს მიპირებს თვის ბაღლაში შთამინთქას გული!

არც ეს ვარგა, ისევ ახალს დაიწყებს:

ზეაღმოსულო ნაღველაო, უკუ დაბრუნდი,

ისევ უკმაყოფილოდ გაიქნევს თავს ახალგაზრდა მწერალი, და კალამს მოიმარჯვებს, რომ ახალი ვარიანტი დაიწყოს, დაწერს კიდევ რამდენიმე სიტყვას:

გულისტკივილნო, საღმობანო, წარვედით ჩემგან...

თან წერს და თან ხმაამაღლა კითხულობს მაჩაბელი, მაგრამ დამთავრებას ილია არ აცლის: ჩინებულიაო, წამოიძახებს იგი და თვითონვე ჩამოაყალიბებს ორივე სტრიქონს:

ემშაკეულნო საღმობანო, წარვედით ჩემგან
და შენც, ნალეელავ, გულს მომდგარო, ძირსვე დაეშვი...

ასე გადის დრო, სტრიქონი სტრიქონს ემატება, ქაღალდის სუფთა ფურცლები მუქდება, გული სიხარულით ივსება...

ილიაცა და ვანოც ერთნაირად არიან გახარებულნი. გრძნობენ, რომ თარგმანი ჩინებულად მიდის. ილია აღფრთოვანებულია ვანოს მკვირცხლი და ნათელი გონებით, ქართული ენის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნით. განსაკუთრებით მოსწონს მისი სიტყვის გაბედულად მოქნევა, იდიომური გამოთქმების თავის ადგილზე ხმარება, დიალოგის დინამიურად და ცოცხლად გამართვა...

დაამთავრეს პირველი მოქმედება. პირველი მკითხველი — ვასო მაჩაბელი აღტაცებულია. ახლა პეტერბურგში მყოფ ქართველ სტუდენტებს შეაყრიან და მათ წაუკითხავენ. აქაც იგივე აღფრთოვანება: ქალები ცრემლებს ვერ იმაგრებენ და ტირიან, კაცებმა მხურვალედ მიულოცეს მთარგმნელებს. ვასო მაჩაბელი ეშურება ქართველ საზოგადოებას ახაროს ეს ამბავი. მისი კორესპონდენცია „დროების“ 1873 წლის 12 ოქტომბრის ნომერში იბეჭდება.

„...კიდევ სულის საქმე. აქ, პეტერბურგში, ჩვენი ყმაწვილები სთარგმნიან პირდაპირ ინგლისურიდან შექსპირის ტრაგედიას „კოროლ ლირს“. აქ შესანიშნავი ის კი არ არის, რომ პირდაპირ დედნიდან სთარგმნიან, არამედ ის არის, რომ შექსპირის გარეგანი სიტყვების ფორმა სრულიად გადმოაქვთ ქართულ ენაზედ იმ ლექსთაწყობილებით, რომელიც აქამომდე ჩვენს ლიტერატურაში არა ხმარებულა, ესე იგი თოთხმეტ მარცვლოვანის ლექსით ურითმოთ. ამბობენ, რომ ეგეთი ლექსთ-წყობილება ჩვენს ენას უხდება და კეთილხმოვანიც არისო. ისიც გავიგეთ, რომ „კრებულის“ რედაქციას მალე გაუგზავნიან დასაბეჭდად ჯერ მარტო პირველ მოქმედებას, იმ აზრით, რომ პირუთენელმა კრიტიკამ სთქვას, რაოდენად მთარგმნელები შესწვდნენ შექსპირს და შესაფერი იქნება თუ არა ამკვარად თარგმნის გაგრძელება“.

ვანოს სისწრაფე თითქოს ილიასაც გადაედო, გულმა ვეღარ მოუთმინა, მორჩნენ თუ არა პირველ მოქმედებას, „კრებულის“

რედაქციას გაუგზავნეს დასაბეჭდად.

„ჩვენო დედა-ბოძო და არა ბოზო პეტრუს-ბეგ! — წერს იგი პეტრე უმიკაშვილს, რომელიც იმხანად „კრებულის“ რედაქციაში მუშაობდა, — ჩვენი ნათარგმნი ლირი აქამომდე მიღებული გექნება და გადაკითხულიც. მაშინ მოგწერეთ, რომ დააბეჭდინე-მეთქი კრებულში. ესლა ორს შეუცვლელს პირობას ვღებ: 1) ისე უნდა დაბეჭდონ, რომ ლექსი არ გატეხონ, ესე იგი, მთელი სტრიქონი ერთს სტრიქონზედ უნდა დასტიონ და 2) რომ ვგ პირველი მოქმედება ერთს ნომერში სრულიად, ხელუხლებლად დაბეჭდონ და კორექტურა კი შენს გაფაციცებულს თვალს მიანდონ.

„ცუდი არ იქნება, რომ მაგ თარგმანზედ შენი ჩვეულებრივი პირუთენელი აზრი მოიწერო ამ ადრესით:

Студенту СПб университета Ивану Георгиевичу Мачабели с передачею Илье Чавчавадзе.

შენი ილია ჭავჭავაძე“.

შემდეგ იქვე მიუწერია: „თუ ვგ ნათარგმნი მოგეწონა, მაშინ იმასაც გახარებ, რომ მეორე მოქმედებაც ღღეს გაკათავეთ და პირველს მოქმედებას სიკეკლუციტ არ ჩამოუვარდება“.

მეორე და დანარჩენი მოქმედების თარგმნა უფრო სწრაფად წარიმართა: ახლა გამოცდილებაც მეტი აქვთ, ერთმანეთსაც შეეგუენ მთარგმნელები და თვით ნაწარმოების სიღრმეში შესვლაც უფრო ახალისებს საქმეს. ილია ადრეც იყო გატაცებული შექსპირით, ახლა კი, როცა მისი დიდებული ნაწარმოების ყოველ სტრიქონს ცალკე თარგმნის, კიდევ უფრო ღრმად ჩაწვდა შექსპირის გენიას, კიდევ უფრო შეუყვარდა და, ეშხში შესულმა, ინგლისური ენის შესწავლა გადაწყვიტა, რათა ორიგინალში შეეძლოს გენიალური მწერლის წაკითხვა...

ყოველდღიურად, მორჩებიან თუ არა თარგმანს, ვანო ნუროკის წიგნს გაშლის — „Практическая грамматика английского языка“, რომლითაც თვითონვე სწავლობდა ენას.

იწყება ენის გაკვეთილი. ილია პეტერბურგიდან წერილით ატყობინებს ცოლს, ინგლისურის შესწავლა დაეიწყეო („აქედან რომ მოვალ, ანგლიური მეცოდინება იმდენად, რომ მსუბუქის თხზულების წაკითხვა შემეძლოს“). ვანო პეტერბურგშივე წააკითხებს ილიას ინგლისურად შექსპირის პიესის ერთ პატარა ნაწყვეტს, რომელიც

იმავე წიგნშია მოთავსებული, და შედარებით მარტივიცაა. ეს არის ანტონიოსის მონოლოგი „იულიუს კეისრიდან“. შემდეგ თბილისს გამოგზავრებულ ილია ჭავჭავაძეს ამ წიგნს გამოატანს მაჩაბელი.

სხვათა შორის, საინტერესოა ეს წიგნიც, რომელიც ახლა საჯარო ბიბლიოთეკაში ინახება, ილიას პირად არქივში, საფორზაცო ფურცელზე ინგლისურად აწერია — Machabelli. ვანოს თავიდანვე ჰქონდა ჩვეულებად წიგნში შენიშვნების გაკეთება. ეს წიგნიც აჭრელებულია ფანქრით. საინტერესოა სწორედ ეს შენიშვნები, რომელთა მიხედვით შესაძლებლობა გვეძლევა მაჩაბლის მეთოდს გავეცნოთ ენის შესწავლის საქმეში.

ფონეტიკურად მსგავს, სხვადასხვა შინაარსის სიტყვებს მაჩაბელი ერთად ალაგებს. მაგალითად, წიგნში დაბეჭდილ სიტყვას to see — видеть ფანქრით მიწერილი აქვს (მაჩაბლის ხელით) sea — море; დაბეჭდილ სიტყვას to hear — слышать, გვერდზე ვანოს ხელით მიწერილი აქვს — here — здесь, და ა.შ. საქმე ის არის, რომ სრულიად სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვები see და sea, ასევე hear და here ფონეტიკურად მსგავსნი არიან, და ადვილად დახსომების, აგრეთვე დაპირისპირების მიზნით მაჩაბელი ერთად წერს. ამას გარდა სიტყვებისათვის ფანქრით აქვს მიწერილი სინონიმები და ომონიმები.

ზოგიერთი შესწორებაც კი შეუტანია წიგნში. მაგალითად, ერთ ადგილას ინგლისური სიტყვაა ill რუსულად თარგმნილია, როგორც худо; მაჩაბელს ფანქრით გადაუშლია ეს სიტყვა და დაუწერია нелех. ზოგან კორექტურული შესწორებანიც შეუტანია. საგულისხმოა, რომ ერთი ასეთი კორექტურული შესწორება შეუტანია შექსპირის „იულიუს კეისრის“ იმ ნაწყვეტში, რომელიც ზემოთ ვახსენეთ. ერთი სიტყვით, აშკარად ჩანს, რომ მაჩაბელს მთელი წიგნი საფუძვლიანად შეუსწავლია და დაუმუშავებია.

წლის ბოლოსათვის პიესის თარგმნაც დასასრულს უახლოვდება. „კრებულში“ უკვე დასაბეჭდად მზადდება პირველი მოქმედება. შემდეგ მოქმედებებსაც უკითხავენ მთარგმნელები პეტერბურგელ სტუდენტებს. საერთო მოწონება და თარგმანით გამოწვეული აღფრთოვანება არ შემცირებულა, პირიქით, უფრო გაიზარდა. არც ილიას ამადლებული განწყობილება შეცვლილა. დეკემბრის შუა რიცხებში იგი მეუღლესა სწერს პეტერბურგიდან:

„...მართლა და თარგმანი მშენიერი რამ გამოვიდა, ასეთი კარგი, რომ წამკითხველი მთარგმნელებს დაგვლოცავენ. ქალაქში

რომ ჩამოვალ, გეინდა წარმოვადგინოთ. სცენაზე მშვენიერი რამ იქნება. ვერ წარმოიდგენ, რა რიგად კარგად გამოვიდა ქართულს ენაზედ. არც ერთი რუსული თარგმანი ქართულს არ შეედრება. აი, ღვთის მადლით, როცა მშვიდობით მოვალ, მოვიტან და კარდანახში წაგიკითხავთ და თუ არ გატიროთ, ცუდი კაცი ვიყო. შენ ხომ იცი, რომ ჩემი ნაჯღაბნის ქება მე თვითონ არ მიყვარს, მაგრამ ეს ასეთი თარგმანია, რომ არ ვაქო, ცოდვა იქნება. აქაური ემაწვილკაცობა მაგ თარგმანისათვის გაგიჟებულია და აღტაცებაში მოსული“.

1874 წლის 1 იანვარს, სწორედ ახალ წელიწადს, „ლირზე“ მუშაობა საბოლოოდ დასრულდა. ამით დამთავრდა ჭკუჭკავადისა და მახაბლის მეგობრობისა და თანამშრომლობის პირველი სანატრელი პერიოდი.

რამდენიმე ხნის შემდეგ დიდი მწერალი გამოეთხოვება თავის ახალგაზრდა თანამოკალმეს და საშობლოში გამოსწევს. თარგმანით მისი აღტაცება პეტერბურგიდან დაბრუნების შემდეგაც არ განელებულა — ზედისზედ აწყობს „ლირის“ საჯარო კითხვას თბილისსა და ქუთაისში და ყველგან სიყვარულითა და ქებით ახსენებს თავის ახალგაზრდა მეგობარსა და თანამოკალმეს. ილია ისევე ისე ღელავს ამ თარგმანის გამო. პეტერბურგიდან დაბრუნებული, ვასოსა სწერს: „ვანოს გულითადს მოკითხვას მოვახსენებ... ვანოს უთხარი, რომ ლირი მივეცი კრებულში დასაბეჭდად. ყველას მოსწონს, აკაკი წერეთლის გარდა. დღეს საღამოზედ დიდი ყრილობაა და იქ ვკითხულობ ლირსა. თუ ჩემებურად გაქირი ვქენ, ვერაფერი კითხვა მომივია. ქუთაისში გამოვლაზე წაეიკითხე. ძალიან ცუდად და საძაგლად მომივიდა კითხვა. თქვენ რომ ყოფილიყავით, შემიბრალებდით, ისე საძაგლად ვიყავი. ენახოთ ამაღამდელი ღამე რას იტყვი“.

ასე იშვიათად აღელვებულა დინჯი ილია. შთაბეჭდილება ყველგან ერთნაირია. „არ გვეგონია, თუ ეს შესანიშნავი თხზულება ასე მშვენიერად გადმოიდებოდა ქართულს ენაზედ“, წერენ განუთები. ყველას პირზე აკერია შექსპირის ახალი თარგმანი. ნაცნობ-მეგობრები კერძო მიწერ-მოწერაშიაც კი უზიარებენ ერთმანეთს თარგმანით გამოწვეულ აღტაცებას. კონსტანტინე ბებუთოვი 1874 წლის 19 ივლისს პარიზში მყოფ ნიკო ნიკოლაძესა სწერს:

«На днях был здесь Илья и читал у меня свой перевод Лира. Слушателей было человек 30. Перевод кончен и находят прелестным».

ერთი სიტყვით, თარგმანმა იმაზე მეტი გამოხმაურება გამოიწვია,

ვიდრე მოსალოდნელი იყო. ქართველმა საზოგადოებამ ეს მიიღო, როგორც დიდად მნიშვნელოვანი ლიტერატურული მოვლენა. შექსპირი დიდი ხანია შეიყვარა ჩვენმა მკითხველმა და მაყურებელმა. ორმოციანი წლებიდან მოკიდებული, შექსპირი სისტემატურად ითარგმნება ქართულად. და იმ მდარე თარგმანებშიაც, თითქოს ინტუიციით იგრძნეს რენესანსის უდიდესი მომღერლის სიდიადე და გენიალობა. ახლა კი, როცა „ლირის“ თარგმანი მოველინა ქართულ ლიტერატურას, ჩვენმა მკითხველმა პირველად განიცადა შექსპირის გენიის ძალა. აღტაცება მით უფრო დიდი იყო, რომ ყველა გრძნობდა — შექსპირის თარგმნის საკითხი საბოლოოდ გადაიჭრა და ამას გარდა, საერთოდ ახალი ლიტერატურის თარგმნის საქმესაც ჩაეყარა მკვიდრი საფუძველი.



პეტერბურგს დარჩენილი ვანო მაჩაბელი დროებით თავს ანებებს ლიტერატურულ მუშაობას და ჩვეული გულმოდგინებით განაგრძობს სწავლას.

მაჩაბელი პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე სწავლობს. არჩევანი შემთხვევითი როდია. მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მშობელ ხალხს ემსახუროს. „სამშობლოსათვის მოციქულ-მოწამედ ამზადებს თავს“. მშობელ ხალხს კი ახლა ძალიან უჭირს. ბატონყმობის გაუქმება ფიქტიური გამოდგა. გლეხკაცობა წელში წყდება, შიმშილით იხოცება. მუსრს ავლებს ათასნაირი ეპიდემიები... ცალკე მებატონეებისა და მეფის ჩინონიკებისაგან ჩაგვრა, ცალკე კიდევ მოუსაველიანობა, მიწის სიმწირე. გვაღვა, სეტყვა, ცრუმორწმუნეობა, უუფლებობა, უეიცობა... ერთი სიტყვით, ყველა ის უბედურება, რაც ასე შესანიშნავად აგვიწერა თავის მოთხრობებში ვანოსავე თანატოლმა ნიკო ლომოურმა. გაჭირებულ ხალხს დახმარება უნდა, გზის გაკვლევა და ტკივილების დაამება. და ვანო მაჩაბელსაც გადაუწყვეტია ხალხს დაეხმაროს. ამავე აზრისაა უფროსი ძმაც, რომელსაც სულ ეს აკერია პირზე, ჩვენს მრავალტანჯულ ხალხს უნდა დაეხმაროთო. ვანოსა და მისი ძმის აზრით, ქართველ გლეხობას ყველაზე მეტად გზის გაკვლევა სჭირდება მეურნეობის ხეირიანად წარმართვისათვის, რომ იმ თითო მტკაველა მიწაზე, რაც გლეხკაცის საკუთრებას შეადგენს, მეურნეობის

გაუმჯობესებული წესების წყალობით, რაც შეიძლება მეტი მოსავალი მიიღოს; შესძლოს ბრძოლა გვალვისა, წყალდიდობისა, კალიის, ჭივიჭივისა, მოსავლის იმ ათასნაირი მტრის წინააღმდეგ, რომელთა თავიდან მოშორება განათლებულ ადამიანს ასე თუ ისე შეუძლია. მშობელი ხალხის უბედურების უფრო ღრმა, სოციალურ მიზეზებს ძმები ვერ ხედავენ, არ არიან საამისოდ მოშხალებულნი. და, ამდენად, მათი მისწრაფებანი კეთილშობლურია, მაგრამ გულუბრყვილო...

ამგვარად, მაჩაბლის არჩევანი, როცა იგი საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე შედიოდა, შემთხვევითი არ ყოფილა. იგი უპასუხებდა მის მისწრაფებასა და მოწოდებას.

ძმას უფრო დიდი გეგმები აქვს, იმედოვნებს, რომ მანამ ვანო უნივერსიტეტს დაამთავრებდეს, მისი ეკონომიური მდგომარეობაც გამოსწორდება და, ვინ იცის, იქნებ უმცროსი ძმის საზღვარგარეთ გაგზავნაც მოახერხოს, მებაღეობა-მევენახეობის შესასწავლად...

ახლა კი, ჩვეულებრივ, გაჭირვებას განიცდიან ძმები. ვასოს მცირე ჯამაგირი, რომლის ერთი ნაწილი იძულებულია სახლში უგზავნოს დედას, პურის ფულადაც ძლივს ყოფნით. ვანოს მდგომარეობა არაფრით არა ჰგავს სხვა თავადიშვილებისას, რომლებიც დღეში რამდენჯერმე იცვლიან ტანსაცმელს და უნივერსიტეტში კარეტებით დადიან. უბრალო დაგლეჯილი წაღებიდან ვანოს ზოგჯერ თითებიც კი მოუჩანს. ზაფხულობით პეტერბურგის სტუდენტობა ქალაქთან ახლო მდებარე აგარაკებზე მიემგზავრება, ვანოს კი ამის საშუალება არა აქვს. ყველაფერს ურჩენია, ზაფხული შინ გაატაროს, საკუთარ სოფელში, მაგრამ ეს ისეთი ფუფუნება იქნებოდა, რაზე ოცნების უფლებაც კი არა აქვს ხელმოკლე სტუდენტს.

აქაც აღმოუჩნდება მაჩაბელს დამხმარე და მფარველი. ეს არის ქართველი მეცნიერი ჩუბინაშვილი, რომელიც მთელ ქართველ სტუდენტობას უწევს მზრუნველობას, მაგრამ განსაკუთრებით არის დაახლოებული მაჩაბლებთან — მოსწონს ძმების შრომისმოყვარეობა, საქმის სიყვარული, სიბეჯითე... ჩუბინაშვილი მაჩაბლების მამასაც კარგად იცნობდა. ვანო მაჩაბელი ჩუბინაშვილის მდიდარი ბიბლიოთეკითაც სარგებლობს. ზაფხულში ჩუბინაშვილისავე რეკომენდაციით, იგი მდივნად მოეწყობა ერთ-ერთ პეტერბურგელ მოხელესთან, პირობები მიმზიდველია — შესანიშნავი კვება, საუცხოო აგარაკი, კარგი ხასიათის კაცი და, რაც მთავარია, ბევრი თავისუფალი დრო. ვანოს შეუძლია თავისი საქმე აკეთოს, წიგნები იკითხოს, კარგად დაისვენოს.

ხელმოკლე სტუდენტისათვის ეს პირობები მაცუენებელია, თუმცა ეანოს სამშობლოში გამგზავრება ერჩინა, თუნდაც ნახევრად მშიერი ყოფილიყო. მაჩაბელი სიხარულით დათანხმდა ამ პირობებს, გააკყვა ჩინოვნიკს აგარაკზე; და როცა ეტლი სოფელში შვერიალდა, ეანოს სახე გაებადრა: სიხარულით აღმოაჩინა ამ აგარაკის შორეული მსგაესება თავის სოფელთან (ეანო მაჩაბელს მუდამ სტანჯავდა სამშობლოდან დაშორების სევედა).

საყურადღებოა ერთი წერილი, რომელსაც იგი ძმასა სწერს აგარაკიდან. ეს წერილი მრავალმხრივ არის საინტერესო და ამიტომ მთლიანად მოვიყვან.

„ორშაბათი, 18 თიბათვე (1873 წელი).

„შენ, რასაკვირველია, გაცდები, ეს წიგნი რომ ქალაქის ფორჩით მოგევა, მაგრამ აი ამის მიზეზი რა არის: მე რომ აქ მოველი, სამს დღეს მაინც რიგინანდ არ დაებინავებულევარ, რადგანაც არ იცოდნენ რომელი ოთახი მოეცათ; რომელიც ჩემთვის მოეშაადებინათ, ბნელი და ნოტიო გამოდგა. ამ სამს დღეში ჩამადანი არც კი გამიხსნია და, რაღა თქმა უნდა, რომ მარკასაც ვერ ამოვიღებდი. რადგან დღე დღეზედ ვოლენსის ბიძაშეილი (რომელიც ჩემთანვე დგას) მანდ წამოსულას აპირებდა სამსახურში, მითხრა, წიგნი მე მომეციო და ქალაქში მე თვითონ ჩავაგდებ იაშჩიკშიო. მეც ასრე ვარჩიე... ეხლანდელი ჩემი ოთახი მართალია ძალიან პატარაა, მაგრამ ნათელი და უნოტიო, ასრე პატარაა, რომ აქ რამის დატევა შეუძლებელია, ამისათვის შეს აქ მოსეღის აზრს უნდა თავი დაანებო.

„აქ ვოლენსთან მხოლოდ ერთი ბიძაშეილი, პერევერზიევი და იმის დედა დგანან, სხვა მეტი არავინ არის. თვითონ ძალიან კარგი კაცი ყოფილა, რომ უკეთესი არ შეიძლება. აი ჩემი დღიური: დილით ექვს ან შვიდს საათზედ ვდგები, საბანაოთ ზღვაში მივდივარ, რომელიც ხუთს ნაბიჯზედ არის (აქ მოსეღის მეორე დღესვე ბანაობა დავიწყე), დილით ჩაი ან ყავა ნაღებით და ბულკით, 1 საათზე ყავა ერბოთი ან კვერცხით და სხვ. 4 საათზე სადილი, ოთხი ან სამი თავი, სადილის უკან კიდევ ყავა, საღამოზედ ბანაობა და ჩაი და თუ მინდა რბეც. დილიდამ 1 საათამდე მე ჩემს საქმეს ვაკეთებ, 1-დამ 7-დე იმისას, მერე 1 საათს შექსპირს ვთარგმნი და მერე სხვა ადვილს რასმეს ვკითხულობ. იმის საქმე ძალიან ადვილი და სახალისოა, მაგრამ ეს მეშინიან, რომ არ ეცოტაოს, თუმცა აქამდისინ ძალიან კარგად მექცევა და კიდევაც მოსწონს ჩემი ნათარგმნი. ეს არის ძნელი რომ ნემენცურიდან ძალიან ცოტაა სათარგმნი. თუ ძლიერ გინდა აქ

წამოსვლა, მომწერე და იქნება ფასით აქ ახლო-მახლო ორს დღეს შენთვის ოთახი ვიშოვო, მაგრამ საჭმელზე კი გაჭირდება.

„წალები ძალიან საჭიროა, ეს ერთ ადგილას კიდევ გამიცედა. თუ შეიძლება ეგენი შენ პერევერზიევს მიუტანე და ის მე მომიტანს... ადგილი აქ ძალიან კარგია, ჩვენებური ოღრო-ჩოღრო. ზღვა, ტყე და სხე...“

ამ წერილით ადვილად მიხვდება კაცი, რომ სტუდენტი მაჩაბელი მანცლამანც განებიერებული ვერ იყო. იგი ერთგვარი გაკვირვებითა და კმაყოფილებით სწერს ძმას სამი-ოთხი თაეი სადილისა და საღამოზე დამატებითი ჭიქა რძის შესახებ და შიშობს კიდევ, ასეთი ადგილი არ დაკარგოს, მის დამქირავებელს საქმე არ შემოელიოს, „არ ეცოტაეოს“ მისი ნამუშევარი...

კიდევ უფრო საყურადღებოა ახალგაზრდა მაჩაბლის დღის რეჟიმი, ანუ, როგორც თვითონ უკეთ უწოდებს, დღიური: ადრე დილიდან 1 საათამდე მუშაობა; 1 საათიდან 7-მდე კიდევ მუშაობა; მერე კიდევ ერთი საათი მუშაობა; ხოლო შემდეგ, ამდენი მუშაობით დაღლილი იმით ისვენებს, რომ „ადვილს რასმე“ კითხულობს!.. ეს დღიური მარტო იმ ზაფხულისა არ არის: ასეთი დღიური ჰქონდა მას, როცა გიმნაზიაში სწავლობდა, ამავე დღიურით მუშაობდა ზამთრობით პეტერბურგში, ეს დღიური გააკვება უცხოეთშიაც, ხოლო შემდეგ, იქიდან დაბრუნებულს...

ისევე პეტერბურგის უნივერსიტეტს დაუბრუნდეთ.

„იმდროინდელი სტუდენტობა, — წერს აკაკი წერეთელი, — სრულებით არ ჰგავდა დღევანდლისას. ახლანდელმა სტუდენტობამ წინდაწინვე იცის, რა უნდა გააკეთოს მომავალში!.. გამოზომილი და გამოანგარიშებული აქვს რისთვისაც ემზადება! „ეგრე თაეო და თაეო, მერე კი ცოლო და შვილო“, ფიქრობს. ძველები კი იდეალისტები იყვნენ, ადვილად გაიმეტებდნენ თავს: ერთ უმნიშვნელო რაიმეს გულისათვის კედელს შეეხლებოდნენ, სამშობლოსათვის მოციქულ-მოწამეებად ამზადებდნენ თავს... სწორედ ამგვარ წრეში იყო ჩამდგარი ი. მაჩაბელიც. ერთი თვალის გადავლებით, როგორც შევატყვე, ის პირველთაგანიც იყო“...

ვანო დაწაფებულია სწავლას. ლექციებს არ აცდენს. ან კი როგორ შეიძლება გააცდინოს, როცა ისეთი დიდი მეცნიერები ჰყავს ლექტორებად, როგორიც არიან სერენოვი, მენდელეევი, ბუტლეროვი, ვაგნერი...

რალა თქმა უნდა, ეს მეცნიერები არ ყოფილან უბრალო ლექტორები, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. ესენი იყვნენ ადამიანები,

რომელთაც მთელი გადატრიალება მოახდინეს მეცნიერებაში. ადვილი წარმოსადგენია, რა გაელენას მოახდენდნენ ისინი მსმენელებზე.

ი.მანსვეტაშვილი იგონებს: „მოუთმენლად ეელოდებით პირველ ლექციას, რომელიც მენდელეევა უნდა წაიკითხოს. აუდიტორია, სადაც ქიმიის ლექციები იკითხებოდა, ოთხას სტუდენტს იტევდა. მაგრამ ხშირად 500-600 სტუდენტიც მოიკრიფადა ხოლმე თავს. სხვა ფაკულტეტების სტუდენტებიც ბლომად მოდიოდნენ მენდელეევის მოსასმენად. აუდიტორიაში ტევა არ იყო... აი გაიღო კარი... და ნელის ნაბიჯებით ამოვიდა მენდელეევი. გაისმა ქუხილი მთელი აუდიტორიის ტაშისცემისა. ჩემ თვალწინ იდგა შუატანზე ცოტა უფრო მაღალი, შუახნის კაცი, ოდნავ წელში მოხრილი, მოქერო პატარა წვერულვამით და ხშირი, ცოტა მოხუჭუჭო თმით, რომელიც თითქმის მხრებამდე უცემდა. მეგონა, ჩემ წინ დგას ძველი დროის იმერელი, გრძელ თმას რომ ატარებდნენ ფაფანაკით. ცოტა მომსხო ტუჩები, სწორი, თითქოს ჩამოსხმული ცხვირი და მოჭროლო თვალები, რომელთაც ოდნავ დაღლილობის შეხედულება აქონდა. მისი სახე მიმზიდველ და კეთილშობილურ შთაბეჭდილებას სტოვებდა პირველ შეხედვაზე. მანამ ტაშის კერა გრძელდებოდა, მენდელეევი უძრავად იდგა, არც ერთი ასო მის პირისახეზე არ განძრეულა. ფიქრში იყო გართული და თითქოს ვერაფერს აკრძნობდა, თუ არ მოსწონდა ასეთი დემონსტრაცია, ვერ მიხვდებოდა კაცი. როგორც ვთქვი, პირის მეტყველება არაფერს გვეუბნებოდა.

„დაწყნარდა აუდიტორია. მენდელეევა მაშინვე დაიწყო ლექციის კითხვა ისეთი კილოთი, თითქოს სიტყვა შეაწყვეტინეს და ეხლა ხელახლად განაგრძობსო. ხმა ცოტა ბოხი აქონდა, მაგრამ არა მკვეთრი, რაღაც დაღლილობა ეტყობოდა. მენდელეევი არ იყო ორატორი, სიტყვები დიდის გაჭირვებით მოსდევდნენ ერთმანეთს. თითქოს მათ მსულელობას რაღაცა ელოებოდა წინ, რაღაცა იჭერდა. მაინც ყველანი სულგანაბულნი, თვალებგაცეცებულნი ვისმენდით მის მძიმედ ზღაზუნით მომდინარე სიტყვას. რა იყო ამის მიზეზი? ის, რომ მისი სიტყვა მდიდარი აზრებით იყო შეზავებული. მენდელეევი არ ჰგავდა იმ ორატორებს, რომელნიც სიტყვებს სეტყვასავით გაყრიან, ყურს გიყრუებენ და სულსა და გულს კი არა ხედება რა. აქ კი ხედავდი, გრძნობდი, რომ ამ მაღალ, დანაოჭებულ შუბლს ქვეშ რაღაც საუცხოო ლაბორატორიაა მოთავსებული, რომ ამ ლაბორატორიაში შენს თვალწინ რაღაც ისახება, იზრდება და ეს ჩანასახი, შემოქმედებითი ძალით ხორცშესხმულ სიტყვად ქცეული, გველინება, სავსებით

იპყრობს შენს ყურთა სმენას და სულსა და გულში გხედება. გრძნობ, რომ ყოველი მისი სიტყვა შემოქმედების ნაყოფია, რომ ყოველი მისი სიტყვა აზრით არის გაჟღენთილი, შინაარსით დატვირთული, ამიტომ არის მძიმე და ძნელი მათი წარმოთქმა. არც ერთი მისი სიტყვა არ არის ლიტონი, უშინაარსო. ყოველი სიტყვა იგივე აზრია და ასე აზრი მისდევს აზრს შეუსწევებლად, როგორც მდინარის ზვირთები ზედიზედ მისდევენ ერთმანეთს“...

ასეთი დიდი მეცნიერების წყალობით ვანო მაჩაბელი ღებულობს ღრმა, ფართო საბუნებისმეტყველო განათლებას. იგი არ იფარგლება ბუნებისმეტყველების რომელიმე ცალკე დარგით — საერთო განათლებას იძენს, ეცნობა სამყაროს აგებულებას, ორგანულ და არაორგანულ ბუნებას, ფიზიკის კანონებს... ერთი სიტყვით, ღებულობს ზოგად, მაგრამ საფუძვლიან ცოდნას.

მაგრამ მარტო საბუნებისმეტყველო მეცნიერებით როდი კმაყოფილდება. იგი ახლა იმ ქალაქში იმყოფება, სადაც მოწინავე ახალგაზრდობა ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის, გერცენის რევოლუციური იდეებით სულდგმულობს. ამ ქალაქში მიიღო პირველი პოეტური ნათლობა დიდმა პუშკინმა და აქვე ახლა მგზნებარედ მღერის ხალხის პოეტი ნიკოლოზ ნეკრასოვი. პეტერბურგშია ახლა ვანოს საყვარელი მწერალი დოსტოვესკიც, რომელსაც ხშირად სახლამდეც მისდევს ხოლმე ლიტერატურით გატაცებული სტუდენტი.

მაჩაბლის დღიური პეტერბურგში კიდევ უფრო გადატვირთულია, და ხშირად მთელ ღამეებს, ჩრდილოეთის თეთრ ღამეებს, მართლაც რომ თეთრად ათენებს უნივერსიტეტის სტუდენტი. ამიტომაც გასაგებია, რად ვერ უთმობდა იგი უფრო მეტ დროს შექსპირის თარგმნას და საერთო შემოქმედებით მუშაობას. მაჩაბელი ბავშვობიდანვე შეეჩვია საქმისადმი სერიოზულ დამოკიდებულებას, გულისხმიერებას და სიბეჯითეს. „რასაც ხელს მოჰკიდებ, უსათუოდ, უნდა გააკეთო, ბოლომდე მიიყვანო“ — მალიძალ შეახსენებს ხოლმე ძმა და ვანომაც შეისისხლხორცა ეს კანონი.

1875 წლის გაზაფხულზე ვანო მაჩაბელი პეტერბურგის უნივერსიტეტს ამთავრებს. ძმის გვემების განხორციელება ახლა უფრო ადვილია; მისი მდგომარეობა ერთგვარად გამოსწორდა. ახლა უკვე შეუძლია ვანო საზღვარგარეთ გაგზავნოს.

ძმებმა მოილაპარაკეს: ვანო ჯერ სოფლისკენ გასწევს, სადაც რამდენიმე ხნის შემდეგ ეასოც უნდა ჩავიდეს. თავს მოაბამენ მამისა და ბიძების გაყრის საქმეს. შემოდგომაზე კი ვანო უცხოეთში გაემგზავრება...

კაცი ბჭობს, ღმერთი იცინისო, ნათქვამია. ძმების დაწყობილ გეგმას დაბრკოლება გადაელობა. ოჯახში მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავებულია, ბიძები აღრენილები არიან, კარგი მამულები რაც კი გექონდა, სულ მამაშენმა გაგეიყიდაო, ეუბნებიან ვანოს. გაყრას აჩქარებენ, თუმცა გასაყოფიც აღარა დარჩა რა, გაყიდულ მამულებს რა გაყოფა უნდა! ბარემ ახლავე გაეიყოთ, ვასიკოს რაღას ველოდებით, მერე ვეღარ მოვიცლი, 19 თიბათვეს ლაგერში მიედივარო, ამბობს ბიძა ალექსანდრე. მაგრამ გიორგი მაჩაბელი არ თანხმდება: ატყობს, რომ საქმე მის სასარგებლოდ არ გადაწყდება და გულში იდუმალად იმედი აქვს უფროსი შვილისა, რომელიც უკვე ვეჭილია პეტერბურდს და ხელმწიფის კანონები სულ ზეპირად იცის. ბიძები იმუქრებიან, საოჯახო ვალებს გიორგის ვარგუშნობთ, რადგან ეს ვალები მისი აღებულია, ოჯახში კი არაფერი დაუხარჯავსო. გიორგი მაჩაბელს ეშინია ძმების მუქარისა და უფროს შვილსა სთხოვს, როგორმე მალე მომეშველეო: ჩამოსვლის დღესვე დასვამს ვანოს და წერილს დააწერინებს ვასოსთან, — რაც უნდა ცოტა ხნობით ჩამოხვიდე, გაყრას მაინც მოვასწრებთ, რადგან, ისედაც გაყრილებივითა ვართ, საერთო მოსაველიდან ყველას თავისი მესამედი მიგვაქვსო. რაც შეიძლება ეცადე, რომ მალე მოხვიდეო.

მამა დაბერებულია. არანორმალურ ცხოვრებას გაუტეხია, თვალის უპეები წამოსიებია და, თუმცა იხტიბარს არ იტეხს, ძველებურად დაფართიფურთობს და თავის ამაყად დაჭერასაც ცდილობს, ის ძველი მხნეობა და ჯანი მაინც აღარ მოსდევს, უდარდელობა კი ძველებური შერჩენია. ახლაც, თითქოს ძალიან განიცდის გაყრის საქმესა და ძმების მუქარას, მაგრამ ვანო მშვენიერად ხედავს, რომ სინამდვილეში ეს ამბები მაინცდამაინც არ ეკარება მამის გულს. მას ახლა უფრო ის აწუხებს, რომ გასართობი წიგნები აღარ აქვს, და იმავე წერილში, რომლითაც შვილს მალე ჩამოსვლასა სთხოვს, ვანოს მიაწერინებს; „მამა გითვლის, რომ თუ ჩუბინოვს, ან სხვა ვისმე აქვს ქართული ზღაპრები 1001 ღამისა (Сказки 1000 и 1 ночи) სთხოვე და წამოიდეო, და ისევე უკანვე დაუბრუნებთო წაკითხვის შემდეგ“.

მაგრამ ამ ზღაპრების წაკითხვა და გადაწერა გიორგი მაჩაბელს აღარ დასცალდა...

ვასო იმავე ზაფხულს ჩამოვიდა. ბიძა ალექსანდრეც ჩამოიყვანეს „ლაგერიდან“ და გაიყარნენ. გიორგი მაჩაბელს ვერ უშველა ვეჭილი

შვილის ჩამოსვლამ. დიდი დავისა და უსიამოვნების შემდეგ ბიძებმა თავიანთი მუქარა გაიტანეს, გიორგის არ არგუნეს არც სახლი, არც კარი, არც ბინადრობა და დროებით მისი ოჯახი უნდა შეხიზნოდა ძმას იასეს. სამაგიეროდ მას „არგუნეს მთელი საოჯახო ვალი, რადგან უამისოდ გაყრას არა თანხმდებოდნენ...“ წერს თავის მოგონებაში ვასო მაჩაბელი.

„ღარღების გასაქარებლად“ გიორგი მაჩაბელი გორს გაეშურა, მგობრებში, შინ დაიბარა, რალაც დიდ საქმეზე მიედივარ და რამდენიმე დღეში ისევ დაებრუნდები, ვასიკოს გამოვეშვიდობებო.

რამდენიმე დღის შემდეგ მართლაც მოიტანეს გორიდან ამბავი, რომ გიორგი მაჩაბელი უეცრად „ბელტიყლაპიას“ ტრაქტირის ნომერში გარდაცვლილიყო.

ამ ამბავმა ოჯახი დაამწუხრა. ყველა სიკვდილის შვილები ვართ, მაგრამ ასეთი სიკვდილი მაინც საზარელია! ვილაც მიკიტნის სარდაფში, ლოთობის დროს, ღვინოში ჩაიხრჩოს კაცი!.. კიდევ ბელი მისი, რომ ვასიკო სახლში შეესწრო...

ძმები დაფაცურდნენ, შინ თადარიგი დაიჭირეს, ურემი შეაბმევიენეს და ბიძების თანხლებით მამის ჩამოსასვენებლად გასწიეს...

გიორგი მაჩაბლის ტრაგი-კომედია სრული არ იქნებოდა, უკანასკნელი სურათი რომ არ დაემატებინა „ბელტიყლაპიას“, ცხედრის წასასვენებლად ჩასულ ჭირისუფალს ჯერ თანაგრძნობით მიუსამძიძრა მეტრაქტირემ, სხვა, წერილმანი თადარიგიც დაიჭირა, მაგრამ როცა გასვენებაზე მიდგა საქმე, უხერხული უარი სტკიცა: რა ექნა, ამას როგორ უნდა ვამბობდე, მაგრამ მანამ ცხონებული თავადის ვალს — 80 თუმანს არ გადამიხდით, მიცვალებულს ვერ მოგცემთო, ამოხხერით უთხრა მეტრაქტირემ და გიორგი მაჩაბლის მიერ სხვადასხვა დროს უხვად მიცემული თამასუქები ამოალაგა. ბიძამ იწყინა ასეთი ხუმრობა და ხანჯალზე იტაცა ხელი, შვილებმა მწუხარედ შეხედეს ერთმანეთს, იქვე თაემოყრილმა ხალხმა ამოიხენეშა... მაგრამ მეტრაქტირე, ეტყობოდა, არა ხუმრობდა, შეიქნა ჩოჩქოლი, მისვლა-მოსვლა, მუქარა, მოლაპარაკება, მუდარა, მაგრამ მეტრაქტირემ ძალიან კარგად იცოდა თავისი საქმე და მაგრად იდგა. არც დარდიმანდი იასე მაჩაბლის მუქარისა და ხანჯლის შეშინებია, და არც ყმაწვილი ძმების ცრემლმორეულ თვალებს მოუღებია მისთვის გული.

მეტი რაღა ჩარა იყო, ვასიკომ ვანოს გასაგზავნი ფული ამოიღო, უკანასკნელი გროშები შეაგროვა, ნათესაებში ჩამოიხესხა და ოთხმოცი თუმანი ნაღდი მიუთვალა მეტრაქტირეს...

ორმა გაუთვალისწინებელმა ხარჯმა ძმები საგონებელში ჩააგდო და თითქმის ფეხზე წამომდგარ, ცხოვრებაში გამოსულ ვასიკოს წელი მოსწყვიტა. გარდა ამ ოთხმოცი თუმნისა და მამის დაკრძალვის ხარჯებისა, საჭირო იყო აგრეთვე პატარა სახლის აშენება, რომ ცალკე დასახლებულიყვნენ და დიდხანს არ ყოფილიყვნენ შეხიზნული იასეს სახლში. ამას დაემატა მესამე ხარჯიც — შხითევის მოშზადება დარიკოსათვის, რომელიც სწორედ იმ ხანებში გათხოვდა.

ამრიგად, ვანოს უცხოეთში გამგზავრება გადაიდო. ძმა პეტერბურგს გაემგზავრა და აღუთქვა იქიდან ფულის გზავნა სახლის მშენებლობისათვის. ვანო ოჯახში დარჩა.

მაშინვე წამოიწყეს პატარა სახლის შენება, გეგმა ვანომ მოხაზა და მშენებლობასაც თვითონვე ხელმძღვანელობდა. შეარჩია, სად უნდა დაედგათ სახლი, ბაღი სად გაეშენებინათ, ვენახი სად ჩაეყარათ... ერთი სიტყვით, ვანო მაჩაბელი მთელი გატაცებით შეუდგა შინაურ მეურნეობას. გადაწყვიტა თავისი ისედაც ლამაზი კარ-მიდამო წალკოტად ექცია.

გადმოცემით, ვანო მაჩაბელი იმავე წელს გორში ახალჩამოყალიბებულ ქართველ ხალხოსანთა წრის რამდენიმე სხდომასაც დასწრებია.

ამ წრეს ხელმძღვანელობდნენ ცნობილი ხალხოსნები ვენატე იოსელიანი და მიშო ყიფიანი. წრეში გაერთიანებული იყვნენ ვანოს ახლობელი ადამიანები — კოლა ფაველენიშვილი, მისი ძმა რამანი, სოფრომ მგალობლიშვილი...

მაგრამ ვანო მაჩაბელი უფრო პროგრესული იდეების მატარებელი იყო, უფრო შორს იყურებოდა და არ შეიძლებოდა დიდი თანაგრძნობა გამოეჩინა „ტეტიათა მოტრფიალეებისადმი“. იგი ალბათ დააინტერესა ამ ჯგუფის ზოგადმა მისწრაფებებმა. — დახმარებოდნენ მშრომელ ხალხს. ეს იყო და ეს. ხალხოსანი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ვანო მაჩაბელი არასოდეს არ ყოფილა. ერთ თავის მოგონებაში სოფრომ მგალობლიშვილი წერს: „ვანო მე გავიცან დაახლოებით 1875 წელს, როდესაც იგი ჩამოვიდა პეტერბურგიდან... იგი გაეცნო ჩვენს ხალხოსნურ წრეს, გვიწინასწარმეტყველა, რომ ასეთს მოძრაობას დიდი ბოლო არ ექნება, მშრომელთა განმათავისუფლებელი ჯგუფი, რომლის ჩანასახი უკვე მოსჩანს რუსეთში, გაიმარჯვებს და ლელოს ის გაიტანსო“.

იმავე წელს მაჩაბელი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს აგრეთვე სცენისმოყვარეთა მიერ გამართულ წარმოდგენებში. თბილისსა და

გორში მაშინ სისტემატურად იმართებოდა ასეთი წარმოდგენები. ვანოს ინიციატივით ცხინვალშიაც ზედიზედ რამდენჯერმე წარმოადგინეს ადგილობრივმა სცენისმოყვარეებმა სხვადასხვა პიესები. „დროების“ 1875 წლის ერთ-ერთ ნომერში ვკითხულობთ:

ცხინვალი, 31 აგვისტო

„ამ ცოტა ხანებში გორის უეზღში სამჯერ იყო ქართული წარმოდგენა: ერთი გორში და ორიც სოფ. ცხინვალში. გორის წარმოდგენაზე მე არ დაესწრებივარ და ამისათვის არ ვიცი როგორ წარმოადგინეს, მხოლოდ ეს კი გაავიგე სანდო პირებისაგან, რომ ერთს გაბუნიას ქალს ეთამაშა მშვენიერად.

„აგრეთვე არ დაესწრებივარ ცხინვალში პირველ წარმოდგენას. მეორე წარმოდგენაზე კი დავესწარი.

„წარმოადგინეს „გაყრა“ გ. ერისთავისა, აგვისტოს 31-ს კვირა დღეს, უფ. ალექსანდრე ოპანოვის სახლში.

„საზოგადოდ წარმოდგენა ისე მშვენიერად წავიდა, რომ თვით თფილისშიაც იშვიათია ზოლმე ასე კარგად წარმოდგენა. კერძოდ კი უნდა შევნიშნოთ ზოგიერთ პირებს: მაგ., მიქიტრუმას როლის აღმსრულებელი ვასილ ტერ-აბრამიანცი აზვიადებდა თავის როლს... კაცებში უნაკლოდ აღასრულეს თავიანთი როლები ზაალ მაჩაბელმა — პაულეს როლი, ივანე მაჩაბელმა — ივანეს როლი და ნ. გაბუნიაშვილის როლი. დანარჩენითაც ურიგოდ არ უთამაშნიათ.

„განსაკუთრებით ქებისა და პატივისცემის ღირსნი არიან მოთამაშე ქალები, ამათ დასთრგუნეს ის ცრუმორწმუნეობა, რომ ვითომც თეატრში თამაშობა უნამუსობა იყოს. მაგრამ რას ბრძანებთ, ბატონებო! აქ, ცხინვალში არამც თუ თამაშობას, არამედ თვით თეატრში წასვლასაც კი უნამუსობას ემახიან ზოგიერთი ქალები. თუ ღმერთი გწამთ, დააყენეთ თქვენი წუნკლიანი ენა და როდესაც თქვენ არ გინდათ მონაწილეობის მიღება საზოგადო საქმეში, სხეას მაინც ნუ უშლით. ნინოსი და შუშანას როლები აღასრულა ა. მაჩაბლისამ, მაკრინესი და თათულასი — ეფემია მაჩაბლისამ, ყარდაშეერდისა — ა. ალექსიევისამ. სამივემ თავიანთი როლები კარგად აღასრულეს. მაგრამ უმშვენიერესად, უნაკლულად და სწორედ რომ არტისტულად აღასრულა თავისი როლი ეფემია მაჩაბლისამ...

„ხალხი იმდენი იყო, რამდენიც დაეტეოდა ზალაში, ე. ი. ასამდინ სული...“

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სცენისმოყვარეთა ასეთ წარმოდგენებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო ხალხის გათვითცნობიერებისა და განათლების თვალსაზრისით, არამედ, აგრეთვე, როგორც მკვიდრი საფუძვლის მომამზადებელს მუდმივი ქართული თეატრისათვის. ზემოთ მოყვანილ საგაზეთო ქრონიკაში საგულისხმოა, მაგალითად, ის ფაქტი, რომ ქართული თეატრის ორმა ნიჭიერმა მსახიობმა — ნატო გაბუნიაშვილი და ზალიკო მაჩაბელი გორისა და ცხინვალის სცენისმოყვარეთა წარმოდგენებზე აიღვეს ფეხი...

პეტერბურგიდან დაბრუნების ერთი წლის შემდეგ ეანო მაჩაბელი რის ვაი-ვაგლახით და გაჭირვებით ახერხებს უცხოეთში გამგზავრებას.

„შენ არ იცი, რა წვალებით და ჭაპან-წყვეტით მოხერხდა იმის საშლდვარს გარეთ წასვლა...“ სწერს რამდენიმე ხნის შემდეგ ეასო მაჩაბელი ილია ჭავჭავაძეს.

ძმა პეტერბურგიდან უგზავნის ეანოს სამგზავრო ფულს და აღუთქვამს, რომ სისტემატურად მიაწოდებს განსაზღვრულ თანხას.

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ მაჩაბელი უცხოეთში მიემგზავრება აგრონომიული განათლების მისაღებად. ჯერ გერმანიაში ჩავა, პოპენჰაიმის სასწავლებელში, ხოლო იქიდან საფრანგეთში, სადაც პარიზსაც ნახავს, ეეროპის ყოფა-ცხოვრებას გაეცნობა და საფუძვლიანად შეისწავლის მევენახეობას. ასეთია ძმების გეგმა.

1876 წლის შემოდგომაზე ეანო თავისიანებს გამოეთხოვება, ღრმად მოხუცებულ პაპიდას გაამხნევებს — ჯერ ნუ გაისეირნებ იმ ქვეყნისაკენ, მე დამიცადე და ისეთ წამალს ჩამოგიტან, რომ ოცი წლის ქალს დაგამსგავსებ, ეს წამალი ახლა მოუგონიათ უცხოეთშიო; დედას დაუბარებს, რომ ჩამოვალ ჩურჩხელები დამახვედრეო; დარიკოს და სიძეს — ილიკო ამირაჯიბს — დარიგებას მისცემს სახლის შშენებლობის დამთავრების შესახებ; გეგმას უტოვებს, ბაღში როგორ ჩააყრევიწოს ხილი, და ერთს კიდევ მოაუღლებს თვალს თავის „მორთულ თამარაშენს.“...

ფოთში შემოდგომის ქარიშხლიანი დღე იდგა. მოდიოდა კოკის-პირული წვიმა, კქროდა დასაველეთის ცივი, ნესტიანი ქარი; შავი ზღვის ტალღები მთასავით წამოიმართებოდნენ, შხეფებს მიაყრიდნენ მოქურუხებულ ცას, თითქოს მის გადაყლაპვას ლამობენო, მაგრამ, გაწბილებულნი, ერთბაშად ჩაიკეცებოდნენ და გამწარებული ღრიალით ნაპირს მიაწყდებოდნენ. ამ დროს ნაპირიდან კაცი ადვილად შენიშნაედა რეიდზე მდგარ გემებიდან ხშირ ბოლქვებად ამოსულ შავ კვამლს, რომელსაც სწრაფადვე შლიდა წვიმა. სანახაობა იყო რაღაც დიადი, გრანდიოზული...

ვანო მაჩაბლისათვის ეს ახალი აღმოჩენა იყო, ვერც კი წარმოედგინა, რომ საქართველოს ასეთი ზღვა ეკრა. ოცნებაში წასული ჭაბუკი აღარ ეპუებოდა საშინელ აედარს, იღვა ზღვის ნაპირას და გაოგნებული გასცქეროდა მგრგვინავ ზღვას, რეიდზე ბურუსში გახვეულ გემების ქარაევანს, ჩაბნელებულ პორიზონტს...

ამ თვალუწვდენელი ზღვის იქით მდებარეობს ქვეყნები, სადაც ვანო მაჩაბელმა საფუძვლიანი ცოდნა უნდა მიიღოს და შშობელი ხალხის სამსახურში ჩადგეს, თავის ქვეყანას გამოადგეს. 22 წლის ჭაბუკისათვის უკვე სავსებით გარკვეულია, როგორი ხასიათისა იქნება „ხალხის სამსახური“. პეტერბურგის უნივერსიტეტს რომ ამთავრებდა, ძმასთან სერიოზული საუბარი აქონდა ამ საგანზე. და განა მხოლოდ მაშინ; ძმები ამაზე ძალიან ხშირად მსჯელობდნენ. უცხოეთში წასულ ვანოსაც ხშირად შეახსენებს ხოლმე უფროსი ძმა: „პირველი ჩენი მეცადინეობა ხალხის სიღარიბის მიზეზის მოსპობაში უნდა იყოს მიმართული. შენ კარგა იცი ზოგიერთი ეს მიზეზი: უსწავლელობა, სომხისა და ურიისაგან დაეალება, რომელნიც სწოვენ უკანასკნელ სიცოცხლის ძალას და სხვაგვარი მიზეზები, რომელიც შეიძლება შევამციროთ“...

დღენახვერის მგზავრობაც კი, გორიდან ფოთამდე, მეტად მნიშვნელოვანი გამოდგა სერიოზული და დაფიქრებული ახალგაზრდა კაციისათვის. მთელი სიღრმით მან პირველად მხოლოდ ახლა იგრძნო, რომ ჩვენს ქვეყანაშიც დიდი გარდატეხა ხდებოდა, მოდიოდა რაღაც დიდი ტალღა, რომლის შეჩერება არავის შეეძლო. დასაველეთ საქართველოში განსაკუთრებით თვალსაჩინოდ იგრძნობოდა ეს სიახლე.

ფოთის ნავსადგურის საწყობები გატენილი იყო შემოზიდული და გასაზიდი საქონლით. ნოტიო ჰაერში მძაფრად იგრძნობოდა სიმინდის, თევზეულის, ტყავის, თამბაქოს, ზეთის ერთმანეთში არეული მძიმე სუნი. მძვინვარე ქარიშხლის მიუხედავად, ნავსადგურში ჯერ არნახული ფუსფუსი იყო. გურულ და მეგრულ მუშებს საოცარი სიმკვირცხლითა და სიპარდით მიმოჰქონდათ მძიმე ყუთები და ტომრები. ჩაბალახმობეული ვაჭრები კანტორაში ირეოდნენ, ყველაზე მეტად ისინი განიცდიდნენ ამ საშინელ ქარიშხალს, მაღიმალ გახედავდნენ ხოლმე ზღვას, რომელსაც ერთის დაბერვით მათი აშენებაც შეეძლო და დანგრეეაც.

პეტერბურგშიაც და აქაც, საქართველოშიც, ზოგიერთები ძალიან გულუბრყვილოდ უყურებენ ამ გრანდიოზულ ცვლილებას, რასაც მთელი ქვეყანა განიცდის, და ხშირად ხალხის უბედურების მიზეზადაც ეს მიაჩნიათ. ვანო მაჩაბელმა ამ მგზავრობით, ხოლო განსაკუთრებით ფოთის ნახვით, სულ სხვაგვარი შთაბეჭდილება მიიღო და რამდენიმე წლის შემდეგ თავისი შეხედულებანი გაზეთშიაც დაბეჭდა. ინტერესმოკლებული არ იქნება აქვე მოვიყვანოთ ამ წერილის ნაწყვეტი. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, მაჩაბელი ახალგაზრდობაში „ნაროდნიკი“ იყო. ეს მოსაზრება საესებით უმართებულო უნდა იყოს.

„ქვეყნის ცხოვრება იმავე განვითარებისა და წარმატების კანონებს ემორჩილება, რომელნიც სუფევენ მთელს ბუნებაში საერთოდ, და ორგანოვანს ბუნებაში კერძოდ, — ასე იწყება ეს წერილი, — ...ამჟამად ფულმა, კაპიტალმა დაიპყრო ყოველი სფერა ცხოვრებისა, მხოლოდ ფული და კაპიტალი შეიქნა ძლიერ ფაქტორად ცხოვრების ყოველმხრივი გაუმჯობესებისა და წარმატებისათვის. ეს წესები რუსეთშიაც შემოვიდა და დღეს მის გაძლიერებას ეედარაფერი ვერ შეაყენებს, რაც გინდა დამცველნი ტარიფები იგონონ და სადარაჯოდ ბაჟი აწესონ... ძველის წესების შეცვლამ, მამაპაპურის ცხოვრების საძირკვლის შერყევამ, მთლად რუსეთის ცხოვრება შეარყია... იგივე ვითარება, რომელიც გამეფდა რუსეთში, ჩვენშიაც ნელ-ნელა შემოვიდა და ამჟამად სრული ბატონი შეიქნა ჩვენს ცხოვრებაში. ახალის წარმოების წესები, ფულებრივი მეურნეობა ნელ-ნელა ფეხს იკიდებს ამიერკავკასიაშიც... ამ ახალმა ვითარებამ ძალე მოუღო ბოლო ჩვენის ძველის ცხოვრების წესებს. ეს წესები სრულიად აღარ შეეფერებოდა ამ ახალს ვითარებას. თუ ძალე არ შევითვისეთ ეს ახალი ვითარება, ჩვენი ეკონომიური კეთილდღეობა, ჩვენი უზრუნველობა,

ნივთიერი და ამის გამო გონებრივაცა და ზნეობრივაც, საეჭვო საგნად შეიქნება, საშიშროებაში ჩაყარდება. მე ვამბობ ფულებრივის მეურნეობის წესების შეთვისებაზე, კაპიტალურის წარმოების კანონების შეგნებაზე და ამ შეგნების შესაფერად მოქმედებაზე.

„თუ ჩვენმა ერმა არ შეიგნო ის საგანი, რომ ამ ახალს ვითარებას აყოლა უნდა, შეთვისება უნდა, თუ ჩვენმა ერმა არ მიმართა ახალს წყაროებს წარმოებისას და ქვეყნის სიმდიდრისას, იგი უკან ჩამორჩება საერთო მოძრაობას, საერთო წინმსვლელობას. ყოვლად საჭიროა, რომ რაც შეიძლება ჩქარა მოვიშროთ ყველა ის ძველი სამკვიდრო, რომელიც კურთხეულ ძველ დროიდგან დაგვრჩენია და გვაბრკოლებს ახალის ეკონომიურის წესების შეთვისების საქმეში, რომელიც სიზარმაცის, უზრუნველობისა და აპატიის სახით გადაგვლობებია წინ, უსაფუძვლო თავმოყვარეობას გვირყევს, წოდებრივს ინსტიტუტებს გვიღვივებს, ნაციონალურ ცრუმორწმუნოებას გვიცხოველებს და ყველა ამ მიზეზით ზურგს ვაქცევთ ახალს მოძრაობას, ახალს ვითარებას.

„ეხლა დრო არ არის წუხილისა, ოხერისა იმაზე, რომ წინათ შეიძლებოდა სულ უბრალოდ შინაურულად, ყველაფერში იოლად წავსულიყავით... დღეს დრო სხვაგვარს მხნეობას ითხოვს ჩვენგან. დღეს დრო და ეკონომიური ვითარება ისეთია, რომ გაფაციცებით უნდა ვადვენებდეთ თვალყურს ყოვლის ახალის წყაროს აღმოჩენას ქვეყნის წარმოების გასაძლიერებლად, სიმდიდრის გასამრავლებლად... საჭიროა... ენერგიულად შევედგეთ, ხენასა და თესვის გარდა, ტრადიციულის მევენახეობის გარდა, სხვაგვარ წარმოების საქმეებსაც, სხვაგვარ სიმდიდრის წარმოების ექსპლოატაციასაც: ქვა გუნდა იქნება ეს წყარო, თუ ნაეთი, გლაუბერის მარილი, თუ სპილენძის მადანი, აბრეშუმის წარმოება თუ ქვანახშირი, ხურმა თუ დარიშხანი. ყოველივე ეს წყარონი ახლის სიმდიდრისა მრავლად მოიპოვებიან ჩვენში და საჭიროა მხოლოდ მხნეობა, გონების გამჭვრიახობა, უარყოფა სიზარმაცისა და უზრუნველობისა.

„ამ მხრივ ბევრად უკეთესი ნიშნები შეინიშნება ჩენი ქვეყნის დასაველეთ ნაწილში, ვიდრე აღმოსავლეთისაში. დასაველეთ ნაწილის ხალხი უფრო მარჯვეა, უფრო მიმღებია ახალის წესებისა, უფრო დაუღალავეა და მოწალმართე... დასაველეთ ნაწილში ამ უკანასკნელს დროს, სულ ათსა და ოცი წლის განმავლობაში ძლიერ გავრცელდა სხვადასხვაგვარი წარმოება და ალებ-მიცემობა. მუდამ წელს აქედან მილიონი ფუთი სიმინდი გადის საზღვარგარეთ, მუდამ წელს

აუარებელი შავი ქვა ამოდის დედამიწის გულიდან და იგზავნება შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაესადგურებში. უმთავრესი ქალაქი და დაბები იქ საესა ჩენივე სისხლის და ხორცის მოეაჭრებით...

„დიახ, დღეს ქეეყანა... იღვიძებს ძილიდან, კხედაეს გარშემო მოძრაობას და თვითონაც ერევა ამ მოძრაობაში“...

განგებ დაუთმე დიდი ადგილი ნაწყევტებს ამ სტატიიდან, რათა მკითხველს გარკვეული წარმოდგენა შეექნეს მაჩაბლის მსოფ-ლმხედველობაზე, მის პროგრესულ აზროვნებაზე.



ცუდი ამინდის გამო ფოთში რამდენიმე დღეს დაყოვნდა ვანო მაჩაბელი. ბოლოს, როგორც იყო, გაემგზავრა, და ორი კვირის დამქანცველი მგზავრობის შემდეგ პოქენჰაიმს ჩავიდა. მანამ ადგილზე ჩავიდოდა, გადაწყვეტილი ჰქონდა უცხოეთში სამ წელიწადს დარჩენილიყო — ორი წელიწადი გერმანიაში და ერთიეც პარიზში. მაგრამ ჩასვლისთანავე გამოირკვა, რომ პოქენჰაიმში 1 წელზე მეტს არ გაჩერდებოდა და, ამრიგად, ორი წლის შემდეგ ისევე სამშობლოში დაბრუნდებოდა. ეს კი დიდი ნუგეში გამოდგა ვანოსათვის, რადგან უცხოეთში, სრულიად უთვისტომოდ მოხვედრილმა ახალგაზრდა კაცმა მეტად მწარედ განიცადა სამშობლოს მოშორება.

სხვა იყო პეტერბურგში. იქ იგი თავს ისე გრძნობდა, როგორც საკუთარ სამშობლოში, ძმაც იქვე ჰყავდა და ქართველი სტუდენტების რიცხვიც საკმაოდ დიდი იყო. უცხოეთში კი მარტოდმარტო აღმოჩნდა მაჩაბელი და სამშობლოსაგან მოწყვეტის სევდა მაშინვე მწეავედ იგრძნო.

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ მაჩაბელს საერთოდ უძძიმდა მშობელ ქეეყანას მოწყვეტა. უფრო მოგვიანებით იგი ერთ თავის ახლობელ ადამიანს სწერს:

«ты никогда не испытала что значит тоска по родине, и, дай бог, никогда не испытывать... будет очень и очень не хорошо... будешь вспоминать с грустью которая никогда не изгладится от твоего сердца, наши увлечения, и наши волнения... все детали и мелочи, которые в каждодневной жизни кажутся пустяками, но в отдалении выступают ярко на фоне картины, для того, чтобы с болью напоминать о пережитых с дорогими и близкими существами днях»...

უცხოეთში მოხვედრილ ეანოს მართლაც არ ავიწყდება არც ერთი უბრალო, წერილმანი მოვლენა, რაც მის სამშობლოსთან და ახლობლებთან არის დაკავშირებული.

იგი ჩვეული გულმოდგინებითა და სიბეჯითით შეუდგება სწავლას, მთლიანად ეფლობა აკადემიის ცხოვრებაში, მაგრამ ოცნებით მაინც მუდამ სამშობლოშია. მეგობრები, ნათესაეები, „მორთული თამარაშენი“, „კოპწია კარ-მიდამო“, თოელის ფიფქებით დამშვენებული ახალი წელი, რომელთანაც ბავშვობის ტკბილი ოცნებებია დაკავშირებული, გაზაფხულის ლანქერი, ნაირფერად აყვავებული ხეხილი, თბილი ქვეყნებიდან მოფრენილი ფრინველები, თევზაობა, გლეხის ბიჭები, ზღაპრები, ლიახვის ხეობიდან მონაბერი საამური ნიაევი, რომელიც ბაღში ტკბილ სურნელებას დაატრიალებს ხოლმე ზაფხულობით, კაკლის ძირში ხალიჩაზე წამოძვლარი პაპიდა, რომელიც დროთაბრუნვას ვერ დაუშდლურებია და თავი ისევე ამაყად უჭირავს, დიდ ქებათან მოფუსფუსე დედა, რომელიც ვანოსთვის ჩურჩხელებს აელებს, ბედუკუდმართი მონადირე ესტატე, რომელიც დიდი ბაქიბუქით მიემართება ხოლმე იხეებზე სანადიროდ, უკან კი ცხვირჩამოშვებული მოიპარება, შემოდგომის მთვარიანი ღამე და შვეკვიანებული მეურმის ნაღვლიანი ღიღინი...

ეს სურათები სწრაფად იცვლებიან ეანოს გონებაში და იშვიათად გაივლის საათი, რომ იგი ოცნებით თავის სამშობლოში არ იყოს.

მისი იმდროინდელი წერილები და-ძმებთან წარმოადგენს უცხოეთში გადახვეწილი ადამიანის დღიურებს, რომელთაც დამოუკიდებელი მხატვრული ღირებულებაც აქვთ, და საიდანაც აშკარად ჩანს, როგორ ეწეოდა მანაბელს გული სამშობლოსაკენ.

ჩვენც დღიურების ფორმით დავალაგოთ ცალკეული ადგილები მისი წერილებიდან, რომლებიც ხშირად უცხოეთში გადახვეწილი ახალგაზრდა კაცის ოცნებასა და საკუთარ თავთან საუბარს ჰგავს.

8 გიორგობისთვე, 1876 წ. პოქენპაიმი. — ორი კვირის მგზავრობის შემდეგ ძლივს დავბინავდი ერთს ალაგას. დავბინავდი, მაგრამ ცალკე თქვენი ჯაერი მაწუხებს, რომ ვერე უპატრონოდ დარჩით, ცალკე მარტოკაობა. ვერ წარმოიდგენ, საყვარელო დაო, რა ძნელი ყოფილა ესე უცხო ქვეყანას ჩამოვარდნა, სადაც ერთს სიტყვას ვერ გაიგონებს კაცი, რომელმაც პატარა გული მოუღბოს, სადაც ყოველი სახე და ყოველი სიტყვა უცნობია და ვერაფერი ვერა მოაგონებს რა კაცს თავის სამშობლო ქვეყანას... სხვა ყოფილა კაცისათვის სამშობლო ცის ქვეშ ყოფნა და უცხო ქვეყანას

გადაკარგვა. ეხლა პატარა გულზედ დარდი მომეშვა, რომ შევიძელ შენთან ქართულად გამოლაპარაკება. ასე მგონია თამარაშენში ვარ და კიდევ შენ გელაპარაკები-მეთქი... მაგრამ დაეანებოთ თავი ამ ქალურ წრიპინს, ისა სჯობს, რომ თეალწინ წარმოვიდგინოთ ის იმედი, რომ ორი წლის უკან (და არა სამი წლისა, როგორც ფიქრადა მქონდა), კიდევ მეღირსება მანდეთკენ პირის გამობრუნება... ესტატე მომიკითხე და ასე უთხარი კოპი ხომ აღარ გაცურებულა პოლზედა-თქო... იოსებს უთხარი, რომ მოვალ წიგნის კითხვა თუ არ გეცოდინება, ან მე და ან შენა-თქო. ჩვენი სოფლელები ყველანი მომიკითხე... მართლა, კინალამ ზალიკო არ დამაეიწყდა. რა პქნა, ჯვარი ხომ არ დაუწერია, თუ აპირებს ჯვარის წერას, ასე უთხარი, ქორწილში ჩემი სადღეგრძელო დალიე-თქო და მეც შენს სადღეგრძელოს აქ დაეღეე-თქო, თუმცა ღვინო ძვირია აქა, მაგრამ ღუდით მაინც ვადღეგრძელებ, ჩვენებურად, ოსურად-თქო... ხშირად მომწერე ხოლმე წიგნი, იქნება სთქვა, რომ აქ არაფერი ამბავი არა არის რა და რა მივსწერო: მაგას ნუ იტყვი, რაც უნდა წერილმანი ამბავი იყოს, მაინც მანდაური ამბავი ჩემთვის საინტერესო იქნება...

15 გიორგობისთვე, 1876 წ. — რა ამბავია თამარაშენში? რა ცვლილება მოხდა ჩემი წამოსვლის შემდეგ? ვინ გათხოვდა, ვინ დაქორწილდა? დათოვლა ჯერ თუ ისეუ თბილა?... ესტატეს უთხარი, თუ იხეები ბევრი გაჩნდებიან ლიახვზე, სანადიროდ ხშირად წადი ხოლმე-თქო; თუ დახოცე, დალორე და შემინახე-თქო, მაგრამ ხორგქვეშ კი ნუ შემინახავ, გაზაფხულზე წყალი წაიღებს-თქო... იქნება გაგიკვირდეთ ჩემი ესე წერილმანებზე ლაპარაკი, მაგრამ შენ რომ ჩემს ალაგას იყო, სრულიადაც არ გაგიკვირდება. ჩემთვის ეხლა ეს მიწერ-მოწერა ქართული ლაპარაკის მაგიერია.

20 დეკემბერი, 1876 წ. — „...გახსოვს პატარები რომ ვიყავით, დაესხდებოდით ხოლმე ახალწლის წინა დღეს და ვანგარიშობდით — ეხლა ახალწელიწადი ქალაქს არის მოსული, ეხლა გორს, საცაა აქაც მოვაო... თუ არ დაიხარებ და ხანდისხან მანდაურის ამბით მასიამოვნებ ხოლმე, იცოდე, რომ შენი წიგნი იქნება დიდს ნუგეშად და გულის გამათბობელად ამ შორეულს ქვეყნაში შენი ძმის ვანოსთვის.

(და იქვე მინაწერი თავის სიძესთან: „საყვარელო ძმაო ილიკო, დიდად მასიამოვნა შენმა წიგნმა, მეტადრე იმიტომ, რომ არ მოველოდი აგრე თავისუფლად თუ შეგეძლო ქართულად წერა“.)

25 დეკემბერი, 1876 წელი... — თუმცა რამდენიმე ასი და ათასი ევრსითა ვართ მოშორებული, მაგრამ ისე ხშირად მოგვიდის ერთმანეთისაგან წიგნი, რომ ვერც კი ვგრძნობ ამ დაშორებას. გუშინ მოგწერე წიგნი, მაგრამ დღეს რომ შენი წიგნი მომიტანეს, ისე წაეხალისდი, რომ, კვლავ მეორე წიგნსა გწერ.

შენმა წიგნმა ცოტათი დამაღონა, რადგან გული დაეაჯერე, რომ შენ მე კიდევ კარგად ვერ მიცნობ. დარწმუნებული უნდა იყო, ძმაო, რომ მე იმ ანდაზას არ მივდე. „საცა შეხვიდე, იქაური ქუდი დაიხურეო“. დარწმუნებული უნდა იყო, რომ აქაური სტუდენტობა თავის ჩირქს ვერ მომცხებს და პრანჭვას ვერ მასწავლის. ამ შენი უკანასკნელი წიგნიდან მივხვდი, რომ ჩემი აზრი აქაურ სტუდენტებზე შენ ფულის თხოვნად მიითვალე ტანისამოსისათვის. მე ეს სრულებით აზრად არ მქონდა. მე მხოლოდ იმიტომ გწერდი აქაური სტუდენტების ამბავს, რომ შენც გაგეცნო აქაურობა. ახლა ამას გთხოვ, რომ შენი ჭირიმე ჩემის გულისათვის ფულზედ ნუ შეწუხდები და ნუ გაიჭირვებ. რაც უსათუოდ საჭირო იქნება, იმას კი მე მოგწერ და ლაიკის ფერჩატკებს და ლაიკის პოლსაპოშკებს სჯობს თავი დაეანებოთ. ცოტ-ცოტათი ამოვიდგი ენა ნემენცურად; საკვირველია, რომ პროფესორების ენა და ლექციები უფრო კარგად მესმის, სანამ სტუდენტების ერთმანეთში ლაპარაკი თითქმის მხოლოდ სადილის დროს შემხვდება ხოლმე; ლექციების დროს სადილზედ ჩემს სტოლზედ სხედან ორი იტალიელი, ერთი ფრანცუზი და მარტო ერთი ნემენცი. ასე რომ ჩვენი ლაპარაკი სადილად ნემენცურით, ფრანციცულით და იტალიანურით აჭრელებულია. ესლა ორი კვირით ლექციები შეჩერებულნი არიან უქმეების გამო, ჩემი ამხანაგები წაყიდ-წამოვიდნენ, ასე რომ სადილობის დროს ნემენცებთან შემხვდება ხოლმე ჯდომა; იმედი მაქვს, რომ ამ ორი კვირის განმავლობაში კარგად შეეაჩვევ ყურს ნემენცურს... მართლა, უნდა მომეწერა, რომ სადილზედ სტუდენტებს მგზავრობაზედ ქონდათ ლაპარაკი და ყველას თავი მოქონდა, რომ მე ამა და ამ რკინის გზაზედ პირველ კლასში ვიჯექიო და მხოლოდ ცოტა ხნობით მეორე კლასში გადაეჯექიო და სხვა, — მაგრამ შემეშინდა, არ იფიქრო, რო მეც მეორე ან პირველი კლასით მინდა ამას იქით მგზავრობა!..

3 თებერვალი, 1877 წელი. — ძალიან მეზარებოდა წიგნის მოწერა, რადგან ასე მეგონა, რომ ჩემს წიგნს იმდენი ზღვა, კლდე, ღრე აქვს გასაველელი, რომ დანიშნულს ადგილამდის ვერ მიაღწევს-მეთქი... შენი ჭირიმე, დარიკო, ყველაფერი ამბავი დაწერილებით

მომწერე ხოლმე. ეხლა გაზაფხული იწყება და უფრო ბევრი გექნება მოსაწერი... რაც უნდა წერილმანი ამბავი იყოს, მაინც მანდაური ამბავი საინტერესო იქნება.

28 აპრილი, 1877 წელი. — მგონი ეხლა ჩენი სახლი ძალიან ლამაზი უნდა იყოს; მეტადრე ბალის მხარე, სადაც მზე ძვირად მიადგება და ბალიდგან ყოველთვის სიო უბერავს. ვინძლო ზაფხული კარგად გაატაროთ... იმედია, მანდაურს ამბავს შემატყობინებ, მეტადრე ეხლა ჩემთვის საინტერესოა მანდაური ჩენი პაწია სახლ-კარის ამბავი, რადგან შარშანდელ დაწყებულ საქმეს ეხლა თანდათან მოემატება და ჩენი სახლი და იმის გარეშემო უფრო გალახათიანდება... ილიკოს უთხარი, რომ თვალყური დაიჭიროს მანდაურობაზედ ამ ზაფხულს; თუ ვინიცობაა დაიზაროს, მოაგონე, რომ ზაფხულში... გახოკილს აელევეს ჩენი მორთული თამარაშენი სჯობს. დედა დამიკოცნე, პაპიდაჩემი რასა იქს; ისევ თავისებურად ყოჩაღად არის თუ დროთაბრუნვამ მოაუძღურა? ასე უთხარი, ჩემს შვილსაც ხომ მოესწარი-თქო, და ეხლა იმდენი კიდევ უნდა იცოცხლო, რომ როგორც მე მასწავლე წიგნი, ჩემს შვილსაც ისე ასწავლო-თქო.

22 აგვისტო, 1877 წელი. — ეს ორიოდ დღეა (პარიჟს) მოვედი გერმანიიდან. მაშინვე მიხლოდა მომეწერა, მაგრამ პარიჟი ისეთი ქალაქია, რომ სანამ კაცი რიგიანად არ დაბინადდება, სულ „დაუთრებ-დაკარგული“ დადის და ამისთანა მდგომარეობაში წიგნის დაწერაც კი მოუხერხებელია. რასაკვირველია, რაწამს მოვედი პარიჟში, მაშინვე ნაცნობის ვისიმე მონახვა დავიწყე და გაეწიე „Rue St-Honoré“-ზედ ზარაფოვის საპოენელად... რაკი ზარაფოვი ვერ ვიპოვე, იმავე დღეს გავექანე სხვა ადრესზე იზმაილოვის საპოენელად. თუმცა იზმაილოვს არ ვიცნობდი, მაგრამ რაკი ქალაქელი იყო, იმედი მქონდა მასწავლიდა, როგორ უნდა მოვექცეულიყავ, რომ ჩენი ჯიბის შესაფერი ოთახი და სადილები მეპოვნა. მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ სახლის პატრონმა მითხრა, რომ იზმაილოვი თბილისში წავიდაო. ამას გარდა, სახლის პატრონმა მითხრა, რომ მიქელაძე, წულუკიძე და სხე. აქ ჩემთან იდგნენო. ამის გამო მეც ამ სახლის პატრონს გამოვართვი ოთახი, რადგან დიდხანს ყოფნა გოსტინიცაში მემძიმებოდა მეტისმეტი სიძვირის გამო. ამას გარდა, ამავე სახლში აძლევენ საუზმეს (12 საათზედ) და სადილს (6 საათზედ). ვინც თვეობით მოურიგდება, უნდა 90 ფრანკი აძლიოს სადილისათვის და საუზმისათვის, მაგრამ მე მარტო სადილს გაეურიგდი 55 ფრანკად, რადგან საუზმით ძვირად დაჯდებოდა. თუმცა სადილს ექვს საათზედ აძლევენ, მე მიხდა საუზმის

მაგიერად ყავა გაეიჩინო, რადგან დილიდან ექვს საათამდის ძნელია მოთმენა, მეტადრე აქაურ სადილამდის, რომელიც თუმცა ოთხი თავი საჭმელიდან შესდგება, მაგრამ ორად კი არა ღირს. როგორც აქეთ-იქიდან მითხრეს, შეიძლება უფრო იაფად ცხოვრებაო და იმედი მაქვს ამ ერთ თვეს უკან უფრო იაფად მოგეწყო. თუმცა შენც მწერდი ფულს გაუფრთხილდიო, მაგრამ ისიც რომ არ მოგეწერა, მეც ვიცოდი, რა გაფრთხილება უნდა, მეტადრე ეხლა შენს ჯიბეს, როდესაც მანეთში ორსა და ნახევრის ფრანკის მეტს არ აძლევენ. ზარაფოვმა ძალიან კარგად მიმიღო და მეორე დღეს სადილადაც დამპატიჟა, მაგრამ რაც მინდოდა, იმის ჩვენება არ შეეძლო: ის მდიდარი კაცია და არაფრად საჭიროებს იმის ცოდნას, სად როგორ შეიძლება უფრო იაფად ცხოვრება და ჩემთვის ეს ცნობები უფრო ყველაზე საჭირო იყო. რაც შეეხება ლაბორატორიაში მუშაობას, ამაზედ დაწერილებით ვერას მოგწერ, მხოლოდ კი მითხრეს, რომ თუ კერძო ლაბორატორიაში იმუშავებ რომელსამე პროფესორთან, 40 ფრანკამდე დატვირდება თვეშიო. აგრეთვე შეიძლება სტუდენტად ჩაეწერო საღმეო და მხოლოდ ერთბაშად შეიტანო 50 ფრანკამდე და ხიმის ვეზამენის დატვირთვას შემდეგ აიღო ნება ლაბორატორიაში მუშაობისაო. შენ რომ მწერდი ოსმალეთის საქართველოზედ კომპილიაცია შეადგინე და „Наш Бек“-ს გამოუგზავნეო, ეს საქმე სამი კვირეა შევასრულე, მაგრამ პასუხი არ მომსვლია. კარგი იქნებოდა, რომ დაებეჭდათ, მაშინ შეიძლებოდა აქედანაც კორესპონდენციები მეგზავნა, თუ რედაქცია მონინდომებდა, და ფულის სხვა წყარო გაგეეჩინა. მაგრამ პასუხი არ მომსვლია. ამ დაგვიანებიდან სჩანს, რომ არაფერი იმედია ამ მხრიდან. პეტერბურგის ჟურნალისტებს კასტა აქეთ შედგენილი და ვინც იმათ კასტას არ ეკუთვნის, ძნელად თუ შესძლებს დააბეჭდინოს რამე. მეორე წიგნში დაწერილებით გაიბზობ, თუ რამე ენახე შესანიშნავი ამ ზღვა ქალაქში. ეხლა პარიზზედ რომ მომეწერა რამე, მესხივით უნდა დამეწყო, რომ პარიზში ბევრი მაღალი სახლებია და სახლებს ზემოთ საყდრებო. ორ-სამ დღეში ძნელია კაცი აქაურს ცხოვრებას დააკვირდეს.

21 იანვარი 1878 წელი, — პარიზი. — იმ ხილის მომელელის წიგნი მეორე დღესვე მომივიდა და მწერს, რომ აპრილის პირველამდისინ ჩემს ბაღში არაფერი მუშაობა არა იქნება რა, რადგან ჩემი ბაღები პრუსიელების დაცემის დროს მომიოხრეს და დიდი ხანი არ არის, რაც მოვაშენეო; თუ გსურთ, აპრილიდან შეგიძლიათ აქ გადმოსახლდეთ და ბაღშიც იმუშაოთ და ლექციებსაც ყური

დაუგდოთო (პარიჟიდან იქამდისინ ერთი საათის საეალია რკინის გზით), მაგრამ ამ ბაღთან ვენახები არ არის და თუ კაცს ორივეს დათვალიერება უნდა, უფრო სამხრეთით უნდა გასწიოს.

იმ დღეს აქაური კატაკომბები ვნახე. რაც პარიჟის შენობებს ქვა უნდებათ, სულ პარიჟის ქვეშიდამ ამოაქეთ და ცარიელ ალაგას იმისთანა კორიღორებს აკეთებენ, რომელნიც პარიჟის ქუჩების სიგრძეები არიან. ამ კორიღორების გვერდები დიდრონს ოთახებად არის დაყოფილი და ადამიანის ძელებით არიან გატენილნი, რომელნიც ძველი სასაფლაოდამ ამოუკრეფიათ ალაგის უქონლობის გამო. ამ ჯურღმულში თვეში ერთხელ შეუძლიან პუბლიკას ჩავიდეს და ერთი საათი, მეტი ამ ქვესენელის ქუჩებში ისეირნოს. ჩვენ ასი მეტნი ვიყავით, ქალი და კაცი. ყველას ხელში სანთელი გვეჭირა. უნდა გენახა რა გასაოცარი და ცრუმორწმუნეებისათვის საშიშარი იყო ეს პროცესია. აქეთ-იქით სხვადასხვა წლის სასაფლაოებიდან ამოკრეფილი ადამიანის ძელები სისტემატურად ჩარიგებული. ძელები დიდის რევოლუციის დროსი, ძელები ამ საუკუნის დასაწყისისა, და სხვ. აქა-იქა ზოგიერთი პოეტებისაგან ამოკრეფილი წარწერილები სიკვდილზედ, მეორედ აღდგომაზედ და სხვა ამისთანა დაბადების საკადრის საგნებზედ. მაგრამ ვერ წარმოიდგენ, რა შთაბეჭდილება პქონდა კაცზედ ამ პროცესიას, როდესაც ერთი გრუპა მეორეს დაშორდებოდა ხოლმე და მოახლოების დროს ამ „მწყვდიაღს“ სიბნელეში კაცი არჩევდა ჯერ რაღაც გაურჩეველს სინათლეს და შემდეგ აჩრდილებსავეთ მომაეალს სულიერებს, რომელთ ჩრდილსა და სანთელს გარდა კაცი ვერაფერს ვერ გაარჩევდა. კაცს ეგონებოდა საიქიოში ვარო; მაგრამ პარიჟელების ჩვეულებრივი ხუმრობა და სიცილი ამ ილუზიას მალე გააქრობდა ხოლმე.

20 მარტი, 1878 წ. პარიჟი. — საყვარელო ძმაო ვასო... შენს სახეს დავხედე თუ არა, მაშინვე ვთქვი, უწინდელი წუწუნი და ბედზედ ჩივილი შარშანდელს თოვლსავეთ გამქრალა-მეთქი. და ვიდრე შენს წიგნს წაეიკითხავდი, დარწმუნებული ვიყავი, რომ იმაში იმას ამოვიკითხავდი, რაც ამოვიკითხე: იმავე მხიარულებას, იმავე გულმოდგინებას და „საქმიანს უდარდელობას“, რომელნიც შენს სახეზედ იყვნენ დაწერილნი. ერთის სიტყვეთ, შენმა სახემ დამიმტკიცა შენი წიგნი, და შენმა წიგნმა შენი სახე. ამ სიამოვნებას მიუმატა კიდევ იმ ამბავმა, რომ ბეჯითად მპირდები პარიჟში მოსვლას, სადაც თუ შენებური დონჟუანობა დაიწყე, წინდაწინვე მომილოცავს გამარჯვება; მეტადრე, თუ ჩერქეზული ტანისამოსის

წამოღება არ დაგაეიწყდა. როგორც წინა წიგნში გწერდი, მეც იმედი მაქვს აგვისტოსთვის დაებრუნდე პარიჟში. მინამდისინ კი ჯერ დარწმუნებით ვერ მოგწერ სად ვიქნები. დღეს მიეწერე ორი წიგნი Ferme l'ecolé-ის დირექტორებს, რომ შემატყობინონ იქაური პირობები... თქმა აღარ უნდა, რომ იმ Ferme l'ecolé-ის დირექტორებს, მიეწერე წიგნები, რომლებშიაც ვენახის და ხილის მოვლაზედ უმთავრესი ყურადღება არის მიქცეული... იმ დღეს შენგან მოწერილს წიგნებს ვათვალისწინებდი და ვკითხულობდი და ვკითხულობდი იმას, რაც ჩვენს კოპწია სახლ-კარს შეეხებოდა... ესლაც თვალწინ წარმოდგენილი მაქვს, რა მშვენიერი იქნება ჩვენი კარ-მიდამო, როდესაც ეს ხეხილი წამოიზრდება. თუ სამოთხე დაერქმევა რასმეს, ეს სახელი მაშინ ჩვენს სახლ-კარს მოუხდება. ძალიან მიაძება, რომ ილია ჭავჭავაძის ლექსი როგორმე გამომიგზავნო. დიდი ხანია ქართული არა წამიკითხავს რა...

* * *

სამწუხაროდ, ყველაზე საუკეთესო ფურცლები ამ „დღიურებისა“ დაკარგულია. პარიზს ახლად ჩასული ვანო მაჩაბელი ძმასა ჰპირდება, მეორე წერილში დაწერილებით გაიამბობ, რაც რამ ენახე შესანიშნავი ამ ზღვა ქალაქშიო. ეს იყო 1877 წლის 22 აგვისტოს. ძმებს სისტემატური მიწერ-მოწერა ჰქონდათ ერთმანეთთან, ამიტომ, უნდა ვიფიქროთ, რომ უცხო ქალაქში ახლად ჩასული ვანო მაჩაბელი შემდეგ წერილებს ძმას მისწერდა იმავე თვის დამლევს, ან სექტემბრის დასაწყისში. და სწორედ ეს წერილებია დაკარგული, მთელი ხუთი თვისა. ამ წერილებში ჩვენ შეგვეძლებოდა ამოგვეკითხა ახალგაზრდა კაცის პირველი შთაბეჭდილებანი, რაც მან ამ დიდ ქალაქში მიიღო, სულიერი მღელვარებანი, ფიქრები და განცდები...

რა ფიქრებით იყო მაშინ მოცული მისი გონება, ან რა შთაბეჭდილებები მიიღო პარიზს ჩასულმა მაჩაბელმა? თავისთავად ცხადია, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტდამთავრებულ და მამულის სამსახურისათვის თავგადადებულ ჭაბუკს აგრერიგად არც ბულვარების ცხოვრება გაიტაცებდა და არც ქალაქის მხოლოდ გარეგნული მხარე. როგორც ვნახეთ, ვანო სხვასაც კი დასცინის პარიზის ასე ზერელე აღწერისათვის.

იმ დროს ფრანგ ხალხში ჯერ კიდევ ცოცხალ მოგონებად იყო

პარიზის კომუნის გმირული დღეები, ქუჩებსა და სახლებს ისევე აჩნდა ბარიკადების კვალი და პაერშიაც რევოლუციის სუნი ტრიალებდა. აი ეს იყო სწორედ ის „შესანიშნავი რამ, რაც ამ ზღვა ქალაქში“ შენიშნა და განიცადა ვანო მაჩაბელმა. ჩვენი ქვეყნიდან ჩასული ახალგაზრდები მაშინ უდიდესი სიმპათიებით იყვნენ გამსჭვალულნი პარიზელი მშრომელების მიმართ, რომელთა გმირობამ მთელი მსოფლიო ააღაპარა: „ძალიან გულით მსურს, რომ ერთი რევოლუცია ვნახო, ვნახო გამშაგებული ხალხი, რომელიც მხოლოდ ამ რევოლუციის დროს იჩენს თავის ნამდვილ ძალას და გულის მიდრეკილებას“, წერს პარიზს ჩასული ქართველი ახალგაზრდა კომუნის დაცემის რამდენიმე წლის შემდეგ.

საინტერესოა მხატვარ დ. გურამიშვილის მოგონება:

„ჩემი მაჩაბელთან გაცნობა მოხდა 1878 წელში, პარიზში... საქართველოდან წასულს მქონდა მისი მისამართი და სადგურიდან პირდაპირ მივაშურე ამ უცნობ მახლობელს. ვანო შინ არ დამხვდა. გადავწყვიტე მომეცადნა. არ გაუვლია დიდ ხანს, რომ ვანომაც შემოაღო კარები. თითქოს ეხლაც თვალწინ მიდგას: მაღალი, გამხდარი ტანისა, სახე მოძრავი და ამეტყველებული, მე ვიტყვოდი ადღელებული.

„პარიზში იმ დროს ჩვენებური კაცის შეხვედრა დიდი სიხარული იყო ხოლმე. ვანო აღტაცებაში მოვიდა... და ადღელებულის ხმით მეკითხებოდა სამშობლოს ამბებს... ვანო ეკუთვნოდა ისეთ პირთ, რომელთა საუბარი ესთეტიკურ სიამოვნებას გგერის, ვისთანაც მზადა ხართ მეგობრულ მასლაათში გადაივიწყოთ ყოველგვარი საქმე, სამსახური, ძილი და დაუსრულებელ ოცნებაში შესცუროთ. ვანოსთან საუბარი არ იყო უბრალო დროს დაკარგვა: მას თქვენ შეჰყავდით თავის აზროვნების ლაბორატორიაში და აღტაცების ტალღები მიგაფრენდნენ დაუსრულებელ სივრცეებისაკენ. მე მახსოვს ბევრი სადამო და ღამეც, პარიზის ქუჩებში ვანოსთან ერთად გატარებული. პარიზი მაშინ ჯერ კიდევ გრძნობდა კომუნარების ტრაგედიას. დიდი რევოლუციის ასპარეზი აქ იყო. ყოველი ისტორიული ნაშთი, თუ ადგილი, იწვევდა ჩვენ შორის აზრთა გაცვლას. ვანო ყოველთვის იყო საინტერესო, გულწრფელი და მოაზროვნე უაღრესად. საქართველო, მისი წარსული და მომავალი ხშირად იყო თემად მისი გატაცებული საუბრისა. მე არ მახსოვს პატრიოტი უფრო გულწრფელი. მის პატრიოტიზმს ამკობდა არა მარტო მისი მტვერმეტყველება მეგობართა შორის, არა, სულით და გულით ვგრძნობდით მისი მეგობრები,

თუ რაოდენი სიყვარული იყო ვანოს გულში საქართველოსადმი.

„ვანო იყო პარიზის იმდროინდელი ქართული კოლონიის სულისკვეთების გამომხატველი და ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი... ჩვენ ერთად დავიარებოდით ლექციებზე სორბონაში და კოლეჟ დე ფრანსში; მერე მოსმენილის შესახებ ემართავდით დაუსრულებელ კამათს — საქართველოს სინამდვილეში თუ როგორ გამოგვეყენებინა ევროპელთა მიერ ნააზრევი თეორიები... ვანო უკვე მოსჩანდა ვნებიანი და გატაცებული საზოგადო მოღვაწე“...

და აი ამგვარად „გატაცებული საზოგადო მოღვაწე“, დიდად განათლებული და ტემპერამენტიანი ახალგაზრდა, მგზნებარე პატრიოტი ვანო მაჩაბელი ძმას პეტერბურგში მთელს თაბახებსა სწერს, გულს უშლის, აცნობს უცხოეთში მიღებულ შთაბეჭდილებებს, სწერს როგორ უნდა იბრძოლონ სამშობლოს კეთილდღეობისათვის...

მოსიყვარულე ძმას ცალკე აქვს გადარჩეული ასეთი წერილები, თვითონაც ხშირად კითხულობს და სხვასაც აკითხებს; აღტაცებულია უმცროსი ძმის ნიჭითა და მოქალაქეობრივი სიწმინდით, ამაყობს რომ ასეთი ძმა ჰყავს. დარიკოსა სწერს:

„...ვანოს... როგორც ვატყობ, ჩინებულად მიჰყავს თავისი სწავლის საქმე. ბედნიერებაა კაცისთვის იმგვარი ძმა ჰყავდეს, როგორც ვანო არის. იმის წიგნები რამკაში ჩასადები ანუ დასაბეჭდია. მეც ყოვლის ღონისძიებით ვცდილობ, რომ აქედან შემწეობა არ მოუაკლო“.

ამ „რამკაში ჩასადები წიგნებისა“ და საერთოდ ვანოს წარმატების ამბავი უფრო შორს გაიჭრა. პეტერბურგს ჩასულ ნიკო ავალიშვილს ვასომ ძმის წერილები წააკითხა. ავალიშვილიც აღფრთოვანებაში მოვიდა და თბილისს დაბრუნების შემდეგ ილია ჭავჭავაძეს გაუზიარა თავისი აღტაცება. ილიამ ხომ ადრევე იცოდა ვანოს ნიჭი და უნარი და ახლა ძალიან გაეხარდა, რომ გაახსენეს. გადაწყვიტა თავის ახლადდაარსებულ „ივერიაში“ დაებეჭდა ახალგაზრდა მაჩაბლის კერძო წერილები და თანაც ჟურნალში მიეწვია სათანამშრომლოდ. ამის თაობაზე მაშინვე მისწერა წერილი ვასო მაჩაბელს:

„საყვარელო ძმაო ვასო! მოგართვი შენგან დაბარებული ივერია. აბა შენ იცი, როგორც დაგვეხმარები. იწერები ვანოს უნდა გაუეგზავნო. თუ გიყვარდე, იმისი ადრესი მომწერე და მე თვითონ გაუეგზავნი პირდაპირ აქედამ რედაქციის მხრით...“

„ვანოს წიგნების ქებას იწერები. ვიდრე ამას შენ მოიწერებოდი, ჩვენმა ავალოვმა დიდი ქება მითხრა მაგ წიგნებისა. რა კარგი იქნება, რომ ეგ წიგნები დამაბეჭდვინო, თუ შესაძლებელია და თუ ვანო ნებას

მოგვეცემს. მისწერე შენად და ჩემად, მოგვეშუქელოს როგორმე. ჭკვიანი ბიჭია და ამასთანაც კარგის კალმის პატრონი. ჩვენთვის ეანო დიდი ნუგეში იქნება. სთხოვე, და არამც თუ სთხოვე, შეეხვეწე ჩემ მაგიერ, რომ სტატები რამ გამოგვიგზავნოს“.

მაგრამ ვასომ შორს დაიჭირა ილიას წინადადება: იგი შორიდან უფროთხილდება ვანოს ენერგიას; არ უნდა მისი ყურადღება და ნიჭი სხვადასხვა საქმეზე გააფანტოს. იცის ძმის მუყაითობის ამბავი და ენანება, რომ სწავლას მოაცდინოს. გრძელი წერილის მიწერასაც კი ერიდება ძმასთან, რათა ზედმეტად არ მოაცდინოს: „გაძლეე პირობას, თუ დროს ვგრე ძვირად აფასებ, აღარ დაგაკარგვინო ჩემის ვრცელის ბაასით“, — სწერს იგი ვანოს. ამის შემდეგ გასაგები ხდება, რატომ შეუთვალა უარი ილია ჭავჭავაძეს ვანოს „ივერიაში“ თანამშრომლობაზე. „რაც ჩემს ძმას ვანოს შეეხება, — სწერს იგი პასუხად ილიას, — თუმცა გიგზავნი მის აღრუსს, მაგრამ ჩემის აზრით ამ ერთ წელიწადს, ვიდრე სამძღვარს გარეთ არის და თავის აზრის შესრულებას ადგია, ძნელია იმისათვის ეხლა სხვა საქმის გამოკიდება. შენ არ იცი... რა ძვირფასად გვიღირს ყოველი საათი, რომელსაც ის იქ დაკყოფს. დამერწმუნე, რომ ერთ წელიწადს შემდეგ უფრო კარგად დაგეხმარება...“

არც ვანოს კერძო წერილების დაბეჭდვის ნებას რთავს ვასო. მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ძალიან ამაყობს ძმის წერილებით. „ვანოს წიგნების დაბეჭდვა რამ მოგაფიქრა? განა შეიძლება სიცოცხლის დროს ვისიმე კერძო პირთან მიწერილი დაიბეჭდოს? შენგან არ მიკვირს!“...

მაგრამ ამ წერილებს არც შემდეგ ეღირსათ დაბეჭდვა. ისინი, სხვა მრავალ ძვირფას საბუთებთან ერთად, დაიკარგა.

ამ საბუთებში, ზემოთ დასახელებულ წერილებს გარდა, ყველაზე უფრო დასანანი ვანოს ვრცელი ბიოგრაფია, შედგენილი ვასო მანაბლის მიერ. ყველაზე უფრო დასანანია იმიტომ, რომ ვასო მანაბელმა ვანოს ცხოვრების სულ უმნიშვნელო ეპიზოდსაც კი იცოდა. იგი ვანოსთვის იყო უფროსი ძმაც, მამაც, მზრუნველიც და მეგობარიც.*

თვითონვე გაჭირვებაში მყოფი ვასო მანაბელი, არ ივიწყებს

* საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში დაცულია ვასო მანაბლის წერილი ტასო მანაბელთან, საიდანაც ირკვევა, რომ ვასო მანაბელს თავისი ძმის ვრცელი ბიოგრაფია აქონია შედგენილი. ეს ბიოგრაფია ჯერჯერობით დაკარგულად უნდა ჩაითვალოს.

უმცროსი ძმის არაეითარ ხარჯს, ყველაფერს ითვალისწინებს, რაც მას შეიძლება უცხოეთში დასჭირდეს, და ფულს ამ ანგარიშით უგზავნის! ისიც არ ავიწყდება, რომ გაზაფხულზე, როცა დათბება, შეიძლება უფრო მეტი ხარჯები გაუჩნდეს ახალგაზრდა კაცს უცხოეთში: „ეხლა აქ თბილი დღეები დაიჭირა, — სწერს იგი ერთ წერილში ვანოს, — და მე მგონი მანდ უფრო ადრე გეწვეოდნენ ამგვარი დღეები... ამის გამო დავაშურე იმ ასი მარკის გამოგზავნა... ეს ასი მარკა თუ აგვისტოს თხუთმეტამდის გეყო, ხომ რა კარგი, თუ არა, მომწერე, რამდენი კიდეე დაგჭირდება სხვადასხვა სახარჯოდ. მაგალითად კარტიჩკებზედ, წიგნებზედ ანუ სხვა, მე და შენ რომ ვიცით, იმ საგანზედ...“

როგორც ვხედავთ, უფროსი ძმა ითვალისწინებს ისეთ ხარჯებსაც, რომლის აშკარად დაწერა კერძო წერილშიაც კი უხერხულად მიაჩნია; არაფერს აკლებს უცხოეთში მყოფ ძმას, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ამ დროს პეტერბურგში გაჭირვებას განიცდის: „ჩემი მდგომარეობა ჰგავს ეხლა დღიური მუშის მდგომარეობას. დღესა მაქვს, ხვალ არა და ამგვარ მდგომარეობაში მყოფ კაცს, რაც უნდა კაი სურვილი მოსდიოდეს, ძნელია მისი ასრულება. არ ვიცი როდემდის გასტანს ჩემი ცხოვრებასთან ბრძოლა და ვინ დარჩება ბოლოს გამარჯვებული“... ეკითხულობთ მის ერთ წერილში, რომელიც სწორედ იმ ხანებშია დაწერილი. ხელმოკლეობის გამო იძულებულია თავისთვის გამოწერილი ჟურნალი ჯერ თვითონ წაიკითხოს და მერე ძმას უგზავნოს უცხოეთში. ვანოსთვის ცალკე ჟურნალის გამოწერის საშუალებაც არა აქვს. ხელმოკლეობის გამო იძულებულია თავისი პირველი რომანიც კი შესწყვიტოს, რათა საყვარელი არსება არ გააუბედუროს. და თავის გადაწყვეტილებას, როგორც წესი, მაშინვე უმცროს ძმას გაანდობს, აუხსნის მდგომარეობას და ეკითხება, შენ რა აზრისა იქნები ამ საგანზედაო. ეს წერილი იმითაცაა საინტერესო, რომ, როგორც ყველა წერილი ვასო მაჩაბლისა ძმასთან, შეიცავს მორალურ დარიგებებს, ზნეობრივ ქადაგებას, ჩამოყალიბებულ სენტენციებს:

„კაცმა ყოველი მოვალეობის კისრვის წინათ უნდა დამჯდარის ჭკუით და გონებით გასაჯოს, შეუძლიან ამ მოვალეობის ასრულება თუ არა? იმას ყოველთვის სახეში უნდა ჰქონდეს როგორც თავისი ინტერესი, ისრე მომეტებულად სხვისა. რაც უნდა წმინდა სურვილი ჰქონდეს, უნდა ამ სურვილის შესრულებამდის დაფიქრდეს თავის მომავალს მდგომარეობაზე და ნამეტნავად იქონიოს ის კაცობრიული

სვინდისი, რომელიც უნდა მიუძღოდეს ფარნად ყოველ გონიერ და სვინდისიან კაცს მთელ თავის სიცოცხლეში და, რასაკვირველია, შემდეგ ამისა თუ დაინახა, რომ ის ვერ აასრულებს იმ მოვალეობას, რომელიც მოსდევს მის სურვილის ასრულებას, მაშინ უნდა მას თავი დაანებოს... ამგვარ ნაბიჯის გადადგმაზედ, რომელზედაც მთელი სიცოცხლეა დამოკიდებული, კაცი უნდა ძალიან დაფიქრდეს. ვიტყვი მოკლედ, ჩემს მდგომარეობაში მყოფ კაცს არ შეუძლიან ამგვარი მოვალეობა იკისროს... მაშასადამე, ჩემდა საუბედუროდ, ამჟამად ვერ ვპოვებ ღონისძიებას ჩემი რომანი გაეაგრძელო და დაეაბოლოო. თუმცა ამგვარი ჩემი ქცევა სამძიმო და გულმომაკედინებელია. ეს ფიქრები მომივიდა შემდეგ უკანასკნელი შენტან წიგნის მოწერისა. ეხლა შენზედ ჰკიდია. როგორ გასჯი და დაინახაე ამ ჩემ გადაწყვეტილ ჯერჯერობით აზრსა...”

იშვიათი ძმობა ჰქონდათ მაჩაბლებს. ასეთი დამოკიდებულება უფრო ხშირად ობლობაში და გაჭირვებაში გამოზრდილ, გაუნებიერებელ ძმებსა აქეთ ხოლმე, რომლებიც იძულებულნი ხდებიან პატარაობიდანვე გაუსწორონ თვალი ცხოვრებას, და უზრუნველსა და უდარდელ ბავშვობას ადრე დაუღონ ზღვარი. უნებურად გაგეღიმებათ, როცა ვანო მაჩაბლის იმდროინდელს წერილებს წაიკითხავთ, რომელთაც იგი დასა სწერს უცხოეთიდან. 23 წლის ჭაბუკი ცხოვრებაში გამობრძმედილი, დიდად გამოცდილი ადამიანივით აძლევს დარიგებას ფეხმძიმე დას:

„შევიტყვე რომ გორში ჩასვლას აპირებთ შენ და ილიკო ვიზიტების გასაკეთებლად. ვიზიტების გაკეთება ახალის ცოლ-ქმრისა რასაკვირველია კარგია, მაგრამ ჩემს დისწულს ცოტა ადრე აჩვენე მოგზაურობას. ეხლა შენთვის უფრო დამშვიდებული ცხოვრებაა საჭირო, სანამ აქეთ-იქით სიარული. ამით ნუ გეგონება, რომ ერთს ალაგას უნდა იყო და ადგილიდან არ დაიძრა. შენს მდგომარეობაში დამშვიდებული მოძრაობა და სეირნობა აუცილებლად საჭიროა, მაგრამ მაგ სიშორეზედ წასვლა ჩემის აზრით მეტისმეტია“...

ანდა მეორე წერილში: „თუ მწარედ გამოთქმული სიტყვები, რომელნიც შენს წიგნში ამოვიკითხე, ავადმყოფობისაგან გაავზნების ბრალი არ არის და თუ მართლაც მცირედიც არის უსიამოვნება გადგია რამე საიდანმე, დარწმუნებული უნდა იყო, საყვარელო დაო, რომ არაფერს დაუზოგავთ, ეგ უსიამოვნება თავიდან აგაცილოთ. ბევრი უსიამოვნება გამოგვივლია ჩვენს სიცოცხლეში და თუ იმდენს უსიამოვნებას გადაურჩით, შემდეგისთვისაც არაფრისა არ

უნდა გვეშინოდეს. კიდევ გიმეორებ, თუ ვინიცობაა გაკლია რამე, ფიქრი ნურაფრისა გაქვს, მალე შენს ყოველ უსიამოვნებას ბოლო მოეღება“.

იმავე პერიოდში პეტერბურგიდან ვასოც ასეთივე წერილსა სწერს ღარიკოს: „...შენმა მაგ მდგომარეობამაც ძალიანაც მასიამონა... რამდენიმე თვეს უკან მაშ მეც მეყოლება პაწაწკუნა დისწული. ეხლა ვინძლო შენს თავს გაუფრთხილდე და უბრალოდ ან რაზე არ გაჯაერდე, ან ახტომ-დახტომით არ აენო მომავალ პაწია ილიკოს ან ღარიკოს“.

ურთიერთ ასეთი სიყვარული, პატივისცემა და შრუნველობა ბოლომდე გააკყვით და-ძმებს...



პარიზიდან ეანო მაჩაბელი მონაპელიეს მიემგზავრება, მევენახეობის შესასწავლად. მაგრამ მარტო აგრონომიული მეცნიერების შესწავლით იგი უცხოეთშიაც არ კმაყოფილდება. გერმანიაშიც, საფრანგეთშიაც ჩვეული ინტერესით ეცნობა მხატვრულ ლიტერატურას და, გადმოცემით, პარიზში ყოფნისას, ბალზაკის თარგმანზე ოცნებობს.

1878 წლის ზაფხულში პარიზს ჩადის ვასო მაჩაბელი და ძმები დაესწრებიან პარიზის სასოფლო-სამეურნეო გამოფენას.

სხვათა შორის, პარიზში ეანო მაჩაბელი გაეცნო უკვე სახელგანთქმულ მოჭადრაკეს, სამეგრელოს მთავარს — ანდრია დავითის ძე დადიანს, რომლის რჩეული საჭადრაკო პარტიები იმ დროს სისტემატურად იბეჭდებოდა საფრანგეთისა და ინგლისის ჟურნალებში.

მაჩაბელი პეტერბურგში გატაცებული იყო ჭადრაკით, ხშირად ეთამაშებოდა ხოლმე თავის ძმას და პეტერბურგელ სტუდენტებს. „მეფე ლირის“ თარგმნის პერიოდში, შესვენების დროს, ილიასაც ეთამაშებოდა. იგი ყველას მიერ აღიარებული იყო, როგორც გონებამახვილი და გაბედული მოჭადრაკე. ახლა, პარიზში, დადიანთანაც სცადა ბედი და რამდენიმე პარტია ეთამაშა. როგორც ჩანს, მაჩაბელს წარმატებისათვის ვერ მიუღწევია, მაგრამ გამოჩენილ მოჭადრაკეს, ეტყობა, მაინც მოეწონა მისი თამაშის სტილი; მაჩაბელთან

გათამაშებული ერთი პარტია მან თავის რჩეულ პარტიებში შეიტანა და გამოსცა.

დადიანს განსაკუთრებით მოეწონა მანაბლის გაბედულება: თქვენი დიდი ღირსება ის არის, რომ საკუთარი თავის რწმენა გაქვით, თვითდაჯერებული ხართ! ჭადრაკს რომ თავი დაეანებოთ, ეს ხასიათი ცხოვრებაში გამოგადგებათ, — ღიმილით უთხრა მან ახალგაზრდა კაცს, — თქვენ უყოყმანოდ და გაბედულად აიღეთ ყველა პაიკი, რაც კი შემოგწირეთ, და საბოლოოდ ერთი უხეში შეცდომის გამო წააგეთ, თორემ ჩემი საქმე ცუდად იქნებოდა...

1878 წლის შემოდგომაზე ვანო მანაბელი კვლავ პეტერბურგშია.



უცხოეთიდან დაბრუნებულ მანაბელს პეტერბურგელი სტუდენტების ცხოვრება კიდევ უფრო მჩქეფარე ეჩვენება. იგრძნობა მეტი გამოცოცხლება და მოძრაობა. „განსაკუთრებით ეს ითქმის ქართველ სტუდენტებზე, რომელთაც დიდი ლიტერატურული წრე ჩამოუყალიბებიათ და სისტემატურად იკრიბებიან ხოლმე. ახლა ქართველი სტუდენტების რიცხვიც გაცილებით მეტია. კრებებზე მათი მსჯელობა მართო ლიტერატურული საკითხებით არ იფარგლება. ისინი ცხარედ კამათობენ ეკონომიურ, პოლიტიკურ პრობლემებზე, ხალხთა თავისუფლებაზე, სამშობლოს კეთილდღეობაზე და იმაზე, თუ როგორ გამოადგება სამშობლოს თითოეული მათგანი. იკრიბებიან უმთავრესად ვასილ მანაბელთან, რომელიც ამ დროისათვის უფრო დიდ ბინაში გადასულა. ამ წრის ერთ-ერთი ორგანიზატორიც თვით ვასო მანაბელია. წრის მუშაობის ხასიათსა და შინაარსს კი შორიდან ხელმძღვანელობს ილია ჭავჭავაძე. წრის ჩამოყალიბებაც მისი იდეაა. 1877 წელს იგი ვასო მანაბელს სწერდა: „ეცადე, შენ გეთაყვანე, მანდ მოსწავლეთაგან მცირე სალიტერატურო წრე შეადგინე, მათთან მისვლა-მოსვლას ნუ დაიზარებ. შენ იცი და შენმა გულშემატკივრობამ ამ ჩემს თხოვნას რა ყურადღებას მიაქცევ“.

წრის კრებებს ხშირად ესწრება უკვე ღრმად მოხუცი მეცნიერი დავით ჩუბინაშვილი, რომელიც ახალგაზრდა სტუდენტებს ლექციებს უკითხავს საქართველოს წარსულზე, მშობლიურ ლიტერატურაზე... და საქართველოდანაც თუ ვინმე ჩავიდა პეტერბურგს, უსათუოდ

უნდა ეწვიოს ამ წრეს. ეს წესად იქცა. პეტერბურგს კი სძირად ჩადიან საქმეებზე ნიკო ნიკოლაძე, დიმიტრი ყიფიანი, აკაკი, ილია... ქართველი მოღვაწეების სტუმრობა იმითაცაა საინტერესო, რომ წრის მუშაობის ზოგად, თუ შეიძლება ითქვას, თეორიულ ხასიათს, უფრო კონკრეტულ მიმართულებას აძლევენ ხოლმე და ქართველი საზოგადოების ყოველდღიურ საჭირობოროტო საკითხებს უქვემდებარებენ.

ქართველი საზოგადოებისათვის ამჟამად ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და მომწიფებული საკითხი არის ეროვნული თეატრის აღორძინება, რაზედაც დიდი ხანია ლაპარაკობენ, მაგრამ თავი დღემდე ვერ მოუბამთ, მუდმივი დასი დღემდე ვერ დაუარსებიათ. ერთ-ერთი სიძნელე ასეთი თეატრის დაარსებისა სათანადო რეპერტუარის უქონლობაც არის. და აი, პეტერბურგელ სტუდენტთა წრემ, რომელსაც დროებით უცხოეთიდან ახალდაბრუნებული ვანო მაჩაბელი ჩაუდგა სათავეში, იკისრა რეპერტუარის შევსება — ახალი პიესების თარგმნა. სტუდენტები გაფაციცებით შეუდგნენ საქმეს. ვანო, რომელსაც „მეფე ლირის“ თარგმნის შემდეგ უკვე საკმაო გამოცდილება აქვს ამ საქმისა, აქტიურად ერევა სტუდენტების მუშაობაში, კითხულობს მათ თარგმანებს, უსწორებს, თვითონვე თარგმნის. სწორედ ამ დროს თარგმნა მან მოლიერის „ექვით ავადმყოფი“ და გოლდონის „როგორც პქუხს, ისე არა წვიმს“, რედაქცია გაუკეთა პეტერბურგელ სტუდენტთა ჯგუფის მიერ თარგმნილ მოლიერის „ძუნწს“. მაგრამ ვინც ყურადღებით გადაიკითხავს თარგმანს, დარწმუნდება, რომ მაჩაბელი უბრალო რედაქციით არ დაკმაყოფილებულა.

თარგმნილ პიესას საჯაროდ კითხულობენ ხოლმე წრის კრებაზე. მაგრამ ეშხში შესულ ახალგაზრდობას მობეზრდა მშრალი დეკლამაცია, ამ პიესების გათამაშებაც მოუნდათ. ამ საქმესაც ძმები მაჩაბლები ჩაუდგნენ სათავეში, და პეტერბურგში ზედიზედ გაიმართა რამდენიმე ქართული წარმოდგენა. მაყურებელი მრავალრიცხოვანია. გარდა ქართველი სტუდენტებისა, წარმოდგენებს ესწრებიან სომეხი, უკრაინელი, რუსი სტუდენტებიც. წარმატება ზღაპრულია. მაგრამ არაქართველ მაყურებლებს თარგმნილზე უფრო, ორიგინალური, ქართული პიესა დააინტერესებთ, რომელიც საშუალებას მისცემს მათ გაეცნონ ქართველი ხალხის ყოფაცხოვრებას, ზნე-ჩვეულებას...

მართლაც, პირველად დადგეს „შხის დაბნელება“. ამ საქმის ინიციატივაც ვანოს ეკუთვნის. თვითონვე თამაშობს ერთ-ერთ მთავარ როლს.

ზედმეტი არ იქნება აქვე მოვიყვანოთ იმავე წრის წევრის მოგონება, რაც ამ პიესის დადგმას შეეხება:

„...ბევრი დაბრკოლება გადაგვეღობა წინ, მეტადრე გაგვიძინელდა ტანისამოსის შოვნა. მაგრამ ყველა სიძნელე ვძლიეთ და საქმე მოვაწყეთ. სასიძოს როლს თამაშობდა ვანო მაჩაბელი, რომელიც საზღვარგარეთიდან იყო დაბრუნებული და დროებით პეტერბურგში ცხოვრობდა. თამაში, მიხვრა-მოხვრა მეტად შახიანი ჰქონდა, მხოლოდ ხელს უშლიდა მისი მუდმივი, ჩვეულებად ქცეული ნაკლი — აჩქარებული, სხაპა-სხუპით ლაპარაკი. ყარაჩოდელ ძმა-ბიჭების როლს თამაშობდნენ კეხელი, გ. ანდრონიკაშვილი და მ. ალიბეგაშვილი... კინტოს როლს, გამყიდველისას, თამაშობდა ნამდვილი კინტო, რომელიც პეტერბურგში რაღაც შემთხვევით აღმოჩნდა იმ დროს. მერე კი ვინანეთ, რომ უცხო კაცი სცენაზე გამოეუშვით: ისეთი ხმით გააკიოდა, ისეთი ყიჟინა ასტეხა, სასწორს ისე აბრაგუნებდა, რომ გვეგონებოდათ თბილისში თათრების მოედანზეა და მუშტარს უძახისო. რის ვაი-ვაგლახით მოვაშორეთ სცენას. იმერლის ბიჭს თამაშობდა სილოვან ხუნდაძე... ბევრი გეაცინა რასაკვირველია, ვისაც ქართული ესმოდა და წარმოდგენაზე კი უცხო ტომის ხალხიც ბლომად იყო...“.

თვით ვასო მაჩაბელიც წერს: „ვანოს ცოცხალმა ბუნებამ დასვენება არ იცოდა. მან განიზრახა სტუდენტების დახმარება და ამ აზრით წარმოდგენის გამართვა. ამისათვის ძმებმა აირჩიეს „შხის დაბნელება“ (ეს არის ხელმოუწერელი საგაზეთო სტატია და ამიტომ ვასილ მაჩაბელი თავის თავზე მესამე პირში წერს). შეადგინეს სცენისმოყვარეთა წრე მოძღერლებით, დუდუკით და საზანდრებით და ბოლოს გაგარინის ზალაში 1879 წელს გამართეს წარმოდგენა. ეს იყო პირველი ქართული წარმოდგენა პეტერბურგში. დიდძალი საზოგადოება დაესწრო ამ წარმოდგენას. წმინდა შემოსავალი, ხარჯს გარდა 2600 მანეთი იყო, რაიც სტუდენტობას გადაეცა. მას შემდეგ პეტერბურგში ყოველ წელიწადს იმართება ქართული წარმოდგენა ანუ საღამო...“.

ამ ამბავს ქართული გაზეთებიც გამოეხმაურა:

„25 თებერვალს პეტერბურგში წარმოდგინეს „შხის დაბნელება“ ღარიბი სტუდენტების სასარგებლოდ, — ვკითხულობთ 1879 წლის „დროების“ ერთ-ერთ ნომერში, — იმოდენა ზალა მაყურებლით გაიტენა... ეს წარმოდგენა შესანიშნავია მითი, რომ ჯერ რაც ეს პიესა დაწერილა ამგვარ უნაკლოდ არსად ასრულებულა, მეორედ, რომ

ბევრჯერ და ბევრგან გვინახავს საქართველოში ამის წარმოდგენა, მაგრამ ასე ერთპირის შეთანხმებით რომ ეთამაშნოსო, არ გვანსოვს, მოთამაშეები ერთი-მეორესა სჯობდნენ. თამაშობდნენ ფურცელაძის, ღუნიაძის და დაეითაშვილის ქალები; კაცები: გაბაშვილი, მანაბელი, კეზელი, ორი ძმა ანდრონიკაშვილები და სხე... ჰუბლიკა ძლიერ კმაყოფილი დარჩა, ასე გაშინჯეთ, რომ ვისაც ქართული არ ესმოდათ, ისინიც კი ალტაცებაში მოვიდნენ... ერთმა გამოჩენილმა გვამმა მითხრა იქ: „ნუთუ ის ხალხი, საიდანაც ამისთანები გამოდიან (ხელი მიმიშვირა მოთამაშეებზედ) უნდა მოკვდეს? ნუთუ შესაძლებელია მისი გადასხვაფერება?“.

ამის შემდეგ, საზოგადოების მოთხოვნით, სისტემატურად იმართება პეტერბურგში ქართული წარმოდგენები. ვანო ამ დროს უკვე თბილისშია და საქმის ინიციატორი ახლა მხოლოდ ვასო მანაბელია.



ვანო მანაბელი რამდენიმე თვეს დარჩება პეტერბურგში და 1879 წლის მარტის დასაწყისში თბილისისაკენ გამოსწევს. გამომგზავრების წინა ღამე ძმებმა თეთრად გაათენეს. საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე გამოსვლის წინ ვანო ღელავს, გული უთრთის, გონებაში მკაფიოდ ვერ მოუხაზავს თავისი მოქმედების გზა, მოღვაწეობის ხასიათი. ისე კი გადაწყვეტილი აქვს მთელი არსებით ხალხის სამსახურში ჩადგეს; ოჯახს არ მოეკიდება, რადგან ცოლ-შვილი მას შებორკავს და მოღვაწეობაში ხელს შეუშლის. ეს არის მტკიცე აღთქმა. ვანო ამას არაფრით არ გადაეა, ცოლს არ შეირთავს. ძმის მომღიმარ სახეს რომ შენიშნავს, ვანო კიდევ უფრო მტკიცედ გაიმეორებს თავის გადაწყვეტილებას... „სამშობლოსათვის მოციქულ-მოწამედ მოუშნადებია თავი“. არც საერთო მამულში უნდა წილი: ყველაფერს ვასოს უტოვებს, რადგან ძმას ღიდი ამაგი აქვს მასზედ და საერთოდ მთელს ოჯახზე; მათი მამული არცა ღირს გასაყოფად...

ღილაძე გავრძელებდა ვანოს აღსარება და ძმის შეგონება. „ყოველი საქმე, რასაც ხელს მოჰკიდებ, ბოლომდე უნდა მიიყვანო, მუდამ სახეში უნდა გქონდეს...“ და ასე გრძელდებოდა ძმის დარიგებანი...

სამშობლოს უბრუნდება განსწავლული, საზოგადო საქმისათვის თავდადებული ვაჟკაცი — ივანე მანაბელი. ძმისავე სიტყვებით რომ ეთქვათ, „იწყება მისი რთული მოღვაწეობა“.

მამულო საყვარელო...

*შენს ძარღვის ცემას მე ყურს ვუგდებ სულგანაბული,
ღამე თენდება ჯვრით ჩემი და დღე ღამდება*

ო. ჭავჭავაძე

*...მაგრამ ამას კი ძლიან გეხვეწები,
წერილებში აზრები დაფარო...
რედაქტორის კერძო წერილიდან*

ისეთი მასშტაბის საზოგადო მოღვაწეობა, როგორსაც მაშინ ჩვენი დიდი მამულიშვილები ეწეოდნენ, მართლაც რომ მეტიმეტად რთული იყო. ისინი ერთსა და იმავე დროს ფინანსისტებიც უნდა ყოფილიყვნენ, ჟურნალისტებიც, პედაგოგებიც, მეურნეებიც, პუბლიცისტებიც, ბელეტრისტებიც, თეატრის მცოდნეებიც, ხოლო ზოგჯერ მსახიობ-რეჟისორებიც კი... რადგან ყველა ეს საქმე სოციალური და ნაციონალური ჩაგვრით წელში გაწყვეტილ ხალხს ემსახურებოდა, ერის კეთილდღეობას ემსახურებოდა. საჭირო იყო ეროვნული და სოციალური თვითშეგნების გაღვივება, ხალხში განათლების შეტანა, ცრუმორწმუნეობისა და მათზე ადათების გაფანტვა, ენისა და ლიტერატურის აღორძინება, სკოლებში დედა-ენის დამკვიდრება, გარეშე მტრებისა და ფეოდალების წყალობით დაქუცმაცებული ხალხის გაერთიანება, მათთვის საუკუნეობრივი ჭრილობებისა და ტკივილების დაამება...

სწორედ ამიტომ, ისეთ მოღვაწეებს, როგორიც იყვნენ ილია და ივანე მაჩაბელი, ჩვენ ვხედავთ სათავადაზნაურო ბანკში, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, სასკოლო კომიტეტში, თეატრალურ საზოგადოებაში, გაზეთში, ჟურნალში და მრავალ სხვა საზოგადო ორგანიზაციაში.

ეს მოვალეობანი თავისთავად ხომ მეტად ძნელია, მაგრამ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამ საქმეს თვითმპყრობელური მთავრობის მთელი ბიუროკრატიული აპარატი და საშინელი ცენზურა ეღობებოდა წინ, რომ ყოველი ეროვნული საქმე სასტიკად იდევნებოდა, მაშინ აშკარა გახდება ჩვენი იმდროინდელი მოღვაწეების მუშაობის სირთულე და თავგანწირულება. ამგვარ მუშაობას სჭირდებოდა, რაც მთავარია, მგზნებარე პატრიოტიზმი და საქმის დიდი

სიყვარული, ურომლისოდაც, საერთოდ, არავითარი ასე თუ ისე მნიშვნელოვანი საქმის გაკეთება არ შეიძლება.

მაგრამ მარტო ესეც არ კმაროდა: საჭირო იყო მრავალმხრივი და საფუძვლიანი განათლება, შეუპოვრობა, მუყაითობა, განსაკუთრებული ტაქტი და ურთიერთ მხარდაჭერა... ასეთი მუშაობა მოითხოვდა სასიცოცხლო ენერჯის დაძაბვას, არაადამიანურ შრომასა და სიბეჯითეს. საჭირო იყო პირადი ცხოვრების უარყოფა და საზოგადოების ინტერესებისათვის დაქვემდებარება. მარტო საგაზეთო საქმეც რომ ავიღოთ, ერთ კაცს, რედაქტორს, თუნდაც იმავე ივანე მაჩაბელს, ყოველდღიურად უხდებოდა მოწინავე სტატიების წერა, შინაური მიმოხილვის გაკეთება, შემოსული მასალების გასწორება, რამდენიმე კორექტურის წაკითხვა და... დაუსრულებელი დავა ცენზურასთან. ასეთი შრომა დაკავშირებული იყო ღამეების თენებასთან და საბოლოოდ ჯანმრთელობის სრულ განადგურებას იწვევდა. რა თქმა უნდა, ყველა ვერ აიტანდა ასეთ დაძაბულ მუშაობას. ექიმი ივანე ელიაშვილი თავის მოგონებაში წერს: „ამ სტრიქონების დამწერს არა ერთხელ და ორჯერ უნახავს (ივანე მაჩაბელი) ნაშუადამევის სამსა და ოთხ საათზედაც კი საწერ მაგიდასთან მჯდარი კალმით ხელში იმ დროს, როდესაც დილის 9 საათზე სამსახურში უნდა წასულიყო. თუმცა არც დაღლილობას, არც რამე უქეიფობას არ იმჩნევდა ამრიგად მშრომელი ვანო... რაც კი შეეძლო, მეგობრულად ეაფრთხილებდი, მაგრამ ვერას ვაწყობდი, თუმცა დამპირდებოდა ხოლმე, აი, ხვალიდან შენს ჭკუაზე ვივლიო, ხვალ-კი ისევე შრომობდა, როგორც დღეს და გუშინ...“

ასეთი შრომისმოყვარეობა და ენერჯია ბოლომდე მიჰყვა ივანე მაჩაბელს. მით უმეტეს ჭარბად ჰქონდა ეს ენერჯია სამშობლოში ახლად დაბრუნებულ 25 წლის ახალგაზრდა კაცს.



ძმის დარიგებისამებრ, მაჩაბელი თბილისში ჩამოსვლისთანავე ილია ჭავჭავაძეს ინახულებს. ჩვენ უკვე ვიცით, რა აზრისა იყო ვანოზე ილია. ამიტომ უნდა ვიგულისხმოთ, რომ მას განუსაზღვრელ სიხარულს მიანიჭებდა თანამოკალმისა და უმცროსი მეგობრის ნახვა, რომელსაც შეეძლო ნაწილობრივ მაინც შეემსუბუქებინა მისთვის

მძიმე საზოგადოებრივი შრომა. მით უმეტეს, რომ მოღვაწეობის ასპარეზი ახლა უფრო ფართოვდებოდა.

ის, რაც სამოციან წლებში ჭაპანწვევითა და არაადამიანური მოთმინებით დათესეს ჩვენმა მოღვაწეებმა, გაღივებულა, გაუხარია და ღღეს თუ ხვალ უნდა მოიმკან კიდეც. ძნელი გასახარებელი იყო ეს ნათესი, ეკლითა და ბარდით იყო დაფარული ის ბილიკი, რითაც ილია ჭავჭავაძე და მისი რამდენიმე თანამებრძოლი მიდიოდა, მაგრამ მაინც მოახერხეს, გაივალეს და ახლა უკვე ერის სულიერ ცხოვრებაში აღორძინების ხანა დამდგარა...

მაჩაბელს ბევრი სასარგებლო საქმის გაკეთება შეუძლია ახლა.

საცაა მუღმივ დასს დააარსებენ და თეატრალურ საზოგადოებას ჩამოაყალიბებენ, უკვე მომწიფებულია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების საკითხი; ფიქრობენ „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიურად გამოცემასაც; ამას გარდა, ბანკისა და სხვა მრავალი საქმეებით დატვირთულ ილიას საიმედო კაცი სჭირდება ჟურნალშიაც...

ერთი წლის განმავლობაში ივანე მაჩაბელი ჩაბმულია ყველა საქმეში, რაშიაც თვითონ ილია მონაწილეობს. ილიამ თავისი ხასიათისათვის უჩვეულობა გამოიჩინა: ერთბაშად მიენდო ჯერ კიდეც სრულიად გამოუცდელ ახალგაზრდა კაცს. ამ განუსაზღვრელი ნდობის შედეგად მაჩაბლის თვითრწმენაც გაიზარდა; ამან კი, თავისთავად, სასურველი შედეგი იქონია მის მუშაობაზე. საზოგადოებას შეეძინა ახალი, საიმედო, განათლებული და სახალხო საქმისათვის თავდადებული წევრი. ამიერიდან ილიას მარტო აღარ ახსენებენ, და ვერც ხედავენ მარტოს — მასთან ყოველ საქმეში განუყრელად არის ივანე მაჩაბელი; არა როგორც პასიური წევრი ამა თუ იმ საზოგადოება-დაწესებულებისა, არამედ როგორც აქტიური მონაწილე, მებრძოლი და ინიციატორი.

„ხანგრძლივი არ იყო ვანოს მუშაობა (საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე), მაგრამ ყველაფერს, რასაც კი ჰკიდებდა ხელს, სიცოცხლე ემატებოდა და სიცოცხლით აინთებოდა. ყველაფერს სულს უდგამდა და მკეირცხლად ამოქმედებდა“, წერს მოგონებაში ერთი მისი თანამედროვე.

ილიამ იცის, რომ ვანო ჩუმ-ჩუმად ლექსებსაც წერს, და აი, შეხვედრის პირველსავე ღღეს თავის ახალგაზრდა მეგობარს ლექსებს მოსთხოვს, რომ მოასწროს და ჟურნალის მარტის ნომერში დაბეჭდოს. მაჩაბელი ჯერ მორცხვობს, ერიდება თავისი ლექსები სახელმძღვანელო მწერალს აჩვენოს; ეს ლექსები მას პარიზში დაუწერია, 1878 წელს, და გამოქვეყნებას არც კი ფიქრობს. მაგრამ

რაკი ილია არ მოეშვება, მაჩაბელი თავის ორ ლექსს აჩვენებს. ილია უყოყმანოდ ბეჭდავს ორივე ლექსს „ივერიაში“.

ერთი შეხედვით, ეს ლექსები ყმაწვილი კაცის ნაეარჯიშევეს უფრო ჰგავს და მკითხველს იქნებ გაუკვირდეს კიდეც, როცა მაჩაბლისავე დიდებულ თარგმანებს შეადარებს. პირველ ლექსში, რომელიც ფორმითა და განწყობილებით ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის გაელენით არის დაწერილი, გადმოცემულია ოცნება სამყაროს უსასრულობაზე და ისეთ აბსტრაქტულ საკითხებზე, რითაც უმთავრესად ახალგაზრდა კაცის ფიქრებია ხოლმე მოცული... ამ ლექსს ნიკო ნიკოლაძემ, ილიასთან პოლემიკის დროს, დაცინვით „ასტრონომიული ლექსი“ უწოდა. მაგრამ საყურადღებოა ლექსის ბოლო ნაწილი, რომლითაც საშუალება გვეძლევა გავეცნოთ ახალგაზრდა მაჩაბლის საერთო განწყობილებასა და მისწრაფებებს. იგი შეჰყურებს უსასრულო სიერცეში მსრბოლ მნათობებს და სჯერა, რომ იმ ურიცხვ ეარსკელაეთა შორის, ერთზე მაინც იქნება დამკვიდრებული ისეთი ცხოვრება, რაც ჩვენ მხოლოდ სიზმარში გველანდება, იმ ეარსკელაეს მაინც ხდომია წილად იმის ახდენა, რაც ჩვენში „მრავალთ მიაჩნიათ შეუსრულებლად“; იქ უკვე აღარ ისმის მტარეალთა მრისხანე ხმა, „აღარ არის უსწორობა, შური და მტრობა“; იქ „საუკუნო ყოველთა ძმობა“ სუფევს... შეჰყურებს ახალგაზრდა კაცი ამ ბედნიერ ეარსკელაეს და ოცნებობს, რომ ჩვენს პლანეტაზედაც დამკვიდრდეს ეს საუკუნო ძმობა და თანასწორობა!..

მეორე ლექსი ხალხურ კილოზეა დაწერილი და ყურადღებას იქცევს განწყობილების უშუალობით.

აპრილის ნომრისათვის ილია სამეცნიერო ხასიათის წერილებს დაუკვეთს მაჩაბელს და, საერთოდ, შესთავაზებს „ივერიაში“ სისტემატურ თანამშრომლობას. მასწავლებლის ადგილსაც გამოუძებნის ერთ ახალდაარსებულ სკოლაში, რომელიც სწორედ წინათეში გაიხსნა. ეს არის თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოების მიერ გახსნილი სკოლა „შეუძლებელ მოწაფეთა შემწეობისათვის“, ჯამაგირი ოთხმოცი თუმანი; მაგრამ ვანო უარს იტყვის მასწავლებლობაზე. არც ილია დაატანს ძალას: „რახან მასწავლებლობა არ გინდა, ბანკში ამოგირჩევენ დამფასებლად და კასირის ალაგსაც მოგიხერხებ; თავისუფალი დრო ბევრი გექნება, ჟურნალისთვისაც იშრომებ, შინაობასაც მიხედავ; მერე იქნებ ბანკის დირექტორობაზედაც იყარო კენჭი, სულ ჩვენ ხომ არ ვიქნებით, ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა შეგვეცვალოთ“, ეუბნება იგი მაჩაბელს.

ძმასთან შეთანხმების მიხედვით, ვანოს ორიოდ დღეში უნდა მოეთაყუებინა საქმე თბილისში და სასწრაფოდ ასულიყო სოფელში, რადგან ღვინოების გადაღება გვიანდებოდა. მაგრამ მანაბელს ახალი საქმეები გაუჩნდა და ჩქარა წასვლა ვერ მოახერხა, თითქმის ოცი დღით დაყოვნდა. მერე გორიდან ძმასა სწერს შეგვიანების მიზეზებს, იმაშიაც გამოუტყდება, რომ სახლისათვის გამოტანებული ფულის ერთი ნაწილი გაუთვალისწინებელ რამეებზე დაეხარჯა. იმავე წერილში სწერს, რომ ორ კვირაში ისევე აპირებს ქალაქს ჩასვლას, „რადგან ჩემგან გადმოთარგმნილს პიესას თამაშობენ და მთხოვენ, რომ ორს-სამს რეპეტიციასზედ მაინც დავესწრო“.

ეს პიესა არის მოლიერის „ეჭვით აუადმყოფი“, რომელიც მანაბელმა პეტერბურგში თარგმნა, წამოსვლის წინ. თბილისში დაყოვნებაც ამ პიესასთან არის დაკავშირებული. თუმცა ნამდვილ მიზეზს არა სწერს ძმას, რადგან თავისთავად ეს ისეთს რასმე უკავშირდება, რისი გამჟღავნება ძმისთვის, იმ აღსარების შემდეგ, ვანოს ამჟამად არ შეუძლია, მიუხედავად იმისა, რომ ძმას საერთოდ არაფერს უმაღლავს.

საქმე ის არის, რომ ამ პიესაში ერთ-ერთი მთავარი როლი უნდა ითამაშოს ქართული სცენის ახლად ამოსულმა ვარსკვლავმა, 18-19 წლის ცქრიალა ქალიშვილმა მაკო საფაროვმა, რომლის სახელი ახლა ყველას პირზე აკერია თბილისში. ეს ქალი ვანო მანაბელმა პირველად სცენისმოყვარეთა წარმოდგენაზე ნახა. ერთბაშად მიიზიდა მკვირცხლმა გოგონამ, მოეწონა, მაგრამ განსაკუთრებული რამ ვანოს მაშინ თითქოს არ უგრძენია. გაიცნო საკმაოდ ოფიციალურ ვითარებაში და ქალმა მხოლოდ ის უთხრა გამომწვევი ღიმილით, ვოცნებობ თქვენი თარგმნილი კორდელია ვითამაშოო. ეს იყო და ეს.

ვანომ პასუხის გაცემაც ვერ მოასწრო, რადგან უცებ მათ შეუერთდა მსახიობების ერთი ჯგუფი, მათ შორის მისივე ბიძაშვილი ზალიყო მანაბელი და ახლგაზრდა მსახიობი ვასო აბაშიძე. მანაბელს გაეხარდა გიმნაზიის ამხანაგის ნახვა, მათ შორის მეგობრული საუბარი გაიმართა და ქალიც ამასობაში სადღაც გაქრა.

იმ ღამესაც, მეორე დღესაც ვანოს თითქოს რაღაც აწუხებდა, მაგრამ არც კი დაფიქრებულა, რა უკარგავდა მოსვენებას, მხოლოდ ნაშუადღევს დაიჭირა თავისი თავი, როდესაც „მეფე ლირის“

ქართული თარგმანი აიღო და უნებურად მარტო კორდელისას მონოლოგები გადაიკითხა, სხვა ტექსტი გამოტოვა. მაშინ იგრძნო, როგორ სწყუროდა ახალგაზრდა მსახიობი ქალის ნახვა. ერთბაშად შეკრთა და თითქოს შეწუხდა კიდეც. მაგრამ რაკილა მიხვდა თავისი მოუსვენრობის მიზეზს, ქალის ნახვის სურვილი გაუორკეცდა.

შებინდებულყო. მაჩაბელმა თხელი პალტო ჩაიცვა და ქუჩაში გამოვიდა — არა ქალის სანახავად, არამედ უბრალოდ, გასავლელად. მაგრამ, თითქოს წინასწარ შეთანხმებულანო, მას ქუჩაში საფაროვის ქალი შეხვდა.

იღგა ადრეული გაზაფხულის საღამო. საერთოდ იმ წელიწადს ძალიან ადრე გაზაფხულდა, მარტის შუა რიცხვებში უკვე აპრილის ამინდები დაიჭირა. ხეები შეკვირტულიყო, კქროდა გაზაფხულის სურნელით დამტკბარი საამური ნიაფი, ირგვლივ ჩიტების ჟღერტული გაისმოდა... ერთი სიტყვით, თუკი ბუნებას მართლა შეუძლია ადამიანი პოეტურად განაწყოს, ახლაც ერთ-ერთი ასეთი საღამო იყო.

მაჩაბელი მძიმე ნაბიჯით შეუყვა ბარიათინსკის აღმართს და გოლოვინის პროსპექტზე ავიდა. სწორედ აქ, ბალის კარებთან მას შეხვდა მაკო საფაროვი. ქალმა გაუღიმა და მიესალმა. ვანო მასთან მივიდა, ხელი ჩამოართვა და სთხოვა, ცოტა ხანი მისთვის დაეთმო, ერთად გაეელოთ. ქალი დათანხმდა. ისინი მოედანს გასცდნენ და დინჯად გაემართნენ ნარიყალასაკენ.

ვანოს უყვარს ამ უბანში სიარული, ძველი დიდების ხილვა; აქედან განსაკუთრებით კარგად მოჩანს სიონის ტაძარიც...

მაგრამ ამჟამად მათი საუბარი შეეხებოდა არა საქართველოს სიძველეებს, არამედ განახლებულ ქართულ თეატრს. მაჩაბელი ლაპარაკობს სხაპასხუპით და მგზნებარედ; ვინც კარგად არ იცნობს, მისი ლაპარაკი იქნებ ყალბ პათეტიკად მოეჩვენოს. ლაპარაკის დროს ხშირად შეიქნევს ხოლმე თავს და ანცად ჩამოშლილ ქერა კულულებს უკან გადაიყრის. ყველა მისი სიტყვა, რაზედაც არ უნდა საუბრობდეს, მშობელი ხალხის კეთილდღეობას ეხება. თეატრის მკვიდრ ნიადაგზე დაფუძნებასაც — ერის საერთო კულტურის აღმაელობას, ადამიანის სულიერ განსპეტაკებას უკავშირებს.

— კაცობრიობის წინსვლა ის არის, რომ გონიერი არსება დაჩაგრულს, ან გაეეღურებულს არსებას კი არ ჰგაედეს, ისეთს სულიერად კი არ იყოს გამხდარი, რომელსაც მხეცური და გარეულის ინსტინქტით აქვს სავსე გული, არამედ სიყვარულით, კეთილის გრძნობით, სიწმინდით იყოს შემკული და ნამდვილ ქმნილებათა

გვირგვინს წარმოადგენდეს, — გატაცებით ეუბნება მანაბელი ახალგაზრდა მსახიობ ქალს, — პირუანდელის კაცის ტლანქსა და მხეცურს ბუნებაზე უნდა მთელს საკაცობრიო ისტორიას ემუშავნა. მთელს ოცსა და ორმოცს საუკუნეს დაესრულებინა თავისი შრომა, რომ ადამიანს ადამიანობა დასწნეოდა, ცხოველური ინსტინქტები დაეთრგუნა და უარეყო, ძალადობა და მტარვალობა შეჰზინებოდა და შეკყვარებოდა ყოველივე კეთილი... პოეზია რომ არ იყოს, ხალხის ცხოვრება ერთს დაუსრულებელ სისხლისღვრას დაემსგავსებოდა. პოეზია აკეთილშობილებს კაცის გრძნობას, პლაგმავეს ბოროტს ინსტინქტებს და ხეპრეს ჩვილ არსებად აქცევს; პოეზიის გვირგვინი კი დრამა და დრამატიული მწერლობაა. მისი ზეგაელენის სფერო უფრო ვრცელია... დრამის სამსახური კაცობრიობის წინაშე უფრო დიდია და უფრო საყურადღებო. თუ ჩვენმა სათეატრო დასმაც შეიგნო ეს დიდი მნიშვნელობა დრამისა და თეატრისა და თუ ამ შეგნებით...

თანამედროვე ადამიანს იქნებ ყალბ პათეტიკად მოეჩვენოს შეყვარებულ ქალთან ასეთი საუბარი — მაშინ ეს ჩვეულებრივი იყო. უეცრად ქუჩა გადასჭრა ფურგონების ქარავანმა და ყურისწამლებმა გრუხუნმა მანაბლის სიტყვებიც შთანთქა.

— კარგ დროს შემაჩერა, თორემ ვატყობ, ლექცია გამომივიდა, და ისიც მოსაწყენი. თქვენთვის სულ ზედმეტია ასეთი ლექცია, თეატრის ფასიც კარგად გესმით და თაედადებულიც ხართ ამ საქმისათვის.

— პირიქით, სასიამოვნო იყო თქვენი მოსმენა, მაღლობელი ვარ.

— ჩვენს დასს ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო აქვს, — განაგრძობს მანაბელი, — სარეჟისორო საქმესა და თეატრის მატერიალურად მოღონიერებას რომ თავი დაეანებოთ, მოთამაშეებსაც ძალიან ბევრი მუშაობა დასჭირდებათ; თუნდა დიქცია ავიღოთ, აბა რასა ჰგავს ჩვენი მსახიობების გამოთქმა — ასე გგონია სიტყვა ყელში ეჩხირებათო...

ქალს გაეცინა. გაგონილი აქვს, რომ მანაბელს მისი დიქცია მოსწონს, საჯაროდაც გამოუთქვამს თურმე ეს აზრი... ამიტომ თვალებს ეშმაკურად მოჭუტაეს და კეკლუცად ჰკითხავს:

— ვინ იცის, მეც როგორა ვბლუყუნებ!..

— თქვენ ბედნიერი გამონაკლისი ხართ...

მანაბელი, საერთოდ, დიდ მნიშვნელობას აძლევს მსახიობის დიქციასა და ინტონაციას. რამდენიმე თვის შემდეგ საგანგებოდ სტატიასაც დასწერს ამ საგანზედ, რომელშიაც საფაროვის ქალის ქებას არ ერიდება: „მხოლოდ საფაროვის ქალსა აქვს იმისთანა მშვენიერი, კაფიერი გამოთქმა, რომ რაც უნდა ჩქარა ლაპარაკობდეს,

მაინც ყოველი იმისი სიტყვა სულ უკანასკნელ სკამებზედ მსხდომებსაც კი ესმით“...

— თქვენ ბედნიერი გამონაკლისი ხართ, — განაგრძობს მაჩაბელი. — ოდესმე თუ მიეუბრუნდი შექსპირის თარგმნას, დაბეჭდვამდე თქვენ უნდა წაგაკითხოთ ხოლმე ხმაძალა, თქვენით უნდა შევამოწმო, რამდენად სცენიური იქნება მოქმედ პირთა მეტყველება.

მათ ჩაუარეს ქუჩის სუსტად მბჟუტავ ფარანს და ვანომ მხოლოდ ახლა შენიშნა ქალის ფართო შუბლზე, საფეთქელთან ჟინიანად ჩამოვარდნილი მოკლე წაბლისფერი კულული, რომელსაც ანცად უთამაშებდა ნიავი. მცირე ხნით უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც ისევ ვანომ დაარღვია და სიცილით მოიგონა, როგორ „წარმატებით“ შეასრულა ერთხელ მან, გიმნაზისტობის დროს, მონაწილეობის როლი. ქალმაც ბევრი იცინა, ვანოს განსაკუთრებით მოსწონს მაკოს ვერცხლის ზარივით წკრიალა სიცილი. ამას უკვე გრძნობს ქალი...

— გავიგე, რომ ამას წინათ პეტერბურგშიაც არანაკლები წარმატებით გამოსულხართ „შხის დაბნელებაში“, — კეკლუცად მიმართა ქალმა, — იქნებ კვლავაც განაგრძოთ თქვენი მოღვაწეობა სცენაზე!

ვანოს გაელიმა. არაო უთხრა, ასეთ კაშკაშა ვარსკვლავებში ჩემი ბჟუტავით ვერავის გაუაკვირვებ; ყბადასაღებად ერთი მაჩაბელიც გეყოფათო (ზალიკო მაჩაბელი იმხანად თითქმის ყველა როლში მარცხდებოდა), მე სხვაგვარად უნდა ეემსახურო თქვენს თეატრსაო.

საუბარი გადავიდა შექსპირზე. მაკომ განაცხადა, ჩემი ოცნებაა შექსპირის ქალები განეასახიერო.

— მაინც რა უფრო გიტაცებთ?.. — ჰკითხა ვანომ და საჩქაროდ დასძინა სიცილით, — რა თქმა უნდა, კორდელიას გარდა!

— თუნდათ ღებღემონა, ოფელია, ჯულიეტა...

— მოგწონთ „რომეო და ჯულიეტა“?

— როგორ გითხრათ, მომწონს, როგორც სიყვარულის ძლევამოსილი პიმნი. საბოლოოდ მაინც სიყვარული იმარჯვებს!.. — ეშმაკურად ეუბნება ქალი.

— მაშ რომ გითარგმნოთ, სიყვარულით ითამაშებთ?

— მთელის გატაცებით.

— მით უფრო, რომ ჩემი თარგმანი იქნება, არა?

— მით უფრო, რომ თქვენი თარგმანი იქნება.

— სამწუხაროდ, ჩვენი დასი ჯერჯერობით შექსპირს ვერ მოერევა. ისევ მოლიერს უნდა დავეყაბულდეთ. მაგრამ უნდა ვეცადოთ, რომ

მალე შექსპირიც დაეღვათ.

— ხოლო როცა ეს დღე მოვა, მე შეგახსენებთ და სიტყვას არ გადახვიდით!

— არა, უსათუოდ გითარგმნით.

— მით უფრო მონდომებით, რომ ჩემთვის უნდა თარგმნოთ... არა?

— მით უფრო მონდომებით, რომ, თქვენთვის უნდა ვთარგმნო!..

— მსურს არ გამტყუნდეს სიტყვა თქვენი სიყვარულისა, და რაც სიტყვით სთქვით, იგი საქმით თქვენ აღასრულოთ.

ქალი გამომწვევი სიკეკლუციტით ამბობს კორდელიას სიტყვებს.

შეიძლება უფრო დიდხანს გაგრძელებულიყო საუბარი, მაგრამ უეცრად მათი ყურადღება მიიპყრო გამაყრუებელმა ღრიალმა, რაც მტკეპარგაღმიდან მოისმოდა; ისნის დასაუღლეთით ცას თითქოს ცეცხლი წაჰკიდებოდა. რიყეზე საშინელი ხანძარი მძვინვარებდა. ამაოდ ცდილობდნენ ჩაქრობას. სხვათა შორის, ეს ხანძარი მეორე დღესაც არ განელებულა. გაზეთები იუწყებოდნენ — ცეცხლისმქრობელები ძალიან ეცადნენ, მაგრამ გაქრობა კი ვერას გზით ვერ მოახერხეს. სტიხიამ თავისი გაიტანა: ცეცხლი გუშინ საღამოს ხუთ საათზე კიდევ არ იყო სრულებით დამქრალიო...

მაჩაბელმა ქალი სახლამდე მიაცილა და მერე დიდხანს ქუჩაში დადიოდა. შუალაძე უკვე გადასული იყო, როცა შინ დაბრუნდა. შექსპირის ტომები გადმოიღო, „ჰამლეტი“ გადაშალა. მერე „რომეო და ჯულიეტა“ მოძებნა. ერთხანს ყოყმანობდა...

ისევ „ჰამლეტს“ მიუბრუნდა და მაგიდას მიუჯდა.

ექვსი წლის შემდეგ იგი პირველად ჰკიდებს ხელს კალამს შექსპირის სათარგმნელად. ამაღამ ისეთ ძალასა გრძნობს, რომ შეუძლია მთელი ტრაგედია თარგმნოს... ჯერ ოფელიას სიტყვებს მოძებნის, პირველად ის უნდა თარგმნოს...

მაგრამ ერთი გვერდიც არ ეთარგმნა, რომ ერთბაშად საშინელი დაქანცულობა იგრძნო. მხოლოდ მაშინ შენიშნა, რომ უკვე თენდებოდა და დღის სინათლე ძალას უკარგავდა მაგიდაზე სუსტად მბუუტავ სანთელს. წამოდგა და ტახტზე დაწვა გაუხდელად. მაშინვე ტკბილად ჩაეძინა.

მეორე დღეს ვანო მაჩაბელი და საფაროვის ქალი ბესარიონ ღოღობერიძის პანაშვიდზე შეხედნენ ერთმანეთს, ქაშვეთის ეკლესიაში და ამის შემდეგაც ხშირად ხედებოდნენ ხოლმე.

ვანოს ქალაქში დაყოვნების ნამდვილი მიზეზიც სწორედ ეგ იყო.

ესტატეს წერილი მისწერა სოფელში, ქვევრები მომზადებული დამახვედრე, ჩამოვალ თუ არა, ღვინო უნდა გადავიღოთო, მაგრამ მაინც კარგა ხანს შეაგვიანდა.

სოფლიდან დაბრუნების შემდეგ კიდევ უფრო ხშირად ხვდებოდა საფაროვის ქალს, რეპეტიციებზედაც დადიოდა... მაგრამ ერთხელაც არ დაფიქრებულა, ერთხელაც არ უკითხავს თავის თავისათვის — ნამდვილად შეუყვარდა ეს ქალი, თუ უბრალოდ მოსწონდა, უბრალო გატაცება იყო. ამაზე ფიქრს იგი ერიდებოდა.

მეტი დაკვირება რომ გამოეჩინა მაჩაბელს, უსათუოდ შენიშნავდა, რომ მისი ასეთი დაინტერესება ქალით, ყველასათვის როდი იყო სასიამოვნო. თვითონ ქალიც დაბნეულიყო, ქალური ინტუიციით გრძნობდა, რომ მაჩაბელს მთელის გატაცებით უყვარდა იგი, სიამოვნებდა მასთან ახლოს ყოფნა და გული სულ ქალისკენ მიუწევდა. მაგრამ ეს იყო და ეს, ერთხელაც არ დასცდენია, მიყვარხარო. მომავალზე კრინტსაც არა სძრავდა, თითქოს რაღაც ბორკაედა. და მიზეზი ახალგაზრდა ქალს ვერაფრით ვერ გაგო... ქალური მოუსვენრობა აწვალებდა ახალგაზრდა მსახიობს, მით უმეტეს, რომ გრძნობდა — ასეთ „წეასა და დაგვას“ კიდევ ერთი მამაკაცის გული მოეცეა...

პირველი წარმოდგენის შემდეგ კიდევ მალე გაიმეორეს „ექვით ავადმყოფი“, ახლა უკვე მაკო საფაროვის საბენეფისოდ. ამ დროისათვის ბევრი გარეშე პირიც გრძნობდა მაჩაბლისა და საფაროვის ქალის დაახლოებას. რაღა თქმა უნდა, ყველაზე ადრე ამას ვასო აბაშიძე იგრძნობდა, რომელიც თვითონაც არ ყოფილა გულგრილი ახალგაზრდა ქალის მიმართ!

საბენეფისო წარმოდგენამ საკმაოდ უგემურად ჩაიარა. საფაროვის ქალი მეტისმეტად ღელავდა, ცდილობდა კარგად ეთამაშა. მაგრამ მაყურებელი მხოლოდ ამ განსაკუთრებულ მონდომებასღა ხედავდა — თამაში ვერ გამოუვიდა. ვასო აბაშიძე თვითონვე იყო „ექვით დაავადებული“ და იმას მით უფრო ვერ გამოუვიდა თამაში: რეპლიკას თავის დროზე არ ამბობდა, იგვიანებდა, უხალისოდ დააბოტებდა სცენაზე, თითქოს ძალით შემოუთრევიათო. ხალხი გააკვირვებას მოეცეა — ასეთი დიდებული, ყველასათვის საყვარელი მსახიობისაგან ეს საეცებით მოულოდნელი იყო. მეორე დღეს გაზეთები წერდნენ: „უფ. ვ. აბაშიძე ამ ღამეს, როგორც ეტყობოდა, გუნებაზე არ იყო, როგორღაც უსულგულოდ და უხალისოდ თამაშობდა“.

მიზეზი მხოლოდ საფაროვის ქალმა იცოდა.

საბენეფისო წარმოდგენის შემდეგ ვანო რამდენიმე დღით სოფელში გამგზავრა. წასვლის წინ მხოლოდ ორიოდე წუთით ინახულა მაკო საფაროვი. ქალი აღელვებული დახედა, ეტყობოდა, ჩვეულებრივი უსიამოვნება მოსვლოდა თავის დიდუდასთან, რომელიც შეილიშვილს კატეგორიულად უშლიდა სცენაზე გამოსვლას და მთელი დღეები მოთქეამდა.

მაკომ ვანოს სთხოვა, ჯერ ნუ წახვალთო, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო: აკაკი წერეთელი და ნიკო დიასამიძე სადგურში ელოდებოდნენ და მატარებლის წასვლასაც ბევრი აღარ უკლდა. ქალი გაიბუტა. მაგრამ ვანოს ეს არც შეუნიშნავს. საჩქაროდ გამოეთხოვა და ეტლით სადგურისაკენ გაეშურა.

ეს იყო პირველი გამგზავრება გორისკენ აკაკისთან ერთად. შემდეგ კი ისინი ხშირად აღიოდნენ ხოლმე თამარაშენში: აკაკის ძალიან შეუყვარდა გორი და გორს იქითა სოფლები. მაჩაბლისა და წერეთლის ახლო მეგობრობასაც ახლა ეყრება საფუძველი.

რამდენიმე დღით ფიქრობდა სოფელში ჩასვლას მაჩაბელი, მაგრამ დაყოვნდა. ჯერ გორში შეაგვიანდათ: რომ გაიგეს აკაკი ჩამოსულაო, გორელებმა ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს — ასეთ სასიქადულო სტუმარს პატივი თუ არ ვეცით, ისე როგორ გაგატანთო. და სამი დღე იქ დატოვეს. მეოთხე დღესაც მოიმიზნეს — შუადღისას ცხელაო და მხოლოდ ნასადილევს მოხერხდა გამგზავრება. სოფრომ მგალობლიშვილიც მათ გაჰყვა.

დილიჟანსი მძიმედ მიდიოდა. აკაკი პირველად მოგზაურობდა ამ მხარეში (გორში ადრეც ყოფილა, შიგნითა სოფლებში კი არა), და ყურადღებით აკვირდებოდა გარემოს. „გავიარეთ ისტორიული სოფელი „ნაჭარმაგვეი“, ახლა კარალეთად წოდებული, — იგონებს სოფრომ მგალობლიშვილი, — გორიდან მოკიდებული სოფ. შევერამდე, მდინარე ლიახვის ნაპირებზე, აყრილი ჭალა ყოფილა ნადირით, ფრინველით სავსე... ეს ადგილი ქართველ მეფეებს სანადიროდ ჰქონდათ დაცული. როცა ამ ადგილს დაეუპირდაპირდით, აკაკიმ გაიხსენა გადმოცემა, რომ ვითომ აქ დავით აღმაშენებელს სანადიროდ ეწვივნენ შეიღნი მეფენი...“

აკაკი ხშირ-ხშირად გააჩერებდა ხოლმე ეტლს და გულმოდგინედ ათვალიერებდა საქართველოს გულს. აღტაცებას არ მალავდა.

შებინდებისას დილიჟანსი პირდაპირ იასე ფაველენიშვილის ეზოს მიადგა. მასპინძელი, ეტყობოდა, წინასწარ გაეფრთხილებინათ — ქუჩაშივე გამოეგება სტუმრებს და შორიდანვე მიაძახა:

— სად ხართ, კაცი, მოთმინება შემომაცეთა (ამ გამოთქმას მაჩაბელი შემდეგ უბის წიგნაკში ჩაინიშნავს), დავილიე თქვენი ლოდინით!

მასპინძლის სიტყვებმა სიცილი გამოიწვია, რადგან ეს „დალეული“ კაცი ერთი საუენი მანც იქნებოდა სიმაღლით. აკაკის გულმა ვერ მოუთმინა და სწრაფად უპასუხა:

— მაშ, გამოდის რომ ყველაზე მოუთმენლად კოლა გველოდებოდა.

კოლა ფაელებიშვილი, იასეს შვილი, მართლაც დალეული იყო. გარეგნულად სულაც არ ჰგავდა მამას.

იასემ ხელი მოიჩრდილა და აკაკის შეხედა. ვანომ გააცნო, აკაკი წერეთელიაო, უთხრა.

— ეს არის ჩვენი აკაკი?! მე ერთი იალბუზისოდენა რაღაც მეგონა და ჩემი სიმაღლეც არ არისო...

მოსწრებულ ლაპარაკში იასერამანიჩი აკაკის არჩამოუვარდებოდა, და ადვილი წარმოსადგენია, რა მხიარულად გაატარებდნენ დროს. თუმცა ვანო, რომელიც ადრეც იცნობდა იასე ფაელებიშვილს, ადვილად ამჩნევდა, რომ მასპინძლის მხიარულება მანც ნაძალადევი იყო, რადგან მისი უფროსი შვილი, ცნობილი ხალხოსანი რამანი, ახლა პეტერბურგის ციხეში იჯდა, როგორც „შენიშნული“ კაცი...

თამარაშენისაკენ მარტო აკაკი და ვანო გაემგზავრნენ. რაც უფრო ქართლის სიღრმეში შედიოდნენ, აკაკი მით უფრო მოხიბლული რჩებოდა: წარმოიდგინე, ჩვენს იმერეთს არაფრით ჩამოუვარდებოაო, ამბობდა. ვანოს ელიმებოდა.

ჩავიდნენ თამარაშენში. მასპინძელმა პირველ რიგში მამული დაათვალიერებინა სტუმარს და თავისი გვემები გააცნო — როგორ აპირებდა მეურნეობის წარმართვას. აკაკის მწარე ენას არც მაჩაბელი გადაურჩა, სახეზე დამცინავი ღიმილი გადაეშალა და ვანოს უთხრა; შენც გიორგი ერისთავის რუსეთუმესავით არ მოგივიდეს, შორს მანც არა ხართ — ორივე ქარილელი ხართ და ორივეს ივანე გქვიათო.

ვანო წამოწითლდა, ეტყობოდა, პირველად არ ესმოდა ასეთი შენიშვნა. ზოგჯერ გლეხებიც ურწმუნოდ აქნევდნენ ხოლმე თავს მის გვემებზე; ერთხელ ძმამაც არ დაინდო.

მაშინ ვანო საფრანგეთში იყო, მევენახეობას სწავლობდა. ძმას მოსწერა, შარშანწინ მაისში ყინვამ რომ ვენახი ამოგვიგდო, თურმე რა ადვილად შეიძლებოდა ყინვისაგან დაცვა, ახლა ვისწავლე ამისი ხერხი: ირგელივ ფიჩხი უნდა შემოუწყო ვენახს და ყინვიან ღამეს

ცეცხლი დაანთო, კვამლი უშველისო. ვასო დასცინოდა, ჯერ ერთი, მაისში ყინვა ვის გაუგონია, და მეორეც ამდენი ფიჩხი სად უნდა მიზიდოო...

— მაგრამ საფრანგეთში ეს საქმე ესე სასაცილოდ არ ეჩვენებათ, როგორც პირველი შეხედვითა ჩანს, — ეუბნება ვანო აკაკის, რომელიც არც კი ცდილობს სიცილის დაფარვას, — ჩემს იქ ყოფნაში, მაგალითად, ერთმა შემამულემ მოიგონა იმისთანა ტერმომეტრი, რომელიც ცივს ღამეში ფიჩხის ახლოს უნდა დაიდოს და უყარაულოდ მოუკიდოს ცეცხლი ამ ხროვას...

მთელი სოფელი გარეთ გამოფენილიყო და ღობის იქიდან სასოებით შესცქეროდა მანაბლის სტუმარს, რომელსაც უდროოდ შეჭალარავებული წვერი კიდევ უფრო უხდებოდა.

— რაო, ზაქრო, რას გეკითხება ეს ლაზარე ასე გაკვირვებით? — ჰკითხა ვანომ თავის მოურავს.

— უკვირს, ბატონო, იმერელი და ასეთი კაი კაცი, ასეთი ლამაზი, ჭკვიანი, და სახელიანი ვის გაუგონიაო, — ჩუმად უთხრა მოურავმა ვანოს, რომ აკაკის არ გაეგონა. ვანომ, რა თქმა უნდა, მაინც გაუმჟღავნა აკაკის და ბევრიც აცინა.

* * *

როცა თბილისში დაბრუნდა, მაკო საფაროვი აღარ დახვდა და გული დაწყდა. ახლად დაარსებული ქართული თეატრის დასი საგასტროლოდ გამგზავრებულიყო საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. არც წერილი დაუტოვებია ქალს, არც გზიდან მოუწერია რამე. ვანო გულისფანცქალით ელოდა ყოველდღე ფოსტას. ახლა, სოფელში ყოფნის დროს, დარწმუნდა, რომ ნამდვილად ყვარებია საფაროვის ქალი. მაგრამ ეს აღმოჩენა საკმაოდ მძიმე გამოდგა. აღარ იცოდა, რა ექნა, მიეწერა თუ არა ძმისთვის თავისი ნამდვილი აღსარება. თან მაკოს საქციელიც აკვირვებდა — პატარა ბარათიც არ დაუტოვა. მაგრამ ორიოდ კვირის შემდეგ ყველაფერი გასაგები გახდა, როცა 13 ივლისს „დროებაში“ მანაბელმა ასეთი განცხადება ამოიკითხა:

„ქუთაისიდან გვატყობინებენ, რომ ორი ნიჭიერი მოთამაშეთაგანი ჩვენის ახლად შექმნილის ქართულის ტრუპისა — მარიამ საფაროვისა და ვასილ აბაშიძე დაქორწინებულან. ვისურვებთ, რომ ამ შეუღლებას

არაერთი დამბრკოლება არ მიეცეს ქართულის თეატრის საქმისათვის. არამედ უფრო მაგრად და საუკუნოდ დაეკავშირებინოს ესენი ქართულ თეატრთან, უფრო ერთგული და მუყაითნი გამხდარიყვნენ სცენის სამსახურში, რომელშიაც ამათ ასეთი ნიჭი გამოიჩინეს და საზოგადოების თანაგრძნობაც ასე უხვად მიიღეს“.

პირველ სიყვარულში დამარცხდა ვანო მაჩაბელი. მაგრამ საოცარი ის იყო, რომ ამ განცხადების წაკითხვის შემდეგ, დიდ გულისტკივილთან ერთად, ერთგვარი შეებაც იგრძნო, თითქოს მძიმე ტვირთი მოხსენესო: იმ იდუმალ ჭიდილში მან თითქოს გაიმარჯვა და თავის სიტყვას არ გადავიდა. პირადი ცხოვრება არ არსებობს, მთელი ცოდნა და ენერჯია საზოგადო საქმეს უნდა მოხმარდეს!..

* * *

იმავე წლის 15 მაისს, ესე იგი, მაჩაბლის პეტერბურგიდან დაბრუნების ორიოდე თვის შემდეგ, თბილისში, საადგილმამულო ბანკის დარბაზში, შედგა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პირველი ყრილობა.

ამ საზოგადოების დაარსებას ჯერ კიდევ 60-იანი წლებიდანვე ცდილობდნენ პეტერბურგიდან ახალდაბრუნებული „თერგ-დალეულები“ ილია ჭავჭავაძის მეთაურობით. მაგრამ განზრახვის შესრულება თითქმის ორი ათეული წლის შემდეგ მოახერხეს. დამბრკოლებელი მიზეზები, რამაც ხელი შეუშალა საზოგადოების დაარსებას, საესებით გასაგები გახდება, როცა საზოგადოების წესდებასა და მიზნებს გაეიხსენებთ.

„თუმცა ჩვენი საზოგადოება იწოდება წერა-კითხვის გამავრცელებლად, მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, ვითომ მის დამაარსებლებს სახეში ჰქონებოდათ მხოლოდ წერა-კითხვის სწავლება. დამფუძნებელთა გულითადი სურვილი იყო უპირველესად შექმნა სკოლისა, როგორც კულტურის კერისა. კულტურა კი არის ქვეყნის სულიერი და ნივთიერი ფართო განვითარება, ე. ი. კრება იმ ძალთა, რომელნიც ჰქმნიან ხალხის დამოუკიდებელს შემქმნელობას. აი ეს კულტურა, სიტყვის ფართო მნიშვნელობით, იყო სანატრელი საგანი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა“. ამას ვკითხულობთ საზოგადოების ერთ-ერთ ანგარიშში.

ამასვე წერს ილია ჭავჭავაძე:

„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განზრახვა და მოქმედება შორსა წდებდა. თუ მართლა საზოგადოებამ მთლად აღასრულა ყველაფერი, რაც კი წესდებულებაში არის მოხსენებული, იმედია, რომ ჩვენი ხალხის წარმატება და განვითარება ბევრად წინ წაიდგამს ფეხს; გაერცელებდა სწავლა-განათლება სამშობლო ენაზე და მით მიეცემა ჩვენს ქვეყანას ის ყოვლად უსაჭიროესი ნიადაგი, ურომლოდ თვითმოქმედი ცხოვრება და წარმატება შეუძლებელია. გაუა რამდენიმე ხანი და მაცხოვარი სხივი განათლებისა მოჰფენს ნათელს ყოველს კუთხეს ჩვენი ქვეყნისას, რომელიც კი აქამომდე თვალგადუნწდენელ სიბნელეში იმყოფებოდა“.

რალა თქმა უნდა, ცარიზმის ბიუროკრატიული აპარატი წინა-ღუდგებოდა და ყოველმხრივ შეუშლიდა ხელს ისეთი საზოგადოების დაარსებას, რომლის სანატრელი საგანი... „თვითმოქმედი ცხოვრების“ დაფუძნება, „ქვეყნის სულიერი და ნივთიერი ფართო განვითარება“, კულტურის განვითარება იყო, რადგან „ქვეყნის ამგვარი თვითმოქმედი განვითარება“ საესებით ეწინააღმდეგებოდა თვითმპყრობელობის კოლონიურ, დამმონებელ პოლიტიკას. ამიტომაც უწოდებდა ზემოაღნიშნული საზოგადოება თავის თავს „არა მხოლოდ კულტურულ დაწესებულებას, არამედ ჩვენს ეროვნულ თავშესაფარს“.

ამის შემდეგ თავისთავად გასაგებია ის დიდი სახალხო ამოცანები, რაც წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ეკისრებოდა. თავისი არსებობის განმავლობაში, რომელიც თითქმის ორმოცდაათამდე წელს მოიცავს, საზოგადოებამ ძალიან დიდი და მრავალმხრივ სასარგებლო საქმე გააკეთა. ამ საზოგადოების სახელთან არის დაკავშირებული მრავალი სკოლისა და ბიბლიოთეკის გახსნა, წიგნების მასობრივად გამოცემა, ღარიბი სტუდენტებისათვის დახმარების გაწევა და ბევრი სხვა საქველმოქმედო საქმე, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა...

ვანო მაჩაბლის პირველი გამოსულაც საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე აქედან იწყება. ილია ჭავჭავაძემ ფართო საზოგადოებას წარუდგინა განათლებული და სახალხო საქმისათვის თავდადებული ახალგაზრდა კაცი. ხალხი ვანოს უკვე იცნობდა „მეფე ღირისა“ და მოლიერის კომედიის თარგმანით, აგრეთვე ილიასა და გრიგოლ ორბელიანის რეკომენდაციით. ამიტომ თითქმის არავის გაჰკვირვებია, რომ იმ საზოგადოების გამგეობაში, რომელიც

საქვეყნოდ განთქმულ და საზოგადო საქმეებში გამობრძმედილ, ყველასათვის პატივეცემულ პირებს აერთიანებდა, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა და გამოუცდელი ეანო მანაბელი დაასახელეს.

რალა თქმა უნდა, ეს დიდი პატივი იყო ახალგაზრდა კაცისათვის. საყურადღებოა ისიც, რომ პირველსავე ყრილობაზე ჯერ საზოგადოების წევრად მიიღეს იგი და მაშინვე, იმავე სხდომაზე, გამგეობამაც დაასახელეს. 28 დასახელებული კანდიდატიდან სულ ექვსი კაცი უნდა აერჩიათ. ეს იყო სერიოზული გამოცდა, რადგან დასახელებულთა შორის ბევრი იყო უკვე დამსახურებული და განთქმული მოღვაწე.

კენჭისყრის შედეგად არჩეულ იქნენ ი. ჭავჭავაძე, ნ. ცხედაძე, ი. გოგებაშვილი, ი. მანაბელი, ა. სარაჯიშვილი და რ. ერისთავი (სია იმის მიხედვით არის დალაგებული, თუ ვინ უფრო მეტი ხმა მიიღო, გოგებაშვილს, მაგალითად, რვა წინააღმდეგი ჰყავდა, მანაბელს — ცხრა, ხოლო რ. ერისთავს — ცამეტი). საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეობა, თავიდანვე, მხცოვან მწერალს გრიგოლ ორბელიანს, შესთავაზეს, რომელიც ყრილობას ესწრებოდა. მაგრამ ორბელიანმა უარი განაცხადა — სიმართლე და ამ საქმეში გამოუცდელობა ნებას არ მძღვევენ ხელი მოეკიდო ამ მძიმე საქმესაო, და მისივე წინადადებით ერთხმად იქნა არჩეული დიმიტრი ყიფიანი.

თავმჯდომარის ამხანაგად ილია ჭავჭავაძე აირჩიეს. რამდენიმე წლის შემდეგ ივანე მანაბელიც იყო არჩეული თავმჯდომარის ამხანაგად.

მანაბელი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა გახდა. მის სახელთან დაკავშირებულია ბევრი ახალი წამოწყება და სასარგებლო სახალხო საქმე, რაც წერა-კითხვის საზოგადოებას გაუკეთებია. გამგეობის სხდომათა ოქმების უბრალო გადათვლიერებაც კი დაგვარწმუნებს, თუ რა სერიოზულობითა და სიყვარულით ეკიდებოდა იგი საქმეს. მუდამ იმის ცდაში იყო, საზოგადოების მუშაობის ასპარეზი გაეფართოებინა. დღემდე შემონახულა მისი წერილობითი მოხსენებები.

„ერთი საგანი ჩვენის საზოგადოების არსებობისა არის ქართული წიგნების გავრცელება ხალხში. ამ აზრით ჩვენ უნდა შევეუდგეთ, რაც შეიძლება მალე, წიგნების ბეჭდვას...“ ასე იწყება მისი ერთი მოხსენება.

„დასამალი არ არის, რომ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა ნახევრადაც ვერ ასრულებს თავის რთულს და მეტად

მძიმე მოვალეობას. ამ „საზოგადოების“ წესდების ძალით გამგეობა მოვალეა იზრუნოს სკოლების დამართვაზე, წიგნების ბეჭდვაზე, სახალხო ლექციებისა და ბიბლიოთეკების დამართვაზე, ღონისძიების გაძლიერებაზე, და სხვა, — ვკითხულობთ მაჩაბლის მეორე მოხსენებაში, — მაგრამ თუ გადაეთვალეურებთ ანგარიშებს, საზოგადოება თითქო ერთ წერტილზეა გაჩერებული და თითქმის არც ერთ საგანში არ ეტყობა სასურველი წინმსწერლობა. ამ მოვლენას ბევრი რთული მიზეზები აქვს, რომელთა აცილება მარტო გამგეობაზე არ არის დამოკიდებული, მაგრამ გამგეობამ თავის მხრით მაინც უნდა მოსაოს შეძლებისამებრ საქმის შემაფერხებელი მიზეზები და იზრუნოს საზოგადოების წარმატებისათვის. ჯეროვნად საქმის წასამართავად საჭიროა სრული წესიერება დამყარდეს, როგორც „საზოგადოების“ გარეგანს, ფორმალურს მოქმედებაში, ისე შინაგანში, არსებითში...“

და ასე შემდეგ. ყველა მოხსენების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

რა საქმისთვისაც არ უნდა მოეკიდნა ხელი, მაჩაბელი ყველგან თავისებური წესრიგის შეტანას ცდილობდა. განსახილველ საკითხებს წინასწარ ჩამოაყალიბებდა ხოლმე, კარგად ასწონ-დასწონიდა და ისე წარუდგენდა სხდომას. საჭიროც არ არის იმისი თქმა, რომ ეს საკითხები მუდამ საქვეყნო საქმესა და ხალხის კეთილდღეობას შეეხებოდა. მისი პირადი დღიურები საესეა ასეთი შენიშვნებით:

„ხვალ საზოგადო კრებაა წ. კ. საზოგადოებისა. სასურველია ამ კრებაზედ მიექცეს ყურადღება, „საზოგადოების“ სკოლების გამრავლებას და შედგეს კომისია, რომელმაც გამოარკვიოს უფლება „საზოგადოებისა“ სკოლების გახსნის შესახებ. ამ კომისიაში წევრად კარგი იქნება ამოუარჩიოთ ნ. ცხვედაძე, ა. ჭყონია, ა. ჭიჭინაძე, ა. წერეთელი და მ. მაჩაბელი“. შემდეგ იმავე დღიურიდან ვტყობილობთ, რომ კომისია მართლაც ამოურჩევიათ, მაგრამ მცირე ცვლილებებით. მაჩაბელს, ეტყობა, სწყენია ესა და იქვე შენიშნავს: „შემდეგ წესად უნდა შემოვიღოთ, რომ კომისიებში და კომიტეტებში მხოლოდ „ფარულის კენჭის ყრით ამოვირჩიოთ ხოლმე“.

„ქარვასლა სკოლის საზოგადოებას გადაეცეს“.

„მაღლე განხორციელდეს ქალების სკოლის დაარსება“.

„წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ დაიცვას უფლება სკოლების გახსნის შესახებ წესდების ძალით; თუ აქაურმა მთავრობამ უარი უთხრას, საჩივარს სენატამდის მიჰყვეს“.

„სასურველია, რომ სკ. კომიტეტში ღირსეული ქალებიც ამო-

ვარჩიოთ. ეს საჭიროა გაეიხსენოთ იმისათვის, რომ ეს უფლება ქალებისა დღემდის თითქმის არ განგვიხორციელებია“... და ა.შ.

ერთი სიტყვით, მაჩაბელი მთელი არსებით მიეცა საქმეს. კერძო წერილებშიაც კი არ ავიწყდება საზოგადოების ბედ-იღბალი, ძმასა სწერს პეტერბურგში: „...ძალიან წაეა ეს საზოგადოება, თუ რიგიანად წაეიყვანეთ საქმე. ქართველოვმა ორი მომგები ბილეთი შემოსწირა, ივანე მუხრანსკიმ ორმოცდაათი თუმანი; ამას გარდა იმ დღეს ოცდაექვსმა აბხაზმა წარმოადგინეს ფული და ისურვეს წვერად ჩაწერა. ამბობენ ორასი მეტი აბხაზი აპირებს იმათ მიბაძოსო. ეს მგონი იმიტომ მოხდა, რომ ცოტა დავიწორჩინით და თბილისში და ბათუმში სკოლები გაეხსენით“...



იმავე წელიწადს საფუძველი ეყრება მეორე დიდ ეროვნულ საქმეს – მუდმივი ქართული თეატრის დაარსებასა და თეატრალური საზოგადოების ჩამოყალიბებას. ფრთები ესხმება ერის საუკეთესო შვილების მრავალწლოვან ოცნებას. ის, რასაც ოცი წლის წინ პეტერბურგიდან ახალდაბრუნებულმა რამდენიმე „თერგდალეულმა“ ჩაუყარა საფუძველი, უკვე ხორცს ისხამს, მოქმედებაში შედის. მათ კარგად ჰქონდათ შეგნებული, რომ თეატრი უბრალო გასართობი ადგილი არ იყო; ის წარმოადგენდა უდიდესი მნიშვნელობის ფაქტორს ეროვნული თვითშეგნების გამოსაღვიძებლად, საერთო კულტურის აღორძინებისათვის. ყველაფერს რომ თავი დაეანებოთ, ხალხი მოწყურებული იყო ქართული მეტყველების საჯაროდ მოსმენას. „ხომ იცი თეატრი რა დიდი რამ არის ჩვენისთანა დაცემულ ხალხისთვის, — სწერდა ილია ჭავჭავაძე თავის მეგობარს, — მაგის მეტი ნაციონალობის ნიშანწყალი ჯერჯერობით ჩვენ არა გვაქვს-რა. ეს ადგილია, სადაც ჩვენი ენა საჯაროდ ისმის და საჯაროდ მოქმედებს. ესეც საკმაოა, რომ კაცმა თავი გამოიღოს, თორემ თეატრს ხომ სხვაც ბევრი სიკეთე მოსდევს“.

ამასვე წერდა „დროებაც“, რომელიც ჩვენი ხალხის განცდებსა და მისწრაფებებს გამოხატავდა... „...ჩვენმა საზოგადოებამ კარგად იცის, თუ რა მნიშვნელობა აქვს ცხოვრებაში თეატრს... (თეატრი) ხალხოსნური გრძნობის განმმტკიცებელია, გრძნობების ამამაღლებელი და ზნეობის გამწმენდი, სხეანაირად ეთქვათ: სულის

გამაძლიერებელი, გულის გამაღმობიერებელი და ვინაობის დამცველი, სიტყვით უდიდესი შკოლა საზოგადოებრივი ცხოვრების გახსნისათვის და წარმატებისათვის“.

სწორედ ამიტომ ბევრი დამცირებისა და აბუნად აგდების მიუხედავად, ჩვენმა სცენისმოყვარეებმა რაინდულად გამოატარეს „ეკლიან გზაზე“ ქართული თეატრის დროშა და, მრავალი წინააღმდეგობის მიუხედავად, შემდეგ მუდმივი თეატრის სცენაზე ააფრიალეს, როგორც სიმბოლო ერის დიდი კულტურისა და თავისუფლებისა. ეს არ იყო მხოლოდ თეატრალური ხელოვნების ტრიუმფი, ეს იყო რაღაც უფრო დიდი და მნიშვნელოვანი, ეს იყო ნამდვილი ეროვნული ზეიმი, მძიმე სოციალურსა და ეროვნულ ჩაგვრაში მყოფი ხალხის ძალთა დათვალიერება, გამარჯვების რწმენის განმტკიცება... და ხალხს სიხარულის ცრემლები სცვიოდა. ამის შემდეგ, რაღა თქმა უნდა, გასაგებია რეაქციონერ კატკოვების გამაწარება.

მთელი რთული მოღვაწეობა ჩვენი სცენისმოყვარეებისა ხასიათდება ფანატიკოზობამდე მისული სიყვარულით, გატაცებით, შეუპოვრობით... კლუბებში რის ვაი-ვაგლახით გამართული წარმოდგენები, სადაც ხშირად ქალთა როლების შემსრულებლები კაცის ხმის შეცვლას ძნელად ახერხებდნენ; უცხო ქვეყნებსა და ქალაქებში სტუდენტური ხალისით წარმოდგენილი ქართული სცენები, სადაც ზოგჯერ იძულებული ხდებოდნენ პატარა, ორსიტყვიან როლებში უცხოელი სტუდენტები გამოეყვანათ და მოკლე რეპლიკები დამტერეული ქართულით დაეხუპირებინათ; კერძო სახლების აივნებზე მოწყობილი სპექტაკლები, სადაც არცთუ ისე იშვიათად, სცენისმოყვარეთა გულმოდგინებით წარმოთქმულ მონოლოგებს მუზობელ ოთახში „სრულიად გაუთვალისწინებლად“ გამოლევძებული ბალღის ჩხავილი ანშობდა ხოლმე... ეს ყველაფერი ნიადაგის შემზადება იყო დიდი თეატრის, ნამდვილი თეატრის შექმნისათვის.

ამ სამზადისს თან ახლდა მრავალი უძილო ღამე, მღლეკარება, სიხარული, აღფრთოვანება, თრთოლევა, ორჭოფობა, ზოგჯერ შიშიც, მაგრამ რაკი, ამავე დროს, მისი განუყრელი თანამგზავრი დიდი სიყვარულიც იყო, — თეატრისა და ხალხის დიდი სიყვარული, — საქმე საბოლოოდ გამარჯვებით დაგვირგვინდა.

„დრო, რომელიც მოუხმარებიათ (სცენისმოყვარეებს) ქართული თეატრისათვის, — ვკითხულობთ „დროების“ ერთ-ერთ ნომერში, — ვაივავლახი, რომელიც აუტანიათ ამ დროის განმავლობაში; ის

გარემოება, რომ ხშირად თავიანთ ჯიბიდან გადაუხდიათ თეატრის; ბეჯითი მიმდევრობა ერთი აზრისა და — ეს ყველა მთელი ათი წლის განმავლობაში გაძულდებით, დაჟინებით — საკმაოდ ამტკიცებს, რომ მოყვარულებს თეატრის ასპარეზზედ უმოქმედნიათ არც პირადი სარგებლობის შეძენისათვის, არც ქების დამსახურებისათვის — (ხშირად ბევრი გაკიცხვაც მიუღიათ საქვეყნოდ) — და არც უსაქმურობით, არამედ სამშობლო თეატრის მეტისმეტი სიყვარულისა გამო, იმის სამუდამო დაფუძნებისათვის, და მარტო ამ სიყვარულს აუტანინებია იმათთვის მრავალგვარი ზნეობითი და ნივთიერი გაჭირება — ამ საქმის გადაძვიდე“.

ამ ხნის განმავლობაში წამოიზარდნენ და დახელოვნდნენ ახალი თეატრალური ძალები, შეივსო და გაიზარდა რეპერტუარი, დაგროვდა უდიდესი გამოცდილება...

სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ აღორძინებულ ქართულ თეატრს ახალფუნდამულივით ბარბაცი კი არ დაუწყია — იგი დაარსებისთანავე ერთბაშად აეარდა დიდ სიმაღლეზე და თეატრალური ხელოვნების ისეთი მწვერვალები დაიპყრო, ერთბაშად სცენის ისეთი კორიფეები გამოავლინა, რომ თამამად შეეძლო გემოვნებაგახსნილი მაყურებლის წინაშე წარდგომა.

ამაზეადრე, სცენისმოყვარეებს ზურგს უმაგრებდნენ, ამხნეებდნენ, ხალისს მატებდნენ, მათ მუშაობას წარმართავდნენ ჩვენი დიდი მოღვაწეები — ილია, აკაკი, სერგეი მესხი, ნიკო ნიკოლაძე... და პეტერბურგიდანაც კი უმართავდნენ ხელს ძმები მაჩაბლები, რომლებიც თეატრის ნივთიერი საფუძვლის მოშხადებისათვისაც ენერჯის დაუზოგავად იღვწოდნენ და მისი რეპერტუარის გამდიდრებისათვისაც.

როგორც ითქვა, ასეთი იყო მაშინ ცხოვრება. ჩვენი მცირერიცხოვანი მოღვაწეები ყველა საქმეში უნდა გარეულიყვნენ, ყველაფრისათვის ჩაეჭიდათ თავიანთი მადლიანი ხელი და ერის სულიერი ცხოვრების ყოველი დარგისათვის გარკვეული მიმართულება მიეცათ, გზა გაენათებინათ...

ამრიგად, ივანე მაჩაბელი შორიდანაც ღებულობდა მონაწილეობას ქართული თეატრის აღორძინებაში, ხოლო სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მით უფრო აქტიური მონაწილე გახდა ამ საქმისა „მისი გამოჩენა ქართული თეატრის კედლებში ერთგვარი სენსაცია იყო... სწორედ იმ ხანებში ნიკო ნიკოლაძის მეთაურობით კომისია იყო არჩეული, რომელსაც მინდობილი ჰქონდა შეემუშაებინა დრა-

მატული საზოგადოების მუხლობრივი წესდება საქართველოში თეატრისა და სასცენო ხელოვნების გასაერთოებლად. ამ კომისიაში მთავარ როლს თამაშობდა ეანო მაჩაბელი“, კვითხულობთ მაჩაბლის ერთი თანამედროვის მოგონებაში.

გარდა იმისა, რომ მაჩაბელი სათეატრო კომიტეტის წევრია და ენერგიულ ორგანიზაციულ მუშაობას ეწევა, იგი ამავე დროს განაგრძობს პიესების გადმოთარგმნა-გადმოკეთებას და ყოველნაირად უწყობს ხელს რეპერტუარის გამდიდრებას.

* * *

საღამოობით, თუკი ახალი წარმოდგენა არ მიდის თეატრში და ისედაც თავისუფალია, მაჩაბელი შინ ზის ხოლმე. კუკიაზე უჭირავს ერთი ოთახი. მაგიდა და თაროები წიგნებით გაუვსია. მაგიდის პირდაპირ, კედელზე, თამარ მეფის დიდებული პორტრეტი უკიდია — ეს სურათი ძმამ გამოატანა პეტერბურგიდან. პატარა ოთახი ძვირფასი ავეჯით არის მორთული — ავეჯიც ძმის ნაყიდია. როგორც კი თავისუფალ დროს იშოვის მაჩაბელი, მაშინვე სოფლისკენ გასწევს, დედას მონახულებს, გაახარებს, მიუაღერებს. მამულსაც მიხედავს. ყოველ ჩასვლაზე, სეზონის დროს, თან ჩააქვს ხოლმე ჯიშინი ხეხილის ნერგები, რასაც უფრო ხშირად თბილისში ყიდულობს, გუნების მოედნის ბაღაგანში, ილიაშევიჩის მამულიდან ჩამოტანილს. ეს ნერგები საუკეთესო ევროპული და აზიური ხეხილებიდან არის დამყნილი. ატენიდან ვაზიც ჩაატანინა და ეზოში ჩააყრეინა. რამდენიმე წლის წინათ აშენებულ სახლსაც უფრო აფართოვებს და აშშვენიერებს.

მაგრამ სოფელში წასასვლელად სულ უფრო ნაკლები დრო რჩება. ახლა მთელს მის მუშაობას განსაზღვრავს საზოგადოებრივი მოღვაწეობა. იძულებულია მხოლოდ ის აკეთოს, რასაც სახალხო საქმე უკარნახებს. გიმნაზიის მერხიდანვე ოცნებობდა იგი შექსპირის თარგმნაზე, და ეს სურვილი არასოდეს განელებია, მით უმეტეს, ახლა მას ამ საქმისათვის საკმარისი ცოდნაც აქვს და სათანადო გამოცდილებაც. მაგრამ მაინც ვერ ახერხებს, რომ შექსპირს ჩაუჯდეს, რადგან საზოგადოებრივი ცხოვრება სხვა, უფრო გადაუდებელ ამოცანებს უსახავს.

ჩვენს თეატრს ჯერ კიდევ არ შეუძლია შექსპირის დადგმა, მიუხედავად იმისა, რომ საამისო თეატრალური ძალები მას უკვე აკავს, და მანაბელიც იძულებულია სხედასხეა ენებიდან თარგმნოს და გადმოაკეთოს „ადვოკატი მელაძე“, „ფრუ-ფრუ“, ანუ „ცქრიალა საძაგელი“ (ეს პიესა ორ ღამეში თარგმნა მანაბელმა საფაროვის ქალის საბენეფისოდ!), „ორ ცეცხლ შუა“, „ჟან ბოდრი“... იგი სიყვარულით შეაეღებს ხელს შექსპირის ინგლისურ გამოცემებს; საღამოობით, თავისუფალ დროს, გატაცებით კითხულობს „ამ-ლეტს“, „მაკბეტს“ (ეს ორი ტრაგედია განსაკუთრებით უყვარს მანაბელს), ხშირად კითხვაში შემოათენდება ხოლმე. ზოგჯერ უნებურად მიდის ხელი ფანქრისაკენ, როცა ამა თუ იმ ინგლისური ფრაზის მოხდენილი ქართული შესატყვისის გაუელეებს თავში, და ორიგინალშივე, ინგლისურ ტექსტშივე მიაწერს მკრთალად ქართულ გამოთქმას. ჯერჯერობით ამით იკლავს შექსპირის თარგმნის ჟინს, და ისევე შემდგვისათვის, უფრო მოხერხებული დროისთვის გადადებს საქმეს...

ახლა კი კვლავ სამეცნიერო წერილებია დასაწერი — ტყის დაცვაზე, ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლაზე, ვენახის მოვლაზე, მამულის მორწყვაზე, ხალხში საექიმო სწავლა-განათლების შეტანაზე, კალიასთან ბრძოლის ხერხებზე, რომელიც იმ წლებში მუსრს ავლებდა ჭირნახულს, მრავალ სხვა საჭირობოროტო საკითხებზე... და ისევე ბუჩქნარებისა და ტყის დაცვაზე, რადგან მანაბელი გრძნობდა, რომ ეს საკითხი ყველაზე უფრო მწვავე და აქტუალური იყო. შეუგნებელი ხალხი ბარბაროსულად აჩანაგებდა ტყეს, ხოლო მის მოშენებაზე არაეინ ზრუნავდა. ჯერ მისივე თვალწინ, სულ რამდენიმე წელში განადგურდა უღრანი ტყეები, რკინიგზის გაყვანამ ერთიორად დააჩქარა ტყის განადგურება, რადგან ხშირად საწვავადაც ტყეს ხმარობდნენ.

„მას აქეთ, რაც რკინიგზამ ქართლ-იმერეთი შუაზე გადასჭრა, მრავალი ღიდროვანი ხე მოუღენია რკინიგზის მატარებლის გაუმაძღარს მუცელს, — წერდა მანაბელი, — გზის გაყოლება რაც კი ტყეები იყო, სულ ერთიანად გაანადგურა და ახლა ეს ტყეები რომ არა ყოფნით, გააერცვლა თავისი საბრძანებელი და ხარკს კარგა მოშორებით მდებარე ტყეებსაც სთხოვს. ცხენიანი და ქვეითი ტყის მცველები... ქრთამებს ართმევენ გლეხებს და ტყეებს ანადგურებინებენ... ტყეების დასაცავად არიან დადგენილნი, მაგრამ თავიანთი მოქმედებით მტრის ჯარს ემსგავსებიან. „პოლესოვშიკები“

ქვეითს ჯარს შეადგენენ, „ობიეზღიკები“ — ცხენოსანს, კავალერიას, მათი არტილერია გლეხების უწყალო ცულია და ჯარის სარდალი არის თვითონ ტყისმცველი!.. ჩვენ ვლაპარაკობთ საყოველთაო ჭირზედ... იმ ჭირზედ, რომელსაც შეუძლიან რამდენსამე წელს ჩვენი ქვეყანა სრულიად გაამინდუროს და გააოხროს“.

სხვა წერილებშიაც უბრუნდება ამ საკითხს: „...წყალი ბევრი გვინდა, მაგრამ ბუნებას იმდენი არ მოუცია და სადაც პატარ-პატარა წყაროები გამოდიოდნენ, ისინიც კი ბევრგან ამ უკანასკნელს დროს დაშრნენ, ტყეების გაწყობის გამო... ჩვენის აზრით, ამ ჭირს ორი ღონე უშველის, რომელნიც ერთი უმეოროთ არ იყარგებენ: პირველი არის ტყეების დაცვა, რომ ისედაც შემცირებული წყაროები და რუები უფრო არ შემცირდნენ, და მეორე — ახალი რუების გაყვანა იქ, სადაც კი შესაძლებელია... ჩვენს ქვეყანაში ბევრგან შეიძლება პატარ-პატარა არხების გაყვანა და ბევრის შხისაგან გატრუსულის მხარის მოსულიერება. ვინ არ იცის, რომ ბევრგან არის დარჩენილი კვალი რუებისა, რომელნიც ჩვენს წინაპრებს მადლობს ალაგებში გაუყვანიათ, მაგრამ რომელნიც დროთა ბრუნვისაგან ისევე თავიანთ კალაპოტში ჩამდგარან...“

ივანე მაჩაბლის სამეცნიერო საუბრები უნიადაგო „მეცნიერების“ ბრტყელ-ბრტყელი ფრაზებით აჭრელებულ არაფრისმთქმელ ლექციებს როდი ჰგავს. ეს არის კონკრეტულ ფაქტებზე დამყარებული, სრულიად უბრალო, მაგრამ საქმის ღრმა ცოდნით გადმოცემული აზრები. ავტორი საგნის აქტუალობასაც ითვალისწინებს, მის დიდ მნიშვნელობასაც და მკითხველის ცოდნა-მოშაადებასაც. ერთი სიტყვით, მარტივად და უბრალოდ გადმოსცემს თემებს, მაგრამ კი არ აუბრალოებს. ამ მხრივ სანიმუშოა თუნდაც 1879 წლის „ივერიის“ N4-ში დაბეჭდილი „ეაზის ახალი მტერი“, იმავე წლის „ივერიის“ N5-ში მოთავსებული „ტყე და მისი მნიშვნელობა“ და საერთოდ ყველა მისი წერილი, რაც „ივერიასა“ და „დროებაში“ ქვეყნდებოდა.

სამეცნიერო საკითხების ასე მარტივად გადმოცემა, ისე რომ საგანს თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგო და კონკრეტული ფაქტებითაც გაამაგრო, თავისთავად ძნელია, მაგრამ იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ მაშინ ქართულ ენაზე არავითარი სამეცნიერო ტერმინოლოგია არ არსებობდა, გასაგები გახდება ასეთი საქმის მთელი სირთულე. „ივერიის“ ერთი თანამშრომელი თავის მოგონებაში წერს: „ვინ იტყვის, რომ სასარგებლო არ იყოს სამეცნიერო წერილების ბეჭდვა გაზეთებში, მაგრამ აბა მითხარით,

როგორ და რა სახით მოახერხო ამის წერა. ქართული უნივერსიტეტი ჩვენ მაშინ არ გექონდა. ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და ენა ნატამალადაც არ გვებადა. მოდი და სწერე, ეძიე ყველა ეს შენი სიტყვიერების სალაროში, დაატანე ძალა შენს ტენის, გამოიგონე, შეთხზე, თუ გინდა თითისწვევებიდან გამოსწუწე და მოაგვარე რამე კი. ადვილი სათქმელია, მოაგვარე, მოახერხე!“...

ამგვარად, ყველა საკითხი, რასაც კი „სამეცნიერო საუბრების“ სახით ბეჭდავდა მაჩაბელი, საჭირობოროტო იყო და ცხოვრებისაგან ნაკარნახევი. ავიღოთ თუნდაც ხალხში საექიმო სწავლა-განათლების შეტანის საკითხი. მაშინდელი ჩვენი სოფელი დაბეჩავებული იყო ცრუმორწმუნეობით, მკითხავებით, ექიმბაშეებით, ათასნაირი სნეულებით, რაც, სოციალურ ჩაგვრასთან ერთად, წელში სწვევებდა გლეხკაცობას. ეანო მაჩაბელი საკუთარი თვალთ ხედავს გლეხების საეალლო მდგომარეობას, რასაც კიდევ უფრო აუარესებს საერთო გაუნათლებლობა და სიბნელე, ერთ თავის წერილში მაჩაბელი აგვიწერს ამ მდგომარეობას და პრაქტიკულ საკითხს აყენებს: მოითხოვს სასულიერო და სამასწავლებლო სკოლებში საექიმო სწავლების შემოღებას. არა „საექიმო სწავლის დაწერილებით გადმოცემა“, არამედ „მხოლოდ ჰიგიენის წესებისა და ადვილ ავაღმყოფობათა მორჩენის სწავლება, რომელნიც საკმაოდ გავრცელებულნი არიან ხალხში და რომელთა მორჩენა თითქმის ყველას შეუძლიან, ვინც კი პატარა საგზაო აფთიაქის ხმარება იცის... ამათი (მასწავლებლებისა და მღვდლების) დანიშნულება მარტო ის არ არის, რომ ერთთ თავიანთ შევირდებს მარტო ანაბანა ასწავლონ და მეორეებმა აღდგომა დღეს პასქები და ბატკნები შუაზე გადაუჭრან მლოცველებს და ხურჯინებით დღესასწაულებში კარდაკარ სათხოვნელად იარონ“.

საერთოდ, მშრომელთა არაადამიანური ჩაგვრის საკითხს ხშირად ჩაუფიქრებია მაჩაბელი და არცთუ ისე იშვიათად გამოქომაგებია კიდევც გლეხებს. ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ ერთი შემთხვევა.

1879-80 წლებში, ზედიზედ ორი წლის განმავლობაში, ქართლის სოფლებს კალია აჩანაგებდა; შეესეოდა ხოლმე ყანებს და რამდენიმე საათის განმავლობაში მთლიანად გადასძოვდა. სხვათა შორის, კალია თბილისსაც შემოეჩვია. გაჩნდა ჯვრ კუკიაში, მერე ქალაქის ცენტრშიაც გადაინაცვლა და მთელს სოლოლაკს მოედო. სწორედ ამან გამოიწვია მაჩაბლის ზემოხსენებული წერილებიც. იგი ასწავლიდა ხალხს, რომ მარტო გაყლეთა კალიისა არა კმარა, საჭიროა მისი

ღრმად ჩაფლვა მიწაში, რადგან გაულეტილ კალიას ჭირი შეუძლია გააჩინოს, როგორც ეს ერთხელ იტალიაში მოხდაო. „შიშშილობას, გეგონია, გადავჩით, და რა მადლი იქნება, რომ შიშშილობის მაგივრად ჭირი გვესტუმროს! ცოცხალს კალიას თითქოს ვიგერიებთ და რა დაგვემართება, მკედარი ვერ მოვიგერიოთ“.

მთავრობამ საგანგებო ზომები მიიღო კალიის წინააღმდეგ საბრძოლველად. პოლიციის განყოფილებებს დაუკლებული პქონდა ხალხის გამოყვანა და მოსაელის ამ საშინელი მტრის მოსპობა. მაგრამ პოლიციის მუშაკები, როგორც ყოველთვის, მდგომარეობით სარგებლობდნენ, საშინელ ძალადობას მიმართავდნენ, გლეხებს მათრახით უმასპინძლდებოდნენ და ქრთამების აღებასაც არ „თაკილობდნენ“. ამან გამოიწვია მაჩაბლის მეტად მკაცრი და მოურიდებელი წერილი, რომელიც „ღროების“ 1880 წლის სექტემბრის ერთ-ერთ ნომერში გამოაქვეყნა და რომელიც ილიასებრი შეუპოვრობით და მოურიდებლობით ხასიათდება. წერილში საქვეყნოდ არის მხილებული „ახალგაზრდა თავადაზნაურების“ საქმენი საგმირონი. მაჩაბელი ხაზს უსვამს იმას, რომ ეს მოძალადე და გლეხკაცობის გამყვლეფი ხალხი სწორედ თავადაზნაურობის წარმომადგენლები არიან.

„...რაც მართალი შეეიტყვეთ, იმას ვიტყვეთ, ვისაც უნდა ამით კუდი დაეწვას. ჩვენ გამოეააშკარავეთ კალიის გასაწყვეტათ დანიშნულ პირთ უსამართლო მოქმედებას და თუმცა ჩვენი მათრახი ისეთი მწვავე ვერ იქნება, როგორც ზოგიერთი მათგანის მოქნეული მათრახი გლეხკაცის ზურგის ასაჭრელებლად, მაგრამ მაინც ჩვენ ჩვენსას არ დავიშლით... — ვკითხულობთ ამ წერილში, — უფრო თავი გამოიჩინეს „სკოლაში“ ნამყოფთ ახალგაზრდა თავადაზნაურთ, რომელნიც ზოგი უეზდის სასწავლებლის მოსამზადებლის კლასიდამ არის გამოსული, ზოგი გიმნაზიის პირველ-მეორე კლასიდამ... ესენი ხელსაც გადახვევენ მხარხედ გლეხკაცს, მეგობრულათაც შეაგონებენ, თავს ისე უჩვენებენ, ვითომ დიდად ზრუნავენ გლეხკაცზე... „განათლებულ“ პირთა წინ ბაქი-ბუქობენ, უნდა ვიზრომთ, ვიზრუნოთ ჩვენის ქვეყნისათვისო, მაგრამ თუ პატარა დანით ააფხიკეთ ეს ზრუნვის უმბილი, მალე დაინახავთ, რომ როდესაც ის გლეხკაცს „მშურათ“ ხელს გადახვევს, იმაზედა ფიქრობს, როგორ მოეახერხო დაეტყუო რამეო“.

საყურადღებო ის არის, რომ მაჩაბელი, ამ საკითხთან დაკავშირებით არ მოერიდა ერთ თავის ახლობელ ადამიანს — დიასამიძეს,

და სასტიკად ამხილა, მწეაეე პოლემიკა გაუმართა მას.

რამდენიმე თვეს გაგრძელდა ეს დავა და პოლემიკა. საბოლოოდ შერიგებით დამთავრდა, ასე ამჯობინეს მედიატორებმა.

ვანო მაჩაბლის ყოველ მოქმედებასა და საქმეს კიდევ ჰყავს ერთი პირუთენელი შემფასებელი, რომელიც თბილისიდან შორს არის, მაგრამ ახალგაზრდა კაცის ყოველ ნაბიჯსა და სიტყვას ფრთხილად სწონის და სათანადო შეფასებას აძლევს. ახლაც პირუთენელად ასწონ-დასწონა მან დიასამიძესთან დაკავშირებული საქმე და ვანოს საყვედური მოსწერა, შენს წერილებს მეტად მკვახე ტონი ჰქონდაო. მაგრამ ახალგაზრდა მაჩაბელი სრულებითაც არ ნანობს. „ტყუილად მისაყვედურებ დიასამიძეს რად დაუწერეო, — სწერს იგი ძმას, — ჩემის აზრით, მაგისტანა ორაბირი, ცბიერი ხალხი საქვეყნოდ უნდა გამოიყვანოს კაცმა. აქამდის ბევრს ჩვენ ყმაწვილ კაცს უკაი კაცი ვგონა, მაგრამ ეხლა კი გაიტეხა იხტიბარი“...

შემონახულია ჩანაწერები გლეხებისა, რომლებიც მადლობის გრძნობით იგონებენ ივანე მაჩაბელს: ვანო მუდამ გვესარჩლებოდა, ჩვენს დაჩაგვრას არაუვის გააბედინებდა, მხარში გვედგა, ხელს გვიმართავდაო, წერენ ისინი. მაგრამ რამდენადაც ეს მოგონებანი მაჩაბლის დაღუპვის დიდი ხნის შემდეგ არის ჩაწერილი, როცა მისი სახელი ერთიათად უფრო ცნობილი გახდა და მისი ღვაწლი ჩვენს დროში სათანადოდ დაფასდა, იქნებ ეჭვი შეგვეპაროს, რომ უკვე ღრმად მოხუცი ხალხი უფრო ტკბილად მოიგონებდა მაჩაბელთან ურთიერთობას და მის ქველმოქმედებასაც გააზნეიადებდაო. უმჯობესია თვითონ ვანო მაჩაბლის წერილებს დავეყრდნოთ.

მაჩაბლის ერთი ახლობელი კაცი, ეტყობა, ძალიან ავიწროებდა გლეხკაცობას. ამას ვანოს გულისწყრომა გამოუწვევია, იგი გაბრაზებით სწერს: „...ჩამოვიდეს, როცა მოიხალისებს მანდ ყოფნას და ტკოცაში აღა-მახმედ-ხანობას; რა დაემართა, რით ვერ გაათავა ეს დაეიდარაბა გლეხებთან!?“

მაგრამ ეს მოხდა 1893 წელს, ჩვენ კი ისევ 1879 წელს დაუუბრუნდეთ.

1879 წლის შემოდგომაზე მაჩაბელს თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში ეხედაეთ. იგი ათეალიერებს მოწაფეთა სიებს, საკლასო ჟურნალებს, საშტატო ანგარიშებს... ერთი სიტყვით, ეცნობა გიმნაზიის მდგომარეობას, ახალი ინსპექტორია და მუშაობის დაწყებისთანავე საფუძვლიანად უნდა შეისწავლოს ყველაფერი თავის ახალ სამოღვაწეო ადგილზე.

სასწავლებელში სულ 174 მოწაფე სწავლობს; აქედან პირველ განყოფილებაში 21 მოწაფეა, მეორეში — 30, მესამეში — 41, მეოთხეში — 27; პირველ კლასში — 27, მეორეში — 12, მესამეში — 16. თანამდებობის პირთა რიცხვი ჩვიდმეტს შეადგენს: ერთი ინსპექტორი, ოთხი მასწავლებელი მოსამზადებელი კლასებისა, ექვსი პროგიმნაზიის კლასების მასწავლებელი.

ეს ყველაფერი, რაც სტატისტიკურ მხარეს შეეხება. ახლა სხვა მხრივაც გადავხედოთ გიმნაზიას. სწავლების საერთო დონე დამაკმაყოფილებლად შეიძლება ჩაითვალოს. მხოლოდ რუსულ ენაში არიან მოსწავლეები მეტისმეტად ჩამორჩენილნი. ახალი ინსპექტორი ამას თავის უბის წიგნაკში ინიშნავს, მერე საგანგებო მოხსენებას შეადგენს და სასკოლო კომიტეტს წარუდგენს — მოითხოვს რუსული ენის გაკეთილების გაზრდას. კომიტეტმა მიზანშეწონილად სცნო ინსპექტორის მოსაზრება და მისი მოთხოვნა დააკმაყოფილა.

ვერჯერობით არა უშავს რა, ახალგაზრდა ინსპექტორმა ენერგიულად მოჰკიდა მუშაობას ხელი. ეტყობა არ გაუჭირდება, თუმცა ადრე ძალიან ეშინოდათ, გამოუცდელი კაცია და საქმეს თავს ვერ გაართმევსო. ბევრი კატეგორიული წინააღმდეგი იყო, რომ მაჩაბელი ინსპექტორად დაენიშნათ, და საერთოდ ამ დანიშვნის აშბავმა, იმის გადაწყვეტამ, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ახალი ინსპექტორი, იმაზე მეტი ყოყმანი და დაეა გამოიწვია, ვიდრე მოსალოდნელი იყო და ვიდრე ასე უბრალოდ გადასაწყვეტი საქმე მოითხოვდა. შეიქმნა ჩურჩული, მითქმა-მოთქმა, ჭორი, ცილისწამება...

„აღარ უნდა მოეღოს ბოლო ჭავჭავაძის ბატონკაცობას?! ყველგან თავისი კაცი გააყავს, ყველგან მაჩაბელი უნდა ჩასჩხიროს!..“ მაგრამ ამას ჩუმ-ჩუმად ამბობდნენ, ჭავჭავაძისა და მაჩაბლის გასაგონად ვერ ბედავდნენ თქმას. თუმცა მთელი ეს მითქმა-მოთქმა ილიას ყურამდეც მივიდა და არც ვანოს გამოჰპარვია.

აშკარა იყო, რომ საქმე მარტო გიმნაზიის ინსპექტორობას არ

შეეხებოდა; ბევრსა შურდა ჭკეჭკეპაძისა და მაჩაბლის მეგობრული დამოკიდებულება, გრძნობდნენ, რომ ეს ორი ადამიანი ერთად დიდი და საშიში ძალა იყო...

საქმე ისაა, რომ ი. მაჩაბელთან ერთად ინსპექტორის კანდიდატად წამოყენებული იყო აგრეთვე ალექსი ჭიჭინაძე, რომელსაც ხელს უწყობდა პედაგოგიური განათლებაც და გამოცდილებაც. ბევრი საქმიანი მოსაზრებით არჩევდა ჭიჭინაძის ინსპექტორობას. აკაკი წერეთელი თვითონვე წერს თავის მოგონებაში: „ი. მაჩაბელი სათავადაზნაურო შკოლის უფროსად გაამწესეს. მისი მეტოქე იყო ბატონი ალექსი ჭიჭინაძე, რომელთანაც მე განწყობილება არა მქონდა, მაგრამ მაინც სიმართლემ ამაღლევა და დაეიწყე ამრჩევლების ძვირი და ყვედრება საჯაროდ; საზოგადო საქმეში განა ამისთანა „ჩემთან“- „შენთანობა“ იქნება?! სად ჭიჭინაძე და სად მაჩაბელი, ამ საქმეში? მაჩაბელი შეიძლება გენიოსიც იყოს, მაგრამ საქმეს გამოცდილებაც ეჭირვება; ეგ ეხლა მოშორდა სასწაულებლის კარებს, პედაგოგი არ არის, სულ სხვა ფაკულტეტზე იყო და მაგისთანა რთულ და სპეციალურ საქმეს როგორ გაართმევს თავს-მეთქი, მაშინ როდესაც ალ. ჭიჭინაძე გამოცდილია მაგ საგანში და თავისი საკუთარი შკოლაცაა პქონდა-მეთქი? — ერთ ვინმე გაველენიან პირზე მიმითითეს: „იმან მოინდომო!“ „როგორ თუ იმან მოინდომა?! განა აქ, საზოგადო საქმეში ბატონყმობა გვიარსდება?.. არ კი ძველებურ ბატონყმობას გმობთ და კიჟინასა სცემთ და აქვე კი ინტელიგენტობაში იგივე დესპოტური, გარემოების შეუფერებელი ბატონყმობა შემოგაქეთ-მეთქი?“ მოქნეული და მოზომილი ვის გაუგონიაო, ნათქვამია და მეც ამ ცხარე საყვედურების დროს თვითონ ი. მაჩაბელზედაც ბევრი რამ საწყენი შემომეხარჯა! გადაჭარბებულ რამეებს ვამბობდი, მაგრამ იმას კრინტიც არ დაუძრავს, მხოლოდ შორს კი იჭერდა ჩემგან თავს და მეც არა ვნაღვლობდი, რადგანაც ის იმ წრეში ჩადგა, რომელსაც მე არ თანაუფრძნობდი“.

ილია ჭკეჭკეპაძემ ძალიან კარგად იცოდა, რომ ჭიჭინაძე უფრო გამოცდილი პედაგოგი იყო და პირველ ხანებში საქმე იქნებ უკეთაც წარემართა. მაგრამ იგი უფრო შორს იყურებოდა: მაჩაბელი ახალგაზრდა, ენერგიით სავსე, პატრიოტი, განათლებული კაცია, ჩინებულად იცის უცხო ენები, კალამი უჭრის, კარგად ესმის რა სჭირდება ჩვენს ხალხს, და ყმაწვილების პატრიოტული სული-სკეპით ალზრდაშიაც ვერავენ დაუდებს ტოლს, — ფიქრობდა ილია, — რაც შეეხება პედაგოგიურ განათლებას, გოგებაშილი

და ცხვედაძე იქვე არიან, სასკოლო კომიტეტში, ისინი გაუწვევენ ყოველდღიურ დახმარებას...

ჭავჭავაძეს ფართო გეგმები აქვს. გადაუწყვეტია თავისი „ივერიის“ და გაზეთ „დროების“ შეერთება, რედაქციის მუშაობის გაჯანსაღება, მაჩაბელსაც ჩააბამს სარედაქციო მუშაობაში და ამით საქმეს წინ წასწევს. სკოლაში არც იმდენი სამუშაოა. დრო ბევრი ექნება...

ამრიგად, ილიამ ყური არ ათხოვა მითქმა-მოთქმას და ჭორებს (საერთოდ არ უყვარდა გადაწყვეტილების შეცვლა და იოლი დათმობა) და მაჩაბელი ინსპექტორად გაიყვანა. ვანომაც ვეღარ უთხრა უარი ილიას, თორემ იმდენი დავისა და უბედურების შემდეგ გული აღარ მიუდიოდა სკოლაში სამუშაოდ.

მითქმა-მოთქმა კი კვლავ გრძელდებოდა. გაზეთებიც გამოეხმაურნენ ამ საქმეს და სასტიკად გაილაშქრეს ილიასა და მაჩაბლის წინააღმდეგ:

„...რისთვის დანიშნეს ის, რისთვის მისცეს იმას უპირატესობა გამოცდილ და დახელოვნებულ პედაგოგის წინაშე? ბოროტი ენები ამბობენ, რომ კომიტეტი ამ შემთხვევაში სრულებით არავითარ პედაგოგიური მოსაზრებებით არ ხელმძღვანელობდაო, აქ სხვა რამ მიზეზი იყო. და ეს მიზეზი ის არისო, რომ კომიტეტის წევრებმა იცოდნენო, რომ უფ. ივ. მაჩაბელი „სასიამოვნო კანდიდატია“ „ივერიის“ რედაქტორის უფ. ილია ჭავჭავაძისა; იცოდნენო, რომ ამ პატივცემული ჟურნალის პატივცემულ რედაქტორს ჰსურს აქ თბილისში, თავის გვერდით ჰყავდეს თანამშრომელი და სხვ. ერთი სიტყვით, ამბობენ, რომ ეს ხათრის საქმეა“...

მაჩაბელმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნო. წახალისებისა და გულის გამაგრების ნაცვლად ახალგაზრდა, გამოუცდელი კაცი თავიდანვე შებორკეს, დააშინეს და შეურაცხყევს. მაგრამ თავმოყვარეობა და განსაკუთრებული სიამაყე ნებას არ აძლევს თავისი განცდები ილია ჭავჭავაძეს გაანდოს. სხვა კი აქ ჯერჯერობით არავინ ჰყავს ახლობელი... და ისევე ძმასა სწერს, აუხსნის რა დაბრკოლებები გადაეღობა მის პირველ გამოსვლას საზოგადოებრივ ასპარეზზე, როგორ დაამცირეს, შეურაცხყევს...

ძმაც არ აყოვნებს საპასუხო წერილს, რომელიც სავსეა ჩვეულებრივი დარიგებებით: „არა მგონია მოიძებნებოდეს ისეთი საქმე, ანუ თანამდებობა, რომელსაც თავის შესაწუხარი არა სჭირდეს რა... ვინც კი გულით და სულით გრძნობს თავის სამშობლოს სიყვარულს,

ვისაც კი ნამდვილი სარგებლობის მოტანა უნდა თავისი ხალხისათვის, არასოდეს საქმის უსიამოვნო მხარეს არ უნდა გაექცეს... იქნებ მითხრა — „მერმე იცი რა უსიამოვნება მოძაყენესო, განა შეუძლიან ვისაც კი ცოტაოდენი თავისმოყვარეობა აქვს გაუძლოს ამგვარს შევიწროებასო“... ამაზედ ისე იმასვე გიპასუხებ, რაც ზევით გითხარ: თუ დიდი სასარგებლო საქმე გაბარია, შენი თავმოყვარეობა უნდა ამ საქმეს ანაცვალო; რაც უნდა უსიამოვნება ნახო, არათ უნდა ჩააგდო იმ იმედით, რომ ბოლოს ყოველი შენი შეწუხება და სიმწარე დაგაეიწყდება, როდესაც ნახავ შენი შრომის ნაყოფს, ნაყოფს, რომელიც ასარგებლებს და ახარებს თავის პაწია სამშობლოს“...

მუშაობა მეტისმეტად ძნელი გამოდგა; თავისუფალი დრო თითქოს ბევრი რჩება, მაგრამ ისე უგემურად მიდის საათები, რომ მაჩაბელი წიგნის წაკითხვასაც ვერ ახერხებს. აი, მაგალითად, მთელი დღის მუშაობა უკვე დაამთავრა, ისადილა და ახლა გადაწყვიტა გახეთისათვის სტატია დაწეროს. მაგრამ ვერც კი მოასწრო მაგიდას მისჯდომოდა, რომაქლოშინებული დარაჯი ამოეარდა — ეზოში ბიჭებს ჩხუბი გაუმართავთ და ცხვირიდან სისხლს აღენენ ერთმანეთსო. მაჩაბელი აენტება, მაშინვე გაჰკრავს გონებაში: „გამოუცდელი კაცია... უბედური ბედი იმ შეგირდებისა, რომელთაც რომელიმე კაცის ხათრისა და მგობრობისათვის უნიშნავენ მასწავლებლებს და ხელმძღვანელებს“... (სწორედ ასე ეწერა „დროებაში“) მაშინვე ეზოში გაჩნდება და მოწაფეებს გააშველებს, დატუქსავს, მორალს უქადაგებს, „პედაგოგიურ ღონისძიებებს“ იხმარს.

ბავშვებს უყვართ თავიანთი ახალგაზრდა ინსპექტორი; მოსწონთ მისი გულწრფელობა, უბრალოება, თავმდაბლობა; მაგრამ იმასაც ხედავენ, რომ ინსპექტორი ნერვიულობს, მოუსვენრადაა, ყოველ მათ დანაშაულს მეტისმეტად განიცდის. ეს კი თურმე არ ვარგა. ბავშვმა თურმე არ უნდა შეგნიშნოს მისი დანაშაულის გამო ზედმეტი აღელვება, ნერვიულობა... ეს იქნებ იცის კიდევ ახალგაზრდა ინსპექტორმა, მაგრამ თავის დაჭერას ვერ ახერხებს...

ამრიგად, ეს ერთი დღე ასე გავიდა, ველარაფერი გააკეთა მაჩაბელმა.

სკოლის ცხოვრებაში ერთი დღე ძალიანა ჰგავს მეორეს. მეორე დღესაც აღმოჩნდა ასეთი ასაღელვებელი გარემოებანი... და ასე განუწყვეტლივ. მაჩაბელი მალე დარწმუნდა, რომ იგი წიგნის წაკითხვასაც ვერ მოახერხებდა თავისუფლად.

წიგნის კითხვას ვინ დაეძებს, არის პერიოდები, რომ ძილი და

მოსვენებაც გაუქრება. აგერ, ქალაქში გაჩნდა რაღაც საბავშვო სნეულება. ინსპექტორი თურმე აქაც პასუხისმგებელი ყოფილა — სკოლაში ვერ უნდა შემოაღწიოს ამ აუადმყოფობამ! მაგრამ როგორ გინდა დააკაეო?! რამდენიმე დღის განმავლობაში იღუმალი შიშით შეკყურებს ახალგაზრდა ინსპექტორი მოწაფეებს, ხომ არავენ წამოწითლებულა სახეზე, ყელი ხომ არავენს ტკივა?..

ბოლოს ერთ მოწაფეს სიცხე მისცა. უბრალოდ, გაციებულა ბავშვი. მაგრამ მოდის სასკოლო კომიტეტის წევრი და ინსპექტორს აფრთხილებს — მაგ ბავშვს რომ სახადი გამოაჩნდეს, დავიღუპებით, მთელი ქალაქი ჩვენზედ დაიწყებს ყაყანსო. მაჩაბელს მწარედ ჩაეცინება და გაბრაზებული ამასლა იტყვის:

— ღმერთმა ნუ ქნას, შკოლაში ბავშვი რომ მოკედეს, მაშინ კაცისმკვლელებიც გამოვალ!

ერთმა შემთხვევამ დააჩქარა მაჩაბლის გადაწყვეტილება — თავი დაენებებინა სკოლისათვის. ეს შემთხვევა მშვენიერად აქვს მას აღწერილი ძმასთან მიწერილ ბარათში:

„საყვარელო ძმაო ვასო. მართალია მეძმობელობა კიდევ შკოლის თავის დანებებაზედ გამოლაპარაკება შენთან, მაგრამ შენგან ისეთი მეგობრული და ძმური წიგნი მომივიდა, რომ ძნელია ამ საგანზედ პასუხი არ მოგცე. ზოგიერთი მიზეზი, რომელთაც მე შკოლას თავი დამანებებინეს, წინდანინე მოგწერე. ეხლა კიდევ ერთს უმთავრესს მოგწერ. რასაკვირველია, კაცმა საქმე თავის ხასიათის შესაფერი უნდა აირჩიოს. მე როდესაც შკოლაში თანამდებობა ავიღე, არ ვიცოდი გადაწყვეტილი, რა საქმე მექნებოდა და რა პასუხის გება. ეს მე არც არავენ მითხრა. მასუკან გამოჩნდა, რომ შკოლის პასუხისმგებელი სრულებით მე ვიყავი, ასე რომ ან პაჟარი მომხდარიყო, ან ბავშვი ავად გამხდარიყო, ყველაფერი მე დამაწევებოდა კისერზედ... ეს პასუხისმგებლობა სრულებით მოსვენებას არ მაძლევდა. ჩემს ოთახში რომ ვიჯექ და ვკითხულობდი რასმე, თავიდან არ გამოდიოდა შიში, რომ შეიძლება აი ახლა უსიამოვნო ამბავი მოხდეს რამე-მეთქი... ერთს საღამოზედ ისეთი შემეშინდა, რომ ჩემს დღეში ასეთი შიში არ გამომივლია. ჩემს ოთახში ვიჯექი და უცებ რაღაც ჟღავილ-ჟღუვილი მომესმა. გაველ კარში. ვნახე მთელი ხროვა ბავშვებისა ამოსულიყო, ყველანი ერთბაშად რაღაცას მეუბნებოდნენ, ზოგი ტიროდა, ზოგს შიშით ნაცრისფერი დასდებოდა. ძლივსძლივობით მიეხვდი, რომ ლამაზ ჩამოვარდაო. ჩავედი მაშინვე ძირს; გამოჩნდა, რომ ბავშვებს თამაშობის დროს ლამპისათვის პალტო მოერტყათ

და ძირს ჩამოეგდოთ, კეროსინი პოლს მოსდებოდა და შენი მტერი, ყოჩაღად რომ არ მოექცეულიყავით, ვინ იცის, იქნება სულაც გადაუმწვარიყავით“...

ვანო აყოვნებს ძმასთან წერილის მიწერას და სკოლისათვის თავის დანებების შეტყობინებას, იცის რომ ვასოზე ეს ცუდად იმოქმედებს, მოსიყვარულე ძმა შეწუხდება, გული გაუტყდება, რწმენას დაკარგავს... და ხელსაყრელ შემთხვევას ეძებს — იქნებ ილიას მოუხდეს პეტერბურგს წასვლა და პირადად უფრო კარგად განუმარტავს ნამდვილ მიზეზებს... ყოველ შემთხვევაში, რამდენჯერაც არ მიუჯდება მაგიდას წერილის დასაწერად, ყოველთვის მეორე დღისათვის გადადებს ხოლმე, მაგრამ ძმამ ეს ამბავი ვანოს წერილის მიღებამდე გაიგო. იმავე „კეთილისმსურველებმა“, რომლებიც აქ ილიას და ვანოს კეთილგანწყობილებამ შეაშფოთა, მალე მოახერხეს „დიდი გულისტკივილით“ შეეტყობინებინათ ძმისათვის ვანოს მარცხის ამბავი.

ბანკის საქმეებზე ილია აღარ წასულა პეტერბურგს, ავალიშვილი გაგზავნა და სწორედ ეს ავალიშვილი გამოდგა პირველი მაცნე.

„დავით ავალოვი შემხვდა ქუჩაში და გულნაკლულის ხმით მითხრა, ვანომ ქალაქი მისცა სკოლისათვის თავის დანებებაზეო, — სწერს ვასო უმცროს ძმას, და იქვე დასძენს: — თავზარი დამცა ამის გაგონებამ... ვე შენი გადაწყვეტილება მოუშხადებელი და უსაფუძვლოა და დიდი მავნებელი მოქმედება ექნება მთელ შენ მომავალ ცხოვრებაზედ“

ამის შემდეგ დიდი ხანი გავიდა და ივანე მაჩაბლის მოკლე ბიოგრაფიაში, რომელიც უფროსი ძმის მიერ არის შედგენილი, კვითხულობთ: „სათავადაზნაურო სკოლაში დიდხანს ვერ დადგა, რადგან სულ სხვა ასპარეზისათვის იყო მოშხადებული და პედაგოგიური, დინჯი, მომთმენი ხასიათი მას არ ჰქონდა“.

აქ აშკარად ჩანს, რომ უფროსი ძმა ცდილობს გაამართლოს სკოლისათვის თავის დანებება, რაც მას თავის დროზე დიდ სირცხვილად მიაჩნდა. მაგრამ „გამართლება“ ამ შემთხვევაში სულაც არ არის საჭირო, რადგან, სინამდვილეში მაჩაბელს იმიტომ კი არ დაუნებებია სკოლისათვის თავი, რომ პედაგოგიური ასპარეზისათვის არ იყო მოშხადებული და დინჯი, მომთმენი ხასიათი არ ჰქონდა. ამის მიზეზი უფრო ღრმა არის და ეს ჩვენ აღვნიშნეთ კიდევ. ამის მიზეზია ის მითქმა-მოთქმა, ჭკორი და შეურაცხყოფა, რაც მაშინვე დაიწყო, როგორც კი ილია ჭაუჭავაძემ მაჩაბლის ინსპექტორად გაყვანა

გადაწყვიტა, და ბოლომდე არ შენელებულა. ამის მიზეზი ის არის, რომ უკვე აშკარად გამოჩნდა ილია ჭავჭავაძის განზრახვა — ყველა საქმეში გვერდით იყოლიოს ივანე მაჩაბელი!

მაგრამ რაღა საჭიროა ვარაუდები, როცა არსებობს იმისი აშკარა საბუთები, რომ ივანე მაჩაბელი პედაგოგიურ ასპარეზზე მოღვაწეობას არ დაუფრთხია, პირიქით!

მართალია, ადრე, ჩამოსვლისთანავე, მანამ ინსპექტორად მოეწყობოდა, მაჩაბელმა უარი თქვა ახლად გახსნილ სკოლაში მასწავლებლობაზე, რადგან საერთოდ არ აპირებდა მასწავლებლობას. ჩვენ ეს უკვე ვიცით, მაგრამ მას შემდეგ, რაც ინსპექტორად მოეწყო, იგი არათუ დააფრთხო ამ დარგში მოღვაწეობამ, არამედ პირიქით, როგორც ჩანს, შეჰყვარებია კიდევ ეს საქმე.

ერთი თვეც არ გასულა, რაც სკოლას თავი დაანება, რომ იგი სასწავლო ოლქის მზრუნველთან მიდის მასწავლებლის ადგილის სათხოვნელად!

ჯერ ერთი, რას ნიშნავს მისი სიტყვები: „...ზოგიერთი მიზეზები, რომელთაც მე სკოლას თავი დამანებებინეს?“... მაინც რა უნდა იყოს ეს მიზეზები? ძმა ამ მიზეზების შესახებ პირდაპირ უპასუხებს: „იქნებ მითხრა — მერე იცი, რა უსიამოვნება მომაყენეს? განა შეუძლიან ვისაც კი ცოტაოდენი თავისმოყვარობა აქვს გაუძლოს ამგვარ შევიწროებასო?! შენი თავისმოყვარეობა უნდა ამ საქმეს ანაცვალო... უსიამოვნება არათ უნდა ჩააგდო... ბოლოს ყოველი სიმწარე დაგაეიწყებდა“...

რაღა თქმა უნდა, ეს „მიზეზები“ სულ სხვა ხასიათისაა, და საერთო არაფერი აქვს წმინდა პედაგოგიურ სიძნელებთან. ასე რომ არ იყოს, ერთი თვის შემდეგ მასწავლებლის ადგილისათვის რატომღა მიაკითხავდა მაჩაბელი სასწავლო ოლქის მზრუნველს?!

პირველად სასწავლო ოლქის მზრუნველი არ დახვდა მაჩაბელს. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში წასულიყო სამოგზაუროდ და სკოლების მდგომარეობის შესასწავლად. ანუ უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით — სკოლებში ქართული ენის გაკვეთილების შესამცირებლად. მაჩაბელმა დაუცადა და მეორედ მივიდა. ამჯერად მზრუნველი კაბინეტში დახვდა.

საინტერესო იყო მათი საუბარი. იანოვსკიმ ისე გულთბილად და თავაზიანად მიიღო ახალგაზრდა კაცი, რომ მაჩაბელს გაუკვირდა კიდევ: ფეხზე წამოდგა, შეეგება და მოწინებით ჩასუვა სავარძელში. თვითონაც გვერდზე მოუჯდა და შინაურული მასლაათი გაუმართა,

თავისი ბოლონდელი მოგზაურობის შთაბეჭდილებანი გაუზიარა და აღტაცება გამოთქვა საქართველოს ხალხითა და ბუნებით. „რა ხალხი! რა ზნეობრივი სიმაღლე!.. რა მრავალფეროვნება! ბუნების როგორი სიმდიდრე!.. რა შრომისმოყვარეობა და თავდადება!“..

ერთი სიტყვით, ეპითეტები არ დაუზოგავს თავისი აღტაცების გამოსახატად... მერე უეცრად შეჩერდა და დამტკბარი ღიმილით მიაშტერდა ახალგაზრდა თანამოსაუბრეს. ეტყობოდა, ტკბილი მასლაათის გაბმისათვის მასაც უნდა გაედო რაღაც წელილი, და მაჩაბელმაც არ დააყოვნა, საუბარში ჩაება: „ჩვენი მრავალტანჯული ხალხი, — ასე დაიწყო მან, — მიუხედავად მრავალრიცხოვანი ველურების განუწყვეტელი...“

მაგრამ სასწავლო ოლქის შზრუნველმა მოულოდნელად შეაწყვეტინა:

— რაღა თქმა უნდა, რასაკვირველია, — თანაგრძნობით შეხვდა იგი მაჩაბლის სიტყვებს, — კაკასიური ველურობა და აზიური სიზარმაცე რომ არ უშლიდეს ხელს, თქვენი ქვეყანაც...“

მაგრამ თვითონვე შეჩერდა, რადგან ახალგაზრდა თანამოსაუბრის გამომეტყველება ეუცხოვა.

— მიუხედავად ამისა, — სწრაფად შესცვალა მან საუბრის თემა, ისე რომ ლაპარაკის კილო არ შეუცვლია, — ჩვენ უნდა ვეცადოთ...

— თქვენ მე ვერ გამიგეთ, — შეაწყვეტინა მაჩაბელმა, საკმაოდ მკვახედ, — სიზარმაცე რა მოსატანია. ყველაფერს რომ თავი დაეანებოთ, ზარმაცი და ველური ხალხი ვერც იმ უამრავ ხილისა და ვაზის ჯიშებს გამოიყვანდა, რომელსაც თქვენ აქებთ, და ვერც იმ დიდებულ ციხე-კოშკებს ააგებდა, რომელთაც ასე მოუხიბლავხართ. მე მოგახსენებდით იმ ველური ბრბოების შესახებ, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში სისხლისაგან ცლიდნენ საქართველოს!

— დიახ, დიახ, რაღა თქმა უნდა, გასაგებია, — საჩქაროდ დაუკრა კვერი სასწავლო ოლქის შზრუნველმა და კვლავ ზოტბა შეასხა საქართველოს ძველ ციხე-სიმაგრეებსა და ტაძრებს, რომელთა ნანგრევები ბოლონდელი მოგზაურობის დროს ყოველი ფეხის ნაბიჯზე ხედებოდა მას.

მერე ოლქის შზრუნველმა ხელები მოიფშენიჭა და საუბრის თემა მოხერხებულად შესცვალა, სინანული გამოთქვა, რომ თავადმა მაჩაბელმა უარი ბრძანა გიმნაზიის ინსპექტორობაზე და სხვა დარგში მოღვაწეობა არჩია, საქმიანი დამოკიდებულებით დაშორდა მას, იანოესკის, რომლისთვისაც განსაკუთრებით სასიამოვნო იყო ისეთი

ბრწყინვალე ნიჭისა და ნათელი გონების ადამიანთან მუშაობა, როგორც მისი თანამოსაუბეა. „თუმცა ამას მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არა აქვს, — განაგრძო მან, — ბოლოს და ბოლოს, მაინც ერთ საქმეს ვემსახურებით და ერთად ვმოღვაწეობთ“.

მაჩაბელს გაეცინა და უთხრა, ვატყობ, რომ მართლაც ძნელი ყოფილა ამ ასპარეზისათვის თავის დანებება, ახლა სწორედ იმისთვის შეგაწუხეთ, რომ მასწავლებლის ადგილი გთხოვოთო.

იანოვსკიმ ჯერ თვალები დაჭყიტა, მაგრამ გააკვირვება ისე მალე შესცვალა სიხარულად, რომ თანამოსაუბრეს არც კი შეუმჩნევია მისი გამომეტყველების ასე სწრაფი შეცვლა. ძალიან მიხარიანო, უთხრა იანოვსკიმ, რომ თურმე ჩვენს დარგს ასე აფასებთ და პატივსა სცემთ, ბოლოს და ბოლოს, ახალი თაობის აღზრდაზე უფრო საპატიო რა უნდა იყოსო.

მაგრამ ის აღარ უკითხავს — თუკი პედაგოგიური მოღვაწეობის განგრძობას ფიქრობდით, ამ სამიოდე თვის წინათ ინსპექტორობას თავი რატომღა დაანებეთო. თავაზიანი ადამიანი იყო, ახალგაზრდა კაცს უსიამოვნო შეკითხვით უხერხულ მდგომარეობაში არ ჩააყენებდა. მერე თავი მოიფხანა. წამოდგა, მაგიდასთან მივიდა, მდივანს მოუხბო და რაღაც დავთრები მოატანინა. მდივანი გაბრუნდა.

იანოვსკიმ ქაღალდებში ჩარგო ცხვირი, ხოლო მაჩაბელმა პოლანდიური ფანჯრებიდან გაზაფხულის ნაირფერადი ყვავილებით შემკულ თბილისს გადახედა...

საამურ სიმყუდროვეს იშვიათად თუ დაარღვევდა ეტლის შორეული გრუხუნი. გაღებული ფანჯრიდან მაისის მსუბუქ ნიავს იასამნის სურნელება და ფუტკრების გაბმული ბზუილი შემოჰქონდა. კედლის საათის წყნარი, ზომიერი ტაკატუკი კიდევ უფრო უწყობდა ხელს მყუდროების განწყობილების შექმნას. მაჩაბელი სივრცეში ცქერამ გაიტაცა, ხოლო იანოვსკი — დავთარში კირკიტმა და, ვინ იცის, სადამდე გაგრძელდებოდა ასე, რომ უცებ საათის გუგულს ორჯერ არ დაეძახა. მაჩაბელმა უნებურად ჯიბისკენ გააქანა ხელი და თავის საათს დახედა. თავი უკმაყოფილოდ გააქნია. სასწავლო ოლქის მზრუნველი დავთარს მოშორდა და ცბიერი ღიმილით უთხრა ახალგაზრდა კაცს — თქვენს ბედზე, ვისკში და ბერდიანსკში აღმოჩნდა მასწავლებლის ადგილიო.

მაჩაბელმა თავაზიანად მოახსენა მადლობა. თბილისიდან ვერ წაეღ, რადგან აქ სხეაც ბევრი საქმე მაქვსო. გამოეთხოვა და გარეთ გავიდა. იანოვსკიმ კარებთან დააწია სიტყვა — იმედი მაქვს ამით არ

გათავლება ჩვენი ურთიერთობა და კიდევ შეხედვებით მოღვაწეობის ასპარეზზე ერთმანეთსო. მაჩაბელს მწარედ ჩაეცინა, იფიქრა, ერთხელ სისულელე მომივიდა, მეორედ რაღა შემახვედრებს ამ იანუსთანო.

მაგრამ ისინი მართლაც შეხედებიან ერთმანეთს. შეხედებიან არა უშუალოდ, არა პირდაპირ, მაგრამ ეს შეხედრა თითქმის საბედისწერო იქნება...

იანოვსკისაც ჩაეცინა, როცა მაჩაბელი ოთახიდან გავიდა. ერთხელ მოტყუედა და მაშინაც სანანებელი გაუხდა, მეორედ რაღას მოტყუეებოდა! იმ რამდენიმე თვეშიაც კი, გიმნაზიის ინსპექტორობის დროს, ბევრი თავისუფლებისა და „დამოუკიდებლობის“ ნება მისცა მაჩაბელმა თავს, ბევრი უსიამოვნება მიაყენა უფ. შრუნველს.

„მაინც რა საოცარი ხალხია, — ფიქრობს სასწავლო ოლქის შრუნველი, — ცოტად თუ ბევრად, ყველა თავად ჭკუჭკაძესა ჰგავს — მესხიც, აკაკი წერეთელიც, გოგებაშვილიც, ნიკოლაძეც, ცხევაძეც, ეს მაჩაბელიც...“

ქუჩაში ისე გამოვიდა მაჩაბელი, რომ ღიმილი არ მოშორებია სახეზე: „ჰამლეტისა და პოლონიუსის დიალოგი მოაგონდა.

„იმ ღრუბელს ხედავთ, როგორ ძალიან ჰგავს აქლემს?“ — მიმართავს ჰამლეტი. „ღმერთმანი, მართლაც რომ აქლემსა ჰგავს!“ კვერს უკრავს პოლონიუსი. „თუმცა, მე მგონი, კვერნას უფრო წააგავს“, — არ ეშვება უფლისწული. „ზურგი მართლაც კვერნასი აქვს“, — შხად აქვს კარისკაცს პასუხი. „თუ ვეშაპსა ჰგავს“ — აწვალებს უფლისწული. „ნამდვილი ვეშაპია“, — არ იბნევა კარისკაცი...

მაისის საკმაოდ ცხელი დღე იყო. ქუჩაში ბავშვების ჟრიაშული იდგა. პატარა გოგო-ბიჭები მხიარული სიცილ-კისკისით მოსდებოდნენ კალიებისაგან შემწვანებულ ფილაქნებს და მეეზოვეების წაქეზებით მუსრს ავლებდნენ ურიცხვ „მტერს“. ყოველდღიურად უწყალოდ ჟღერდნენ, მაგრამ, რაც დრო გადიოდა, კალია უფრო და უფრო მატულობდა. ჯერ ქალაქის განაპირა უბნებში გაჩნდა, ახლა კი ცენტრსაც შემოიჭრია... ვანო მაჩაბელმა კიდევ დახედა საათს. დააკვირნდა! ტყუილად დაკარგა დრო. აქაც ვერაფერს გახდა და თათბირზედაც დაუგვიანდა.

თათბირი ილია ჭკუჭკაძემ დანიშნა „დროების“ რედაქციაში და ვანოც მიწვეული იყო. უსათუოდ უნდა მისულიყო, მაგრამ აღარ წავიდა, დაგვიანებით მისვლას არ მისვლა ამჯობინა და ნელი ნაბიჯით გაემართა სამსახურისაკენ.

იგი ახლა საადგილმამულო ბანკში მუშაობს „კასირად“. მაგრამ „კასირის“ მეტი სმეტად მცირე ხელფასი არა კმარა, რადგან მაჩაბლის ეკონომიური მდგომარეობა კვლავ საეკონომიკო და კასირის ოთხი თუ მანძი ვერ უშველის. მოვალეები ძველებურად უტყვენ და ვანოც იძულებულია ნაწილ-ნაწილ იხადოს ძველი ვალეები თავისი ხელფასიდან. მამულს და სახლ-კარს საკმაოდ ბევრი ფული სჭირდება, შემოსავალი კი ჯერჯერობით არაფერი ჩანს მამულისაგან... გულიც ვერ დაუღო მაჩაბელმა სოფელში მუშაობას. აგრონომიული განათლება მიიღო, მაგრამ მაინც ლიტერატურულ ასპარეზზე მოღვაწეობას არჩევს. გაზეთსა და ჟურნალს ვერ შორდება, ლიტერატურული ცხოვრების ცენტრში ტრიალებს, ზედიზედ წერს, აქვეყნებს სხვადასხვა ხასიათის სამეცნიერო სტატიებს, სათეატრო რეცენზიებს, წერილებს ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, თეატრის მნიშვნელობაზე, დრამის როლზე. მეტად მწვავედ განიცდის ქართული თეატრის წარმატებასა თუ მარცხს, რაც იმ წლებში ძალიან ხშირად ცვლიდა ხოლმე ერთმანეთს (ოღონდ, მარცხი უმთავრესად გამოწვეული იყო ორგანიზაციულ და ტექნიკურ, აგრეთვე ეკონომიურ სიძნელეთა გამო)! ერთი სიტყვით, სოფელში დიდხანს არ უდგება გული. ჩადის მხოლოდ უქმე დღეებში, დედას მოინახულებს და ისევე მალე ბრუნდება. რაც ინსპექტორობას თავი დაანება, რამდენჯერმე სცადა სამსახურში მოწყობა, მაგრამ არ გამოუვიდა. ჭკეჭკეაძე პირდებოდა, მალე დამფასებლად ამოგირჩევთო. მაჩაბელს მაინცდამაინც არ ხიბლავს ეს პერსპექტივა, იქნება იმიტომ, რომ ახალი მითქმამოთქმის საბაბი არ მიეცეს ხალხს — ჭკეჭკეაძეს ბანკშიაც თავისი კაცი გაჰყავსო. ისე კი ახალგაზრდა მაჩაბელი თვითდაჯერებული კაცია, თავის იმედი აქვს, და უფრო მაღლაც უმიზნებს. — ბანკის ერთ-ერთ დირექტორადაც რომ აირჩიონ, მუშაობა არ გაუჭირდება, ადვილად გაართმევს თავს. მაგრამ ამას მხოლოდ გულში ფიქრობს, ერთხელაც არ გაუმჯღავნებია. მით უმეტეს, ილია ჭკეჭკეაძეს არ ეტყვის ამას. თუ საჭიროდ დაინახავს, დაე თვითონვე შესთავაზოს ილიამ დირექტორობა. სხვა საქმეა, დათანხმდება თუ არა!..

თათბირი „დროების“ რედაქციაში დიდხანს არ გაგრძელებულა, ერთი საათის მისული არც კი იყო მაჩაბელი ბანკში, რომ ილიაც მივიდა. მაშინვე ცალკე გაიხმო ვანო და დიდხანს ესაუბრა.

საუბარი შეეხებოდა „დროება“-„ივერიას“. ამ საგანზე ადრეც

ბევრჯერ ულაპარაკია ილიას ვანოსთან. მესხი მეტისმეტად გადაი-
ღალა, ეუბნება ილია, არც გასაკვირია: ყოველდღიური გაზეთის
მოვლა ამ პირობებში, როდესაც ერთი კაცის მხარზე გადადის მთელი
სამუშაო, თვით კორექტურაც კი, ხუმრობა საქმე როდია. ილია
აშკარად უკმაყოფილოა და ვანოს ელიმება, რადგან იგი თავიდანვე
სკეპტიკურად შეხვდა „დროება“-„ივერიის“ შეერთებას. „მე მგონია,
რომ, როგორც სხვადასხვა ჯურის ცხოველების შეერთებისაგან არა
გამოვა რა, ისე აქედან არა გამოვა რა...“ სწერდა მაშინ თავის ძმას
ვანო „დროება“-„ივერიის“ შეერთების საქმეზე.

ახლა ელიმება მაჩაბელს ილიას სიტყვებზე, მაგრამ არაფერს
ამბობს.

— დღეს ბევრი ვიმსჯელებთ, — განაგრძობს ჭავჭავაძე, — მესხიც
იქ იყო, აკაკი წერეთელიც, გოგებაშვილიც, სარაჯიშვილიც, და
სხვაც ბევრი. კარგად აეწონ-დაეწონეთ საქმე და გადაეწყვიტეთ, რომ
ერთი ყოჩაღი და განათლებული კაცი დაეიხმაროთ. ჩემი არჩევანი
შენა ხარ...

ილიას არ გამოუპარება ახალგაზრდა მეგობრის გაკვირება და
ღიმილით დასძენს: ეს საერთო აზრია, მარტო ჩემი არ გვეონოს. და
წინააღმდეგიც არავეინ წასულა!

„მაშ ილიას ყველაფერი ესმის, ყველაფერს ხედავს!“ — ფიქრობს
მაჩაბელი, რომელსაც თავმოყვარეობა ნებას არ აძლევს ამ საგანზე
თვითონ ჩამოაგდოს სიტყვა ჭავჭავაძესთან.

— ბანკში მუშაობა ხელს არ შვეიშლის. პირიქით, დამფასებლადაც
მალე ამოგიჩრევთ... და მერე ღირექტრობაზეც იყრი კენჭს. ბოლოს
და ბოლოს, მუდამ ჩვენ ხომ არ ვიქნებით... რედაქციაში რამდენიმე
საათი უნდა შეიარო და მთელი გაზეთი გადაათვალიერო... რამდენიმე
საათი დაგჭირდება ყოფნა... — იმეორებს ილია.

მაგრამ „რამდენიმე საათით“ მუშაობა არ შეუძლია მაჩაბელს,
როცა ხედავს სამუშაო ბევრია, რა გული მოუთმენს!.. ახალგაზრდა
ჟურნალისტი და ბანკირი ბანკსა და რედაქციას შორის ტრიალებს;
ბანკიდან რედაქციაში გარბის, რედაქციიდან — ბანკში. ყველგან
საჭიროა, ყველგან წესრიგის დამყარებასა ცდილობს, და ყველგან,
საცა მივა, მისი ხელი დაეტყობა ხოლმე საქმეს...

მაჩაბლის სამეცნიერო და სამეურნეო ხასიათის წერილებს ხალხი
უკვე იცნობდა. ახლა მან გამოამჟღავნა კიდევ ერთი ახალი ნიჭი
და ამ საქმეშიაც ილია ჭავჭავაძის ღირსეულ მოწაფედ მოველინა
საზოგადოებას.

მაჩაბელი — პოლემისტი!..

პირველივე წერილით მან საერთო ყურადღება მიიპყრო, ხოლო საზოგადოების იმ ნაძირალა ფენებში, სადაც მხოლოდ ინტრიგა, შური და ღვარძლი იყო დაბუღებული, კიდევ უფრო გაღრმავდა მითქმა-მოთქმა ილიასთან დამოკიდებულების შესახებ: „მაჩაბელმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ილიას კაცია, მაჩაბელი არაფერს ეპუება, ანგარიშს არაფერს უწევს, და თავხედურად გამოდის!.. მაჩაბელი ყველაფერში ილიას ბაძავს!..“

ეს სიტყვები ნაწილობრივ სიმართლეს შეეფერებოდა, მაგრამ გულს მხოლოდ იმიტომ სერავდა, რომ ღვარძლით იყო თქმული და შხამს აწვევებდა იქ, სადაც, ერისავე კეთილდღეობისათვის, მხოლოდ შარბათი უნდა ყოფილიყო. ეს ინტრიგანი ვაჟბატონები საკმაოდ მარჯვე მსროლელები იყვნენ და კარგად უმიზნებდნენ ამავე გულსა და ახალგაზრდულ თავმოყვარეობას...

იმ წლებში „ივერიასა“ და „დროებაში“ გამოქვეყნებულ ბევრ წერილს, ხელმოწერას თუ არ დახედავ, ან, მით უმეტეს, თუკი სულაც არა აქვს გეარი მოწერილი, ვერც გაარჩევ — ილიას ეკუთვნის, თუ მაჩაბელს. იუანე მაჩაბელმა ერთბაშად შეითვისა ილიას წერის მანერაც კი. მისი წერილებიც გამოირჩევიან პირდაპირობით, გაბედულებით, სამართლიანობით, დაუნდობლობამდე მისული მოურიდებლობით, რაც ყოველთვის საზოგადოებრივი ინტერესებით არის ნაკარნახევი...

1880 წლის იანვარში, ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც მაჩაბელი გიმნაზიის ინსპექტორად მუშაობდა, ნიკო ნიკოლაძემ თავის განახლებულ „Обзор“-ში გამოაქვეყნა სტატია, რომელშიაც დიდი ადგილი აქვს დათმობილი უკვე კარგა ხნის გარდაცვლილ ბესარიონ ლოლობერიძის მოღვაწეობის განხილვას. ამ სტატიაში ნიკოლაძეს შერბილებული აქვს ის მწვავე ტონი, რაც ბესარიონ ლოლობერიძესთან მის გრძელ პოლემიკას ახასიათებდა. ნიკოლაძის ახალმა სტატიამ ბევრი აღაშფოთა, მათ შორის ილია ჭავჭავაძეც, რომელიც იმხანად დანასისხლად იყო ნიკოლაძესთან. ახლა რაღა დროსია, სიცოცხლე გაუმწარა!.. შესძახა ჭავჭავაძემ, როცა ეს სტატია წაიკითხა.

მაშინვე გამოითქვა აზრი საპასუხო წერილის გამოქვეყნებისა, და ეს საქმე პოლემიკაში და ცხოვრებაშიაც ჯერ კიდევ სრულიად გამოუცდელმა მაჩაბელმა იკისრა. ილიას აღშფოთება ვანოსაც გადაედო, რომელსაც ლოლობერიძის დიდ ღვაწლზე ბევრი სმენოდა თავის ძმისაგან, ილიასაგან... და თვითონაც აკვირდებოდა მის მოღვაწეობას.

ახალგაზრდა ჟურნალისტის წინაშე დიდი ამოცანა იდგა: იგი უნდა შებრძოლებოდა უკვე სახელმობხევექილ, ძალიან ფართო მასშტაბის პუბლიცისტსა და პოლემისტს, მოწინააღმდეგეებთან ბრძოლებში გამობრძმედილ ადამიანს, დიდ საზოგადო მოღვაწეს, რომელსაც ანგარიშს უწევდნენ რუსეთისა და უცხოეთის დიდი მოღვაწეები. ამასთან, ეს იყო ეანო მაჩაბლის პირველი გამოსულა ამ ასპარეზზე.

„ეინძლო გამოცდა კარგად დაიჭირო!“ სიცილით უთხრა მას ილიამ — „მთავარია შეუპოვრობა, სიძარტლე და ორატორული ხერხი — მოწინააღმდეგეს იქ დაარტყა, სადაც ყველაზე მწვავე ტკივილს მიაყენებ, ისეთ საკითხში გამოიჭირო, რისგანაც თავს ადვილად ვერ გამოიხსნის“...

ილია ბრძოლის ხერხებს ასწავლის მაჩაბელს!..

სტუდენტობის დროს მაჩაბელი მოხიბლული იყო ანტონიოსის მონოლოგით „იულიუს კეისრიდან“. სწორედ ეს მონოლოგი იყო პირველი ნაწყვეტი შექსპირის პიესებიდან, რაც ინგლისურ ენაში ჯერ კიდევ გაუწაფავმა მაჩაბელმა წაიკითხა დედანში. ეს მონოლოგი მას მიაჩნდა ორატორული ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშად.

კეისრის მოკელის შემდეგ ბრუტოსი ნებას მისცემს კეისრის გულითად მეგობარს — ანტონიოსს, სიტყვით გამოვიდეს ხალხის წინაშე. ანტონიოსის როლი მეტად მძიმეა: მან კეისრის წინააღმდეგ ამხედრებული ხალხი, რომელიც ბრუტოსმა თავისი მჭევრმეტყველური სიტყვით კიდევ უფრო ააღელვა, უნდა გადაიბიროს და ახლა კეისრის მკვლელების წინააღმდეგ ამხედროს. ამასთან, ნება არა აქვს, ბრუტოსი და შეთქმულების სხვა მონაწილენი აუგად ახსენოს. პირიქით, უნდა გაამართლოს კიდევ მათი მოქმედება!.. ანტონიოსი მიაღწევს მიზანს. მისი სიტყვა ორატორული ხელოვნების ერთ-ერთი შესანიშნავი ნიმუშია.

„მეგობრებო, რომაელებო, თანამემამულეებო, — მიმართავს იგი ხალხს, — მე აქ კეისრის დასაკრძალავად მოვედი და არა მის საქებრად. კეთილი საქმე კაცისა მასთან ერთადვე იმარხება, ავი საქმე კი მის შემდეგაც ცოცხლობს. კეისრის ბედიც ასეთი იყო, კეთილშობილმა ბრუტოსმა თქვენ გითხრათ, იგი მედიდური იყო, მედიდურება კი საშინელი ნაკლია და თუ მართლაც ასეთი იყო კეისარი, აკი საშინლადაც დასაჯეს... მე მსურს სიტყვით მოგმართოთ ჩემი ერთგული მეგობრის — კეისრის დაკრძალვის წინ, თუმცა ბრუტოსი მას მედიდურებას აბრალებს, და ბრუტოსი ხომ პატიოსანი კაცია!“.

მერე იგი ჩამოთვლის კეისრის ბევრ შესანიშნავ თვისებას, რაც მედიდურებას სრულებითაც არ უთავსდება, მაგრამ თითქოს უცებ მოაგონდაო, ერთბაშად შედგება და ნალელიანად დასძენს — „მაგრამ ბრუტოსი მას მედიდურებას აბრალებს და ბრუტოსი ხომ პატიოსანი კაცია!“.

ისევ განაგრძობს კეისრის საუკეთესო თვისებების ჩამოთვლას, მგზნებარედ მოუთხრობს ხალხს, თუ რა თავდადებული იყო კეისარი თავისი ქვეყნისათვის, როგორ უყვარდა უბრალო ხალხი... და თითქოს ისევ უცებ მოაგონდაო, კვლავ ერთბაშად შედგება და გულდაწყვეტით გაიმეორებს — „მაგრამ ბრუტოსი მას მედიდურობას აბრალებს და ბრუტოსი ხომ პატიოსანია კაცია!“

„ლუპერკალიის დღეობაში სამჯერ მივაწოდე მას მეფის გვირგვინი, — განაგრძობს ცრემლმორეული ანტონიოსი, — და მან სამჯერვე უარი მითხრა. ნუთუ ეს არის მისი მედიდურება?! მაგრამ ბრუტოსი მას მედიდურებას აბრალებს და ბრუტოსი ხომ პატიოსანი კაცია!“

ასე განმეორდება რამდენჯერმე, ანტონიოსი მსმენელებს თანდათან უქარწყლებს ცუდ წარმოდგენას კეისარზე, გულს უღბობს მათ, და ახლა ოსტატურად აპარებს ისარს შეთქმულების მონაწილეთა წინააღმდეგ. საბოლოოდ იგი კეისრისა და მისი მომხრეების წინააღმდეგ აბორგებულ ხალხს, რომელსაც პირველად ანტონიოსის სიტყვის მოსმენაც კი არ უნდოდა, სავსებით გადაიბირებს...

ანტონიოსის მონოლოგი ახსენდებოდა რედაქციიდან გამოსულ მაჩაბელს. სცადა ზეპირად მოეგონებია ეს ნაწყვეტი „იულიუს კეისრიდან“ და მართლაც გონებაში აღადგინა მთელი ტექსტი, ინგლისურად. „მეხსიერება ჯერ არ მღალატობს, — გაიფიქრა მან, — მაგრამ ძალიან გათამამებაც არ შეიძლება, ენამ მალე იცის დავიწყება. უსათუოდ უნდა ვთარგმნო „იულიუს კეისარი“... რა თქმა უნდა, „ჰამლეტს“... „ჰამლეტსა“ და „მაკბეტს“ შემდეგ“ — მერე გაეღიმა, — „ჰამლეტსა“, „მაკბეტსა“ და „ოტელოს“ შემდეგ...

მეორე დღეს წერილი უკვე შზად იყო. რედაქციაში ყველას მოეწონა ეს სტატია. შეუსწორებლად დაბეჭდეს.

„რ ა ღ ა დ რ ო ს

შარშან მარტში გარდაიცვალა ბესარიონ ღოღობერიძე. ცხრა თვე გავიდა, რაც საზოგადოებამ ღირსეულად დააფასა განსვენებულის

უანგარო შრომა; მრავალი ცრემლი გადმოეარდა იმის საფლავზედ, რომელსაც პირმოთნეობას ვერაეინ დასწამებდა. სიტყვით თუ წერით, საქართველოში თუ სხვა ქვეყნებში გაბნეულ საქართველოს შეილთაგან, ყოველგან და ყოველის გზით მოისმოდა გულწრფელი მწუხარების ხმა.

თავის იღბალს დაუმაძღლოს უფ. „Обзор“-ის რედაქტორმა ნიკოლაძემ, რომ ამ დროს იმის გაზეთი აღარ არსებობდა. რა პირით შეხედავდა ის ამ ამბავს? რას იტყოდა? არა მგონია გაეხედნა და დაეწყო იმ ცილების განმეორება, რომელთაც რამდენიმე ხნის წინათ ის ბ. ლოღობერიძეს უხეათა სწამებდა, მაშინ იმას საზოგადოებაში თავი აღარ გამოეყოფოდა...

პირველ იანვარს 1880 წელს იშუა ხელმეორეთ იმისი გაზეთი... თუ მცირედიც არის თავის მკითხველების პატივისცემა ჰქონდა უფ. ნიკოლაძეს, ხმა არ უნდა ამოელო ბ. ლოღობერიძეზედ და თავის სიჩუმიტ აღეარა თავისი შეცდომილება...

წრევანდელს „Обзор“-ის 392 N-ში იმან დაბეჭდა ფელეტონი „Местная общественная жизнь в 1879 г.“, რომელიც მართლაც რომ გასაშტერებელია. ამ ფელეტონს ეტყობა თითქოს შენანება, მაგრამ ეს შენანება ისეთი თვალთმაქცობით არის დაფარული, რომ ღირს იმაზედ ლაპარაკი. გეგონებათ, რომ ამ ფელეტონში უფ. ნიკოლაძე იმ დედა-აზრის წინააღმდეგი იყოს, რომელიც იმას ჰქონდა გამოთქმული უწინდელის „Обзор“-ის ნომრებში. სრულებითაც არა. აქაც ის იმეორებს, რომ თუ მე ლოღობერიძეზედ ეწერდი რამეს, იმის საზოგადოებაში მოქმედება მქონდა სახეში და არა თვითონ ლოღობერიძე, როგორც კერძო კაციო.

კარგი და პატიოსანი, თუ მწერალი ისე მოახერხებს საზოგადო ასპარეზზედ გამოსულის კაცის მოქმედების გაჩხრეკას, რომ თვითონ კაცის მოქმედებას ჩირქი არ წასცხოს.

გაეშინჯოთ ასე მოიქცა უფ. ნიკოლაძე თუ არა; ვიდრე ამის განხილვას შეეუდგებოდე, ჯერ ცოტა რასმე ვკითხავ იმას...

ეხლა უფ. ნიკოლაძე საზოგადოებაში მოქმედ პირად ითვლება. მე რომ კალამი ავილო ამ საბუთის ძალით, დავიწყო წერა და ვთქვა: ნიკოლაძე ორპირი კაცია; ახალგაზრდობას ეუბნება; „მე თქვენი თანახმა ვარ, უნდა ვიზრუნოთ და ვეწვალოთ დაჩაგრულ კაცობრიობისათვის“ და დიდკაცებს კი შესჩივის: „ახალგაზრდობა სცდება, მათი ზრუნვა დაბალ ხალხზედ არის მიქცეული. მათი მოქმედება საშიშია!“ ეს რომ ბეჭდვით გამოეთქვა და საქმით, ფაქტების ჩვენებით კი არ დავამტკიცო, რა სახელი მეკუთვნის მაშინ მე?

შეგიძლიათ ცილისმწამებელი დამიძახოთ და მეკუთენის კიდეც.
მე რომ დაეწერო: „ნიკოლაძეს საზოგადოების ფული ჰქონდა გაბარებული. იმან ის ფულები ნათესავეებს მისცა და დაბრუნებას ნულარ მოელით; რა სახელი მეკუთენის მე, თუ ფულის გაფანტვა ყველასათვის თვალსაჩინო მაგალითით არ დაეამტკიცე?

შეგიძლიათ უსინდისო დამიძახოთ და მეკუთენის კიდეც.

მე რომ დაეწერო: „ნიკოლაძის ნაცნობს ციმბირში გზავნიდნენ, ის ყველგან იძახდა: „ჩემი ნაცნობი მართალია“, მაგრამ სასამართლოში კი, როდესაც გამოჰკითხეს, თითქმის იმის ცნობაზედაც კი უარი თქვა და იმის ჩვენებას კი დიდი მნიშვნელობა ექნებოდა“, მე რომ ეს დაეწერო, განგებ თქვენგან ნათქვამი სიტყვები გადავასხვავებო და ცრუ საფუძველის ძალით საზოგადოების წინ ლაჩრად, მეგობრის გაუტანლად გამოგიყვანოთ, რა სახელი მეკუთენის მე?

შეგიძლიათ ნამუსზე ხელაღებული დამიძახოთ და მეკუთენის კიდეც.

ეხლა ნება მიბოძეთ, უფ. ნიკოლაძე, მოგაგონოთ თქვენგან გაზეთში წარმოთქმული სიტყვები ბ. ლოლობერიძეზე და გთხოვთ, რომ თქვენს საქციელს სახელი თქვენვე უპოვნოთ; თქვენ უფრო დააფასებთ თქვენს თავსა.

სჯობს თქვენი სიტყვებივე მოვიყვანოთ:

1878 წ... თქვენა სწერდით:

ზოგიერთი ჩვენი ცრუ ლიბერალები, რომელთაც განისვენეს ბანკებში და ყველგან თავადაზნაურობას იმის შემდეგ, რაც ხერხიანად გაყვლიფეს მთაერობა, ბრალსა სდებენ გაზეთებს, „არა ლიბერალობით“... ერთი იმათგანი — ბ. ლოლობერიძე, — (ყალბ) ჩვენებას აძლევდა სასამართლოში“...

(აქ მოყვანილია ნაწყვეტი ნიკოლაძის წერილიდან, სადაც იგი ბრალსა სდებს ლოლობერიძეს ორპირობაში; ხალხში ამართლებდა თავის მეგობარს, სასამართლოში კი განაცხადა — ამ კაცს სულაც არ ვიცნობო...)

„ყოველ ამ შენიშვნის მკითხველი იფიქრებს, რომ ბ. ლოლობერიძე ყოფილა ანგარებით საესე, მეგობრისა და ნაცნობის გაუტანელი, ცრუ, ურცხვი, ლაჩარი.

1880... სწერთ...

„ბ. ლოლობერიძე იყო შესანიშნავი ზოგიერთი ძვირფასი ხასიათებით. ჩვენს საუკუნეში, როდესაც ყველას შეძლების შეძენა უნდა, ის სიმდიდრეს სრულებით არ ეძებდა და სხვებსავე თანამდებობებს არ ეხარებოდა. ის მოკვდა, მაგრამ ცუდი ნაყოფი მოაქვს იმის საქმეს, რომელიც იმან თავის პატიოსანი ჩირქქა უცხებელი ხასიათით მაღლა დააყენა“.

მაშასადამე, ბ. ლოლობერიძე უანგარო და პატიოსანი კაცი ყოფილა!..

1878 წ... სწერდით:

„მე ვღვენი უფ. ლოლობერიძეს და იმის ჯურის ხალხს, იმიტომ, რომ იმათ, ჩემის აზრით, დიდი ენება მოაქვთ ჩემის ქვეყნისათვის. ისინი ორპირები არიან... ჩვენთან იმათ ლიბერალების სახე აქვთ და სტირიან ცხარეს ცრემლით კაცობრიობის უბედურებაზედ!.. ძველის თაობის წარმომადგენელთა და უფლებისმქონეთა წინ კი ისინი სჩანან ზომაზედ მეტი კეთილის განზრახულობისა, სწუხან ჩვენს შეცდომილებაზედ, ეშინიათ ჩვენის წრეზედ გადასვლისა“.

წრევანდელს ფელეტონში სწერთ:

„იმან ვერ შეასრულა ვერც ერთი თავის სურვილთაგანი, რომლებზედაც ის ყოველთვის გრძნობითა და გულწრფელობით ლაპარაკობდა“.

ორპირობა და გულწრფელობა რომ არ ხერხდება ერთმანეთთან!

1878 წლის „Озвир“-ის 108 N-ში დაბეჭდეთ კორესპონდენცია ქუთაისიდან, რომელიც უფრო თქვენგანვე თბილისში შედგენილსა ჰგავს. იმ კორესპონდენციაში ამბობთ:

„ლოლობერიძე მარტოდ მარტო ბრძანებლობს ბანკზედ და სარგებლობს მითი, რომ მმართველობის ორი დანარჩენი წევრი სრულიად უმეცარნი არიან“.

იმავე 1880 წლის ფელეტონში ამბობთ:

„მეორე ნაკლოვანება განსვენებულისა იყო მისი გაუბედაობა, სუსტი ხასიათი. იმას არა ჰქონდა მოთავეობის ხერხი, ის მზად იყო, რომ იმათ გაელენის ქვეშ ჩავარდნილიყო, ვინც გარეშემო ეხვია“.

თუ მოთავეობა არ შეეძლო და სხვის გაელენის ქვეშ იყო ხოლმე, როგორ მოახერხა, რომ ბანკი სრულებით ხელში მოიგდო და, როგორც თქვენ იმავე კორესპონდენციაში ამბობთ, თავის ბიძაშვილებს დაუწყო ზომაზედ ერთი ორათა და ერთი სამათ მეტის ფულის დარიგება, ჯერეთ აუშენებელი სახლების გირაოთ შეტანის შემდეგ!

მაგრამ უკაცრავად, ეს უკანასკნელი ფაქტი ისეთი დაუჯერებელი იყო ბ. ღოღობერიძის მხრივ, რომ თქვენ თვითონვე მასუკან უარ-ჰყავით და თქვენის სიტყვის დასაძალავად ის მოიგონეთ, რომ ვებრძოლის ხერხი იყო — მინდოდა საბრძოლველ ველზედ მაგითი მაინც გამომეტყუილებინაო.

ნუთუ ამ მაგალითებს კიდევ განმარტება უნდა?! არა, მე უფრო კარგის აზრისა ვარ ჩემს მკითხველებზედ, ვიდრე უფ. ნიკოლაძე თავისაზედ და არა მგონია, რომ ესეთს ცხადს ერთისა და იმავე კაცის ჯერ გაპირშაყებას და მერე პატიოსანს კაცათ გამოყენას ერთისა და იმავე კაცისაგან კიდევ გამოაშკარალება დასჭირდეს. ნათელს განათება აღარ უნდა...

...[თუ] კაცისაგან მაგგვარის თავისთავისევე წინააღმდეგობას ხანდისხან თვალსაჩინო ცუდი შედეგი არა მოსდევს რა, მაშინ შეიძლება უყურადღებოთ დავეტოვოთ, როდესაც კი ამგვარი საქციელით პატიოსან კაცს უპატიოსნოს ეძახიან, უანგაროს — ხარბსა, გულწრფელს — ორაპირსა, საზოგადოებისთვის თავგანწირულს — თავის საკუთარი სარგებლობის მიმდევარს; როდესაც ამგვარი ცილისწამებით ადამიანს უკანასკნელს სიცოცხლის წამს უმწარებენ, მაშინ ყოველის სინდისიანი კაცის ვალია ამ თვალთმაქცობას ნიღაბი ახადოს და საზოგადოებას დაანახვოს, ვინ ზრუნავს იმაზედ და ვინა მხოლოდ თავის თავზედ.

ო. მაჩაბელი.

ნიკო ნიკოლაძემ მეორე დღესევე „ობზორში“ დაბეჭდა საპასუხო წერილი „Нужно объяснить малютке автору“... «Г. Мачабели высылаемый теперь против нас соединенною редакциею «Дробеба» - «Иверия», не сообразил»... «Нам совестно останавливаться на всем этом и отвечать каждому младенцу!...»

არც მაჩაბელს დაუყოვნებია პასუხი: მეორე დღესევე მან წერილი გამოაქვეყნა „დროებაში“, სადაც იგი, სხვათა შორის, წერდა: „სწორედ რა პასუხსაც მოველოდი ბატონ ნიკოლაძისაგან, იმისთანა პასუხი მივიღე... მაგისთანა მწერლებს ჩვეულება სჭირთ, როდესაც იმათი მოპირდაპირე მტკიცე საბუთებით შეჭურვილი გამოდის, სწორე პასუხს როდი აღირსებენ, თუ მეტადრე იმ მოპირდაპირეს ჯერ საზოგადოება არ იცნობს, ბატონი ნიკოლაძისთანა მწერლების იარაღი ამ შემთხვევაში დაცინვაა... იქნება ბატ. ნიკოლაძეს კვლავ ეს

„სამხედრო ხერხი“ კარგად მოხდომოდეს, მაგრამ ეხლა, წინდაწინვე ეუბნებით, ეგ ხერხი ჩვენთან არ გამოდგება; თავის ლიტერატურულს ისართ-ბუღეში სხვა უფრო შხამიანი ისრები მონახოს, ძველებს ბოლო მოცვეთილი აქეთ...“

ეს იყო დიდი საზოგადო მოღვაწეების პოლემიკა, შეიძლება გადაჭარბებულად მწვავე და მძაფრი, როგორც ხშირად ახასიათებს ხოლმე პოლემიკას, მაგრამ საქმიანი და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. მაშინდელი საზოგადოების ყველაზე დაბალი და შეუგნებელი ნაწილი კი ასეთ პოლემიკას ინტრიგების გასაღვივებლად იყენებდა. ისეთი დიდი მოღვაწეების გვერდით, როგორებიც იყვნენ ჭავჭავაძე, მესხი, მაჩაბელი, ნიკოლაძე, წერეთელი, გოგებაშვილი, გ. წერეთელი, და ზოგიერთი სხვა, რომლებიც მთელი თავიანთი ცოდნით, ნიჭით, სასიცოცხლო ენერგიით ერის სამსახურში იდგნენ და დღენიდაღ ხალხის კეთილდღეობისათვის იღვწოდნენ, გამეფებული იყო უმეცრების, ცრურწმენის, პატიემოყვარების წყვილიადი. მეტისმეტად მომრავლებული ფუქსაეატი თავადიშვილები ჩალის ფასად ავირაუებდნენ ნაყოფიერ მამულებს, ანადგურებდნენ ძვირფას ხე-ტყეს და უსაქმოდ დაეხეტებოდნენ ქალაქში, მოსაწყენად გაჭიანურებულ დროს ინტრიგებსა და საერთო ატმოსფეროს მოწამულაში კლავდნენ. ესენი პირდაპირი შთამომავლები იყვნენ ტყვეებით მოვაჭრე „სახელგანთქმული“ თავადებისა, და „ღირსეული“ წინაპრების მსგავსად, გახრწნილებას, გადაგვარებას, ერის დაქუცმაცებას უწყობდნენ ხელს; ყოველი პატარა უთანხმოება, აზრთა სხვადასხვაობა, პოლემიკის გამწვავება ერის მოამაგე შვილებს შორის, მათთვის ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენდა ღვარძლისა და ათასნაირი ინტრიგების გასაღვივებლად. მათთვის არ არსებობდა არც მაღალი მორალი, არც წმინდა მეგობრობა, არც პატრიოტიზმი. ილიას და სხვა დიდ მოღვაწეთა მიერ წმიდათა-წმიდად გამოცხადებული მამული მათ გალაქანშემორღვეულ საკუთარ კარმიდამოდ წარმოედგინათ... და იმისი მოელის თავიც არა ჰქონდათ. მათი მსოფლმხედველობა ვიწრო იყო, პორიზონტი — შეზღუდული, პერსპექტივა — ბნელი და გაურკვეველი, მისწრაფებანი — ცხოველური. ამ ვაჟბატონებს თავისივე ქვეყნის მეორე კუთხე მტრად წარმოედგინათ და შესაძლებლობა რომ მისცემოდათ, მოძმეთა შორის სისხლის ღვრასაც სიამოვნებით გააჩაღებდნენ...

ასეთი მაგალითები უთვალავია. ავიღოთ თუნდაც სიღნაღის „ღრმადგანათლებული“ თავადაზნაურობა, რომელთაც საგანგებო

ყრილობა მოიწვიეს და გადაწყვიტეს, რომ თავიანთი შვილები თბილისს აღარ გზავნონ სკოლაში, რადგან თბილისი კახეთს არ ეკუთვნის, ქართლში მდებარეობს და ქართლელები მათ შვილებს, „წმინდა სისხლის“ კახელებს, დაჩაგრავენ. რა სასაცილო ჩანს ახლა ეს ძველი ფეოდალური საქართველოს სამარცხვინო გადმონაშთი, დაკნინებული მემამულეების უკანასკნელი ხელმოსაველები ხავსი!.. რა სასაცილო ჩანს ახლა, როდესაც გამოვლიძებული ხალხის სასიქადულო შვილები ქვეყნის უკეთესი მერმისისათვის იღვეწიან და უფრო ფართო ძმობასა და სოლიდარობაზე ქადაგებენ! სასაცილო ჩანს, მაგრამ მაინც შემაზრზენია და საშიშიც, რადგან მშრომელი ხალხის მტერს ეს შეუძლია თავის სასარგებლოდ გამოიყენოს! ამას გრძნობენ ჩვენი დიდი მოღვაწეები, გრძნობენ და ამ ღირსეულ მოღვაწეთა ერთ-ერთი წევრი, მაჩაბელი, მგზნებარედ აღიმაღლებს ხმას ასეთი სამარცხვინო გამოვლინების წინააღმდეგ. რით ვერ მოვრჩით! შესძახებს იგი...

„რით ვერ მოვრჩით?“ ასეთი სათაური აქვს ივანე მაჩაბლის სტატიას, რომელიც სიღნაღელ თავადაზნაურთა საგანგებო კრების საპასუხოდ გამოქვეყნდა.

„დღევანდელ კორესპონდენციას სიღნაღიდან გულმოწყვეტილი წაიკითხავს ყველა, ვისაც კი ცოტათიც არის გული შესტკივა თავის მამულისათვის; მარტო იმ მამულისათვის კი არა, რომელსაც უწინ „ყმა და მამული“ ერქვა და ეხლა ამა და ამდენი დღიური ჰქვია; მარტო იმ მამულისათვის კი არა, რომელსაც უჩასტკა, უეზდი ჰქვია; მე ვლაპარაკობ იმ მამულზედ, რასაც ჩვენნი წინაპარნი ამ სახელს არქმევდნენ და რაც ეხლა მრავლის ჩვენის თავადაზნაურის გონებიდან რაღაც უწყალო ხელს ამოუშლია... ეხლავე, საქმის დასაწყისშივე თუ ყველამ თავისკენ გაიწია, თუ ყველამ წილაღობილა მორთო ქართლელობაზედ, კახელობაზედ, იმერლობაზედ, მაშინ სათაურშივე მოისპობა ეს კეთილი საქმე და ოცნებასავით გაქრება ჩვენი სურვილი... (ეს) შური და ქიშპობა... თითქმის ჩვენის ქვეყნის დასაბამითვე ბოროტს სულსავით უკანა გვდევს და ყოველს კეთილს საქმეში ხელს გვიშლის“...

აი, ასეთ საზოგადოებაში უხდებოდათ მოღვაწეობა ჩვენს დიდ წინაპრებს!.. ასეთი საზოგადოების მსხვერპლი გახდა ბევრი მათგანი!..

ეს უქნარა ვაჟბატონები შურითა და გაბოროტებით შეხვდნენ ჭეჭეჭავაძისა და მაჩაბლის დაახლოებას, ამ ხალხმა სიხარულით

მიიღო მაჩაბლის მძაფრი ტონით დაწერილი სტატია ნიკოლაძეზე, რადგან აღმოჩნდა, რომ ადვილად მოსახერხებელი ყოფილა ორი დიდი ადამიანი — ნიკოლაძე და მაჩაბელი ერთმანეთს გადაეკიდონ; ამასთან, ახალი სალაპარაკო მიუცათ იმისა, რომ მაჩაბელი ჭკუჭკუაძის კაცია და ჭკუჭკუაძის ხათრითვე დაწერა ეს წერილი ნიკოლაძეზე.

სინამდვილეში, მაჩაბელი ბრმად როდი იზიარებდა ილია ჭკუჭკუაძის მოსაზრებებს და არც ილიას ყოველ მოქმედებას ამართლებდა. პირიქით, ნიკო ნიკოლაძესთან დამოკიდებულებაშიც კი იგი ზოგჯერ ილიას ამტყუნებდა, „ნიკოლაძემ ჭკუჭკუაძეს ცოტაოდენი გადაჰკრა „ონვოპ“-ში, რატომ ხმას არ იღებს ჩემს ლაპარაკზედო, — სწერდა ეანო თავის ძმას, — ჭკუჭკუაძე გაცხარებულიყო და ეს დიდი შეცდომა მოსვლოდა: „ნიკოლაძე დუელში გამოეთხოვა“.

მაჩაბელი არ ბაძავს ჭკუჭკუაძეს, არც ბრმად ენლობა, არც ბრმად მიჰყვება ყველა საქმეში. იგი სამართლიანობას იცავს და მოითხოვს. საზოგადოების ინტერესებს ყველაფერზე მაღლა აყენებს და საქმის ინტერესებისათვის არაეისი დანდობა არ სჩვევია, თუნდაც ეს უახლოეს ადამიანს ეხებოდეს! მიკიბულ-მოკიბული საქმე და ლაპარაკი მისთვის უცხოა, ყველაფერს თავის სახელს არქმევს, ყველაფერში სამართლიანია და ყველას პირში ეუბნება იმას, რასაც ფიქრობს. ხოლო ამას თუ დაეუმატებთ მის ბუნებრივ სიფიცხესა და განსაკუთრებულ მგზნებარებას, ნათელი გახდება, რა მძიმე იქნებოდა მაჩაბლისათვის მოღვაწეობა ისეთ საზოგადოებაში, სადაც გამეფებული იყო ძველი დროის დამახასიათებელი პირფერობა, ფარისევლობა, ფლიდობა, გაიძვერობა, ცბიერება... სადაც თითქოს საგანგებოდ იყო მოწოდებული ხალხი, რომ დიდი ადამიანები ერთმანეთისათვის გადაეკიდებინათ, საქმის ნამდვილი ვითარება ყოველთვის მრუდ სარკეში გამოეჩინათ, ყველგან გესლი ჩაეწვეთებინათ და საზოგადო საქმისათვის აძკერებულ გულში შხამიანი ნესტარი გაეტარებინათ...

„ცეცხლი, ცეცხლია საჭირო, დიდი გიზგიზა ცეცხლი, რომ სულ გადაბუგოს და ალში გახვიოს ყველაფერი“ — ბოლშევიკური გულისტკივილით ეტყვის ერთ თავის მეგობარს მაჩაბელი, რომელიც ხედავს ირგვლივ გამეფებულ წყვილადს, „ჟამთა სიმწარეს“... მაგრამ ფარ-ხმალს მაინც არ ჰყრის, მიხეუულ-მოხეუული გზით სიარულს მაინც ვერ ახერხებს და დაუფიქრებლად, ანგარიშმიუცემლად გადაწყვეტს პირდაპირ შეებრძოლოს „მოზღვაებულ უბედურებას“. მან მტკიცედ უნდა იაროს ერთხელ არჩეული გზით.

ილიასთან მეგობრობა კი ისევე გრძელდება. ახლა ეანო მანაბელი დამფასებლადაც გაიყვანა ჭკეჭკეაძემ. რა თქმა უნდა, საქმის საკეთილდღეოდ, რათა მეტი საქმიანი, მცოდნე და განათლებული ხალხი ჰყავდეს ბანკში. დამფასებლობა სახალისო გამოდგა. მანაბელს ევალება ადგილებზე შეამოწმოს და შეათასოს დასაგირავებელი მამული. ამრიგად, მას განუწყვეტელი მოგზაურობა უხდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

ცოტა არ იყოს, ახირებული დამფასებელია. ადგილზე ჩასვლისას ჯერ „დიდ მამულს“ მოივლის, გულისყურით ამოწმებს, სინჯავს, სიყვარულით შეკყურებს ყოველ ისტორიულ ძეგლს, მეხსიერებაში აღადგენს ისტორიულ ფაქტებს, რაც ამ კუთხესთან ან ძეგლებთან არის დაკავშირებული. ხალხის მდგომარეობასაც ეცნობა, მათ ცხოვრებასა და ზნე-ჩვეულებას აკვირდება... დასაგირავებელი მამულის და სახლ-კარის პატრონს კი ამასობაში გული ელევა, ეჩქარება გაიგოს, რამდენად დააფასებს მის მამულებს ახალი დამფასებელი. თან ცოტა იმედიც მიეცემა: გამოცდილებით იცის, რომ ასეთი სულელური რამეებით (როგორცაა, მაგალითად, ძველი, ჩამონგრეული ციხესიმაგრეები), გატაცებული კაცის მოტყუება ადვილია, და იქნებ ერთიორად უფრო ძვირად დააფასებინოს მამული. მაგრამ თავისი ვარაუდის მცდარობაში მაშინვე დარწმუნდება, როგორც კი დამფასებელი „დიდი მამულის“ სიყვარულით გულს იკვრებს და უგუნური მეპატრონის ხელში აოხრებულ, გავერანებულ, ხოლო საბოლოოდ დასაგირავებლად განწირულ „პატარა მამულის“ შემოწმებას შეუდგება. ამ ახალ დამფასებელს აგრონომიული ცოდნაც ჰქონია, ფინანსურიც, მათემატიკურიც... და ისიც კი მშვენიერად იცის, ბაზარზე ახლა რას ფასობს სხვადასხვაგვარი საქონელი. აღარაფერი გასდის გაკოტრებულ მემამულეს — არც უსაფუძვლო მდიდრობამ უშველა, არც თავისმოკატუნებამ და აღარც გულუხვმა მასპინძლობამ, რადგანაც სხვა თვისებებთან ერთად, ახალგაზრდა დამფასებელს საოცარი სიმტკიცეც აღმოაჩნდა.

მამულის მეპატრონის გაკვირვება კიდევ უფრო გაიზრდება, როდესაც შენიშნავს, რომ ამ ახირებულ დამფასებელს ორი უბის წიგნაკი აქვს. ერთში ისეთ რამეებს ინიშნავს, რაც უშუალოდ მამულისა და კარ-მიდამოს აღწერილობას შეეხება, ხოლო მეორეში რაღაც

სულელურ სიტყვებსა წერს, როგორც მაგალითად — „დობილი“, „პურშავი“, „უჩემსიტყვოდ“...

ეს ბოლო სიტყვა დამფასებელმა თვითონ შემამულისაგან გაიგონა, როცა იგი ეუბნებოდა — „როგორი მოეღილი მაქვს მამული, ამაზე რაღა ბევრი გელაპარაკო, უჩემსიტყვოდაც დაინახაუო...“

თავისუფალი ღრო ახლა უფრო ნაკლები რჩება ივანე მაჩაბელს: ბანკში ორი თანამდებობა უჭირავს, „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში უახლოესი თანამშრომელია, წერა-კითხვის საზოგადოებაში — გამგეობის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წევრი, თეატრალურ საზოგადოებაში — ასევე ერთ-ერთი აქტიური მომუშავე... თან პიესების თარგმნა-გადმოკეთებასაც განაგრძობს თეატრისათვის. მაგალითად, ამ ხანებში მან თარგმნა მელიაკისა და პალევის კომედია „ცქრიალა საძაგელი“... კვლავ საფაროვის ქალის საბენეფისოდ!..

ახლა მიემატა კიდევ ერთი საქმე. საქმე, რომელსაც ქვეყნის საუკეთესო შეილებმა უდიდესი სასოებითა და მოწინებით მოჰკიდეს ხელი და რომელშიც მაჩაბელს კვლავ ერთ-ერთი ყველაზე წამყვანი როლი ერგო...

* * *

ჟრუანტელი დაგვივლის ხოლმე ტანში, როდესაც სადმე ამოვიკითხაუთ, რომ ოდესღაც ერთად ყოფილან, მთელი დღე ერთად გაუტარებიათ, ერთად უოცნებიათ თუ უმსჯელიათ წარსული ღროის გამოჩენილ ადამიანებს, თუნდაც ბეთჰოვენსა და გოეთეს, სტენდალსა და შერიმეს, რაღაც უცნაური გრძნობა მოგიცავს, როდესაც მოპასანის კერძო წერილებს კითხულობ, დედასთან მიწერილს. თითქოს არაფერიო, ისე სწერს, რომ წუხელ ერთად შეყრილან და მთელი საღამო ერთად გაუტარებიათ — დოდეს, ფლობერს, ტურგენეუს, ზოლას, მიუსეს, ფორჟ სანდს და თვით მას, მოპასანს...

ჩვენს წინაპრებს უფრო ხშირად ჰქონიათ ასეთი შეხვედრები, რადგანაც ისინი იძულებული იყვნენ ყოველ საზოგადოებრივ საქმეში მიეღოთ მონაწილეობა და უფრო მჭიდრო საქმიანი ურთიერთობა ჰქონოდათ...

მაგრამ განსაკუთრებით ამაღელვებელია 1881 წლის „დროების“ სხვადასხვა ნომერში მოთავსებული მშრალი ქრონიკები, რომ-

ლებიც იუწყებიან, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სარედაქციო სხდომას ესწრებოდნენ — გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, რაფიელ ერისთავი, ივანე მაჩაბელი, იაკობ გოგებაშვილი, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი, დავით ერისთავი, პეტრე უმიკაშვილი, იონა მეუნარგია, თედო ჟორდანი, ეკატერინე გაბაშვილი... ეს სხდომები გრძელდებოდა 1881 წლის მთელი ზამთრისა და გაზაფხულის განმავლობაში. პირველი სხდომა კიდევ უფრო ადრე დაინიშნა, 1880 წლის შემოდგომაზე. მაგრამ საკმარაო რაოდენობის ხელნაწერები ვერ შეაგროვეს, რომელთა ერთმანეთთან შედარებით საბოლოოდ უნდა დაედგინათ პოემის ტექსტი, და სხდომა გადაიდო, მუშაობა არ დაუწყიათ.

— საკვირველი დრო დადგა, — ამბობს მხცოვანი პოეტი გრიგოლ ორბელიანი, — წინათ ოჯახი როგორ იქნებოდა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ არა აქონოდათ. ქალს რომ გაათხოვებდნენ, მზითეში ატანდნენ ამ წიგნს და მზითვის სიაში უწერდნენ. ეხლა სანთლითაც ვერსად იპოვნიო...

გრიგოლ ორბელიანმა საკუთარი ხელით მისწერა წერილები ყველა ოჯახს, სადაც უძველესი ხელნაწერები ეგულებოდათ. თებერვლისათვის უკვე საკმარაო ხელნაწერები შეგროვდა, და 1881 წლის 6 თებერვალს საქმეს შეუდგნენ.

სხდომები საადგილმამულო ბანკის შენობაში მიმდინარეობს. კედელზე გაკრულია ახალგაზრდა მხატვრის მირიანაშვილის დახატული შოთა რუსთაველის პორტრეტი, რომელსაც სუსტად ანათებს სანთლები. გრიგოლ ორბელიანი თავმჯდომარის ადგილს დაიჭერს. მოკრძალებული სიჩუმე ჩამოვარდება. ყველა იქ მყოფი ისეთ განსაკუთრებულ მოწიწებას განიცდის, თითქოს თვითონ რუსთაველი შემოსულიყოს დარბაზში. ქვეყნის უკეთესი შეილები ეალს იხდიან თავიანთი დიდი წინაპრის წინაშე.

ბანკის საათმა ჩამოკრა. ათის ნახევარია. „ყრილობამ დაიწყო უკედავის პოემაში „ობოლი მარგალიტის“ ძებნა უდიდესი თანამედროვე პოეტის ხელმძღვანელობით... — ეკითხულობთ ქრონიკაში, — ესეთია უძღვეველი ძალა პოეტის გენიისა, რომელიც ექესასი წელიწადი მეფობს ქართველების გონებაში“.

ტექსტს (ბროსეს გამოცემას) ხმამაღლა კითხულობს რაფიელ ერისთავი. სხვები თვალს ადევნებენ ხელნაწერებს „პირველი წერაქვი რედაქციისა მოხედა ასო ე-ს, — გეამცნობს იგივე ქრონიკა, — ნაცვლად „ვეფხისტყაოსნისა“, როგორც ხელნაწერებიდან

აღმოჩნდა, უნდა იყოს „ვეფხისტყაოსანი“, ეს სიტყვა თვითონ თაემჯდომარემ ამჯობინა უწინდელურს“...

პირველ სხდომაზე მხოლოდ შესავლის წაკითხვა მოასწრეს. ყრილობა უკმაყოფილოა წამკითხველით: ბგერები გარკვევით არ ისმისო. სხვებმაც სცადეს წაკითხვა, მათ შორის ილია ჭავჭავაძემაც.

მოხუც თაემჯდომარეს ერთბაშად გაელიმა; მას მოაგონდა პატარა მკვირცხლთვალეებიანი ბავშვი, რომელიც ამ ორიოდ წლის წინათ ეკლესიაში სახარებას კითხულობდა და მლოცველებს თავისი მკაფიო, საამური ხმით ატყევევებდა...

ამიერიდან ივანე მაჩაბელს მიენდო პოემის წაკითხვა.

თუ ხალხი ადრე შეიკრიბა, — ვკითხულობთ „დროებაში“, — იმედია, რომ ისეთი მარდი მკითხველის შემწეობით, როგორც არის ივანე გიორგის ძე მაჩაბელი, რედაქცია ორ-სამ თვეში შეასრულებს მისგან დაწყებულ საქმეს.

მართლაც უფრო სწრაფად წავიდა საქმე. ახლა უფრო ადრე იკრიბებიან. 7-8 საათზე სხდომა იწყება. ხალხი თანდათან მეტი და მეტი ესწრება სხდომას. პირველ რიგებში ჩვენი დიდი მწერლები სხედან, ხელში ღროთა ბრუნვისაგან გაყვითლებული ფოლიანტები უჭირავთ, — სულ ოცდაორი ხელნაწერია ჩამორიგებული, — და თვალს ადევნებენ უდიდესი გულმოდგინებითა და სიყვარულით გამოყვანილ ქართულ ასოებს. ვინ იცის, როდის და რა პირობებში იწერებოდა ეს ხელნაწერები. რა გრძნობას მოეცემა თვითუღი გადამწერის გული და გონება!..

სანთლები მკრთალად ანათებენ დიდ დარბაზს, ყრილობა განაბულია და ისე საამურად გაისმის უკვდავი პოემის დიდებული სტრიქონები, თითქოს საუკუნეების მიღმიდან რუსთაველის ბგერები მოდიოდეს. მსცოვანი პოეტი ორბელიანი ხელნაწერის სტრიქონებს ევლარ მისდევს, შუბლზე ხელი შემოუღვია და თითქოს ღრმა ოცნებას მისცემია... მაჩაბელი კითხულობს ოდნავ აჩქარებული, სასიამოვნო ხმით.

საზოგადოების ზოგიერთ წრეებში, უფრო მეტად იმ მოჭორიკანო-მონიტრიგანო ვაჟბატონებში, რომლებიც უსაქმოდ დაეხეტებოდნენ და საქმიანი ხალხის გაქირდევასა და გაკიცხვას უნდებოდნენ, მაშინვე შეიქნა მითქმა-მოთქმა, რუსთაველს ასწორებენო. ეტყობა, ისე გავრცელდა ეს ხმები, რომ „დროებამ“ საჭიროდ ჩასთვალა განემარტა — საქმე ეხებოდა არა „გასწორებას“, არამედ მოკრძალებულ რედაქციას, პოემის გაწმენდას ყალბი სტრიქონებისაგან, რაც მას

დროთა ვითარებაში სხვადასხვა გადამწერთაგან, ემატებოდა.

ყალბი სტრიქონებისაგან გაწმენდის გარდა, რედაქციას აინტერესებდა აგრეთვე „სიტყვებისა და პაზრების განმარტებაც“. ცალკეული ადგილების განმარტებაზე ცხოველი კამათი იმართებოდა ხოლმე.

დავა გამოიწვია, მაგალითად, რუსთაველის ერთმა სტრიქონმა — „ბრძენი ხამს მისად მაქებრად და ენა ბევრად ასული“.

ილია ჭავჭავაძის აზრით, „ასული“ წარმოსდგება სიტყვიდან „ასი“. ესე იგი, მთელი სტრიქონი იმას ნიშნავს, რომ მის მაქებრად ბრძენი და ბევრჯერ ასი ენა არის საჭიროო.

მაჩაბელმა სხვაგვარი მოსაზრება გამოთქვა: — „ასული“, თქვა მან, — აქ უნდა ნიშნავდეს მალღათ ასულს, კარგად მოლაპარაკე ენას, მჭევრმეტყველს. ამაში ადვილად დაერწმუნდებით, თუ დაკვირვებით წავიკითხავთ სტრიქონს: მხოლოდ ბრძენს და ენაშზე ადამიანს შეუძლია მისი სათანადოდ შექება. ესე იგი, ორი თვისებაა საჭირო — სიბრძნე და მჭევრმეტყველება, რადგან კაცი შეიძლება ბრძენი იყოს, მაგრამ ენა კარგად არ უჭრიდეს!..

რედაქციის უმრავლესობა მაჩაბლის განმარტებას დაეთანხმა.

ამის შემდეგ კარგა ხანი გავიდა და „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილმა ინგლისელმა მთარგმნელმა მარჯორი უორდროპმა იგივე ფრაზა მაჩაბლის განმარტების მიხედვით თარგმნა.

It needs a wise man to praise her and a very eloquent tongue*

უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი განმარტება მას მაჩაბელმა მისცა; უორდროპი ხშირად მიმართავდა ხოლმე მაჩაბელს ძნელად გასაგები ადგილების განმარტებისათვის.

მაგრამ ეს უფრო მოგვიანებით მოხდა, ჩვენ კი ისევე თანმიმდევრობით მიეყვით ჩვენს ამბავს.

„ვეფხისტყაოსნის“ რედაქტირებასა და გამოცემისათვის მზადებას ორი სასიამოვნო მოვლენა დაერთო. საქართველოში ჩამოვიდა გამოჩენილი უნგრელი მხატვარი მიხაი ზიჩი, რომელიც ისე მოხიბლა საქართველოს ბუნებამ, ხალხმა, კულტურამ და კერძოდ რუსთაველის პოემის შინაარსმა, რაც მას დაწერილებით უამბეს, რომ გადაწყვიტა ხელი მოეკიდა პოემის დასურათებისათვის. დაჩქარდა იონა მეუნარგიას მიერ დაწყებული დიდებული საქმე —

* „ვეფხისტყაოსნის“ ლონდონში გამოცემულ უორდროპისეულ თარგმანში (1912წ.) ეს ადგილი სწორედ ასეა; ხოლო მოსკოვის საიუბილეო გამოცემაში რედაქციას ეს სტრიქონი უკვე დაკანონებული განმარტების მიხედვით გაუსწორებია.

„ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულად თარგმნა, რათა ამით საშუალება მისცემოდათ ზიჩის და ყველა უცხოელს, გასცნობოდნენ მეთორმეტე საუკუნის ამ შესანიშნავ ძეგლს.

ამას დაემთხვა მეორე ამბავიც. ერთი თანამედროვის გადმოცემით, მაჩაბელთან მისულა ცნობილი კომერსანტი და მეცენატი გიორგი ქართველიშვილი, რომელსაც რჩევა უკითხავს — ღიძძალი ფული დამიგროვდა და რაში დაეაბანდო; მწერალიც ხარ და ბანკირიც, იქნებ მიჩიო, მოგებული თანხის ერთ ნაწილს საზოგადო საქმეზე გადავდებო.

მაჩაბელს ქართველიშვილისათვის უთქვამს: ქართლიდან კორესპონდენცია გვაქვს — პურის კარგი მოსავალი ყოფილა, მაგრამ მყიდველი არა ჩანს. იყიდე პური და მოუგებლობა არ იქნებაო. იმავე გადმოცემის მიხედვით, მაჩაბელმა თურმე ისიც ურჩია, რომ საქველმოქმედო საქმისათვის გადადებული ფულით ქართველიშვილს „ვეფხისტყაოსანი“ გამოეცა მდიდრულად. ქართველიშვილი სიხარულით დათანხმებულია.

ამრიგად, გადაწყდა „ვეფხისტყაოსნის“ მდიდრული გამოცემა, გამოცემელი — გიორგი ქართველიშვილი, სურათები — ზიჩისა, ხოლო რედაქტორობა ივანე მაჩაბელს დაეკისრა.

ძნელი და თავსატეხი საქმე გამოდგა ეს რედაქტორობა.

„ახლა ამ თეატრს გარდა „ვეფხისტყაოსანიც“ იბეჭდება და ამ საქმის შესრულება სულ მე დამაწვა კისერზედ, — სწერდა იმ ხანებში მაჩაბელი ერთ თავის მეგობარს, — თუმცა იყო განსაკუთრებული კომისია შემდგარი, მაგრამ შენ „დუმში“ ნამსახური ხარ და გეცოდინება კომისიების ფასი“.

ფაქტიურად მას დააწვა არა მარტო წმინდა სარედაქციო მოვალეობა, არამედ ყოველგვარი ტექნიკური საქმე, რაც ამ მეტად რთულსა და ძვირფას გამოცემას სჭირდებოდა. აკი იმიტომაც სწერდა მას იონა მეუნარგია: „ძნელია და თავსაქექი უგ საქმე, მაგრამ რაკი ხელი მოჰკიდე, მეტი რა ღონეა, თავში ქვა უნდა იცე... მე ხომ ვარ და ვარ მუხთალი... ქალაქს ვერ ჩამოვალ, რადგან გუბერნატორს დაუწინიშნივარ ვოინსკი პრისუსტვიის წევრად და სალდათობა ოქტომბრის დამლევამდის არ გათავდება. მაშინ კი ჩამოვალ, თუმცა კი გვიან იქნება...“

შეიქნა მიწერ-მოწერა ძმასთან პეტერბურგში, სადაც სურათების კლიშეები უნდა დაემზადებინათ. მაჩაბელი ძმას ავალებს კლიშეების დაზზადებისათვის თვალყურის დევნებას, ზიჩისთან მისვლას,

საქმის დაჩქარებას... ეს წერილები სავსეა ათასნაირი სპეციფიკური პოლიგრაფიული ტერმინოლოგიით, რომელთა შესწავლა „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემასთან დაკავშირებით დასჭირდა მანაბელს...

განსაკუთრებით გაუძნელდა მანაბელს ორთოგრაფიის დადგენა.

„ბევრი თავში ცემა უნდა, — ვკითხულობთ მეუნარგიასთან მიწერილ წერილში, — ხელახალი რედაქცია სჭირდება ნიშნებისა და ორთოგრაფიის მხრივ: შეგებრალები, რომ ნახო ჩემი სიტყვების სია, სად, რა, როგორ უნდა იწერებოდეს: შექმნა თუ შეაქმნა, სდის თუ დის, სულთქმა თუ სულ-თქმა და სხვა ამისთანა დავიდარაბა. მგონი რუსთაველს ფეხებზე ეკიდა ამისთანა ორთოგრაფია და იქნება ამ საგნის მასწავლებელს „ორი“ შინაურად დაესვა მისთვის და ჩვენ კი თვალსა და გულს ვიწყალებთ“.

მაგრამ ტექსტისა და ორთოგრაფიის დადგენა, ბეჭდვისათვის თვალყურის დევნება, კორექტურის კითხვა, ტექნიკური რედაქცია, ერთი მხარეა, თუმცა საკმაოდ ძნელი და თავსატეხი, საქმის მეორე და, შეიძლება ითქვას, არანაკლებ რთული მხარე კი კლიშეების დაშხადება.

გამოჩენილმა მხატვარმა მაშინვე დადგა თბილისში ცოცხალი სურათები, როგორც კი „ვეფხისტყაოსნის“ დასურათება გადაწყვიტა. ამას „დროებაც“ იუწყებოდა და მანაბლის ძმასთან მიწერილ წერილშიაც ვკითხულობთ: „მანდაურმა გამოჩენილმა მხატვარმა ზიჩიმ ცხოველი სურათები გამართა ვეფხისტყაოსნიდამ ორჯერ. ორჯერვე აუარებელი ხალხი დაესწრო...“

თავდაპირველად მხატვარმა 12 სურათის დახატვა გადაწყვიტა, მაგრამ შემდეგ, ეტყობა, ისე გაიტაცა პოემის შინაარსმა, ქართული ხელოვნების სიმდიდრემ და საქართველოს სიყვარულმა, რომ ილუსტრაციები ერთისამად მეტი დაამზადა და გამოგზავნა.

„В знак моей симпатии и сердечной преданности грузинскому народу“.

წერდა უნგრელი მხატვარი.

„მე თქვენ გიგზავნით არა თორმეტ, არამედ ოცდათორმეტს ესკიზს ამოსარჩევად, — სწერს ზიჩი ქართველ მოღვაწეებს პეტერბურგიდან, — შენიშნეთ, რაც შესანიშნავია, ნომრობით დასწერეთ და საჩქაროთ უკან გამომიგზავნეთ, რომ შემეძლოს საქმის მალე დასრულება... დიდად მოხარული ვიქნები, თუ შევიძლებ თქვენის იმედების გამართლებას და რუსთაველის თხზულებას შესაფერად გადმოცემთ. კარგი იქნებოდა, რომ ყველა ეს სურათები თქვენს გამოცემაში

მოგექციათ ცინკოგრაფიით. ძვირადაც არ დაჯდებოდა... მაგრამ მოიქეცით, როგორც თქვენი სურვილი და შეძლება ნებას მოგცემთ. მე ბედნიერად ვრაცხ ჩემს თავს, რომ თქვენის ჩინებულის აზრის განხორციელება შევიძელე. მე ჩემის მხრით გამოვეცემ არა მარტო ამ 32 სურათს, იქნება სხვებიც მიუძღმით და პატარა ფოტოგრაფიული ალბომი დავაბეჭდინო დასავლეთ-ევროპისათვის. ამით სახელი და დიდება ქართველებისა პოეტის რუსთაველის უფრო ვრცლად მოეფინება. დასასრულ, გთხოვთ მოექცეთ ჩემს სურათებს ისე, როგორც ქართველები უმანკო ქალს მოექცევიან ხოლმე — ნაზად და სათუთად“.

ეს სურათები ისეთ კაცს ჩაბარდა, რომელსაც „სათუთად და ნაზად“ მოპყრობა არ დაუკლია. გარდა ამისა, ადრე ხომ, როცა ზიჩი საქართველოში იყო, ტიპაჟების შერჩევაში მას ხელს უწყობდნენ ჩვენი მოღვაწეები, მათ შორის, რაღა თქმა უნდა, მაჩაბელი, ზიჩის პეტერბურგს გამგზავრების შემდეგაც ვანო მაჩაბელს არ შეუწყვეტია მისთვის დახმარების გაწევა; აქედან უგზავნიდა ძველი ქართული მხატვრობის ფოტორეპროდუქციებს, ძვირფასი ჩუქურთმების ასლებს; და მაჩაბლის გულშემატკივრობითა და გულთბილი დამოკიდებულებით აღფრთოვანებული ზიჩიც საპასუხოდ მაღლობის დეპეშის გამოგზავნას არ აყოვნებს:

„Благодарю высоко ценю Вашу дружбу, Зичи“.

უთელის იგი მაჩაბელს.

განგებ გაეაგრძელეთ სიტყვა ზიჩიზე. ჩვენმა ხალხმა ყოველთვის დიდი სიყვარულითა და პატივისცემით უნდა მოიხსენიოს ეს დიდებული ადამიანი, რომელმაც ისე შეიყვარა ჩვენი ერი და ჩვენი კულტურა, რომ წლების განმავლობაში სრულიად უსასყიდლოდ, მთელის გატაცებით და სიყვარულით იმუშავა ქართველი ხალხის ძვირფასი საგანძურის — „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებაზე ამ გამოცემის შემდეგ ჩვენი ხალხის შეგნებაში ისევე მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს რუსთაველისა და ზიჩის სახელი, ხოლო პოემის ცალკეული ეპიზოდების გახსენებისას ისევე თვალნათლივ წარმოგვიდგება ხოლმე ზიჩის მაღლიანი კალმით დახატული გმირები, როგორც სერვანტესის ხსენებისას მოგვაგონდება ხოლმე დორე და მისი კალმით გაცოცხლებული მწუხარე სახის რაინდი.

ჩვენი იმდროინდელი მოღვაწეები, თავიანთი უანგარო მუშაობითა და სამშობლოს წმინდა სიყვარულით, საქართველოში ჩამოსულ ყველა უცხოელს ხიბლავდნენ და ჩვენი ერის დიდი სულიერი

კულტურის პატივისცემასა და სიყვარულს ჩაუნერგავენ, ხოლო ამ კულტურის გაცნობით შემოქმედებით შთაგონებასაც აძლევდნენ ხოლმე. ამით უნდა აიხსნას ზინის ასეთი გატაცება, ამითვე უნდა აიხსნას ისიც, რომ სწორედ იმავე ხანებში საქართველოში ჩამოსული ახალგაზრდა ნიჭიერი რუსი კომპოზიტორი მ. იპოლიტოვ-ივანოვი, რომელიც ქართული სიმღერების მელოდიურობამ მოხიბლა, მტკიცედ გადაწყვეტს ოპერა შექმნას „ვეფხისტყაოსნის“ თემაზე. ლიბრეტო თვით ვანო მანაბელმა დაუწერა.



გამართლდა მანაბლის ვარაუდი: „დროება“-„ივერიის“ შეერთებიდან ორი წელი ძლივს გავიდა, რომ ეს ორი რედაქცია კვლავ გაიყარა. ვანო მთლიანად „ივერიაში“ გადავიდა და ჟურნალის ფაქტიური რედაქტორი გახდა. ილიას მოცლა აღარ აქვს, ზედმეტად გადატვირთულია სამსახურებრივი თუ საზოგადოებრივი საქმეებით, ზოგჯერ თვეობით უხდება პეტერბურგს გამგზავრება. მთელი მძიმე სარედაქციო მუშაობა მანაბელს დააწვა.

კვლავ ბანკი და რედაქცია, კვლავ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მოგზაურობა ბანკის საქმეებზე, ისევე არააღამიანური შრომა და უძილო ღამეები...

ამ პერიოდში ყველაზე უფრო ყურადღების ღირსი და ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ჭავჭავაძისა და მანაბლის ურთიერთობას ბზარი დააჩნდა. ეს ბზარი ჯერ პატარაა, თითქმის შეუმჩნეველი. ახლავე შეიძლება მისი გაქრობა, მანამ დიდი ნაპრალი გაჩენილა, თორემ მერე გვიანდა იქნება: ნაპრალი უფსკრულად იქცევა და სამშობლოსათვის თავდადებული ორი დიდი მოღვაწე სხვადასხვა პოლუსზე აღმოჩნდებიან, სხვადასხვა სამყაროში; ქვეყნის საკეთილდღეოდ წარმართული ძალები დაიქსაქსება, ორი მოწინააღმდეგე ბანაკი გაჩნდება, სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაჩაღდება, ყოველის დამღუპველი ხანძარი აუარდება და მერე კი მორჩა — ასეთ ცეცხლს გასაძლიერებლად პატარა საკეები ყოფნის, მცირე საწვავი, სუსტი წამობერვა... აღორძინებული ცხოვრების ნორჩ ჯეჯილში ღვარძლი დაიბუღებს, გაიდგამს ფესვს და მთელს ყანას გადასწვდება, ახლავე უნდა შეელა, ვიდრე ძალიან არ დაგვიანებულა!..

მაგრამ ცხოვრება იყო მაშინ ისეთი, რომ ყოველგვარ შუღლსა და მტრობას ხელს უწყობდა. მაშინდელი საზოგადოებრივი ურთიერთობა ასეთი შუღლისათვის ნიადაგს აპოხიერებდა. საფუძველგატეხილი, მაგრამ ისტიბარგაუტეხავი ქალაქში მოწინააღმდეგე უსაქმური თავადები აღარავის დაანებებენ ამ ბზარის გამართლებას; მათ თავშესაქცევიც ეძლევათ და საერთო არევე-ღარევეთ ხელისმოსათობიც მეტი გაუწინდებათ...

ცხოვრების პირობებით მაჩაბელი არასდროს არ ყოფილა განებიერებული. ბაეშობიდანვე გაჭირვებაში იზრდებოდა და ხშირად იძულებული იყო ლუკმაპურის მოსაპოვებლად თვითონვე ეზრუნა. სამაგიეროდ, იგი განებიერებული იყო ადამიანებთან ურთიერთობით, განებიერებული იყო სულ პატარაობიდანვე, როდესაც პაპიდასთან დებულობდა პირველდაწყებით განათლებას და მალხაზი ბიჭუნა ნიჭითა და გონების სიმკვირცხლით სხვა ბაეშებისაგან გამოირჩეოდა; განებიერებული იყო ძმისგანაც, რომელსაც ურყევი რწმენა ჰქონდა უმცროსი ძმის ნიჭისა და თავიდანვე ყოველ საქმეში ენდობოდა, რჩევას ჰკითხავდა და ანგარიშს უწევდა; გიმნაზიის წლებშივე საქვეყნოდ გაითქვა სახელი, როგორც დიდად ნიჭიერმა და მცოდნე ყმაწვილმა; მასწავლებელი მას ყრმათა მაგალითს უწოდებდა; დიდი პოეტი ორბელიანი ყოველთვის სიყვარულით მოიკითხავდა ხოლმე და თავის სიმპათიებს ახალგაზრდა მაჩაბლისადმი არ მალავდა; პირველივე მისი ლიტერატურული ნამუშევარი აღფრთოვანებითა და მოწინააღმდეგეობით მიიღო სასიქადულო მწერალმა ილია ჭავჭავაძემ და ჯერ კიდევ სავსებით ახალგაზრდა კაცთან თანამართარგმნელობაც არ ითაკილა, ხოლო ცოტა მოგვიანებით მისი კერძო წერილების გამოქვეყნებაც კი მოინდომა!... ყოველგვარ წრეში ყველა ქვეყანაში მას პატივსა სცემდნენ და აფასებდნენ... და ყველასაგან ასეთი მოაყრობით გათამამებულ მაჩაბელს სამშობლოში დაბრუნებისას შიშითა და ყოყმანით კი არ შეუდგამს ფეხი ცხოვრებაში; იგი გაბედულად შეიჭრა საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე და ერთბაშად ცენტრში აღმოჩნდა, დიდი ილიას გვერდით. ეს მისთვის სულაც არ ყოფილა მოულოდნელი, რადგან წინასწარვე იყო ამისთვის შემზადებული; იგი უდიდეს ძალას და ენერგიას გრძნობდა და მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, ეს ენერგია სამშობლოს კეთილდღეობისათვის მოეხმარა. ეს იყო ფანატიკოსობამდე მისული სიყვარული სამშობლოსი. მას დიდი რწმენა ჰქონდა საკუთარი თავისა და არასოდეს ყოყმანით არ მოეკიდებოდა საქმეს, ყოველთვის

წინასწარვე იყო დარწმუნებული გამარჯვებაში და ყოველგვარი კომპრომისი, დათმობა, მისთვის უცნობი იყო. ამიტომაც იგი ასე გაბედულად ამოუდგა ილიას მხარში და ერთბაშად მოინდომა მისთვის უღელის გაწევა...

ამგვარი ადამიანისათვის უფრო ძნელი გამოდგა ბევრი ისეთი დაბრკოლებისა და წინააღმდეგობის გადალახვა, რითაც საესე იყო მაშინდელი ცხოვრება. მისთვის უფრო ძნელი გახდა ბევრი ისეთი რამის მოთმენა, რასაც სხვაგვარად აღზრდილი და სხვა ბუნების ადამიანი ყურადღებასაც არ მიაქცევდა.

ილია „მუდამ დინჯი იყო, მუდამ აუჩქარებელი, საქმის ბევრჯერ ამწონ-დამწონი, დაფიქრებული... ვანო ძალიან ფიცხი იყო, აჩქარებული, სწრაფი, რაც უნდა რთული საქმე ყოფილიყო, დიდხანს არ დააყოვნებდა... დახანება, გადადება საქმისა არ უყვარდა. დღეისა დღესევე უნდა გათავებულიყო, სახვალიოდ არ უნდა გადადებულიყო... ვანო ცეცხლი იყო. მუდამ სდულდა და გადმოსდულდა“.

ამას ერთი მათი თანამედროვე წერს და უკვირს, რატომ უნდა ჩამოეარდნილიყო მათ შორის განხეთქილება, როცა ერთმანეთს ავსებდნენ, რაც ერთს აკლდა, ის მეორეს გააჩნდაო.

მაგრამ ზემოთ მოყვანილ დახასიათებას ერთი „პატარა“ დეტალი დაეუმატოთ და მაშინ შეიძლება ზოგიერთი რამ გასაგები გახდეს: ასეთი განსხვავებული ხასიათის მიუხედავად, მათ ერთი რამ ჰქონდათ საერთო — ორივე ამაყი იყო! ლერმონტოვის სიტყვები — ორმეგობარში ერთი მუდამ მონაა მეორესიო, რა თქმა უნდა, გადაჭარბებულია, მაგრამ ერთი რამ ცხადია — ყოველდღიურ ურთიერთობაში თუ დათმობა არ იქნა, თუ ერთმანეთისათვის ანგარიშის გაწევა და ადამიანის ხასიათისა და განწყობილების გათვალისწინება არ იქნა, ისე მეგობრობა და სასურველი ურთიერთობაც ძნელია. იმ დიდი ბრძოლის განმავლობაში, რაც მაჩაბელსა და ჭავჭავაძეს შორის გაიმართა, ბევრჯერ ყოფილა წუთები, როდესაც ერთსაც და მეორესაც გულით სდომიათ უკან დახევა, დათმობა, კვლავ სასურველი ურთიერთობის დამყარება, მაგრამ ხელს უშლიდათ, ჯერ ერთი, სიამაყე, და, რაც მთავარია, ის წყვედიადით მოცული საზოგადოება, რომელსაც, დიდი ადამიანების შუღლი ართობდა...

პირველ ხანებში საქმე კარგად მიდიოდა. მაჩაბელი „ივერიაში“ მუშაობდა და კარგადაც უძღვებოდა ჟურნალს. „ძალიან ხალისიანი მუშაკი აღმოჩნდა, ცოცხალი, მარჯვე, ცქვიტი, — გადმოგვეცემს იგივე თანამედროვე, — ხელიდან სულ ცეცხლი სდიოდა. იშვიათად

შეხედვით ქართველებში ასეთ ჩქარს, მარდს და ამასთანავე დაუღალავე, ხანგრძლივ შრომის ამტანს“.

ახლა მოვესმინოთ მეორე თანამედროვეს — გიორგი თუმანიშვილს: „...თუმცა რედაქტორად ითვლებოდა ისევე ილია ჭავჭავაძე, მთელი შრომა ზურგზე აწვა ვანოს. კარგად მახსოვს, რა დიდი შრომა მიუძღვოდა ვანოს, რადგან ჩემს მეზობლად, ბარიათინსკის ქუჩაზე იღვა და მეც მუდმივ თანაშემრომლად ვიყავი იმ დროს „ივერიაში“. ვანო ერთსა და იმავე დროს „ივერიაში“ რედაქტორიც იყო და თანაშემრომელიც... ყველაფერს, რასაც კი კიდედა ხელს, სიცოცხლე ემატებოდა და სიცოცხლით აინთებოდა. ყველაფერს სულს უდგამდა და შევირცხლად ამოქმედებდა“.

დაეტყო კიდეც ჟურნალს ვანოს ხელი: მრავალფეროვანი გახდა, უფრო საინტერესო და ცოცხალი, შინაური მიმოხილვის განყოფილება გაფართოვდა, ადგილი დაეთმო უცხოეთის მიმოხილვასაც; მაჩაბელმა მოახერხა საუკეთესო სალიტერატურო ძალების ჩაბმა, ხოლო ამან, თავისთავად, მრავალფეროვნება და სიცოცხლე შეიტანა ჟურნალში.

ილია კმაყოფილი იყო მაჩაბლის მუშაობით და პირველი განხეთქილებაც სალიტერატურო ასპარეზზე კი არ წარმოქმნილა, როგორც ჰგონიათ. ეს მოხდა ბანკში, ჯერ კიდევ ადრე, სანამ ლირექტორობაზე იყრიდა კენჭს მაჩაბელი.

დაიწყო ეს ბანკის ერთ-ერთ საზოგადო კრებაზე. მაჩაბელმა მაშინ სხეებს დაუჭირა მხარი და პირველად გამოვიდა ილიას წინააღმდეგ. საკითხი ეხებოდა მოგების სხვადასხვა საზოგადო საქმეზე განაწილების წესს. მაჩაბელი მტკიცედ მოითხოვდა, რომ მოგების განაწილება მხოლოდ და მხოლოდ დამფუძნებელთა უშუალო მონაწილეობითა და დადგენილებით მომხდარიყო. თუ ეს წესი არ გავიდა, სწერდა იგი ძმას, მაშინ სულაც დაენებებ ბანკს თავს და სოფელში წავალ, მამულის მოვლას მოვკიდებ ხელს. უფრო შერბილებულ ფორმაში, იგივე გაიმეორა მან საზოგადო კრებაზე.

ილიას ეწყინა ვანოს ასეთი მძაფრი და შეუპოვარი გამოსვლა მის წინააღმდეგ. შენ მეტისმეტად თვითდაჯერებული ყოფილხარ! — უთხრა მან ვანოს. ეს იყო და ეს, სხვა საყვედური არაფერი უთქვამს.

თვითდაჯერებული! ეს სიტყვა ადრეც უთქვამთ მაჩაბლისათვის, მაგრამ არასოდეს არა სწყენია, პირიქით, ამას საკუთარ ღირსებადაც თვლიდა. ახლა კი ილიასაგან ერთბაშად ეწყინა.

ეს პატარა შემთხვევა, ერთის შეხედვით უმნიშვნელო უკმაყოფილება, შეუმჩნეველი არ დარჩენიათ შეკრებილებს — ერთმა

ნაწილმა ვანოს გასაგონად შეაქო მისი მოქმედება, პირდაპირობა და სამართლიანობა... ხოლო ბანკის ღირექტორმა დავით ავალიშვილმა, დრო რომ იხელთა, ილიას უთხრა: აკი გეუბნებოდი, მაგის ღირექტორად გაყვანა როგორ შეიძლება! ხომ ხედავ?!

საქმე ისაა, რომ ამაზე ცოტა ხნით უფრო ადრე ჭაეჭაეაქემ ცალკე გაიხმო მანაბელი და უთხრა: ღიდი ხანია ვფიქრობთ ბანკის საზოგადო კრებაზე საკითხი დაესვათ, რომ მესამე ღირექტორიც დაგვინიშონ. ბანკის მოქმედება გაერცელდა: საჭიროა ერთ-ერთი ღირექტორი რიგ-რიგზე წაიღ-წამოვიდეს ხოლმე კავკასიის ქალაქებში — ერევანში, ალექსანდრეპოლში, ბაქოში და სხვაგან. ვარჩიეთ, ვარჩიეთ, მაგრამ შენს ძმა ვასოზე უკეთესი კანდიდატი ვერ ამოვარჩიეთ. რაც შეიძლება მალე მისწერე, პკითხე — იკისრებს თუ არაო.

ჭაეჭაეაქემ ვანოსთვის აღარ უთქვამს, მაგრამ გულში კი გადაწყვეტილი პქონდა, თუ ვასო უარს იტყოდა, მაშინ ვანო გადაეყვანათ ბანკის ღირექტორად.

ვასოს პასუხი ორჭოფული იყო, უმცროს ძმასა სწერდა, შენ თვითონვე თუ იყრი კენჭს, მე ხელს აღარ შევიშლი, არ ვინდობებო. ახლა უკვე ილიამაც მიმართა ასეთი წინადადებით მანაბელს.

ამის შემდეგ ღიდი დრო არ გასულა, რომ პეტერბურგს ჩასული ავალიშვილი ვასო მანაბელს ეუბნება: ღიდი ხანია გვინდოდა შენი ძმის ამორჩევა, მაგრამ მეტისმეტად ფიცხი ყოფილა და, ეტყობა, ველარ ამოვირჩევთ, ილიაც ამ აზრისააო. ძმებს შორის ხომ დაფარული არაფერი ყოფილა, და ეს ამბავი ვასომ ძმას აცნობა.

ვანო სახტად დარჩა! ეს შეუძლებელია, ავალიშვილის პეტერბურგს წასვლის შემდეგ ილიამ კიდევ გაუმეორა ეს წინადადება მანაბელს. ახლა რა გამოდის? ნუთუ ილია?! არა, ავალიშვილი ტყუის და ცბიერობს!..

მაგრამ იმ შემთხვევის შემდეგ ვანოს რატომღაც ეუხერხულა ილიასთან ამ თემაზე გულახდილი საუბარი და ეს საკითხი სამუდამოდ გაურკვეველი დარჩა; ის პატარა წყენა ახლა ორჭოფობისა და ეჭვის ბურუსში გაეხვია!..

ღირექტორად გაყვანის საკითხი კი თავისთავად მოიხსნა, რადგან ზედამხედველმა კომიტეტმა არ დაამტკიცა მესამე ღირექტორი და საზოგადო კრებას ამ საგანზე აღარც უმსჯელია...

ცხოვრება კვლავ ძველი გზით მიემართება. მაჩაბლის ალალი გულით გამოთქმული საყვედური — ჟურნალის წარმოება მარტო მე დამაწეო, უსაქმურ ხალხს, იმ შემთხვევის შემდეგ, უკვე სხვაგვარად ეჩვენება და ყალბი თანაგრძობის ღიმილით მოსმენილ სიტყვებს ილიას მოჩვენებითი აღშფოთებით მიურბენინებენ; ბანკის საზოგადო კრებები სისტემატურად ტარდება: დამფასებლები კვლავ სხვადასხვა კუთხეებში დადიან და უგუნური მეურნეების მიერ აოხრებულ მამულებს აფასებენ; თბილისი ისევ და ისევ იზრდება; დიდი მოღვაწეების დაუცხრომელი ღვაწლი ფართოვდება და ფრთებს ისხამს; ქართული თეატრი კვლავინდებურად გარდამავალი წარმატებებით მიიკვლევს გზას... ერთი სიტყვით, ცხოვრება ძველი გზით მიდის. „დროება“ და „იერია“ ისევ და ისევ შეუპოვრად იბრძვიან სიმართლისათვის და ხალხის განათლებისათვის, ენის სიწმინდისა და ეროვნული ღირსების დაცვისათვის.

ეს ბრძოლა მეტად მწვავეა და ხშირად არათანასწორი. იგი დაკავშირებულია დამეების თეთრად თენებასა, არაადამიანურ შრომასა და, რაც ყველაზე უფრო მძიმეა, განუსაზღვრელი უფლებებით აღჭურვილ ცენზურის წინააღმდეგ ჭიდილთან. ასეთი დაუცხრომელი ბრძოლა ფოლადის ნებისყოფასა და რკინის ჯანსაყ კი გასტენს...

თოთხმეტი წელი გაუძლო ამ ბრძოლას „დროების“ რედაქტორმა სერგეი მესხმა და დაჭრილ მეომარსავით ერთბაშად შესდგა, რათა მძვინვარე ქარიშხლებში გამოტარებული თავისუფლების წმინდა ალაში საიმედო მედროშისათვის გადაეცა.

ასეთი საიმედო მედროშე ივანე მაჩაბელი აღმოჩნდა.

გულის მომწველელია „ტანჯული მოწამის“ სიტყვები, რომლებითაც იგი თავის „საყვარელ გაზეთს“ ეთხოვება.

„თოთხმეტი წელიწადი განეაგებდი, ემწყემსავდი მე გაზეთს „დროებას“. თოთხმეტი წელიწადი განუწყვეტლივ, ჯერ კვირაში თითოჯერ, მერე სამჯერ და ბოლოს თითქმის მუდამ დღე მე და ჩემი მკითხველი შეეხედებოდით ერთმანეთს და სხვადასხვა ათასგვარ საგნებზე, ჩვენს ჭირზე და ლხინზე გვქონდა ლაპარაკი და მასლაათი.

„ბევრი გაჭირვება გამოვიარეთ მე და ჩემმა გაზეთმა ამ ხნის განმავლობაში; ბევრი დაბრკოლება გეხედებოდა წინ; ბევრი განსაცდელი ენახეთ; ახლანდელ დროში ყოველ გაზეთსა და ჟურნალს,

განსაკუთრებით ჩვენში, ბევრი დაბრკოლება ხედება...

„აჲედ თუ კარგად, ყველა ამ დაბრკოლებას გადაერჩით, და, როგორც იყო დღევანდლამდინ მოვატანეთ.

„და დღეს, ამის თქმა თამამად შემიძლიან, რომ მე ულაქო, შეუშწიკლულს, პატიოსანს გაზეთს ვაბარებ ახალს რედაქციას...

„რამდენადაც სუსტი ღონე და ათასგვარი გარეშე და შინაური დაბრკოლება ნებას მაძლევდა, ვცდილობდი სწორი გზა ჩენი საზოგადო ცხოვრებისა გამეკელია და... კეთილი სამსახური და ერთგულება არ მომეკლო ჩენის ქვეყნისათვის...

„ეს არის ჩემი აღსარება... დღეს აჲადმყოფობით დაუძღურების გამო, საუბედუროდ იძულებული ვარ, გაზეთი მივატოვო და გამოვესალმო ჩემს 14 წლის ნაამაგვე საყვარელ გაზეთსა და იმის მკითხველს.

„ყველა გაიგებს, თუ, რა გულით, რა გრძნობით უნდა ვეთხოვებოდე მე გაზეთს, რომელსაც ჩემი ყმაწვილ-კაცობის ძალ-ღონე, ჩემი ჭკუა-გონება და, ერთის სიტყვით, მთელი ჩემი არსება შევწირე...

სერგეი მესხს მაჩაბელმა მტკიცედ მიაშველა ხელი, მოწინებით ჩამოართვა წმიდათა წმიდა ღროშა და მგზნებარედ მიმართა:

„გმადლობთ, წრფელი გულით გმადლობთ, საზოგადოების გული-სათვის წამებულო, ქართულის ერთადერთის გაზეთის ერთგულო მოამაგვე... ჩენა ვკიდებთ ხელს სერგეი მესხისაგან დატოვებულს გაზეთს... გვინდა... საზოგადოების წინაშე მივცეთ პატიოსანი სიტყვა სერგეი მესხს, რომ მისგან უდროოდ დაობლებულს გაზეთს დედინაცვლობას არ გაუწევთ და შეძლებისამებრ, ჭირში აღზრდილს, ბოლოს მაინც მხიარულებას ვაჩვენებთ!“.

თუ რამდენად მძიმე იყო სერგეი მესხის შრომა, ამას მაჩაბლის წერილიდანაც ადვილად მივხვდებით.

„როდესაც ყოველ დილით მოგერთმევათ ხოლმე ახალ-ახალი ფურცელი გაზეთისა, მგონი, არასდროს არ დაფიქრებულხართ და არ მოგინდომებიათ შეტყობა, რამდენი წვალება და შრომა არის საჭირო ამ ერთი ფურცლის გამოცემისათვის, — მიმართავს მაჩაბელი მკითხველს, — თან ჩაის შეექცევით, თან ზარმაცად კითხულობთ მოწინავე წერილებს, ახალ ამბებს, კორესპონდენციებს, და ის კი არ იცით, რამდენის გრძელის წერილის გადაკითხვა დასჭირდა რედაქტორს, რომ თითო-ოროლა რიგიანი კორესპონდენცია ამოერჩია, ან „ახალ ამბისათვის“ სამი სტრიქონი ამოეწერა. იყო თუ არა გუნებაზე, მაინცდამაინც ან მოწინავე წერილი უნდა შეეთხზა,

ან ფელეტონი და ამასთანავე შიშში უნდა ყოფილიყო, რომელიმე კორესპონდენტმა „დღეიამაციის პროცესი“ არ გამოიწვიოსო.

„ნუ გგონიათ, რომ გაზეთის საქმე ყველგან ასე იყოს დაყენებული. ეს არის მხოლოდ ჩვენში, სადაც ხშირად გაზეთის შედგენა და კორექტურა ერთ კაცზედ არის მინდობილი, სადაც ბედშაეს რედაქტორს ისეთი ბეგარა აწევს, რომ გლეხკაცის ბეგარა ღმერთმა შეარცხენოს... ეს ისეთი ბეგარაა, რომ ამირანის გულის პატრონიც კი ვერ აიტანს ამდენს ძიძგანას.

„აი ეს უწყალო ბეგარა აწვა კისერზე სერგეი მესხს, მთელის თოთხმეტი წლის განმავლობაში 1869 წლიდან მოკიდებული, როდესაც მან მიიღო გაზეთი გიორგი წერეთლის ხელიდან, დღევანდლამდე. ეს ის დრო იყო, როდესაც მრავალს მკითხველს ყოველი ქართული წიგნი „ციცკარი“ ვგონა, ფელეტონს მოწინავე წერილიდან ვერ არჩევდა და ზემოდან მოყოლებული ქვემოდე ჩათვლით კითხულობდა. თუნდა კიდევ გაზეთს შუა წელში ხაზი აქონოდა გაელებული. და ამისთანა მკითხველთან უნდა ელაპარაკნა სერგეი მესხს მუდამ დღე პოლიტიკაზედ, მეცნიერებაზედ, უნდა შეემუშაენა ენა, უნდა ებრძოლა ყოველგვარ ზნეობრივსა და მატერიალურს შეწუხებასთან...

„დამეთანხმებით, რომ ამდენის ჯაფის ატანა ამდენს ხანს არ შეუძლიან თვით უძლიერეს ადამიანსაც, და ვერ აიტანა სერგეი მესხის ჯანმრთელმა ორგანიზმმა, და დღეს სრულიად ღონემიხდილი და ავადმყოფი ესალმება იგი თავის მკითხველებს. არ ეიცო, მკითხველო, შენ რას გრძნობ, მაგრამ მე კი როდესაც ვკითხულობ მისუსტებულის თითებით ძლივსძლივობით დაწერილს სიტყვებს: „დღეს ავადმყოფობის და უძლურების გამო, საუბედუროდ, იძულებული ვარ გაზეთი მივატოვო და გამოვესალმო ჩემს 14 წლის ნაამაგვე საყვარელ გაზეთს და იმის მკითხველს“, ტანში ჟრუანტელი მირბენს, კალამი ხელიდან მივარდება...

„რისთვის იჭირებდაო საქმეს, იქნებ სთქვას ზოგიერთმა, რად შეალიაო სრული თავისი ყმაწვილკაცობა იმისთანა საქმეს, რომელიც დასაჩუქრების მაგიერად, ულუკმაპუროდ ისტუმრებსო მას. იმისათვის, რომ მან იცოდა, რა ძლიერებაცა აქვს ყოველდღე, საქართველოს ყოველ კუთხეში მიგდებულს გაზეთს. იცოდა, რომ ეს საქმე საშვილიშვილო საქმეა და უიმისოდ ვერ დამკვიდრდებოდა წარმატება, ვერ აღორძინდებოდა ის ძლიერი ჭახრაკი კაცობრიობის ისტორიისა, რომელსაც საზოგადოების აზრს ეძახიან!“.

ამაღელვებელი სიტყვით მიმართა მანაბელმა სერგეი მესხს

გამოსათხოვარ სადილზედაც, რომელიც ქართველმა საზოგადოებამ მოუწყო ყოფილ რედაქტორს ვერის ერთ-ერთ ბაღში. ასამდე კაცი შეიკრიბა მაშინ ამ გამოსათხოვარ სადილზე. შეკრებილი საზოგადოების დიდი ნაწილი სეირის საყურებლად მოვიდა. ბევრი იქ მყოფი კი მწუხარედ განიცდიდა მწარე ბედს ერის კეთილდღეობისათვის წამებულისას, რომელიც მოვიდა სადილზე და შეგროვილი ხალხის ოვაციას ნაღვლიანი ღიმილით უპასუხა.

„ზურნამ „ტუში“ დაკრა, ჯგუფ-ჯგუფად გაფანტულმა ხალხმა ერთად მოიყარა თავი, ქუდები მოიხადეს და სიჩუმე ჩამოვარდა. თვით სერგეი მესხს მღელვარება და სულის შფოთვა ეტყობოდა,“ — აცნობებდა მკითხველებს გაზეთები.

ეს ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა კაცი მიხრწნილი მოხუცივით დაჩაჩანაკებულიყო და გაცრეცილ სახეზე მღელვარებისაგან ავაღმყოფური სიწითლე გადაჰკრავდა. დღე იყო პირქუში, დაბლვერილი, და ვერც კი მოასწრეს ღია ცის ქვეშ გამართულ სუფრას შემოსხდომოდნენ, რომ წვიმამ დაუშვა, შეკრებილები სახლს შეეფარნენ. სახელდახელოდ გაშალეს სუფრა აივანზე. სერგეი მესხი მალე დაიღალა, ძლივსღა სუნთქავდა, ნერვებს უშლიდა უდარდელი და ურცხვი ღრიანცელი საზოგადოების ერთი ნაწილისა, რომელიც უმიკაშვილის გაჭიანურებულ სიტყვაზე ხარხარებდა.

ამ ვაჟბატონების გაქეპებულ გულებს არც უმიკაშვილის მთროლოვარე ხმით წარმოთქმული სიტყვები ალბობდა, არც საზოგადო საქმისათვის მსხვერპლად მიტანილი ადამიანის ცრემლიანი თვალები და არც ამ გამოთხოვების საშინელი ტრაგიზმი.

ნუთუ ამ უმადურ ხალხს შევალიე მთელი ჩემი საუკეთესო ახალგაზრდული წლები?! — ფიქრობს უდროოდ მოხუცებული, 38 წლის ახალგაზრდა კაცი, — ნუთუ ამავე საზოგადოებას უნდა შეეწიროს ეს ორი ახალგაზრდაც, რომლებიც ახლა ნაღვლიანად ესაუბრებიან ერთმანეთს — მაჩაბელი და ყაზბეგი?!

არა, ეს უქნარა ნაცარქექიები საზოგადოების ნაძირალა ნაწილია, ერი, მშრომელი ხალხი სულ სხვაა, იგი მუდამ მადლიერი იქნება თავისი ღვაწლმოსილი შეილებისა... მესხის უდროოდ ჩაღამებულ თვალებში კვლავ ძველებურმა ნაპერწკალმა გაიფლავა... სიტყვას ამბობდა აკაკი წერეთელი და მესხმა თითქოს ძველებური სიმხნევე იგრძნო. თითქმის ერთდროულად გამოვიდნენ სამოღვაწეო ასპარეზზე ის და აკაკი. მაშინ ისინი სულ ახალგაზრდები იყვნენ და მათი ოცნება უფრო გაბედული იყო, მომავალი უფრო ზღაპრულად ესახებოდათ...

რა ტკბილი იყო ის დღეები, სამშობლოსათვის აფეთქებული ახალგაზრდული გული, პირველი სიყვარული, მორთოლვარე წუთები, მღელვარება, წერილები შორეულ ქვეყანაში გამგზავრებულ სატრფოსთან, თითქმის ყოველდღიურად!.. და ყველგან, ყოველი წერილის ყოველ სტრიქონში ისევ და ისევ სამშობლოს სიყვარული გამოსჭვიოდა!..

ნაღვლიან ფიქრებს თითქოს კიდევ უფრო მეტს სეედას მატებდა წვიმის მონოტონური ხმა.

მესხი დაიქანცა, მან მოისმინა აკაკის, ეანო მაჩაბლის, უმიკაშვილის, მიქელაძის გამოსათხოვარი სიტყვები და წავიდა.

საერთოდ, მთელი ეს ცერემონიალი სამსახურიდან დროებით წასულ კაცთან გამოთხოვებას კი არა ჰგავდა, იგი უფრო წუთისოფლიდან წასულ ადამიანთან გამოსალმებას მოგაგონებდათ, და მთელი ის მძიმე სეედა, რაც ასეთ გამოსალმებას ახლავს ხოლმე თან, დაკრავდა მესხისადმი მიმართულ ყოველ სიტყვას, წერილს, თუ გამოსულას... თითქოს წინასწარვე გრძნობდნენ, რომ მესხის დღეები დათვლილი იყო!

„გუშინწინ, 9 მაისს, ჩენი საზოგადოება გამოესალმა „დროების“ ძველ რედაქტორს სერგეი მესხს, — იუწყებოდა უკვე მაჩაბლის ხელში გადასული გაზეთი, — იმ პატრიოსანს და ერთგულს საზოგადო მოღვაწეს, რომელმაც მთელი თავისი ძალ-ღონე და ყმაწვილკაცობა ზედ შეაღია უმადურ შრომას ყოველდღიურს გაზეთზედ... მან იმისთანა საქმეს შეაღია თავისი ჯანის სიმთელე და ჭკუის ძალა, რომელიც მუდმივ, განუწყვეტელ შრომას თხოულობს“...

ამის შემდეგ ორიოდ თვე გავიდა და „დროებამ“ და ივანე მაჩაბელმა საბოლოოდ გამოიტირეს საზოგადოების სასიქადულო შვილი.

„სერგეი მესხის სახელს, მის სიმპატიურს ბუნებას უნდა ვუმაღლოდეთ, რომ დღეს „დროება“ მთელის საქართველოს გაზეთად გარდაიქცა; მას უნდა ვუმაღლოდეთ, რომ თითქმის ხელოვნურს ნიადაგზე აღმოცენებულმა მცენარემ ღრმად ფესვები გაიდგა და მრავალს ქართველს კაცს დღიურ საჭიროებად შეექმნა... საჯოს მკითხველმა, რა უზომო მადლობაც ეკუთვნის მთელის ქართველობისაგან ამ უანგარო მუშაკს „ეკლიან გზაზედ სოფლისა“, მისთვის უფრო გაეკლიანებულზედ!“.

ასე მთავრდებოდა გაზეთის გამოსათხოვარი წერილი „თავის დაკარგული ლაღას“ მიმართ.

მაგრამ „დროების“ ახალი პატრონის ხელში გადასვლა ასე უმტკივნეულოდ არ მომხდარა.

გაზეთის 1883 წლის 28 აპრილის ნომერს დართული ჰქონდა განცხადება რედაქციისაგან: „რადგან „დროება“ ახალის პატრონის ხელში გადადის, ამის გამო იძულებული ვართ ამ გაზეთის გამოცემა დროებით შევაჩეროთ“.

შემდეგი ნომერი გაზეთისა გამოვიდა იმავე წლის 8 მაისს. ამ ხნის განმავლობაში ფიცხელი ბრძოლა გაიმართა, თუ ვინ უნდა ყოფილიყო გაზეთის რედაქტორი. ეს ბრძოლა კიდევ უფრო ადრე დაიწყო, განცხადების ოფიციალურად გამოქვეყნებამდე რამდენიმე თვით ადრე, როდესაც ექიმების კატეგორიული ჩარევით აუცილებელი გახდა მესხის რედაქციიდან წასვლა.

ყველას ეგონა, რომ ილია ახალ რედაქტორად ივანე მაჩაბელს დაასახელებდა, რომელიც მაშინ „ივერიის“ მეორე რედაქტორად ითვლებოდა. ეს იყო საერთო აზრი. მაგრამ ყველასათვის გასაკვირად ჭკუჭკაძემ „დროების“ რედაქტორად ვილაც ქანანოვი წამოაყენა, სრულიად შემთხვევითი ადამიანი. ილიას ასეთმა მოულოდნელმა გადაწყვეტილებამ ბევრი გააკვირვა, მაჩაბელს კი გული ჩასწყვიტა. იმ გაურკვეველი უკმაყოფილების მიუხედავად, რაც მათ შორის ჩამოწვა, ვანოს მაინც ჰქონდა იმედი, რომ ილია უსათუოდ მას დაასახელებდა. ხოლო რაკი ეს არ მოხდა, გადაწყვიტა „ივერიისთვისაც“ დაენებებინა თავი.

იმავე ხანებში ვანო გულდაწყვეტით სწერდა ძმას პეტერბურგში: „მესხი ძალიან აუად არის, ასე რომ ექიმებმა აუკრძალეს ორის სამის წლით კალმის აღება და თავს ანებებს გაზეთს — ჰყიდის და ექვსას თუმანსა თხოულობს, რომლიდამაც უნდა ოთხას ორმოცდაათი თუმანი რედაქციის ვალებში მისცეს და ასორმოცდაათი თუმანი თითონ მოიხმაროს მოსარჩენად. აგროვებენ კიდევ ამ ფულს და უნდა იმისთანა პირს გადასცენ, რომელსაც უფრო რიგიანად შეეძლოს გაზეთის წაყენა. საქმე ღღემდის ასეა გაჩერებული. ცალკე კაცის შოვნა უჭირდებათ, ცალკე ფულისა. ჭკუჭკაძეს უნდა, რომ რედაქტორად ქანანოვი დააყენონ, მაგრამ სხვები, თითქმის ყველანი, წინააღმდეგნი არიან, რადგან ზარმაცი კაცია და ჟურნალის წაყვანის დროს დაამტკიცა თავისი უსაქმურობა. მეტადრე უფრო ყმაწვილები არიან ამის წინააღმდეგი და ესენი მე მთხოვენ, რომ ვიკისრო... არ

ვიცი, შენ რას იტყვი ამ საქმის თაობაზედა“.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ქანანოვი თითქმის დანიშნულიც კი იყო რედაქტორად. ყოველ შემთხვევაში, ყველას ასე ეგონა. საინტერესოა ზაქარია ჭიჭინაძის ერთი კერძო წერილი ნიკო ნიკოლაძესთან, დათარიღებული 1883 წლის 8 მაისით; წერილში ასეთ ფრაზას ვკითხულობთ: „დროება“ ამ დღეებში ი. ჭავჭავაძის ხელში გადავა, რედაქტორად ქანანოვია დანიშნული“.

მაგრამ წერილის დაწერის შემდეგ, გაგზავნამდე, საქმის ნამდვილი ვითარება გაუგია ზ. ჭიჭინაძეს და შეუსწორებია: „ჭავჭავაძეს“ ხაზი აქვს გადასმული და თავზე აწერია „სხვისი“; ასევე წამლილია „ქანანოვიც“ და ზემოდან „მაჩაბელია“ ჩაწერილი.

ერთი სიტყვით, ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ „დროების“ რედაქტორი ქანანოვი იყო.

მით უფრო არ ეპარებოდა ეჭვი თითონ ქანანოვს, რომელმაც უკვე მოაშხადა თავისი პირველი სიტყვა მკითხველებთან და ახალი რედაქციის შედგენასაც შეუდგა. და მით უფრო დიდი იქნებოდა წყენა ილია ჭავჭავაძისა, როცა მაჩაბელმა სრულიად მოულოდნელად საჭირო ფული იშოვა და, რაკი სერგეი მესხიც მას უჭერდა მხარს, გაზეთის რედაქტორობა დაიმტკიცა. ქანანოვი პირში ჩალაგამოვლებული დარჩა.

იმ დღეებში ყველას ეს ამბავი ეკერა პირზე და ხალხი სულ ამაზე იცინოდა.

იმავე ხანებში ერთი დიდი წყენა კიდევ მიაყენა მაჩაბელმა ჭავჭავაძეს.

მიმდინარეობდა ბანკის საზოგადო კრება, რომელსაც არჩევნებიც უნდა მოეხდინა. ერთ-ერთმა ღირექტორმა, ავალიშვილმა, კრებაზე საჯაროდ განაცხადა — ბანკს თავს ეანებებ და ღირექტორობაზე კენჭს აღარ ვიყრიო. მაგრამ ეს თვალთმაქცობა გამოდგა. მეორე დღეს ამჟამად გახდა, რომ ავალიშვილი თავპატიჟს იდებდა. „წინა დღეს ისე გმირულად და კეთილშობილურად გავიდა ბანკიდან... გადაჭრით უარი გამოუცხადა საზოგადოებას, მეორე დღე კი ისეუ დაბრუნდა და თავისი სიტყვა უკანვე წაიღო“, — იუწყებოდნენ გაზეთები.

ვანო მაჩაბელი აქამდეც გულმოსული იყო ავალიშვილზე, ახლა კი მისმა თვალთმაქცობამ გააბრაზა, განსაკუთრებით მაშინ გაცეცხლდა მაჩაბელი, როცა ნახა, რომ ავალიშვილისათვის კენჭისყრას არც კი აპირებდნენ, პირდაპირ ირჩევდნენ. მაჩაბელმა სიტყვა აიღო და კრებას მიმართა:

— ასეთი არჩევანი მე წესიერად არ მიმაჩნია; ვიცი, რომ დაემარცხდები, მაგრამ ავალიშვილის ყუთთან ჩემს ყუთსაც ვლგამ. გვიყარეთ კენჭი!

დაემარცხდებიო, ეს ისე თქვა მაჩაბელმა, თორემ სინამდვილეში მას გამარჯვების დიდი რწმენა ჰქონდა და გაიმარჯვა კიდეც.

მაჩაბელი ბანკის დირექტორად აირჩიეს, ავალიშვილი „გააშავეს“.

ერთდროულად მაჩაბელი გაზეთის რედაქტორიც გახდა და ბანკის დირექტორიც. და ორივე საქმე ილიას სურვილის წინააღმდეგ მოხდა, ილიას გამოჯიბრებით.

ინტრიგა დიდი ღრამისა გაიკვანძა.

* * *

ახალი პროგრამა არ გამოუცხადებია მაჩაბელს, როდესაც გაზეთს ჩაუდგა სათავეში. იგულისხმებოდა, რომ იგი აგრძელებდა „ღროების“ ძველ გზას, ძველ მიმართულებას; გაზეთი დემოკრატიულ პრინციპებზე რჩებოდა და „ახალი თაობის დემოკრატიულ მისწრაფებებს ემსახურებოდა“. აშკარად გამოცხადება ასეთი ჩამოყალიბებული პროგრამისა მას არ შეეძლო. შეიძლებოდა მხოლოდ ზოგადი განცხადების გაკეთება. ამას თვითონაც გრძნობდა და წერდა კიდეც: „განა ქართულს გაზეთს საზოგადო (იგულისხმება ზოგადი) ფრაზების თქმის მეტი შეუძლიან, როდესაც თავისი პროგრამის გამოცხადებას აპირებს!..“

მაგრამ „ღროების“ რედაქცია და მკითხველი მიჩვეულნი იყვნენ ერთმანეთთან საუბარს და ბევრი რამ მინიშნებითაც ესმოდათ ერთმანეთისა. ამიტომაც მაჩაბლის ზოგადი საპროგრამო სიტყვები ყველასათვის გასაგები გახდა:

„...მკითხველი ჩვენ ცოტათი მაინც გვიცნობს და ბევრს დაპირებას აღარ გამოუვადგებით, მეტადრე იმიტომ, რომ ეხლანდელს დროში დაპირება ხშირად ცრუდება სხვადასხვა მოულოდნელის ან მოსალოდნელის შემთხვევის გამო. ჩვენ ცოტას დაპირებით მკითხველს საზოგადოებას, რომ თანაგრძნობას აღმოუჩინეთ ყოველსავე პატიოსანს, კარგს, სასარგებლო მოვლენას და ედევნით უპატიოსნოს, ავს, უსარგებლოს... მკითხველი ცოტათი მაინც მიხედობოდა, თუკი ადევნა თვალი ჩვენს გაზეთს, რას ვეძახით

პატიოსანს და უპატიოსნოს, კარგსა და ავსს, სასარგებლოს და უსარგებლოს — და თუ აქამდის არ მიხვედრილა, ვეცდებით შემდეგში მაინც მივახვედროთ...“

ზერელედაც რომ გადათვალეიროთ მაშინდელი „დროების“ ფურცლები, დარწმუნდებით, რომ ეს ბრძოლა უპატიოსნოსა, ავისა და უსარგებლოს წინააღმდეგ მართლაც შეუპოვარია, მაჩაბლისებურად პირდაპირი და მკაცრი. ფრონტი ბრძოლისა მეტად ფართოა, იგი მოიცავს თითქმის მთელს მაშინდელ ცხოვრებას — ეთიკა-მორალის ქადაგებით დაწყებული და საერთაშორისო პოლიტიკური ცხოვრების მიმოხილვებით გათავებული. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს მიმოხილვები, შინაური იქნება ის თუ საერთაშორისო, ფაქტის უბრალო გადმოცემას არ წარმოადგენს: პატარა ქრონიკაშიაც კი გაზეთი მკითხველს უზიარებს თავის აზრს, თავის დამოკიდებულებას ამა თუ იმ მოვლენისადმი. როცა, მაგალითად, ინგლის-სუდანის ბრძოლის ქრონიკას გადმოსცემს მაჩაბლის გაზეთი, მკითხველი იქვე იგრძნობს აშკარა სიმპათიებსა და თანაგრძნობას დაჩაგრული ერის მიმართ და სიძულვილს დამპყრობლებისადმი, რომლებიც რიცხობრივი თუ ტექნიკური უპირატესობის მიუხედავად, ხშირად მაინც სასაცილო და საეკლავლო მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ხოლმე.

„...ეს ბრძოლა იმითია შესანიშნავი, რომ განათლების ყოველგვარი იარაღით შეჭურვილ ინგლისელებს ებრძვიან ტანშიშველნი და მარტო ფარ-შუბით შეიარაღებული არაბები, — გადმოგვცემს „დროების“ ქრონიკა, — რა აბრძოლებს ამ ნახევრად ველურ ხალხს ინგლისელებთან: სარწმუნოებრივი ფანატიზმი, თავიანთი მხურვალე მამულის სიყვარული, თუ ზიზღი შემოსულ უცხოელთადმი? ჩვენ გვგონია, ერთიც, მეორეც და მესამეც, და ეს სამი საგანი ერთად ისე ასულდგმულებს ამ ხალხს, რომ, მამულის სიყვარულით ძალმოცემულთ, თავიანთი მარჯვენა საუკეთესო იარაღად მიაჩნიათ.

„თმა ყალყზე უდგება კაცს, როდესაც სურათებზედ ქხედავს, თუ როგორის თავგანწირულების იერიშით მიდიან შიშველ ტანზე ფარაფარებული სუდანელები ინგლისელების თოფების წინააღმდეგ... გოცებას მოდიხარ, როდესაც გეუბნებიან, რომ ოთხკუთხედ შეკრულ ინგლისის ჯარი, რომელსაც წინ სამი გაწყობილი რაზმი უდგას, სუდანელებმა რამდენჯერმე გასტეხეს და შუაში შეუცვივდნენო... ინგლისის მთავრობას იმედი აქონდა ოქროსი, მაგრამ... დაავიწყდა... რომ

განსაკუთრებული ყურადღებით ქვეყნის შინაურ ცხოვრებას ეპყრობა მაჩაბლის გაზეთი. არც ერთი მხარე ცხოვრებისა უყურადღებო არ რჩება და ყველგან, ყველა წერილში, მკაფიოდ მოჩანს კონკრეტული, პრაქტიკული დამოკიდებულება ამა თუ იმ მოვლენისადმი. ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ თავის პირველ სამეცნიერო წერილებშიაც კი, ახალგაზრდა ჟურნალისტი ყოველგვარ მეცნიერულ მოვლენას კონკრეტულ საკითხს უკავშირებს. არა ჰგავს იმ უნიადგო მოცინებებს, ცრუ მეცნიერებს, რომლებიც მაშინ ჩვენშიაც ბლომად იყვნენ. ახლა მით უმეტეს, უფრო გამოცდილი ჟურნალისტია მაჩაბელი და გაზეთს თვითონვე რედაქტორობს.

გაზეთის ერთ-ერთ ნომერში მაჩაბელმა ადგილი დაუთმო ჯანდიერის წერილს, რომელშიაც იგი აგდებულად ლაპარაკობს ზენათესეის ჩვენს ძველებურ წესზე, გუთანზე, მეხრეებზე და ხოტბას ასხამს ევროპულ განვითარებულ მეურნეობას. საინტერესოა თვითონ მაჩაბლის შენიშვნა, რომელიც მან ამ წერილთან ერთად გამოაქვეყნა:

„ადგილს ვაძლევთ ჩვენს გაზეთში ელ. ჯანდიერის წერილს, — ვკითხულობთ ამ შენიშვნაში, — მაგრამ ზოგიერთი ვერ ვეთანხმებით პატივცემულს ავტორს, რომელსაც ჩვენი გლეხი შეუგნებელ დათვად წარმოუდგენია. ჩვენი ურემი და გუთანი არც ბრმა შემთხვევის ნაყოფია, არც ციდამ ჩამოვარდნილან, როგორც ოხუნჯობს ბ. ჯანდიერი. ერთიც და მეორეც ხანგრძლივ გამოცდილებას და მოფიქრებას შეუფარდება ჩვენი ქვეყნისათვის და მიწის ნიადაგისათვის. როდესაც ჩვენი ქვეყნის მთებს გაავაკებთ და სუფრასავით გზებს დააგებთ, როდესაც მიწის ნიადაგს ისე მოამზადებთ, რომ გუთნებს ჯაგის ძირები, ძიძო და ხეართქლა აღარ ამტვრევდნენ, მაშინ ჩვენი ურმის მაგიერ რესორებიან ფურგუნებს გავიჩნთ, კამჩების მაგიერ — ცხენებს და ჩვენი გუთნის მაგიერ თქვენგან მოწონებულს ჰოვარდის გუთნებს. ბ. მარკოვი თავით ფეხამდე ევროპელია, მაგრამ როდესაც ჩვენი გზები ნახა, სთქვა, რომ ამ გზებზედ ქართული ურემი სწორედ ზედგამოჭრილიაო. ადგილის კურდღელს ადგილის მწვეარი უნდა. ქართველები ისეთი სულელები არ გახლავართ, თქვენ რომ წარმოგიდგენიათ“.

საერთოდ, ბევრსა წერდნენ ხოლმე მაჩაბლის ევროპელობაზე, იმაზე, რომ იგი ყველგან და ყველგან ევროპული წესრიგისა და ზნე-ჩვეულების დანერგვას ცდილობდა. ამ საკითხს ცოტა უფრო ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ. მაჩაბელი მრავალმხრივ განათლებული ადამიანი იყო, ევროპული ენებისა და ლიტერატურის ჩინებული მცოდნე, მაგრამ იგი ერთი წუთითაც არ მოშორებია მშობლიურ ნიადაგს, ხალხს, მის სიბრძნეს, მის ადათებსა და ზნე-ჩვეულებას, მის ცოცხალ მეტყველებას; არასოდეს არ ყოფილა კოსმოპოლიტი. მისი აზრით, განათლებამ, სხვა ქვეყნების ლიტერატურისა და ხელოვნების შესწავლამ ეროვნული სახე კი არ უნდა დაგვაკარგვინოს, პირიქით ხელი უნდა შეუწყოს ეროვნული თვითცნობიერების გაღვივებას, ეროვნული კულტურის გამოვლინებასა და განვითარებას, ძალიან საგულისხმოა მისი ერთი წერილი, რომელსაც აქ უფრო ვრცლად დაეუთმობთ ადგილს.

„განათლება ხალხს გონებით აეარჯიშებს, ზნეობით ამაღლებს. ნიეთიერად ამდიდრებს, თვითცნობიერებას უღვივებს, მანვე ჩვეულებას უსპობს, ხასიათს უშალაშინებს, სხვადასხვა ერს ერთმანეთთან აახლოებს. ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ განათლება ხალხთა შორის ყოველგვარ განსხვავებას სპობდეს: დიდად ცდებიან ისინი, ვინც ოცნებობენ, ვითომ ცივილიზაციის დანიშნულება იყოს ფრანცუზისა და ნემეცის შორის ყოველი განსხვავება ამოაგდოს, ინგლისელი და ჩინელი სრულებით გააერთოს, ეროვნული პირადობა განაქროს. ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული პირობები ისეთს დაღს ასმენ ხალხს, რომლის ამოშლა, ამოხოცვა ცივილიზაციას არ ძალუძს და არც ცდილობს. იმისი დანიშნულებაა აღნიშნულ ადგილზე შექმნას ისეთი პირობები, რომელთა საშუალებით ადამიანს და საზოგადოდ მთელ ხალხს შეეძლოს თავის ცხოვრების გაუმჯობესება. ცივილიზაცია ახლდება, ჭაბუკდება იმ ელემენტებით, რომელთაც ჰკრებს იგი სხვადასხვა ხალხთა ცხოვრებიდან. ამით იმატებს იგი ძალას, ხანგრძლივობას, სიცხოველეს. აქედან სჩანს, რომ განათლება ზნეობით აახლოებს და აერთებს ხალხებს, მაგრამ ამასთანავე იგი არ ცდილობს მოსპოს განსაკუთრებული ხასიათები, რომელთაგან შესდგება ეროვნული პირადობა, ნაციონალური ინდივიდუალობა... კაცობრიობის ზნეობითი ერთობა ეროვნულ განსხვავებაზე, ხალხთა ინდივიდუალობაზეა დამყარებული. განათლება, ცივილიზაცია იღვწის დაამკვიდროს პირველი იმითი, რომ არ მოსპოს მეორენი. აქედან წარმოსდგება მისი ძალა, ღონე და გაელენა. იგი უკარგავს

პირადობას მხოლოდ ისეთ ხალხებს, რომელთა ცხოვრებიდან ვერ გამოპკრებს რაიმე სასარგებლო მასალას, რომელნიც ვერ გამხდარან „ეკრად“ და ევლურ მდგომარეობიდან ვერ გამოსულან. მაშასადამე იმ ერს, რომელსაც თავისი ისტორია პქონია, სახელმწიფო პქონია, საუკეთესო სარწმუნოება შეუთვისებია, გონებით უცხოვრია, — ერთის სიტყვით, შეუქმნია თავისებური კულტურა, შეუძლიან დიდი სამსახური გაუწიოს ქვეყანას, შესძინოს კაცობრიობის ცივილიზაციის საუნჯეს ელემენტები, რომელნიც შეუმუშავებია მას თავის ნიადაგზე, თავის ზნეობითი ძალით.

„მაშასადამე, დიდი შეცდომილება იქნება, რომ ჩვენ არამავენებელნი ჩენი ჩვეულებანი, ხასიათი, ზნე დავკარგოთ იმიტომ, რომ ევროპული მეცნიერება შევითვისეთ და იმისი ნაყოფით ვსარგებლობთ. შემოდგა თუ არა ფეხი ევროპულმა განათლებამ ჩვენში, თითქო დავითვერით, ჩვენშიაც ის მოხდა, რაც სხვა ქვეყანაში, ესე იგი, ჩვენს ხალხს ეგონა, რომ განათლების ნიშანი ყოველ ძირეულ ჩვეულებათა დავიწყება არისო. შემოვსწყერით ჯერჯერობით დედა-ენას — გვე-გონა, თუ სხვა ენაზე დავიწყეთ ლაპარაკი, ამით დავამტკიცებთ ჩვენს განათლებასაო; შემოვსწყერით ჩვენს მშვენიერს ნაციონალურს ტანისამოსს, — უფრაკობას უჯიშობის ნიშნად ეხდით; შემოვსწყერით ჩვენს კეკლუცს ლეკურსა და დავლურს და კადრილ-ვალსს შევაჩვიეთ ფეხი; შემოვსწყერით ჩვენს ხალხურს სიმღერებს, გვეგონა, თუ რომანსების თქმაში მდგომარეობს განათლებაო, რასაკვირველია, ამგვარმა მიმართულებამ ხალხი დავგაშორა და არც ვავგავეროპელა. დავმახინჯდით — დავმახინჯდით იმიტომ, რომ ახალი ევროპული განათლება ვერ ვავიძვალრბილეთ ჩვენს სხეულში, ვერ შევინათესავეთ იგი ისე, როგორადაც ჩენი განსაკუთრებული თვისება მოითხოვდა; გვინდოდა ვადმოგვენერგა ისე, როგორც დაბადებულა და ვავრცელებულა სხვა ქვეყნებში, ჩვენთვის უცხო პირობების ძალით. ჩვენ არ ვეცადეთ, რომ ის შეთვისებოდა ჩვენს პაერს, ჩენის ქვეყნის განსაკუთრებულ პირობებს, — ერთის სიტყვით, გვინდოდა ვადმოგვენერგა განათლება იმ სახით, რა სახითაც აღმოცენდა იგი იმ ქვეყნებში. შეიძლება ეს ჩენი უნებლიევი შეცდომა იყო, მაგრამ რომ ეს შეცდომა არის, ამას ბევრი დავა არ ეჭირეება.

„ამ მოვლენამ ბევრი ზიანი მოგვცა, ბევრად დავგწია უკან. ენა დავკვიმახინჯდა, ვავგიფუჭდა, დავავიწყდა; დავიწყებულ იქმნა ის მდიდარი საუნჯე, ჩენი ძველი მწერლობა, რომელიც აშკარა დამამტკიცებელია ჩენის წარსულის გონებრივის ძალისა, დავშორდით

ხალხს, ვითაკილეთ მისი გონებრივი სიმდიდრე, მისი მდიდარი სიტყვიერება, რომლის შესწავლა, გაცნობა აასლოებს, აღვიძებს, ძალ-ღონეს კმატებს ერს. გაეისაღეთ ჩვენი მშვენიერი ღარბაისლური ტანისამოსი, რომლის ერთი შეხედვა სიმამაცის გრძნობას პეგრის კაცს; აუყაყანდით კენეშმის მრავალჭამიერის ხმაზე — და ჩვენი მშვენიერი, ხალხური მამაცური სიმღერები დაევიწყოთ...

„ეხლა მოიწია ღრომ, როცა, ღეთის მადლით, ვიგრძენით საჭიროება ჩვენის განახლებისა; განახლება შეიძლება მხოლოდ იმით, რომ ხელახლავ დაუუახლოვდეთ, ხელმეორედ შევითვისოთ საუკეთესო ჩვენი ჩვეულებანი, შევისწავლოთ ხალხი, არ დაევიწყოთ არც მისი სიმღერები, არც მისი ზეპირ-გადმოცემანი, და არც მისი საუკეთესო ჩვეულებანი, არც მისი ტანისამოსი, არც ის განცხრომის საშუალებანი, რომელნიც ასე სასიამოვნოა არა თუ მარტო ჩვენთვის, არამედ ევროპელებისათვისაც. ისინი არა თუ ევროპული განათლების საწინააღმდეგონი არიან, არამედ სასარგებლონიც. როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, ამ ჩვენს განსაკუთრებულ ნაციონალურ ჩვეულებით, განსხვავებით, თვით განათლებაც ისარგებლებს, მოსძებნის, მოიპოვებს ისეთ ელემენტებს თავისთვის, რომელნიც ცოტად თუ ბევრად შეემატება მის საზოგადო საუნჯეს. განა ევროპული მეცნიერება ცოტას შეიძენს ჩვენის ცხოვრების შესწავლით, ჩვენის მწერლების გაცნობით, ჩვენის ისტორიის შეთვისებით? განა ევროპული მუსიკა არ ისარგებლებს ჩვენის ხალხური სიმღერების მოტივებით? განა ჩვენი ქულაჯა, ყურთმაჯებიანი კაბა დაგვიშლის ევროპულის ფილოსოფიის შესწავლას? განა ჩვენი განთქმული ცხენოსნობა, იარაღის ხმარება ცივილიზაციის საწინააღმდეგოა? ხალხის თვითცნობიერების გაღვივებაში ყველაფერსა აქვს მნიშვნელობა. ისეთ წერილმან საგნებსაც, როგორიც არის, მაგალითად, ტანისამოსი...

„დაუბრუნდეთ ჩვენს სიმღერებს, ჩვენს ტანისამოსს, ჩვენს კარგთ ჩვეულებათ, ჩვენს ვარჯიშობას, ჩვენებურს ღროს გატარებას! ნუ დაევიწყოთ ჩვენს ხასიათს და ეეცადნეთ იმით შევათანხმოთ, დაუნათესავოთ ევროპული განათლება. ამგვარი ჩვენი მოქმედება, მეცადინეობა გააძლიერებს ჩვენს წინმსვლელობას, ზნეობით აგვაძაღლებს, ეს იქნება ჩვენი განახლება“.

ეს წერილი ჩვენ ერთი საკითხის საილუსტრაციოდ მოვიყვანეთ, მაგრამ სინამდვილეში იგი მრავალმხრივ არის საინტერესო. ამის საშუალებით შეგვიძლია ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ იმაზე, თუ რა მიაჩნდა მაჩაბელს ეროვნული კულტურის განვითარების

საფუძვლად, ან რა გზით უნდა წარმართულიყო ეს განვითარება, რა როლი აქვს საერთო-საკაცობრიო კულტურას ეროვნული კულტურის განვითარების საქმეში და, პირიქით, რა წვლილის შეტანა ძალუძს ცალკეული ერის სულიერ სიმდიდრეს საკაცობრიო კულტურის საგანძურში.

ამ წერილის უფრო ღრმა ანალიზს ჩვენ აქ შევეუდგებით, ყურადღება მივაქციოთ მხოლოდ წერილში ხშირად გამოთქმულ „ხალხს“ და „ხალხურს“. ეს სრულებითაც არ არის შემთხვევითი მოვლენა. აქ აშკარად ჩანს მაჩაბლის აზრი, თუმცა ძუნწად გამოთქმული, ხელოვნების ხალხურობის შესახებ, ხოლო ქვემოთ, როცა მაჩაბლის თარგმანების ანალიზს შევეცდებით, დავინახავთ, რომ შექსპირის პიესების გადმოტანის დროსაც ამ პრინციპით ხელმძღვანელობს იგი.

მანამ გაზეთის რედაქტორი გახდებოდა მაჩაბელი, „დროებაში“ და „ივერიაში“ აქა-იქ მაინც შეხედებოდათ მისი ხელმოწერით დაბეჭდილ წერილებს: უფრო ხშირად იგი ხელმოწერლად აქვეყნებდა მასალებს. ხელმოწერლად აქვს, მაგალითად, დაბეჭდილი „ივერიაში“ საინტერესო წერილები ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებაზე, რომლებშიაც ორიგინალური და საყურადღებო აზრებია გამოთქმული არა მარტო ამ მწერლების, არამედ საერთოდ ლიტერატურის შესახებ. ხოლო მას შემდეგ, რაც მაჩაბელი გაზეთის რედაქტორი გახდა, სავსებით გაქპრა მისი ხელმოწერით დაბეჭდილი მასალები. ამ დროიდან უკვე ყველა მასალასა და სტრიქონში უნდა ვეძიოთ მისი აზრი. ოღონდ აქ განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, რადგან ბანკის საქმეების გამო მაჩაბელს მოგზაურობა უხდებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და მაშინ ზოგიერთი მისი თანამშრომელი თავისუფლად გრძნობდა თავს, ისეთს რასმე გამოაქვეყნებდა ხოლმე, რაც მაჩაბლის აზრსა და ხასიათს სავსებით ეწინააღმდეგებოდა.

მაგრამ როცა თბილისში იყო, ხშირად მთელი გაზეთის შედგენა უხდებოდა. ამას თვითონვე წერს: „ვისაც ყოველდღიურ გაზეთში არ უშრომია, იმისთვის ძნელი წარმოსადგენია, როგორ ჰლუპავს და ნთქავს კაცის მთელ ძალას ნამეტნაეად მაშინ, როცა ყველასაგან მივიწყებული და შემწეობას მოკლებული გაზეთის რედაქტორი თითონა სწერს მოწინავე სტატიებს, ფელეტონსაც, ქრონიკასაც თითონ ადგენს და კორექტორის მოვალეობასაც თითონ ასრულებს“.

ეს სიტყვები რომ გადაჭარბებულად არ მოეჩვენოს ვინმეს, აქვე გავიხსენოთ ერთი ადგილი მისი კერძო წერილიდან დაეით მესხთან, რომელსაც მაჩაბელი გაზეთში სამუშაოდ იწვევდა: „...საქმე შემდეგი გექნება: სადილის უკან პირველი კორექტურის დაჭერა (მეორედ მე ვასწორებ)“. ან მაჩაბლისავე მეორე კერძო წერილიდან: „საქმე სულ მე დამაწვა კისერზედ თითქმის. კორექტურის გასწორება კი არ მაწუხებს, რადგან ამის იქით გადავწყვიტე კორექტურა მე თითონ ვასწორო“. ეს წერილები დათარიღებულია 1884 წლის ოქტომბრით.

იმ შემოსულ მასალებსაც, რაც უშუალოდ რედაქტორის ან მისი უახლოესი თანამშრომლების ხელით არ იყო დაწერილი, ძირფესვიანად გადამუშავება, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, ხელახლა დაწერა სჭირდებოდა. საინტერესოა პატარა მოგონება მაჩაბლის ერთი ახლობელი ადამიანისა.*

უფრო მოგვიანებით ვანოს თურმე უყვარდა რედაქციაში მომხდარი კურიოზების გახსენება. ერთხელ მასთან შედის რედაქციის თანამშრომელი და მაგიდაზე დადებს უკვე სტამბაში ჩასაშვებად გაშხადებულ მასალას — „რათ გაემგზავრა მუხთარ-ფაშა ვეროპაში“. ვანომ მასალა აიღო და დაკვირვებით წაიკითხა, მერე ისევე გადაიკითხა თავიდან და თანამშრომელს ღიმილით მიმართა: „იცი რა, ჩემო კარგო, მე მაინც ვერ გავიგე, რატომ გაემგზავრა მუხთარ-ფაშა ვეროპაში!..“ „ვერ გაიგეთ?.. — შეაწყვეტინა ავტორმა. — მართალი გითხრათ, მეც ვერ გავიგე“...

მაჩაბელთან შედის ცნობილი ფოტოგრაფი როინოვი და ხელნაწერ რეველს გადასცემს. ეს როინოვი, რომელიც ვანოსთან დაახლოებული იყო, თურმე ჩუმ-ჩუმად „მწერლობასაც“ ეწეოდა და ეტყობა, კარგი ურთიერთობით წათამამებულმა გადაწყვიტა ერთი თავისი პიესა მაჩაბლისათვის მიეტანა გაზეთში გამოსაქვეყნებლად. მაჩაბელმა წაიკითხა ამ ახალგამომცხვარი „მწერლის“ ნაწარმოები და ავტორს მიმართა: „წაიკითხე, ჩემი აზრი გაინტერესებს?“ „პო, — უპასუხა უცნაურმა მწერალმა, — მანამ დავებეჭდადე, თქვენი რჩევა მინდა. როგორც ხედავთ, პიესაში გამოყვანილი მყავს ოფიცერი, რომელიც სახლში შეუვარდება ერთ ქალს, ვისი ქმარიც საღლაც არის წასული. ვერ გადამიწყვეტია, როგორ აჯობებს ღრამის განვითარებისათვის —

* ეს მოგონება მაჩაბლის ცოლისძმას, გიორგი ბაგრატიონ-დაეითაშვილს ეკუთვნის და ამჟამად საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკაში ინახება.

შეეასრულებინო ამ ოფიცერს გულისწადილი თუ უკანვე გაეაბრუნო, პირში ჩალაგამოვლებული! როგორც მირჩევთ, ისე დაეწერ“...

ასეთი მოხალისე მწერლების მოშორება ძნელი არ იქნებოდა მაჩაბლისთანა პირდაპირი ადამიანისათვის, მაგრამ ზოგჯერ გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა ხოლმე რედაქტორი და მაშინ იძულებული იყო, თვითონვე ჩასჯდომოდა და ხელახლა დაეწერა სხვისი თხზულება. ერთ ასეთ შემთხვევას გადმოგვცემს მოგონებაში ილია ჭყონია. მაჩაბელი სახლში მიიპატიჟა ერთმა გავლენიანმა პირმა და დიდებულად გაუმასპინძლდა. ნაეახშმევს დიასახლისმა ღირსსყო სტუმარი თავისი თარგმანით დაეტკბო, ხოლო შემდეგ იმდენი თავმდაბლობა გამოიჩინა, რომ დასაბეჭდადაც შესთავაზა რედაქტორს. ეს იყო ერთი რუსული მოთხრობა, რომელიც პატივეცემულ დიასახლისს მოცალეობის ჟამს ეთარგმნა. მაჩაბელმა ჩამოართვა თარგმანი, და რომ გავლენიანი თანამშრომელი არ დაეკარგა — ხელახლა თარგმნა და დაბეჭდა. „მოხალისე მთარგმნელიც“ დიდად არ შეწუხებულა, როცა თავის გეარმოწერილი თარგმანი ვერ იცნო.

მაგრამ ასეთ ავტორებთან ურთიერთობის სიძნელე ერთი მხარეა. ახალი რედაქტორი სხვაგვარ უხერხულობაშიაც ბევრჯერ ჩაერდნოდა რედაქციის თანამშრომლების გამო. განსაკუთრებით ერთმა შემთხვევამ ააღელვა იგი.



ალექსანდრე ყაზბეგისა და ივანე მაჩაბლის ურთიერთობა თავიდანვე მეგობრულად წარიმართა. ისინი თბილისში სამოღვაწეოდ თითქმის ერთდროულად ჩამოვიდნენ და მაშინვე დაუახლოვდნენ ერთმანეთს. მაჩაბელი პატივისმცემელი იყო ყაზბეგის ნიჭისა და დიდ იმედებსაც ამყარებდა მის მწერლობაზე. ყაზბეგი ხშირად დადიოდა ხოლმე მასთან. სხვათა შორის, არტურ ლაისტსაც მაჩაბლის სახლში გაუცვნია იგი.

იქნებ შემთხვევითი არ იყოს ერთი ფაქტიც. ალექსანდრე ყაზბეგმა თავისი პირველი მოთხრობები „დროებაში“ გამოაქვეყნა 1880-81 წლებში. ეს ის დრო არის, როდესაც „დროება“-„ივერია“ შეერთებულა და მაჩაბელი გაერთიანებულ რედაქციაში მუშაობს. 1882 წლიდან, ჟურნალისა და გაზეთის გაყრის შემდეგ, მაჩაბელი

„ივერიაში“ მოღვაწეობს, როგორც ჟურნალის ერთ-ერთი ფაქტიური რედაქტორი, და ამავე დროიდან ყაზბეგის მოთხრობებს უფრო ხშირად ჩვენ „ივერიის“ ფურცლებზე დაბეჭდილსა ეხედავთ. 1883 წლიდან, მაჩაბელი „დროების“ რედაქტორია, და ამ პერიოდიდან ყაზბეგის მოთხრობებმა უმეტესად კვლავ „დროებაში“ გადაინაცვლეს!..

როგორც მოსალოდნელი იყო, მაჩაბელმა ჩაიბარა თუ არა რედაქცია, ყაზბეგს მოთხრობა სთხოვა. სანდრო იმ დღეებში ბათუმს მიემგზავრებოდა საგასტროლოდ, მაგრამ ვანოს როგორ გაუტეხდა ხათრს! ჯერ ერთი, ნაზი მეგობრული გრძნობით იყო მასთან დაკავშირებული და, მეორეც, დიდ სიამოვნებას გერიდა ხოლმე, როცა ეინმე მისი შემოქმედებით დაინტერესდებოდა; იქვე რედაქციაში დაჯდა და ახალი მოთხრობის წერას შეუდგა.

ვანო შორიდან შესცქეროდა ყაზბეგის მუშაობას და სახეზე ნადვლიანი ღიმილი უთამაშებდა. იყო რაღაც საოცრად მიშნიღველი ამ ტრაგიკულ ადამიანში და მაჩაბელი ერთდროულად პატივისცემითა და თანაგრძნობით იყო გამსჭვალული მის მიმართ; ხიბლავდა ყაზბეგის უშუალობა, თითქმის ბავშვური გულუბრყვილობა და ბავშვური სიფიცხე. ეს საოცარი ადამიანი, მამისეული ქონების გაფლანგვის შემდეგ, ახლა საკუთარ ნიჭსა ფლანგავდა, ფლანგავდა უწყალოდ, შეუბრალებლად. იგი მიმჯდარიყო რედაქციის ჭუჭყიან კუთხეში და თავისი ბეცი თვალებით ირგვლივ ვერაფერს ამჩნევდა, ვერაფერს ხედავდა... გარდა სპეტაკი თოვლით დაფარული ცადაწვდენილი მწვერვალებისა, რომლის ამწეანებულ კალთებს ცხერის ფარა შეჰფენოდა; გარდა აქაფებული თერგისა, რომელიც გიჟივით მოქპროდა და რაღაცას გაბოროტებით მიბუტბუტებდა; გარდა ნისლმობურული გორაკებისა; გარდა სპეტაკი ადამიანებისა, რომლებიც ამ ნისლმობურული მთების, თოვლიანი მწვერვალების, ციცაბო კლდეების სამკაულებად წარმოედგინა მწერალს... ეს ხალხი იღუპებოდა ბუნებასთან ჭიდილში, ბრმა ბედისწერასთან ბრძოლაში, დრომოჭმული ადათების მუხრუჭებში...

იჯდა ეს გასაოცარი ადამიანი და ტიროდა, წერდა და ტიროდა. მის დაჭიმულ ნერვებს ბევრი აღარ უნდოდა, კიდევ ცოტა დაძაბვა და ერთიანად დაწყდებოდა.

მაგრამ გვიანდაა, შეჩერება აღარ შეიძლება, — ფიქრობს უსიამოვნო წინაგრძნობით შეპყრობილი მაჩაბელი, — იგი ტრაგიკული ადამიანია, ვერაფერს უშეელი. მას სულს უხუთავს ეგოიზმით გაჟღენთილი გარემოცვა, ირგვლივ გამეფებული პატივმოყვარეობისა და ფუჭი

ზვიადობის თავგასულობა, ყოვლისმომსპობი უმადურობა და ცივი ცინიზმი, რომელიც ერთიანად აზრობს ყველაფერს, სიყვარულით აჩქაროლებულ სისხლსა ჰყინაეს... ცოტა რამ სჭირდება ახლა მას, ამ გაუბედურებულ ტალანტს; მას უნდა ალერსი, ალერსი და დაფასება...

პირველი თავი „ციციასი“ უკვე მზადაა. დასაბეჭდად უტოვებს ყაზბეგი მაჩაბელს და აღუთქვამს, რომ შემდეგ თავებს უკვე დაწერილს ჩამოიტანს ბათუმიდან, ან, თუ ჩამოსვლა შეაგვიანდა, ფოსტით გამოუგზავნის.

მოთხრობის პირველი თავი 24 მაისის ნომერში დაიბეჭდა, შემდეგ თავებს კი დააგვიანდა. მკითხველები მოუთმენლად მოელიან გაზეთის ყოველ ახალ ნომერს, რომ დანარჩენი თავები იხილონ (თავისი რამდენიმე მოთხრობით, და განსაკუთრებით, „ელგუჯათი“ ყაზბეგი უკვე პოპულარული მწერალი გახდა), მაგრამ მოთხრობის გაგრძელება არა ჩანს.

სამაგიეროდ, რამდენიმე ხნის შემდეგ იმავე „დროების“ ფურცლებზე, ზედიზედ რამდენიმე ნომერში, მათ წაიკითხეს საშინელი პასკვილი, ღვარძლითა და გაბოროტებით გაყვლილი ცილისწამება ალექსანდრე ყაზბეგის მისამართით. ამ წერილებმა საზოგადოების ერთ ნაწილში გაკვირება გამოიწვია, მეორე ნაწილში — ბოროტი ხითხითი, ხოლო მას, ვისი ნერვების დასაწიწქნადაც იყო გამიზნული ეს პასკვილი, მდუღარე ცრემლები მოსწყვიტა.

— ნუთუ მაჩაბელმაც გამწირა? — მესამედ ეკითხება თავს საბოლოოდ გულმოკლული ყაზბეგი, — საკვირველს ბედზედა ვარ გაჩენილი, ღმერთმა იცოდეს!.. რა უბედური ვარსკვლავი მიშუქებდა იმ დღეს?! რა უნდათ ჩემგან?! რა ვქენი ისეთი ცუდი, რომ ყოველგვარ სისაძაგლეს თავზე მახვევენ!..

ყაზბეგი მაშინ რას იფიქრებდა, რომ მაჩაბელსაც ცრემლები მოჰკვარა ამ პასკვილის წაკითხვამ, სიბრაზის ცრემლები!..

„...მგონი შენს წერილს ვგრეთი საქმე არ მოუვიდოდა, თუ რომ ეანო მაჩაბელი აქ ყოფილიყოს“... სწერდნენ რამდენიმე ხნის შემდეგ ყაზბეგს თბილისიდან. და ახლა ბავშვივით აღფრთოვანებული ყაზბეგი სიხარულის ცრემლებით უკითხავს ამ წერილს მომავალ დიდ მწერალს დავით კლდიაშვილს. „აკი ვამბობდი, ეანო ასეთ საქმეს არ გამიკეთებდა-მეთქი!..“

კარგა ხანს შეუგვიანდა სოფელში მაჩაბელს. ხოლო როცა თბილისში დაბრუნდა, დიდი უსიამოვნო ლაპარაკი ჰქონდა იმ წერი-

ლების ავტორთან, დავით კეზელთან.

ეს კაცი თავიდანვე არ მოსწონდა ეანოს, მაგრამ აქამდე იმიტომ ვერ მოიშორა, რომ უცებ შესაფერი შემცვლელი ვერ გამოჩნაბა. ღვარძლიანი კაცი იყო, ბოროტი და ეშმაკი. ილიასა და ეანოს შორის განხეთქილება რომ შენიშნა, მუდამ ილიას გინებაში იყო, ეანოს გასაგონად, როგორც კი მარჯვე დროს მოძებნიდა, ცდილობდა გესლიანი სიტყვა ეთქვა მასზე. მაჩაბელმა რამდენჯერმე აუკრძალა ილიას აუგად ხსენება, ბოლოს კი, მოთმინებიდან გამოსულმა, კატეგორიულად მოსთხოვა — ჭაეჭაეაძის სახელი ჩემთან ცუდად არ ახსენო.

ყაზბეგის საქმემ დააჩქარა კეზელის წასვლა რედაქციიდან, გაზეთის 5 სექტემბრის ნომერში იგი „გამოსათხოვარ“ წერილს ათავსებს:

„ბ. რედაქტორო... უმრავლესობა თქვენი გაზეთის მკითხველებისა, როგორც თქვენ თვითონ მარწმუნებთ, თურმე უკმაყოფილო დარჩენილა ჩემს მუდმივ თანამშრომლობაზე „დროებაში“... ჩვენ ერთმანეთს ხმები ვერ შევეწყვეთ... თქვენის გაზეთის ყოველის მხრით წარმატების მსურველი დავით სოსლანი (კეზელი)“.

10 სექტემბრის ნომრიდან კი მკითხველებმა ყაზბეგის მოთხრობის გაგრძელება მიიღეს.

„განშორების“ წინ კეზელმა „რაინდულად“ განუცხადა რედაქტორს — თქვენი გაზეთის წარმატების მსურველი ვარო, მაგრამ დიდი ხანი არ გასულა, რომ მან „დროების“ მიმართაც გადმონთხია ჩვეული ღვარძლი და გესლი. რედაქცია იძულებული გახდა გაზეთის ფურცლებზე გამოექვეყნებინა ამ ინტრიგანი ადამიანის დახასიათება.

მაჩაბელმა სასტიკად დასაჯა რედაქციის თანამშრომელი, რომელიც სახელს უტეხდა, შეურაცხყოფასა და ტკივილებს აყენებდა ისეთ სასიქადულო მოღვაწეს, როგორიც ალექსანდრე ყაზბეგი იყო. მაგრამ რომ უფრო კარგად დავხატოთ მაჩაბელი, როგორც რედაქტორი და როგორც ადამიანი, ზედმეტი არ იქნება, ერთი პატარა ფაქტი კიდევ გაეხსენოთ.

გაზეთის ერთ ნომერში, ილია ჭყონიას ფელეტონში, ალგორიულად გამასხარავებული იყო ოზურგეთის მაზრის უფროსი. სხვათა შორის, ეს ფელეტონი ერთ-ერთი საბაბი გახდა „დროების“ დახურვისა. წერილმა დიდი გამოხმაურება და აყალმაყალი გამოიწვია. მაზრის უფროსმა სასამართლოში იჩიულა და მთავარმართებელსაც სთხოვა

გამოსარჩლება. დაიწყეს გამოძიება, მოითხოვდნენ ფელეტონის ავტორს, რათა შური ეძიათ მასზე.

ერთი კერძო წერილით ვეგებულობთ, რომ მაჩაბელმა ფელეტონის ნამდვილი ავტორი არ დაასახელა და თვითონვე იკისრა ავტორობა. რედაქციის ერთ-ერთ თანამშრომელს იგი სწერს: „ჭყონიას წერილი მიეწერე და ვაცნობე, რომ საჭირო არ არის ვინმემ იკისროს ფელეტონის ავტორობა. მე თვითონ ვიკისრებ“.

ასეთი კეთილშობილი ბუნებისა და სამართლიანობისათვის მაჩაბელი ძალიან უყვარდათ რედაქციის თანამშრომლებს:

„...სანამ ვიცოცხლებ, ვერ დავივიწყებ იმ მოკლე ხანას, როცა ივანე მაჩაბლის ხელმძღვანელობით „დროების“ რედაქციაში ვმრომობდი, — წერს სერგეი მესხის ძმა დავითი, რომელიც სერგეის გარდაცვალების შემდეგ ვანომ კვლავ მიიწვია რედაქციაში სამუშაოდ, — მოკლე ხანს მარგუნა იღბალმა ჩემს ძმას სერგეისთან მუშაობაც. და თუ მწარე გულისკენესით მოვიგონებ იმ დროს, ამის შემდგომი ხანაც, იმგვარივე მოკლე და მცირე, ამაკენესებს ხოლმე, ვინაიდან სერგეის ნაჭირნახულევე საქმეს მართლაც რომ ღირსეული მემკვიდრე გაუჩნდა ვანო მაჩაბლის სახით... ერთი წამითაც არ მიგრძენია, რომ მე ისევე ჩემს ძმა სერგეისთან არ ვმუშაობდი“.

მესხის დაუცხრომელი მეცადინეობით თანდათანობით დიდდებოდა კორესპონდენტების ქსელი. მაჩაბელმა კიდევ უფრო გაამრავლა კორესპონდენტების რიცხვი. იგი ცდილობს ყოველ ნომერში მისცეს მასალები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან, გააშუქოს მთელი საქართველოს ცხოვრება, წარმოგვიდგინოს მთლიანი საქართველო, თავისი ისტორიით, დღევანდელი ცხოვრებითა და პერსპექტივებით.

„დროების“ პირველივე ნომრის მოწინავე სტატიიაში, ჯერ კიდევ 1866 წელს, რედაქცია მკითხველს მიმართავდა: „...გაზეთს ერთი იმისთანა მნიშვნელობაც აქვს, რომელიც არ უნდა დავივიწყოთ: გაზეთი აგროვებს და აკავშირებს მთელს ხალხს“.

მაჩაბელმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ამ საკითხს. იმ მრავალფეროვან მასალებთან ერთად, რაც მკაფიო წარმოდგენას აძლევდა მკითხველს საერთაშორისო მდგომარეობაზე, პოლიტიკაზე, მეცნიერებაზე და სხვა საჭირობოროტო საკითხებზე, გაზეთი სისტემატურად ბეჭდავს წერილებს საქართველოს კუთხეებზე, აცნობს მკითხველს მის ისტორიას, ეკონომიკას, გეოგრაფიას, ზნე-ჩვეულებებს... მაჩაბელი გრძნობს, რომ ეს ახლა უადრესად აქტუალურია; დროა გაერთიანდეს ფეოდალური ურთიერთობის

შედგად დაკნინებული და დაქუცმაცებული საქართველო. ეს საკითხი მუდამ აწუხებდა მანაბელს, დაწყებული იმ დროიდან, როცა პირველად შესდგა ფეხი საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე, სულ ბოლომდე, სიცოცხლის უკანასკნელ წლებამდე. მკითხველს ეხსომება მისი ერთი წერილი, რომელიც მან ჯერ კიდევ 1880 წელს გამოაქვეყნა. ამ წერილში იგი სასტიკად კიცხავდა ეიწრო კუთხურობას, „ძველი დროიდან მემკვიდრეობით მიღებულ“ ფეოდალურ პარტიკულარიზმს. ხოლო შემდეგ, დაღუპვამდე ორიოდე წლით ადრე, რაფიელ ერისთავის იუბილეზე წარმოთქმულ სიტყვას მანაბელი იმით იწყებს, რომ სიზარულს გამოხატავს — აქ ჩვენ დღეს საქართველოს ყველა კუთხის ხალხს ეხედავთ. აქ არიან აჭარლები, ხევსურები, ჩვენი ქვეყნის სხვა განაპირა მხრიდან ჩამოსული წარმომადგენლები!

„დროების“ ფურცლებზე ზედიზედ იბეჭდება ეთნოგრაფიული და ისტორიულ-პოლიტიკური მიმოხილვები სვანეთზე, აფხაზეთზე, ბოჭორმა-ერწოზე, გურიასზე, ოსეთზე, სამეგრელოზე... ქვეყნის დაქუცმაცებით მტერი სარგებლობდა ხოლმე. ასე იყო ყოველთვის საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. ასე ხდებოდა იმჟამადაც, როდესაც ცარიზმის თვითმპყრობელური პოლიტიკის გამტარებელი რეაქციონერები ცდილობდნენ ხელი შეეწყობთ საქართველოს დაქუცმაცებისა და დაყოფისათვის. ამ საქმისათვის განსაკუთრებული თავგამოდებით იღვწოდა ცბიერი პოლიტიკოსი, კაკაასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკი, რომელმაც შეპარვით, დიდი სიფრთხილით დაიწყო მოქმედება.

პირველად სიზარულით შეხედნენ იანოვსკის დანიშვნას, რადგან მან შესცვალა ნევეროვი, კაცი, რომელიც, როგორც სერგეი მესხი წერს, „თავის უმაღლესი თანამდებობის აღსრულების დროს უფრო სხვა მიზნებს მისდევდა, სწავლა-განათლების საქმის გარეშე მიზნებს... პოლიტიკოსმა დასძლია იმასში პედაგოგი, ნაციონალური ეიწრო მიზნების დევნამ დაავიწყა იმას ხალხის განათლების საქმე“.

მაგრამ ახალდანიშნულ იანოვსკისაც მალე მიუხედნენ, რომ ესეც „სწავლა-განათლების საქმის გარეშე მიზნებს“ მისდევდა, და ეს კიდევ უფრო ცბიერი პოლიტიკოსი გამოდგა. ამიტომაც იყო, რომ ჩვენმა მოღვაწეებმა ერთბაშად აღიმადღეს ხმა მისი „პედაგოგიური მიზნებისაგან“ საეხებით დაშორებული პოლიტიკის წინააღმდეგ.

გამოცდილი პოლიტიკოსის თვალმა ჩამოსვლისთანავე შენიშნა ყველაზე სუსტი ადგილი, საიდანაც შეიძლებოდა მოქმედების დაწ-

ყება, და სწორედ იქიდან დაიწყო. იგი მოითხოვდა სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის განდევნას, რადგან, მისი მტკიცებით, მეგრულს არაფერი საერთო არა აქონდა ქართულთან. მაგრამ რამდენჯერაც არ მოინდომა თავისი განზრახვის გატარება, იმდენჯერ მტკიცე წინააღმდეგობას წააწყდა და მოხერხებულად უკან დაიხია. ამ საგანზე ცნობილია სერგეი მესხის და ილია ჭავჭავაძის, აგრეთვე ჩვენი სხვა მოღვაწეების ენერგიული და დასაბუთებული გამოხვედრები.

1885 წელს მან, ეტყობა, ისევე მოინდომა თავისი ძველი განზრახვის გატარება. და ახლა უკვე „დროების“ ფურცლებზე ჩვენ ვხედავთ მაჩაბლის ენერგიულ პროტესტს, საფუძელიან, დასაბუთებულ გალაშქრებას, რომელიც ზედიზედ გრძელდება რამდენიმე ნომერში.

ეს გალაშქრება გამოიწვია ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორის ერთმა ცირკულარმა, რომელიც სენაკისა და ზუგდიდის სკოლების მასწავლებლებს შეეხებოდა. ცირკულარში, სხვათა შორის, ნათქვამია: „სამეგრელოს სასწავლებლებში და ამათში მოსწავლე მეგრელებისათვის სწავლა იწყება მეგრულს ენაზე კი არა, როგორც უნდა ყოფილიყო აღნიშნული, თანახმად უოფილის კაკეასიის მთავარმართებლის მიერ 1881 წ. იანვრის 13-ს დამტკიცებულის პლანისა ადგილობრივ მცხოვრებთა პირველ დაწყებით სკოლებისათვის, არამედ ქართულს ენაზე... შემდეგ, როდესაც იმავე სასწავლო პლანის თანახმად, იწყება სწავლა რუსული ენისა, სიტყვანი და ფრაზები, რომელნიც ბავშვს რუსულს სახელმძღვანელოში შეხედება, ითარგმნებიან ქართულს და არა მეგრულს ენაზე. ამრიგად, ხსენებულს სასწავლებელში მოწაფენი, ერთის ახალის ენის (რუსულის) მაგიერ, რომელიც აუცილებლად საჭიროა ისწავლებოდეს, როგორც სახელმწიფო ენა, სწავლობენ ორს ახალს ენას (რუსულსა და ქართულს)“.

ამით ხსნის დირექტორი სწავლის დაბალ ხარისხს და შენიშნავს — ის მოტივი კი ქართველი მასწავლებლებისა, რომ „მეგრულის ენით არ შეიძლება სწავლის დაწყება, რადგან ამ ენაზე მწერლობა არ არისო და ქართული ენა მეგრელებისათვის სჯულის განმანათლებელ ენად ითვლება და, მაშასადამე, ქართული ენის დაკარგვით მეგრელნი სარწმუნოებრივ შემეცნებასაც დაკარგავენო“, დაუსაბუთებელია, რადგან „შეიძლება რუსული ანბანის შემოღება მეგრულის მწერლობისათვის. რაც შეეხება მეორე საბუთს... საჭიროა ლოცვანი და საღმრთო ისტორია შეიძლება შესწავლილ იქნან რუსულის ენიდამ დედა-ენაზე თარგმნით და ახსნით... ქართულის ენის განდევნით

სამეგრელოს სკოლიდან, ეს სკოლები საკმაო დროს მოიგებენ“.

ამ ცირკულარმა, რომელიც ოფიციალურად იყო გამოქვეყნებული „ნოვოე ობოზრენიეში“, ხოლო შემდეგ „დროებაშიც“ გადაბეჭდა, დიდი აღშფოთება გამოიწვია. მაგრამ რომ უფრო დასაბუთებული და მომზადებული ყოფილიყო პროტესტი ასეთი პოლიტიკის წინააღმდეგ, მანაბელმა ხერხი იხმარა და ცირკულარის გადმობეჭდვამდე გაზეთში დაბეჭდა მოწინავე წერილი, რომლის სათაურია „მეგრელებისათვის ძალად „მზრუნველი“. სტატია, რომელიც მანაბლის კალამს ეკუთვნის, მიმართულია ალ. ცაგარელის წიგნის „Менгрельские этюды“-ის წინააღმდეგ.

ცაგარელის წიგნი, თავისთავად, წმინდა ენათმეცნიერული ხასიათისაა, მაგრამ იმ პირობებში, როდესაც ფიცხელი ბრძოლა გაემართათ სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის განდევნისათვის, განათლების საქმის მესვეურებმა, ეტყობა, ამ ნაშრომის თავიანთი მიზნებისათვის გამოყენება სცადეს. საინტერესოა მანაბლის ეს სტატია და ამიტომ დაწერილებით მოვიყვანოთ:

„იქნება ექესი-შეიდი წელიწადი, რაც ერთს ნემეცურს ჟურნალში, უცხოეთში მყოფობის დროს, შეგეხედა მცირე წერილი ხევსურებზედ. რა თქმა უნდა, ამ წერილს ისე დაეწაფებოდით, როგორც სასმელს წყურვილით დატანჯული, მაგრამ ბოლომდის რომ ჩავედით — გულმტკივნეულად წარმოვთქვით: „ღმერთო, დაგვიხსენ ამისთანა მეცნიერებისაგანო!“

„თბილისში თითქმის პირველ მეცნიერად ცნობილი ბ-ნი რადე მოუთხრობდა ნემეც მკითხველებს, რომ ხევსურები სრულიად სხვა ხალხია, ქართველებთან არავეითარი კავშირი არა აქვთ-რა და ამ ორს ხალხს ერთმანეთისა სრულიად არაფერი არა ესმის რაო. ამ დროს ხევსურეთში სასწავლებლები რომ ყოფილიყო, ბ-ნი რადე იმასაც გვეტყოდა, თუ როგორ სასარგებლო იქნებოდა ხევსურებისათვის, რომ თავიანთ სასწავლებლებში მხოლოდ ხევსურული ენა ესწავლათ და ქართულისათვის კი, როგორც უცხო ენისათვის, თავი დაენებებიათ.

„მერე, რად უნდა გაგვაკვიროს რადესა და ხევსურების ამბავმა; რადე უცხო ქვეყნელია, მხოლოდ ცოტათი იცნობს ჩვენს ხალხს და მოადრებულად რომ გააღვიძებოდეს სურვილი კავკაზიოლოგობის სახელის მოხეყვისა, — რა გასაკვირველია! გასაკვირველი ის უფროა, როცა ჩვენივე ქვეყნის შვილი მოგვითხრობს მეცნიერულის კილოთი უხამსს ვითომ ჭეშმარიტებას და თავის უმეცრებით ღირექტორობის

დიპლომს სწირავს ჩვენის ხალხის სხვადასხვა ნაწილების ერთობას. მეცნიერულ ბორძიკს ზოგიერთ ვითომ მეცნიერებისას რომ ზარალი არა მოჰქონდეს რა, იქნება ყური მოგვეყრუებინა და ხმა არ ამოგვეღო, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ იმისთანა მდგომარეობაში ვართ, რომ შეიძლება ვინმე პაიკის გონების პატრონმა არსებამ ეს ბორძიკი თავისთვის გამოიყენოს და მეცნიერულს გამოკვლევას უტყუარობის ბეჭედი დაასვას.

„კაკეასიურ ნებში ორი ისეთი ენა არ არის, რომელნიც მგერულსა და ქართულსავეთ ერთმანეთთან დაახლოებულნი იყვნენ. ჩვენ ლინგვისტი არა ვართ, „სამეგრელოს ეტიუდებს“ არ ვეწყობით, მაგრამ უბრალო ფაქტები ვიცით, რომ მგერული ენა ყოველთვის შეადგენდა და დღესაც შეადგენს საფეხურს ქართულის ენის შესწავლისათვის. მგერულები ორსა და სამს თეზედ სწავლობენ ჩინებულს ქართულს და ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა, ამ ორ ენას შორის რომ სრული „მამაშვილური“ კავშირი არ არსებობდეს...

„დიდებული ჭყონდიდის ეკლესია ითვლებოდა თითქოს ქართული მეცნიერების ცენტრად და თვით ჭყონდიდელსაც იმისთანა გავლენა ჰქონდა მთელს ქართველობაზე, რომ კმაროდა ეთქვათ: „ჭყონდიდელმა ბრძანაო“ და მისი სიტყვა სრულის ავტორიტეტის ძალას მოიპოვებდა.

„წელანაცა ვთქვი, რომ მგერულები თვითონვე კარგად გრძნობენ იმ კავშირს, რომელსაც ცრუმეცნიერები და ხალხის ცრუმზრუნველნი ვერას გზით ვერ შეარყევენ და ამ გრძნობას სასიამო შედეგიც მოსდევს. თითქმის დღითი დღე უკან და უკან იწეეს ის სამზღვარი, რომელიც ამ ორს ენას ერთმანეთთან ჰყოფდა, თუმცა კი გონებაგაღვიძებული საზოგადოებისათვის ეს სამზღვარი თავის დღეში არ არსებულა“...

იმავე ნომერში, რომელშიაც ეს სტატიიაა დაბეჭდილი, მაჩაბელი იწყებს ბოროზდინის მოგონებების ბეჭდვას — „სამეგრელო გუშინ“, და რამდენიმე ნომერში სამ-სამ მაღალ „სარდაფს“ უთმობს ამ საინტერესო ნარკვევს.

როგორც მაჩაბელი მოელოდა, სწორედ ისე მოხდა: ორიოდ დღის შემდეგ სამეგრელოს სხვადასხვა კუთხეებიდან იწყო დენა კორესპონდენციებმა, სტატიებმა, მოწოდებებმა... რომელთა ავტორები აღშფოთებით გამოდნენ იმ აზრს, თითქოს მგერული ენა ქართულის „ღვიძლი შეილი“ არ ყოფილიყოს. „მეცნიერება, როგორც თვით ჭეშმარიტება, სიცრუეს მგობრულად ხელს ვერ გაუწვდის. იგი ვერ შეითვისებს მას, თუნდ სიცრუე შეიქნეს ვისთვისმე

სასურველი“... წერდნენ ერთნი; „მგერული ენა რომ ქართული ენის ღვიძლი შვილია, ამაში შემოიტანს ეჭვს მხოლოდ ის, ვისაც მგერული ისე გაეგება, როგორც ბ. რადეს ხევსურული“, ეხმაურებოდნენ მეორენი. „რომელ ფილოსოფოსს მოუვიდა თავში მგერულისა და ქართულის ერთმანეთთან დაშორება? ჩვენ მგერელები, ნამდვილნი შეიღნი ვართ ქართველი ერისა და ჩენი ღედა ენა ქართულია... ეხ, ღვთის მადლით, როცა ჩვენ ყველანი, ფშაეიც, ხევსურიც, მგერელიც, კახელიც და ქობულეთელიც ღიდებულის რუსეთის მფარველობის ქვეშ შევეერთდით — ეხლა უფრო უნდა გაძლიერდეს ის გრძნობა, რომ ჩვენ ყველანი ერთს ერს შევადგენთ, ერთი ენა გვაქვს, ერთი და იგივე ცხოვრების საგანი, ერთი და იგივე დანიშნულება. როგორც ხევსური, ისე მგერელი ამაყობს საუკეთესო წამებით საქართველოს ისტორიისა... ვაი, საბრალო ის მეცნიერები, რომელსაც სურს დაუმტკიცოს მგერელებს, რომ თქვენი ქართული ენა თქვენი არ არისო. მებრალება, ჭეშმარიტად! მგერელებს ასე აღვილად ვერ გააბრიყვებენ“.

ზეღიზედ, გაზეთის სხეადასხვა ნომერში, გამოქვეყნდა მასალები, სადაც ცალკეული მგერული სიტყვები, გამოთქმები, ანდაზები შედარებულია ქართულთან, მსგაესების დასამტკიცებლად. მთელს ქვეყანას მოედო ეს ამბავი და ხალხი დაირაზმა ეროვნული ღირსებისა და ერთიანობის დასაცავად.

და მხოლოდ ამის შემდეგ გადმობეჭდა მაჩაბელმა თავის გაზეთში ზემოაღნიშნული ცირკულარი.



სამწუხაროდ, სავსებით შეუსწავლელია ჩენი იმღროინდელი პრესა და, მათ შორის, რა თქმა უნდა, მაჩაბლის „ღროებაც“. მისი საფუძელიანი ანალიზი მრავალ საინტერესო ფურცელს შემატებდა მაჩაბლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

მაგრამ ზოგადად მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ მაჩაბლის რედაქტორობის პერიოდში „ღროება“ გამოირჩეოდა შეუპოვრობით, სისტემატური და ენერგიული ბრძოლით გამძვინვარებული რეაქციის წინააღმდეგ, ცარიზმის იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ. დიდი რუსი მოაზროვნეების პროგრესულ იდეებზე აღზრდილმა

მაჩაბელმა თავისი მასწავლებლებისაგან ის განსაკუთრებული შეუპოვრობაცა და სიმძაფრეც შეისწავლა, რითაც ასე სახელგანთქმულია იმდროინდელი რუსული პროგრესული პრესა.

ივანე მაჩაბელი უკვე დიდი ჟურნალისტია — მრავალმხრივ განვითარებული, ენაწყლიანი, „ძაღლიანი კალმის პატრონი“, შეუპოვარი და ენერგიული. ამას აშკარად გრძნობენ მისი მკითხველები, როდესაც მათ „ყოველ დილით გაზეთის ახალი ნომერი მიერთმევიათ“. მაგრამ ის როგორღა უნდა იგრძნონ მკითხველებმა, რომ რომელიმე უფერული ქრონიკის მაგიერად, რომელიც, როგორც ცა და მიწა, ისე განირჩევა სხვა მასალებისაგან, აწყობილი და გამზადებული იყო დასაბეჭდად სულ სხვა მასალა — სტატია, რომელიც მოუწოდებდა ხალხს ერთიანობისაკენ, „საქართველოს ეროვნების აღსადგენად“; ან ისეთი წერილი, რომელშიაც მხილებული იყო მაზრის უფროსების თავგასულობა; მგზნებარე ლექსი, რომელიც ხალხს აჯანყებისაკენ მოუწოდებდა; სატირიკული სტრიქონები, რომელშიაც გამასხარავებული იყო ხელმწიფე იმპერატორი... და სხვა ისეთი „უსიამოვნო“ მასალები, რომელთა გამომწვეურება უხერხულად მიიჩნია ერთმა სახელგატეხილმა ორგანიზაციამ.

ამ ორგანიზაციის პირდაპირი სახელით ხსენებას მაჩაბელი ყოველთვის ერიდება და გაზეთის ფურცლებზე ხან უწოდებს „დაწესებულებას, რომელსაც გაზეთის მეთვალყურეობა აქვს ჩაბარებული“, ხოლო უფრო ხშირად მრავალწერტილით აღნიშნავს ხოლმე. ეს არის საცენზურო კომიტეტი, რომელთანაც ყველა მაშინდელ რედაქტორს, ხოლო მათ შორის უფრო ხშირად მაჩაბელს, დაუცხრომელი, მეტად მწვავე და რთული ბრძოლა ჰქონდა.

ეს ბრძოლა ორგვარი იყო — აშკარა და ფარული, და ხშირად ორივე სახე შეტაკებისა საკმაო კურიოზებით ხასიათდებოდა.

ჩვენ შეგვიძლია ზოგიერთი მოგონებიდან ასეთი სცენა გავაცოცხლოთ: საღამო ხანია. კვირამძალი. მრავალი წვალებისა და ჭაპან-წყვეტის შემდეგ საკვირაო გაზეთი უკვე გამზადებულია. ახალგაზრდა თანამშრომელი მხიარულ გუნებაზეა, სადღესასწაულოდ მოირთვება, ჩოხა-ახალუხში გამოეწყობა, რედაქტორთან შევა, რომ გათავისუფლება სთხოვოს და მუშტიადისკენ გაისეირნოს.

მაჩაბელი მაგიდას უზის და კორესპონდენციებს ათვალთვრებს შემდეგი ნომრებისათვის. ახალგაზრდა თანამშრომელს ახედავს, შეათვალთვრებს, გაუღიმებს, რაღაცის თქმას დააპირებს, მაგრამ ამ დროს კარი ყურთამდე იღება და ოთახში შევარდება გაცეცხლებული

ასოთამწყოები. ხელში წითელი ხაზებით აჭრელებული გაზეთის „ოტისკი“ უჭირავს და რჯულზე იგინება.

ცენზორმა ლუკა ისარლოვმა კვლავ შეაჩერა გაზეთი!

მაჩაბელი, საერთო სიფიცხის მიუხედავად, უფრო მშვიდად შეხედება ამ ამბავს, ხოლო „გასასიერებლად“ გამზადებულ ახალგაზრდას „დაცეცხლავს“, გაზეთს ხელს დააველებს და საცენზურო კომიტეტისაკენ გაეარდება.

ცენზორის პირადი მდივანი წამოღებება, რომ ამ სადღესასწაულოდ გამოწყობილ ახალგაზრდას თაეზიანად მოახსენოს — ლუკა სტეფანიჩი მოუცლელიაო, მაგრამ ამღერეულ თვალებს რომ წააწყდება, ცივად გადგება გვერდზე.

ვერ გაარჩევ, ისარლოვი დგას თუ ზის მაგიდასთან. ოთახში რომ შევიდა ჩვენი ახალგაზრდა ჟურნალისტი, მხოლოდ თავი დაინახა, მაგიდის იქითა მხრიდან ამოშვერილი, სუფთად გაპარსული მახინჯი თავი, რომელსაც ორი ფლიდი, გაიძვერული თვალი „უშმევენებდა“. ეს თვალები აქამღე ერთ წერტილს მისჩერებოდნენ ჭერში, ასლა კი სწრაფად იცვალეს მიმართულება და ახალშესულს მიამტერდნენ.

— აბა, ეგ წითელი მელანი იქით! აიღე შავი და ახლავე გაუშვი ეს ფელეტონი, თვარა!..

პირდაპირ საქმით დაიწყო ახალგაზრდამ.

ისარლოვს ორჯერ უფრო დიდი მოეჩვენა რევოლვერიცა და ხანჯალიც, რომლის ტარზედაც ამ უცნობ ახალგაზრდას ახლა მოუთმენლად დაედო ხელი.

— კაცო! შამილობაა?.. რა ამბავია?!

— შამილიცა ვარ და ქიარიმიც! უსისხლოდ აქედან არ წავალ! მალე, მალე. გაზეთს აგეიანდება!

ისარლოვს მკედრის ფერი დაედო, აცახცახებული ხელით აიღო კალმისტარი და ისე მოაწერა თავისი გვარი, რომ ცალი თვალი ხანჯლისათვის არ მოუშორებია. მერე კი, როცა აბეზარი ახალგაზრდა მოსხლეტით გაეარდა კარებიდან, დამფრთხალი ცენზორი კატიის ნაბიჯით მივიდა ფანჯარასთან და ქურღულად გადახედა ქუჩაში სწრაფი ნაბიჯით მიმავალ ჩოხოსანს.

ეს იყო ბედნიერი შემთხვევა, რადგან ლუკა სტეფანიჩმა, რომელსაც დაცინვით ლუკა ისარლოვის ეძახდნენ, ვერ იცნო ახალგაზრდა კაცი და, ცოტა არ იყოს, შეშინდა. ყოველთვის ასე ბედნიერად როდი მთავრდებოდა „შეტაკებანი“. ისარლოვი სიამოვნებას გრძნობდა ხალხის წვალებით და შეწუხებულ სახეს რომ დაინახავდა, ხით-

ხითებდა ხოლმე. „ნამდვილი ძველი დროის პოლიციელი იყო, — იგონებს ერთი თანამედროვე, — გულით გაქვეყებული, ჭკუით გამოფიტული; ვერც შენი პირველი სიტყვა, ვერც შენი სალი სჯა, ვერც ხეუნა და მუდარა ვერ მიადწევა იმის გულსა და ტვინს...“

როდესაც რედაქციის თანამშრომელი ვერაფერს გახდებოდა, თვით რედაქტორი ეწვეოდა ხოლმე საცენზურო კომიტეტს, და ეს იყო მეტად არასასიამოვნო სტუმრობა, რადგან სტუმარი საკმაო „არათავაზიანობასა და კადნიერებას“ იჩენდა.

მაგრამ ძალიან ხშირად არც რედაქტორის უშუალო ჩარევას მოჰქონდა სასურველი შედეგი და დასაბეჭდად გამზადებული გაზეთის გვერდები ხელახლა ირღვეოდა, გულმოდგინებით დაწერილ სტატიებს იღებდნენ და მკითხველთან ისევ და ისევ დასახიჩრებული გაზეთი მიდიოდა. ცენზურის მიერ საერთოდ აკრძალული მასალებიდან — 6/7 მხოლოდ მაჩაბლის „დროებაზე“ მოდიოდა, ხოლო 1/7 ყველა დანარჩენ ჟურნალ-გაზეთებზე!.. ასეთ შეუპოვრობას უსათუოდ ჰქონდა თავისი დადებითი მხარე, რადგან ცენზურას, ამდენი აკრძალვის მიუხედავად, მაინც ხშირად ეპარებოდა ხოლმე თავისთვის არასასურველი მასალები.

ცენზურასთან ბრძოლას ახასიათებდა მეორე, ფარული მხარეც და ეს გაცილებით უფრო რთული და საშიში იყო. ეს ბრძოლა, რედაქციის მხრით, მდგომარეობდა ნამდვილი აზრის შეფარვით გადმოცემაში, ქარაგმით წერაში, ისე, რომ მკითხველს „სტრიქონს და სტრიქონს შორის“ ამოეკითხა შინაარსი: „წერის დროს აქაური ცენზურა უნდა იქონიოთ სახეში“, ეკითხულობთ ერთ მაშინდელ კერძო წერილში, და ეს მთავარი მცნება მუდამ უნდა ხსომებოდა მაშინდელს ჟურნალისტსა თუ მწერალს.

განსაკუთრებით მკაცრი იყო ცენზურა სწორედ იმ წლებში, როცა მაჩაბელი გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე. ეს არის საშინელი რეაქციის პერიოდი, როდესაც მეფის მოკვლით შეშინებული და გაღიზიანებული თვითმპყრობელური მთავრობა ყოველ თავისუფალ აზრს ცეცხლით და მახვილით სღევენის. „აქაური ცენზურა свирепствует, — სწერდა თბილისის დროებით ჩამოსული ვასილ მაჩაბელი ნიკო ნიკოლაძეს, 1884 წელს, — ჩვენმა ლიტერატორებმა არ იციან რა ქნან, ისე ყოველ უბრალოზედ ხრიკს უღებს, როგორც იმერლები ამბობენ...“

საყურადღებოა, რომ ეს სიტყვები სწორედ ვასილ მაჩაბელს ეკუთვნის, რომელიც ყოველდღიურად ხედავდა თავისი ძმის საშინელ

შევიწროებას ცენზურისაგან. გ. ყიფშიძე წერდა ილია ჭავჭავაძეზე: „სხვათა შორის გული იმანაც გაუტეხა გაზეთზე (იგულისხმება გაზ. „ივერია“), რომ ცენზურა მაშინ ყოვლად სასტიკი იყო: არა თუ ცოცხალს სიტყვას, სურათიანს, ელვარე გამოთქმასაც გზა არ ეძლეოდა...“

ფარული ბრძოლის თავისებურება ცენზურის მხრით უნდა ვეძიოთ იმ საიდუმლო მიწერ-მოწერაში, რითაც საესეა არქივები. ეს მიწერ-მოწერა რედაქციების წინააღმდეგ არის მიმართული და ხშირად, ზემოთ რომ აეწერეთ, იმაზე არა ნაკლებ კურიოზულ ხასიათს ატარებს.

ეს მხარე ბრძოლისა ყველაზე უფრო საშიში იყო, რადგან რედაქტორებმა არ იცოდნენ, საიდან და რა ძალის შემოტევა მზადდებოდა, რომ დროულად და მომზადებულად დახვედროდნენ.

მაჩაბელმა არ იცოდა, მაგალითად, რომ იმ დღეს, როდესაც მან გორის სემინარიელებისაგან წერილი მიიღო, გორიდანვე საიდუმლო ბარათი მოუვიდა უფ. იანოესკისაც.

მაჩაბლის სახელზე მოსულ წერილს, რომელიც 1885 წლის 28 აპრილით არის დათარიღებული, აქვე მოვიტანთ:

„უფალო რედაქტორო!

„გორის სამასწავლებლო სემინარიის ქართველ მოწაფეებს მუქთად მოგედის „დროება“, რისთვისაც ფრიად მადლიერნი ვართ პატივცემული გაზეთის რედაქციისა. „დროება“ არის დღეს ერთადერთი ჩენი დღიური გაზეთი, რომელიც გვაცნობს ჩენი ქვეყნის აკარგს; დაშორებულებს გვაახლოებს ხალხის ცხოვრებასთან, დაფრინავს რა კუთხით-კუთხეს, სოფლით-სოფლად და ამგვარად ცოტად თუ ბევრად გაშაადებს ცხოვრებისათვის. უგნური და შეშლილი თუ უარპყოფს გაზეთის მნიშვნელობას, მაგრამ თქმულა: უბედურ კაცს ქვა აღმართში მისწევიაო“, ჩენთვის კი არსად სამარე, არსად სათხრელად ბარია, შოთასი არ იყოს.

„სიტყვა „უბედური“ საკეკლუცოდ, ფრაზის დასაშვენებლად წამოსროლილი არ გეგონოსთ... თქვენ ერთი ცენზორი მაინცა გყავთ, ჩვენ კი — ორმოცი, და „დროებამ“ ორმოცი ხელი და ათასი ობობას ქსელი უნდა გამოიაროს, ვიდრე ჩენამდის მოადწევდეს. დღეს მოსასელელს ნომერს დღეისსწორს მივიღებთ, და ისიც ათასში ერთიდა თუ შემოვარდება სემინარიაში მოსხლეტილ წეროსავით! ამას გარდა, როგორც ბრძანა მისმა აღმატებულებამ უ. კაკასიის ოლქის მზრუნველმა და გადასწყვიტა ჩვენმა პედაგოგიურმა კრებამ

(მოგეხსენებათ სემინარიას თავის „ქედაგოგიური კრება“ ახლავს, მასწავლებლებისაგან შემდგარი), ეხლა სრულიად უნდა აგვეკრძალოს ქართული წიგნების კითხვა და მათ რიცხვში „ღროებისაც“. ამიტომ გზავნა ამ ადრესით, რომლითაც აქამდისინ გეიგზავნიდით „ღროებას“, ჯერ პირველ მიზეზის გამო საგრძნობლად ჰკარგავს მნიშვნელობას, და თუ მეორე გარემოებასაც მოიგონებთ, მაშინ ხომ სულ უსაფუძველო იქნება. ამის გამოისობით აწითვან ვინძლო ამ ადრესით გეიგზავნოთ. В Гори, Виссариону Гогохия. ეს კაცი, როგორც კერძო პირი, გადმოგეცემს ხოლმე და ეშმაკებიც ვეღარ დაეპატრონებიან თქვენს ჩვენზედ ამაგს“...

იანოვსკიმაც გადაიკითხა გორიდან მის სახელზედ მოსული საიდუმლო წერილი და, გაბრაზებულმა, მდივანს მოუხმო; იმ მიმართების ასლები მოაძებნინა, რომელიც მან 3 და 13 თებერვალს საცენზურო კომიტეტეს გაუგზავნა. საცენზურო კომიტეტის საპასუხო მომართვაც ზედ დაურთო და გარეთ გამოვიდა მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ თვით მთავარმართებელს მოლაპარაკებოდა...

მანამ უფალი შზრუნველი მთავარმართებლის ნახვას მოახერხებდეს, ჩაუხედოთ იმ მიწერ-მოწერას, რაც თან მიაქვს შზრუნველს. გაეცნოთ თუნდაც 3 თებერვლით დათარიღებულ მიმართვის ასლს საცენზურო კომიტეტისადმი:

„Милостивый государь, Константин Васильевич! Газета «Дрозба» отличается постоянным вредным направлением для учащегося юношества, печатая статьи, заключающие извращенные сведения об учебных заведениях Кавказского учебного округа или неправильно объясняя распоряжения учебного начальства. Для примера я могу указать на №10 «Дрозба» текущего года, в котором, между другими ложными сведениями о распоряжениях учебного ведомства, высказывается порицание автору одного учебника за то, что он не сжег этого учебника, забракованного редакцией «Дрозба», а представил его на рассмотрение ученого комитета Министерства народного просвещения и теперь объявляет, что учебник его одобрен Министерством народного просвещения и может быть приобретаем для школьного употребления. Следовательно, редакция желает распространения в училищах только таких учебников, которые удовлетворяют ее целям, и стремится унижить в

მნიშვნელობა მათგან, რომლებიც ასეთი წიგნების დასრულებას უწყობენ. მათგან, რომლებიც ასეთი წიგნების დასრულებას უწყობენ. მათგან, რომლებიც ასეთი წიგნების დასრულებას უწყობენ.

Вместе с тем редакция «Дрозба» не ограничивается только печатанием подобных статей, но и бесплатно рассылает их по учебным заведениям для чтения учащимся, как В. П. изволите убедиться из прилагаемого печатного адреса, по которому «Дрозба» распространяется между воспитанниками Кутаисской учительской семинарии.

Таким образом, «Дрозба» намеренно стремится подорвать в учащихся доверие к устанавливаемым в учебных заведениях порядкам и развращает учащееся юношество.

Вследствие сего, имею честь покорнейше просить В. П. сделать распоряжение: а) о недопущении, на основании известного циркуляра Министра внутренних дел, печатания в «Дрозба» статей, содержащих неверные сведения об училищах Кавказского учебного округа и б) о воспрещении редакции «Дрозба» самовольного распространения издаваемой ею газеты между воспитанниками Кавказских учебных заведений; о последующем же меня уведомить, с возвращением приложения. С истинным уважением и совершенной преданностью имею честь быть В. П. покорнейший слуга К. Яновский“.

ახლა ისიც ვნახოთ, რა წერილი იყო დაბეჭდილი გაზეთის №10-ში, რომ „პოლიტიკაში გაურეველი“ და მხოლოდ და მხოლოდ „პედაგოგიური მოსაზრებებით“ აღჭურვილი მზრუნველი წონასწორობიდან გამოიყვანა და ისეთი საიდუმლო მიმართვები აწერინა, რაც მის თანამდებობასა და მოწოდებას სულაც არ შეეფერებოდა.

ეს არის სრულიად ჩვეულებრივი საკვირაო ფელეტონი, ისეთი, როგორიც გაზეთის თითქმის ყველა ნომერში იბეჭდებოდა; სახელმძღვანელოს საკითხს კი, რომელსაც კავკასიის ოლქის მზრუნველის ასეთი გულისწყრომა გამოუწვევია, უმნიშვნელო ადგილი უჭირავს ამ წერილში — აქ ლაპარაკია იმაზე, რომ ერთ ჩვენს მოღვაწეს შეუდგენია სახელმძღვანელო, მაგრამ სახელმძღვანელოს შემდგენელს მაინც არ უარუყვია „თავისი ნაყოფი“ და მისთვის „აუტოდაფე არ გაუმართავსო“. ეს არის და ეს.

მაგრამ ამავე წერილში სხვა რამეხედაც არის ლაპარაკი და სწორედ ამან გამოიწვია ოლქის მზრუნველის აღშფოთება. აქ

ლაპარაკია იმაზე, რომ... მაგრამ პირდაპირ მოვიტანოთ ეს ადგილი.

„...ერთს ახალ ქართველ მოღვაწეს, რომელსაც ერთ დროს ჩინებული ლიტერატორობის ხმა დაუყარეს, მიუღია ქართულის ენის მასწავლებლის ადგილი ერთ-ერთს ჩვენს სასწავლებელთაგანში. ამბობენ, ამ ლიტერატორს უწინ თავის დღეში ქართული არ უსწავლებია და თუ მიიღო ეს ადგილი, მიიღო იმიტომ, რომ პროგრამის შეცვლა მოიწადინაო. ჩვენ არ ვიცით, რა ნება ჰქონდა პროგრამის შეცვლისა იმისთანა პირს, რომელსაც თავის დღეში ქართული არ უსწავლებია, არც ის ვიცით, შეამოკლა ეს პროგრამა, თუ გააერთილა, მაგრამ ეს კი უფრო დასაჯერებელია, რომ ხსენებული პროგრამა შემოკლებულ და მოწონებულ იქნა, რადგან ეს პირი, თუ არ შემოკლებით, სხვაფრივ ვერ დაიმსახურებდა ესეთს უხვ წყალობას“.

აი, ამ აბზაცმა უფრო დასწვა პირი მზრუნველს.

ამავე წერილში კიდევ ერთი პატარა ცნობაა, რომელიც აგრეთვე არ ესაიძონებოდა ხსენებულ პირს. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ გაზეთმა „კავკაზმა“ გაილაშქრა ქუთაისში სემინარიის დაარსების წინააღმდეგ: რაღა საჭიროა ქუთაისში სასწავლებელი, როცა თბილისი და ქუთაისი „რკინიგზით არიან შეერთებულნი და ქუთაისელებს ამ გზით თბილისში შეიღების ჩამოყვანა არ გაუჭირდებათ“.

წერილის ავტორი კიცხავს „კავკაზის“ ასეთ გამოსვლას...

მაგრამ რაღა ეს ერთი წერილი!.. მარტო ამ წერილს კი არ აღუშფოთებია დიდად პატივცემული მზრუნველი და საცენზურო კომიტეტი, მათ აშფოთებდა საერთოდ გაზეთი „დროება“ და მისი შეუპოვარი რედაქტორი — მანაბელი; მოსვენებას უკარგავდათ მთელი მუშაობა და მიმართულება გაზეთისა, რომელიც სულაც აღარ ეუბებოდა არც საცენზურო კომიტეტსა და არც მმართველობას.

13 თებერვლის წერილში კი კავკასიის ოლქის მზრუნველი იმეორებს თავის აღშფოთებას გაზეთისა და მისი რედაქტორის მიმართ და ახლა იმასაც დასძენს, სარწმუნო ცნობებით გაზეთი უფასოდ ეგზანებათ საქართველოს სხვადასხვა სკოლებს, მათ შორის ხონის საოსტატო სემინარიის მოსწავლეებსო. მაგრამ ამასაც რომ თავი დაეანებოთ, — წერდა იგი, — საერთოდ მთელი მიმართულება და შინაარსი გაზეთისა ყოველად საშიში და არასასურველიაო...

ახლა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს მტკიცედ გადაუწყვეტია სერიოზულად მოელაპარაკოს მთავარმართველს და მათრახი საცენზურო კომიტეტსაც გადაჰკრას, რომელსაც ერთი

გაზეთის ალაგმვა ვერ მოუხერხებია. ამ კომიტეტის საპასუხო მომართვა, რომელიც ახლა მიაქვს შხრუნველს, ვერაფერი სანუგეშოა; აქ ისა სწერია, რაც ისედაც მშენიერად იცის უფალმა შხრუნველმა...

„Газета «Дрозба» с переходом в руки настоящего ее редактора кн. Мачабели стала обнаруживать явно несочувственное правительству направление и, несмотря на самое строгое и притязательное отношение цензуры к этой газете, редактор ее с упорством и настойчивостью продолжает представлять в цензуру такие статьи, которые, как ему хорошо известно, ни в каком случае не будут одобрены для печати. Насколько цензура требовательна к этой газете В. П. изволите усмотреть из такого факта, что по отчету за истекший год оказалось, что из числа всех задержанных по грузинской журналистике статей 6/7 приходится на одну газету «Дрозба» и только 1/7 на все остальные издания. Несмотря на все это, общее направление газеты представляется, как и В. П. изволили заметить, крайне нежелательным... Зная же общее направление деятельности кн. Мачабели и его убеждений, с полною уверенностью можно высказать, что пока во главе редакции «Дрозба» стоит кн. Мачабели, газета не изменит ни своего направления, ни тех приемов, которые ныне практикуются. В виду этого, комитет пришел к заключению о необходимости отстранить вовсе кн. Мачабели от редактирования газеты“...

ეს პასუხი სასწავლო ოლქის შხრუნველმა 22 თებერვალს მიიღო, ახლა კი აგერ მაისის პირველი რიცხვებია და მდგომარეობა ისევე უცვლელი რჩება, მაჩაბელი კელავ რედაქტორია და „დროებაც“ ძველებურად განაგრძობს „საშიში და არასასურველი“ სტატიების ბეჭდვას. მაგალითად, მთელი ის აურზაური სამეგრელოს სკოლებში ქართული ენის სწავლების შესახებ, სწორედ ამ პერიოდში, მარტის თვეში ასტეხა გაზეთმა. სკოლებში „დროების“ უფასოდ გზავნა თითქოს აკრძალეს, მაგრამ რა გამოვიდა, მოსწავლეები მაინც ლებულობენ და კითხულობენ გაზეთს! საცენზურო კომიტეტი თავს იმართლებს, ამ საქმეში კატეგორიულად ვერ ჩაეყრევით, რადგან ეს ჩვენ ფუნქციებში არ შედისო. საქმე ისაა, რომ მათ ამ საკითხის გამო ახსნა-განმარტება მოსთხოვეს მაჩაბელს, მაგრამ საკმაოდ მკვახე

და საოცრად დასაბუთებული პასუხი მიიღეს: გაზეთის გაერცვლება წმინდა კომერციული საქმეა და კომერციული საიდუმლოების გამჟღავნებას, კანონის ძალით (პასუხში მითითებული იყო სათანადო მუხლები), ვერ გვაიძულებთო...

სასწავლო ოლქის მზრუნველმა იმ დღეს ვერ მოახერხა მთავარმართებლის ნახვა, რადგანაც მას, წინააღმდეგობის ნაქეიფარს, კაბინეტშივე ჩასძინებოდა. ეს არც გაპკვირვებია მზრუნველს, რადგან ღუნდუკოვ-კორსაკოვი ქეიფის მოყვარული კაცი იყო და თითქმის სულ ლხინში ატარებდა დროს. რომ მოეხერხებინა ნახვა, მთავარმართებელი ალბათ აჩვენებდა საცენზურო კომიტეტის მომართვას, შედგენილს სასწავლო ოლქის მზრუნველისავე საიდუმლო წერილის საფუძველზე; ამ მიმართებაშიაც იგი ნაცნობ ფრაზებს ამოიკითხებოდა...

«...Пока кн. Мачабели стоит во главе редакции, газета не изменит ни своего направления, ни тех приемов, которые ныне практикуются... Редакция газеты с видимым упорством и настойчивостью продолжает вносить на просмотр цензуры статьи в том же духе, совершенно игнорируя делаемые ей цензурные указания. Обращаемые к редакции разного рода законные требования со стороны цензора или комитета, касающиеся издания, остаются без исполнения, иногда даже без ответа или же вызывают личную явку в канцелярию комитета редактора кн. Мачабели, который, делая те или другие словесные заявления, облакает их всегда в форму крайне неприличную и дерзкую»...

მთავარმართებელმა, თავის მხრივ, ასეთივე შინაარსის საიდუმლო წერილი, თითქმის ამავე სიტყვებით, შინაგან საქმეთა მინისტრს გაუგზავნა, პეტერბურგში. მაგრამ შინაგან საქმეთა მინისტრს „დროების“ „საშიში და მთავრობისათვის არასასურველი მოქმედებით“ რას გააკვირვებ, როდესაც პეტერბურგში მეფის მთავრობის წინააღმდეგე გაცილებით უფრო საშიში და არასასურველი გამოხვლებია!.. მინისტრი დარიგებას აძლევს მთავარმართებელს: გამოცდილებით ვიცით (ასეთი გამოცდილებით, ალბათ, მდიდარი იქნებოდა უფალი მინისტრი!..), რომ რედაქტორის შეცვლა ფაქტიურად არაფერს არა ცვლის, რადგან ახალი რედაქტორი ფიქტიური იქნება და სინამდვილეში ისევ ძველი რედაქტორი განაგრძობს

მუშაობასაო, — სწერდა მინისტრი, — ცენზურამ უნდა მოუჭიროს მუხრუჭი და გასაქანი არ მისცეს; მარტო ის სტატიები კი არ უნდა აუკრძალოს, რომლებშიაც აშკარად ჩანს მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ მძაფრი გამოხდომა, არამედ ისეთი მასალებიც, საცა გუმანით მიხედვებით, რომ არასასურველი აზრი იქნება გაპარებული. დასაბეჭდად გამზადებული გაზეთიდან სისტემატურად მრავალი მასალის ამოღება და შეცვლა კი ისეთ ზარალს მიაყენებს გამომცემელს, რომ იძულებული იქნება — ან მიმართულება შეაცვლევინოს გაზეთს, ან არადა მთელი შემადგენლობა რედაქციისა შესცვალოს.

მაგრამ ვიდრე მთავარმართებელი თავის მიმართვის პასუხს მიიღებდა პეტერბურგიდან, თითქმის მთელი ორი თვე გაეიდა. ხოლო ამ ხნის განმავლობაში ადგილობრივ მოხელეებს გულხელი არ დაუკრეფიათ — კვლავ გრძელდებოდა გაფაციცებული მიწერ-მოწერა „დროების“ მავნე და საშიში ტენდენციების შესახებ. ბოლოს და ბოლოს, ეს ფარული ბრძოლა აშკარა შეიქნა და მაჩაბელმაც იგრძნო მოახლოებული ქარიშხალი, რომელიც მის გაზეთს განადგურებით ემუქრებოდა.

„დროების“ მიმართულების შეცვლა თვითმკვლელობას ემგებანება, — ფიქრობს მაჩაბელი, — რაღა ფასი ექნება ისეთ გაზეთს, რომელმაც ლუკა ისარლოვიჩის დუდუკზე უნდა იცეკვოს!.. ასეთი გაზეთი გინდა პქონია ხალხს, გინდა არა; უარესიც არის, მკითხველს დააბნევს, ხალხში გაღვიძებულს გრძნობებსა და მისწრაფებებს დააჩლუნგებს!.. არა, ეს არ შეიძლება. უმჯობესია მე თვითონეე დაეთმო გაზეთი. ამით რამდენიმე ხნით მაინც მოტყუვდებიან!.. მაგრამ ვინ უნდა ჩაუდგეს სათაეში „დროებას“? ამის გადაწყვეტა კი მართლაც მძიმე გამოდგა. ძნელია საკუთარ პირმშოს გამოეთხოვო!..

მაჩაბელი არ დაიბნა. იგი უკვე გამოცდილი მოღვაწეა. შეტევა ხომ შეუპოვარი იცის, მაგრამ ახლა უკანდახევაც უსწავლია. ამჯერად მან თავისი სიფიცხეც დაკგმო და, თუმცა მის სიამაყეს თითქოს არ შეეფერებოდა ასეთი ნაბიჯის გადადგმა, საზოგადოებრივი ინტერესი ყველაფერზე მაღლა დააყენა და მოსალაპარაკებლად ილია ჭავჭავაძეს ეწვია. ასეთი დიდი ეროვნული საქმე არ შეიძლება ილიას ჩაურევლად გადაწყდეს.

მოლაპარაკება საქმიანი იყო და მხოლოდ და მხოლოდ გაზეთს შეეხებოდა. ურთიერთ შორის ძველ უკმაყოფილებათა გამო კრინტიც არ დაუძრავთ. საუბარს გაზეთის გამომცემელი ქართველიშვილიც ესწრებოდა. ილიამ მაშინვე გაითვალისწინა საქმის მთელი სე-

რიოზულობა და „დროების“ რედაქტორობა თვითონვე იკისრა.

შედგა არზა, მიმართვა, განცხადება და საცენზურო კომიტეტს წარედგინა. თავადი მანაბელი თვითონვე სტოვებს გაზეთს და მიღის. გამომცემელი ქართველიშვილი თანახმაა რედაქტორის გადადგომისა. თავადი ჭკეჭავაძე უმორჩილესად თხოულობს გაზეთ „დროების“ რედაქტორად დანიშნონ. გამომცემელი თანახმაა ამ დანიშნისა...

მაგრამ საცენზურო კომიტეტი არ გახდა ამის თანახმა. და ახლა ამაზედაც შეიქნა საიდუმლო მიწერ-მოწერა. ამას დაემთხვა მინისტრის ბრძნული რჩევაც — რედაქტორის შეცვლა ფაქტიურად არაფერს ნიშნავს.

გინდ მანაბელი ყოფილა და გინდ ჭკეჭავაძე, ამბობენ საცენზურო კომიტეტში. ფაქტიური რედაქტორი მაინც მანაბელი იქნება და მდგომარეობა ოდნეადაც არ შეიცვლება. ესენი ბანკშიაც ერთად მუშაობენ, ლიტერატურულ მოღვაწეობასაც ერთად ეწევიან, ერთი იღვის და მიმართულებისანი არიან!..

ჭკეჭავაძე არ დაამტკიცეს. ცენზურასთან ბრძოლამ ისევე ფარული ხასიათი მიიღო, საქმე ძველებურად წარიმართა. მანაბელი, რა თქმა უნდა, გრძნობს, რომ ამით ყველაფერი არ დამთავრებულა და განსაკუთრებული სიფხიზლით განაგრძობს მუშაობას. ახლა უფრო მეტად ცდილობს სტატიების ნამდვილი აზრი სტრიქონსა და სტრიქონს შუა გააპაროს. რას იფიქრებდა, რომ გამანადგურებელი დარტყმა იქიდან იქნებოდა, საიდანაც სულაც არ მოელოდა შემოტევას!..

გაზეთის დახურვა იმ „მაენე და საშიში“ წერილების გამო, რაც „დროების“ ფურცლებზე იბეჭდება, არ შეიძლება, კანონით არ არის გათვალისწინებული. ძალიან კარგი! კანონს მეორე მხარეც აქვს. და საცენზურო კომიტეტი გაფაციცებით ელოდება ასაფეთქებელ სტატიას. რედაქცია კი ასეთი ხასიათის „ასაფეთქებელ მასალას“ ყურადღებასაც არ აქცევს, რადგან არ იცის მისი ფეთქებადი უნარი.

დიდი ლოდინი არ დაჭირვებიათ. ასეთი მასალა მალე აღმოაჩინეს!..

3 ივლისის ნომერში დაიბეჭდა ილია ჭყონიას ზემოთ ნახსენები ფელეტონი, „გურიის ცხოვრებიდამ“, რომელშიაც გამოყვანილი იყო მექრთამე და ხალხის შემავიწროებელი ხოჯა და მოლა. ოზურგეთის მაზრის უფროსმა ვირუბოვმა ხოჯაში თავისი თავი იცნო და მაშინვე იჩივლა. სასამართლოშიაც აღძრა საქმე და მთავრობასაც მიმართა.

ეს პატარა, არცთუ ისე მახვილგონიერულად დაწერილი ფელეტონი გახდა „დროების“ დახურვის ერთ-ერთი უშუალო საბაბი,

მეორე საბაბი იყო თვით მაჩაბლის ფელეტონი, რომელშიაც ალეგორიულად ლოთი მთავარმართველი ღუნდუკოვ-კორსაკოვი იყო გამოყვანილი...

ზაფხულის მიწურულში მაჩაბელი კახეთს გაემგზავრა ბანკის საქმეებზე. გულდამშვიდებული იყო, მთავარი სტატიები, რაც მისი თბილისში არყოფნის დროს უნდა დაბეჭდილიყო, გამზადებული დატოვა. ქრონიკები და პატარა წერილები კი დავით მესხს მიანდო. და სწორედ მაჩაბლის არყოფნის დროს მოვიდა „დროების“ აკრძალვის საბედისწერო დეპეშა პეტერბურგიდან. დავით მესხმა მაშინვე რედაქტორს შეატყობინა ეს სამწუხარო ამბავი.

თავზარდაცემული მაჩაბელი დაუყოვნებლივ ჩამოვიდა თბილისში...

— Гадина! — (ასე ეძახდა იგი ისარლოეს), — მაინც გაიტანა თავისი?!

მაგრამ, რაღა თქმა უნდა, ყველაფერი ამოიყო. ქართული ხალხი მოაკლდა თავის გულითად მეგობარს, ჭირ-ვარამის გამზიარებელს, იმედსა და ქომაგს, მაჩაბელმა კი თავისი საყვარელი პირშო დააკარგა.

ის დღეები მართლაც გლოვის დღეებსა ჰგავდა. დავით მესხმა „დროების“ აბრას შავი არშია შემოაუღო... დიდ ხანს არ გაუვლია, რომ ბოქაული მოვარდა ქაქანით:

— რა ამბავია, ეს ძაძები რას ნიშნავს?

— რას უნდა ნიშნავდეს, გაზეთი მოკვდა და ეგლოვობთ!.. — უპასუხებს დავით მესხი.

— ახლავე ჩამოხსენით, მთავრობის ბრძანება აასრულეთ! მოკვდა! მოკვდა კი არა, ჩვენ ჩაეკალით!.. — ყვირის ცოფმორეული ბოქაული.

სამგლოვიარო ძაძები, ბოქაულის მოთხოვნით, ჩამოხსნეს, მაგრამ „დროება“ ძალიან დიდხანს არ გამოუგლოვიათ, მისი ნამდვილი ჭირისუფლის — მაჩაბლის სახელზე თვეების განმავლობაში მოდიოდა სამძიმრის დეპეშები და წერილები:

«Глубоко огорчены известием о закрытии «Дрозда», — სწერდნენ დეპეშით ერთნი.

«Все здешнее общество возмущено и опечалено горестным известием о закрытии единственной грузинской газеты»? — იწერებოდნენ ქუთაისიდან.

«Принимаю участие в общей нашей скорби»...

მაგრამ განა მარტო საქართველოს ქალაქებიდან, სამხიმრის წერილები მოდის რუსეთის სხვადასხვა კუთხეებიდანაც.

ოლქის უნივერსიტეტის სტუდენტები სწერენ მარხბელს: „14 ენკენისთვის ტელეგრაფმა მოგვიტანა შემადრწუნებელი ამბავი — ჩვენი ერთადერთი საქართველოს გაზეთი დაგვიხურეს. თავისი ოცი წლის პატიოსნურ სამსახურში ჩვენი სამშობლოსათვის „დროებამ“ მოიპოვა იმისთანა სიყვარული და პატივისცემა საქართველოს დიდიდამ პატარამდის, რომ ჩვენ ვერც კი წარმოგვიდგენია მისი დაკარგვა. ჩვენ აქ ქართველი სტუდენტები უუერთდებით დღეს თქვენ და საზოგადოთ საქართველოს მწუხარებას და გულწრფელად ვიესებით ზიზლით და მძულვარებით მათდამი, ვისაც ჩვენი დაჩაგვრა მიზნად აულია. მაგრამ იცოდნენ მტარვალებმა, რომ რაც უნდა მაგრად მოგვიჭირონ ხელი, მათ აღარ შეუძლიათ სამუდამოდ დააძინონ ჩვენი სამშობლოს ნელი აღორძინება, გაღვიძება. საქართველოს ძარღვმა დაიწყო მაგრად ცემა და მისი გაჩერება აღარ შეუძლია ჩვენი მტარვალების უკაზებს და დადგენილებებს. „დროებას“ დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი სამშობლოს აღორძინებაში — ყველა ჩვენი პოეტები, ლიტერატორები და საზოგადო მოღვაწეები იღებდნენ მასში მონაწილეობას. დიდება თქვენ და მათ, რადგან ამ დიდ შრომაში არაფერი დაბრკოლების წინ არ დაწეულხართ და არც აწი დაიწვიით“.

პეტერბურგიდან: „...ამ მოულოდნელი ამბის გაგონებამ თავზარი დაგვცა ყველას. თქვენი გაზეთი, რომელიც ოცი წლის განმავლობაში კეთილმწყემსობას უწევდა ჩვენს ობოლ ქვეყანას და საზოგადოებას, სამუდამოდ აუკრძალავთ... „დროება“ იყო ერთადერთი მეთვალყურე, გულშემატკივარი ჩვენი მკედარ-ცოცხალი ცხოვრებისა, მისი ინტერესებისა და წარმატებებისათვის გულწრფელი და პატიოსანი მებრძოლი. ჩვენ... სამუდამოდ მადლობელნი დავრჩებით „დროების“ იმ სამსახურისათვის, რომელსაც გვიწევდა იგი ჩვენ, სამშობლო არემარეს დაშორებულებს... ძალადობით სიკედილმა დღეს სამუდამოდ მოგვისპო „დროება“, მაგრამ ჩვენ სილაჩრედ მიგვანჩნია მომავლისადმი იმედის დაკარგვა. ვინუგეშებთ, რომ „დროების“ სახელის წარხოცით არ გაპქრება ჩვენში ის არსი, ის მიმართულება და სანატრიონი, რომელიც „დროების“ პატიოსან მუშაკებს ამხნეებდა და ახელმძღვანელებდა. ჩვენ გეწამს ჩვენი საზოგადო მოღვაწეების სიმედგრე“...

ეს — ოფიციალური სამხიმრები. მაგრამ ასეთივე განწყობილებას ვნახავთ, იმ დროს დაწერილ დღიურებშიაც რომ ჩავიხედოთ,

რომელიც, იგულისხმება, საკუთარ თავთან გულახდილ საუბარს წარმოადგენს.

„სადღა სიმართლე, ყველგან მეფობს უცნაური ძალა, — ვკითხულობთ ერთ დღიურში, — დღეს საქართველოსი ერთი უკეთეს გაზეითაგანი დაიხურა. ადვილი სათქმელია დაიხურა! ჩვენ კიდევ შეგვიძლია მაგისი ატანა, მაგრამ რაღა ეშველება იმათ, ვინც „დროებით“ იბრუნებდა სულს, ცხოვრობდა მისი ფურცლების ამბავით. სული ედგა მისი სიცოცხლით და დღეს, 16 სექტემბერს, ორშაბათს, „დროება“ აკრძალულია. მერე ნეტა კაცმა იცოდეს რა მიზეზით აკრძალეს. ეაქმე რა ბავშვი ვარ — აბა როგორ დამავეიწყდა კრილოვის სიტყვები: У сильного всегда безсильный виноват... აი გიდი, სად ხარ ხანჯალო და დროებაე, რომ ლუკა ისარლოეს არ გაუვლი გულში ყუყუტანებით!...“

„დროების“ დახურვამ იმაზე მეტად დაამწუხრა მაჩაბელი, ვიდრე ამას თვითონვე წარმოიდგენდა. გული მოუკედა, თითქოს ყველაფრის ხალისი დაკარგა და აპათიამ მოიცვა.

„დიდი შთაბეჭდილება იქონია ვანოზედ „დროების“ დაკეტვამ“... ასე ძუნწად წერს თავის მოკლე ბიოგრაფიაში ვასილ მაჩაბელი, და ამ მშრალი სიტყვების იქით იმალება მრავალი მწარე საათი, მოუსვენარი ღამეები, მდულარე ცრემლები, სულიერი ტანჯვა... უფრო მოგვიანებით ვანო მაჩაბელი თვითონვე იგონებს იმ შემთხვევას, როგორც „დიდ უბედურებას“, რამაც მას „ზნეობრივი ტანჯვა“ მიაყენა. „მიმუხთლა ბედმა, ორი წელიწადი ძლიეს დასცალდა ჩემს ხელში გაზეთს“... წერს იგი.

გულს ველარაფერს უდებს მაჩაბელი. მისი ტანჯვა და მწუხარება ორმაგია: ჯერ ერთი, მწარედ განიცდის გაზეთის დაკარგვას, რომელიც მან შეილივით შეიყვარა, შეისისხლხორცა და ურომლისოდაც, ამაში ახლა დარწმუნდა, ძალიან უძნელდება ცხოვრება; მეორე ის რომ, ოცი წლის ნაკედაე-ნაამაგარმა „დროებამ“ მის ხელში დალია სული, და მაჩაბელი სინანულის გრძობას მოუცავს — ნუთუ ვერ ეუპატრონე, „დედინაცვლობა“ გაუეწიე, და ჩემი უყურადღებობის და უტაქტობის გამო ხალხს „ერთადერთი მეთეალყურე და გულშემატკივარი“ დაეუკარგე!..

ასეთი მითქმა-მოთქმა გაჩნდა კიდევ უსაქმურ ხალხში, მაგრამ ის მაშინვე დათრგუნეს ჩვენმა ჭეშმარიტმა მოღვაწეებმა, რომელთაც გადაწყვიტეს შეემსუბუქებინათ მაჩაბლის მდგომარეობა და გაზეთის

* ვალერიან გუნიას დღიურიდან.

ვალი, რაც ახლა მის რედაქტორს დააწვა, ერთმანეთს შორის გაენაწილებინათ. რამდენიმე წლის შემდეგ ამას თვითონვე იგონებს მაჩაბელი:

„...გარდა ზნეობრივი ტანჯვისა, რომელიც მაშინ მე გამოვცადე, კისრად 9.000 მანეთი ვალი დამედო. გაზეთის დახურვის უმაღლეს 50-მდე პირი შეიყარა ბატონ იოსებ მელიქიშვილის სადგომში, ტფილისში, სოლოლაკზე, ამ საქმეზე მოსალაპარაკებლად. აქ დაესწრნენ თითქმის ყველანი ტფილისში მყოფნი, ვინც კი ჩვენს ლიტერატურასთან დაახლოებულია და გადასწვეიტეს ყოველთვიურ ჟურნალის „ივერიის“ ყოველდღიურ გაზეთად გარდაქმნა. აქვე ჩამოვარდა ლაპარაკი „დროების“ ვალზედ ჩემდა დაუკითხავად. ყველამ ერთხმად თქვა, ვე საზოგადო ვალია და საზოგადოებაზე უნდა გადაიხადოსო. რადგან გაზეთისათვის არის აღებული, რომელმაც მრავალი გაჭირვების დღე გამოიარა, გზა გაიკვალა, კითხვა მოთხოვნილებად გარდაქმნაო. კომიტეტი შეადგინეს, მოთავეობა იკისრა ილია ჭავჭავაძემ, სიებიც დასწერეს, ფულიც გააწერეს, ბეერს კიდევ გამოუცხადეს, შენ ამა და ამდენი უნდა უნდა მოგვცეო“...

მაჩაბელი თვითონ წინააღმდეგი იყო ვალის განაწილებისა. იურიდიულად მე მეკუთვნის ამ ვალის გასტუმრება და თანდათანობით გადავიხდი კიდევო — ამბობდა იგი. საბოლოოდ მაინც ასე მოხდა. კომიტეტმა ვერაფერი გააწყო და მთელი ვალი ისევე მაჩაბელს დააწვა, თუმცა როგორც ირკვევა, ილიას მეცადინეობა არ დაუკლია, რომ ის დიდი ვალი მარტო მაჩაბელს არ დასწოლოდა.

ილიას გარდაცვალების შემდეგ გაზეთმა „ნიშადურმა“ ერთი საინტერესო ცნობა და ილიას კერძო წერილი გამოაქვეყნა. ამ ცნობაში ვკითხულობთ: „დროების“ დაკეტვის შემდეგ დაე. მესხს დაავალეს, რომ ქუთაისში ინტელიგენციას მოლაპარაკებოდა, რათა ცოტათი მაინც მიშველებოდნენ იე. მაჩაბელს, რომელსაც „დროების“ დაკეტვამ მთავარმართებლის დუნდუკოვ-კორსაკოვის მიერ, დიდძალი ვალი დაადვა, მაგრამ ქუთაისში უარი თქვეს მიშველებაზე, რაიც დ. მესხმა ილიას აუწყა, ამის გამო ილია სწერს ამ გულისწყრომის წერილს“...

იმავე გაზეთში დაბეჭდილია ილიას წერილიც, რომელსაც აქ შემოკლებით მოვიყვანთ: „ბატონო დავით! თქვენმა წერილმა მეტად უსიამოვნო ამბავი მოგვიტანა. ჩვენ რა გადამხდელები ვართ გაზეთის ვალისაო, რომ უთქვამთ — ვერაფერი საბუთია. მაშ ალმართის მხენელმა ძალამ რომ კაცი გასრისოს, შეელა არ უნდა? ნუთუ

ყოველი მოღვაწე ღვთის ანაბარად უნდა იყოს ჩვენში მიგდებული? ნუთუ არაიის, ქვეყნისათვის მოღვაწეს, იმედი არ უნდა აქონდეს, რომ ფეხი წამასხლეტინონ, მოძმენი ხელს მომაწვდიან და ფეხზე დამაყენებენო?.. ასე თუ ისე, სამწუხაროა ის ამბავი, რასაც თქვენ იწერებით. მაგვარი სჯა და ლაპარაკი, რასაკვირველია, აქაც ხელს აგვიცრის, მაგრამ მაინც კიდევ ყოველს ღონისძიებას ვიხმართ, რომ აქ მაინც მოვაგროვოთ ფული. თუ ეს მოხდა, მაგალითი მაინც იქნება, რომ საზოგადოება უმწეოდ არ უშეებს უსამართლოდ დასჯილს... გთხოვთ ეს წერილი მე და თქვენს შორის დარჩეს.

თქვნი ილია ჭავჭავაძე“.

არც თბილისში აღმოჩნდა „მაგალითის მიმცემი“ ხალხი და მთელი ვალი ისევ მაჩაბელს დააწვა.

მაგრამ დავაკვირდეთ ამ წერილში ბოლო ფრაზას: როგორც დაეინახეთ, ილია ჭავჭავაძე გულით მონდომებულია ვალი მარტო მაჩაბელს არ დარჩეს გადასახდელი, იგი „ყოველ ღონისძიებას“ ხმარობს ფულის შესაგროვებლად, მაგრამ არ უნდა, რომ ამ საქმისათვის მისი მონდომება და შეცადინეობა გამეღვანდეს. „გთხოვთ, ეს წერილი მე და თქვენს შორის დარჩეს“, დაბეჯითებით თხოვს და მესხს. სიამაყე ნებას არ აძლევს ზედმეტი ყურადღება გამოიჩინოს იმ კაცის მიმართ, რომელთანაც კარგი ურთიერთობა შერყეული აქვს. მაჩაბელს კი, თავის მხრივ, გულის სიღრმეში სწყინს ილიას „გულგრილობა და უმოქმედობა“ ამ დიდი უბედურების დროს. სწყინს ილიას გულგრილი დამოკიდებულების გამო, თორემ სხვების დახმარების იმედი და სურვილი მას თავიდანვე არა აქონია.“ მაჩაბელი თავის თანამშრომლებისგანაც არ იღებს მათ მიერ ავანსად წაღებულ ფულს. „როცა კაცს ზღვა აღრჩობს, წყაროზე ფიქრი ამო არ იქნება?! — სწერს იგი თავის ყოფილ თანამშრომელს, — როცა რეაას-ცხრაასი თუმანი დამედო, შენი რამდენიმე მანეთი რაღა სახსენებელია, მერე იმისთანა მანეთები, რომელიც აუცილებელმა გაჭირვებამ აგაღებინა“...

მწუხარება ხშირად მტრებსაც კი დაახლოებს და დაამეგობრებს. ახლა ასე არ მოხდა. ილიასა და ვანოს უთანხმოების ნაპრალი ნაპრალოდვე დარჩა...

* ეახილ მაჩაბელი თავის ბიოგრაფიაში ილიასა და ვანოს განხუთქილების მიზეზად ამ ფაქტსაც ასახელებს.

სოფელში მოგზაურობამ თითქოს ცოტათი გაუქარვა დარდი. განსაკუთრებით სასიამოვნო იყო კოლაფაელენიში ილთან გატარებული დღეები ტყეიაეში. ვანოს ყოველთვის სიამესა ჰგერის ამ გულალალ კაცთან შეხვედრა და საუბარი. რა იქნებოდა, რომ ადამიანები ყველანი ასეთები ყოფილიყვნენ — პატიოსანნი, გულწრფელნი, უბრალონი და გულმხიარულნი!.. რაღაც უხილავი ძალა აკავშირებს მაჩაბელს ამ პატარა, უშნო, მაგრამ საოცრად მიმზიდველ კაცთან. როგორადაც არ უნდა იყოს დაღვრემილი, მისი მხიარული განწყობილება და გულწრფელი სიცილი გადაეღება ხოლმე.

ამჯერად კოლა ფაელენიში ილს თავისი პატარა, საწისქვილე მდინარე შლიუხებით შეეკუბებინა და დიდი ხელოვნური ტბა შეექმნა. აღრეული შემოდგომის მთეარაიან ღამეებში საამური იყო ამ შეტბორებულ მდინარეში ნავით სეირნობა. ნიავე არ იძროდა, გრილი ჰაერი შემოდგომის სიმწიფით იყო დამტკბარი, შორიდან მთელი თავიანთი სიღიადით იცქიერებოდნენ მთეარის შუქით გაბრწყინებული კაკასიონის თოვლიანი მწვერვალები... ზალიკო მაჩაბლის ტკბილი სერენადები აგვირგვინებდა ამ რომანტიკულ განწყობილებას...

სამიოდე დღე დარჩა მაჩაბელი ტყეიაეში, მაგრამ თითქოს მთელი წელიწადი დაესვენოს. გახალისდა. გამხიარულდა, საოცარი სიმხნე და სიმსუბუქე იგრძნო, თითქოს მკერდიდან მძიმე ლოდი მოეხსნათ...

ახლა კი იგი თავის მაგიდასთან ზის და ძველ ქალღლებს ათვლიერებს. ყოველ ფურცელს თავისი ისტორია აქვს და მაჩაბლის გონებაში ცოცხლდება ცალკეული ეპიზოდები. უსიამოვნო და დაძაბული დაეა ცენზურასთან; ასევე უსიამოვნო, მაგრამ სასაცილო საუბარი მემამულეებთან, რომლებიც ორატორულ ნიჭს არა ზოგავენ, რათა თავიანთი მამულები სამოთხედ დასახონ და უფრო ძვირად შეაფასებინონ; ძმის წერილები პეტერბურგსა და პარიზში გატარებულ დღეებს მოაგონებს; ეს სტატია — ხელთუბნელის ლექსების შესახებ — „ივერიაში“ დაბეჭდა და ახლაც ცოცხლად ახსოვს, როგორ მოუწონა ილიამ ბარათაშვილის პოეზიაზე გამოთქმული აზრები. მაშინ ილიასთან კარგი ურთიერთობა კქონდა!..

და ამ ქალღლების გროვაში მაჩაბელი უცებ წააწყდა ერთ პატარა ფურცელს, რომელმაც ერთბაშად გააკვირვა იგი. ეს ფურცელი არც ახსოვდა.

აი საკმელას-ბალახი: ეს ნიშნავს არ დამივიწყო. გთხოვ, ჩემო საყვარელო, არ დამივიწყო; აგერ კიდევ ქვეყნის-გულა, გულიდამ არ ამომიღო... აი კამა შენთვის და ღიღილოები... მინდოდა იაც მომეცა, მაგრამ სულერთიანად დაჭკნა...

მაჩაბელს ელიძემა. ეს არის ოფელიას სიტყვები და ეს პატარა ნაწყვეტი იმ ღამეს თარგმნა, იმ დაუვიწყარ ღამეს! ვანოს აგონდება პირველი შეხვედრები საფაროვის ქალთან, პირველი გულის აჩქროლება, პირველი სიყვარული, რასაც უმაღლეს მოჰყვამდეგაცრუება და მარცხი.

ქალის ქორწინებაც არ გამოდგა ბედნიერი, ორმა დიდმა მსახიობმა ხასიათი ვერ შეუწყვეს ერთმანეთს და რამდენიმე წლის შემდეგ ისე გაიყარნენ.

„როცა ამისი დრო დადგება, მე შევანსენებთ და სიტყვას არ გადახვიდეთ“, აგონდება მაჩაბელს ქალის სიტყვები. მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა. საფაროვის ქალის ნიჭი დღითი დღე იფურჩქნება. ქართულ სცენას ახალი ეარსკვლეაიც მოეწვინა — ლადო მესხიშვილი. უკვე დადგა ის დრო, რაზედაც მაშინ ლაპარაკობდნენ. ახლა ჩვენს დასს თავისუფლად შეუძლია შექსპირი წარმოადგინოს. დადგეს კიდევ „მეფე ლირი“. „კამლეტიც“ დადგეს, მაგრამ იმ თარგმანით აბა რა ნიჭი უნდა გამოავლინოს მსახიობმა. ამ დღეებში მესხიშვილის საბენეფისოდ ისე წარმოადგენენ „კამლეტს“...

მაჩაბელი შექსპირის ინგლისურ გამოცემას გადმოიღებს და დანიის პრინცის ცნობილ მონოლოგს გადაშლის „To be or not to be“ — ყოფნა?.. არ ყოფნა?.. ასე უნდა ითარგმნოს ეს ადგილი. ფურცელადის თარგმანში როგორ არის ეს მონოლოგი, ვანოს არ ახსოვს, მაგრამ მის თარგმანს საერთოდ აკლია შექსპირის ენის ლაკონიურობა და დინამიურობა. არც გასაკვირია, ფურცელაძე თარგმანებიდან თარგმნის, დიდი მწერლის ჯადოქრულ ენას ვერა სწვდება, მისი ფრაზის საოცარ მოქნილობას ვერ განიცდის. მაჩაბელს ბევრჯერ უფიქრია შექსპირის თარგმნის გაგრძელება, მაგრამ ყოველთვის რაღაც ელობებოდა წინ, რაღაც ბორკავდა. და ახლა, რამდენიმე წლის წინათ გადმოთარგმნილი ეს პატარა ნაწყვეტი რომ ნახა, ერთბაშად შეება და სიხარული იგრძნო. ეს პატარა ნაწყვეტი მის გულში ორ სიმს აჟღერებდა, ორ მიმქრალ გრძნობას აღვივებდა და აღანთებდა...

კარებზე ვიღაცამ დააკაკუნა. ოთახში შემოვიდა ახალგაზრდა მახიობი ვალერიან გუნია. ეანოსთან საერთოდ ხშირად იკრიბებოდნენ ხოლმე ახალგაზრდები და ახლა გუნიას უდროო სტუმრობა (ადრე დილა იყო) არ გააკვირვებია.

— კარგ დროს მოხვედით, სწორედ შექსპირი მქონდა გადაშლილი, ჰამლეტის მონოლოგს წაგიკითხავთ, — მიმართა ეანომ სტუმარს და სკამი დაუდგა.

გუნიას ეშმაკურად გაეღიმა, მაგრამ არაფერი უთქვამს, ყდაში აკინძული ქალღლები მაგიდაზე დადო და სკამზე ჩამოჯდა.

მაჩაბელმა ჯერ ინგლისურად წაიკითხა მონოლოგი და მერე ქართულად უთარგმნა. თარგმნა, რაღა თქმა უნდა, პროზით, თავისუფლად, მაგრამ პირველი სიტყვები სწორედ ისე დაიწყო, როგორც შემდეგ გახდა ცნობილი მისი თარგმანიდან — „ყოფნა?.. არ ყოფნა?..“ და ახალგაზრდა მსახიობს სახეზე მაშინვე სიხარულის ღიმილი მოეფინა. ეანოს ზეპირი, თავისუფალი თარგმანი უკვე გამოხატავდა დიდი ტრაგიკული გმირის სულიერ ტანჯვასა და განცდებს. ამ სახელდახელო თარგმანში მაჩაბელმა ზედმიწევნით შესაფერი, ლაკონიური გამოთქმები გამოურჩია ჰამლეტის განწყობილებას — „მოზღვაებული უბედურება, მჩაგრავი ბედი, ცხოვრების უკუღმართობა, ჟამთა სიმწარე, სიამაყის თავგასულობა“...

— არტისტს თავის ბუნებაში უნდა ჰქონდეს ცეცხლი, რომ მაყურებელს მსახიობის ცეცხლისაგან ცხელოდეს და მსახიობთან ერთად ისიც დაიფერფლოს, — ამბობს მაჩაბელი.

— ასეთი თარგმანით რა ცეცხლი უნდა გაუჩინო მაყურებელს? — ახალგაზრდა მსახიობმა თავისივე მოტანილი ქალღლები აიღო და რაღაცას დაუწყო ძებნა. ეს იყო ფურცელაძის მიერ თარგმნილი „ჰამლეტი“ და გუნია იმავე მონოლოგს ეძებდა, რაც მაჩაბელმა ახლა ზეპირად თარგმნა.

„სიცოცხლე თუ სიკვდილი? აი, რა არის საფიქრებელი — დაიწყო გუნიამ ფურცელაძის თარგმანის კითხვა, — რა უფრო პატიოსნურია: ის, რომ კაცმა აიტანოს მტრად აღჭურვილი განგების შეუბრალებელი დევნა და ჩაგვრა, თუ ისა, რომ კაცი ბრძოლად გავიდეს, შეჰმართოს ხელი და გაუმკლავდეს ამ ზღვათა აუარებელთა უბედურებათა! სიცოცხლის გათავება არის მხოლოდ მიძინება. ამასთან რაკი ესეც იცის კაცმა, რომ ყველა სულდგმულის ბოლო არის მაინც ეს მიძინება, ეს ძილი უღებს ბოლოს ათასთან სატანჯველთა და წამებათა, — ნუთუ

ამ დროს მოახლოვება და შეყრა არ უნდა იყვეს გულით სანატრელი ყოველი ადამიანისათვის?“...

მაჩაბელს გაეცინა. მართლაც როგორ უნდა გახსნას ამ თარგმანით მსახიობმა გმირის ხასიათი, როგორ უნდა გადმოსცეს შექსპირის მთელი სიღრმე და ვნებათაღელვანი?! ცოტა ხანს ჩაფიქრდა და მერე გუნიას მიმართა:

— მე თვითონ ვფიქრობ ამ ტრაგედიის თარგმნას, მაგრამ... თან მერიდება; მაშინვე მითქმა-მოთქმას დაიწყებენ, უკვე თარგმნილ პიესას რაღა ხელახლა თარგმნა უნდაო, ხომ იცი ჩვენი ხალხის მბაეი?!

— მართალი თუ გინდათ, თქვენთან დღეს მოგზავნილი ვარ: გვინდა, მესხიშვილს ბენეფისი რამდენიმე თვით გადაუადებინოთ, რათა იმ დროისათვის თქვენ „ჰამლეტის“ თარგმნა მოასწროთ.

— ვინ მოგაგზავნათ?

გუნიას პირდაპირი პასუხი არ მიუცია.

— ყოველ შემთხვევაში, თუ გადადება არ მოხერხდება, ოფელიას როლის თარგმნას საბენეფისოდაც მოასწრებთ!..

მაჩაბელმა ქალაღლის ფურცელს გადახედა მაგიდაზე, მაგრამ არაფერი უთქვამს...

მეორე დღეს უკვე მზად იყო ოფელიას როლი. მესხიშვილის საბენეფისო წარმოდგენა ფურცელაძის თარგმანით წაეიდა. მხოლოდ საფაროვის ქალი ასრულებდა ოფელიას როლს მაჩაბლის თარგმანით.

ძველი შეთანხმების მიხედვით, ოფელიას როლი ეანომ პირველად საფაროვის ქალს მიუტანა სახლში და წააკითხა. ეს არ იყო ტექსტის უბრალო გადაკითხვა, არც ჩვეულებრივი დეკლამაცია. პირველივე წაკითხვით ახალგაზრდა მსახიობი გენიალური ზედმიწევნობით გადმოსცემდა შეყვარებულისგან უარყოფილის, ცხოვრების უკუღმართობისაგან გაუბედურებული ახალგაზრდა ქალის მეტად რთულ განცდებს, რამაც ერთიანად შეარყია მისი ნაზი არსება და გაგიჟებამდე მიიყვანა. საფაროვის ქალი იჯდა, არც განძრეულა, ხელიც კი არ გაუქნევია, მხოლოდ ინტონაციით და განმაცვიფრებელი მიმიკით, მან ტექსტის უბრალო წაკითხვის დროს ოფელიას ბრწყინვალე სახე შექმნა. მაჩაბელი მოჯადოებულებით შეჰყურებდა ამ ხალასი ნიჭის მსახიობს, რომელსაც არამცთუ სპეციალური, ზოგადი განათლებაც კი არ მიუღია ხეირიანად, და მხოლოდ ნიჭით, საოცარი ინტუიციით წვდებოდა გენიალური მწერლის აზრისა და წარმოსახვის სიღრმეს...

გაცნობის პირველი დღეების შემდეგ მანაბელი ხშირად ხედებოდა ხოლმე საფაროვის ქალს, მაგრამ მასთან სიახლოვეს ერიდებოდა. ერთხელ მის საბენეფისოდ, საგანგებოდ, პიესაც კი თარგმნა, მაგრამ მივიწყებული სიყვარული აქამდე არ გაღვივებია. ახლა კი ერთბაშად მოედო პირველი სიყვარულის ალი. ეტყობოდა, რომ ქალი მას თანაუგრძნობდა, მაგრამ ცოლობაზე მაინც უარი უთხრა: „შენ თვითონაც ხომ იცი ჩვენი საზოგადოების ამბავი, გაგვივრცელებენ ჭორებს, უსამართლოდ გაგეციცხავენ, სიცოცხლეს გაგვიმწარებენ, აქ აღარ დაგვედგომება, შენივე ძმა არ მოგცემს ნებას, რომ გათხოვილი ქალი შეირთო“... ეუბნება ქალი, მაგრამ გაღვივებული სიყვარულით აგზნებულ მანაბელს არ სურს ამ მიზეზების მოსმენა. „წაიღეთ, გადაეიკარგოთ, აქაურობას მოეშორდეთ!“ — უპასუხებს იგი ქალს. „შეიდ წელიწადში ერთხელ მოგივლის ხოლმე სიყვარული!“, კე-კლუცად უსაყვედურებს ქალი. „შეიდ წელიწადში ერთხელ მაინც გამეხსნას ცა, ერთი ზღაპრისა არ იყოს“... უპასუხებს მანაბელი...

კვლავ გაიმართა ძმასთან გაცხოველებული მიწერ-მოწერა.* „პირველ აფეთქებას გონიერი კაცი არასოდეს არ უნდა აპყვეს, სერიოზული ნაბიჯი ცხოვრებაში მუდამ ფრთხილად უნდა გადადგა“... ასე გრძელდება ძმის მონოტონური დარიგებანი ყოველ წერილში. იგი კატეგორიულად წინააღმდეგია, რომ ეანომ გათხოვილი, შეიღებიანი ქალი შეირთოს. მანაბლის გატაცებას კვლავ შეეკვეცა ფრთები. მაგრამ საფაროვის ქალთან დაშორებას იგი მაინც ვერ ურიგდება, აუცილებელ მოთხოვნილებად ექცა მასთან სიახლოვე. და თითქმის ყოველკვირეულად ისინი ერთად კითხულობენ ახალ და ახალ ნაწყვეტებს „ჰამლეტის“ თარგმანიდან...



გაზეთის დახურვის მიუხედავად, მანაბელს მაინც ერთი წური თავისუფალი დრო არა აქვს. ცალკე ბანკის საქმეები, ცალკე „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდვა, ცალკე ახალი თეატრის მშენებლობისათვის

* ელენე ივანეს ასული მანაბლის გადმოცემით, ეს წერილები (რაც მ. საფაროვთან ურთიერთობის საკითხს ეხება) ცალკე ყოფილა შეკრული და ოციან წლებში დაკარგულა. მანაბლისა და მარიამ საფაროვის ურთიერთობის ამბავი გადმოცა აგრეთვე მსახიობმა დავით ჩხეიძემ, რომელსაც ეს ცნობები ამ გამოჩენილი მსახიობი ქალის პირადი ნაამბობიდან სცოდნია.

ყურისგდება და ხელმძღვანელობა, და ათასი სხვა საზოგადოებრივი საზრუნავი. „რომ იცოდე ჩემი მდგომარეობა, შეგებრალეები, — სწერს იგი თავის მეგობარს სწორედ იმ ხანებში, — დილის 7 საათიდან საღამოს 10 საათამდე მოსვენება არა მაქვს. ჯერ არის და, ამ თეატრმა „ზაქლა წაიღო“, იმდენი ხათაბალა სხდომებია; ახლა... „ეფეხისტყაოსანიცი“ იბეჭდება და ამ საქმის შესრულება სულ მე დამაწუა კისერზედ“...

„ოტელოს“ თარგმნა ნელი ტემპით მიმდინარეობს მოუცლელობის გამო; და ისედაც გულაცრუებული იყო მაჩაბელი, როცა ამ ტრაგედიის თარგმნა დაიწყო. გუნიაძე ძველ ხერხს მიმართა და „ჰამლეტის“ თარგმნის შემდეგ მაჩაბელს თავისივე თარგმნილი „ოტელო“ მიუტანა.

— აბა როგორ უნდა გაგვიცოცხლონ მსახიობებმა შექსპირის გმირები ჩემი უხეირო თარგმანით, — სიცილით მიმართა მაჩაბელს, — „ჰამლეტი“ ხომ გაცილებით ძნელი სათარგმნი იყო და დიდებული გამოვიდა, „ოტელოს“ მით უფრო ნაკლები დრო დასჭირდება!

მაგრამ მაჩაბლის დაყოლიება ახლა უფრო ძნელი გამოდგა.

— ჯერ „ჰამლეტის“ თარგმნა ვერ მომინელებია, შენ არც კი იცი, რა ამბავი გადამხდა მაგის გამო, — უპასუხებს იგი, — ფურცელადის მეგობრებს დღემდე ვერ მოუსვენიათ, ქვეყანა შემიყარეს, ჯვარზე მაცვეს — ერთი თარგმანი ხომ იყო, ჯგ თუ კარგი კაცია, მეორედ თარგმნას რაღად მოჰკიდა ხელიო... და ბევრი სხვა ამისთანები!..

ის კი აღარ უთქვამს გუნიაძისათვის, რომ ილია ჭავჭავაძეზუდაც ნაწყენი იყო. მას შემდეგ, რაც მაჩაბლის თარგმნილი „ჰამლეტი“ წარმოადგინეს, ილიამ რეცენზია გამოაქვეყნა თავის „ივერიაში“. შემსრულებლებს ამ რეცენზიაში იგი ცუდად ახასიათებდა, და თარგმანის შეფასებაშიაც სიძუნწე გამოიჩინა — „თვით პიესა საკმაოდ კარგად არის ნათარგმნი“... — ეს იყო და ეს, მეტი არაფერი ეწერა ამ რეცენზიაში თარგმანის შესახებ. და ეს მეტისმეტად ძუნწი შექება მაჩაბელს ეწყინა. სხვამ რომ თქვას ასეთი რამ, ყურადღებასაც არ მიაქცევს, მაგრამ ამას არ მოელოდა ილიასაგან, რომელმაც მშვენიერად იცის, რას ნიშნავს შექსპირის თარგმნა, და როგორი თარგმანით მიდიოდა აქამდე „ჰამლეტი“ სცენაზე. თვითონ ილია არ იყო, რომ „მეფე ლირის“ გამო ლამის მთელი ქვეყანა შესძრა?! როგორ უხაროდა, რა გატაცებით ეუბნებოდა ყველას — ჩინებულად ეთარგმნეთო! თუკი ვინმეს ინტერესს შენიშნავდა, მისთვის ცალკეული ადგილების წაკითხვასაც არ დაიზარებდა ხოლმე. ახლა რა მოხდა,

რადამ დაადუმა ილია? „კამლეტი“ ხომ გაცილებით უკეთ არის თარგმნილი?! ამას უბრალო გადაკითხვითაც ადვილად შენიშნავს კაცი. განა კერძო წყენა ლიტერატურაშიაც უნდა გადმოვიტანოთ?..

გუნია ვერ მიხვდა მაჩაბლის ჩაფიქრების მიზეზს და გულუბრყვილოდ უთხრა:

— ხალხმა ჩინებულად მიიღო პიესა, თქვენცა და მსახიობებიც ტაშით აგავსოთ.

მაჩაბელს გაეცინა, მოაგონდა პრემიერაზე როგორ აიტაცეს იგი ხელში მაყურებლებმა და სცენაზე აიყვანეს.

— ეს კიდევ არაფერს ნიშნავს, — მიუგო მან ნაღვლიანად, — ჩემი ნება რომ იყოს, სულაც აეკრძალავდი ტაშს. ჩვენი მსახიობები, სამწუხაროდ, ტაშისა და ვაშას ძახილით არიან გაფუჭებული. ყველა გადარეულია ტაშისათვის. ტაშის სიყვარული კი სწორედ უკულტურობას მოასწავებს...

საბოლოოდ, მაჩაბელმა მაინც დაიწყო „ოტელოს“ თარგმნა, მაგრამ თავდაპირველად არც ისეთი ხალისით მოუკიდნია ხელი და მოუცლელობაც აბრკოლებდა. მეგობრებმა იცოდნენ მისი მაშინდელი განწყობილება და წერილით ამხნეებდნენ: „მოათავე თუ არა ოტელო? გული არ აიცრუო“. „ოტელო გაუთაეებელი შემექმნა, მაგრამ იმედია მალე შევეუტევე ჩემებურად“, — წერილითვე უპასუხებს მაჩაბელი. ხოლო ეს „ჩემებურად შეტევა“ რას ნიშნავდა, ყველასათვის ცნობილი იყო.

მართლაც მალე დადგა „მაჩაბლისებურად შეტევის“ დრო. ეს გამოიწვია კოტე მესხის წერილმა, რომელსაც გაეგო, რომ ვანო „ოტელოს“ თარგმნიდა, და ქუთაისიდან უთელიდა, ჩქარა გადმომიგზავნე, ოტელოს თამაშს ვაპირებო.



„ოტელო“ მართლაც იმავე წელს წარმოადგინეს ქუთაისში, მაგრამ მაყურებელი უცნაური ამბის მოწმე გახდა. პირველმა ორმა მოქმედებამ კარგად ჩაიარა. ჩინებული იყო თვით კოტე მესხი, რომელმაც თავიდანვე მოხიბლა მაყურებელი.

სიდარბაისლით, ძლიერებით სახელგანთქმულნო,
კეთილშობილნო და სულდიდნო უფალნო ჩემნო!

მართალი არის, მე მოვტაცე ამ მოხუცს ქალი;
ისიც სწორეა, რომ მე იგი ცოლად შევიერთე,
ეს არის ჩემის შეცოდების თავი და ბოლო;
სიტყვა-პასუხი მკვახე მაქვს და კაზმულ ლაპარაკს,
შევიდობიანის დროს შესაფერს, მოკლებული ვარ...

ნაკადულივით მოჩხრიალებდა მაჩაბლის შესანიშნავი სტრიქონები. და სხვა მსახიობებიც, მიუხედავად იმისა, რომ ოდნაეადაც კი ვერ ხსნიდნენ თავიანთ როლებს, მაჩაბლისავე ენის წყალობით მაყურებელზე ცუდ შთაბეჭდილებას როდი სტოვებდნენ! დიალოგის ძაფი ისე ჯადოქრულად ჰქონდა მაჩაბელს გაბმული, რომ გამოთქმის არაგულწრფელობა, ინტონაციის უსწორობა და ფესტებისა და მიმოხერის უხერხულობა ისე აღარ ეჩოთირებოდა ხოლმე მაყურებელს.

...მხოლოდ ამას კი მოწინებით ვითხოვ მე თქვენგან,
რომ ჩემს მეუღლეს მისცეთ სარჩო-საცხოვრებელი
ისე, ვით ჯფერობს მაგის მაღალ შთამომავლობას.

ღირსეული თავდაჭერით მიმართავს ოტელო-მესხი ვენეციის მთაყარს.

გსურთ თავის მამის სახლში იყოს?

სასაცილოდ მაღალი ხმით ჰკითხავს მას ახმახი მთაყარი და ხელს არასაკადრისი თავაზიანობით მიუშვერს ქალის მამას — ბრაბანციოს.

ეგ მე არა მსურს.

არაბუნებრივად დაბოხებული ხმით უპასუხებს ბრაბანციო და რომ უფრო მეტი დამაჯერებლობა მისცეს თავის სიტყვებს, უარის ნიშნად, ხელს სამჯერ გაიქნევს პაერში.

არც მე მსურს.

ჩაურთავს გმირი სარდალი და ერთი ნაბიჯით უკან დაიხევს, ღებღემონას მიაპყრობს შხერას, მისგან მოელის საბოლოო სიტყვას.

არც მე, მამიჩემის სახლში ვერ წავალ!

იტყვის საბოლოო სიტყვას ღებღემონა და ოტელოსკენ გადადგამს ნაბიჯს.

მაყურებელი თითქოს ვერც ახმახი „მთაერის“ უცნაურად დაწვრილებულ ხმას და ხელის უხერხულ მოძრაობას ამჩნევს, ვერც ბრაბანციოს სასაცილოდ დაბოხებულ ხმას და ხელის ახირებულ საესავს... იგი მთელი გულისყურით ისმენს მაჩაბლის მიერ გადმოთარგმნილს, თავისი დინამიურობითა და ლაკონიურობით ბრწყინვალე დიალოგს.

დამთავრდა მეორე მოქმედება. ოტელომ დაიძინა, იავოს ჩაწვეთებულ შხამს ჯერ არ უმოქმედნია, მძინეარე ქარიშხლის წინ თითქოს უცნაურად დაწყნარდა ყველაფერი. და მაყურებელი მოუთმენლად ელოდება მესამე მოქმედების დაწყებას.

აიხადა კიდევ ფარდა. მაგრამ მსახიობებს უცნაური რაღაც დაემართათ! თითქმის ყველას ერთბაშად დაება ენა, ქართული დაავიწყდათ, უშნოდ ბლუყუნებენ, სანახევროდაც კი ვერ გაარჩევენ, რას ამბობენ. ახლა მათი უხერხული ხელის მოძრაობაცა და შეუფერებელი ღრიალიც ერთიორად შესამჩნევი გახდა...

გაზეთები ქებას უძღენიდნენ, და ისიც ძუნწად, მხოლოდ მესხს, დანარჩენის თამაშს იწუნებდნენ, თარგმანი... არ მოსწონდათ!..

მაჩაბელმა ბოდიშის წერილი მიიღო დაეით მესხისაგან — ჩემ გამო, თქვენ გაილანძღეთ, სწერდა იგი, ჩემმა თარგმანმა აღშფოთება გამოიწვია და თქვენ კი დაგბრალებათ.

საქმე ის იყო, რომ მაჩაბელმა მხოლოდ პირველი და მეორე მოქმედება გაუგზავნა კოტე მესხს. მეტის თარგმნა ვერ მოასწრო. დანარჩენი მოქმედებები კი დაეით მესხმა შეავსო და იმიტომაც იყო, რომ ასე უბოდიშებდა მაჩაბელს.

პასუხად ეანო სწერდა: „ტყუილად ბოდიშობ „ოტელოს“ შესახებ. თუ შეამჩნიე „ივერიის“ რეცენზიას, მარტო შენ არ დაგიწუნეს თარგმანი. იქ ამბობდნენ — თარგმანი მოითხოვარიკებდა (!!) განსაკუთრებით სამი უკანასკნელი მოქმედებაო. მაშასადამე, პირველი ორი მოქმედებაც მოითხოვარიკებდა, მაგრამ ნაკლებად, და პირველი ორი მოქმედება ხომ ჩემი იყო. რა გაეწყობა, ღმერთმა ქნას, „ივერიას“ უკეთ დაეწეროს და

უკეთესად ეთარგმნოს და ჩვენც ღმერთის მადლობა შევსწიროთ, ან რა გასაკვირველია, მჯობის მჯობი არ დაიღვეა“.

1888 წლის მარტში ცალკე წიგნად გამოვიდა „ოტელოს“ თარგმანი. საერთო მოწონებისა და სიხარულის მიუხედავად, მაინც აღმოჩნდნენ უმადური კაფხატონები, რომლებიც შხამს აწვეთებდნენ მაჩაბელს. ისინი გაიძახოდნენ — რა დროს შექსპირის თარგმანაა, მაგისტვის ვისა სცხელა, შექსპირის ტრაგედიები ვისა სჭირდებოა.

აღბათ ასეთი „მოსაზრებების“ საპასუხოდ იყო გამიზნული ალ. სარაჯიშვილის წერილი, რომელიც იმიტომაც იქნებოდა სასიამოვნო მაჩაბლისათვის, რომ „იუერიაში“ დაიბეჭდა: „ვერაინ იტყვის, ვითომ ამგვარი შრომა უდროყო იყოს ჩვენთვის, ვითომ ჩვენ მაგისტანა შრომისათვის არ გვეცალოს, ვითომ ეს ნათარგმანები არ გაერცელდებოდეს საზოგადოებაში“, — ეწერა ამ წერილში.

ეს სტატია იმითაც არის საინტერესო, რომ ჯერ კიდევ იმ დროს განსაკუთრებულ ხაზს უსვამს ორიგინალიდან თარგმნის უპირატესობას და, ამდენად, მაღალ შეფასებას აძლევს მაჩაბლის შრომას.

„ჩვენი საზოგადოება ნაკლებად იცნობს ევროპიულს მწერლობას და თუ იცნობს მცირედს ნაწილს, ისიც არა თვით იმ მწერლობის წყაროდან, — ვკითხულობთ ამ სტატიაში, — ჩვენს მწერლობაში აქა-იქ იპოვით თარგმანებს საუკეთესო ევროპულ მწერალთა, მაგრამ არ შეიძლება ვთქვათ, რომ ეს თარგმანები ნამდვილად ჰხატავენ როგორც თვით მწერლებს, ისე საზოგადოდ მთელს მწერლობას, რადგანაც ჩვენს მწერლებს უმეტეს ნაწილად თარგმანი თარგმანებიდან გადმოჰქონდათ და ამიტომაც დედანს აკარგვინებდნენ მიშხიდველს ძალას, სიღრმეს აზრისას, სიციხოველეს და სიმართლეს სურათებისას. მაშასადამე ჩვენ მოკლებული ვიყავით ერთს საუკეთესო სახსარს გონების და ზნეობის ამადლებისას... ბ-ნი მაჩაბელი შეუდგა უდიდესი პოეტის ნაწარმოებთა თარგმნას პირდაპირ ინგლისურის ენიდგან და წელს დაჰბეჭდა „ჰამლეტი“ და „ოტელო“ შექსპირისა. საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამ ორს თარგმანს სხვაეც მოჰყვება. შექსპირი მშვენებაა კაცობრიობისა და ყველა მწერლობისა და, მაშასადამე, იმის ნაწარმოებთა რივიანად გადმოთარგმნა აუცილებელი მოვალეობაა თვითულის მწერლობისა. მაჩაბლის შრომა პირველი ნაბიჯია სისტემატურის და შეუწყვეტელის თარგმანებისა და, უნდა ვთქვათ, სწორე ნაბიჯიც, რადგანაც თარგმანი კარგის ენით არის შესრულებული“.

„ჰამლეტი“ ზედიზედ ორჯერ გამოიცა — 1886 და 1887 წელს.

მაგრამ არც ამ ტრაგედიისა და არც „ოტელოს“ თარგმანის გამოსვლას სათანადოდ არაეინ გამოხმაურებია. ცხოვრების წერილმანებში ჩაფლულ საზოგადოებას მაშინ არც კი მოჰფიქრებია, რომ ამით იწყებოდა ახალი ერა ქართულს მთარგმნელობითს ლიტერატურაში; მტკიცდებოდა ნიადაგი ახალი ქართული სალიტერატურო ენისა, რომელსაც რამდენიმე ხნის წინათ ილია ჭავჭავაძემ ჩაუყარა საფუძველი, და მთელი ექვსი-შვიდი საუკუნის შესვენების შემდეგ, ღირსეული მემკვიდრე უჩნდებოდა ძველი დროის ჩვენს გამოჩენილ მთარგმნელებს.

თვითონ მაჩაბელიც ვერა გრძნობდა იმ დაუფასებელ ღვაწლს, რასაც იგი თავისი ლიტერატურული მუშაობით სდებდა სამშობლოს, და ათასი წერილმანი თუ მნიშვნელოვანი საქმეებით გართული, ყველაზე მცირე დროს თარგმანებს უთმობდა.

შვიდწლიანი ომი

*ჩემის ანგარიშით მე უნდა ვაჯობო,
მაგრამ ვერ წარმოიდგენ, პორაციო, გულს
რარივი დარდი შემომანწეა.*

ჰამლეტი

*გრც ხვენოდეს, გრც ხვენოდეს!
მეომარი და თრთოლეა!*

მაკბეტი

*დაჭრილი არ არის? ის შინ ყოველთვის
დაჭრილი ბრუნდება ხოლომე!*

კორიოლანოსი

ზამთრის მოკლე დღე შეუმჩნევლად გავიდა, ერთბაშად ჩამობნელდა. მაჩაბელმა საათს დახედა და მხოლოდ ახლა გაახსენდა, რომ სადილად ნიკო დიასამიძესთან იყო დაპატიჟებული. მუშაობაში გართულმა, ერთი პირობა თითქმის გადაიფიქრა კიდევ წასვლა,

მაგრამ საბოლოოდ მეგობრის წყენას მოერიდა, მით უმეტეს, კარგად იცოდა დიასამიძის ფიცხი ხასიათი. მაგიდაზე გაშლილი წიგნები ერთ კუთხეში მიალაგა და ერთხელ კიდევ დახუდა მელანშეუმრობელ ხელნაწერს.

შენი სტუმრები ვართ ამაღამ, მშენიერებით,
სიტურფით საესე ქალბატონო.

ამ სტრიქონებით მთაერდებოდა ბოლო ფურცელი. ეს იყო „მაკბეტის“ პირველი მოქმედება, რომლის თარგმნა სულ რამდენიმე დღის წინათ დაიწყო მაჩაბელმა. ეს ტრაგედია, „ჰამლეტსა“ და ოტელოსთან“ ერთად, მას გამორჩეულად უყვარდა და ხალისიანადაც წაეიდა საქმე. იმიტომაც იყო, რომ ახლა ენანებოდა მუშაობისთვის თავის დანებება. მაგრამ წაუსვლელობაც არ შეიძლებოდა, რადგან, მასპინძლის გარდა, მას ელოდებოდა თავისივე მეგობარი მიშო მაჩაბელი, რომელთანაც სახლში უნდა გაეელო ენოს და დიასამიძესთან ერთად მისულიყვნენ...

ეტლმა ვანქის საყდარს ჩაუქროლა და იქვე მახლობლად ერთ დიდ სახლთან შეჩერდა. ზამთრის პირობაზე, თბილი დღე იყო. წინაღამის გაყინული მიწა მზეს გაელხეო და ქუჩებში საშინელი ტალახი იდგა. უბნის პატარა ბიჭები ჭიშკართან შექუჩებულიყვნენ და ჭკუჭრუტანებიდან ცდილობდნენ დაენახათ და გაერკვიათ, რა სტადიაზე იყო ამჟამად ქეიფი. ცხენების ფეხის ხმაზე ისინი ერთბაშად შემოტრიალდნენ და ეტლს შემოეხევივნენ. ეტლიდან სწრაფად გადმოვიდნენ დაგვიანებული სტუმრები და სწრაფადვე შევიდნენ ეზოში. დიდი, გაჩახჩახებული დარბაზიდან შეზარხოშებული ხალხის ღრიანცელი გამოდიოდა.

მოკითხვის, დაგვიანებისათვის საყვედურის, მობოდიშების, დანაშაულის ხუმრობით ერთმანეთისათვის გადაბრალების შემდეგ მაჩაბლები სასტუმრო დარბაზში შევიდნენ.

საზოგადოება უმთაერესად ნაცნობი იყო, რადგან დიასამიძესა და მაჩაბლებს თითქმის საერთო ჰყავდათ ნაცნობ-მეგობრები. ასეთ დროს უცნობი სახე ყოველთვის ერთბაშად მოგხედება თვალში, და ეანო მაჩაბლის ყურადღებაც, ოთანში შესვლისთანავე, სამმა უცნობმა ქალმა მიიპყრო, რომლებიც ერთმანეთის გვერდით ისხდნენ, შესასვლელი კარების პირდაპირ. ქალები ერთმანეთს თვალსაჩინო მსგავსებით არ ჰგაეიდნენ, მაგრამ დაკვირებული კაცი,

საერთო იერისა და ერთმანეთთან დამოკიდებულების მიხედვით, მიხედვობდა, რომ დები იყვნენ. რომელი მათგანი იყო უფრო ლამაზი, ამის თქმა კი ძალიანაც დაკვირვებული რომ ყოფილიყო ადამიანი, მაინც გაუჭირდებოდა, რადგან სამივეს აქონდა ის თავისებური მომხიბლაობა, რაც პირველივე შეხედვისთანავე იზიდავს ხოლმე კაცს.

უფროსი და, რომელიც 26-28 წლისა იქნებოდა, მეზობელთან მუსაიფში იყო გართული. დაგვიანებული სტუმრების შესვლისას მან მხოლოდ ერთი წამით მოიხედა და ისევ განაგრძო საუბარი. სულ უმცროსი, რომელსაც მეოცნებე, ზღვისფერი თვალები აქონდა, შეკრებილ საზოგადოებას ათვალღერებდა ყმაწვილური უდარდულობით. იგი ჯერ იმ ასაკში იყო, როცა ქალმა თავისი სილამაზის ფასი არ იცის და დიდადაც არ აწუხებს — ლამაზი მოეჩვენება ხალხს, თუ არა. ახლა, მაჩაბლები რომ შემოვიდნენ, მან დაკვირვებით შეათვალღერა ორივე და საშუალო დას რაღაცა გადაულაპარაკა.

მაჩაბლის ყურადღება განსაკუთრებით შუათანა დამ, 21-22 წლის შავგერემანმა, თაფლისფერთვალა ქალმა მიიპყრო, რომელიც თითქოს სულაც არ ღებულობდა საერთო მზიარულებასა და საუბარში მონაწილეობას. მოწყვნილი იჯდა, თავი ჩაექინდრა და აშკარა იყო, რაღაც უხერხულობასა გრძნობდა, რადგან მხოლოდ ერთი წამით ასწია თავი დაგვიანებული სტუმრებისათვის შესახედად და მაშინვე ხარბად მიშტერებულ წვეილ თვალს წააწყდა. სახე ერთბაშად შეუფაკლდა და ისევ ჩაღუნა თავი.

ეს ქალი ვანო მაჩაბლისათვის თითქმის ნაცნობი იყო. მაჩაბელმა მისი ვინაობა არ იცოდა, თორემ ისე ბევრჯერ ენახა. ამ ბოლო თვეებში თითქმის ყოველდღიურად ხვდებოდა ქუჩაში, როცა სამსახურში მიდიოდა. ეტყობოდა, ქალი სადმე სწავლობდა, რადგან უფრო ხშირად ერთსა და იმავე ადგილას და ერთსა და იმავე დროს ხვდებოდნენ ერთმანეთს, თითქოს წინასწარ შეთანხმებულანო. ქალის მოხდენილმა აღნაგობამ, სილამაზემ, ეშხიანმა თვალებმა და კეკლუცმა გამოხედვამ პირველივე ნახვისთანავე მოხიბლა მაჩაბელი. თანდათანობით მათ შორის ისეთი განწყობილება დამკვიდრდა, როგორც ყოველთვის ასეთ პირობებში არის დამახასიათებელი; ძველი მეგობრებივით გაუხარდებოდათ ხოლმე ერთმანეთის დანახვა, მაგრამ მისალმების მაგიერად მხოლოდ გაეღიმებოდათ (ღიმილის შეკავებას ვერც ახერხებდნენ და, ეტყობა, არც ცდილობდნენ), ქალს ღაწვები შეუვარდისფერდებოდა და გამომწვევად დახრიდა

თავს. ისე შეეჩვიენენ ყოველდღიურად ერთსა და იმავე ადგილას შეხვედრას, რომ თუ მოხედებოდა და რომელიმეს შეაკვირებოდა, მეორე — თვალით ეძებდა ზოლმე. მაგრამ, როგორც ასეთ პირობებში გაცნობისას ხდება, ჩაუვლიდა თუ არა გვერდს მაჩაბელი ამ ქალს, მაშინვე მისი არსებობაც ავიწყდებოდა, სხვა დროს ერთხელაც არ მოკგონებია, რომ მისი ვინაობით დაინტერესებულიყო და გაეცნო; უბრალოდ, სიამოვნებდა ასეთი მშვენიერი ქალიშვილის დანახვა.

ახლა, ოთახში შემოსულმა, პირველად სწორედ ამ ქალს მოჰკრა თვალი და წამიერად თითქოს შედგა. ერთი წამით შეხედნენ მათი თვალები ერთმანეთს, ქალს ნაცნობი ღიმილი გადაეფინა სახეზე და, ვინ იცის, ღაწვებიც იქნება მაჩაბლის დანახვის გამო შეუფთავლდა და არა იმ ხარბად მიშტერებული წყვილი თვალის გაელენით...

სანატრელი სტუმრების შემოსვლამ შეზარხოშებულ საზოგადოებას სიხარული შემატა, მით უმეტეს სასურველი იყო ვანო მაჩაბელი, რომელსაც ყველგან, საცა უნდა მისულიყო, სიცოცხლე და მხიარულება შეჰქონდა. სუფრის ყოველ კუთხეში გამოინახა თავისუფალი ადგილი შემოსწრებულებისათვის, ყოველი მხრიდან თავისკენ ეპატიჟებოდნენ, მაგრამ მაჩაბელმა უცნობი დების შუაში ერთი თავისუფალი სკამი შენიშნა და სწორედ იქ ამჯობინა დაჯდომა. დიასახლისმა მას დები გააცნო: კნინა ნინო ბაგრატიონ-დავითაშვილის ასული წერეთლისა — კნიაზი ივანე მაჩაბელი; კნიაჟნა ანასტასია ბაგრატიონ-დავითაშვილი — კნიაზი ივანე მაჩაბელი; კნიაჟნა ბარბარე ბაგრატიონ-დავითაშვილი — კნიაზი ივანე მაჩაბელი.

ორიოდე წუთიც არ გასულა მაჩაბლის შემოსვლიდან, რომ მასა და ორ უმცროს დას შორის ტკბილი და ცოცხალი საუბარი გაიმართა, უპირველესად ყოვლისა, მაჩაბელმა სიხარული გამოთქვა, რომ დები ასე მშვენიერად ლაპარაკობდნენ ქართულს. დებმა იწყინეს მაჩაბლის ქათინაური. თქვენ ვინა გგონივართ, ბაგრატიონის ქალები ვართ, ქართლის გულიდან, რა გასაკვირია, რომ ქართული კარგად ვიცოდეთ. ვანო მათ უამბობს ზოგიერთი გამოჩენილი თავადიშვილის კურიოზულ სიტყვებს ბანკის საზოგადო კრებებსა და სათაედაზნაურო სკოლის კომიტეტის სხდომებზე, უყვება, თუ როგორ ამახინჯებენ ისინი ქართულ ენას. დები სიცილს ვერ იკაევენ. სიცილი მალე ხარხარში გადადის. მაგრამ ეს ხარხარი სხეებისთვის შეუმჩნეველი ხდება, საერთო ჟრიამულსა და სიმღერაში ინთქმება. ესმის მხოლოდ ერთ დიდ ჩინოსან სამხედრო პირს, რომელიც ვანოს პირდაპირ ზის; და

მასპინძელიც ამჩნევს, რომელიც ეანოსა და მისი თანამოსაუბრეების მხიარულმა განწყობილებამ რატომღაც შეაწუხა. იგი მათთან მიდის და ეანოს ყურში რაღაცას ჩასჩურჩულებს. მაგრამ მაჩაბელს კარგად არ ესმის, რას ეუბნებიან. არჩევს მხოლოდ ერთმანეთთან დაუკავშირებელ სიტყვებს — „უხერხულია... საგანგებოდ მოვაწყეთ... პოლკოვნიკი“...

— ვინ პოლკოვნიკი? — ხმამაღლა ჰკითხავს უკვე შეზარხოშებული მაჩაბელი.

მასპინძელი აღარაფერს უპასუხებს და, შეწუხებული, საჩქაროდ გაშორდება. ეანო კი მხოლოდ მხრებს აიჩეჩს და დაწყებულ საუბარს განაგრძობს.

იქნებ მაჩაბლისთვის გასაგები გამხდარიყო მასპინძლის სიტყვები, რომ თავი ერთთავად გვერდზე არა ჰქონოდა მიბრუნებული, ქალებისაკენ, და ერთხელ მაინც მის პირდაპირ მჯდომი პოლკოვნიკისათვის შეეხედნა, რომელიც აქამდე ხარბი თვალებით მიშტერებოდა ბაგრატიონის ქალს, ახლა კი, მაჩაბლის შემოსვლის შემდეგ, დაიბღვირა და დიდ ულვაშებზე ხელის ჩამოსმას უხშირა.

გარდა მაჩაბლისა, თითქმის ყველა იქ მყოფმა იცოდა, რომ ეს სადილი დიასამიძეს საგანგებოდ ჰქონდა მოწყობილი, რათა ერთმანეთისათვის დაეახლოვებინა პოლკოვნიკი არჯევანიძე და ანასტასია ბაგრატიონ-დავითაშვილის ასული. ამ საქმის სულის ჩამდგმელებისა და დიასახლისის მიერ ყველაფერი ისე იყო წინასწარ განზრახული და მოწყობილი, რომ პოლკოვნიკი კარგად დაახლოვებოდა სასურველ საცოლეს, ხოლო, თუ საჭიროდ დაინახავდა, თავისი გულის ხვაშიადიც გაემჟღავნებინა.

მანამ სადილს მიუსხდებოდნენ, ისა და ბაგრატიონის ქალი შემთხვევით განმარტოებული აღმოჩნდნენ ოთახის ერთ კუთხეში, მაგრამ ერთბაშად ენა დაება ამ გმირ მეომარს და ველარაფრის თქმა მოახერხა. ბოლოს, როცა ამჟამად გახდა, რომ უსათუოდ საჭირო იყო რაიმე ეთქვა, თორემ ქალს მოწყენილობისაგან საცა იყო მთქნარება აუტყვებოდა, პოლკოვნიკმა, როგორც იქნა, ენა ამოიღვა და იმპერიის სამხედრო ძლიერებაზე ჩამოაგდო სიტყვა. მაგრამ ქალს ინტერესი არ გამოუჩნია ამ საგნისადმი. მაშინ პოლკოვნიკმა თავს ძალა დაატანა, საუბრის თემა შესცვალა და ერთი ანეგდოტი მოიგონა, რომელიც მას დაბალი ჩინის ოფიცრისაგან ჰქონდა მოსმენილი. კარგად ახსოვდა, რომ ამ ანეგდოტმა პოლკში საერთო მოწონება დაიმსახურა და დარბაისელი გენერალიც ახარხარა. მაგრამ ახლა არავითარი ეფექტი

არა პქონია ანეგდოტს. ქალს თითქოს არც კი მოესმინოს. ანეგდოტი რომ დაამთავრა, თვითონვე აროსროხდა პოლკოვნიკი და ქალმაც მხოლოდ მაშინ გაიღიმა მოწყალებ. პოლკოვნიკმა იგრძნო აშკარა მარცხი, აიწურა და ერთბაშად დაშინდა. ხოლო როცა სუფრასთან მიიპატიჟეს სტუმრები და პოლკოვნიკსაც ბაგრატიონის ქალის გვერდით შესთავაზეს ადგილი, გამოცდილმა მხედარმა იგრძნო, რომ შეტევის გაგრძელებას ვეუქტი არ ექნებოდა: პირველი მარცხიანი შეტევის შემდეგ უკან დახევა და ახალი შეტევის მომზადება აჯობებდა. ამიტომ იგი ქალის პირდაპირ დაჯდა, რამდენადაც კი შეეძლო, მეოცნებე ადამიანის იერი მიიღო და თვალთა ისრებით დაუწყო თავის მსხვერპლს გმირვა.

მანამ მაჩაბელი შემოვიდოდა, პოლკოვნიკი კმაყოფილი იყო მეორე შეტევისა, რადგან ქალის დარცხვენა და თავის ჩაქინდერა მას გამარჯვების უტყუარ ნიშნად წარმოუდგა. გუნებაში თავსა კვიცხავდა, რომ პირველადვე ვერ აუღო ალლო ქალის ხასიათს და მასთან დაახლოება მოინდომა ლაზღანდარობით და გაცინებით, რაც სრულებით შეუფერებელი ყოფილა ამ მშვენიერი ქალიშვილისათვის.

მით უფრო დიდი იყო მისი გაოცება და სინანული, როცა მაჩაბელმა შემოსვლისთანავე გაამხიარულა ქალი და სადილის დამთავრებამდე გულიანად ახარხარა ისიც და მისი დაც. პოლკოვნიკი დაიბღვირა, გაიფხორა. მაგრამ რა უნდა ექნა, ვისი რა ბრალი იყო. საკუთარ თავზე მოსდიოდა გული. დაინტერესდა, ნეტა ასეთ სასაცილოს რას უამბობს მაჩაბელიო და, რამდენადაც საკუთარი ღირსება ნებას მისცემდა, სმენა გაამახვილა.

არაფერი სახუმარო ამ სიტყვებში არ ყოფილა, პოლკოვნიკს ღიმილიც კი არ მოჰგვარა, და საოცარი ის იყო, რომ ახალგაზრდა ქალები გულიანად იცინოდნენ.

უმცროსი და საკმაოდ გონებამახვილი და ეშმაკი აღმოჩნდა. მას არ გამოპარვია პოლკოვნიკის სულიერი განწყობილება და თითქოს მის ფიქრთა ღენასაც კი მიხვდა. გოგოლის ერთი გმირი გაახსენდა, ასეთივე მდგომარეობაში ჩაყარდნის, და გოგონას ეშმაკურად გაეცინა. «Надобно заметить, что люди степенные и занимающие важные должности, как-то немного тяжеловаты в разговорах с дамами; на это мастера господа поручики и никак не далее капитанских чинов. Как они делают, бог их ведает: кажется, и не очень мудреные вещи говорят, а девица то и дело качается на стуле

OT CMEXA». თითქმის ზეპირად ახსოვდა ეს ადგილი უმცროს დას და ახლა ტასოსაც შეახსენა. დებს კვლავ სიცილი აუტყდათ.

იმ დღეს ნათლილება იყო და სტუმრები სადილიდან პირდაპირ თავადაზნაურთა ტრადიციულ ბაღზე წასვლას აპირებდნენ. ამიტომ პოლკოვნიკ არჯევანიძის ბედზე სუფრა ადრე აიშალა. გაწბილებული სასიძო მაშინვე გაიძურწა, ხოლო მაჩაბელი ბაგრატიონის ქალებთან ერთად პირდაპირ ბაღზე წავიდა.

მთელი ღამე ერთად გაატარეს მაჩაბელმა და ტასო ბაგრატიონმა. მაჩაბელმა სიხარულით აღმოაჩინა, რომ ქალი საკმაოდ ნაკითხი და ლიტერატურის დიდი მოყვარული იყო. ქართველი მწერლებიდან იგი თავყანისმცემელი იყო აკაკი წერეთლისა. პირადი ნაცნობობაც კჳონდა აკაკისთან და ხშირადაც ხედებოდა მას თავისი სიძის — ბეჟან წერეთლის ოჯახში. ბეჟანის ბავშვებს აკაკი ნათლადა.

მაჩაბელს ჯიბეში აღმოაჩნდა აკაკი წერეთლის ახალგამოსული პოემა „თორნიკე ერისთავი“ და ქალს მიუძღვნა... ეს იყოს ჩემი პირველი საჩუქარიო, ასე უთხრა. ქალმა კეკლუცი მორცხვობით ჩამოართვა წიგნი და მადლობა გადაუხადა. საუბარი ბუნებრივად გადავიდა აკაკის პოემაზე, საქართველოს წარსულზე...

შუალამე გადასული იყო, როცა ბაგრატიონის ქალები სასტუმროში დაბრუნდნენ. უმცროსი დები დაღლილები იყვნენ და მაშინვე ლოგინში ჩაწვნენ. ბაბომ გაწბილებული პოლკოვნიკის დაბღვერილი სახე გაიხსენა და ახალგაზრდა ქალები დიდხანს იცინოდნენ. ბოლოს როცა დაჩუმდნენ, ბაბომ დას გადახედა და მთელი სერიოზულობით ჰკითხა — მაჩაბელმა რომ ხელი გთხოვოს, რას უპასუხებო...

ამაზე ტასოც ფიქრობდა კარეტაში, როცა ბალიდან ბრუნდებოდა, ფიქრობდა უფროსი დაც, მაგრამ თავიანთი ფიქრების ერთმანეთისათვის გამხელა ვერც კი მოასწრეს: მოვიდნენ თუ არა სასტუმროში, უმცროსი დები ლოგინში ჩაწვნენ, ხოლო უფროსი და, რომელსაც ახლობლები ნიცას ეძახდნენ, წინა ოთახში რაღაცას აკეთებდა...

ბაბომ დაფიქრებულ დას კითხვა გაუმეორა, მაგრამ ტასომ ვერც კი მოასწრო პასუხის გაცემა, რომ კარებზე კაკუნის ხმა გაისმა. შეშინებული ქალიშვილები ლოგინში გაინაბნენ და სმენა გაამახვილეს. პირველ დაკაკუნებაზე ნიცას პასუხი არ გაუცია, ალბათ იფიქრა, მომეყურაო, რადგან უკვე მესამე საათი იყო დაწყებული და არავის ელოდა. კაკუნი კვლავ განმეორდა, ახლა უფრო ხმამაღლა. ვინ არის?

დებმა უფროსი დის ცოტა არ იყოს მთრთოლვარე ხმა გაიგონეს, და პასუხიც მოესმათ, ოღონდ ბუნდოვნად. ყურს არც კი დაუჯერეს, რადგან გეარი, რაც უცნობმა წარმოთქვა კარებს იქით, „მაჩაბელს“ ჰგავდა. ქალიშვილებმა იფიქრეს, რაკი ახლა სწორედ მაჩაბელზე ვლასპარკობდით, ალბათ მოგვეყურო. უფროსი და, ეტყობოდა, დაიბნა, რადგან პასუხის გაცემა კარგა ხანს ვერ მოახერხა. მერე ახალგაზრდა ქალებმა ისევ გაიგონეს უფროსი დის ხმა, უცნაურ სტუმარს ბოდიშს უხდიდა — ამ შუალამეს როგორ უნდა მიგიღოთო. ქალებმა უკანა ოთახში ჩურჩული შექნეს და ამიტომ სტუმრის სიტყვები ვეღარ გაიგონეს. ეტყობოდა, სტუმარი დაბეჯითებით მოითხოვდა მიღებას, რადგან უფროსი და მცირე ყოყმანის შემდეგ შეპირდა, ცოტა ხანი მომითმინეთ: კარს გაგიღებთო. მან მოხურა ახალგაზრდა ქალების ოთახის კარი და სტუმარი მიიღო.

ლაპარაკი ძალიან ცუდად ისმოდა კარგამოკეტილ ოთახში, მაგრამ სმენაგამახვილებულმა დებმა უცნობიც იცნეს და ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზებიდან ისიც გაიგეს, თუ რა საქმეზე იყო იგი მოსული. ეს კაცი მართლაც მაჩაბელი აღმოჩნდა, მაგრამ არა ვანო მაჩაბელი, არამედ მიშო. საქმე კი, რისთვისაც იგი მოსულიყო, ვანო მაჩაბელს შეეხებოდა.

ივანე მაჩაბელი დის ხელსა სთხოვდა ნინო ბაგრატიონ-წერეთლისას. ქალისათვის საესებით მოულოდნელი იყო ეს და ერთ ხანს ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა. მერე კი, როდესაც ცოტათი გონს მოვეო, პირდაპირი პასუხის ნაცვლად, ასეთი აჩქარების მიზეზი ჰკითხა. სტუმარს გაეცინა და რაღაც უთხრა, მაგრამ ახალგაზრდა ქალებმა კარგად ვერ გაიგონეს მისი სიტყვები. იმასლა მიხედნენ, რომ ვანო მაჩაბელიც იქვე იყო თურმე, დაბლა, ქუჩაში იცდიდა.

პატარა ოთახის ფანჯრები სწორედ ქუჩაში გადიოდა. საპატარძლოს ქალურმა ცნობისმოყვარეობამ დასძლია, ლოგინიდან გამოძვრა და ფეხაკრეფით მივიდა ფანჯარასთან. შეორთქლილი მანა ხელით გადასწმინდა და ქუჩაში გადაიხედა. კაცის ჭაჭანება არ იყო. ეორონცოვის ხიდის თავში მბეუტაეი ფარანი მკრთალად ანათებდა იქაურობას. დიდხანს იყურებოდა ქალი ქუჩაში, მაგრამ ვერაინ შენიშნა. მერე მოშორებით თვალი მოჰკრა მომადლო კაცის ფიგურას, მაგრამ ამ დროს მეორე ოთახში სტუმარი წამოდგა, ეტკობოდა წასასვლელად მოემზადა, და ახალგაზრდა ქალიც სწრაფად მოშორდა ფანჯარას.

ნიცა პატარა ოთახში შევიდა, ტასოს მოეხვია და ცრემლმორეულმა კოცნა დაუწყო.

— ტასო, ჩემო საყვარელო გოგონა, რა ბედნიერი ყოფილხარ!..

ყველაფერი უცებ მოხდა, „მანაბლისებურად“. მეორე დღესვე მაჩაბელმა ქალის თანხმობა მიიღო, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ წმ. ნინოს კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტის კარის პატარა ეკლესიაში იგი ბაგრატიონის ქალის გვერდით იდგა, ხელში სანთელი ეჭირა და, ჯვრისწერის ცერემონიალით გაბრუებული, ყურს უგდებდა მღვდლის მონოტონურ სიტყვებს: „დაიწინდვის მონა ღვთისა ივანე და მხევალი ღვთისა ანასტასია; დაიწინდვის მხევალი ღვთისა ანასტასია და მონა ღვთისა ივანე; დაიწინდვის მონა ღვთისა“...

ივანე მაჩაბელი ჯვარს იწერდა ანასტასია ბაგრატიონ-დავითა-შვილის ასულზე...

ახლა გავიცნოთ მაჩაბლის მეუღლის ოჯახი და გარემო, რომელშიაც ის იზრდებოდა.

ალექსანდრე ბაგრატიონ-დავითაშვილი ერთ—ერთ დიდმემამულედ ითვლებოდა მთელს ქართლში. მისი გაელენის სფერო ისედაც ვრცელი იყო, ხოლო დიდი და გაელენიანი გვარის ქალის შერთვამ სიმდიდრეც შემატა და სახელიც. ბატონყმობის გადავარდნამდე ეს დიდი მემამულე მშვიდად და განცხრომით ცხოვრობდა, თვალუწვდენელი მამულები, თავისი ზერებითა და ბაღებით მოურავებისათვის ჰქონდა მინდობილი და თვითონ ამქვეყნიური ცხოვრების მთელი სიამითა და ნეტარებით ტკბებოდა. მაგრამ მოახლოებულმა ქარიშხალმა ერთბაშად აამოძრავა ეს დიდი და განცხრომის მოყვარული თავადი. იგი ერთ-ერთი აქტიური მონაწილეა ცნობილი ტექსტის შედგენაში: „რა რომ გლეხებს თავისუფლება გამოეცხადებათ, ჩენი ოჯახები მაშინვე დაეცემიან; ჩვენ კარით კარათ უნდა ვეთრიოთ და მოწყალეება ვითხოვოთ. აღარ გვეყოლება მოსამსახურე, აღარც ენახებისა და მიწის შემმუშავებელი, აღარც საქონლისათვის მწყემსი და აღარც შვილების გამზრდელი ძიძა“, — ასე იწყებოდა ეს ტექსტი, რომელსაც, სხვა 73 მემამულესთან ერთად, ალექსანდრე ბაგრატიონ-დავითაშვილმაც სასოებით მოაწერა ხელი. ეს იყო პირველი ნაწილი ტექსტისა, რომელიც საშინელ შემოთებასა და სასოწარკვეთილებას გამოხატავდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ თავადებს იმპერატორისაგან შებრალებისა და ბატონყმობის გამაგრების იმედი აღარა ჰქონდათ და თუ მაინც ჰკოვდებდნენ თავიანთ საეკლასიკო მომავალზე, ეს განწირული ადამიანების უბრალო წუწუნი კი არ იყო, ამით ისინი ამაგრებდნენ და ამძაფრებდნენ მეორე მუხლს ამავე ტექსტისა: „ახალი

წესით ცხოვრება არ შეგვიძლიან უფულოდ... უნდა ყოველივე საცხოვრებელი მოგვესაოს, თუ კანონით დაწესებული ფული არ მოგვეცა, როგორც მაგალითებიც იყო, ყმებისათვის მებატონეთ სულზედ ფული მიეცა და მამული მათევე დარჩათ“.

ზემოთ უკვე ვნახეთ, როგორი რეაქცია გამოიწვია ბატონყმობის გაუქმებამ, და საერთოდ „ახალმა დროებამ“, მაჩაბლების ოჯახში. დიდი მთავარი მაჩაბელი ვერაფრით ვერ შეურიგდა ამ მდგომარეობას და, ქვეყანას მოწყვეტილი, საკუთარ სასახლეში გამოკეტილი, წარსულ დროებაზე დარდით მოკვდა. მისმა შვილებმა ახალი მოვლენის მიმართ სრული გულგრილობა გამოიჩინეს და უდარდელად განაგრძეს ცხოვრება, თუმცა საფუძველი ასეთი ცხოვრებისა გამოცლილი ჰქონდათ; ერთმა მათგანმა უფრო იოლ გამოსავალს მიაგნო — მამულების დაგირავებას მიჰყო ხელი და, ფულის ყაირათის საესებით უცოდინარი, მდიდრულ დროსტარებას მიეცა, თანდათანობით ასეთმა მოქმედებამ იგი მიიყვანა სრულ გაკოტრებასა და ლოთობამდე, ხოლო შემდეგ, როგორც ვნახეთ, ლოთობისავე მსხვერპლი შეიქნა.

ამათგან სრულიად განსხვავებული აღმოჩნდა ალექსანდრე ბაგრატიონ-დავითაშვილი, რომელმაც ჩქარა აუღო ალღო ცხოვრების ახლებურ პირობებს და თვითონაც „გარდაიქმნა“, მაშინვე მიხვდა, რომ ახალი ცხოვრების ნამდვილი ბატონი ფული ხდებოდა და ფული დაისახა ღმერთად. უკვე მოხუცებაში შესული კაცი ენერგიულად მოქმედებს, ხშირად ჩადის ხოლმე გორსა და ქალაქს და მამულების საქმეებს აწესრიგებს. ცდილობს შვილები ისეთ სასწავლებელში მიაბაროს, ისეთი საქმიანობა შეასწავლოს, რაც ბევრ ფულს მისცემს.

გიორგი მაჩაბლის კერძო წერილებს შვილებთან ჩვენამდე არ მოუღწევია. იქნებ სულაც არ არსებულა ასეთი წერილები. ვიცით მხოლოდ ერთადერთი ფრაზა, რომელსაც იგი უფროს შვილს უთელის პეტერბურგში — როგორმე ათას-ერთი ღამის ზღაპრები მიშოვნე და გამომიგზავნეო... ვიცით აგრეთვე ვასილ მაჩაბლის მამობრივი მზრუნველობის გამომხატველი წერილები უმცროს ძმასთან: „... პირველი ჩენი მეცადინეობა ხალხის სიღარიბის მიზეზის მოსპობაში უნდა იყო მიმართული... კაცს ყოველთვის სახეში უნდა ჰქონდეს როგორც თავისი ინტერესი, ისე მომეტებულად სხვისა... უნდა იქონიოს ის კაცობრიული სეინდისი, რომელიც უნდა მიუძღოდეს ფარნად მთელ თავის სიცოცხლეში... ვისაც კი ნამდვილი სარგებლობის მოტანა უნდა თავისი ხალხისათვის, არასოდეს საქმის უსიამოვნო

მზარეს არ უნდა გაექცეს“... და სხვა.

ალექსანდრე ბაგრატიონ-დავითიშვილის წერილები თავის შეი-
ლებთან საესებით განსხვავებულია. ამ წერილებში ჩანს მოსიყვა-
რულე მამის დაუცხრომელი სურვილი და მისწრაფება — შვილებს
როგორმე ფულის სიყვარული ჩაუნერგოს და ფულის ყაირათი
შეასწავლოს, რომ მისი შვილები სხვებზე უკეთესად იყვნენ, სხვებზე
მეტი იზოვნონ და შეიძინონ, კარგი სახელი ჰქონდეთ.

„აბა, შვილო, ეცადე და შენი თავი ასახელე და სწავლას მოუმატე,
— სწერს იგი უფროს ვაჟიშვილს, — ასე, რომ შენ დადექი ინჟინერის
ნაწილსა, საცა არის ბევრი ფული. თუ ინჟინერის ნაწილში
გამოხვედი, ფულები ყოველთვის ბევრი გექნება...
ძლიერ გაიჭირე საქმე და ინჟინერის სკოლაში დაიჭირე ვეზამენები
და ინჟინერი გამოდი. მე მაისში ფულს გამოგიგზავნი, მოგიყვან
და აქედან კარგად გაგისტუმრებ პეტერბურგში კარგის თბილის
ტანისამოსითა და ბლომის ფულით. კოტეც მუუბნება, თბილი
ტანისამოსი საჭიროა და ბევრი ფულებიო... ამას გთხოვთ საქმე
გაიჭირო ამ სამს წელიწადსა, მერე მოსვენებული იქნები, ფული
ბევრი გექნება... აბა შენ იცი, თუ ამ თხოვნას აღმისრულებ...“

ამ წერილის დაწერის დროს ცოლისძმაც მასთან ყოფილა
სტუმრად, და მზრუნველი მამა იმასაც მიაწერინებს თავის წერილზე:
„მამაშენს აქვს ჩემი მოტანილი საათი და მითხრა, რომ ვიდრე
ინჟინერის აფიცრათ არ ვნახამ, არ მივეცემო. აბა ვინძლო მე ჩემი
ვალი მოვიშორო“. კონვერტში ჩადების წინ მამას გული არ მოუთმენს
და ისევ მიაწერს: „შენც ყველას ასიამოვნე უჩიტლებსა,
რომ კაზიონის სჩოტით გაგისტუმრონ პეტერბურგში
და რასაც მე მეტს ფულს გაგატან, ის შენთვის
კარგი იქნება, და მეტი იქნება. თუ მე გიყვარეარ და დედაშენი,
რასაც ხელა გწერ, ესენი უნდა შეასრულო“... „რასაკვირველია უფრო
გვაცოცხლებ, რომ ისე დაიჭირო საქმე, ყველაზე უკეთესი იყო.
რა გენადვლება, ჩემო გიორგი, დიდი ხმა გქონდეს, მაგის
მეტი რა რჩება კაცს ქვეყანაზე... თუ კარგი სამაგალითო
კაცი გამოხვალ, ბევრს სხვასაც იშოვნი, თუ არ გამოხვალ,
რაც მაქვს, იმასაც დაკარგამ...“

ფულის ძალას ისე ენდობა და პატივსა სცემს თავადი ბაგრატიონ-
დავითაშვილი, რომ შვილების წასახალისებლადაც იყენებს: „ვინძლო
კარგა ისწავლო, თუ ფულების ჩუქება გინდა“, სწერს იგი
თავის უმცროს ქალს.

ახალ ცხოვრებას სხვაგვარად შევგუა ალექსანდრე ბაგრატიონი. იცის, რომ ბრწყინვალე საზოგადოებაში რუსული ენა მოდაში და თვითონაც არ უშვებს ხელსაყრელ შემთხვევას, რომ შეიღოს რუსულად მისწეროს წერილი, თუმცა, როგორც მკითხველი დაინახავს, დიდ თავადს საფუძველი არა აქვს ამ ენის ცოდნით დაიკვებოს. «Получил письмо твои, – სწერს იგი უფროს ვაჟიშვილს (მისივე მართლწერით მოგვაქვს ეს წერილი) — который очень обрадовал меня... От Давида два письма получил который ручается хоро будит учится денги прасил которому послал и ти напишь кней письмо и дай ему хороший наставление чтобы он занимался хорошо чтобы не остался опят первом классе... я тебе прошу и приказываю непременно приехать, которы и денги высылаю... и директору написал чтобы уволил... если не приедешь окончателно убьюш меня и разорю все хозяйство и имение».

„გიბრძანებო“, შეიღსა სწერს, მაგრამ ამავე წერილში იგრძნობს მკითხველი, რომ მის ბრძანებას შეიღების მიმართ დიდი ძალა არ უნდა ჰქონდეს. თავისი დაუცხრომელი მეცადინეობით თავადმა შეიღებს ფულის სიყვარული კი შთაუნერგა, მაგრამ, რაც მთავარია, ყაირათი ვერ ასწავლა. საინტერესოა მისი ბოლონდელი წერილი უკვე სწავლადამთავრებულ და სამსახურში გამწესებულ უფროს შეიღთან. მისამართის მიხედვით, ადვილად შეგვიძლია დაერწმუნდეთ, რომ დიდი თავადის პატივმოყვარეობა შეიღის მდგომარეობით დაკმაყოფილებულია, მაგრამ მისი უყაირათობის გამო მაინც ვერ არის კმაყოფილი.

„მის ბრწყინვალეებას გიორგი ალექსანდრეს ძეს კნიაზ ბაგრატიონ-დავიდოეს, გორსა“. ასეთი თავმომწონეობით იწყებს იგი ამ წერილს. მაგრამ იქვე იცვლის ტონს და საქმიან დარიგებებს აღლევს. „საყვარელო შეიღო გიორგი! შენი წიგნი მივიღე, მწერ 50 p გამომიგზავნეო. აი გიგზავნი. სესხათო, მე გიგზავნი როგორც შეიღსა და როგორც მოვალესა, არა, მე არა მშურს შენთვის ფული და არც საწყენათ ვწერ, რომ გეწყინოს, — ჯერ ორი თვე არ არის 170 p მომიცია შენთვის, ახლა შენი ჯამაგირი! რას უშერები ამტონ ფულს? თუ დღეში ერთს თუმანს ხარჯავ, არ შეიძლება თუ ღენშიკს პრავიზიას არ უანგარიშებ რაში რა მისცა. სულ დაგლუპავს, დღეში თუმანი რომ მისცე და არ უანგარიშო. მეორე დღეს გეტყვის, ფული აღარ არისო. მე მქონდა ჯამაგირი თვეში 32 p 50 კიოლად მივდიოდი და ვალებს არ ვიღებდი, შენ ხომ სამი ჩემოდენა ჯამაგირი გაქვს...

დედაშენი რომ მოვა, ერთის კვირით გეწვევით ჩვენის ხარჯითა, რომ გასწავლოთ, ფული როგორ უნდა ხარჯო“.

ალექსანდრე ბაგრატიონის ვაჟიშვილები საკმაოდ მკაცრი მებატონეები გამოდგნენ. უფროს შვილს — გიორგის შემდეგში გორის მაზრის თეადაზნაურობის მარშალს, დაუსრულებელი დავა კქონდა გლეხებთან; ერთ კერძო წერილში მისი სიძე ივანე მაჩაბელი უკმაყოფილებასა და აღშფოთებას გამოთქვამს ამის გამო, ხოლო უმცროსი ვაჟიშვილის — დათას სიმკაცრის შესახებ გლეხების მიმართ, „ივერიაც“ იუწყებოდა თავის დროზე...

მეუღლე ალექსანდრე ბაგრატიონისა სათნო ქალი იყო, ქართული მწერლობის კარგი მცოდნე. და ამით უნდა აიხსნას, რომ შვილებმაც, განსაკუთრებით კი ქალებმა, ქართული ენა და ლიტერატურა კარგად იცოდნენ. დედა სულ იმას ჩანჩიჩინებდა შვილებს, რომ უცხო ენებიც ესწავლათ. და მიაღწია კიდევ შედეგს: ქალებმა შესანიშნავად იცოდნენ ფრანგული ენა. ალექსანდრე ბაგრატიონის მეუღლე, ტასოს დედა, მეფის შთამომავალი იყო...

მაგრამ უმჯობესია ერთ უცნობ ბიოგრაფს მოვუხმინოთ:

„1869 წელსა 6 ქრისტეშობისთვეს დაიბადა ს. ფცაში (გორის მაზრა, ტფილისის გუბერნია) ანასტასია ალექსანდრეს ასული ბაგრატიონ-დავითაშვილი. შობილები მისი იყვნენ შთამომავლობით თავადნი — ალექსანდრე ივანეს ძე ბაგრატიონ-დავითაშვილი და დედა დარია ბიძინა ერისთავის ასული. ამ უკანასკნელის დედა ბრძანდებოდა მეფე ერეკლე II-ის ასული, ანასტასია, ისე რომ ტასო, როგორც პატარაობიდან ვეძახდით განსვენებულს, დედის მხრით მეფის შთამომავლობას ეკუთვნოდა. ცხრა წლამდე ტასო იზრდებოდა სოფელ ფცაში, დედ-მამასთან და შემდეგ მიაბარეს სასწავლებლად ტფილისის ვერედ წოდებულს Институтъ благородныхъ девицъ императора Николая I, 1877 წ. ენკენისთვის დამდგს. უკანასკნელ კლასში იყო, როდესაც გარდაიცვალა მამამისი ალექსანდრე. ვისაც ბავშვობისას გეინახავს ტასო, ისეთი უსახური იყო, რომ ვეტყოდით ხოლმე განსვენებულ მის დედას დარიას — „გადააგდე, რად გინდა მაგისთანა უსახურიო...“ „ღიახ, ღიახ“, — უპასუხებდა დარია. — „აბა მერე ნახეთ რა ლამაზი იქნება, ყველა ჩემს შვილებს დაემჯობინებო“. მართლაც და, როცა სწავლა დაამთავრა, ერთი საუკეთესო ლამაზი ქალი დადგა და სილამაზით არამც თუ თავის დებს, არამედ იმ დროს თავისი ტოლი სხვა ქალიც არაეინ ჯობდა. ბავშვობიდან ბუტია, ულამაზო და მიუკარებელი, თითქოს რაღაც მანქანებით სრულიად

გამოიცვალა და ადამიანი ვერ წარმოიდგენდა, რომ ის ტასო იყო, რომლის გადაგდებას ეუბნებოდნენ მშობლებს. სწავლის დამთავრების შემდეგ, არ გამოვიდა რამდენიმე წელიწადი და 22 წლისა მისთხოვდა გამოჩენილს მოღვაწეს ვანო მაჩაბელს და აი, ამ ხნიდამ იწყება ტასოს ცხოვრება — ბრძოლა საზოგადოებასთან, რადგან ქმარი მისი ვანო ღირექტორად იყო სათაუადაზნაურო ბანკში და დიდი უსიამოვნება ჰქონდათ ერთმანეთში ი. ჭავჭავაძეს (თავმჯდომარე ბანკისა) და ვანო მაჩაბელს. თავადაზნაურობა გაიყო ორ ყრად — ჭავჭავაძის მომხრენი ერთის მხრით და ვანო მაჩაბლისა — მეორენი. ამ დიდ ბრძოლაში გამოიჩინა განსვენებულმა ტასომ დიდი ხასიათი და სიღინჯუ“...

აქა წყდება ეს ბიოგრაფია. დანარჩენი ნაწილი ან დაკარგულია, ანდა სულაც არ დაუწერია მის შემდგენელს. ისე კი, ამ ბიოგრაფიასაც საინტერესო ისტორია აქვს. იგი დაწერილია მკრთალი ფანქრით, სამძიმრის დეპეშის მეორე გვერდზე. დეპეშა დათარიღებულია 1917 წლის 29 ივლისით და ეგზავნება თავად გიორგი ბაგრატიონ-დავიდოვს, განსვენებულ ანასტასია ბაგრატიონ-მაჩაბლის უფროს ძმას. აი ამ დეპეშის შინაარსი: Я жена выражаем вам сердечное соболезнование по преждевременной кончины дорогой всеми уважаемой княгини Тасо, память которой навсегда останется в сердцах сачхерских друзей“. დეპეშას ხელს აწერს რომელიღაც წერეთელი.

აი, ამ სამძიმრის დეპეშაზე დაწერილი ზემოთ მოყვანილი ბიოგრაფიაც.

შეგვიძლია მიახლოებითი სისწორით წარმოვიდგინოთ სანთლის მკრთალი შუქით განათებული პატარა ოთახი, რომლის ერთ კუთხეში, მრგვალ მაგიდასთან მიმჯდარა ოჯახის ახლობელი, თუნდაც ბიძა განსვენებულისა ასიკო ერისთავი, და სიბერისა და მწუხარებისაგან ათრთოლებული ხელებით სამძიმრის დეპეშებს ათვალიერებს. დიდი დარბაზიდან ტირილისა და ურვის ხმა გამოდის, რასაც ხშირად სცვლის სულთათანას სევდიანი ჰანგები, მოხუცი კაცი ფიქრებს მიეცემა ბედის დაუდგრომლობაზე, საწუთროს მუხთლობაზე. გონებაში ელვის სისწრაფით გაირბენს წარსული დღეები... ჯიბეს მოიჩხრეკს, ფანქარს ამოიღებს და ერთ-ერთ დეპეშაზე აცახცახებული ხელით დაიწყებს წერას. აგონდება ახალგაზრდობის ტკბილი დღეები, როდესაც მისი და დარია თავად ბაგრატიონ-დავითიშვილს მისთხოვდა... მოხუცის ცრემლმორეულ თვალებს ბურუსი ფარავს. დარბაზიდან, საცა მიცვალებული ასვენია, მოისმის მღვდლის დაღაღი: „განუსვენე, უფალო, სულსა მხეელისა შენისასა“...

ძალიან შორს წაეყვით.

წმ. ნინოს კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტის კარის პატარა ეკლესიაში ჯერისწერა გრძელდება. მღვდელმა სამჯერ დალაღყო: „დაიწინდვის მხევალი ღვთისა ანასტასია და მონა ღვთისა ივანე“. მერე რამდენჯერმე გადასახა ჯვარი ნეფე-დედოფალს, თითებზე ბეჭდები მოარგო და მიმრქმელს ანიშნა, შეუცვალეთო. თვითონ კი წყნარი ხმით განაგრძო ლოცვა — „უფალო ღმერთო ჩვენო...“

საყდარი ხალხით არის გაჭედილი. ხალხი აწყდება კარებსაც, ყველა ცდილობს ეკლესიაში შესვლას. ვიწრო სარკმელებიდან დაშვებული დღის სინათლის ჩქერი სუსტად ანათებს ეკლესიას, პაერი გაჟღენთილია საკმეველის სუნით. დროდადრო მღვდლის მონოტონურ ლოცვას საეკლესიო გუნდის პანგები ცელის. ნეფე-დედოფალს მღვლეარება ეტყობათ, საპატარძლოს სახე ერთიანად გაფითრებია, ხელები უკანკალებს, ფეხზე ძლივს დგას. შურიანი მგობრების შემწეობით მის ყურამდეც მიაღწია უსაქმურ ხალხში დილიდანვე დარხეულმა ჭორმა — მაჩაბელს მთელს ქუჩაზე მცველები უდგას, რომ მისმა უარყოფილმა საცოლემ ვაი-უბედურება არ ასტეხოს და ჯერისწერა არ ჩაშალოსო. ქალის მღვლეარება მაჩაბელსაც გადასდებია, მაგრამ ცდილობს არ შეიმჩნიოს. ხელი მასაც უთრთის, მიმრქმელის მიერ მოწოდებული ბეჭედი უცებ ძირს დაეარდა, თლილ ქვაზე ზარივით გაიწკრიალა და საკურთხეელისაკენ გაგორდა. მიმრქმელი მყისვე დაიხარა, მაგრამ ბეჭედს ეერ მისწვდა. ხალხში ჩოჩქოლი ატყდა. „უბედურებას მოასწაეებს“, უჩურჩულებენ ერთმანეთს.

მაჩაბელი ცრუმორწმუნე არ იყო, მაგრამ ეს მარცხი მაინც უსიამოვნოდ მოხედა გულზე. პატარძალს მიწისფერი დაედო...

როგორც იყო, მოძებნეს ბეჭედი. მაგრამ ჯერისწერის პროცესი საოცრად გრძელდება. პატარძალს სანთლის ხელში დაჭერაც კი უჭირს. თვალები ღვთისმშობლისათვის მიუშტერებია და თითქოს ბურანში ჩაესმის მღვდლის გაგრძელებული ლოცვა. — „...აწ შეუფეო უფალო ღმერთო ჩვენო, ზეგარდმოუკლინე მაღლი შენი მონათა ამათ შენთა ივანეს და ანასტასიას და მოეც ასულსა ამას მორჩილება ქმრისა თვისისა და მონასა შენსა, რათა იქნეს თავ ცოლისათვის, რათა ცხოვრობდნენ ნებითა შენითა“...

ბურანში წასულმა პატარძალმა სანთელი აკანკალებული ხელით გულზე მიიხუტა და მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდა, როცა სახეზე მწვავე ტკივილი იგრძნო... სანთლის ალი ერთბაშად მოედო პირბადეს. ხალხი აჩოჩქოლდა. ნეფემ დროზე შენიშნა ცეცხლი და პატარძალს მიეშველა. ჯერისწერის ცერემონია არ შეჩერებულა, მიმრქმელებს უჭირავთ ნეფე-დედოფლის თავზე მოთ გვირგინები, მღვდელი ბარძიპით ზედაშეს აწვდის ჯერ სიძეს, მერე სასძლოს. თითქმის გულწასული ქალი ხარბად დაეწაფება ღვინოს და ერთბაშად შეებას იგრძნობს. ხოლო როდესაც მეორედ მიაწვდის მღვდელი ბარძიპს ნეფეს, ზედაშე ცოტადაა დარჩენილი ფსკერზე. მღვდელი ხელს მოკვიდევს სიძესა და სასძლოს და სამჯერ შემოატარებს. გუნდი საზეიმოდ გალობს. ცრუმორწმუნე ხალხი კი კვლავ ჩურჩულებს: „აჰ, უბედურნი იქნებიან, უბედურნი!..“

* * *

მაგრამ ხალხის სიტყვები არ გამართლდა. ვანო მაჩაბელსა და ტასო ბაგრატიონს ბედნიერი ცოლქმრობა აქვთ. ისინი ტკბილად ატარებენ თაფლის თევს. ღებულობენ მრავალრიცხოვან სტუმრებს. ზედიზედ მოსდით მოლოცვის ღებულები და წერილები.

განსაკუთრებით საინტერესო იყო, და ძალიანაც გაახარა მაჩაბელი კოტე მესხის ღებუშამ ქუთაისიდან «Только что узнал о твоём бракосочетании. Акт художественный с божественным соединены, желаю художественно закончить бытие сего мира с божественною твоею. Коте Месхи».

ისე უცებ და ყველასათვის მოულოდნელად მოხდა მაჩაბლის დაქორწინება, რომ თბილისს გარეთ მცხოვრებმა მისმა უახლოესმა მეგობრებმაც ვერ მოახერხეს ქორწილზე ქალაქს ჩასვლა.

„ძმაო ვანო, სულით და გულით გილოცამ შენს ბედნიერებას, მე მგონია უკეთესს ველარას ჩაიდენდი შენს საკეთილთ. მაგრამ საოცარის სისწრაფით კი მოახდინე ეგ საქმე; სწორედ რომ „მოველ, ენახე, გავიმარჯვე“-ა რაღა! ვაცხოწვე მატინოვის მამა, მაჩაბლებმა იმასთან ბრძოლაში ისეთი იერიშები ისწავლეთ, რომ რაღა ციხე გაგიმაგრდებათ?

„შევიტყე, რომ მატინოვის განკიცხვის დღეებში შენ თურმე ამჟღავნებდი იბრძოდი, ჩვენი ძალა დაქსაქსულიყო და ამიტომაც ჩვენი

დედა-ქალაქი ისევ ნახევარ „ღორღათ“ დარჩენილა. მაგრამ ღმერთი მოწყალეა, იქაც ხომ პატარა ფეხი ჩავდგით და შემდეგისათვის ის გვანუგეშებს, რომ ყველა პატარა გაზრდილა, თუ დარმა უდარა... შენც თურმე, ალექსანდრე ეპისკოპოსის სიტყვით, ერთხელ პატარა ყოფილხარ.

„საქორწილოთ ძლიერ და ძლიერ მინდოდა ჩამოსვლა, ვიცი შენთან მე არასოდეს მეტი არ ვიქნები, თუმცა დაუპატიჟებელი ვიყო, მაგრამ სწორედ იმ დღეებში ჩემი ძმა იყო ძლიერ ავით ტყვიავში...“

„მოიკითხე და მიულოცე შენს მეუღლესაც ჩემ მაგიერ, თუმცა პირდაპირ ცნობა მაგათი არა მაქვს, მაგრამ გიგასა და ნინოს ვიცნობ იმდენად, რომ თამამათ შემიძლიან ვგენიც ნაცნობათ ჩავთვალო“...

მაჩაბელი ტყვიაველი მეგობრის წერილს უკითხავს ახალგაზრდა მეუღლეს...

ქალი ნიკაპით ქმრის მხარს დაყრდნობია და ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლს მისჩერებია. იგი ოცნებობს მომავალ ოჯახზე, საკუთარ ოჯახზე, სადაც თვითონ დიასახლისი იქნება და ყველაფერს თავისი გემოვნებით მოაწყობს; ქმარს ხელს შეუწყობს, მუშაობის პირობებს შეუქმნის, ცხოვრებას გაუხალისებს, სასიქადულო შვილებს გაზრდის, ისეთებს, როგორიც მისი ქმრის სახელს შეეფერება. იგი ოცნებობს ახალ სახლზე, რისი შესაძენი ფულიც მას შხითვად მოჰყვია. ისე მოაწყობს თავის სახლს, რომ ახლობლებსა და მეგობრებს გული სულ მათკენ მიუწევდეთ, ყველამ სიმშვიდე და მყუდროება ჰპოვოს მათთან...

ჯერჯერობით კი სტუდენტურად ცხოვრობენ. სტუმრების ხეირიანად მიღების საშუალებაც არა აქვთ. ქალი გრძნობს, რომ ვანოს მუშაობაშიც ხელი ეშლება. აგერ, თითქმის მთელი თვე გადის, რაც იქორწინეს, და ვანო ერთხელაც არ მისჯდომია მაგიდას, რომ დაწყებული საქმე განაგრძოს — „მაკებტი“ დაასრულოს. ტასომ მაგიდაზე ნახა „მაკებტის“ თარგმანის პირველი ფურცლები და ქმარს გამომწვევად უთხრა — „რომეო და ჯულიეტა“ უფრო შეეფერებოდა ჩვენს მოულოდნელ სიყვარულსა და ნაჩქარევ ჯვრისწერას, ცალკეული სცენებიც კი თითქმის ჩვენს პირველ გაცნობასა ჰგავსო.

და იგი კეკლუცი ღიმილით მოაგონებს ვანოს პირველ შეხვედრას, ბალზე გატარებულ სანეტარო და მღელვარე წუთებს, მერე სასტუმროში შუადამისას მოულოდნელად მისვლას და შეჭირხლული ფანჯრის მინიდან დანახულ მაღალ კაცს, რომელსაც პალტოს საყელო წამოუწევია და მოუსვენრად დააბიჯებს ქუჩაში...

ვანოს ელიმება, „რომეო და ჯულიეტას“ გახსენებამ მას საფაროვის ქალი მოაგონა...

ქალი მოგიზგიზე ცეცხლს მისჩერებია და ოცნებაში წასულს ელიმება.

— რა ფიქრებმა გაგიტაცეს, ჩემო სიცოცხლე?

ქალი კიდევ ერთხელ გააცნობს ვანოს უკვე რამდენჯერმე ნაამბობ გემას — როგორი იქნება მათი სახლი, როგორ მოაწყობენ, რას შეიძენენ, როგორ მიიღებენ სტუმრებს, ლიტერატურულ საღამოებს გამართავენ...

სახლი შეიძინეს ოლგას ქუჩაზე, „კონკის“ სადგურთან ახლოს, სააუადმყოფოს გვერდით, კარგი სახლია — დიდი, მზიანი, ნათელი ოთახები. ქუჩის მხარეს კარგა მოზრდილი აივანი აქვს, საინადაც როგორც ხელისგულზე, ისე მოჩანს მტკვრის ხეობის ერთი ნაწილი, მუშტაიდის ბაღი, ახლად გაშენებული მიხაილის პროსპექტი... ხოლო მოწმენდილ ამინდში, განსაკუთრებით დილით, მზის სხივებით გაბრწყინებული დიდებული ყაზბეგიც გამოჩნდება, მთელი თავისი მშენიერებითა და სიდიადით. სახლს დიდი ეზო აკრავს, ნაძვისა და კაკლის ხეებით დამშვენებული. ამ ეზოში მშენიერი ბაღის გაშენება შეიძლება, ხეხილის ჩაყრა, საჩრდილობლებისა და აუზის მოწყობა. მაგრამ ეს მომავლის საქმეა. ახლა კი საჩქაროა სახლის ისე მოწყობა, როგორც ათასჯერ დაუგეგმავთ ოცნებაში; იმიტომაც არის საჩქარო, რომ ყველაფერი დალაგებული უნდა დახედეს ოჯახის ახალ წევრს, რომელსაც დღე-დღეზე მოელიან.

„ეს ერთი თვეა ვეწყობით და ძლივს მოვეწყვეთ, დაედექით ისეთ სახლში, რომელიც სწორედ შენს გემოვნებაზედ არის გაჩენილი. ტასომ შემოგიტოვალა, ჩქარა ჩამოდი, რომ შენი საყვარელი ნარდი გაგიმართო ხოლმეო; ვდგევართ ვერაზედ, Ольгинская №40, საცა ცხენის რკინის-გზა დგება. გარემო ბაღი გვარტყია და ჰაერიც კარგია“...

ამას პეტერბურგში მყოფ აკაკი წერეთელსა სწერს მაჩაბელი, 1891 წლის 1 დეკემბერს, ხოლო ერთი თვის შემდეგ ამაყად აცნობებს მასვე: „ძვირფასო ძმარ აკაკი, შენს წერილში ორი შეცდომაა: ჯერ ერთი ესა, მეკითხები, რად დაიგვიანა პატარა მაჩაბელმარო, როდესაც ის დიდი ხანია აქვე ჩემს გვერდით გასჭყვირის და გაპკივის“...

უცნაური დამთხვევა მოხდა: მაჩაბლებს ეაჟი შეეძინათ 6 დეკემბერს, სწორედ ტასოს დაბადების დღეს.

ერთბაშად შეიცვალა მანაბლის ცხოვრების ხასიათი. ახალი მიზნები, ახალი სიხარული და საზრუნავი გაუჩნდა.

მაგრამ საინტერესო ის არის, რომ შეიცვალა არა მარტო მისი პირადი ცხოვრების, საკუთარი ოჯახის მდგომარეობა და ხასიათი. ცოლის შერთვას დაემთხვა მეორე დიდი ამბავიც: უკიდურესობამდე გამწვავდა და გართულდა ილიასთან ურთიერთობა.

* * *

ეს მოხდა დაქორწინებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, ბანკის დამფუძნებელთა და მსესხებელთა საზოგადო კრებაზე, რომელიც, ჩვეულებრივ, მაისში გაიმართა. აქამდეც საკმაოდ დაჭიმული და მწვავე იყო ილიასა და ვანოს ურთიერთობა, მაგრამ ასეთი მძაფრი ხასიათი მანამდე მაინც არ მიუღია. ამ კრებაზე აშკარად გამოიკვეთა მომავალი ოპოზიციის სახე და ხასიათი, თითქოს ჩამოყალიბდა მათი მიზნები და, რაც მთავარია, სავსებით გაშიშვლდა, აშკარა, მოურიდებელი გახდა ის ბრძოლა და ინტერესების ჭიდილი, რაც მანამდე ჩუმად, შეფარვით ხდებოდა. ეს წარმოადგენდა ერთგვარ პრელუდიას იმ დიდი ბრძოლებისას, რომელსაც შემდეგ შეიძწლიანი ომი უწოდეს.*

ყრილობა გაიხსნა 14 მაისს. მოხსენებამ ცხოველი კამათი გამოიწვია. ოპოზიციიდან განსაკუთრებით მოუსვენარია მიშო (მიხეილ ვახტანგის ძე) მანაბელი, რომელიც ყოველი მესამე-მეოთხე ორატორის შემდეგ გამოდის სიტყვით. ვანო ჯერჯერობით სდუმს. ყოველ შემთხვევაში, მიშო მანაბელსავეთ მაინც არ აქტიურობს. რაც დღე გადის, დაძაბულობა და ინტერესთა ჭიდილი თანდათანობით ძლიერდება. თითქმის ერთ კვირას გასტანა ამ ყრილობამ და ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე უფრო მშფოთვარე, მძაფრი, მოუსვენარი ყრილობა იმათ შორის, რაც მანამდე ჩატარებულა.

„ორი დღეა აქ ლაპარაკს ვუგდებ ყურს, — გოცებით შენიშნავს კრების ერთ-ერთი მონაწილე, ბანკის დამფუძნებელი, — და ვერ გამიგია, რა საჭიროა, რომ გადაკრავენ ხოლმე შორიდგან სიტყვას, რაღაცა კილოს აბამენ. არ ვიცი რა დავარქვა. უკაცრავად, ინსინუაციები, თუ რა. ამბობენ რაღაცას კიდევ და არც ამბობენ“...

აქამდე თუ შეიძლებოდა კიდევ შეთანხმებაზე ფიქრი და ლაპარაკი,

* იხ. გ. ბაგრატიონ დავითიშვილის ზემოთ ნახსენები მოგონება.

ახლა უკვე ჩანს, რომ ეს შეუძლებელია. ბრძოლა აშკარა გახდა. ოპოზიცია ჩამოყალიბდა. თუმცა ჯერჯერობით მეტად სუსტია ეს ოპოზიცია. მიშო მაჩაბელს ყოველ წუთს აწყვეტინებენ სიტყვას, აჩუმებენ, ლაპარაკის საშუალებას არ აძლევენ. იძულებულია კრებას გულისტკივილით მიმართოს: „...მეც ნება მომეცით ლაპარაკისა. ოთხი-კუთხივ დაგეცინიან ორს მაჩაბელს და ყველანი ჩვენ გვამტყუნებენ. მთელი კრება ჩვენ მოგვედგომა“...

მაგრამ ამ გულისტკივილის გამოხატვის საშუალებასაც არ აძლევენ, ლაპარაკს აღარ აცლიან, პირში მიკარდებიან, ყვირიან, აბრაზუნებენ; როგორც გაზეთები იუწყებოდნენ, „დიდი ჟრიაშულია საზოგადოებისა“.

ზის ვანო მაჩაბელი და გული უკვდება. ამ კრებაზედაც ისეთი ამბავი იწყება, რასაც თვითონვე დასცინოდა ათიოდე წლის წინათ. მაშინ იგი ქუთაისის ბანკის საზოგადო კრებას დაესწრო და აღშფოთებული დარჩა. „...პარლამენტებშიაც გამოცდილ თავმჯდომარეს გაუჭირდებოდა ზოგიერთ წუთს ამ მოუსვენებლის კრების კალაპოტში ჩაყენება, — წერდა მაშინ მაჩაბელი თავის „დროებაში“, — ისეთი ცხარე ბაასი ატყდა, რომ აღარავის სიტყვა აღარ ირჩეოდა. საერთო ყაყანში... ეს დაულალავე ორატორი ლაპარაკობდა სულ მუდამ: ადგომილა — დაჯდომილა; ლაპარაკობდა მაშინაც, როცა სიტყვას აძლევდნენ, ლაპარაკობდა მაშინაც, როცა არავინ ყურს არ უგდებდა, ლაპარაკობდა განუწყვეტლივ და გარკვევით მოისმოდა მხოლოდ ეს აზრი: „პროტოკოლში ჩასწერეთ“. ამ სიტყვების შემდეგ ატყდა საშინელი არეულობა. ყველანი ლაპარაკობდნენ. და არავინ არავის ყურს არ უგდებდა. „დარჩეს“, „მოაკლდეს“ — ზედიზედ ისმოდა ხალხში. ამ დროს მოისმა ტროიკის ზარის ხმა. შეშინებულ წევრთ წარმოიდგინეს, რომ ეს იმ ტროიკის ზარია, რომელმაც მინისტრის რევიზორი უნდა მოიყვანოს. მოსტყუედნენ, ეს ზარი თავმჯდომარეს მოეტანინებინა და იმის ხმით აპირებდა კრების დაცხრომას“...

ახლაც აგონდება მაჩაბელს ის კრება, რომელმაც მაშინ გააკვირვა და აღაშფოთა. და საშინლად სწუხს, რომ ისეთივე ამბავი ახლა აქ დატრიალდა, მათს კრებაზე. აქაც წამომხტარა ვიღაც თავმომწონედ და საერთო ღრიანცელში რაღაცას ამტკიცებს, თუმცა კი მისი ლაპარაკი არავის ესმის, თავმჯდომარე განუწყვეტლივ აწკარუნებს ზარს, მაგრამ ვერაფერს გამხდარა, ხალხი თითქოს შეიშალა, ყველა ღრიალებს, ყველა რაღაცას ყვირის...

მაჩაბელი დარბაზიდან გამოდის. გარეთ ბუნდოვნად ისმის

სხდომის ღრიანცელი. საგონებელში ჩაეარდნილა მაჩაბელი, არ იცის, რა იღონოს. ამ ბრბოში, რომელსაც ბანკის მიზანიც კი ვერ გაუგია და ყველაფერს თავისი შეზღუდული ინტერესებით ზომავს, ფიქრიც შეუძლებელია რაიმე პრინციპულ ბრძოლაზე. ილიასთან ურთიერთობის გამწვავება მათ შურად და პირადულ მტრობად წარმოუდგენიათ, რადგან თვითონ მათი, ამ ბრბოს უმრავლესობის ინტერესები და მოქალაქეობრივი ღირსების პორიზონტი შურსა და პირადულ, დაწვრილმანებულ მტრობას არა შორდება: თავიანთი შეზღუდული გონებით და პატარა ჭკუით ისინი ვერ მისწვდებიან, ვერ შეაფასებენ ისეთ ცნებებს, როგორიცაა საზოგადო საქმე და პრინციპული ბრძოლა. რაღა თქმა უნდა, რომ მათ ოპოზიციის მნიშვნელობაც არ ესმით. მაჩაბელი საკუთარი ყურით ისმენს, თუ როგორ უხსნის ერთი „დამფუძნებელი“ მეორეს ოპოზიციის არსს: „ოპოზიცია იმას ნიშნავს, რომ შენ თუ „პოს“ იტყვი, მე „არა“ უნდა ვთქვა; შენ თუ „არას“ იტყვი, მაშინ მე უნდა ვთქვა „პო“...“

მაჩაბელს სახე აენთო, წამოწითლდა, თვალეში მტკიცე გადაწყვეტილების ნაპერწკალი აუელეარდა. იგი ერთბაშად მოსწყდა ადგილს და სხდომის დარბაზში შეიჭრა.

საერთო ღრიანცელს უკიდურესობამდე მიეღწია, ხმაჩახლეჩილი თავმჯდომარე ამოდ ცდილობდა ხალხის დაწყენარებას. მაჩაბელი სცენაზე აიჭრა და თავმჯდომარეს მიმართა:

გთხოვთ ორიოდ სიტყვის ნება მომცეთ. თუ მალაპარაკებთ, შეიძლება ნახევარ საათს ვილაპარაკო, თუ არა და ჩემს სურვილს ნახევარ წუთსაც გამოვთქვამ.

თავმჯდომარემ არ მისცა სიტყვის ნება — მორიგი საკითხები უკვე განხილულია და ახლა ლაპარაკის ნებას აღარავის მიეცემო.

„მაჩაბელი მაინც ცდილობს ილაპარაკოს, თავმჯდომარე დაჟინებით აწკარუნებს ზარს, კრება ჰღელავს... შემდეგ, კრების სურვილისამებრ, თ. ი. გ. მაჩაბელს ნება მიეცა სიტყვის წარმოთქმისა“, იუწყებოდნენ გაზეთები.

— ჩვენი სიტყვა აღსარებაა თქვენს წინაშე, რომლის თქმა ნახევარ საათშიაც შემიძლია და ნახევარ წუთსაც, — ასე დაიწყო მაჩაბელმა, - ეს მეხუთე დღეა, აშკარად ხედავთ, რომ გამგეობაში რაღაც მოურიგებლობა, აზრის სხეადასხეაობაა. მე და ი. ჭავჭავაძის ურთიერთობა ისე გამწვავდა, რომ იძულებული ვართ საზოგადოებას შინაური ამბებიც კი გაეუზიაროთ... ამხანაგობაში არაფრად სასიამოვნოა ასეთი მოურიგებლობა, სირცხვილია, მაგრამ მიზეზი, მიზეზი

რა არის? მართლა შური და მტრობა, დასობაა, თუ საქმემ გამოიწვია ეს მოურიგებლობა?... პატიოსან სიტყვას გაძღვეთ, რომ არაერთი ანგარიში არავისთან არა მაქვს. ჩემს აღსარებას გეუბნებით და საესებით მინდა ვთქვა. ბრალად მდებენ, რომ ამხანაგებს ღალატობ, დასს ადგენ იმათ საწინააღმდეგოდ. არა, ბატონებო, თუ მაქვს რაიმე გულში ხინჯი, მე იმის დაფარვა არ ვიცი... არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქმე მარტო ბანკი არ არის, ჩვენც გული უნდა გვტვირდეს, წევრებისათვის თავი უნდა შევიწუხოთ. ჩემი დანაშაული ეს არის, რომ გულის ტკივილი მქონდა... ყოველი ჩვენგანი პატივს უნდა სცემდეს ჯერ თავის სიტყვას და მერე ამხანაგისას. ა. ჩოლოყაშვილს დიდად ვაფასებ და დიდი პატივისმცემელიცა ვარ, მაგრამ წინააღმდეგი კომანდო ვიყავი მისი. აი რაღა: ერთხელ მე და ის გამგეობაში ვისხედით ორნი. ვაჭრობის წინა დღე იყო. ამ დღეს სწორედ დიდი გაჭირვება გვადგა, დიდი საქმე გვაქვს. ასი კაცი მოდის და მიდის... თ. შალიკაშვილს, ლორის მაზრის მებატონეს, თავისი მამული 3.300 მანეთად ჰქონდა ჩვენს ბანკში დაგირაუებული. ეს ბანკიდან გატანილი ფული სულ მამულის გაუკეთესებას მოანდომა და სახელმწიფო ბანკს ელოდა, რომ იქ გადაგირაუებინა. ამ საქმის ყოველივე წვლილი კარგად მახსოვს, რადგან ამან გადამკიდა ის კაცი, რომელიც გულით მიყვარს და რომელიც სახელი და დიდებაა ქართულის საზოგადოებისა. იმ დღეს თ. შალიკაშვილს ორას ორმოცდაათი თუმანი ჰქონდა შემოსატანი. მოვიდა, გუთხოვა, გვემუდარა, ას ორმოცდაათს შემოვიტან, ასი თუმნის შემოტანა კი მადროვეთო. თავმჯდომარე ბანკისა იქ არ იყო. ჩვენ პირობა მივეცით, თუმცა ამისათვის იქნებ დამნაშავენი ვიყოთ... შემდეგ, ორი კვირის უკან სოფელში გვახვდით. ერთ დღეს თამარაშენში ამოდის ეს კაცი და მეუბნება: სირცხვილი არ არის, მამული გამიყიდეთო! ჭკეჭკეაქემ არა იცოდა რა, აიღო და გაჰყიდაო. ჩოლოყაშვილი-მეთქი? ჩოლოყაშვილი იქ იყო, მაგრამ არა სთქვარაო. ამის შემდეგ გადაუდებე და ეუთხარი ჩოლოყაშვილს, თქვენნი წინააღმდეგი ვარ-მეთქი. ამ საქმით გამოწვეულს უსიამოვნებას ქართლისა და კახეთის გადაკიდების სურვილი გამოაბეს. მაშინ გ. თარხნიშვილი ამოირჩიეს...

თითქმის მთელი საათია მაჩაბელი ლაპარაკობს, მაგრამ უჩვეულო ამბავი მოხდა, ხელს არაეინ უშლის, — არც ერთი შეძახილი, არც ერთი რეპლიკა!.. დარბაზში სამარისებური სიჩუმეა. ყველა სულგანაბული უსმენს ამ გულიდან ამომდინარე სიტყვებს. გამგეობის მაგიდასთან ილიას თავი ჩაულუნავს, შუბლზე ხელი შემოუდვია და

ღრმა ფიქრებს მისცემია. ვინ იცის, იქნებ პეტერბურგის დღეები აგონდებოდეს, პირველი შეხვედრა ჯერ კიდევ სრულიად ყმაწვილ მაჩაბელთან, მისი შესანიშნავი თარგმანით აღფრთოვანება, პირველი ლიტერატურული თანამშრომლობა. მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა, თითქმის მთელი ოცი წელი. ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრი რამ შეიცვალა... და ილიამ რამდენიმე წლის განმავლობაში პირველად იგრძნო, პირველად დაიჭირა თავისი თავი, რომ გულის სიღრმეში ეს მგზნებარე კაცი მას უყვარდა. როცა კაცი გძულს, არც მისი ხმის გაგონება გინდა, ილია კი სიამოვნებით უსმენს მაჩაბელს და მისი ფიქრები კვლავ წარსულში იჭრებიან...

— ...არასოდეს იმდენი ტანჯვა-წვალება არ გამომივლია, — განაგრძობს მაჩაბელი, — როგორც აქ ვაჭრობის დროს. ყოველ ვაჭრობას მოწმე ვარ ხოლმე სულის აღმაშფოთებელი სურათისა, როგორ უყიდიან მსესხებელს ლუკმა-პურს, მამა-პაპეულს მამულს; ჩემის თვალითა ვხედავ იმათს საცოდაობას და ვერა მიშველია რა, თუ გნებათ ილია ჭავჭავაძის გაფრთხილებული გულქვაობის წყალობით — შემოსატანი უნდა შემოიტანონ, ვალს გადახდა უნდა, თუ არა და გაეყიდოთ მამულიო. თავს არ მოგაწყენთ იმის მაგალითებით, რამდენი ქერივი და ობოლი მინახავს აცრემლებული... გული მიკვდებოდა აქ ყოფნით და გულგრილად ვერ ამეტანა ასეთი დამღუპველი ფორმალისში... იმ დღეს აქ ქება-დიდება შეასხეს ილ. ჭავჭავაძეს, ამ საქართველოს სახელგანთქმულს პოეტსა და დიდებულს მწერალს, ჩვენს სიქადულს, მაგრამ გულმტკივნეულად კი ვერ ჩაეთვლი!..

„გულმტკივნეულად კი ვერ ჩაეთვლი...“ გონებაში იმეორებს ილია ჭავჭავაძე ამ მთრთოლვარე ხმით წარმოთქმულ სიტყვებს და მწარედ ეღიმება. მაშ ილიას არ შესტკივა გული თავის თანამემამულეებზე, აცრემლებულ ქერივ-ობლებზე?! მაგრამ ყველას როდი უჭირს! ერთ ნამდვილ გაჭირვებულთან ათი დაღბნიებული მოგვაჩვენებს გაჭირვებულად თავს. ეს გადაგვარებული მებატონეები ქალაქის დუქნებში ფლანგავენ ფულს, ვალებში ეფლობიან და აცრემლებულები, ჩვენკენ გამოვბიან, გაჭირვებულად გვაჩვენებენ თავს. თუ მაგრად არ დაიჭირე ესენი, თვითონაც გაკოტრდებიან და ჩვენს საზოგადო ბანკსაც დაღუპავენ...

— ...მე უკვე გითხარით, რაც არის ჩვენი საფინანსო პოლიტიკა — განაგრძობს მაჩაბელი, — ვინც ამ პოლიტიკას დაადგება და ქვეყნის გულშემატკიერობას გამოიჩინს, მის დროშის წინ მოწინებით თავს მოვიხრი და მუხლს მოვიდრეკ. მაგრამ მთავარი ვე როდია. აქ

არც საფინანსო პოლიტიკაა და არც ინტერესები, საქმე ისაა, რომ მე ავტორიტეტს არ დავემორჩილე და კრიტიკის თვალთ შეეხედე. აი სწორედ ამისათვის დამასხხეს თავს ლაფი შარშან და შარშანწინ. ღიად, მიზეზი ის არის, რომ გულგრილობა და გულაცრუება ზოგიერთებისა ვერ ავიტანე...

იღია ადგილზე შეიშმუშნება, ჯერ დარბაზს გადააელებს თვალს, მერე ორატორს გადახედავს, ფანქრით რაღაცას ჩაინიშნავს და ჩაღუნავს თავს...

— ...დასასრულ გმადლობთ, რომ მომისმინეთ, გმადლობთ, რომ მენდობოდით და რვა წელიწადი გამგეობის წევრად მირჩევდით, — ამთავრებს სიტყვას მაჩაბელი, — მაგრამ, სამწუხაროდ, ამ საქმის სამსახური აღარ შემიძლიან, სუსტი კაცი ვარ, დავიღალე; მომიტევეთ, რომ თავი უნდა დაგიკრათ და გთხოვოთ, ჩემს მაგიერად სხვა ვინმე ამოირჩიოთ.

ტაში დიდხანს არ დამცხრალა. ისმოდა გაურკვეველი შეძახილები და თითქმის მთელი კრების სიმპათიები მაჩაბლის მხარეზე იყო.

მაჩაბელმა აღარ ინდომა ბანკში დარჩენა, და თუმცა მთელი ხუთი წუთის განმავლობაში კრება დაჟინებით სთხოვდა კენჭი იყარეო, მან უარი განაცხადა. ქუდი აიღო და აჩქარებული ნაბიჯით გავიდა დარბაზიდან.

* * *

დღეს იქნებ გაგვიკვირდეს და გაგვეცინოს კიდევ, როცა ბანკსა და ბანკის საქმეების წარმართვის გამო ატეხილ დავიდარბას გავიხსენებთ. ღირდა კი ეს ბანკი იმად, რომ ჩვენი ქვეყნის უკეთესი შვილების, სასიქადულო მწერლებისა და მოღვაწეების ნერვები ეწიწკნა, მათი ჯანმრთელობა გაენადგურებინა და, საბოლოოდ, სიცოცხლე ჩაემწარებინა მათთვის?! ახლა, რა თქმა უნდა, უყოყმანოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვერავითარი ბანკის მოგება, ვერავითარი ფული ვერ აანაზღაურებს ილიასა და მაჩაბლის იმ ძვირფას დროსა და ჯანმრთელობას, რაც ხშირად სრულიად დაწერილმანებულს და არაარსებითს დავაში იფლანგებოდა. დავობდნენ იმაზე, რომ რაც შეიძლება მეტი კაპიკები დაეზოგათ, ყიარათიანობითა და მომჭირნეობით ბანკის მოგება გაეზარდათ, ხოლო უწყალოდ ფლანგავენ

დროსა და ჯანის სიმრთელეს, რითაც, ვინ იცის, რამდენი ბრწყინვალე მარგალიტი შეემატებოდა ქართული ლიტერატურის საგანძურს!..

მაგრამ ასეთი მსჯელობა საესეებით უადგილო იქნება. საქმე ის არის, რომ როგორადაც პატივისმცემელნი არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი ერთმანეთისა, როგორადაც არ უნდა სცოდნოდათ ერთმანეთისა და საკუთარი მოღვაწეობის ფასი, მაინც არაფრით არ შეეძლოთ გაეთვალისწინებინათ ის უდიდესი ღვაწლი და ამაგი, რასაც თვითეული მათგანი თავიანთი უმწიკვლო ლიტერატურული შრომითა და უანგარო საზოგადოებრივი მოღვაწეობით სდებდნენ მშობელ ხალხს, მშობლიურ ლიტერატურასა და ენას. ეს უდიდესი ღვაწლი და ამაგი შორიდან უფრო აშკარად და თვალსაჩინოდ ჩანს. ისინი კი ისე ახლოს იდგნენ ერთმანეთთან, რომ აგრერიგად როდი გრძნობდნენ ერთმანეთის სიღიადესა და ისტორიულ მნიშვნელობას. ხოლო საკუთრივ მაჩაბელზე თუ ვიტყვი, მისივე კერძო მიწერ-მოწერისა და შემორჩენილი საბუთების მიხედვით, უყოყმანოდ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ იგი დიდად არ აფასებდა თავის ლიტერატურულ შრომას და დროსაც ყველაზე ნაკლებს უთმობდა მას.

რაც შეეხება ბანკს, იგი გარკვეულ როლს თამაშობდა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში, სისტემატურ დახმარებას უწევდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, ქართულ თეატრს, გიმნაზიას, წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლას, რუსეთის სხვადასხვა უნივერსიტეტში მოსწავლე ხელმოკლე სტუდენტებს... ყველაფერი ეს ბანკის დაარსებისთანავე იყო გათვალისწინებული მისი მოქმედების პროგრამაში. ბანკის დაარსება ბატონყმობის გაუქმების რამდენიმე წლის შემდეგ გადაწყდა, მაგრამ მისი ფაქტიური ორგანიზაცია 1873 წლამდე ვერ მოხერხდა. ინტერესს მოკლებული არ იქნება რამდენიმე სიტყვით ბანკის დაარსების ისტორიაც გავიხსენოთ. მოუუსმინოთ თვითონ ივანე მაჩაბელს.

„(დომიტრი ყიფიანმა) ჩააგონა მთელს ჩვენს თავად-აზნაურობას საზოგადო საადგილმამულო ბანკის დაარსება იმ ფულის ნაწილით, რომელიც განთავისუფლებულ ყმების სამაგვიეროდ ერგო, რათა ბანკის მოგება მოხმარებოდა მიწის მფლობელთა – თავად-აზნაურთა და მიწის მუშათა – გლეხთა საყოველთაო საჭიროებას, და ამ აზრის შესრულებისათვის ამ სამაგალითო და ენერგიით საესე კაცმა არაფერი დაზოგა: თავის ფეხით მოიარა მთელი ქართლ-კახეთი და ყველგან აუხსნა თავად-აზნაურობას, თუ რა სიკეთე მოელოდა მას ამ საზოგადო საქმის დაწყებით. მხოლოდ იმის ღვაწლსა და შრომას უნდა

დაბრალდეს, რომ ძლეული იქნა ჩვენი ჩვეულებრივი აპატია და სხვის ხელ-შემყურებლობა. მან მოსჭრა კბილი თავის მჭევრმეტყველურის და დაბეჯითებულის ლაპარაკით ქართველურს „არა გამოვა-რა“-ს, რომლითაც დამცონარებული სხეული თავიდამ იშორებს საზოგადო საქმისადმი წახალისებას, და თითქმის არარაიდგან შექმნა ისეთი რამ დაწესებულება, რომელსაც ნაყოფად უნდა მოჰყოლოდა ჩვენი ეკონომიური წარმატება და განათლებაში ფეხის ჩადგმა; და მართლაც უბანკოდ ვერ იბოგინებდა ვერც სათაუდაზნაურო სკოლა, ვერც სკოლა წინამძღვრიანთ კარისა და ვერც სხვა ამგვარი, ქვეყნის სასარგებლოდ განზრახული საქმე...“ — წერს მაჩაბელი.

ერთი სიტყვით, ბანკი დიდ როლს თამაშობდა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში...



რვა წლის უნგარო და თავდადებული მოღვაწეობის შემდეგ მაჩაბელი ჩამოშორდა ბანკს!

ეს ცნობა ელვის სისწრაფით მოედო მთელს ქალაქს და განსაზღვრულ წრეებში დიდი უკმაყოფილებაც გამოიწვია. „როგორ, ბანკს ჩამოაშორეს მისი ყველაზე აქტიური მოამაგე და ხელმძღვანელი?! კაცი, რომელმაც, თავისი საფუძვლიანი ცოდნითა და გულმოდგინებით წალმა წარმართა ბანკის ფინანსიური საქმეები. 1875 წლიდან, ბანკის დაარსების დღიდან — 1883 წლამდე, მაჩაბლის დირექტორად არჩევამდე, ბანკმა 500.000 მანეთი ზარალი ნახა, ხოლო მომდევნო რვა წლის განმავლობაში, მაჩაბლის დირექტორობის დროს, ეს თანხა 500 მანეთამდე შემცირდა! ესეც არაფერს ნიშნავს?!“ გაიძახოდნენ მაჩაბლის მომხრეები (ეს ფაქტი საზოგადო კრებაზედაც ახსენეს).

ოპოზიცია ვერ შერიგებოდა დამარცხებას, მაჩაბლის ისე თვითნებურად გაქცევას ბრძოლის ველიდან, და ყოველნაირი ხერხებით აქეზებდა მას კვლავ საბრძოლველად. «От души сочувствую Вам и очень сожалею, что оставили директорство»... ზედიზედ მოსდის მაჩაბელს ასეთი დეკლარაციები. მიაღწიეს კიდევ მიზანს: კვლავ მოუბრუნეს გული ბრძოლისაკენ, დაანახვეს ოპოზიციის დროშის ქვეშ დარაზმული ლაშქარი, რომელიც ამ ცოტა ხანში

შესაძინევად გაზრდილიყო და გაძლიერებულიყო, ბევრი გავლენიანი წვერი შემატებოდა. მართლაც რომ შეიძლებოდა ბრძოლა! აქამდეც აშკარა იყო, რომ ოპოზიციის წევრთაგან მანაბელს პირველი ადგილი ეჭირა; ახლა კი, ბანკიდან წასვლის შემდეგ, ყველამ იგრძნო, რომ იგი ბელადი იყო, და მანაბელმაც მიიღო ეს ბელადობა.

მცირე ხანი გამოხდა ბანკიდან წასვლის შემდეგ და მანაბელმა ილიას „ივერიას“ ულტიმატუმი წაუყენა: „დიდი მოუთმენლობით მოველოდი ტფილისის სათავადაზნაურო ბანკის წრეებანდელ კრებათა ანგარიშის დასრულებას თქვენს გაზეთში. მოველოდი იმიტომ, რომ მწადდა სიმართლე აღმედგინა და შემესწორებინა ზოგიერთი შეცდომები, რომლებიც მე შემეხებოდა. გუშინ დასრულდა ეს ანგარიში და რა მთლად თვალი გადავაეღლე, დავრწმუნდი, რომ მართლაც შეცდომებით საესეა... თუ ფაქტების ჩვენებას და საზოგადოდ ბანკის მთელის დავიდარაბის გამორკვევას მოიწადინებთ, სრულის თქვენის ანგარიშის სივრცე პასუხი დამჭირდება. მე დიდის სიამოვნებით ვიკისრებ ამ შრომას შემდეგის პირობით: 1. შეუკვეცელად დაბეჭდოთ, რაც გამოვგზავნო ბანკის საქმეებისა და იქ მომხდარ ბაასის შესახებ და 2. მომცეთ ნება პასუხის მოცემისა გაზეთითვე და თქვენის უკანასკნელი სიტყვით არ შესწვეიტოთ ბაასი, თუ საგანს სრულიად გამორკვეულად არ ჩავთვლი“...

მაგრამ რელაქცია თანახმა არ გახდა მეორე საკითხისა და მანაბლის საკმაოდ ვრცელი წერილები მკითხველმა «Новое обозрение»-ში ნახა ზედიზედ რამდენიმე ნომერში გაგრძელებებით დაბეჭდილი. წერილის დასასრულს იგი რაინდულად იწვევს თავის მოწინააღმდეგეებს: «Если только лица, задетые настоящим объяснением, пожелают вступить в полемику со мною по вопросам, в нем затронутым, я был-бы очень польщен и охотно готов защитить мои пожелания где угодно и когда угодно».

ამაზე ცოტათი ადრე მანაბელი აკაკისა სწერს პეტერბურგში: „...გაზეთებიდამ შეიტყობდი იმ ამბავს, რაც ბანკში მოხდა. ილია ჭავჭავაძემ და მისმა ღირსეულმა „ამხანაგმა“, როგორც ეხლა თავის თავს ეძახის ბ. თარხნიშვილი, ერთად გამოილაშქრეს ჩემზედ... გამოილაშქრეს და დამამარცხეს კიდევ. მეც თავი დაუუკარ ამ ვაჟ-ბატონებს, ბანკი დაეულოცე და გამოვემშვიდობე. საზოგადოება ერთხმად მთელი ხუთი მინუტის განმავლობაში მთხოვდა დარჩენას, მაგრამ მადლობა მოვახსენე და გადაწყვეტილი უარი ვთქვი... ახლა ვაპირებ ვრცელი წერილები დაბეჭდო, როგორც „ნოვოე ობო-

ზრენიეში“ ისე „ივერიაში“ და გამოვააშკარაო ის მდგომარეობა, რა მდგომარეობითაც იბეჭდება ყველაფერი ბანკის შესახებ... იმედი მაქვს, რომ ვერ დაგვაძაბუნონ და იქნებ ისე გაუხდეს საქმე ილია ჭავჭავაძეს, რომ პიროსსავეთ წამოიძახოს: ერთი ამისთანა გამარჯვება კიდეც და მე ულაშქროდ დაერჩებო. მე ძალიან მესიამოვნება, რომ შენ ადვენო თვალყური ჩვენს პოლემიკას“...

მეორე წერილში, რომელიც უფრო მოგვიანებით გაუგზავნია აკაკისათვის, ეკითხულობთ: „...შეცდომით წარმოგიდგენია, ვითომ მე და ჩემ მომხრეთ იარაღი დაგვეყაროს და კერძობას გამოვდგომოდეთ. — ეგ ხომ მეტიხმეტი სულმოკლეობა იქნებოდა და მაგისთანა სულმოკლეობის აღმომჩენი შენის მეგობრობის ღირსი არ იქნებოდა. თუ მე ჩემს წერილში პირად მშვიდობიანობაზედ გწერდი, ეს იმიტომ, რომ მართლა ცოტა მოსვენება მეჭირვებოდა, შემდეგ იმ გაწამაწიისა, რაც ამ ზაფხულს გამოვიარე. ეხლა კი იმედი მაქვს უფრო ბეჯითად მოვიკიდოთ ხელი საქმეს, რამდენადაც კი დრო და შეძლება ხელს შევვიწყობს“...

მთელი ის ზაფხული მაჩაბელმა სოფელში გაატარა: ჯერ თამარაშენში იყო, მერე ფცაში, ბოლოს ისევ თამარაშენში. თავის ნათესავ-მოყვარეთ ცოლს აცნობდა, ცოლისას თვითონ ეცნობოდა. ილხენდნენ, იხარებდნენ, დროს მხიარულად ატარებდნენ. ჩვეულების მიხედვით, ახალ ცოლ-ქმარს ნათესავ-მეგობრები თავიანთ ოჯახებში ეპატიჟებოდნენ ხოლმე, და ყველგან, საცა არ უნდა დაეპატიჟნათ, პირველი მოკითხვის შემდეგ, ლაპარაკი ისევ და ისევ ბანკზე ჩამოვარდებოდა, ყველას ეს საქმე აწუხებდა, ყველას ბანკი ეკერა პირზე. ქართლის თავად-აზნაურობაში დიდი მღელვარება იყო, რადგან მაჩაბლის ბანკიდან წამოსვლა მათ საკუთარი თავმოყვარეობის შელახვად მიიღეს და ახლა, მით უმეტეს, როცა ღვინით იყვნენ შეჭიკჭიკებულნი, რიხიანად გაკვიროდნენ — არ შევარჩინთო! მაჩაბელს ამხნევებდნენ და აქეზებდნენ — მტრის ჯაყრი არ გვაჭამო. მიშო მაჩაბელი და ბანკის ბუღალტერი მიტო ფაველნიშვილიც ეწვივნენ მას ფცაში და ახალი გვემები დააწყვეს...

ერთი სიტყვით, ბრძოლის ველიდან წამოსვლა და ომის დამთავრება მოჩვენებითი იყო, რადგან სწორედ ახლა დაიწყო მთელი ძალების დარაზმვა და ახალი დიდი შეტევისათვის მზადება.

შექსპირისათვის ისევე მცირე დრო რჩება მაჩაბელს. როცა სოფელში მიდიოდა, გვემა დააწყო — „მაკბეტისათვისაც“ მოელო ბოლო და „რიჩარდ მესამეც“ დაეწყო და დაემთავრებინა. მაგრამ ვერ გაითვალისწინა ის დაუსრულებელი სტუმრობა და გადაპატიჟება, რაც ახალ ცოლ-ქმარს მოელოდა. მით უმეტეს, ვერ წარმოიდგენდა, ისევე ბანკის საქმეები თუ შეაწუხებდნენ და მოაცდენდნენ.

„მაკბეტის“ თარგმნა კვლავ ნელი ტემპით მიდის. ეს ტრაგედია ისე მტკიცედ არის კომპოზიციურად შეკრული, ისე ერთი განწყობილებითა და ერთი სუნთქვით არის დაწერილი, რომ ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს — ადვილი შესაძლებელია შექსპირს ეს ნაწარმოები ერთ ღამეში დაეწეროსო. მაჩაბელს კი მისი თარგმნა მეტი სმეტად გაუჭიანურდა. აგერ ნახევარ წელზე მეტი გავიდა, და პირველი მოქმედებაც ვერ დაუმთავრებია. დღისით სტუმრების მიღებას უნდება, ზოგჯერ ახლომახლო სოფლებშიაც გაისეირნებენ ხოლმე ცხენებით. განსაკუთრებით მოეწონა მაჩაბელს სოფელი ბრილი, რომელიც სულ რამდენიმე კილომეტრით არის დაშორებული ტასოს სოფელს. საღამოობით ფცის მშვენიერ ხეივანებში სეირნობა და საუბარი ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე! ტასოსაც და განსაკუთრებით მის უმცროს დას ბაბოს უყვართ ლიტერატურა და ინტერესით ისმენენ „მაკბეტის“ თარგმანის ყოველ ახალ ნაწყვეტს.

თუ რაც მოხდება, მოელება მით სრულად ბოლო, ნეტა საჩქაროდ მოხდეს ბარემ. თუ რომ კაცის კვლას ძალუმს დაჰფაროს, მიაყუჩოს თვისი შედეგი და ნაყოფი კი მკვლელს აგემოს... რომ ის ნაკრავი იყოს ყოველი, თავიც, ბოლოც, აქა, აქ, მანაც, ამ სააქოს, ამ ქვეყანას საფრთხითა საესეს, — ჭაშინ მეორედ მოსვლას აღარ შევეუდრკებოდი. მაგრამ სამართალს ველით აქაც, და ვინც სხვას ურჩევს აეაზაკურის და მოსისხლო საქმის ჩადენას, მასვე ის რჩევა სატანჯაეად დაუბრუნდება. მართლმსაჯულებას ჩვენს ტუჩებთან მოაქვს უკანვე ფილა, ჩვენგნივ საწამლავეთ შემზადებული...

კითხულობს მაჩაბელი ვერ კიდევ მელანშეუმრობელ სტრიქონებს და ოჯახური წრე გულისყურით უსმენს.

ახალს რას მეტყვი?

პკითხავს ოთახში შემოსულ ცოლს მაკბეტი.

ოთახიდან რად გამოხვედი?
საცაა ვახშამს გაათავებს!

მიუგებს ბოროტებით აღგზნებული ქალი.

იცი, რა გითხრა,
უნდა დავეხსნათ ჩვენ იმ საქმეს. მე ამ ბოლო დროს
იხე ამავსო წყალობითა, რომ ხალხის თვალში
გარშევიმოსე შუქბრწყინვალე შარავანდედი
და ბრწყინვალედევე მსურს ეატარო, არ განვევსორო...

თითქოს თავის თავთან ლაპარაკობსო მამაცი რაინდი, რომელსაც
სინდისი გაღვიძებია. მაგრამ პატივმოყვარეობით გაბერილი ქალი
ფიქრის დასრულებასაც არ აცლის სახელოვან სარდალს:

მამ იმედი რომ გვქონდა გულში,
ნასვამი იყო და უგრძობლად ეძინა დღემდის?
მერე დღეს მისთვის გაიღვიძა, რომ ფერმიხდილი,
რასაც თამამად შეჰყურებდა, იმის წინ შეკრთუნს?!
დღეიდან აგრე დაეაფასებ შენს სიყვარულსაც.
რად გეშინიან შენი სიმხნე, გაბედულება
შენსა საწადელს შეუფერო? გსურს, გქონდეს იგი,
რასაც უწოდებ ამ ცხოვრების ძვირფას საუნჯეს
და ლაჩრად რჩები შენსავე თვალში. სიტყვას „მსურს იგი“
თანვე აყოლებ „ვერა ვებდაე“, ვით ანდაზამი
კატაზე არის ნაამბობი...
მე გამიზრდია ბავშვი, ბუბუ მიწოვებია
და ვიცი, როგორ ტკბილი არის მის სიყვარული,
მაგრამ როგორც შენ დასდე ფიცი ამ საქმისათვის,
იმგვარად მე რომ დამეფიცა, შზა ვიყავ მაშინ,
ამომგლიჯა ბუბუ იმის ნაზ ღრძილებიდან
და ვიდრე იგი ღიმილითა შემომცქეროდა,
ძირს დამენარცხა, კეფით ტვინი გადმომენთხია...

ტასომ შეჰკიეღა. ბაბო გადაფითრღა.

„ნუთუ შექსპირსაც ასე ტღანქად აქეს?“ ამას ტასო კითხუღობს და ქმარს ეკერის.

ორიგინალშიაც სწორედ ასეა — „I would... have... dasht the brains out“. მაჩაბელსაც ეუხერხულა ეს სიტყვები, ერთი პირობა ფიქრობღა კიდეც შეერბიღებინა, მაგრამ აქ არ შეიძღებოღა, რადგანაც ეს სიტყვები ლედი მაკბეტის ხასიათიღან გამოღის, მისთვის დამახასიათებღია. საერთოღ, ძღიერი ხასიათისანი არიან შექსპირის ქაღები, — ამბობს მაჩაბელი, — დეზდემონა, ჯულიეტა... ესენიც ხომ მტკიცე ნებისყოფისანი არიან!.. ხასიათის სიმტკიცით ისინი ერთმანეთს გეანან, განსხვავება ის არის, რომ ლედი მაკბეტი პატივმოყვარუბითა და ბოროტებით აღსაესეა. თეითონ უმამაცესი სარღალი — მაკბეტიც კი შეაკრთო ქაღის ამ სიტყვებმა, აღბათ ისიც თქვენებრ გაფითრღა ამ უბუნებო სიტყვების მოსმენახე, მაგრამ პირდაპირი პასუხი ვერ მოახერხა და გაუბეღავად ესღა ამოიღულღულღა: „რომ ვერ მოგეიხდეს საქმე მარჯვედ?“ „ვერ მოგეიხდესო!“ — შესძახებს გააფთრებულღი და ქმრის სისუსტით გაკვირვებულღი დეღაკაცი. „ჭახრაკი მაგრა მოუჭირე გამბეღაობას, და ყვეღა კარგად მოგეიხდებღა“!..

ასე აქეზებს ცოღი. ქაღისაგან წაქეზებულღი ვაჟკაცი კი რას არ გააკეთებს!..

ენოს ეღიმება, გრძნობს, რომ მაკბეტის სიტყვებმა ქაღები შეაწუხეს და თარგმანს გვერდზე გადაღებს, ცდიღობს საუბარი სხეა საგანზე გადაიტანოს. ტასო ახღა ისეთ მღგომარეობაშია, რომ სუღიერი სიმშეიღე სჭირღება, მისი აღეღება და შეშინება არ შეიძღება.

მაჩაბელი ყურადღებინი ქმარი; გამოცდიღი ექიმღით არიგებს ქაღს, როგორ მოიქცეს. უფრო მოგვიანებით, როცა იგი თბიღისს დაბრუნღა, ხოლო ტასო იქვე დარჩა, თითქმის ყოვეღღე სწერღა წერიღებს. „ღღე ისე არ გაეა, რომ რამღენჯერმე არ მომინღეს სტოღთან მიჯღომა და შენთან წერიღის დღწერა. ისე მომწყურღება ხოღმე შენთან გამოღაპარაკება, თითქოს მეორე ოთახში იჯღე და კარების გაღების მეტი არა დამჭირღებოღეს-რა, რომ ეგ მშეენიერი თვალები გადაგიკოცნო. პორტრეტები კი, ღეთის წყაღობა გაქეს, ბეერი შემოვიმწკრივე გარშემო, რომ შენს მაგიერად შენს სურათს ეუაღერსო ხოღმე. სამღიმოა შენთან შორს ყოფნა... ანა იეანოენა ენახე, ეუამბე ყოვეღისფერი შენი ამბავი და დიღად ესიამოენა,

რომ ვგრე კარგად მიდის შენი ორსულობა. მე ვიცოდი, რომ ტასო ჯანმრთელი ქალი იყო და სრულებით თავისუფლად მორჩება მელოგინეობასო... იაროს ზომიერად, პური და ფქვილეული, მსუქანიც ნაკლებად სჭამოსო. კამფეტები, მართალია, ძალიან უყვარს, მაგრამ ხანდისხან რომ დასთმოს ხოლმე, ურიგო არ იქნებაო...”

სექტემბერში მაჩაბელი თბილისში ჩამოდის და ახალ სამსახურში იწყებს მუშაობას. ეს სამსახური არაფრით არ არის მაჩაბლის შესაფერი, არც მის მიზნებსა და მისწრაფებებს აკმაყოფილებს, არც საინტერესოა. მაგრამ ერთი დადებითი მხარე აქვს, — და ეს ახლა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია მაჩაბლისათვის, — ბევრ დროს არ ართმევს. „ამომირჩიეს председателем сиротского суда, ჯამაგირი მართალია ცოტაა, მაგრამ ალაგი თავისუფალია და მე ვარ ჩემი ბატონი“... სწერს იგი იმავე შემოდგომაზე აკაკი წერეთელს.

ახლა მას საშუალება ეძლევა უფრო ნაყოფიერად გააგრძელოს ლიტერატურული მუშაობა და მთელის არსებით ამ საქმეს მიეცეს.

მაგრამ საშველი მაინც არ ყოფილა: ძლივს მოასწრო „მაკბეტის“ დამთავრება, რომ ისევე ბანკის საქმეებში ჩაფლული აღმოჩნდა. ოპოზიციის წევრები გასაქანს აღარ აძლევენ, აქეზებენ, არც ხვენენ — ბრძოლის ველზე რად მიგვატოვეო. სისტემატურად იკრიბებიან მასთან სახლში და შუაღამემდე კამათობენ, დაუობენ, მსჯელობენ, გეგმებს აწყობენ, ახალი შეტევისათვის ემზადებიან.

მაჩაბლისათვის ეს ბრძოლა პრინციპული ხასიათისაა, სხვები — აწერილმანებენ, აკნიებენ, შიგ ანგარებას აქსოვენ და არც თუ ისე იშვიათად ვიწრო კუთხობრივი კინკლაობის სამოსელში ახვევენ, მაჩაბელი დარწმუნებულია თავისი მოსაზრებების სისწორეში და რაკი მთელი ეს ბრძოლა სამართლიანად მიაჩნია, მისი თანამებრძოლების ინტერესთან შეზღუდულობასა და ანგარებას ველარც კი ამჩნევს. ამ ბრძოლას იგი იმაზე უფრო დიდ ეროვნულ და ფართო საზოგადოებრივ მნიშვნელობას აძლევს, ვიდრე სინამდვილეში შეიძლებოდა ჰქონოდა ბანკის საქმეების გამო აღძრულ უთანხმოებასა და დაეას.

ამრიგად, ბანკიდან წასვლამ ფაქტიურად არაფერი შესცვალა, ბრძოლა კვლავ გრძელდება. პირიქით, ახლა კიდევ უფრო დაიძაბა და გამწვავდა ეს ბრძოლა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ოპოზიციის ხასიათი გამოიკვეთა, ოპოზიციის მონაწილეთა რიცხვი გაიზარდა, გაჩნდა ხელმძღვანელი ბირთვი, რომელშიაც ვანო მაჩაბელს გარდა შედიან მიშო მაჩაბელი, ნიკოლოზ ვახტანგის ძე ორბელიანი, კოლა ფავლენიშვილი, ექიმი გიგო გაბაშვილი... ოპოზიციას ამშვენებს

მთელი გუნდი „საზოგადო საქმისათვის წამებულ ქალთა“, რომლებიც მებრძოლებს ამხნეებენ, ძალას მატებენ და ბრძოლისათვის აქეზებენ. ქალთა მონაწილეობა კიდევ უფრო რომანტიკულ იერს აძლევს ბრძოლას. «Очень тебе благодарен, что ни при каких обстоятельствах не забываешь наших общественных дел, — სწერს მაჩაბელი, სწორედ ამ ხანებში, ოპოზიციის თანამგრძნობ ქალს, — ты бы годилась в Жанны Д'арк — так ты умеешь фантазировать и фантазировать других»...

ერთი სიტყვით, ბანკში წარმოქმნილი უთამხმოება ყველაფრით დაემსგავსა ნამდვილ ბრძოლას. მაგრამ ომის ბედი მერყეობს, წარმატებები გარდამავალია, ბრძოლებს ჯერჯერობით ეპიზოდური და დაზუერვითი ხასიათი აქვს, თუმცა აშკრად იგრძნობა, რომ მალე დადგება გადამწყვეტი იერიშის დღეც და მოუთმენელი ჯარისკაცები ხშირად მიმართავენ ხოლმე თავიანთ ბელადს — «...Как Вы, главнокомандующие, себя, чувствуете? Что касается солдат, ведите в огонь и в воду»...

ძალები თითქმის თანასწორია, მაგრამ ბრძოლა მაინც უსწორია: ოპოზიციას მთავარი საბრძოლო იარაღი არ გააჩნია, — გაზეთი არა აქვს და მაჩაბელი ყოველთვის გულდაწყვეტით შენიშნავს ხოლმე, რომ მის გამოსვლებსა და მოსაზრებებს მოწინააღმდეგისა და სხვა თითქოს ნეიტრალური გაზეთები ამახინჯებენ და ფართო საზოგადოებას მცდარ წარმოდგენას უქმნიან. „იგია ერთადერთის ქართულის გაზეთის რედაქტორი და ყოველდღე შეუძლიან პასუხი აგოს, ვინც კი იმის წინააღმდეგ იტყვის, ან დასწერს რასმე, — წერს მაჩაბელი, — ეს კიდევ ცოტაა: თუ გაბედე და იმის მოქმედება კრიტიკის თვალით გაარჩიე, შენი სიტყვები ისეთი სახით ჩაიბეჭდება იმის გაზეთში, რომ წაკითხვის დროს პირველად იწერო და უნებურად იძახო: ღმერთო, მიხსენ ამისთანა მიუფერებლობისაგან! როგორ მოვა ამისთანა იარაღის ხელში მჭერელთან გარეშე პირი, თუნდა ცამდე მართალი იყოს და ნამდვილ საბუთებზედ აშენებდეს თავის მსჯელობას; ვისა აქვს შეძლება და მოცალეობა ბროშურებით და წიგნებით ებაასოს და ეკამათოს ყოველდღიურ გაზეთს?“ — წერს მაჩაბელი.

გაზეთის განახლებაზე ადრეც ბევრი უფიქრია მაჩაბელს, მაგრამ რამდენჯერაც არ მოსინჯა ნიადადგი, ყოველთვის შეუძლებელი გახდა; „დროების“ შემდეგ მთავრობა აღარ ენდობა, ვეღარ ჩაუგდება ხელში ბასრ იარაღს. არა და, რაც დრო გადის, ოპოზიციისათვის უფრო

და უფრო საჭირო ხდება გაზეთის დაარსება. მაჩაბელი წერილებს ღებულობს, მისი პარტიის რიგითი წევრები დაბეჯითებით მოითხოვენ — გაზეთი დააარსეთ, რომ ჭურში არ ვისხდეთ და ამ ბრძოლის ასაველ-დასაველი ჩვენც გავიგოთო. დახანება აღარ შეიძლება, საჭიროა ხალხს აუხსნან ბრძოლის შინაარსი. განუმარტონ ის მთავარი დებულებები, რის გამოც ახლა ასე სამკედრო-სასიცოცხლოდ შებმინან ბანკის მმართველობას. ახლოვდება დამფუძნებელთა ახალი საზოგადო კრება. დაყოვნება და დროს დაკარგვა ომის წაგებას უდრის...

და აი, 1892 წლის გაზაფხულზე, დამფუძნებელთა ყრილობამდე ორიოდ თვით აღრე, გამოვიდა ანონიმური წიგნი, რომლის სახელწოდება იყო „თავადი ილია ჭავჭავაძე და მისი მოღვაწეობა“...

იმხანად წიგნების გავრცელება ისე მასობრივი როდი იყო, ხუთასტირაჟიანი წიგნი წლობით იღო მაღაზიებში, გამომცემლობის აგენტებს თითო-ოროლა ცალობით დაქონდათ ხოლმე სხვადასხვა კუთხეებში და ძლივს ასალებდნენ, მაგრამ ეს პატარა ბროშურა გამოსვლისთანავე დაიტაცეს. იგი ყველამ წაიკითხა; კითხულობდნენ ოპოზიციის წევრები, კითხულობდნენ მოწინააღმდეგის ბანაკშიაც, და თუმცა წიგნი ანონიმური იყო, ყველამ იცოდა, რომ ის მაჩაბლის კალამს ეკუთვნოდა...

აღამიანის ცხოვრებაში არის ხოლმე საბედისწერო ნაბიჯები, კვიმატი შეცდომები, რომელთა გამოსწორება შემდეგ აღარაფრით არ შეიძლება; გამოერევა ხოლმე დღეები, წლები, უკუღმართი წუთი, რომელიც გინდა სავსებით ამოგლიჯო ისტორიიდან, ბიოგრაფიიდან, მაგრამ შეუძლებელია. ილია ჭავჭავაძის ერთი ბიოგრაფი წერს: „1875 წელი შეებედით წლად უნდა ჩაითვალოს ილიას ცხოვრებაში. ოპ, რა დიდის სიამოვნებით ამოველეჯდი ილიას ცხოვრების ისტორიიდან იმ ფურცელს, სადაც ეს წელია ჩაწერილი! ეს ის წელი იყო, როდესაც ილიამ პირველად ფეხი შესდგა ახლად დაარსებულ საადგილმამულო ბანკში. ოპ ნეტაე მე მაშინ უფლება მქონოდა, რომ მეთქვა ილიასათვის: ილია, შესდექ, ნუ ადგები მაგ მოლიპულ გზას, საშიშარია, ფეხს ვერ მოიკიდებ, დაგისხლტება, ძირს ჩაგიტანს, აი იმ ხევში, სადაც მოსჩანს დახავსებული, აშშორებული ჭაობი. იქ თავს ვეღარ შეიმარგებ, ჩაგიტანს, ჩაგიტრევეს, ჩაილეკები“...

შეცდომა იყო ზემოხსენებული ბროშურის გამოცემა, ისიც ასეთი სათაურით! ეს იყო ნაბიჯი, რომელიც ყოველგვარ უკანდასახევ

გზას სჭრიდა, ისედაც დაძაბულ ურთიერთობას კიდევ უფრო ამწვავებდა და შერიგებას შეუძლებელსა ხდიდა. ახლა უფრო ხელშესახები მასალა მიეცათ ჭორებისა და ცილისწამების მოყვარულ ვაჟბატონებს, რომლებიც ბრძოლაში თავს ნეიტრალებად აცხადებდნენ. ისინი ხელიდან არ უშვებდნენ ამ პატარა წიგნაკს და მთელი დღეები ხითხითებდნენ. ჭკვეჭკაეაქესთან მაჩაბელს აგინებდნენ; მაჩაბელს, პირიქით, გაბედულებასა და პირდაპირობას უწონებდნენ და მადლობას ეუბნებოდნენ, რომ მან „ყალბ ავტორიტეტს“ ანგარიში არ გაუწია და საქვეყნოდ ამხილა.

მაგრამ, სინამდვილეში „მადლობა“ მაჩაბელს არ ეკუთვნოდა, რადგან ეს ბროშურა მას თითქმის ძალათი დააწერინეს. ბროშურის გამოცემა ოპოზიციის „შტაბის“ სხდომაზე გადაწყდა და მაჩაბელი, როგორც ამ პარტიის წევრი, საერთო გადაწყვეტილებას უნდა დამორჩილებოდა. აკაკი წერეთელი თავის მოგონებაში პირდაპირ წერს: „ოპოზიციამ თავდაპირველად წესად შემოიღო, რომ რასაც ხმის უმეტესობით დაადგენდა, ის უეჭველად თვითოეულ წევრსაც უნდა ეკისრა და ამან ზოგჯერ იძულებული გახადა მაჩაბელიც, რომ თავის სურვილის წინააღმდეგ ემოქმედნა ბრძოლის დროს“.

ეს სიტყვები მით უფრო საგულისხმოა, იმასაც თუ გაეითვალისწინებთ, რომ აკაკის ახლო მეგობრობა აკავშირებდა მაჩაბელთან და ამდენად მისი იმდროინდელი განწყობილება უსათუოდ ეცოდინებოდა. ამასვე ამტკიცებს გიორგი თუმანიშვილიც: „... მაჩაბელი აქ (ე. ი. ბანკის საქმეებში) თავისუფლად არ მოქმედებდა, ემორჩილებოდა პარტიის დისციპლინას და ამ პარტიობამ ყოველად დაიმორჩილა“.

მაჩაბლის პირადი წერილებიდანაც ჩანს, რომ იგი იძულებულია ოპოზიციის გადაწყვეტილებას დაემორჩილოს. უფრო მოგვიანებით იგი აპირებს თბილისიდან წასვლას, მაგრამ თან ყოყმანობს — „იქნება ჩემმა ამომრჩეველებმა ზნეობითად დამაჟვალონ აქედან ფეხი აღარ მოვიცვალა“... სწერს იგი ერთ თავის მეგობარს.

საერთო მსჯელობამ გაგვიტაცა და ის კი დაგვაეინწყდა, ამ ბროშურის შინაარსსა და ზოგად ხასიათს გავცნობოდით. აქ განხილულია წერილმანი საბანკო საქმეები, მითითებულია ცალკეულ შეტდომებზე, რომელიც ბანკის გამგეობას სხვადასხვა დროს დაუშვია და ამით ერთგვარი ზარალი უნახავს. ეს საკითხები ვიწრო

სპეციფიკური ხასიათისაა და ამდენად მათს დაწერილებით განხილვას აქ არ შეუძლებიათ.

ბროშურის საერთო ტონი არც იმდენად მკაცრი ყოფილა. ეს საკითხები ცალ-ცალკე რომ ყოფილიყო დაბეჭდილი, განხეთის სხვადასხვა ნომერში, იქნებ სულაც არ მოსჩვენებოდა მკითხველს მკაცრად. ბოლოს და ბოლოს, თითქმის იგივე საკითხები მაჩაბელმა ამაზე ადრე ხელმოწერით გამოაქვეყნა „ნოვოე ობოზრენიეს“ ნომრებში და მაშინ ასეთი გამოხმაურება არ გამოუწვევია. მაგრამ ახლა ყველაფერი ერთად იყო თავმოყრილი ერთ წიგნში და საზოგადოებაში ასეთი ფართო გამოხმაურებაც ამით უნდა აიხსნას. გარდა ამისა, მაჩაბლის შეცდომა ისიც იყო, რომ იგი ბანკის საქმეების კრიტიკით არ დაკმაყოფილდა და ილიას საერთო საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც გადასწვდა...

ერთი სიტყვით, ბროშურის გამოცემამ კიდევ უფრო გააღრმავა უფსკრული ილიასა და მაჩაბელს შორის...

მაგრამ რას აკეთებდა ამ დროს ვასო მაჩაბელი? ჩვენ უკვე ვიცით, როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ ერთმანეთთან ძმებს, მათ შორის არაფერი ყოფილა დაფარული. ისინი თავის გულის ხეაშიადს, გადაწყვეტილებას, მოსაზრებას, სულ წერილმან საკითხსაც კი ერთმანეთს უზიარებდნენ ხოლმე. ახლა რა მოხდა, ნუთუ ვერ მოახერხა ვასილ მაჩაბელმა თავისი გულითადი მეგობარი და საყვარელი ძმა შეერიგებინა? ან სად იყო ამ დროს უფროსი ძმა?

* * *

იმ წელს თითქმის მთელს საქართველოში ხოლერა მძვინვარებდა. განსაკუთრებით ქართლის სოფლები ააწიოკა ამ განუკურნებელმა სენმა. შევიდოდა ეს საშინელი მაჯლაჯუნა გეალეისა და მოუსაველიანობისაგან გაუბედურებულ სოფელში, თავის კლანჭებს ფართოდ გაშლიდა და ერთბაშად რამდენიმე ოჯახს მიაღებოდა, ჩაებლაუჭებოდა, გასაქანს არ აძლევდა, სულს აღარ ათქმევინებდა. ჯერ გადატაკებულ გლეხების ოჯახებს დაერეოდა, ხოლო შემდეგ შეძლებულსა და წარჩინებულებსაც არ ივიწყებდა. შიმშილით დაჩაჩანაკებულ, მემამულეთა მიერ არაადამიანური მოპყრობით წელში გაწყვეტილსა და ჩარჩ-ვაჭრებისაგან სისხლგამშრალ ხალხს რაღა ახალი უბედურება ეჭირებოდა! ცრუმორწმუნე და გაუნათლებელი

სოფლის მოსახლეობა ჯერ სასოებით მიენდო მკითხავენსა და ცრუ აქიშებს, რომლებიც იმხანად ერთიორად მომრავლდნენ. მაგრამ როცა სენი უფრო გამძვინვარდა და ფართოდ მოედო მთელს კუთხეებს, ხალხი პანიკამ მოიცვა. გაჩნდებოდა თუ არა სოფელში სენი, ხოლერიან ოჯახს ყველა გაემიჯნებოდა, თითქოს შერისხული ყოფილიყოს; ვისაც შეძლება კქონდა, მაშინვე ურემს შეაბამდა, ზედ ჯალაბს დასხამდა და ფაციფუცით დაიძრებოდა... თვითონაც არ იცოდა საით. მაგრამ საცა არ უნდა წასულიყვნენ, ეს მაჯლაჯუნა ყველგან ხედებოდათ. დაცარიელებულ სოფლებში უპატრონოდ მიტოვებული საქონლის ბლავილი ისმოდა, ჩამონგრეული ქოხებიდან კენესისა და მოთქმის ხმა გამოდიოდა. ხალხი ზედიზედ იხოცებოდა და დამმარხავი არსად იყო...

ეს შემადრწუნებელი სურათები შესანიშნავად აქვს აღწერილი ნიკოლოზოურს. ერთ მოთხრობაში მას გამოყვანილი ჰყავს ახალგაზრდა ინტელიგენტები, რომლებიც კარდაკარ დადიან და ხოლერიან ავადმყოფებს უვლიან. პროტოტიპების საძებნელად შორს წასვლა არ დაგეგმირდება: ჩვენ შეგვიძლია მაჩაბლების ოჯახში აღმოვაჩინოთ ისინი.

ვასილ მაჩაბელი, ბოლოს და ბოლოს, პეტერბურგიდან სამშობლოში დაბრუნდა და აქ მოეწყო სამსახურში. ცოლად შეირთო ვეზირიშვილის ქალი, მეტად სათნო და კეთილი ადამიანი. იმხანად, ესე იგი 1892 წლისათვის, მას უკვე სამი შვილი ჰყავდა და ზაფხულს, ჩვეულებრივ, თამარაშენში ატარებდა.

თამარაშენში რომ გაჩნდა ხოლერა პირველად, ვასო მაჩაბელი შინ არ იყო. საშინელმა პანიკამ მოიცვა მთელი სოფელი. ხალხი დატრიალდა, ზოგმა ურემი გააწყო, ზოგმა წინ გაირეკა ცოლ-შვილი და ხურჯინმოკიდებულნი მთებისკენ დაიძრნენ. ერთ საათსაც არ გაუვლია, რომ ახლა მეორე ოჯახში გაჩნდა ხოლერა. ავადმყოფები ღვთის ანაბარად მიაგდეს...

და აი აქ გამოამჟღავნა თავისი დიდი სათნოება და სიკეთე ვასილ მაჩაბლის მეუღლემ, ნინომ. იგი არ დაიბნა, გაჩნდა თუ არა სოფელში ხოლერა, მაშინვე კაცი აფრინა ქმართან, ხოლო თვითონ არც კი დაფიქრებულა, ისე შევიდა ავადმყოფთან...

ორიოდე დღის განმავლობაში მთელ სოფელს მოედო სენი, მშველელი არსად არა ჩანს, არც ექიმიცა სადმე, არც წამალი. ხალხი რამდენიმე საათის განმავლობაში იხოცება. ნინო მაჩაბელს ველარ აკაეებენ, გაიგონებს თუ არა კენესას, მაშინვე ქოხში შევარდება,

აეადმყოფს დაუყვავებს, წყალს დააღვინებს, უშლიან, მაგრამ არ იშლის. გაჭირვებულებს რომ ხედავს, გული აღარ უთმენს.

მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო და რისიც ასე ძალიან ეშინოდა ვასილ მაჩაბელს... ნინოს ხოლერა შეეყარა და 12 საათში გაათავა.

ძმის უბედურება ვანომ მოგვიანებით გაიგო. იმ ზაფხულს იგი თავისი ცოლ-შვილით ქვისლთან იყო სტუმრად.

ბეჟან წერეთელს ევროპულად მოწყობილი სახლი ედგა საჩხერეში და მდიდრულად ცხოვრობდა. სტუმართმოყვარე ოჯახი არაფერს იშურებდა საყვარელი სტუმრების გასამხიარულებლად და პატივისცემად. ვანოს გარდა, იქ იყვნენ აგრეთვე გიორგი და დათო ბაგრატიონ-დავითაშვილები და ამათი უმცროსი და ბაბო. თავის სოფელშივე ატარებდა ზაფხულს აკაკი წერეთელიც, რომელიც პეტერბურგიდან რამდენიმე თვის წინათ დაბრუნდა. აკაკი ხშირად ეწვეოდა ხოლმე ბეჟანს, და ყოველ მის სტუმრობას, რაღა თქმა უნდა, დიდი სიხარული შეჰქონდა ოჯახში. გვიან ღამემდე ისხდნენ მწევანე ფანჩატურებით დაბურულ ეზოში და თამაშობდნენ, საუბრობდნენ, ხუმრობდნენ, დროს მხიარულად ატარებდნენ.

არც თუ ისე იშვიათად ცხენებითაც გაისეირნებდნენ ხოლმე ახლომახლო სოფლებში და ბუნების სიმშვენიერით ტკბებოდნენ. მაჩაბელი მოხიბლა ზემო იმერეთის სიკეკლუცემ. ასეთი მშვენიერი არაფერი მინახავსო, თქვა; მერე აკაკის გადახედა და ღიმილით დასძინა: წარმოიდგინე, ქართლს არაფრით ჩამოუყარდებო. მისივე სიტყვები მოაგონა პოეტს! გიორგი ბაგრატიონი კი მართლაც მთელი სერიოზულობით ამტკიცებდა — ეს მდებარეობა საოცრად მაგონებს ჩვენს ბრილსაო. წერეთლებს ეცინებოდათ, ჯერ სადა ხართ, ნამდვილ მშვენიერებასა და ბუნების სიდიადეს აწი გაჩვენებთო, მიმართა ქვისლსა და ცოლისძმებს ბეჟანმა.

და მართლაც, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა მან, რაც ამ მოგზაურობის დროს იხილა მაჩაბელმა.

რაკი შორს მიემგზავრებოდნენ, ქალები არ წაუყვანიათ, ვერც ნააეადმყოფარმა პოეტმა გაბედა წასვლა. საგულდაგულოდ შეარჩიეს მთის გზებს შეჩვეული ცხენები და დილაადრიან გაუდგნენ გზას. მასპინძლის განზრახვა იყო, სტუმრებისათვის ეჩვენებინა თამარის საყდარი, რომელზედაც სწორედ იმ ხანებში რამდენიმე საყურადღებო ცნობა დაიბეჭდა გაზეთებში.

საუკუნეების განმავლობაში იღუმალებით იყო მოცული მიუვალ კლდეზე რაღაც უხილავი ძალით აშენებული ტაძარი, რომელშიაც,

გადმოცემის მიხედვით, თამარ მეფის ოქროს კუბო ასვენია და ჩაუქრობელი კელაპტრები უნთია. მხოლოდ ახლა მოეხერხებინა ერთ რაჭველ გლეხს ციცაბო კლდეში კიბეების გამოჭრა და იმ ტაძრამდე ასვლა. ეს საყდარი რაჭის საზღვრებში მდებარეობს, შქმერსა და ბოყვას შორის.

მგზავრები ცხენებს მიაჩქარებდნენ, რათა დროულად ჩასულიყვნენ და ტაძრის დათვალიერება მოესწროთ. საცალფეხო გზა დაბურული ტყის ნაპირებს მიჰყვებოდა. მთის გამაცოცხლებელმა პაერმა, გარეულ მცენარეთა და ყვავილთა დამათრობელმა სურნელმა, პეიზაჟების სიმშვენიერემ და მთელი ბუნების გრანდიოზულობამ უჩვეულოდ გაახალისა მჩაბელი. იგი მალიმალ შეაჩერებდა ხოლმე ცხენს და გასცქეროდა მზით დაფერილ პორიზონტს, რომელიც შორს, შორს თეთრად გადაჰენტილ ღრუბლებს უერთდებოდა. წინ მედიდურად ამართულიყვნენ მარადი თოვლით დაფარული კავკასიის ბუშბერაზი მთები, რომლებიც სპეტაკი მწვერვალებით თითქოს ზეცას ებჯინებოდნენ. „ბუშბერაზ მთანი მაღალნი, ცათამდე აყუდებულნი“... აგონდება ოცნებაში წასულ მჩაბელს საყვარელი პოეტის სიტყვები. მაგრამ ბეჟანი დაურღვევს ტკბილ ოცნებას, იგი აჩქარებს, უნდა დროზე ჩაიყვანოს ადგილზე და მჩაბელიც სინანულით შენიშნავს შემდეგ: „... მიეაჩქარებდით ცხენებს... აღარ ვაქცევდით ყურადღებას არც მშვენიერ მთის პაერს, რომელიც შქმერის არემარეს დაპბერაუდა, არც მრავალფრად აყვავებულს მუხლამდე ამომწღომს მთის ბალახს, რომლის მსგავსს ბარში კაცი ვერ ნახავს, არც შუა ზაფხულში თოვლით დატვირთულს ახლომახლო მთებს, საიდანაც საამო ნიავე გულს გვიგრილებდა...“

შუადღე იქნებოდა, როცა განთქმულ ქვაგახეთქილას მიაღწიეს. აქ კი აღარაფრით არ შეიძლებოდა არ შეჩერებულიყვნენ და საქართველოს ბუნების მთელი მშვენიერება არ განეცადათ.

...მიაღწიეთ ქვაგახეთქილას, საიდანაც უეცრად ისეთი სურათი წარმოგვიდგა თვალწინ, რომ გრძნობა-გონება დაგვიტყვევა და სხვა აღარაფრისათვის მოგვაცალა, — წერს მჩაბელი, — ზემო იმერეთიდან რაჭის დედა-ქალაქ ონამდე დიდი გზაა მიმავალი და ეს გზა სხვათა შორის, ერთს ალაგას ვეება კლდეს შეხედება. ეს კლდე რაღაცა ძალას შუა გაუპია, შუაზედ გზა დადებულა და აი სწორედ ამ ალაგას ეძახიან ქვაგახეთქილას. აქეთ-იქით აყუდებულნი კლდენი ჩარჩოს ხეებსავით დგანან, თითქოს მშვენიერის ნახატის შემოსაზღუდად, და მართლაც უეცრად ამ ორ კლდეთა შორის ისეთი სურათი წარმოვიდგებათ, რომელსაც აღარ გინდათ თვალი

მოაშორეთ. თითქოს ძლიერი აშლილობის დროს, როცა მთაგორებს უხილავი ქვესკნელის ძალა მალდა ისროდა და ერთი-ერთმანეთს აყრიდა და აზუაუებდა, ბუნება გამშუშებულიყოს და საუკუნოდ დარჩენილიყოს ნიშნად უფსკრულის ძალთა არეუდარევისა. მთა მთას მისდევს, გორა – გორას, ვაკეს თითქმის ეერსად ხედავთ და მხოლოდ ორგან იმ უსწორმასწორო სურათს ზოლივით ხაზები აქვს გაელილი, ერთი ბუნებას გაუკვალავს და მასზედ მიაგორებს შფოთიან რიონის ზვირთებს, მეორე არის ნაყოფი ხელოვნებისა, დიდი ფოსტის გზა, რომელიც მამისონის უღელტეხილს ქუთაისს უერთებს. ამ ერთმანეთთან გადახლართულ მთა-გორებში ადამიანს, სადაც მოუხერხებია, თავისი სადგურები მთის კალთებისათვის მიუკრავს და წვითა და დაგვით ცდილობს უწყვლო ბუნებას ორი მტკაველი მიწა, თუ ნებით არა, ძალით მაინც გამოაცალოს. რიონსა და გზას იქით სჩანან თვალუწვდომელი კაკასიის მთები, ისე ახლო, თითქო ხელი რომ გააწვდინოთ, შეხება არ გაგიჭირდებათო. ხედავთ ბურუსში გახვეულ მწვერვალთ, გრძნობთ თითქოს მათგან მობერილ სიცივის ჟრუანტელს, თვალს გტაცებთ ყინულის სპეტაკი მდინარე, ორ მაღალ მთას შორის ნელად და უჩინრად თავქვე დაბლობისაკენ მიმაუალი...”

ხშირად დაფიქრებულა მაჩაბელი სამყაროს აღნაგობაზე, უსაზღვრო სიერცეში მოსრიალე ეეებერთელა მნათობებზე, იმ „უხილავ ძალებზე, რომლებიც მთაგორებს მალდა ისროდა და ერთი-ერთმანეთს აყრიდა“. მაგრამ ახლა თითქოს პირველად განიცადა მან მთელი სიდიადე ბუნებისა. ახლა იგი ქვის ბუნებრივ ამბრაზურას იქით ცხადად ხედავდა ფართოდ გადაშლილ რაღაც დიადსა და გრანდიოზულ სანახაობას, რომელსაც ვერ შეედრებოდა ვერავეითარი ნახატი, ადამიანის ხელის ვერავეითარი ქმნილება.

მაჩაბელს თვალები გაუშტერდა, ერთბაშად თითქოს რაღაც ძალამ აიტაცა და სამყაროს დაუსრულებელ მოძრაობაში შეაგდო. თითქოს აშკარად გრძნობს და განიცდის სამყაროს ეეებერთელა სხეულების დაუცხრომელ სრბოლვას, და თითქოს თვითონაც ბუნების ამ მარადიულ ფერხულში ჩაბმულა...

ლიტერატურაში ხშირად ეხედებით ხოლმე — როცა ადამიანი ისე ხელშესახებად განიცდის ბუნების მთელს სიდადესა და უსასრულობას, სრულს უმწეობას იგრძნობს, სამყაროს მარადისობაში თავი უბადრუკ არსებად მოეჩვენება და განუსაზღვრელ სეედას მიეცემა. სულ სხვაგვარმა გრძნობამ შეიპყრო მაჩაბელი. იგი აღევზნო,

ვეზალტაციაში მოვიდა, თითქოს თვითონვე შეუერთდა მარადისობას, წამით ყველაფერი დააეციწა...

გზაზე დაბალ-დაბალი კაცი გამოჩნდა, რომელსაც შუბლზე ხელი მოეწრდილა და მათკენ მოეშურებოდა. უცნობი შორიდანვე მიესალმა მოგზაურებს.

— შუადღე მშვიდობისა, თქვენი ჭირიმი!

მაჩაბელს ეს კაციც ეუცნაურა და მისი სალამიც. ქართლში ყოველ ფეხის ნაბიჯზე ამბობენ „დილა მშვიდობისა“. „სალამო მშვიდობისა“, მაგრამ „შუადღე მშვიდობისა“ პირველად აქ გაიგონა...

უცნობს საყდრამდე მიმავალი მოკლე გზა ჰკითხეს, სამიოდე ვერსი ჰქონდათ გასაეღელი. თავქვე დაეშენენ. მართლაც უცნაური გამოდგა ეს კაცი, ქარაგმებით ლაპარაკობდა, ნახევარიც ვერ გაიგეს მისი ნათქვამისა. აღმოჩნდა, რომ სწორედ ამ კაცს გაეკეთებინა კლდეში საყდრამდე ასასეღელი კიბე. მოგზაურები დაინტერესდნენ, ჩაეკითხნენ, შიგ თუ მოახერხე შესვლა, ან რა ნახეო. უცნობი კვლავ ქარაგმებზე გადავიდა და მისი პასუხისა ველარაფერი გაიგეს. ცოტა რომ გაიარეს, ხელმაჯენივ ოთხმოცამდე საყენის სიმაღლეზე ციცაბო კლდე აღიმართა. სწორედ ამ კლდეში საუკუნეების წინათ ჩაუდგამთ საყდარი. მაგრამ რა ხელმა ააშენა, რა ხელმა ჩადგა?! კლდის ძირიდან თხუთმეტოდე საყენის სიმაღლეზე სიპი ქვა თითქოს განგებ შიგნით შეწეულა, პატარა მოედანი გაკეთებულა და ამ მოედანზე დგას ტაძარი.

„საყდარი თვითონ პატარაა, — წერს მაჩაბელი, — თითქოს ბანჩანგრეული; ცალ მხარეს კარები აქვს მიბმული, რომელზედაც კლიტეც ჩანს. შუაში პატარა ოთხკუთხედი ფანჯარაა დატანებული, ცოტა მოშორებით საყდრის სისწორეზედ მღვიმეებია კლდეში და ერთ მღვიმემდე საყდრის კარებიდან მარცხნივ ბილიკია თითქოს გაველებული, რომელსაც ხარიხებად უბრალო ხეები აქვს გაწყობილი... საყდრამდე სიპი კლდე 12-14 საყენის სიმაღლეა; მაგრამ ვიდრე კლდის ძირამდე მიხვალთ, რამდენი შიში და გულისტრიალი უნდა გამოიაროთ: ადიხართ ფოფხვით, ებლაუჭებით ბურჩქებს, ზოგან ბალახებსაც კი, რომელნიც შეიძლება ხელში შევრჩეთ და თავქვე დაეშვათ, მაგრამ ზოგან ბალახიც არ არის და უნდა ნებაუნებურად გამოშვერილ წვრილ კენჭებს მოეჭილოთ, რომ კიბის ძირამდე ახვიდეთ“...

საყდრამდე ასვლა მაინც ვერ მოახერხეს, რადგან ამ რაჭველი გლეხის მიერ ხის ლართხებით გაკეთებული კიბე, რომელიც მის

მიერვე კეტით დახვეტილ კლდეშია გამაგრებული, ხაფანგდადებული და კლიტით დაკეტილი დახვდათ: ხუთ საფეხურს ზევით ასვლა აღარ შეიძლებოდა. გუბერნატორს აეკრძალა კიბეზე ასვლა, რადგან ეს დიდ საშიშროებასთან იყო დაკავშირებული.

შთაბეჭდილება დიდი იყო და მაჩაბელი მეტიხსმეტად აგზნებული ბრუნდებოდა შინ, მთელს გზაზე ხმა არ ამოუღია, ცხენისთვის სადავე მიეშვა და ოცნებაში წასულიყო.

საჩხერეში ძმის უბედურების ამბავი დაუხედა. ნინო უკვე დაეკრძალათ. მაჩაბელი შეწუხდა, წარმოიდგინა, რა საშინელ დღეში იქნებოდა მისი საყვარელი ძმა, რომელსაც ცოლის დაკრძალვა ვერც კი მოესწრო, რომ ახლა შვილი გახდომოდა ავად. დაჯდა და, ცრემლმორეულმა, ნუგეშის წერილი მისწერა ძმას.

„ჩემო გულით საყვარელო ძმაო ვანო, — სწერს საპასუხო წერილში ვასილ მაჩაბელი, — თუმცა შენი ორი წერილის წაკითხვაში ბევრი ცრემლები მცვივოდა, მაგრამ მაინც ორიენი დიდი მანუგეშებელნი იყვნენ ჩემი გულისათვის... რასაც წამს ხოლერა გაჩენილიყო თამარაშენში, მაშინათვე ვარიანში კაცი ეფრინა ჩემთან. მთხოვდა მყისვე მიეშველებოდი სოფელს და სახლს და კარს. მაშინვე მოვიჭერ, მართლაც ორი კაცი გამხდარიყო ხოლერით. მეორე დღესვე დავიბარეთ ხალხი, შევადგინეთ სანიტარნი კომისია, გავასუფთავებინეთ მთელი სოფელი, თუმცა მომეტებული ნაწილი გახიზნულიყო, რასაც წამს შეეცყოთ ხოლერა გაჩნდაო. გუბერნატორსაც დეპეშა მივსწერეთ ექიმისა და წამლებისათვის, რადგან ვერ წარმოიდგენ ამ მხრით რა უპატრონოდ და უნუგეშოთ არის ჩვენი სოფლები დაგდებული. საწყალი ნინო ძალიან ცდილობდა ყველასათვის, ვინც გახდებოდა ავად, მაშინვე პატრონობა გაეწია... გული მიკენვის და ვერ შერიგებია იმ აზრს, რომ მე ნინო აღარა მყავს“...

ეს მოხდა მკათათვის მიწურულში, ხოლო ამაზე რამდენიმე თვით ადრე ვასილ მაჩაბელმა წაიკითხა ის ანონიმური ბროშურა, რომელზედაც ჩვენ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. საკვირველი ის არის, რომ მას ძმა არ გაუკიცხავს. ადრე, დიასამიძის წინააღმდეგ მკაცრად გამოსვლა უსაყვედურა ვანოს, ახლა კი კრინტიც არ დაუძრავს, არ გამოქომაგებია თავის გულითად მეგობარს!

საქმე ის არის, რომ ვასო მაჩაბელი ოპოზიციის მხარეზე აღმოჩნდა, საშინელი ბრძოლის დროს იგი ძმას ამოუდგა გვერდში. პირველად მისი მონაწილეობა მეტად პასიური იყო. ერიდებოდა მეგობრის წინააღმდეგ აშკარად გამოსვლასა და აქტიურ მოქმედებას. მერე

კი, როცა მდგომარეობა გამწვავდა და პარტიებს შორის სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაჩაღდა, ვასილ მანაბელი ენერგიულად ეხმარებოდა თავის უმცროს ძმას...



მანაბელი ვერ ისვენებს. მისი სტიქია თავიდანვე მოძრაობა და დაუცხრომელი მუშაობა იყო. ახლა კი თითქმის უმოქმედოდ დგას, დადის სამსახურში, რომელიც სულაც არ ეკარება მის სულსა და გულს. გრძნობს, რომ ამ სამსახურით ვერაფერ დახმარებას უწევს თავის მშობლიურ ხალხს. უამისოდ კი სიცოცხლე სიცოცხლედ არ მიაჩნია. ყველაზე ბედნიერი დრო მანაბლის ცხოვრებისა იყო ის რამდენიმე წელი, როცა იგი გაზეთს რედაქტორობდა. მაშინ საშუალება ჰქონდა ყოველდღიურად გასაუბრებოდა თავის ხალხს, გაეცნო მისთვის ქვეყნად რა ხდებოდა, ჭირის ოფლი მოეწმინდა, მტრისთვის საკადრისი პასუხი მიეგო და მუდამ მშრომელი ხალხის ქომაგი ყოფილიყო.

დამწუხრებული მშობლის გულისტკივილით მოიგონებს ხოლმე ვანო „დროებას“ და მუდამ ხელსაყრელი დროის მოლოდინშია, რომ ნებართვა მიიღოს და გაზეთი აღადგინოს, მაგრამ ასეთი ხელსაყრელი დრო იგვიანებს, — მეფის მთავრობა მანაბელს არ ენდობა...

რაკი დამოუკიდებელი გაზეთის დაარსება არ ხერხდება, მანაბელი ცდილობს სხვის სახელზე გამოიტანოს ნებართვა.

ამას აკაკი წერეთელიც ურჩევდა: „თუ მოახერხო, გამოძებნე სანდო პირი, რომ ბოლოს არ გადგეს, და გაზეთი ათხოვინე. მე იმედი მაქვს, რომ აქ ნება დამართონ. დაპირებას არიან ჩემთან. მხოლოდ სანდო კი უნდა იყოს“. ამას ჯერ კიდევ 1891 წლის ზაფხულზე სწერდა აკაკი ვანოს პეტერბურგიდან. მას შემდეგ ბევრჯერ ჰქონია მოლაპარაკება აკაკისთან, ხოლო აკაკის მეშვეობით გიორგი წერეთელთანაც.

საბოლოოდ, როგორც იქნა. გადაწყდა. შეთანხმდნენ გაზეთის პროგრამაზე, მიმართულებაზე, სახელწოდებაზე...

გაზეთი იქნება წმინდა დემოკრატიული, სამეცნიერო-სალიტერატურო ორგანო. უნდოდათ საპოლიტიკო ყოფილიყო, მაგრამ მეფის მთავრობა წინასწარვე იზღვევს თავს და ურჩევს, რომ პოლიტიკაზე წერა მათი საქმე არ არის. სახელწოდება გაზეთისა — „კვალი“; უნდა გამოვიდეს ყოველდღიურად (პირველად ასე იყო გათვალისწინე-

ბული): გამომცემელი — ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა, მას დახმარებას გაუწევს ე.წ. სამეურნეო კომიტეტი, რომელშიაც ანასტასია წერეთლის გარდა შედიან — ალექსი ჭიჭინაძე, გიგო გაბაშვილი, მაჩაბლის ცოლისძმა გიორგი ჯაგრატიონ-დავითაშვილი და გიგო დიასამიძე (სხვათა შორის, საბოლოო მოლაპარაკებაც დიასამიძის სახლში გაიმართა — ბრილში), სარედაქციო კომიტეტში შედიან — აკაკი, გიორგი წერეთელი და ივანე მაჩაბელი. 1892 წლის დეკემბერში ხელშეკრულება გაფორმდა სარედაქციო და სამეურნეო კომიტეტებს შორის. გაზეთი ახალი წლიდან უნდა გამოვიდეს.

სოფლებში ხელისმომწერა ჩატარდა. ყოველ კუთხეში გაიჩინეს წარმომადგენლები, რომელთაც გაზეთის გავრცელება და საერთოდ მკითხველებთან ურთიერთობა დააუალეს. გორში ამ საქმეს კოლა ფაულენიშვილი უძღვებოდა. ხელისმომწერთა რიცხვმა დიდად გადაატარბა მოლოდინს. ხალხი მოუთმენლად მოელის ახალ გაზეთს. ინტერესს ერთიორად აძლიერებს სარედაქციო კომიტეტის შემადგენლობა, განსაკუთრებით აკაკის სახელი.

„სრული იმედია, რომ ჩვენს მაზრაში ასზე მეტი ხელისმომწერელი გვეყოლება, — სწერს კოლა ფაულენიშვილი მაჩაბელს, — ეცადეთ კი, რომ პირველივე ნომერში ფხიანი და საინტერესო რამ მოგვიკვლიოთ, აქედანაც მეორე მოძახილს მოგაშველებთ და საქმე გაიჩარხება. ჯერ „კვალი“ აქ არაეის მოგესვლია და იმის მოლოდინში ლამის სული ამოგეძერეს, ახალ წელს არც კი ულოცამთ ერთმანეთს, ისევე ძველი გვეგონია, ვიდრე „კვალი“ გამოვა. ნულარ დაავიანებთ, დროზე მოგვაშველეთ, კითხვის საღერღელი იმდენად აშლილია საზოგადოებაში, რომ თუ „კვალს“ ყველა ერთის გულით არ მოელის, ეჭვი არ არის, რომ ერთნაირი მოუთმენლობით კი უნდათ იმის ნახვა“...

1893 წლის იანვრის პირველ რიცხვებში „მონყურებულმა მკითხველებმა“ ახალი გაზეთი მიიღეს. ხალხის აღფრთოვანება გამოუთქმელია, „კვალი“ ხელიდან ხელში გადადის, მკითხველები შთაბეჭდილებას უზიარებენ ერთმანეთს, თითქმის ყველამ ზეპირად იცის აკაკის შესანიშნავი ლექსი, პოეტის შემოქმედების შედეგად, „განთიადი“, რომელიც მისივე სხვა ორ ლექსთან ერთად „კვალის“ პირველივე ნომერში დაიბეჭდა.

მაჩაბელმა ხალისიანად მოჰკიდა საქმეს ხელი. გაზეთის ფურცლებზე ხშირად გამოჩნდება მისი წერილები. მაგრამ ძველი ჩვეულების მიხედვით, სტატიებს გვარს არ აწერს, ან მარტო

ინიციალებს მოაწერს, ან უფრო ხშირად, პირდაპირ, გეარისა და ინიციალების მოუწერლად ბეჭდავს ხოლმე. ახლა დიდი დაკვირვებაა საჭირო იმის გამოსარკვევად, რომელი წერილი ეკუთვნის მაჩაბლის კალამს. ნომერი ისე არ გამოვა, რომ აკაკის ლექსი ან ფელეტონი არ იყოს დაბეჭდილი. ეს განსაკუთრებით ხელს უწყობს გაზეთის ფართო მოსახლეობაში გავრცელებასა და პოპულარობას. საქმე წინ მიდის. პირველი უხერხულობანი, რაც უმთავრესად გაზეთის ტექნიკურ მხარეებს ეტყობოდა, თანდათანობით სწორდება. ერთი სიტყვით, „კვალს“ გარკვეული სახე და ხასიათი მიეცა.

და სწორედ ამ დროს კვლავ ახალი გაუგებრობა! გაზეთის ფურცლებზე ერთბაშად გაქრა აკაკის ლექსები და მაჩაბლის სტატიები...

პირველად ეს შემთხვევითი მოვლენა ვგონათ. მაგრამ შემდეგ, თანდათანობით, შესამჩნევი გახდა აკაკი წერეთლისა და ეანო მაჩაბლის დაჟინებული ღუმილი. ხალხში მითქმა-მოთქმა შეიქნა. ხელისმომწერლებში უკმაყოფილება გაჩნდა. აშკარა იყო, რომ „კვალის“ რედაქციაში განხეთქილება მოხდა...

განხეთქილება მეტად თავისებურად დაიწყო. ხმამაღლა არავის გამოუთქვამს საყვედური ვისიმე მიმართ. სარედაქციო საქმის მთელი სიმძიმე უმთავრესად მაჩაბელს აწვა და ისიც ენერგიულად მუშაობდა. მაგრამ მაჩაბელმა იგრძნო, რომ მუშაობის ერთად გაგრძელება ძნელი იქნებოდა. შელაპარაკება არა ჰქონიათ ერთმანეთთან, მაგრამ რედაქციის ყოველი წევრი და თანამშრომელი გრძნობდა, რომ მდგომარეობა იძაბებოდა და ადრე იქნებოდა თუ გვიან, აშკარა განხეთქილება უნდა მომხდარიყო. ამ ხანებში ბანკში ხელახლა არჩეულ მაჩაბელს დიდი ხნით მოუხდა წასვლა ქართლის სოფლებში. და სწორედ ამ დროს მოხდა ის, რამაც მაჩაბელსაც დიდი სულიერი ტკივილები მიაყენა და საერთო განხეთქილების გაღრმავებასაც ხელი შეუწყო.

ეს იყო დაუფერებელი რამ, და არც უნდა მომხდარიყო!..

ზაფხულის ერთ-ერთ ნომერში „კვალმა“ გამოაქვეყნა ცნობა იმ ორასი თუმნის შესახებ, რომელიც თითქოს რუსთაველის ძეგლის ასაგებად შეფეროვებინოს „დროების“ რედაქციას, ჯერ კიდევ სერგეი მესხის სიცოცხლეში. ახლა ამ ფულს „დროების“ უკანასკნელ რედაქტორს ივანე მაჩაბელსა სთხოვდნენ.

მაჩაბელი ქართლის სოფლებში ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ ფცაში დაბრუნდა, სადაც იმჟამად მისი ცოლ-შვილი იყო

და ერთბაშად გადაიკითხა „კეალის“ ნომრები. მოულოდნელი იყო მისთვის ეს წერილი და სახტად დარჩა.

განა შეიძლება ასეთი უსინდისო ცილისწამება? ვის დასჭირდა ასეთი საშინელი ტყუილის მოგონება. მთელი ერთნახევარი ათეული წლის განმავლობაში საქართველოში არ წამოწყებულა სულ უმცირესი საზოგადოებრივი საქმეც კი, რომელშიაც მანაბელს აქტიური მონაწილეობა არ მიეღოს, მით უმეტეს, არ შეიძლებოდა მხედველობიდან გამორჩენოდა ისეთი დიდი საქმე, როგორც არის რუსთაელების ძეგლის აგება, და ისიც „დროების“ ინიციატივით!

„არა, ეს საშინელი პროვოკაციაა!.. მაგრამ რად დასჭირდათ?— ფიქრობს მანაბელი. — მე ხომ ისედაც ეგრძნობდი, რომ ჩემი დარჩენა რედაქციაში აღარ შეიძლებოდა და წამოსულას ვაპირებდი!“ მანაბელს მწარედ ეცინება. „მანაც რა უბედურ დღესა ვარ დაბადებული. ყველგან ხელის შეშლა, ყველგან დაბრკოლება. ყველგან უსიამოვნება! თითქოს მხოლოდ უსიამოვნებისთვის იყოს ადამიანი გაჩენილი ქვეყნად!..“

იგი უხალისოდ განაგრძობს გაზეთის ნომრების თვალიერებას. და... კვლავ სიურპრიზი! ლექსად დაწერილ პატარა ფელეტონში უკიდურესობამდე დამცირებული მანაბელი! გაზეთებს გვერდზე მიპყრის და ეზოში გაეარდება...

დიდხანს არ დამშვიდებულა მანაბელი. ჩქარი ნაბიჯით დადის ხეივანში და ვერ მოუსვენია. ტასო შემოთებით ადევნებს თვალს, მაგრამ ახლო მისვლას ერიდება. უკვე იცის მისი ხასიათი, ასეთი ადლეკების დროს ნუგემის ცემა და დამამშვიდებელი სიტყვების თქმა ამოო იქნება, უფრო გააღიზიანებს... მაგრამ პატარა ბიჭუნას ჯერ ალლო ვერ აუღია მამის ხასიათისათვის. მან აშკარად იგრძნო, რომ მამამ ერთბაშად შესწყვიტა მასთან ალერსი, მერე რაღაც ქალაქებს დაუწყო კირკიტი და ბოლოს გარეთ გაეარდა. ბავშვმა ითაკილა მისი ასეთი უგულვებლყოფა, ფანჯარასთან მივიდა და კალთა დასწია დედას, რომელიც შემოთებით ადევნებდა თვალს ქმარს. დედა ერთი წამით მოუხედავს ბავშვს, მის გაკვირებულ და მოწყენილ სახეს რომ შეხედავს, დაუყვავებს და იმ დიდ ქალაქებზე ანიშნებს — ცუდია, იმან გააბრაზა ჩვენი მამიკოო. მერე ამოიოხრებს და ისევ ფანჯარას მიადგება.

ბავშვმა ერთბაშად რაღაც გადაწყვიტა და ახლა უკვე საქმიანი სახით ქალაქებისაკენ გაემართა. მაგრამ ნაბიჯი მოკლე გამოუვიდა, თავი კი უფრო სწრაფად გააქნია წინ. კინალამ დაეარდა. ერთბაშად შედგა და ახლა უფრო ფრთხილად გაბაჯბაჯდა, გაზეთებთან

მივიდა, პატარა თათი დაარტყა, ნიშნის მოგებით გაიცინა და გარეთ გაბაჯბაჯდა, ფრთხილად ჩაბობდა კიბეზე, და ქშენით გაექანა მამისაკენ. ტასომ და ეანომ ერთდროულად შენიშნეს ეზოში გასული ბაუშეი, დედამ შექკივლა, მამას კი სახე ერთბაშად გაებადრა და ხელში აიტაცა ბიჭუნა, რომელიც ყოველნაირად ცდილობდა მამა მიეხვედრებინა, რომ აღელვება აღარ იყო საჭირო, რადგან მან უკვე იძია შური! ტასოც ეზოში გაეარდა, ცრემლმორეულმა ქმარს თავი მკერდზე მიადო. „ჩემო სიცოცხლე, თქვენ რომ არ მყავდეთ, მართლაც ძნელი იქნებოდა ჩემთვის ამდენი უსიამოვნების გადატანა!..“ ეუბნება ვანო.

პატარა ოჯახი გეგმას აწყობს. ვანო ახლავს გაემგზავრება ქალაქს; მართალია, ჯერ ისევ ცხელა, მაგრამ წაუსვლელია არ შეიძლება, საბანკო საქმეები აქვს, თანაც „კეალის“ წერილსაც უნდა გასცეს პასუხი. ტასო ჯერ დარჩება. ახლა იგი მეორე შეიღს ელოდება და მისთვის არ შეიძლება ასეთ სიცხეში ქალაქს წასვლა. ამას გარდა, ხოლერა ჯერ კიდევ არ განელებულა და საშიშიც არის. იგი შემოდგომის შუა რიცხვებამდე დარჩება; ჩურჩხელებს დაამზადებს და მერე ჩაეა ქალაქში...

— ბევრი წყევლა შეხვდება ჩემგან იმას, ვინც პირველად ჩურჩხელები მოიგონა, — აღერსით ეუბნება ვანო ცოლს, — ჩურჩხელებამდის ასე მარტო უნდა ვიყო? ვერ წარმოიდგენ, როგორ მომწყინდება ხოლმე უთქვენოდ!..

ტასო საჩხერეშიაც აპირებს გამგზავრებას, უფროს დასთან, რომელიც აგერ რამდენიმე თვეა აღარ უნახავს. მაგრამ ვანო დაბეჯითებით სთხოვს, საჩხერეში ნუ წახვალ.

— ჯერ ერთი, საშიშია ამდენ მგზავრობაში სადმე ხოლერას არ გადაეყარო, მეორეც... ჩვენი პატარა ელენე არ შეწუხდეს.

„პატარა ელენე“ ჯერ დაუბადებელი ბაუშეია. სახელი წინასწარვე აქვთ შერჩეული: პაპიდის სახელი უნდა შეარქვან, რომლის ხსოვნა და მშობლიური სიყვარული მაჩაბელს ბოლომდე გააკყვა.

მაჩაბელი იმავე დამეს წერილსა სწერს თავის მეგობარს აკაკი წერეთელს. „ძმაო აკაკი, ეს არის დაებრუნდი ფცაში, შემდეგ ხანგრძლივის მოგზაურობისა ქართლში, და ერთბაშად შემხვდა „კეალის“ ნომრების გადათვალეერება. წაეიკითხე შენიშვნა იმაზედ, ვითომ მე ორასი თუმანი რუსთაველის ფონდისა მქონდეს ჩაბარებული სერგეი მესხისაგან (ეს სრული სიცრუეა, გროშიც არაეის გადმოუცია და არც მოვალეობა უკისრია ვისმე და, როგორც

მახსოვს, თვით სერგეის „დროების“ დროსაც არ ყოფილა რუსთაველის ფონდისათვის ხელისმწვერა გამართული); მერე წაეიკითხე ლექსი იმის შესახებ, თუ როგორ მოეპარე „კვალის“ რედაქტორებს და მის თანაშემრომელთ კლიტე იმათის კასისა და როგორ „აქშა“ უთხრეს მხოლოდ ერთს კაჭკაჭს, რომელმაც მათი კასა დაისაკუთრა... ყველაფერი მიკისრია ჯერჯერობით — „კაჭკაჭის“ სახელწოდებაც, კასის მოტაცების ბრალიც... კარგი რამა სთქვან, გვიკვირდეს, ავირა საკვირველია. მაგრამ შენ მიხედები, რომ ამისთანა რაინდული გამოლაშქრების შემდეგ... მე აღარაფერი იმედი აღარ შემჩრებოდა, რომ „კვალის“ საქმე თავის დონეზე დამდგარიყო და მეც შემდეგში როდისმე მონაწილეობა მიმეღო“...

მართლაც, ამ დღიდან მაჩაბელი საბოლოოდ დაშორდა „კვალს“. დაშორდა აკაკი წერეთელიც, რომელიც საშინლად აღაშფოთა მეგობრის მიმართ ასეთმა პროვოკაციულმა გამოსვლებმა. „ძმავანო, — სწერს იგი მაჩაბელს, — რაი იმერეთში გადმოვედი, მასუკან ისეთ გუნებაზე ვარ, რომ მტრისას! მაგრამ დღეს კი სულ გამოვედი მოთმინებიდან და ოთახიდან ოთახში გაეგბი-გამოვრბივარ გიჟივითა და ჩემებურათ რუსულად ვილანძლები. მე აღარ მომდის „კვალი“. დღეს ეინათხოვრე სხვისაგან და გადაეიკითხე... ზოგიერთი სიგლაზე ადამიანისა მხოლოდ სიგიჟით აიხსნება!.. რა ფულეებზე ამბობენ? იმ ფულეებზე ხომ არა, რომელიც შენ, ანდაზის წინააღმდეგ, უკუღმა კისერზე ვაღიით დაგაწეა? და ან რას ნიშნავს კასის გატეხა და „აქშის“ შეტახება კაჭკაჭთან? მაგრამ ეს საწყენი კი არ არის, სასაცილოა, როგორც გიჟური რამ როშეა!.. ვიცი, მაგრამ მაინც თავი ვერ შემემაგრებია და გული მომდის. ახლა რაც შეეხება საქმეს, აი რასა გწერ: რადგან შენთვის „აქში“ უთქვამთ, როგორც კაჭკაჭისათვის და მე თუმცა არ დაუთხოვივართ, მაგრამ ისე ვირათ კი შეუწვევივართ მუქთად სახედნელად, მე ჩემის მხრით მაგათთან საერთო არა მაქვს რა!..“

იმავე ზაფხულს მაჩაბელი გაზეთ „მწყემსში“ აქვეყნებს განმარტებას, რომ მისთვის რუსთაველის ძეგლის ასაგებად ფული არავის გადაუცია და, საერთოდ ამ მიზნით არც ყოფილა შეგროვებული თანხა. „როცა განსვენებულმა სერგეი მესხმა მე „დროება“ გადმომცა, — ეკითხულობთ ამ განცხადებაში, — არც ერთი გროში არ მიმიღია რუსთაველის ძეგლის ფული, არც მოვალეობა უკისრებია და თვით ნამდვილად შემეძლიან დაგარწმუნოთ, რომ ამ საგნისათვის „დროებაში“ ხელისმწვერა არ ყოფილა გამართული არა თუ

ჩემს დროს, რაც დაჭეშმარიტებით ვიცი, არამედ არას დროს ჩემს წინათაც“.

ეს ცნობა სხვა გაზეთებმაც გადაბეჭდეს. მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა. რაკი რუსთაველის ძეგლისათვის შეგროვილი ფულის მითვისება არ დაუმტკიცდა მაჩაბელს, საჭირო გახდა სხვა მსგავსი ბრალდების გამოძებნა... და გამოიძებნა კიდეც სხვა ბრალდება: თურმე „დროების“ რედაქციას 1880-83 წლების განმავლობაში, ხელისმომწერით შეუგროვებია ექვსასიოდე მანეთი განსვენებულ ისტორიკოს ბროსეს პრემიისათვის. ეს ფული ვალად აწეა რედაქციას, როცა გაზეთი ახალი რედაქტორის ხელში გადავიდა, და მაჩაბელს „დროების“ სხვა ვალებთან ერთად, ეს ვალიც გადაეცა. ჩვენ უკვე ვიცით, რომ გაზეთს ორი წლის განმავლობაში ახალი ვალებიც დაემატა და საბოლოოდ მაჩაბელს საკმაოდ დიდი თანხა — ცხრა ათასი მანეთი დააწვა გადასახდელად. მაჩაბელი ძალიან ხელმოკლედ ცხოვრობდა და არაფრით არ შეეძლო მთელი ვალი ერთბაშად გადაეხადა, იგი ნაწილ-ნაწილ იხდიდა ამ ვალებს.

მაგრამ გაზეთის რედაქციას საჭიროდ არ ჩაუთვლია დაწერილებითი განმარტება მიეცა მკითხველისათვის. პირდაპირ იუწყებოდა, რომ ბროსეს პრემიისათვის შეგროვილი ფული, რომელიც ახალ რედაქტორს გადაეცა, ჯერაც არ იყო გადახდილი. იმის აღნიშვნა „დაავიწყდათ“, რომ ეს თანხა ფულად კი არ მიუღია მაჩაბელს, არამედ რედაქციის სხვა ვალებთან ერთად გადმოეცა, როგორც ვალი...

ადამიანის ცხოვრებაში არის ხოლმე კვიმატი წუთები, საბედისწერო შეცდომები, რომელთა გამოსწორება შემდეგ შეუძლებელია. მაჩაბელმა ერთი წლის წინათ ბროსურა გამოსცა ილია ჭავჭავაძეზე, და ამით დიდი შეცდომა მოუვიდა, კიდეც უფრო გაამწვავა ისედაც დაძაბული ურთიერთობა. შეცდომა იყო ისიც, რომ ახლა „ივერია“ გამოეხმაურა „კვალში“ გამოქვეყნებულ ტენდენციურსა და საესებით არასწორ ცნობას, და დიდი ადგილი დაუთმო ამ საგანს...

ორ დიდ მოღვაწეს შორის განხეთქილება უფრო და უფრო მწვავედება, საზოგადო საქმე ბრკოლდება და უსაქმურსა და ნაძირალა ხალხს ახალ-ახალი საზრდო ეძლევა ჭორებისათვის... ისინი ყოველნაირად უწყობენ ხელს განხეთქილების კიდეც უფრო გამწვაებას.

იმ წლის გაზაფხულზე მაჩაბელი კვლავ დაბრუნდა ბანკში: დამფუძნებელთა კრებაზე ყუთი დაიდგა და ხმის უმრავლესობით ღირეპტორად აირჩიეს. ბრძოლა, როგორც ვიცით, ბანკიდან წასვლის შემდეგაც არ შენელებულა, ახლა კი, დაბრუნების შემდეგ, მით უფრო უჩვეულოდ გამწვავდა. ილია და მაჩაბელი ხმასაც აღარ სცემენ ერთმანეთს. ყოველგვარი პატარა უკმაყოფილება საქმის გამო, რასაც ნორმალურ პირობებში კაცმა იქნებ ყურადღებაც არ მიაქციოს, ახლა გაზვიადებულად ერეეებათ. უსაქმური ხალხი, ირგვლივ, ყოველნაირად ცდილობს გააზვიადოს. სამსახური ჯოჯოხეთი გახდა. ბანკის ბუღალტერი მიტო ფაველენიშვილი, რომელიც ოპოზიციის წევრად ითვლებოდა, სამსახურიდან დაითხოვეს და ამან კიდევ უფრო გააგულისა მაჩაბელიცა და ოპოზიციის ყველა მონაწილეც.

ეს მოხდა ჯერ კიდევ ადრე, მანამ მაჩაბელი ქართლის სოფლებში სამოგზაუროდ წავიდოდა. ამ მოგზაურობის დროს მაჩაბლის განწყობილება თითქოს ნაწილობრივ შეიცვალა. სოფლებში იგი ყველგან ხედებოდა ოპოზიციის წევრებსა და მოწინააღმდეგე ბანაკის წარმომადგენლებს, და დარწმუნდა, რომ ამათგან დიდი უმრავლესობა ფეხის ხმას აყოლილი ხალხი იყო. მათ არა თუ ბრძოლის შინაარსი, ბანკის საერთო მიზნებიც არ ესმოდათ. ლაპარაკიც ზედმეტია პრინციპულ ბრძოლაზე.

მაჩაბელი გულგატეხილობისა და იმედის გაცრუების გრძნობამ მოიცვა. გულის ერთ კუნჭულში თითქოს ჩაისახა გონიერული გადაწყვეტილება — ერთხელ და სამუდამოდ ჩამოშორდეს ბანკს და ლიტერატურულ შრომას მოახმაროს მთელი ცოდნა და ენერგია. მაგრამ გადაწყვეტილება მეტისმეტად სუსტი და გაურკვეველია. იგი უნებურად ჩაისახა გულში და მაჩაბელი ამაზე ფიქრსაც ერიდება, მით უფრო არაფერი გაუმხელია სხვებისთვის! — არც ტასოსთვის, არც ამხანაგებისათვის. აბა როგორ უნდა გაუმჟღავნოს თანამებრძოლებს ეს გადაწყვეტილება, როგორ უნდა მიატოვოს ისინი ბრძოლის ველზე?!

რა სიხარული იგრძნო მაჩაბელმა, როცა თბილისში დაბრუნებულს თავისი სიყრმის მეგობრის კოლა ფაველენიშვილის წერილი დახვდა. თურმე ფაველენიშვილიც ამასვე ფიქრობს, ისიც იმ აზრზე დგას, რომ ბრძოლა უადგილოა: ხალხი გაბეზრდა ამდენი კინკლაობით, „აღარც რამე საზოგადო საქმე კეთდება, ამ ბრძოლის გადამკიდევ... უნდა დაუ-

თმო. სხვა არ იყოს რა, მამათ შეგეფერება, — სწერს მეგობარი, — ეხლა ცოტა რომ დაუთმო რამე, მომაკედინებელი ცოდო არ იქნება და შემდეგში თვითონ დრო გაასწორებს თქვენში ყველაფერს... ამას გირჩევ, ნუ გამკიცხავ მე ამ მწარე რჩევისათვის!..“

რამდენჯერმე გადაიკითხა წერილი. „ნუ გამკიცხავ ამ მწარე რჩევისათვის“, თითქოს ხმამაღლა გაიმეორა მან ბოლო ფრაზა.

მაჩაბელი ბევრს ფიქრობს ახლა ამ საგანზე. ბრძოლამ მართლაც მიიღო კინკლაობის ხასიათი. თვით ბანკის საქმეც კი ბრკოლდება... თვითონვე გრძნობს, რომ ზედმეტად განერვიულებულია და გული მოსდის საკუთარ თავზე. არა, ასე აღარ შეიძლება, ბოლო უნდა მოეღოს ამ დაუსრულებელ დავას, მაჩაბელი ისევ უნდა გაეცალოს ბანკს, ახლა სამუდამოდ! ბანკში დარჩენა და შეხმატკბილებული მუშაობა, როგორც ამას ფაულენიშვილი ურჩევს, შეუძლებელია! და ოპოზიციის შესვეურთა ერთ-ერთ შეკრებაზე ვანო შეპარვით გამოთქვამს ამ აზრს, ნიადაგს მოსინჯავს.

ნიადაგი მეტად მყარი აღმოჩნდა — მეგობრებმა ხუმრობაში გაატარეს მაჩაბლის სიტყვები, მათ ერთი წუთითაც ვერ წარმოუდგენიათ ბრძოლისათვის თავის განებება. განსაკუთრებით კოლა ორბელიანი თაევამოდებული. რა ენადვლება, მისთვის ეს ბრძოლა გართობაა მხოლოდ!.. გართობაა იმ ვაჟბატონებისთვისაც, რომლებიც დეპუტატს უგზავნიან გორიდან: «Ворись за правду, самолюбие всех!»... ამას დამატა წერილი ცოლისაგან, რომელსაც გაუგია ქმრის მერყეობა და შორიდან ამხნევებს: „გენაცვა, ვანო, ჩემი თხოვნა სულ ის არის, რომ რაკი აგრე არიან ბანკში, რომ სულ უნდა როგორმე გაგაჯავრონ, შენ თავი შეიკავე, გენაცვალე, ვანო. რომ იციან შენი ხასიათი, იმიტომ შერებიან მაგ საქმეს, რომ გაგაცხარონ და მაშინდელსავით სულ პრიზი მიართვა და დაანებო ბანკს თავი. ვანოჯან, ეხლა შენ რომ ეგ საქმე ჩაიღინო, ჯერ ეს ერთი რომ შენ საქმესაც წაიხდენ და საზოგადო საქმესაც. ხომ იცი რანაირი მუშები არიან, მანდ ვინც მსახურობენ, ნამცვეცა სეინდისი არა აქვთ. ამაზე რაღა დარიგება გინდა, შენ ჩემზე კარგად გესმის, მხოლოდ თავი დაიჭირე, რომ არ გაცხარდე, ჩემო სიცოცხლე“.

ვანოს ცრემლები მოერიდა და კვლავ გული მოუვიდა საკუთარ თავზე — ამ ბოლო დროს მართლაც ძალიან განერვიულდა, თავს ვეღარ იკავებს!.. ცოლიც ვეღარა გრძნობს, რომ მისი ქმრისთვის ახლა სწორედ გაცლა სჯობს. შორს წასვლა, ოჯახურ მყუდროებაში ცოტა ხნით დასვენება და მერე სხვა უფრო სასარგებლო და დიდი

საქმისათვის ხელის მოკიდება! ცოლის წერილმა განსაკუთრებით მონანატრა მაჩაბელს ეს ინტიმური სიმყუდროვე... „მე და ნიკო მარტო ვართ, — სწერს იმავე წერილში ტასო, — გიორგი ტკოცას არის, დათა — გორს... ნიკუშკას რომ ვკითხავ შენზე, სად არისო, ამბობს ხოლმე შორს, შორს, და რაც უფრო უნდა, რომ აჩვენოს, რომ შორსა ხარ, გააგრძელებს ხოლმე სიტყვას და ისრეთი სასაცილოა, რომ რა. ხშირად გიგონებს და ოთახებში დარბის და გეძებს ხოლმე „ანო“ და „ანო“...

მაგიდას მიუჯდა მაჩაბელი. გადაწყვიტა ცოლს აუხსნას საქმის ნამდვილი ვითარება და განუმარტოს, თუ რატომ არის საჭირო მისი ბანკიდან წასვლა. კალმისტარი მოიმარჯვა და უნებურად გადახედა ცოლის ბარათს...

„ეხლა შენ რომ ეგ საქმე ჩაიღინო!“... თითქოს უფრო გამოიკვეთა და წინ წამოვიდა წერილიდან ეს სიტყვები. ცოტა ხანს ჩაფიქრდა, თავი გააქნია და მისდაუნებურად, მისივე განწყობილებისა და სურვილების საწინააღმდეგოდ, თითქოს ძალათი აწერინებენო, ასეთი საპასუხო წერილი მისწერა ტასოს: „ჩემო სიცოცხლე, შენგან არ მიკეირს, მაფრთხილებ, ბანკში არ გაგაცხარონ და თავი არ დაანებო! — ბავშვი ხომ აღარა ვარ!..“

ველარ მოუსვენია მაჩაბელს. გულის ერთ კუნჭულში კვლავ ფეთქავს ის გადაწყვეტილება, რომ ბანკს თავი დაანებოს, ბრძოლას გაეცალოს. მაგრამ ამაზე ფიქრსაც კი ერიდება. ცდილობს დათრგუნოს ეს აზრი. მალიმალ წამოვარდება ხოლმე მაგიდიდან, ცარიელ ოთახებში დადის, საშინელ სიმარტოვეს გრძნობს. ელანდება, თითქოს ესმის კიდევ, როგორ ეძახის მისი პატარა ბიჭი — „ანო“. „ანო“. ოჯახის სიმყუდროვე მოენატრა...

„შენი ჭირიმე, არამც და არამც არ წახვიდე საჩხერეს. ჯერ ერთი ესა, მეტად შეწუხდები მაგ მდგომარეობაში და მეორეც — მეტად შემაწუხა მარტოკაობამ“...

ამ ბარათს დაადევნებს მაჩაბელი პირველ წერილს. შორიდან ძნელია ადამიანს აუხსნა შენი სულიერი განწყობილება. უნდა რომ ახლა, ამ ორჭოფობის მძიმე წუთებში, ახლოს ჰყავდეს თავისი საყვარელი ცოლი. სხვებს არ ესმით მისი, ის გაუგებს!..

პირველი წერილით დამშვიდებულმა ტასომ მეორე ბარათს ყურადღება აღარ მიაქცია და მაინც გაემგზავრა საჩხერეს, თავის დასთან. საცაა ბავშვი ეყოლება, მერე ჩვილბავშვიანს უფრო გაუჭირდება მოგზაურობა, და უნდა მოასწროს დისა და დისწულების ნახვა!..

მაჩაბელი კვლავ მარტო დარჩა, თავის მწვალებელ ფიქრებთან.

მაგრამ ყოყმანს მალე მოეღო ბოლო. ეს გამოიწვია მეტად მკაცრმა წერილმა, რომელიც „ივერიაში“ დაიბეჭდა. წერილი შეეხებოდა ბროსეს პრემიისათვის მოკრეფილ თანხას!..

რამდენიმე დღის შემდეგ მაჩაბელი ნებართვას გამოითხოვს გაზეთის რედაქტორისაგან და საპასუხო წერილს „ივერიაში“ მოათავსებს „... არ ვიცი, რას გრძნობდა ი. ჭავჭავაძე ამ სტრიქონების დაწერის დროს, მაგრამ მე კი წაკითხვის დროს ეს ვიგრძენ, რომ სიკვდილამდე კაცი მისთანას ვერასა ნახავს, რის უარესსაც არ უნდა მოელოდეს“... ეკითხულობთ წერილში.

მაჩაბელი კვლავ ბრძოლაში ჩაბმული აღმოჩნდა. თავისუფალი დრო ისევ ცოტაა, უსიხარულო დღეების რიცხვი მატულობს, იმედისგაცრუება და გულგატეხილობა იზრდება. გრძნობს, რომ ბოლო უნდა მოელოს გაუთავებელ ბრძოლას, მაგრამ ვეღარ მოუხერხებია. ნერვიულობს, მოუსვენრად... საზოგადოების საუკეთესო შვილებს ეს აწუხებთ, ცდილობენ შეარიგონ ორი დიდი მოღვაწე.

ნიკო ლომოური ვანოსთან მიდის და შერიგებაზე ჩამოუგდება სიტყვას.

ამაზე მაჩაბელიც ბევრსა ფიქრობს. საზოგადო საქმისათვის მართლაც ცოტადა რჩება დრო. თეატრისთვის თითქმის სულაც ვეღარ იცლის, წერა-კითხვის გამაერცყელებელ საზოგადოებასაც ჩამოშორდა, თითქოს ძველს ენერგიასაც ვეღარა გრძნობს... და მას აგონდება სამშობლოში დაბრუნების პირველი წლები, როდესაც იგი ყოველნაირი საზოგადოებრივი საქმის ცენტრში იყო მოქცეული და სამშობლოს კეთილდღეობისათვის ენერგიის დაუზოგავად იღვწოდა. საზოგადო საქმისათვის, რა თქმა უნდა, ახლაც იღვწის; თუნდაც ამჟამად მას საქმიანი მიწერ-მოწერა აქვს გრიგოლ ვოლსკისთან იმის თაობაზე, რომ ბათუმში ქართული სასწავლებლები გახსნან, ქალაქის საბჭოში ადგილობრივი მოსახლეობა გაიყვანონ... მაჩაბლის წინადადებით, ბანკმა განსაზღვრული თანხა გამოჰყო რუსეთის იმპერიის უმაღლეს სასწავლებლებში მყოფ ღარიბ ქართველ სტრუდენტთა დასახმარებლად, და ახლა მაჩაბელი ჩვეული გულმოდგინებით კრებს ცნობებს რუსეთის სხვადასხვა ქალაქში მოსწავლე სტუდენტების ეკონომიური თუ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, სისტემატური მიწერ-მოწერა აქვს რუსეთში მყოფ სტუდენტებთან... მაგრამ ამ მოღვაწეობის მასშტაბი მაინც სხვა არის და ვერ შეედრება იმ ფართო და მრავალმხრივ საქმიანობას,

რასაც იგი ამ ერთი ათეული წლის წინათ, თუნდაც „დროების“ პერიოდში ეწეოდა. ახლა მთელს ენერგიას ბანკი ნთქავს — ბანკის საქმიანობა და ბანკის გამო ატეხილი დაუსრულებელი დაეა...

— ორჯერ გამოვიწვიე ბეჭდვით მედიატორთა სასამართლოში, — უპასუხებს მჩაბელი ლომოურს, — ორჯერ მოვიწადინე, რომ პირუთენელ და საქმის მცოდნე პირთ გაერჩიათ ის დაუსრულებელი კამათი ბანკის საქმეთა შესახებ, რომელმაც მკითხველებიც გააბეზრა და მსმენელებიც...

საბოლოოდ ილიაც თანახმა გახდა, გამოეყოთ კომისია, რომელიც გამომარკვევდა უთანხმოების მიზეზებს. ეს საკითხი წამოიჭრა ბანკის საზოგადო კრებაზე, 1894 წლის მაისში. როგორც გაზეთები იუწყებოდნენ, ყრილობა დამთავრდა და კენჭისყრის წინ „ალიძრა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ სურვილისამებრ თავადის ილია ჭავჭავაძისა, რაზედაც დათანხმდა, თავადი ივანე მჩაბელიც, დანიშნულიყო კომისია. ამ კომისიას უნდა დაედოს ვალად გამოიკვლიოს ყოველი ბრალდება ოპოზიციის წარმომადგენლის თავადის ივანე მჩაბლისა, რომელსაც კი სდებს იგი თავადს. ჭავჭავაძეს საბანკო საქმეთა შესახებ და მეორეს მხრით ამგვარივე ბრალდება თავადის ჭავჭავაძისაგან თავადის მჩაბლის წინააღმდეგ“.

ახირებული პირობა დადეს მოწინააღმდეგეებმა: ვისაც კომისია დამნაშავედ სცნობდა...

მაგრამ სჯობს ისეე გაზეთის ქრონიკას მოეუსმინოთ:

„თითოეული ამათგანი პირობას სდებს, რომ სამუდამოდ განშორდეს ყოველ საზოგადო ქართულს საქმეს, თუ კომისიისაგან მტყუანად იქმნა ცნობილი. ამგვარი პირობა, რასაკვირველია, ძნელია და საფრთხილო, მაგრამ რაკი ორივე მხარემ ასე ისურვა, რა გაეწყობა! როდესაც ბრძოლა იმ ხარისხამდე გამწვავდება, როგორის ბრძოლის მოწმეც ჩვენ ვიყავით ამ ორი კვირის განმავლობაში, უეჭველად თვითონ საქმისათვისაც უმჯობესი უნდა იყოს, რომ დასასრული მიეცეს დაუბოლოებელს შფოთსა და საზოგადოების აღელვებას“.

მართლაც რომ მეტად მძიმე პირობაა! სადამდე მივიდა უსაქმური, ნაძირალა ხალხის მიერ გაღვივებული შური და მტრობა! „ყოველ საზოგადო ქართულს საქმეს“ სამუდამოდ უნდა განშორდეს ან ილია ჭავჭავაძე, ან ივანე მჩაბელი!

უნდა განშორდეს ღიღი ილია ჭავჭავაძე, ეს უგვირგვინო მეფე, რომლის სახელთან განუყრელად არის დაკავშირებული ყველა ასე თუ ისე მნიშვნელოვანი საქმე ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში; რომე-

ლიც, სამოციანი წლებიდან დაწყებული, აგერ მთელი 35 წლის მანძილზე სათავეში უდგას ერის კულტურულსა და ეკონომიურ ცხოვრებას და ჩვეული სიღინჯითა და შორსმჭვრეტელობით წარმართავს მის აღორძინებას! მერე რამდენი დიდი საქმე გაკეთდა ამ 35 წლის განმავლობაში ერის თვითგაცნობიერებისათვის, „დაკარგული ენაობის აღდგენისათვის“, წელში გამართვისა და გაღონიერებისათვის, განათლებისათვის!..

ანდა, უნდა განშორდეს ივანე მაჩაბელი, ახალგაზრდა, მგზნებარე, მრავალმხრივ განათლებული კაცი, რომელმაც ცხოვრების მთავარ მიზნად, სასიცოცხლო და საარსებო საქმედ ჯერ კიდევ ბავშვობიდანვე მშობელი ხალხის კეთილდღეობისა და აღორძინებისათვის მოღვაწეობა დაისახა; რომელიც სამშობლოში დაბრუნებისთანავე საზოგადოებრივი მოღვაწეობის ცენტრში აღმოჩნდა, დიდი ილიას გვერდით, და ამ მოღვაწეობის ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალა შეიქმნა; რომელმაც შნო და ლაზათი შემატა ყოველგვარ დიდსა თუ მცირე საზოგადოებრივ საქმეს, რაც კი ჩვენს ქვეყანაში წამოწყებულა ოთხმოციანი წლების შემდეგ!.. რამდენი უძილო ღამე, რა სასიცოცხლო ენერგია შეუწირავს ამ საქმისათვის!..

ან ერთი უნდა მოჰკლან ცოცხლად, ან მეორე!..

„კომისიისაგან გამტყუნებული უნდა ჩამოშორდეს ყოველ საზოგადო ქართულს საქმეს!“ ეინ იცის, მერამდენეჯერ იმეორებს ვიღაც ჩიტირეკია ორატორი, რომლისათვისაც მის მიერვე წარმოთქმულ სიტყვებს, ისევე, როგორც, საერთოდ, საზოგადო საქმესა და სამშობლოს, არავითარი აზრი და შინაარსი არა აქვს.

ამ დიდი კრების უმრავლესობა ერთობა ასეთი უცნაური და საინტერესო პირობით. ილიას თავი ჩაუღუნავს და მწარედ ჩაფიქრებულია. ტილოსავით გაფითრებული მაჩაბელი ნერვიულად იკენეტს ტურებს.

„კომისიას მედიატორის უფლებები არ უნდა მიეცეს, იგი უნდა იყოს მსაჯული — ან „პო“ თქვას, ან „არა“, ან ერთი გაამტყუნოს და გააძევოს, ან — მეორე“... — ცინიკურად გაიძახის შემდეგი ორატორი.

ჭავჭავაძემ წამით გადახედა მაჩაბელს, რომელიც ადგილზე მოუსვენრად ტრიალებს და თითქმის ცახცახებს.

ნიკო ნიკოლაძე კომისიის შემადგენლობას ასახელებს — სიმონ გრიგოლის ძე წერეთელი, ნიკოლოზ დავითის ძე ზუბალაშვილი და ივანე დავითის ძე უთნელიშვილი...

ილია თანახმაა ასეთი კომისიისა, მაჩაბელი — წინააღმდეგი.

მაჩაბელი მოითხოვს თითო მხარისაგან სამ-სამი კაცის დასახელებას, რომლებიც შემდეგ ერთ თავმჯდომარეს აირჩევენ, სულ შეიდი კაცი იქნება კომისიაში.

კრება წინააღმდეგია ასეთი კომისიისა, ეს ხომ იგივე მედიატორული სასამართლო გამოვიდა!

საკითხი შემდეგი დღისათვის გადაიდო. გაზეთის ქრონიკებში ეკითხულობთ: „26 ამ თვეს დასრულდა ჩვენის სათავადაზნაურო ბანკის კრება; მაგრამ დასრულდა ისეთის საოცარი აპოთეოზით, რომლის მსგავსი ჩვენ არა გვინახავს რა“...

„ვისაც ეს კომისია ბრალდებულად იცნობდა, იმათ თავი უნდა დაენებებინათ, არა თუ ბანკის სამსახურისა, არამედ სააერთოდ საზოგადო მოღვაწეობისათვის. ამგვარად, იგი უნდა დასჯილიყო ნამდვილის სამოქალაქო სიკვდილით“... ცივად და ნახევრად ცინიკურად იუწყებიან გაზეთები.

ილია კვლავ მაგიდასთან ზის ჩაფიქრებული. მაჩაბელი ისევ ფეხზე დგას, მაგრამ დღეს მღელვარება აღარ ეტყობა, ისიც ჩაფიქრებულია და, აშკარაა, სულაც არ ისმენს კოლა ორბელიანის ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს, თუმცა გვერდზე უდგას და სახეშიაც ისე შეაყურებს, თითქოს გულისყურით უსმენდეს.

კრება გრძელდება. უკვე შეუდგნენ დასახელებული სამი კაცის არჩევას. მაჩაბელი ერთბაშად გამოერკვა ფიქრებისაგან და თავმჯდომარეს, რომელიც კენჭის ყრისათვის ემზადებოდა, სიტყვა წაართვა.

— მე ვერ ვენდობი მაგ კომისიას. აკი გუშინაც ვამბობდი...

მაგრამ თავმჯდომარემ სიტყვა აღარ დაამთავრებინა, კრება დახურა. ხალხი ფეხზე წამოცვივდა. შეიქნა საშინელი არეულობა, ფეხების ბრახუნი, ყვირილი, სიცილი...

ერთი თეთრით მოსილი, პატივეცემული მანდილოსანი ლოჯაში წამოდგა ღირსეული თავდაჭერით და მახლობლად მდგომ გაწლიკულ ჩოხოსანს მიმართა:

— რა მოხდა, თავადო, რა ამბავია?

— მაჩაბელმა თავისი სიტყვა უკან წაიღო, კნენია! — დაუფარავი ღვარძლით და გაბოროტებით უპასუხა თავადმა.

კნენიან მრისხანედ შეაყვირა და მარჯვენა ხელი მაღლა ასწია. ხალხი წამით დაჩუმდა. ღირსეულმა მანდილოსანმა კატეგორიული ტონით განაცხადა:

— ჩემი ღირსებისათვის შეუფერებლად მიმანია ამის შემდეგ თავად მაჩაბელთან ერთად სამსახური და ამიტომ თავს ვანებებ სკოლის კომიტეტს, რომლის თავმჯდომარის ამხანაგად კრებამ ამომირჩია...

მოწონებისა და პროტესტის შეძახილებმა დააფარეს კენიან მარიამ ორბელიანის უკანასკნელი სიტყვები. მაჩაბელს მწარედ გაეცინა, არც კი უცდია პასუხი გაეცა, თუმიცა მომხრეები სასწრაფოდ მივარდნენ, ჩასწიჩინებდნენ — რამე თქვიო.

მეორე დღეს მაჩაბელმა რუსულ გაზეთში გამოაქვეყნა განცხადება, რომელიც შემდეგ „ივერიამაც“ გადაბეჭდა. „წინააღმდეგი კომისიისა მე არა ვყოფილვარ, — წერდა მაჩაბელი, — მე მინდოდა ჩემი წინადადების გაყენა, მაგრამ თავმჯდომარემ სიტყვის დამთავრება არ დამაცალა, კრება დახურა. კელაეაც ვიმეორებ ჩემს აზრს — ერთის მხრივაც და მეორეს მხრივაც თანაბარი რიცხვი კაცებისა ამოვირჩიოთ, იმედნიმდენი, რამდენიც ჭკუჭკუაძებს უნდა. ამ ამორჩეულთ თავის მხრივ ამოირჩიონ ერთი ანუ სამი კაცი, საზოგადო თანხმობით... სიამოვნებით მივანდობ ჩემს ბედიღბალს მომავალ კომისიას. „ბედიღბალს“-მეთქი, ვამბობ, იმიტომ, რომ ამ წერილით ჩემის მხრივ ვალდებულად მიმანია თავი, უარი ვთქვა ყოველ საზოგადო მოღვაწეობისაგან, თუ კომისიის მიერ გამტყუნებული ვიქნე“.

ეს საკითხი ღიადვე დარჩა. კომისია არ გამოუყვიათ, „სამოქალაქო სიკედილამდე“ თითქოს არ მისულა საქმე, მაგრამ მაჩაბელი თავისივე სურვილით ჩამოშორდა სასკოლო კომიტეტს. თანდაყოლილმა სიამაყემ მას ნება არ მისცა იმ ქალთან ერთად ემუშავნა, რომელმაც თავისი დაუფიქრებელი, უტაქტო და ცილისმწამებლური გამოსვლით შეურაცხყოფა მიაყენა პატიოსანი და თავდადებული მოღვაწის სახელს. „ის ნურსადაც ნუ მიდის, — განაცხადა მაჩაბელმა, — მე თვითონვე აღარ მსურს ვიმუშაო ისეთ კომიტეტში, სადაც თავმჯდომარის მოადგილედ ორბელიანის ქალია!“..

„კარგად მოვიქეცი? — ეკითხება მაჩაბელი თავისთავს, — ნუთუ საჭირო იყო გულისთქმას აეყოლოდი და ორბელიანის ქალის დაუფიქრებელი სიტყვების გამო ისეთ საზოგადო საქმეს გავცლოდი, რომელსაც დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ჩვენი ტანჯული ხალხისათვის?“

„კარგად მოვიქეცი?“ მეათედ ეკითხება თავისთავს მაჩაბელი და თითქოს ამ კითხვის პასუხად დღიურში ჩასწერს:

„ვანო მაჩაბელმა დააშავა, რომ მ. ვახტანგის ასულ ორბელიანის სიტყვით თავი დაანება კომიტეტს...“

მაჩაბელი გულჩათხრობილი გახდა. ბრძოლა კი სამართლიანად მიაჩნია, მაგრამ თანდათანობით იმასაც ხედავს, რას წარმოადგენს თავის თანამებრძოლთა უმრავლესობა; როგორი შეზღუდული, დაკნინებული, პირადული ინტერესები აქვს ამ უბადრუკ ხალხს!.. ხედავს და გულგატეხილია, იმედგაცრუებული. ამიტომაც არის, რომ ხშირად მოუნდება გაეცალოს ამ ხალხს, მოშორდეს ამ დაუსრულებელ ბრძოლას... მაგრამ იგი ოპოზიციის პარტიის ლიდერია და ვაღდებულია პარტიის გადაწყვეტილებას დაემორჩილოს. ახლაც, ამ საოცრად დაძაბული ყრილობის შემდეგაც, რომელიც მთელს ორ კვირას გაგრძელდა, და იმ უცნაური აპოთეოზით დამთავრდა, მაჩაბელმა, ეტყობა, კვლავ გადაწყვიტა წასვლა, მაგრამ ისევ შეაჩერეს.

„...ყოველთვის ასეა ბრძოლის დროს — ვის სახელსაც ბრძოლა ატარებს, ის ყოველთვის თვალწინ უნდა ჰყავდეთ მებრძოლთა გასამხნეებლად და მტერთა დასათრგუნად. და თქვენ კი იმალებით და აძლევთ შემთხვევას თქვან „საომრად გამოგვიყვანეს და თავი მიგვანებეს“, და ეს სიტყვები, გულისმწუხარებით წარმოთქმული, თუ მართალი არ არის, მაშ სად ხართ, რატომ ხალხს თვალით არ ეჩვენებით, რატომ არაფერს ეუბნებით?! — ასე მკაცრად სწერენ ოპოზიციის წევრები მაჩაბელს 1894 წლის ზაფხულზე, — ყველანი გელოდნენ ქართლისაკენ, კრებებს და მეჯლისებს აპირებდნენ, სიხარულს საშხლვარი არ ჰქონდა. და დღეს კი გვეუბნებიან — პატივისცემას და სიყვარულს გაექცნენ და სადღაც გარდიხევენ, რომ იქ განცხრომაში გაატარონ და ჩვენკენ კი დიდი ლოდები მოაგორონო!.. დახედეთ თქვენს მეგობრებს, თუ გრწამთ მეგობრობა, თუ თავს დამარცხებულად არა თვლით!“..

ასეთი წერილები ზედიზედ მოსდის მაჩაბელს. იმასაც კი აღარ აცლიან, რომ ცოტათი მაინც მოისვენოს და მისი საყვარელი ლიტერატურული საქმე განაგრძოს.

გულჩათხრობილი გახდა მაჩაბელი. რაც დღე გადის, თანდათანობით გული უტყდება თავის თანამებრძოლებზე, ამ ფუქსავატ ხალხზე. ახლა იგი ხშირად საკუთარ თავთან ოცნებობს, ფიქრობს, სჯის...

საინტერესოა მისი დღიურები, რომელსაც სწორედ ამ წლიდან იწყებს. ეს უმთავრესად საქმიანი საუბარია საკუთარ თავთან, მაგრამ აქა-იქ, სტრიქონსა და სტრიქონს შუა, მის სულიერ განწყობილებასაც

ამოიკითხავს დაკვირვებული კაცი. საერთოდ კი ამ დღიურების შინაარსი საზოგადო საქმეს არა შორდება.

„ამოუარჩიეთ კომიტეტი ხუთი პირისაგან... რომელსაც მიენდო სამეურნეო საზოგადოების ყურის გდება. მათი დანიშნულებაა ბლომად ჩაწერონ ქართველობა ამ საზოგადოებაში წევრად... და ყური უგდონ, როცა შესანიშნავი საგანი იქნება რამე, ყველანი გამოცხადდნენ, ამისთანავე კომიტეტი შესდგეს დრამატული საზოგადოებისათვის“...

„სათავადაზნაურო სკოლის საზოგადოების კომიტეტმა დააარსოს განსაკუთრებული თანხა სასწავლებლებში მოსწავლეთათვის და ზნეობრივად დაევალოს იმ პირთ, რომელნიც ამ თანხიდან სწავლის დროს ფულს გაიტანენ, შემდეგში ნაწილ-ნაწილ მაინც შეაესონ. წრევანდელ კრებაშივე ბანკს მოეთხოვოს ამ საგნისათვის ორას თუმნამდე, მაგრამ იმ დრომდე ცნობები მოიკრიფოს სხვადასხვა რუსეთის ქალაქებიდან, რომელ სასწავლებელში რამდენი ქართველი მოსწავლეა, რომელ ფაკულტეტზე, რა კურსზე და რა საშუალებით ცხოვრობს“.

„...კომისია უნდა ამოირჩიოს გუბერნიის თავადაზნაურთა კრებამ დაეცადოს საშვილიშვილოდ მამულები ქართველობასვე შერჩეს. რა გზას ამოირჩევს კომისია, ან რა ცნობებს, ეს მასზედ არის დამოკიდებული“...

„...საჩხერიდან დაბრუნების შემდეგ, დათხოვნის ვადა რომ გამითავდა, წარმომიდგინეს ხელმოსაწერად პროტოკოლი 20 და 21 ივნისისა, რომელშიაც სწერია, ვითომ მე ეს აზრი წარმომეთქვას, რომ 1/3 ყველას დავაცადოთ შემოსატანიდან-მეთქი. ეს აშკარა ცილისწამებაა და განგებ შეთხზული, რომ ხელი მომაწერინონ შეცდომით და მასუკან ქვეყანაში იყვირონ — აი მაჩაბლის სიფრთხილე და თავდაჭერილობაო! პროტოკოლს, რასაკვირველია, ხელი არ მოვაწერე“.

„დღეს წარმომადგენლობის თათბირზედ გვექონდა სჯა ბანკში. ჭკუჭკაეაქე და ავალიშვილი იმ აზრისანი არიან, და გრუზინსკიც რასაკვირველია მიემხრობა, რომ ყოველმა მაზრამ 25 კაცი ამოირჩიოს, თანაბრად დამფუძნებელი — ბორჩალომაც, დუშეთმაც, გორმაც (!), ორი წილი ჩვენ გვეყოლება და ერთი წილი მსესხებელთაო. მერე ბორჩალოში კი ქართველებს ამოირჩევენ? ან თბილისის მაზრაში? იმ პირობით, რომ თუ რომელსამე მაზრაში 25 დამფუძნებელზე

ნაკლები იყოს, მეზობელ მაზრას შეუერთდესო. მაშ 26 რომ იყოს ყველანი ამორჩეულნი იქნებიან, ერთის გარდა! გორის მაზრაში 882, და თბილის-ბორჩალო-დუშეთში 340. ეს უკანასკნელი ახლა სამად გაპყავით. აი, სამართლიანობაც ამას კქეიან!..“

„ივანე გაბრიელის ძე ჩერქეზიშვილს ქაღალდი შეაქვს კომიტეტში, მე თუმცა პროტესტზე ხელი მოვაწერე, მაგრამ არ ვიცოდი, რას ვაწერდიო. პითაგორმა რომ ასი ძროხა დაუკლა ღმერთებს, ალბათ ეს ჩერქეზიშვილიც ერთი იმ ძროხათაგანი იყო. მაგრამ ჩერქეზიშვილისა რა გეიკვირს, რომ ჩვენმა ბრწყინვალე ღენერლებმაც წრეულს ამისთანა უცნაურის უარით თავი ისახელეს“...

„ორ-ორი დღე თითომ ვირგუნეთ თავისუფალი კვირაში — ჭავჭავაძემ ორშაბათ-სამშაბათი, გრუზინსკიმ პარასკევ-შაბათი, მე კი შერგება ოთხშაბათ-ხუთშაბათი, მაგრამ გამოვაცხადე, არ მინდა ეს დღეები, იქნება ათასში ერთხელ რამდენიმე საათით კი მომიხდეს დაგვიანება ამ დღეებში-მეთქი...“

დღიურების მიხედვითაც კი შეატყობს კაცი, რომ მაჩაბელი ბოლო წლებში ძალიან განერვიულებულია. აშკარად ეტყობა მოუსვენრობა, შფოთვა, საერთო დაქანცულობა, გულგატეხილობა...

1895 წლის გაზაფხულზე სათაეადაზნაურო ბანკის ისტორიაში ერთი ისეთი რამ მოხდა, რამაც საფუძველი მოაშადა საბოლოო კატასტროფისათვის და დააჩქარა ეს კატასტროფა. 4 მარტს ბანკს რევიზია ესტუმრა პეტერბურგიდან. რევიზია საკმაოდ ავტორიტეტული და საფუძვლიანი იყო — თითქმის ორ თვეს გასტანა, ძირფესვიანად გამოარკვია მთელი მუშაობა ბანკისა.

მთავარი რევიზორი ვესტაფ ვესტაფოვიჩ ღობეცკი, წარმოშობით პოლონელი, მეტად წესიერი და გულისხმიერი ადამიანი აღმოჩნდა. იგი მოხიბლა საქართველომ, ალტაცებაში მოვიდა ჩენი მოღვაწეების უანგარო და თავდადებული სიყვარულით სამშობლოსადმი; უდიდესი პატივისცემით განიმსჭვალა ილიასა და მაჩაბლის მიმართ. იგრძნო, რომ ეს ორი ადამიანი, რამდენიმე ქართველ მოღვაწესთან ერთად, ერის კულტურული აღორძინების მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო. ჭკვიანმა და გამოცდილმა რევიზორმა დაინახა, რომ ჭავჭავაძისა და მაჩაბლის ბრძოლას საფუძვლად პრინციპული ხასიათი ჰქონდა. მაგრამ იმასაც მიხვდა, რომ მათ მტრობას უქნარა, ინტრიგანი, უსულგულო და ჭორიკანა ადამიანების გარკვეული ჯგუფი აღვივებდა. ღობეცკი დარწმუნდა, რომ საზოგადოების ინტერესებისათვის მათ ბრძოლას, როგორადაც პრინციპული არ უნდა ყოფილიყო იგი,

იმდენი მნიშვნელობა არა ჰქონდა, რამდენადაც იმავე საზოგადოების ინტერესებისათვის დამლუპველი იყო ამ ორი დიდი მოღვაწის მტრობა. მან დიდი კეთილშობილება გამოიჩინა და მანამ რევიზიის შედეგად მიღებულ ოფიციალურ აზრსა და დასკვნებს ჩამოაყალიბებდა, ერთი არაოფიციალური დასკვნა გამოიტანა: ეს ორი ადამიანი უნდა შერიგდეს, ამას მოითხოვს მათივე ხალხის ინტერესები. მან ილიასთანაც მოსინჯა ამისთვის ნიადაგი და მაჩაბელთანაც.

„პრინციპებში განსხვავება არა არის რა, — ეუბნება იგი მაჩაბელს, — ორივეს ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების იარაღად დაგისახავთ ბანკი. თქვენს ბრძოლას უგუნური ადამიანები აღვივებენ და დამლუპველ ხასიათს აძლევენ... უნდა შერიგდეთ. სხვაგვარად არ შეიძლება. ხომ ხედავთ, აქეთ-იქით მტრები გახვევიათ და რომ ერთმანეთში იომოთ, რა გამოვა, საზოგადო საქმეს დალუპავთ...“

— ...ფაქტიურად აზრი ერთი გაქვთ, სადავო დიდი არაფერია, უსათუოდ უნდა შეთანხმდეთ, — მიმართავს საბოლოოდ დობეცკი მაჩაბელს.

— აზრი კი ერთი გვაქვს, — მცირე დუმილის შემდეგ უპასუხებს მაჩაბელი, — მაგრამ იმათ შეუძლიათ თავიანთ თავმოყვარეობას აზრი შესწირონ!..

დობეცკის ეღიმება: როცა თავმოყვარეობასა და სიამაყეზე მიღება საქმე, მაშინ, ეტყობა, მაჩაბელსაც არაფერი ეთქმის, არც ეს საოცრად გულწრფელი და მგზნებარე კაცი იქნება ბევრის დამთმობი.

სახლში ესტუმრა დობეცკი მაჩაბელს და ძალიან დიდხანს ესაუბრა. ვანო დაფიქრებული უსმენდა და გულში თვითონაც ეთანხმებოდა. თანხმობა განუცხადა მან ნიკო ლომოურსაც, რომელიც იმავე საღამოს მივიდა მაჩაბელთან და დაბეჯითებით მოსთხოვა შერიგება: ილიაც თანახმა არისო, უთხრა ლომოურმა...

მაგრამ შერიგება მაინც ვერ მოხერხდა, რადგან კეთილი ხალხის მიერ ძლივძლივობით მოგვარებული საქმე ადვილად ჩაშალეს გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანმა გაქნილმა ბოროტმა ადამიანებმა. ისინი დამოუკიდებლად, თითქოს ერთმანეთის საწინააღმდეგოდაც მოქმედებდნენ, მაგრამ წყალს ერთ წისქვილზე ასხამდნენ. ამ გულღვარდლიანი ვაჟბატონების ერთი ჯგუფი ილიას ახელებს — როგორ შეიძლება აპატიო მოღალატეს, რომელმაც იმდენი უსინდისობა გამოიჩინა, რომ ფინანსთა სამინისტროში დაგვაბეზლა და რევიზია გამოითხოვაო; მეორე ჯგუფი მაჩაბელს აქეზებს — შენ გინდა შეურიგდე კაცს, რომელმაც საშინელი ცილი დაგწამა,

მოღალატეობა დაგაბრალო!

მოღალატეობა მართლაც დასწამეს მანაბელს. ჩამოვიდა თუ არა რევიზია, მაშინვე გაუვრცელეს ხმა, რომ იგი სამშობლოს მოღალატე იყო, ბოროტი დაბეზლებელი. მოწინააღმდეგე ბანაკის უსაქმური წევრები გამწარებით ავრცელებდნენ ამ ხმას, ჭკორიკანა დედაკაცები იწყევლებოდნენ — ის მარჯვენა გაუსმეს მანაბელს, რომლითაც მან დაბეზლების წერილი გაგზავნაო. იქამდე მივიდა საქმე, რომ ილიაც კი დააეჭვეს.

მანაბლის ყურამდეც მივიდა ეს ჭკორი. მაგრამ ისე შეეჩვია იგი ამ უქნარა ხალხისაგან ყოველგვარი სისაძაგლის მოსმენას, რომ დიდად არც უკვირს, და თითქოს არც იმდენად სწყინს: მხოლოდ დღიურში ჩასწერს ცივად: „ხალხში გაუვრცელებიათ ხმა, რომ ვითომ ჩვენის დაბეზლებით მოსულიყვნენ რევიზორები! კიდევ რომ ასე იყოს, განა ნება არა გექონდა, მაგრამ მე ვგონებ უფრო იმის გამო არიან გამოგზავნილნი, რომ იქ, საკრედიტო კანცელარიაში, ავალიშვილის უმეტრება დაინახეს, გამოაგდეს კიდევ და უნდათ ნახონ, როგორ არის ამისთანა ბანკი წარმართული“...

რევიზიის ჩამოსვლისთანავე გადაწყვიტა მანაბელმა, რომ ბანკის კედლებს გარეთ ერთი სიტყვაც კი არ ეთქვა რევიზორებისათვის. და მართლაც, პირდაპირ ასე განუცხადა ჩამოსვლის პირველსავე დღეებში მასთან სადარბაზოდ მისულ დობეცკის — „მე დასამალავი არა მაქვს-რა, და თუ საჭირო იქნება ყველაფერზე მოხსენებას მოგართმევთ; ბანკის კედლებგარეშე კი მე თქვენთან ბანკის საქმეზე არ მინდა ლაპარაკი“.

ოპოზიციის წევრებმა მაშინვე გაიგეს, რომ შერიგებაზე ჩამოვარდა ლაპარაკი და დაფაცურდნენ; როგორც უკვე ვთქვით, მოწინააღმდეგე ბანაკის წევრებიც დატრიალდნენ. შერიგება რა სათქმელია! ბრძოლა ბოლომდე, გამარჯვებამდე! ასეთი ხელსაყრელი შემთხვევა მიეცათ, თვით მინისტრის რევიზორები არიან ჩამოსული და ახლა სამარცხვინო შერიგებით უნდა დამთავრდეს საქმე?! ეს შეუძლებელია! და ვანოსთან ზედიზედ მიდიან წასაქმებლად, ურჩევნ, დობეცკის ყველაფერი აუხსენი და დაანახვეო!.. ვინც იმ დროს თბილისში არ შეესწრო, წერილს უგზავნის.პატივისცემით მომიკითხე კნენა ტასო, საერთოდ ოპოზიციის ქალები და მეომარი ვაჟაკანი! ყმაწვილებო, დობეცკი ხელიდან არ წაგივიდეთ!“ სწერენ მას. კოლა ორბელიანს ლამის ხმა ჩაუწყდეს — ყვირის, იმუქრება, მოურიდებლად იგინება და ფართიფურთობს, მანაბელს გადამწყვეტ მოქმედებას სთხოვს...

და ისევ კოლა ფაულენიშვილი აღმოჩნდა ერთადერთი „კეთილი სული“, რომელიც გონიერულ რჩევას აძლევს თავის სიყრმის მგობარს: „...ჩემგან დარიგება არ გინდა, მაგრამ მეტი სიფრთხილე რომ გამოიჩინო მანდაურ დაეიდარაბაში, ურიგო არ იქნება. შევიტყუეთ, რომ ბანკის რევიზორები აღარ ხუმრობენ და უნდათ ყველაფერი ნათლად გამოირკვიონ; რასაკვირველია, შენს ჩვენებას მეტს ყურადღებას მიაქცევენ და სასურველია, რომ ყოველივე შენი სიტყვა და საქციელი იყოს ათასნაირად აწონილ-დაწონილი. იქნება შენი თანამოსამსახურეთაგანი ბევრნი სახრჩობელას ღირსნიც იყვნენ, მაგრამ შენ ნუ ისარგებლებ მაგ შემთხვევით, უენო და უსიტყვო ფაქტები უფრო ნათლად აუხსნიან ყველაფერს ჭეშმარიტების მაძიებელს. იქნება შენი მომხრეები სხვა აზრისა იყვნენ ამ საქმეში, მაგრამ მე კი მგონია, რომ რაც შენ ნაკლებ მონაწილეობას მიიღებ მაგ დაეიდარაბაში, მით უფრო შენი პირადი ღირსებაც დაცული იქნება და თვით ბანკის საქმეშიაც ბევრს მოვიგებთ“.

ფაულენიშვილისაგან დამოუკიდებლადაც ასე ფიქრობდა ეანო მაჩაბელი. და ის მოხსენებითი ბარათიც, რომელიც მან რევიზიას გადასცა, ოპოზიციის წევრთა დაჟინებული და კატეგორიული მოთხოვნის მიუხედავად, დიდის თავდაჭერით იყო შედგენილი.

ერთი სიტყვით, რევიზიამ ვერ მოახერხა მოწინააღმდეგე ბანაკთა ლიდერების შერიგება. ბრძოლა კი უკვე სამკედრო-სასიცოცხლო გახდა.



მთელ წელიწადს მიმდინარეობდა საფუძვლიანი შხადება იმ გადამწყვეტი ბრძოლისათვის, რომელიც 1896 წლის გაზაფხულზე დაიწყო, და რომელსაც ბოლო უნდა მოელო საადგილმამულო ბანკში მრავალი წლის დაძაბული და უსიამოვნო დავისათვის. საქმეს განსაკუთრებით ის ართულებდა, რომ მეზობლმა მხარეებმა ზედ-მიწევნითი სისწორით იცოდნენ მოწინააღმდეგის ძლიერი და სუსტი ადგილები; ამიტომ ყველაფერი წინასწარ კჭონდათვალის წინებული და გულმოდგინედ ეშხადებოდნენ, რათა მოწინააღმდეგისათვის სუსტ ადგილზე დაერტყათ, ხოლო მისი ძლიერი შემოტევა მოხდენილად აეცდინათ.

„სარდლები“ ამ მზადებაში თითქმის სულ არ ერეოდნენ; დაზვერვა-სა და საკუთარი ჯარების მომზადებას ის „ოფიცრები“ აწარმოებდნენ, რომელთა მეცადინეობითა და მონდომებით ასე უკიდურესობამდე გამწვავდა ბრძოლა. უმეტეს ნაწილს ამ „ოფიცრებისას“ ომი ართობდა, მათ უკვე დაეიწყებულნი ჰქონდათ პრინციპული და არსებითი მხარე ბრძოლისა და უმთავრესად ის აინტერესებდათ, რაც შეიძლება მწვავე და ხანგრძლივი ყოფილიყო ომი.

მთავარი საზრუნავი მაინც „ჯარების“ შვერვება იყო და თითქმის მთელი წლის განმავლობაში, განსაკუთრებით კი იანვრიდან მოკიდებული აპრილის პირველ რიცხვებამდე, დიდის გულმოდგინებით და მონდომებით აგროვებდნენ ხმოსნებს. შეიქნა გაზურბული მიწერ-მოწერა, სოფლებში ჩასვლა, ხმების დაბეგება, გამწარებული აგიტაცია... ერთი სიტყვით, „ოფიცრებს“ გულ-ხელი არ დაუკრფოდათ და მთელი წელიწადი საგულდაგულოდ ემზადებოდნენ...

მაჩაბელი პრინციპულ საკითხებს ამზადებს ყრილობაზე გასატანად.

„მთავარი ჩენი საზრუნავი ახლა ის არის, რომ ბანკის მოგების მიზანშეწონილად განაწილება მოეახდინოთ, — მიმართავს იგი თანამებრძოლებს ოპოზიციის ერთ-ერთ სხდომაზე, თავისივე სახლში, — ჩემის აზრით, ერთი-ორად უნდა გაიზარდოს საგანმანათლებლო დაწესებულებათა საჭიროებისათვის გადაღებული თანხები. ასეთი დაწესებულებების ქსელიც უნდა გაიშალოს და გაფართოდეს. ბანკის ყურადღების უმთავრესი ცენტრი ამჟამად მიმართულია ქართული გიმნაზიისა და წინამძღვრიანთ სამეურნეო სკოლის საჭიროებათა დაკმაყოფილებისაკენ. მართალია, ქართულ გიმნაზიაში გლეხების შეილებიც სწავლობენ, მაგრამ უმნიშვნელო რაოდენობისა; მე ეფიქრობ ამ სასწავლებლის წესდება იმ მხრით უნდა შეიცვალოს, რომ ჩენი გლეხების შეილებსაც ფართოდ გაეღოს გიმნაზიის კარები“...

ოპოზიციის რამდენიმე წევრი უკმაყოფილოდ შეიმშუშნება, ერთმანეთს გადახედავენ, მხრებს აიჩეჩავენ, მაჩაბელი კი თითქოს ვერ ამჩნევს მათ მოძრაობასო, განაგრძობს:

„...დრამად ვარ დარწმუნებული, რომ, საქართველოს ჯანსაღი გლეხობა არა ერთსა და ორ საუკეთესო განათლებულ ქართველს შესძენს ჩენს ქვეყანას. იაკობ გოგებაშვილი და ნიკო ცხევაძე თუ გლეხთა წიაღიდან არიან გამოსულნი, აბა მიბრძანეთ, რომელ თავადიშვილს ჩამოუყარდებიან ისინი თავის ცოდნით, გამჭვრიახობით, შრომისმოყვარეობით, საზოგადო საქმის სიყვარულით?!“

ხმას აუმაღლებს ივანე მაჩაბელი და იმ თავადებს გადახედავს, რომელთაც გლეხების ხსენება არ ესიამოვნათ.

„...წინამძღვრიანთ სამეურნეო სკოლა ჩვენთვის ზედგამოჭრილია. უმაღლესი და საშუალო სამეურნეო სკოლების გახსნა ჯერჯერობით დიდ რუსეთსაც ვერ მოუხერხებია, და ჩვენ აბა როგორ შევძლებთ! ამაზე ოცნებაც კი არ შეგვიძლია. ამიტომ, ჩემის აზრით, აუცილებელია წინამძღვრიანთ სამეურნეო სკოლის მსგავსი დაბალი საფეხურის სამეურნეო სკოლები გაიხსნას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში; კურსდამთვარებული ყმაწვილები მხარში ამოუდგებიან ჩვენს გლეხობას და მიწის აწინდელი პრიმიტიული დამუშავება ნაწილობრივ მაინც გაუმჯობესდება. საზოგადო კრებაზე უნდა ვეცადოთ ამ საკითხის გატარებას. ეს არც გაგვიძნელდება, რადგან დარწმუნებული ვარ, ილია ჭავჭავაძე მხარს დაგვიჭერს...“

ოპოზიციის წევრები ისეე შეიშშუშნებიან და კელავ უკმაყოფილოდ გადახედავენ ერთმანეთს.

„მეორე საკითხის გატარება უფრო გაგვიძნელდება, მაგრამ ჩვენ მაინც უნდა ვეცადოთ, — განაგრძობს მაჩაბელი, — ბანკში დაგირავებულ და შემდეგ გამოუსყიდველ მამულებში მეურნეობის ევროპული წესები უნდა შემოვიღოთ და მოგების ნაწილი ამ საქმეზე დავაბანდოთ. რამდენიმე წლის შემდეგ ამით შემოსეულიც გადიდდება და სოფლად გაუმჯობესებული მეურნეობაც გაძლიერდება. ამ საკითხის გატარებაზე მეტი მეცადინეობა გემართება, რადგან ჭავჭავაძე მხარს არ დაგვიჭერს, რატომღაც ორჭოფულად და ურწმუნოდ უყურებს ამ საქმეს. მესამე საკითხი შედარებით მარტივია. დამფასებლების უფლებები უნდა გაიზარდოს და ამიტომ ხელფასიც უნდა გაუდიდდეთ. ამის წინააღმდეგ, მე მგონი, ჭავჭავაძეც არ იქნება...“

— იყოს წინააღმდეგი, იმდენი ხმოსნები გვყავს, რომ კუდით ქვას ვასროლინებთ! — ვეღარ შეიკავა თავი ოპოზიციის ერთ-ერთმა წევრმა და თავის მოსწრებულ სიტყვებზე თვითონვე აროხროხდა.

მაჩაბელმა წარბები შეიკრა.

— ჩვენ პრინციპული ბრძოლა გვაქვს და ასეთი ლაპარაკი არც ჩვენ დაგვშენდება, არც ილია ჭავჭავაძის სახელს ეკუთვნის! — ცივად მოუჭრა მან თავშეუკავებელ ოპოზიციელს...

საზოგადოდ, მაჩაბელი არასოდეს ცუდად არ ახსენებდა ილიას. მისი ერთი თანამედროვე პირდაპირ წერს: „...ივანე მაჩაბელი... არასოდეს თავისთავს და არც სხვა მოკამათეს ნებას არ აძლევდა ილია ჭავჭავაძის სახელი ცუდად მოეხსენებია“.

ასე იყო, თავის მხრივ, ილია ჭავჭავაძეც.

დიდი ილია კარგად ხედავდა მაჩაბლის ღვაწლს ქართული ლიტერატურის წინაშე და აფასებდა კიდევ მის ლიტერატურულ და საერთო-საზოგადოებრივ მოღვაწეობას, მიუხედავად იმისა, რომ საბანკო საქმეებში დაუზოგავად ებრძოდა მას.

ახლაც, ამ გადამწყვეტი ბრძოლის რამდენიმე თვით ადრე, ილიამ შეუნელებელი ყურადღებით წაიკითხა მაჩაბლის ახლახან თარგმნილი ნაწარმოები — „იულიუს კეისარი“, რომელიც „მოამბის“ პირველ ნომერში იყო დაბეჭდილი, და გამოუთქმელი სიხარული იგრძნო. ანტონიოსის ცნობილ მონოლოგს რომ მიადგა, სცადა ინგლისურად მოგონებინა ტექსტი, რომელიც მას ერთხელ მაჩაბელმა შეასწავლა, მაგრამ ვეღარ აღადგინა მეხსიერებაში. თუ საფუძელიანად არა გაქვს შესწავლილი, ენამ ადვილად იცის დავიწყება. ეს მონოლოგი ორჯერ გადაიკითხა ილიამ და მოეწონა. საერთოდ თარგმანმა აღტაცებაში მოიყვანა. და ამჯერად თავის შეკავებაც აღარ მოინდომა, თავისი აზრი საჯაროდ გამოთქვა გაზეთის ფურცელზე.

„ჩვენ დიდის სიამოვნებით შეეხვდით ამ ახალს თარგმანს და დიდ განძადაც მიგვაჩნია ჩვენი ლიტერატურისათვის თ. მაჩაბლის თარგმანები... იმედი გვაქვს, თ. მაჩაბელი გადაგვითარგმნის კიდევ რამდენიმე საუკეთესო დრამას შექსპირისას. დრამა ინგლი ურიდამ არის პირდაპირ თარგმნილი და ამით კიდევ უფრო საყურადღებოა...“

ილიასაც შეჰკადრეს თავისმა მომხრეებმა, მტრის ასე გაზეიადებული ქება თქვენზე გაზეთში რა საჭირო იყო, მაგრამ ჭავჭავაძემ მოკლედ მოუჭრა: ჩვენ ბრძოლა საბანკო საქმეებზე გვაქვს: სხვა მხრივ მაჩაბელი დაუფასებელია ჩვენი საზოგადოებისათვის...

საბანკო სარბიელზე ბრძოლის გადამწყვეტი ეტაპი კი თანდათან ახლოვდებოდა.

10 აპრილს აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან უკვე დაიწყო დამფუძნებელთა და მსესხებელთა პირველი ჯგუფების დენა. წვიმიანი გაზაფხული იყო და წყალდიდობა ძალიან აბრკოლებდა საქმეს, მაგრამ ხმოსნები არაფერს ეპუებოდნენ და საბილოდ

მინც ყველამ მოახერხა ჩამოსვლა. ცხრაასამდე კაცი შეგროვდა თბილისში. ქალაქის ქუჩები ხმოსნებით იყო საესე და სალაპარაკო თემაც მთელს ქალაქში მხოლოდ ესა კქონდათ — წლეეანდელს ყრილობაზე ჭკეჭკეაპისტები გაიმარჯვებდნენ თუ მაჩაბლისტები; ხოლო ის „პატარა“ საკითხი, თუ რაზე იქნებოდა ბრძოლა და რა ახალი საქმეები წამოიჭრებოდა ყრილობაზე, მინცდამინც არ აწუხებდათ. ძალები თითქმის თანასწორი იყო და ამიტომ, რაც არ უნდა გამოცდილი ყოფილიყო კაცი, ბრძოლის ბედის წინასწარ განჭვრეტა მინც გაუძნელდებოდა. ისე კი ყრილობის გახსნის დღემდე და შემდეგაც, ყრილობის მიმდინარეობის დროს, ორივე პარტია დიდ მუშაობას აწარმოებდა ხმოსნების გადასაბირებლად.

თავიდანვე ეტყობოდა, რომ ბრძოლა იქნებოდა მეტად ძნელი და გრძელი. ეს ასევე კქონდათ გათვალისწინებული ზემოხსენებულ „ოფიცრებს“.

მართლაც, ყველაფრით ბრძოლას დაემსგავსა საადგილმამულო ბანკის ის გადამწყვეტი ყრილობა. სოფლებიდან ჩამოსული ხმოსანი თავადების მოთავესება სახლებში ვერ მოხერხდა, მათი სიმრავლის გამო, და ამიტომ მაჩაბლის მომხრეებმა თბილისის ერთ-ერთ ბაღში დასცეს კარეები — ნამდვილი სამხედრო ბანაკი გვეონებოდათ. ბაღშივე გააჩაღეს ცეცხლი, გაჩნდნენ მზარეულები, შეიქმნა საერთო სადილ-ეახშმების მზადება, ლხინი, სიმღერა... არც წვიმას ეპუებოდა სეირის საყურებლად ჩამოსული უსაქმური ხალხი, არც ის აწუხებდათ, რომ ახლა სოფლებში გახურებული ხენა-თესვა იწყებოდა...

გაზეთები წინასწარვე იუწყებოდნენ ყრილობის გახსნის დღესა და საათს: „1896 წლის 20 აპრილს, დილის ათ საათზედ, დაიწყება თბილისის სათაეადაზნაურო ბანკის მორიგი კრება... წარმოდგენილია შეიდასამდე რწმუნების ქალაღლი. უგანათლებულეს თავ. მიხ. გრუზინსკისა და თავ. ივ. მაჩაბელს გაუვიდათ სამსახურის ვადა და მათს ადგილზე უნდა კრებამ დაასახელოს კანდიდატები და აირჩიონ“...

ყრილობა მართლაც 20 აპრილს გაიხსნა, მხოლოდ ორი საათის დაგვიანებით. ქართულ თეატრში, სადაც ყრილობა მიმდინარეობდა, ტევა აღარ იყო. სცენა, პარტერი, ლოეები, ქანდარა — ხალხს გაეცსო. ლაპარაკს მოწყურებულმა დამფუძნებლებმა პირველივე დღეს იჯერეს გული — პირველივე დღის სხდომა თავემჯდომარის ამორჩევას მოუნდა. მეორე დღის სხდომაზე რამდენიმე საათი მოანდომეს იმის გადაწყვეტას — მოეწვიათ თუ არა სტენოგრაფისტები. ასევე მთელი

ერთი თუ ორი სხდომა იმაზე დაეობდნენ — ახლავე წაეკითხათ შარშანდელი რევიზიის დასკვნა, თუ შემდეგ, ყრილობის დასასრულს, ერთი სიტყვით, საქმეს „დინჯად“ და „საფუძელიანად“ შეუდგნენ.

„...საზოგადო კრების პირველი სამი დღე ისე გავიდა, — იუწყებოდნენ გაზეთები, — რომ საქმეს სრულიად არ შეხებიან.“

თავიდანვე მეტისმეტი დაძაბულობით დაიწყო ყრილობა. ხშირია ერთმანეთთან წალაპარაკება არა მარტო ტრიბუნიდან, არამედ თვით პარტიერშიაც, დამფუძნებელთა შორის. ხშირ-ხშირად წამოვარდებიან ხოლმე ცალკეული პარტიების წარმომადგენლები და ერთმანეთს ცხარე სიტყვებით მიმართავენ. ჭკუჭკაეაძე იშვიათად გამოდის სიტყვით, იგი ერთადად ზის და, ჩაფიქრებული, ყურს უგდებს ორატორებს. მაჩაბელსაც ვერ ხედავენ ხშირად ტრიბუნაზე, მაგრამ მას მეტი მოუსვენრობა ეტყობა, ხშირად წამოვარდება ხოლმე ადგილიდან, დერეფანში გაეა და მალევე შემობრუნდება სხდომის დარბაზში. მაჩაბელი ღელავს და ეს აშკარად ემჩნევა; ილიაც ღელავს, მაგრამ არ იმჩნევს. ასე გადის საათები, დღეები, კვირეები...

მეორე კვირის ბოლოს ყრილობას აშკარად დაეტყო დაქანცულობა. სალამოს სხდომებზე უკვე ბევრსა სძინავს. კურიოზები ხდება. აგერ ერთ თავადს ჩასძინებია და ვინ იცის, ძილში რა ელანდება; სხდომის ღრიანცელი ახლა მას ტკბილ ნანინად ჩაესმის ყურში. თავი გვერდზე გადაუგდია, სახე დაბრეცია და მძიმედ ფშვინავს. კრებაზე ამ დროს ერთი უბრალო საკითხის გადასაწყვეტად კენჭის ყრა წარმოებს, ფეხზე ადგომით. დაქანცული თავმჯდომარე მთქნარებით აცხადებს — „მომხრეებს ვთხოვ ფეხზე ადგეს!“ დამფუძნებლები აქეთ-იქით იყურებიან — არ იციან, როგორ მოიქცნენ: ადგნენ, თუ არა. მაგრამ აგერ კოლა ორბელიანი წამოდგა ფეხზე, მიშო მაჩაბელიც ადგა... ესე იგი, ადგომა ყოფილა საჭირო, და ტკბილ ძილში წასულ დელეგატსაც მეზობელი მოურიდებლად წაპკრავს მუჯღუგუნს. „რაო, რაო, ვეჟო“ — დაიღრიალებს ერთბაშად გამოფხიზლებული. „ადექი, იასე, ადექი, მიშო ადგა“. უპასუხებს მეზობელი და გამოფხიზლებული დელეგატიც ფაცხაფუცხით წამოვარდება.

დაქანცულობამ ორგეარი რეაქცია გამოიწვია ყრილობის დელეგატებში: ერთნი სავესებით მოწყდნენ და დაიქანცნენ, მეორენი განერვიულდნენ და გააღმასდნენ, სულ მცირე წყენასა და შენიშვნასაც ვეღარ იტანენ, მაშინვე მუშტებს იღერებენ და იარაღისკენ მიაქვით ხელი.

ყრილობის მეოცე დღე მიმდინარეობს. კიდევ ერთი უბრალო საკითხის გამო კენჭისყრა ხდება.

— მომხრეებს ეთხოვ ფეხზე ადგეს! — აცხადებს თავმჯდომარე. დამფუძნებლებმა წინა რიგებს გადახედეს — არ იციან, როგორ მოიქცენ.

წამოდგა ჩოლოყაშვილი, ადგა ჯაბადარი... ესენი ჭკეჭავაძისტები არიან, მაშ ადგომა ყოფილა საჭირო — და ერთი გამხდარი მოხუცი თავადიც წამოდგა. თან გვერდზე იყურება: იქითა რიგში მისი შვილი არხეინად ზის და ადგომას თითქოს არც კი ფიქრობს. მოხუცს უნდა როგორმე ანიშნოს შეილს, ადექიო, მაგრამ ვერ მოუხერხებია.

— კიკო, კიკო, — დაყვირებასაც აღარ მოერიდა მოხუცი, — ადექი, კაცო, ვერ ხედავ?!
მაგრამ დახეთ შეილის თავხედობას, განძრევასაც არ ფიქრობს!

„აღბათ მაჩაბლისტებმა გადაიბირეს!“, გაიფიქრა მოხუცმა და ერთბაშად გაგულისდა. მაშინვე მოსწყდა ადგილს, შეილთან მიიჭრა და სილა უთავაზა. კიდევ კარგი, შეილმა მოახერხა თავის შეკავება. ლოყაწითლებული ზეზე წამოხტა და მამას ხელზე ეამბორა...

იარალიც დაატრიალეს. ეს მოხდა ყრილობის ოცდამეხუთე თუ ოცდამეექვსე დღეს. ამ ეპიზოდს ერთი თანამედროვე აგვიწერს თავის მოგონებაში და ჩვენც იმას მოუხსმინოთ:

„...კრების თავმჯდომარეს, რომელიც მაჩაბლის დიდი მომხრე იყო და ჭკეჭავაძის მომხრეთ კი, ცოტა არ იყოს, მიდგომით ეპყრობოდა, ზედამხედველი კომიტეტის წევრმა, ჭკეჭავაძის მომხრემ, რალაცა შენიშვნა მისცა შეუფერებელი, უშეერი კილოთი. თავმჯდომარემ ეს იწყინა, იუკადრისა და მიჰმართა თავის მომხრეთ:

— რას უყურებთო?

„აქ წამოხტა თავის ადგილიდან პარტერში კოლა ორბელიანი და რევილვერით ხელში გამოექანა სცენისაკენ, სადაც ზედამხედველი კომიტეტი იჯდა; თან გამოჰყენენ სხეებიც, იარაღზე ხელწაელებულნი. ამავე დროს სცენაზე საიდგანდაც, თითქოს მიწიდგან ამოძვრაო, გაჩნდა თავზეხელაღებული ლელო ანდრონიკაშვილი და ხანჯალამოწყეული გაგება კოლა ორბელიანს. უსათუოდ უბედურება დატრიალდებოდა, რომ ამ დროს კორესპონდენტების ადგილიდან არ წამომხტარიყო მარდი დათა მიქელაძე და შუაში არ ჩასდგომოდა.

„— ბატონო, — მიუბრუნდა იგი ორბელიანს, — მიბრძანდით თქვენს ალაგას, როგორც ვხედავ, თქვენ იარაღის ხმარება არ გცოდნიათ!“

ყრილობის ოცდამეათე დღეს, როგორც იქნა, საკითხები ამოიწურა.

ხალხი გაბეზრდა, დაიქანცა, დაიღალა. მაგრამ უკანასკნელი დღეებისათვის, როცა არჩევნები უნდა ჩატარებულიყო, მაინც მოიკრიბეს ძალ-ღონე და კენჭისყრა დიდი ენერგიულობით ჩაატარეს.

ეს მოხდა 20 მაისს, ყრილობის ოცდამეათე თუ ოცდამეთერთმეტე დღეს. ადრე დილით დაიწყო კენჭისყრა და შუალამემდე გაგრძელდა. ხმების დათვლა იმავე ღამეს შეუძლებელი იყო, მეორე დღისთვის გადადეს, ყუთებს კი იმ ღამეს მცველები მიუჩინეს.

მაჩაბელი ხმის უმრავლესობით ისევე დარჩა დირექტორად.

ბანკის თავმჯდომარემ, მეორე დირექტორმა, რომელიც ჭაკჭაკაძის აშკარა მომხრე იყო, და ზედამხედველი კომიტეტის წევრებმა, რომელთა უმრავლესობა აგრეთვე ჭაკჭაკაძის მომხრეები იყვნენ, უარი განაცხადეს ბანკში მაჩაბელთან ერთად მუშაობაზე...



მაჩაბელი ზედიზედ ღებულობს მილოცვის დეპეშებს:

«Поздравляю мученика поборника истины торжественною победою»...

«Душевно радуемся успеху искреннейше поздравляем»...

«Поздравляем выбором»...

«Да здравствует истина»...

«Пьем за здоровье дорогого вновь избранного директора»...

«Посрамление черных флагов и позорное бегство баратьери вызвали восторг»... და ა.შ. დაუსრულებლად.

მაგრამ სინამდვილეში არაუინაც არ გაქცეულა, ყველაფერი ისევე ისე ძველებური დამაბულობით წარიმართა. მოწინააღმდეგე პარტიამ ყრილობაზე თითქოს უარი განაცხადა მაჩაბელთან ერთად მუშაობაზე, მაგრამ ფაქტიურად მეორე-მესამე დღეს ყველანი ძველებურად მივიდნენ ბანკში.

ბანკში კი გამოცხადდნენ, მაგრამ გულხელდაკრეფილი ისხდნენ და არაფერი გაუკეთებიათ. შეთანხმებულ მუშაობაზე უარი განაცხადეს.

რაც დღე გადის, მუშაობა სულ უფრო და უფრო აუტანელი

ხდება. მართლაც ძალიან მძიმე მდგომარეობაა: გადამდგარი ხალხი ისევ სისტემატურად დადის სამსახურში; მოვლენ, დასხდებიან და ამრეხით უცქერენ მაჩაბელს. ბანკში არაფერი კეთდება. საქმიან ქაღალდს მაჩაბელი მოაწერს ხელს, ისინი არ ადასტურებენ, ისე კი მნიშვნელოვანი საქმის გადაწყვეტა შეუძლებელია, თუ იმათაც არ მოაწერეს ხელი. იმათი მოჩვენებითი გადადგომით კიდევ უფრო უარესი მდგომარეობა შეიქნა.

დაიბნა მაჩაბელი, ველარაფერს აკეთებს ვერც ბანკში, ვერც შინ. ბანკიდან გაღიზიანებული ბრუნდება ხოლმე. ღამით, როცა მთელი ოჯახი დაიძინებს და სახლში სრული მყუდროება ჩამოვარდება, იგი წიგნის თაროსთან მივა, შექსპირის ინგლისურ ტომებს გადმოიღებს და ფურცლავს. კარგა ხანია კალამი არ აუღია ხელში შექსპირის სათარგმნელად. ენატრება დიდი გენიოსის ჯადოქრულ სტრიქონებთან ჭიდილი. ბანკი თანდათანობით აშორებს საყვარელ საქმეს. უნდა დაიწყო „ანტონიოს და კლეოპატრას“ თარგმნა და არ გამოუდის, გულს ვერ უღებს. პირველი სტრიქონის თარგმნა ვერაფრით ვერ მოუხერხებია. არ აჯობებდა დროულად მიენებებინა ბანკისთვის თავი?! მაგრამ ხომ მოინდომა რამდენჯერმე და არ გამოუვიდა! რამდენი დრო ექნებოდა ლიტერატურული შრომისათვის!.. თუმცა, სჭირდება კი მშობელ ხალხს მისი თარგმანები?!.. ახლა ამაშიაც ხშირად დაეჭვდება ხოლმე მაჩაბელი. აკი ბევრი რამ, რასაც იგი ხალისით და მთელის გატაცებით ჰკიდებდა ხელს, რაც მას ერის საკეთილდღეოდ მიაჩნდა, უსარგებლო ყოფილა!.. რამდენ რამეზე ააღებინეს ხელი! იქნებ ეს ლიტერატურული შრომაც ფუჭია! ჯერ ხომ მის თარგმანებს ჭეშმარიტი შემფასებელი არ ჰყოლია! მართალია, მოსწონთ მისი ენა, მაგრამ თარგმანები ორიგინალისათვის ჯერ არაეის შეუდარებია. ქებასაც ძალიან ძუნწად იმეტებენ. იქნებ უსარგებლო და ფუჭი იყოს ეს შრომა!..

და სწორედ იმ დღეებში მაჩაბელმა მოუღლონელად მიიღო ერთი საინტერესო წერილი.

„28 მაისი, 1896 წელი, ქერჩი.

„ჩემო ძვირფასო მეგობარო,* დიდი ხანია, რაც თქვენთვის წერილი აღარ მომიწერია. აქ, ქერჩში, ისეთი მოწყენილობაა, რომ მოსაწერიც აღარაფერი მაქვს. ექვსი კვირა იქნება, რაც დედა, მამა და ძმა მესტუმრენ. ჩემმა დამ უკვე მოატარა ყირიმის ყველა საინტერესო

* ეს წერილი ინგლისურად არის დაწერილი და აქ თარგმანი მოკვამქვს.

ადგილი და მომავალ კვირას, დისავე თანხლებით, კავკასიისაკენ გამოძგზაურებას აპირებენ. ეჭვი არ არის, თქვენც გეწვევიან თუკი ისევე თბილისში ხართ.

„თქვენს მიერ თარგმნილ „იულიუს კეისრით“ შვეიცილიათ იამა-ყოთ: ეს თქვენს გენილობასაც ამტკიცებს და თქვენი ენის საოცარ სიმდიდრესაც. მე ხელთა მაქვს ამავე პიესის ახალი ფრანგული, გერმანული, რუსული, ბულგარული გამოცემები, მაგრამ თქვენს თარგმანს ვერც ერთი ვერ შეედრება. თქვენ ისეთი საქმე გააკეთეთ, რომ, თუ თანამედროვეები ვერ გაფასებენ სათანადოდ, შთამომავლობა დაგაფასებთ და თაყვანს გცემთ. იმედი მაქვს, თანდათანობით მთელს შექსპირს თარგმნით.

„ახალ ამბებს ჩემი და გიამბობთ, როცა გნახაეთ. მეც სულით და გულით მინდოდა წამოსულა, მაგრამ აშეშადა ვერაფრით ვერ მოვახერხე.

„ჩემგან გულითადი პატივისცემა გადაეცით ქალბატონ ტასოს, ქალბატონ ბაბოს; აგრეთვე კეთილ სურვილებს ეუგზავნი ჩვენს ძვირფას თბილისელ მეგობრებს“...

ეს წერილი ოლივერ უორდროპისაგან იყო, და მჩაბელს ერთბაშად სიხარულით აეცსო გული.

ეს იყო პირველი ნამდვილი შეფასება ავტორიტეტული და კომპეტენტური პირისაგან. ის ორჭოფული ფიქრები, რაც უკანასკნელ დღეებში აწამებდნენ მჩაბელს, ერთბაშად გააქრა. მან ხალისიანად გადმოიღო შექსპირი და „ანტონიოს და კლეოპატრას“ თარგმნას შეუდგა.

მაგრამ პირველი მოქმედების დამთავრებაც ვერ მოასწრო, რომ ისევე დაბრკოლება გადაეღობა, იძულებული გახდა მუშაობა შეეჩერებინა...

ბანკის საზოგადო ყრილობის შემდეგ ერთი თვეც არ გასულა, რომ მოწინააღმდეგე პარტიის წარმომადგენლებმა საგანგებო კრება მოიწვიეს. ეს საკვებით მოულოდნელი იყო მჩაბლისათვის. კრება ძალიან მშვიდობიანად ჩატარდა, და ამ მხრივ იგი არა პგავდა წინა თვეში ჩატარებულ მშფოთვარე ყრილობას. ყრილობის დადგენილება და არჩევნები საგანგებო კრებამ უსამართლოდ სცნო და ხელახალი კენჭისყრა მოითხოვა. მჩაბელი წინააღმდეგ გამოვიდა. „მე კანონიერად ვარ არჩეული, — ამბობდა იგი, — ყრილობაც კანონიერად მიმჩინია. თქვენ გინდათ, რომ ბანკიდან გამაძევათ; მე ყუთს არ დავი-

დგამ და ხელახლა კენჭისყრაში მონაწილეობას არ მივიღებ“.

იგივე განაცხადა დამფასებელი კომისიის წევრმა კოტე ყიფიანმა. ივანე მაჩაბელს, საერთოდ, ბევრი არ უღაპარაკინია ამ კრებაზე. უფრო თავგამოდებით იბრძოდნენ კოლა ორბელიანი და მიშო მაჩაბელი. მაგრამ ყველაფერი ამოიყო. საგანგებო კრება კარგად მომზადებული გამოდგა და მოწინააღმდეგე ბანაკის წარმომადგენლებმა თავისი გაიტანეს. მაჩაბელმა და ყიფიანმა მართლაც არ დაიდგეს ყუთი, მიუხედავად იმისა, რომ ვანოს რამდენჯერმე სთხოვეს, კენჭი იყარეო. აირჩიეს ახალი დირექტორი და დამფასებელი კომისიის ახალი წევრი. მაჩაბელი ბანკიდან გარიყული აღმოჩნდა. სხვათა შორის, ყუთის დადგმა ილია ჭავჭავაძეშემაც არ ისურვა, მანაც გადასწყვიტა გასცლოდა ბანკს, მაგრამ, დაბეჯითებითი უარის მიუხედავად, ბოლოს იძულებული გახადეს კენჭი ეყარა. ბანკის 66 წევრმა, კოლა ორბელიანის თაოსნობით, განცხადება დასწერა; „ჩვენ მონაწილეობას არ ვღებულობთ კენჭისყრაში, — აცხადებდნენ ისინი, — მაგრამ მთელი ეს „საგანგებო კრება უკანონოდ მიგვაჩნია, და უფლებას ვიტოვებთ, რომ საქმე გაეასაჩივროთ“...



საქმე მაშინვე გაასაჩივრეს. იმ დღეებში კოლა ორბელიანი გაემგზავრა პეტერბურგს და საჩივარი სწორედ მან მიუტანა მინისტრს, რომელთანაც მას, სხვათა შორის, პირადი ნაცნობობაც ჰქონდა.

საგანგებო კრებას ვასილ მაჩაბელი არ დასწრებია, სოფელში იყო, და აღშფოთებულმა, სოფლიდანვე მოსწერა ძმას წერილი — მარტო ორბელიანს ნუ დაენდობი, შენ თვითონვე წადი პეტერბურგს საქმის გასარჩევლად. ამასვე ჩასჩიჩინებდნენ ოპოზიციის წევრებიც, და მაჩაბელმა გადაწყვიტა თვითონვე წასულიყო.

ახლა საქმე ეხებოდა არა მარგო ბანკისათვის თავის დანებებას, არამედ შელახული თავმოყვარეობის აღდგენას. იმ უამრავი მოლოცვის დეპეშებისა და წერილების შემდეგ, რაც მაჩაბელს სულ რამდენიმე დღის წინათ მოსდიოდა, ყველაფერი ერთბაშად შეიცვალა. უსაქმურ ვაჟბატონებს ახალი სახითხითო მიეცათ, ოპოზიციის წევრები აღშფოთებულნი იყვნენ, მუდამ დინჯი და წინდახედული ძმაც აღშფოთებული აღმოჩნდა; „ვერ წარმოიდგენ რარიგად აღელვებუ-

ლია ხალხი იმათ საზიზღარ საქციელზედ“, — სწერს იგი სოფლიდან. ცოლიც შეურაცხყოფილია და ისიც ურჩევს წასვლას...

ერთი სიტყვით, მაჩაბელი პეტერბურგს გაემგზავრა. ტასო ბავშვებიანად საჩხერეში წავიდა საზაფხულოდ.

მინისტრი მართლაც ნაცნობი აღმოჩნდა ორბელიანისა, კარგად მიიღო, სადილადაც კი დაჰპატიჟა (და ეს მაშინვე მოიწერა ორბელიანმა თბილისში. ამისთანა ბედნიერ შემთხვევას როგორ დაჰკარგაუდა!), მაგრამ გულთან მაინცდამაინც არ მიუტანია მისი საჩივარი, ბერი იცინა და ტკბილად გამოისტუმრა. დიდი იმედები არ მიუცია, მაგრამ იმედების მიცემა რა საჭიროა, მინისტრი ხომ უბრალო კაცი არ არის, რომ იმედები ფანტოს აქეთ-იქით! მისი გაღიმება და გულიანი გაცინება სიტყვიერ ნუგეშზე უკეთესია. ეს მშვენიერად იცის ორბელიანმა, და ამიტომ დაბეჯითებით ეუბნება მაჩაბელს (თბილისშიაც ასე მოიწერს): „ჩენი საქმე აღჩუზება, მინისტრი ამ დღეებში განკარგულებას გასცემს და მორჩა — ჩენს მტრებს კუდით ქეას ვასროლინებთ...“

მაგრამ მინისტრს, როგორც ეტყობა, დააეიწყა განკარგულების გაცემა და აგარაკზე ისე გაემგზავრა, რომ საქმეს ოდნეადაც არ წაუწევია წინ. საჩივარი კვლავ იმავე ჩინოუნიკის უჯრაში იდო, ვისაც ორბელიანმა ჩააბარა მინისტრის მითითებით...

მშვენიერი აგარაკები და მომხიბლავი პეიზაჟები აკრავს პეტერბურგს. რა სჯობია ზაფხულობით იქ დროსტარებას! ორბელიანმა ნაცნობ-მეგობრები გამოიხსნა და ძველებური გაიხსენა — ტკბილ ლხინსა და თავდაეიწყებას მიეცა. დროგამოშვებით სამინისტროშიაც შეივლის, თავის „პეტერბურგელ მეგობრებთან“, და, იქიდან გამოსული, მაჩაბელს ამშვიდებს: „საქმე წინ მიდის! ცოტა კიდევ და მაგათ კუდით ქეას ვასროლინებთ!“ თბილისში კი უფრო გაბედულ წერილებსა სწერს ოპოზიციის წევრებს: „საქმე თითქმის გადაწყვეტილია, მინისტრის ხელმოწერა აკლია. მალე კუდით ქეას ვასროლინებთ მაგ არამზადებს! ურა! გამარჯვება ჩენია!“

ასეთი წერილით დამშვიდებული ოპოზიციის წევრები ზედიზედ ლხინს მართავენ და ემუქრებიან ბანკის ახალ მმართველობას. მაჩაბელი კი ხედავს, რომ არაფერი გამოდის. პირველად დაიძვლებული იყო, კარგად არ იცნობდა კოლა ორბელიანს. მერე თანდათანობით მიხვდა, რომ ამ საშინელი ბიუროკრატიზმისა და ჩინოუნიკების ბუდიდან, სადაც განცხადების ერთი მაგიდიდან მეორეზე მიტანას

თვეები სჭირდება, არაფერი გამოვიდოდა.

ორბელიანი ზოგჯერ მთელი დღეებით იკარგება ხოლმე. ვანო თვითონვე შეივლის სამინისტროში, ორბელიანის „მეგობრებს“ მონახულებს, მაგრამ გადაწყვეტილი მაინც არაფერი ჩანს. ეტყობა მინისტრ ვიტუს დაავიწყდა თავისი სიტყვა!.. მაჩაბელი ნერვიულობს, თანდათან დაიქანცა, მხოლოდ ახლა იგრძნო, რომ მას წლების განმავლობაში ადამიანურად არ დაუსვენია...

„ჩემო ძვირფასო ტასო, — სწერს იგი ცოლს საჩხერეში, — დიდი ხანია ასეთი გრძელი მგზავრობა არ მომსვლია და ალბათ გადაეჩვიე. პეტერბურგი კიდევ ისე არ მომეწონა, რომ კინაღამ ვიტყვი, ამ ვიწრო ოთახებში გამომწყვდეულს ჩვენი გაშლილი ბუნება რომ მაგონდებოდა... რა კარგი ექვენ, რომ თქვენი პორტრეტი წამოვიდე, აქ ცოტაოდნად მაინც თქვენს მაგიერობას მიწევს. ვერ წარმოიდგენ, რარიგად მომინდება ხოლმე თქვენი ნახვა. თუ ღმერთმა ქნა და კარგად გათავდა საქმე, როგორ ფრთებს შევისხამ და სიხარულით გადმოვფრინდები! სწორედ გითხრა, მომწყინდა ამდენი ვაივაგლახი და წანწალი. წრეევანდელმა ზაფხულმა სულ ფუჭად ჩამიარა. მინდა დამშვიდებით ერთი კვირა მაინც სადმე მიყრუებულ სოფელში ჩემს პატარებთან ხეების ჩრდილქვეშ გაეატარო...“

მაგრამ ფარ-ხმალის დაყრა არ შეიძლება, გულისთქმისა და განწყობილების აყოლა არ გამოდგება, სირცხვილია, უნდა იბრძოლოს!

„ჩემო ძვირფასო ვანო, — ლებულობს მაჩაბელი პასუხს, — ...ღმერთმა ნუ ქნას, რომ ცუდი ამბით დაბრუნდე. საშინელი სირცხვილი იქნება! ყველა ელის შენ დაბრუნებას კარგი ამბით, ისინი კი ამბობენ (იგულისხმება მოწინააღმდეგეები), რომ ვერაფერს ვერ გაარიგებსო... ბავშვები საშინლად გიგონებენ. არ მეგონა, რომ აგრე მოუნდებოდათ შენი ნახვა. ნიკუშკას შენი წერილი რომ მივეცი, როცა წაიკითხა, რომ „შორს წავედიო“, ამოუშვა ტირილი და ძლივს დავამშვიდე. სულ შენ გელის, საბანაოდ როცა მიდის, იგონებს, რომ „მე და პაპა უფრო კარგად ვბანაობდითო“. ელა სულ შენ მოგონებაშია, როგორც ადგება კითხულობს «папа не приехал?» და როცა დაწვება ხოლმე, «папа завтра приедет», а среди дня вдруг говорит — «папу яну». ნაღვლობს საშინლად ნასტას და მიხას. საჭმელებს არ სჭამდნენ აქამდე, მიხას გაკეთებული არ არისო; ანგლიჩანები იყვნენ აქ ორი დღით და შეგვეხევენ, რომ უთუოდ კერძში გამოგვიაროსო, ჩემს ძმას უნდა კნიაზის ნახეაო“...

ბავშვების მოგონება სევდასა და ნაღველს მატებს მაჩაბელს, არის წუთები, რომ გადაწყვეტს ყველაფერი მიატოვოს და დაბრუნდეს... მაგრამ არ შეიძლება. მას მოელიან გამარჯვებულს. ხელცარიელი ვერ დაბრუნდება!..

„...აქაურობაზე ნუ შეწუხდები, — სწერს ვასო მაჩაბელი (მან შორიდან რა იცის უმცროსი ძმის სულიერი განწყობილება!) — ოღონდ მანდაური საქმეები გარიგდეს... ამ ამბავს, როგორც მანანას ზეცით მოვლინებულს ისე მოველით“...

„...თუ ღმერთი გწამთ, ნუ აჩქარდებით, — სწერს ტასო, — რაკი დაიწყეთ ეგ საქმე, კიდევ მიჰყევით ბოლომდე... სულ უნდა სდიოთ მაგ საქმეს, რომ სადმე კანცელარიაში არ დაიმწყვდეს. გაზეთში წაეიკითხეთ, რომ მინისტრი 14 ამ თვეს ნიჟნი ნოვგოროდში მიდისო, მაშინ უფრო ცქვიტად უნდა გქონდეთ ყურები, რომ არაფერი გამოგეპაროთ... რას მოეშურები, თუ საქმე სრულებით არ გათავდა?! რასაკვირველია, მე გამეხარდება შენი მოსვლა, მაგრამ თუ საქმე არ გააკეთებ თქვენ თითონ და სხვას მიანდეთ, რა გამოვა!.. გუშინ ბეჟანი მოვიდა ქუთაისიდან, იქ უნახამს ერთი მეგრელი ცომაია, სოხუმის ხმოსანი, და იქ გადაუწყვეტიათ, რომ უთუოდ გთხოვონ შენ და ამოგიჩიონ в городские головы. 3500 р. содержания... საშინლად მიკვირს შენი სიჩუმე. დავიჯერო არ გრძნობ, რომ საშინლად მანუხებს შენი უამბობა! ნურაფრის ნუ გეშინიან, ნუ გეზარება ცუდის ამბის მოწერა, ყველაფრისათვის უნდა მომზადებული ვიყოთ. შენც ნუ შეწუხდები მეტისმეტად. გახსოვდეს რუსული ანდაზები — «Терпение и труд все перетрут» и «что не делается все к лучшему». შენ ყოველთვის მხნე იყავი და ეხლაც ნუ დაეცემი“...

მაჩაბელი მართლაც ძალიან ცდილობს მხნედ იყოს, მაგრამ საქმე არ გამოდის. სამინისტროში არ ეჩქარებათ. ორბელიანი მაინც იმედინანდაა — ჩამოვა თუ არა მინისტრი, მაშინვე ხელს მოეაწერინებ, ჩემი მეგობარი კაციანო. მაჩაბელი ცდილობს გაზეთის საქმეც მოაგვაროს, ბეჭდვითი სიტყვის მთავარ სამმართველოში მივა, სამმართველოს უფროსს სოლოვიოვს ნახავს და „დროების“ უკანონოდ დახურვის ისტორიას უამბობს. სოლოვიოვი აღშფოთდება და თავს გაიქნევს, დიდი უსამართლობა მომხდარა, მაგრამ ახლა რაღა ეშველება, აღდგენა დაგვიანებულია, ისევე ახალი გაზეთის დაარსებაზე უნდა იზრუნოთ, ამისთვის კი საჭიროა შუამდგომლობა ადგილობრივი ხელისუფლებისგანაო. გამოცდილმა ჩინოვნიკმა

იცის, რა შუამდგომლობასაც მისცემს ადგილობრივი მთავრობა! ცოლისძმის, გიორგი ბაგრატიონ-დავითაშვილის საქმეზედაც მივიდა, სინდიკატის დაარსების ნებართვისათვის, და იქაც „ერთი სტოლიდან მეორეზე ძლივს გადააჩოჩებინა საქმე“...

მაგრამ მთავარი საქმე, რისთვისაც მაჩაბელი პეტერბურგს ჩაეიდა, კვლავ ერთ ადგილზე იყო გაყინული. მისი „ერთი სტოლიდან მეორეზე გადააჩოჩებაც“ ვერ მოხერხდა. ტყუილბურალოდ დაკარგა მთელი ორი თვე!

სექტემბრის პირველ რიცხვებში იგი ხელცარიელი ბრუნდება თბილისში.

პეტერბურგში ყოფნის დროსაც არ დავიწყნია მაჩაბელს თავისი თარგმანები. იგი იქ ხშირად ხვდებოდა ხოლმე თავის ძველ მეგობარს ანატოლი კრემლევს, ცნობილ იურისტსა და ინგლისური ენისა და ლიტერატურის საუკეთესო მცოდნეს. ამ კაცთან მიწერ-მოწერა ვანოს ადრეც ჰქონდა. 1895 წელს მაჩაბელმა მას, მისივე თხოვნით, „ჰამლეტის“ ქართული თარგმანი გაუგზავნა. ახლა კი პეტერბურგს ჩასული მაჩაბელი აზუსტებს ზოგიერთ სადავო ადგილებს, რომლებზედაც გული მუდამ ეთანაღრებოდა. 1888 წელს გამოცემულ თარგმანს 1896 წელსაც არ იეიწყებს და ცალკეულ ფრაზებს ამოწმებს, სხვადასხვა თარგმანს ადარებს!

ერთი თვის ჩამოსული არც კი იყო მაჩაბელი პეტერბურგიდან, რომ კრემლევისგან წერილი მიიღო, რომელიც ისევე „ჰამლეტის“ სადავო ადგილს შეეხებოდა. კრემლევი უწონებს — ეს სადავო ფრაზა სწორად გაგიგიაო. მაჩაბელი ამ დროს უკვე „ანტონიოს და კლეოპატრას“ თარგმანზე მუშაობს. მაგრამ კრემლევის წერილმა კვლავ „ჰამლეტი“ მოაგონა, ახალი თარგმანი დროებით გვერდზე გადადო და კიდევ ერთხელ გადაიკითხა ეს ტრაგედია, ცალკეული ადგილები, რაზედაც გული ეთანაღრებოდა, ხელახლა შეადარა. უნდა, რომ შეასწოროს და შესამედ გამოსცეს. შესწორება შეიტანა, მაგალითად, ჰამლეტის ცნობილი მონოლოგის ბოლო ნაწილში.

გაბედულებას მოსაზრება უსუსტებს შუქსა
და სასახელო ძლიერ საქმეთ, დიდად განზრახულთ,
წინ ეღობება, — ოფელია, ჩუმად ახლა კი!

ასე ჰქონდა ეს ადგილი თარგმნილი მაჩაბელს, მაგრამ აქ ზოგიერთი რამ გამოტოვებულია, მაჩაბელი ისევე გადაიკითხავს ინგლისურ ტექსტს:

And thus the native hue of resolution
Is sicklied o'er with the pale cast of thought;
And enterprises of great pith and moment,
With this regard, their currents turn away,
And lose the name of action. – Soft you now!
The fair Ophelia!

გული აღარ მოუთმენს და ამ ადგილს ხელახლა თარგმნის.
იქვე მიაწერს „ანტონიოს და კლეოპატრას“ თარგმანის ფურ-
ცლებს.

გაბედულებას ბუნებრივსა, ფერსა და იერს
სუსტი ნათელი მოსაზრების აყენებს მკრთალ შუქს
და სახელოვან ძლიერ საქმეთ, დიდად განზრახულთ,
წინ ელობება, გზა-კვალს უბნევს, ღირსებას უსპობს
ო, მშვენიერო ოფელია! – ჩუმიად ახლა კი...“

იმავე წლის 1 ნოემბერს მაჩაბელმა „ანტონიოს და კლეოპატრას“
თარგმანი დამთავრა. პეტერბურგიდან ისევ და ისევ გაურკვეველი
პასუხები მოდის. კოლა ორბელიანი ზედიზედ აგზაუნის იმედიან
დეპეშებს, მაგრამ მაჩაბელი გრძნობს, რომ საქმე ისევ ერთ წერტილ-
ზეა გაყინული და ორბელიანის ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს არავითა-
რი საფუძველი არა აქვს. მაჩაბელმა პეტერბურგიდან ჩამოსვლაც კი
ვერ მოასწრო, რომ ორბელიანმა წერილი დააწია, საქმე ნამდვილად
ჩვენს სასარგებლოდ წყდებაო: «не беспокойся, — рихიანად სწერს
ორბელიანი, — ничего не упушу; не допушу, чтобы эти мерзавцы
хотя бы на минуту взяли над нами верх...». ყოველ დეპეშასა თუ
წერილში ეადას ნიშნავს: „საქმე საბოლოოდ გადაწყდება დეკემბრის
ბოლოს“... „მინისტრი ხელს მოაწერს იანერის დასაწყისში“...
„ყველაფერი დამთავრდება, როგორც ჩვენ გვინდა ისე, იანერის შუა
რიცხვებში“... „საგანგებო კრების გადაწყვეტილებას უსათუოდ
გააუქმებენ“... „მომილოცავს, ეაშა! გაზეთის საქმე გარიგდა“...
„გაზეთის აღდგენა და ბანკში გამარჯვება ერთად ეიზიმიოთ“... და
ასე შემდეგ, დაუსრულებლად.

მაგრამ გავიდა შემოდგომის თვეები, დადგა შემდეგი წლის იანუარი,
თებერვალიც მოახლოვდა... საქმე კი ისევ გაურკვეველია. მაჩაბელს
უკვე აღარაფერი სჯერა ორბელიანისა, უგულოდ გადაათვალიერებს
მის დეპეშას და ცივად გადააგდებს გვერდზე. მოსწყინდა, დაიქანცა...

მინისტრის გადაწყვეტილების მოლოდინში სამსახურზედაც ვეღარ იზრუნა. ჯერ კიდევ გასული წლის სექტემბერში, პეტერბურგიდან ახლად დაბრუნებულს, ახალგაზრდა მწერლისა და საზოგადო მოღვაწის თედო სახოკიას წერილი მოუვიდა: სოხუმის ქალაქის თავად იწვევდნენ. მაჩაბელმა მაშინ გაურკვეველი პასუხი გასცა — ჯერ ბანკის საქმე არ გადაწყვეტილა და ველოდებით; ისე კი დიდი სურვილი მაქვს წამოვიდე და მანდ ვიმოღვაწეო, ეხლა სწორედ მაგისტანა განაპირა ადგილებშია მოღვაწეობა საჭირო და ჩემთვისაც კარგი იქნება, ცოტათი მაინც მოვისვენებო.

ეს წერილი საყურადღებოა სხვა მხრივაც. აქ აშკარად ჩანს, რომ მაჩაბელი, როგორც ოპოზიციის ლიდერი, ხშირად თავისი სურვილის წინააღმდეგ მოქმედებდა. „სწორე გითხრათ, მეც, ჩემი სახლობაც ძალიან მონდომებულნი ვართ, რომ გაეშორდეთ აქაურობას და მყუდროდ სადმე შევეუდგე მოღვაწეობას, — სწერს იგი თედო სახოკიას, — შევიძლებ თუ არა პირიანად მონდობილის შესრულებას, არ ვიცი, წინდაწინ ვერას დაგპირდებით, მაგრამ ამაზედ კი სიტყვის მოცემა შემიძლიან, რომ ყოველ ჩემს ღონისძიებას შეეასრულებ, ხალხის მონდობილობას არ ვუმტყუნო, მით უფრო, რომ ქართველობას უფრო მაგისტანა განაპირებში, როგორც სოხუმია, გემართებს პირნათლად თავის გამოჩენა. ვიმეორებ, თუმცა სურვილი დიდი მაქვს, მაგრამ ბანკის საქმის გათავების შემდეგ შეიძლება გარემოება ისე შეიცვალოს, რომ ხელფეხი შემიკრას და ქალაქიდან აღარ გამიშვას; იქნება ჩემმა ამომრჩეველებმა ზნეობითად დამავეალონ აქედან ფეხი აღარ მოვიცვალო, ჯერჯერობით მაინც...“

სოხუმელებმა თებერვალში ისევ შეახსენეს ვანოს ეს წინადადება, და გარკვეული პასუხი ახლაც ვერ მისცა. ისევ ბანკის საქმის გადაწყვეტას ელოდება.

გახდა მაჩაბელი, დარდობს, ღამეები არა სძინავს. უჯამაგირობამ კიდევ უფრო შეაწუხა. ოჯახს დიდი ხარჯი სჭირდება, შემოსავალი კი არსაიდან არის. და მის უბის წიგნაკში ახლა უფრო გახშირდა ფანქრით ჩაწერილი პატარა შენიშვნები: მმართველს — ვასოსი — 800, ქართველოვისა — 857, სარაჯოვისა — 1438, დარიკოსი — 2000...

მოსწყინდა ბანკზე ფიქრი, ბარემ გათავდეს და სულერთია — კარგად გათავდება თუ ცუდად. ხალხისაგან მოსვენება აღარა აქვს: ორბელიანი დეპეშების გზავნაზე გულუხვია. ასეთივე შინაარსის დეპეშებს ოპოზიციის სხვა წევრებსაც უგზავნის ხოლმე, და ამ

დეპეშების მიხედვით ხან ბანკში გამარჯვებას ულოცავენ ნაცნობები ვანოს, ხან ახალი გაზეთის დაარსებას; ხან თანაგრძნობის ღიმილით შეხედავენ, ხან დამცინავედ მიაპყრობენ შხერას...

„ერთი სიტყვით, გათავდეს, და როგორც უნდა იყოს, სულ ერთია“, — ასე აბარებს მანაბელი პეტერბურგს თავის საქმეებზე გამგზავრებულ უფროს ძმას.

ვასო თებერვალში გაემგზავრა პეტერბურგში და როგორც კი ჩაიდა, მაშინვე დარწმუნდა, რომ ორბელიანი სერიოზული კაცი არ იყო. იგი წარამარა ტყუოდა. მაგრამ იმდენად იყო ვასო მანაბელი დარწმუნებული თავიანთი საქმის სიმართლეში, რომ ვგონა, ადრე იქნებოდა თუ გვიან, საქმე უსათუოდ მათ სასარგებლოდ გადაწყდებოდა. ამიტომაც პირველი მისი წერილები პეტერბურგიდან მაინც იმედიანია. ეს ბანკის საქმეებთან დაკავშირებით. ხოლო გაზეთზე მაშინვე მიხედა, რომ არაფერი გამოვიდოდა, და მისწერა კიდევ ვანოს: „გაზეთის საქმე, ვიდრემდე მანდედან გაკელის ქალღიმილი მოვიდოდა, ძალიან თურმე კარგად იყო და სოლოვიოვიც დაპირებული ყოფილა ნებართვა მალე მიეცათ. მაგრამ შემდეგ კი, როდესაც იმის ქალღიმილი მიუღია, სულ გამოცვლილა... და ბოლოს უთქვამს, რომ მინისტრს არა სურს ამ წელს გაზეთის ნება მისცეს ვისმე“.

ძმის პაუხი მძიმე იყო მანაბლისთვის, რადგან გაზეთზე იგი დიდ იმედებს ამყარებდა. ეს იყო ერთადერთი ძარღვი, რომლითაც მანაბელი კვლავ საზოგადოებრივი მოღვაწეობის ცენტრში აღმოჩნდებოდა!..

ვასილ მანაბელი ჭკვიანი კაცი იყო. იგი მიხედა, რომ ფინანსთა მინისტრისგანაც არაფერი გამოდნებოდა, სამინისტროს იმ საშინელ ბიუროკრატიულ აპარატს ვერაფერი შესცვლიდა. ამიტომ ბანკის თაობაზედაც უიმედობა მოსწერა ძმას, ოღონდ პირველად უფრო ფრთხილად შეაპარა: „...პო, კიდევ რა უნდა მეთქვა, თუნდა კიდევ რომ დაარღვიონ კრების გადაწყვეტილება, ვანო, შენ ბანკში, ჩემის აზრით, დიდხანს არ გეღვამება; ამისათვის ახლავე რო შეუდგე ადგილის შოვნას და სარაჯოვს როგორმე ან შენ და ან დაახლოვებული პირით რომ მოელაპარაკო, ურიგო არ იქნება. შენი ჭირიმე, ვანო, ეს რჩევა მეგობრულად მიიღე და ნუ გეგონება, რომ მე იმედი არა მქონდეს ჩვენი საქმისა საკრედიტო კანცელარიაში“... ხოლო მეორე წერილში, რომელიც 10 აპრილით არის დათარიღებული, პირდაპირ გამოუტყდება, ბანკის საქმე ნამდვილად ცუდად არისო...

თითქოს მოელოდა კიდევ ამ ცნობას მანაბელი, დიდად არ

უმოქმედია მასზე. საბოლოოდ ჩაიქნია ხელი ბანკზე, თუმცა მთელი აპრილისა და მაისის ბოლომდეც ისევ და ისევ მოდიოდა ორბელიანის იმედიანი დეპეშები:

«Постановления чрезвычайного собрания отменяются безусловно»... «Горжествую нравственным удовлетворением»... «Дело скоро разрешается конце недели сообщат правлению об отмене постановления чрезвычайного собрания это безповоротно»...

მაგრამ ორბელიანის ამ ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს მაჩაბლისათვის უკვე აზრი აღარა აქვს. ომი დამთავრდა და იგი ახლა სინანულით გადახედავს ხოლმე განელილ წლებს.

რ. ღა ზ. — 88

*...ღამე მშვიდობის, ხვალ სამგზავროდ აღრიან აედგეთ.
იულიუს კეისარი.*

*აგერ ფურცელი გადაკეცილი; სჩანს აქამდე წამიკითხია,
სანთელი როგორ ცუდად ბეუტავს!..
იულიუს კეისარი.*

ერთბაშად წამოიშალა შავი ღრუბლები, დასაველეთიდან დაიძრა და მთელს ცას მოედო. დაიჭექა, ელვამ ღრუბელი გააპო, სადღაც მუხი გავარდა, წამოვიდა საშინელი სეტყვა, ჩამობნელდა...

მაჩაბელმა თვალები გაახილა და საღამოს ბინდბუნდში ძლივს გაარჩია იქვე დივანზე მიძინებული ტასო. თავის წამოწევა სცადა, მაგრამ ვერ მოახერხა. ნერწყვი გაშრობოდა და პირში სიმწარესა გრძნობდა, ოფლში ცურავდა. საბნიდან ხელი გამოჰყო, მაგრამ წყალს ვერ მისწვდა, პატარა მაგიდა მოშორებით გადაედგა ტასოს. სეტყვის კაკუნი სახურავზე თანდათანობით მიწყნარდა და ერთბაშად კოკისპირული წვიმა დაუშვა. ცა ფეხად ჩამოდიოდა. ელვამ წამით ოთახი გაანათა და მაჩაბელს თვალში მოხვდა ცოლის შეჭადარავებული თმა. უსიამოვნოდ გააჟრჟოლა. გაახსენდა, რომ ამ ორი დღის წინ დიდხანს ისინჯავდა ტასო სარკეში თმას და მერე მძიმედ ამოიოხრა...

ახლაც მძიმედ სუნთქავს ტასო. დივნის კუთხეში მიყუჩულა და

ჩასძინებია. მაჩაბელი მის სახეს ვერ არჩევს ამ ბინდბუნდში, მაგრამ თითქოს ნათლად ხედავს უძილობით გატანჯულ, გადატეტკილ სახეს. უნდოდა გამოეთვალა, რამდენი ღამე არ უძინია ტასოს, მაგრამ აერია, ფიქრს ევლარ მიჰყვა.

„ეს არის, მაჩაბელო, შეპირებული ბედნიერება?! — ეკითხება იგი თავისთავს, — ამ ექვსი წლის განმავლობაში სიმწრისა და ტანჯვის მეტი აბა რა აგემე შენს ახალგაზრდა ცოლს? რად დაურღვიე ბედნიერება? რა ბოროტი სულივით მოევილინე! გააკყოლოდა იმ პოლკოვნიკს, მდიდრულად აცხოვრებდა, ნამდვილ ბედნიერებას მიანიჭებდა, ამდენ შფოთსა და მღელვარებას არ გამოატარებდა... კაცი მართო თავისთავზე ხომ არ უნდა ფიქრობდე, სხვისა ბედნიერებაც უნდა გახსოვდეს!..“

ტასო შეიშშუშნა, იქნებ ქმრის ფიქრებმა გამოაფხიზლეს ან მოუსვენარმა სიზმარმა!

სადღაც ახლოს გაეარდა მეხი. დამფრთხალი ტასო ზეზე წამოიჭრა და ქმრის საწოლთან მიეარდა, სახე ახლოს მიიტანა.

— ხომ არაფერი გინდა, ჩემო სიცოცხლე? რამდენხანს მძინებია! რად არ გამაღვიძე? ღამაცა, ღამაა აუანთო, ალბათ წამალიც დაგიგვიანდა...

ღამის ანთება ქმარმა არ დაანება. ქალმა პატარა მაგიდა ლოგინისკენ მისწია და წამლის შუშა აიღო, დაანჯღრია, ხელის ცეცებით კოვზი მოძებნა და ფრთხილად მიუტანა ქმარს პირთან. მაჩაბელმა მოსვა და ერთბაშად ააძიგძიგა, ამოიგმინა.

— აკი ტკბილიაო, გენაცვალე!

— ტკბილია. და იმიტომაც არ მსიამოვნებს. მწარეს უფრო ავიტანდი... — კვლავ წამოწევა სცადა, მაგრამ ღონე არ ეყო, — შეჩვეული ვარ სიმწარეს!..

— შენ რომ ასეთი ლაპარაკი არ გიყვარდა, ვანო!.. დამშვიდდი, გენაცვალე, ნუ აღელდები. კიდევ რამდენიმე დღე და სიცხე დაგიქრება, სოფელში წავალთ, ხომ გიყვარს ფცის ხეივნებში სიარული! დაისვენებ, გამოჯანმრთელდები, კარგად გახდები, ჩვეული ენერჯია დაგიბრუნდება, ხომ იცი, რამდენი საქმე გელოდება... — თითქოს გაზეპირებულ სიტყვებს სხვისი ხმით ლაპარაკობდეს ცოლი. მაგრამ მაჩაბელს არ ესმის.

— ტასო!

არც ცოლს გაუგონია სუსტი ხმით წარმოთქმული მისი სახელი.

— ტასო, — გაიმეორა მაჩაბელმა და წამოიწია, მაგრამ ისევ

დაუვარდა თავი ბალიშზე. ცოლმა ბალიში გაუსწორა.

— ისეთი ცხელი აღარა გაქვს შუბლი, ახლა ნაკლები გექნება სიცხე, მალე მორჩები, გამოჯანსაღდები, ისეთივე ენერგიული გახდები...

— ტასო!..

— რა იყო, გენაცვალე?

— შენ ჩემთან უბედური ხარ... ღმერთმა იცის, ბედნიერება მინდოდა შენთვის და არ გამოვიდა... ჯერ ისევ ყმაწვილი ქალი უკვე გათეთრდი... ვერ შეგიქმენი ბედნიერება...

ელვამ ერთი წამით ტასოს სევდიანი სახე და ცრემლმორეული თვალები გაანათა. მაჩაბელმა ძალ-ღონე მოიკრიბა და ნერწყვის გადაყლაპვა სცადა, მაგრამ პირი გამშრალი ჰქონდა...

— ვერ მოვახერხე... — წამოახველა. ტასომ წყალი მიაშველა.

— ვერ მოვახერხე, შენთვის ბედნიერება... — ისევ წამოახველა.

ცოლმა წყალი მიაშველა და სახეზე ოფლი მოსწმინდა.

— ეხლა თუ გადაერჩი, უნდა გაგშორდე, გაგეცალო... ვგრძნობ, რომ ჩემს ხელში ვერასოდეს ვერ ეწევი ბედნიერებას... ვერ გაიხარებ... მე უბედური კაცი ვარ. არასოდეს ის არ გამოძდის, რაც მინდა... ყველაფერი უკუღმა ხდება, ჩემი სურვილის წინააღმდეგ... ვინც გულით მიყვარდა და თაყვანსა ვცემდი, მტრად გადავიკიდე... საცა მივედი, ყველგან ფრთები შემეკვეცა... თითქოს ზედმეტი ვარ ამქვეყნად...

ღაწევებზე უცებ სისველე იგრძნო მაჩაბელმა. ქალი ტიროდა. აცახცახებული ხელის ცეცებით ტასოს ხელი მოძებნა, ტუჩებთან მიიტანა და ეამბორა. მერე ცეცებითვე წაიღო თავისი ხელი და ქალს ცრემლით დანამულ თვალებზე გადაუსვა.

— მინდოდა...

— ნუ, ნულარ ლაპარაკობ, გენაცვალე! შენთვის ამდენი ლაპარაკი არ შეიძლება. დამშვიდდი, ბედნიერება ჯერ წინ არის, რატომ ღელავ?! მალე მორჩები, გამოჯანსაღდები, ძველი ენერგია დაგიბრუნდება...

მაჩაბელს უნდა შეაჩეროს ცოლი, რამე თქვას, მაგრამ ხმა აღარ მოსდევს, თითქოს ენა დაება, შუბლში ერთბაშად ტკივილი მოაწვა, სახის კუნთები დაეჭიმა და მასაც ცრემლები გადმოსცვივდა...

თითქმის მთელი თვეა, სიკვდილს ებრძვის მაჩაბელი. სოფელში გაცივდა და ერთბაშად დიდი სიცხე მისცა. უბრალო გაცივება ვგონა, ყურადღება არ მიაქცია. საერთოდ არ იცოდა ხოლმე ავადმყოფობა, გათამამებული იყო. სიცხიანი წამოვიდა სოფლიდან და სახლში რომ მოვიდა, ლოგინთან ძლივს მიასწრო. უგრძობლად დაეცა. ტემპერატურა ორმოცზე მეტი აქონდა. ეტყობოდა, სერიოზულად იყო საჭმე და მაშინვე მოიწვიეს იმ დროის განთქმული ექიმი გვგე მაღალაშვილი, რომელთანაც მაჩაბელს პირადი მეგობრობა აკავშირებდა, შორეული ნათესაეიც იყო მისი.

სიცხე დიდხანს არ დაუქრა. მაჩაბლის ჯანმრთელი ორგანიზმი შეუპოვრად ებრძვის იმ დროისათვის მეტად საშიშ და თითქმის განუკურნებელ ავადმყოფობას — ფილტვების მწვავე ანთებას. გვგე მაღალაშვილი ყოველდღე მოდის; ეს ბუნებით მხიარული კაცი, ახლა შუბლშეჭმუხვნილია, ერთხელაც არ გაიღიმებს... ტასო ღამეებს უთენებს ქმარს. გახდა, უძილობისაგან გაფითრდა. შიშით შეკყურებს ქმრის ჩამომხმარ სახეს და ექიმის დაბლვერილ შუბლს. ყურში ეკალივით ესობა ვანოს გახშირებული, მძიმე სუნთქვა...

მეთხუთმეტე დღეს ექიმს პირველად გაეხსნა შუბლი. ავადმყოფის მდგომარეობა გაუმჯობესდა. თანდათანობით უკეთესობისაკენ წავა საჭმე; ოღონდ საშიშია, ახლა არ გაცივდეს, არ შეაბრუნოს... რამდენიმე დღეში სიცხე თითქმის გამოუნელდა, ხალისი დაუბრუნდა, მადაც გაეხსნა. ადგომა მოინდომა, მაგრამ ექიმმა ნება არ მისცა — ზედიზედ რამდენიმე დღეს ნორმალური უნდა აქონდეს ტემპერატურა და მხოლოდ შემდეგ შეიძლება ცოტ-ცოტა ხნით წამოდგომა.

მაგრამ მაჩაბელმა ლოგინდან ადგომა ვერ მოასწრო, შეაბრუნა, ერთბაშად აუეარდა სიცხე და აღარც დამქარაღა.

კვლავ მძიმე და ხშირი სუნთქვა, გამოუნელებელი ოფლი, მშრალი და მწარე პირი, უმადობა, უხალისობა, და ახლა უკვე ბეჭებში ჩხელეტა და მწვავე ტკივილი...

კვლავ ექიმის დაბლვერილი შუბლი და გაუცინარი სახე!..

კვლავ ტასოს უძილობა, ავადმყოფის სასთუმალთან ღამეების თენება და მხოლოდ ნაშუადღევს რამდენიმე საათით ავადმყოფისავე ოთახში დივანზე მიძინება...

უიმედო, დეპრესიულმა განწყობილებამ მოიცვა მაჩაბელი. ასეთი გრძნობა მას თავის დღეში არა აქონია. ეჭვიანი გახდა. ხედება,

რომ ექიმის გამამხნეველები სიტყვები მოჩვენებითა, ღიმილი — ნაძალადევი. ერთხელაც არ იკითხავს თავისი ჯანმრთელობის ამბავს, მაგრამ სმენა ყოველთვის გამახვილებული აქვს, როცა მაღალაშეილი მეორე ოთახში ტასოს დარიგებას აძლევს, თუ როგორ მოუაროს აეადმყოფს. დააყურადებს ხოლმე, ცდილობს გაიგოს, ნამდვილად უნუგემოა მისი მდგომარეობა, თუ კიდევ არის გადარჩენის იმედი. ისიც ეჩვენება, თითქოს ტასოს ზედმეტად აწუხებდეს, თითქოს ქალი რაღაცას ნანობდეს, ნერვიულობდეს. ფიქრობს, რომ მან ბედნიერება ვერ მიანიჭა თავის ახალგაზრდა ცოლს და აჯობებს, რომ გაათავისუფლოს, გაშორდეს... რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ გადარჩა!.. თითქოს აღარაფრის ხალისი არა აქვს, მაგრამ მაინც ყურადღებით აკვირდება ყველაფერს, ცდილობს არაფერი გამოეპაროს, არაფერი დაუძალონ. აგერ ახლაც, მეორე ოთახში დიდხანს ჩურჩულებენ ტასო და მისი უმცროსი და. ნეტა რა ამბავია, — ფიქრობს მაჩაბელი, — ცოტა ხნის წინ ფოსტალიონმა დარეკა... მერე ბაბომ ტასო გაიხზო მეორე ოთახში და რაღაცას ჩურჩულებენ.

— ტასო!.. — ნერვიულად გასძახებს მაჩაბელი და ტკივილისაგან სახე დაემანჭება.

— ტასო, — მიმართავს იგი ოთახში შემოსულ ცოლს, — რას მიმაღავეთ, რა მოიტანა ფოსტალიონმა?..

ტასო უარის თქმას დააბირებს, მაგრამ ბაბოს აშკარად შეეცყობა, რომ რაღაცის დამალვას ცდილობენ. იძულებული არიან წერილი შემოიტანონ და წაუკითხონ.

«Его Сиятельству Князю Ивану Георгиевичу Мачабели, — კითხულობს ტასო. ბაბო შიშით შეკყურებს სიძეს, — По докладу Господину Министру финансов ходатайства Вашего по предмету отмены постановлений чрезвычайного общего собрания членов Тифлисского Дворянского Земельного Банка 19-21 июня 1896 года, а также доставленных Правлением Банка по требованию Министерства финансов, по поводу однородных ходатайств, объяснений Его Превосходительство не признал возможным сделать какая либо распоряжения по означенному ходатайству Вашему,

* საქართველოს ცენტრალურ არქივში დაცულია ჟანდარმერიის დაკითხვის ოქმები, საიდანაც აშკარად ჩანს, რომ მაჩაბელს ასეთი საუბარი კიონია შეუღლებულთან. ამასვე ადასტურებს ზოიგიერთი მომხსრე პირის მოგონებაც.

ო чем Особенная Канцелярия по Кредитной части и имеет честь поставить Вас, Милостивый Государь, в известности.

Начальник отдела...

მწარედ ეცინება მაჩაბელს. მას აგონდება კოლა ორბელიანის დეპეშა, რომელიც ხუთიოდე დღის წინ მიიღო; საქმე კარგად არის, ერთ კვირაში ბანკის მმართველობას მინისტრის განკარგულება მოუვა საგანგებო კრების გადაწყვეტილების გაუქმების შესახებო, იტყობინებოდა ორბელიანი. საკვირველი ის არის, რომ არც ის დეპეშა გახარებია დიდად მაჩაბელს და ახლა არც ამ წერილს დაულონებია. ბრძოლა უკვე კარგა ხანია დამთავრდა და მაჩაბელი არც დამარცხებულად გრძნობდა თავს, არც გამარჯვებულად, მას მხოლოდ სინანული აწუხებს იმ უქმად დაკარგული წლების გამო...

აუადმყოფის მდგომარეობა თანდათან რთულდება. საქმე იქამდე მივიდა, რომ უკვე სუნთქვა უჭირს, თითქოს რაღაცა ახრჩობს. მდგომარეობა სერიოზულია და ამას მაშინვე იგრძნობს მაჩაბელი, როცა მაღალაშვილთან ერთად კიდევ სხვა ექიმიც მოვა...

მიახლოებითი დიაგნოზი — ჩირქოვანი პლევრიტი, მკურნალობა — დაუყოვნებლივი ოპერაცია, ნეკნის ამოღება და გულ-მკერდის ღრუში დაგროვილი ბაქტერიების ფილტვის საშუალებით გზის გახსნა...

დაინიშნა ოპერაციის დღეც — 19 ივნისი. ცოტა არ იყოს, ცხელა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არის...

გამოცდილმა სამხედრო ქირურგმა ვოინომ უჩვეულო სიმარღით გაუკეთა ოპერაცია. დაიწყო სრულ ათ საათზე და თერთმეტის ათ-თორმეტ წუთზე ყველაფერი დამთავრებული იყო. ამ ჯოჯოხეთური ტკივილების დროს ვანოს ერთხელაც არ დაუკენესია. ვოინო გაკვირვებით გადმოხედავს ხოლმე ექიმებს — მაღალაშვილს, მაისურიანცს და გედევანიშვილს, რომლებიც ოპერაციას ესწრებიან და ქირურგსა შევლიან. „საოცარია“, ამბობენ მისი თვალები.

У князя Мачабели какой-то особенный организм, — еубнеба იგი ტასოს ოპერაციის შემდეგ, — он соткан из нервов.

დიაგნოზი სწორი აღმოჩნდა, ექიმების ვარაუდი გამართლდა, აუადმყოფმა ერთბაშად შეება იგრძნო, სუნთქვა აღარ უჭირს, მადა დაუბრუნდა, გახალისდა, გამხიარულდა. ოპერაციის შემდეგ ერთ თვეში უკვე ფეხზე დადგა, თუმცა სისუსტე ისევ აწუხებდა და ჭრილობიდანაც სდიოდა ჩირქი.

საერთო სისუსტე დიდხანს გაგრძელდა. მაჩაბელს სიარული უჭირს. ეს ბუნებით მარდი კაცი იძულებულია ნელა იაროს, ნელა ილაპარაკოს, არ აღელდეს... თუმცა ამ მესამე პირობას ძნელად იცავს და ექიმის გაკიცხვაზე ელიმება ხოლმე, შექსპირის სიტყვები აგონდება — „...უთხარ მღელვარე ზღვას, რომ დაცხრეს; უბრძანე მთის მწვერვალზე გადაშლილ, ქარიშხალით აბორგებულ ნაძვებს, ნუ ირხევიან და ნუ შრიალებენ...“

შექსპირი ერთხელ კიდევ გადაიკითხა თავიდან ბოლომდე და ახლა უკვე მტკიცედ გადაწყვიტა, ყველაფერი თარგმნოს ქართულად, ამ დიდი მწერლის ყველა პიესა. ეს, რა თქმა უნდა, ძნელია ასეთი ავადყოფისათვის, მაგრამ უსაქმოდ გაჩერება არ შეუძლია. ახლაც ზის თავის ოთახში, ხელში კალამი უჭირავს და რაღაცას წერს, მაგრამ გვერდზე გადახრილა, ხშირად დაიდებს ხოლმე ნაჭრილობებზე ხელს, მალე იღლება, სუნთქვა გაუხშირდება, თავბრუ ესხმის... და გული მოსდის მაჩაბელს, უკმაყოფილოა ახლანდელი ნამუშევრით, გრძნობს, რომ ისეთი მადლი აღარა აქვს მის ახალ თარგმანს. მაინც არ ეშვება. „დიდი ხანია კალამი არ ამიღია ხელში და ალბათ გადავეჩვიე“, ასე ფიქრობს, „შემდეგს პიესას უფრო კარგად ეთარგმნი“...

ბაღში ბავშვები თამაშობენ, ისმის მათი ჟრიაბული, დამამშვიდებლად მოქმედებს მათი ხმა მაჩაბელზე. უცებ ხმაური შეწყდა და ბავშვების აჩქარებული ფეხის ხმა მოახლოვდა.

— მამი, მამი, — პირველი შევარდა ოთახში მაჩაბლის პატარა ბიჭი და სულმოუთქმელად მიაყარა რაღაც სიტყვები. — ბანკობანას ეთამაშობთ და ვანო და მიშუტკა იძახიან, ჩვენც მაჩაბლისტობა გვინდაო. ვიღას უნდა ევომოთ?!

მაჩაბელმა ვერაფერი გაუგო შვილის სხაპასხუპით წარმოთქმულ სიტყვებს. სხვა ბავშვებიც შეიწვია ოთახში, პატარა ელა მუხლებზე დაისვა, მარიამ დემურიას მკვირცხლთვალებიან ბიჭებს თავზე ხელი გადაუსვა, მიუალერსა და ასეთი აღელვების მიზეზი ჰკითხა ბავშვებს.

საქმე მართლაც ძნელი გასარიგებელი აღმოჩნდა. ბავშვებს გადაუნწყვეტიათ ბანკობანა ითამაშონ, მაგრამ არაფრით არ მოხერხდა პარტიებად განაწილება. მაჩაბლის ბავშვებს ხომ ნამდვილად აქვთ უფლება მაჩაბლისტები იყენენ, მაგრამ დემურიას პატარა ბიჭებსაც მაჩაბლისტობა მოუნდომებიათ, ძალიან უყვართ ძია ვანო, არა სურთ

უღალატონ. ერთი წუთით მოიღრუბლება მაჩაბელი, მაგრამ ისევ მალე გაიღიმებს.

— ბანკობანა რად გინდათ, უსიამოვნო თამაშია, — ეტყვის იგი ბავშვებს, — ისა სჯობია, ჯარებად დაიყოთ და ალა-მაკმად-ხანს ეომოთ. აკი გაიბზეთ, რა საშინელი მტერი იყო საქართველოსთვის ალა-მაკმად-ხანი; კენჭი უნდა პყაროთ და ხან ერთი მხარე იქნებით მტრის ლაშქარი, ხან მეორე, გული აღარ დაგწყდებათ.

ბავშვებს მოეწონათ ახალი იდეა და მხიარულად გაეარდნენ გარეთ.

„აი სადამდე მისულა საქმე!“ — ნაღელიანად ფიქრობს მაჩაბელი და, პატარა ბიჭების თავგამოდებულ მაჩაბლისტობას რომ გაიხსენებს, გაეღიმება...

ღემურიას პატარა ბიჭები რამდენიმე დღის შემდეგ, სხუათა შორის, „მტრის“ ბანაკშიაც მოხვდნენ. მარიამ ღემურია ილია ჭავჭავაძეს ესტუმრა შეილებით. ილიას ძალიან მოეწონა მკვირცხლთვალა ბიჭები, მოეფერა და კანფეტები გამოუტანა. ბავშვებმა ზრდილობიანად ჩამოართვეს და მადლობა გადაუხადეს.

— ეპ, თქვენ რომ იცოდეთ, ბატონო ილია, ამ ბიჭების ამბავი, საჩუქარს კი არა, სახლშიაც არ შემოუშეებდით. ესენი ხომ მაჩაბლისტები არიან! — ხუმრობით უთხრა მარიამ ღემურიამ ილიას.

— მაჩაბლისტები არიან?! — თითქოს დიდის შემფოთებით იკითხა ილიამ, — მაჩაბლისტები ხარ? — მიმართა მან ბავშვებს.

— მაჩაბლისტები ვართ! — მთელი სერიოზულობით და მოურიდელობით უპასუხეს ბიჭებმა.

— არა უშავს, მე მაგათ ისეთ რამეს ვაჩუქებ, რომ ჭავჭავაძისტები გახდებიან.

ბიჭები შეთანხმებულებივით წამოდგნენ და კანფეტები მაგიდაზე დააწყეს ცივად. ილიას გულიანად გაეცინა.

— ესენი მაჩაბელივით პრინციპის ხალხი ყოფილა! არა უშავს, იყვნენ მაჩაბლისტები, ასეთი მტკიცე ხალხი მიყვარს და პატივსაცემ, — ილიამ ბიჭებს მოუაღერსა, მერე თავისი დიდი წიგნი გამოუტანა და დააწერა, — „ჩემს მტრებს — პატარა მაჩაბლისტებს. ძია ილია ჭავჭავაძე“...

მეტისმეტად ნელა მიმდინარეობს მანაბლის გამოჯანმრთელების საქმე და „კორიოლანოსის“ თარგმნაც ასევე მძიმედ და უგემურად მიდის. აშკარად ჩანს, რომ მუშაობა არ შეუძლია, მაგრამ თავს ძალას ატანს. მთელი ზამთარი თითქმის სახლში იყო გამოკეტილი, გაციებისა ეშინოდა და გარეთ ვერ გამოდიოდა. როცა გაზაფხულდა და ცოტათი დათბა, მხოლოდ მაშინ გაბედა გარეთ გამოსვლა. თავის შავ პლედს მოისხამს და ბაღში დადის ბავშვებთან ერთად. ფიქრობს ბაღში პატარა აუზის მოწყობას, ახალი მცენარეების ჩაყრას. დიდი სიხარული იგრძნო, როცა ახალგაზრდა მეგობრის თედო სახოკიას საჩუქარი მიიღო სუხუმიდან — სხვადასხვა ჯიშის მცენარეთა ნერგები.

მანაბელი მადლობას უხდის თედო სახოკიას საჩუქრისათვის და თან გულისტკივილით აცნობებს აკაკი წერეთლის ავადმყოფობის ამბავს: „შეიტყობდით აკაკის ავადმყოფობას. ქუთაისშია, თოფურიას საავადმყოფოში და აწუხებს თურმე ძალიან გულის ავადმყოფობა — *грудная жаба*. ეხლა უკეთ არის. ჩვენებმა მრავალი მოკითხვა გიძღვნეს. პატარები ძალიან გიმაღლიან ხეების გამოგზავნისათვის. თქვენი მარად ერთგული ი. მანაბელი.“

აკაკი წერეთლის ავადმყოფობამ ძალიან შეაწუხა მანაბელი. წინა თვეებში თბილისში იყო აკაკი და თითქმის სულ ერთად ატარებდნენ ღროს, ვანოს დიდ სიამოვნებას ჰპვირიდა მისი სტუმრობა. მიუსხდებოდნენ ხოლმე ბუხარს, კამათელს აგორებდნენ, ტკბილად საუბრობდნენ და ცოტათი იმსუბუქებდნენ ცხოვრების სიმძიმეს და ავადმყოფობის ტკივილებს. უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებით დაუახლოვდა მანაბელი აკაკი წერეთელს; მასთან შეხვედრა და საუბარი მუდამ ენატრებოდა და ახლა მეგობრის მძიმე ავადმყოფობა რომ გაიგო, შეწუხდა, დაღონდა, მოსვენება დაჰკარგა. დეპეშა გაუგზავნა იმ საავადმყოფოს პატრონს, რომელშიაც პოეტი მკურნალობდა, სთხოვდა აკაკის ჯანმრთელობის ამბავი მაცნობეთო; პასუხი დაუგვიანეს, და კიდევ უფრო მოუსვენარი შეიქნა. „შენმა ავადმყოფობამ ყველანი საშინლად შეაწუხა და მეტადრე ჩვენ: ისე შეგეჩვიეთ, რომ შენი წასვლის შემდეგ მეორე დღესვე თვალში გვაკლდი და წამდაუწუმ გვიკონებდით. მორჩი და მალე დაგვხედე... მხიარულება აქაც არაფერია, მაგრამ ერთად ყოფნა დიდი ნუგეშია შეწუხებაში“... სწერს მანაბელი მეგობარს იმავე გაზაფხულზე. ეშურება აკაკის ნახვას, რადგან რამდენიმე ხნის შემდეგ აბასთუმანს

უნდა წავიდეს და დიდხანს ვეღარ ნახავს.

აბასთუმანში წასვლას შარშანაც დაბეჯითებით ურჩევდნენ ექიმები, ოპერაციის შემდეგ, მაგრამ ხელმოკლეობის გამო ვერ მოახერხა. ახლა, როგორც იქნა, შეაგროვა საამისო ფული და წასვლის წინ მანაბელი საქმეებს აწესრიგებს. იარაღები აყიდვინა გორის სასოფლო-სამეურნეო სინდიკატისათვის და თავის ცოლისძმას გაუგზავნა, რომელთანაც ერთად იგი სინდიკატს განაგებს. ახლა ცოლისძმას ელოდება, რომ ყოველგვარი საქმეები სინდიკატისა აუხსნას და ჩააბაროს. ბავშვები წინასწარვე გაგზავნეს სოფელში. ტასო უკვე ალაგებს წასაღებ ნივთებს. მანაბელს ხელში დაუჭერია თავისივე თარგმნილი „კორიოლანოსი“ და ვეღარ გადაუწყვეტია — წაიღოს დასაბეჭდად „მოამბის“ რედაქციაში — თუ არა. გული ეთანადრება, გრძნობს, რომ მის წინა თარგმანებს ეს ვერ შეედრება, ტასო ურჩევს, უსათუოდ წაიღეო, — „მუდამ ასე გეშინია ხოლმე, სანამ დაიბეჭდებოდეს, მერე კი ყველას მოსწონს“... ეუბნება იგი ქმარს. და მანაბელიც ხელს ჩაიქნევს — „დაე იყოს ერთი პიესა შედარებით სუსტი, შემდეგ გამოცემებში გაეასწორობ“. მიაქვს რედაქციაში.

უკვე 24 ივნისია და თბილისში საშინლად ცხელა, სუნთქვა სჭირს. მანაბელი ნელა მიდის, გაოფლიანებისა ეშინია. ქუჩაში ნაცნობები ხედებიან და გადარჩენას ულოცავენ. „საოცარია ხალხის საქმე, — ფიქრობს მანაბელი, — უნდათ, რომ უსათუოდ რაღაც გასიამოვნონ და მოგილოცონ. აქამდე ბანკში გამარჯვებას მილოცავენ, ახლა გადარჩენას მილოცავენ“...

რედაქციას აღუთქვა, რომ, აბასთუმნიდან დაბრუნებული, შექსპირის ახალი პიესის თარგმანს ჩამოიტანდა.

რაც უფრო ახლოვდება აბასთუმანში წასვლის დრო, მით უფრო მეტ მღელვარებასა და სიხარულს გრძნობს. რაღაც საოცარი იმედი აქვს ამ ზაფხულისა. სჯერა, რომ ნამდვილად გამოჯანმრთელდება, სჯერა და უხარია. ოთახის დაქირავება უკვე დააეალა აბასთუმანში მომუშავე ექიმს, დღე-დღეზე ელოდება პასუხს და მაშინვე გაემგზავრება კიდეც.

25 ივნისს ბანკიდან სინდიკატის ფული გამოიტანა, 12.000 მანეთი, და მაგიდის უჯრაში შეინახა. ეს ფულიც ცოლისძმას უნდა ჩააბაროს, რომელიც ხვალ თუ ზევ ჩამოვა სოფლიდან. შინ რომ დაბრუნდა,

* ზოგიერთი მკვლევარი სრულიად უსაფუძვლოდ ამტკიცებს, თითქოს ამ ფულის ერთი ნაწილი დაკარგულიყოს. სინამდვილეში, ამ თანხას ერთი კაბიცი არ დაკლებია. მანაბლის ცოლისძმას ის ხელუხლებად დახვდა მაგიდის უჯრაში.

გული სიამით აეესო, ქუთაისიდან ახალჩამოსული აკაკი დახედა. ორი მძიმე ავადმყოფობაგამოვლილი მეგობარი მხიარულად შეხედა ერთმანეთს.

ჯერ ბაღში თამაშობდნენ ნარდს, იქვე ისაუბმეს, როცა შებინდდა, სახლში შევიდნენ და ახლა აქ განაგრძეს თამაში. აცნობენ ერთმანეთს თავიანთ გეგმებს. ეს უმთავრესად მათ ლიტერატურულ მუშაობას შეეხება. აკაკის უხარია, რომ მეგობარს ასე იმედიანსა და მხიარულს ხედავს. ზამთარში უფრო დაღონებული იყო. დიდი გეგმები აქვს მაჩაბელს: „ახლა, აბასთუმანში, თავისუფალი დრო ბევრი ექნება, აპირებს წერილების დაწერას თეატრზე და საერთოდ ხელოვნებაზე, უფრო ნაყოფიერად გააგრძელებს შექსპირის თარგმნას... აკაკი სიტყვას შეაპარებს, დროა საკუთარი ნაწარმოებებიც წერო, და მაჩაბელს ეშმაკურად ელიძება: ეტყობა, თვითონაც ფიქრობს ამას.

ათ საათზე ვახშამი შემოიტანეს. იქვე გაშალეს პატარა სუფრა. მაჩაბელს არ უვახშამია, მხოლოდ მაწონი შეჭამა ცოტა. მერე მეგობრები აივანზე გავიდნენ, ტასო კი საკერაეს მიუჯდა. აივანზე საკმაოდ გრილოდა, მტკერის ნიაყი მოდიოდა, და მაჩაბელმა პლედი მოატანინა. გარეთ უკვე ღამის სიწყნარე გამეფებულიყო, შორიდან კანტიკუნტად ისმოდა ძაღლების ყეფა. ქუჩაში უხალისოდ დააბოტებდა მორიგე პოლიციელი.

— რომელ საათამდე მორიგეობ, ძმობილო? — ჩასძახა მაჩაბელმა. უყვარდა უბრალო ხალხთან გამოლაპარაკება.

— დილის ექვს საათამდე, კნიაზ, — უპასუხა გამოცოცხლებულმა პოლიციელმა და გაქევაებულივით დადგა, ერთ ადგილას გამოჭიმული, კიდევ ელოდა გამოლაპარაკებას, მაგრამ რაკი აღარაფერი უთხრეს, უკმაყოფილოდ განაგრძო გაღიაში გამომწყვდეული დათვივით ბაჯბაჯი...

ოთახში შემობრუნდნენ და ისევ ნარდი გააჩაღეს. მაჩაბელმა ერთბაშად დაქანცულობა იგრძნო, სტუმარს ბოდიში მოუხადა, ღამე მშვიდობისა უსურვა და თავის ოთახში გავიდა. ნარდის თამაში ტასომ და აკაკიმ გააგრძელეს.

რამდენიმე ხანს კიდევ ისმოდა კამათლების ჩხრიალი და მერე მიწყნარდა. ეტყობა, აკაკი თავის ოთახში გავიდა დასაძინებლად. მერე ერთ ხანს ტასოს ოთახიდან საკერაევი მანქანის ხმა გამოლიოდა, ბოლოს ისიც მიწყნარდა. ბაღიდან ჭრიჭინობელის გაბმული ჭრიჭინი ისმის. შორიდან მტკერის ნიაყს ძაღლების კანტიკუნტი ყეფა მოაქვს. კარგა ხნის შემდეგ დაგვიანებულმა ეტლმა ჩაიარა. დიდხანს ისმოდა

მისი ბორბლების ყრუ გრუხუნე. ისიც მიწყნარდა. ბუნება მოიცვა დიადმა ღამის სიწყნარემ...

აგერ შუალაშემ მოაღწია და მაჩაბელს მაინც არ ეძინება, ლოგინში ბორგავს, ტრიალებს... თითქმის მთელი დღე არ დაუსვენია, საშინლად დაიქანცა, მაგრამ ძილი მაინც არ ეკარება. ზოგჯერ ასე იცის ხოლმე, ზედმეტად რომ გადაიქანცები, ძილი გაგიტყდება. გააყურებს ჩაბნელებული ფანჯრიდან ზეცას და ვარსკვლავთა ციმციმს აკვირდება... ეინ იცის, იქნებ ერთ-ერთ იმ ვარსკვლავზე, ამგვარსავე სახლში, წევს მეორე მაჩაბელი და ძილგატეხილს ასეთივე მოუსვენარი ფიქრები აწუხებენ!..“ ბევრი რამ ხდება, ჰორაციო, ცათა და ქვეყნად“... აგონდება ჰამლეტის სიტყვები. მერე უცებ თავისივე ლექსი გაახსენდა, ახალგაზრდობაში დაწერილი, და გაელიმა.

იქნება იყოს იმიხთანა ვარსკვლავი ცაზედ,
რომლისა ბედი ამ მიწის ბედს არ ერჩოდეს,
იქნება ახლა ჩემებრ კაცი ცხოვრობდეს მასზედ
და რასაც ვფიქრობ ეხლა, ისიც იმას ფიქრობდეს...

ამ ლექსმა სამშობლოში დაბრუნება მოაგონა, პირველი მოღვაწეობის დღეები, „ივერია“, „დროება“...

ლოგინიდან წამოდგა და მაგიდასთან მივიდა. სანთელი აანთო, ფანჯარა უფრო ფართოდ გამოაღო. სკამზე ჩამოჯდა. ფანჯარასთან აღმართულ ნაძვის ხის ტოტს ნაზად არხევს ნიავე. მაგიდაზე უწესრიგოდ მიმოხეულ ქაღალდებს გადახედა მაჩაბელმა. სწორედ დღეს არჩედა აბასთუმანში წასაღებ ხელნაწერებსა და წიგნებს.. უცებ თვალში მოხვდა „ანტონიოს და კლეოპატრას“ ხელნაწერი. აიღო და პირველსავე გვერდზე ამ რამდენიმე წლის წინათ ფანქრით მკრთალი მინაწერი წაიკითხა — „რ. და ჯ. — 88 გვერდი“...

„რ. და ჯ. — 88“, ჩუმად ჩაილაპარაკა მაჩაბელმა. მოაგონდა, როდის დაწერა მან ეს. რამდენი ხანია ფიქრობს „რომეო და ჯულიეტას“ თარგმნას, მაგრამ დღემდე ვერ მოუხერხებია. ეს პიესა სანეტარო მოგონებებს უკავშირდება, მის გულში ყველაზე ფაქიზ სიმებს აჟღერებს. „მაშ რომ გითარგმნოთ, სიყვარულით ითამაშებთ?“ — „მთელის გატაცებით!“ — „მით უფრო, რომ ჩემი თარგმანი იქნება, არა?“ — „მით უფრო, რომ თქვენი თარგმანი იქნება!..“ თითქოს ახლაც ყურში ჩაესმის. მაჩაბლის გაყვითლებულ სახეს ვარდისფერი გადაურბენს, სუნთქვა გაუხშირდება, გული აუჩქროლდება. „შიედ

წელიწადში ერთხელ მოგივლის ხოლმე სიყვარული!“ „შეიდ წელიწადში ერთხელ მაინც გამეხსნას ცა. ერთი ზღაპრისა არ იყოს!..“

რა ჩქარა გაირბინა დრომ! რა ეფემერული ყოფილა ბედნიერება!.. მაჩაბელი შექსპირის ტომს გადმოიღებს, უნდა ახლავე დაიწყოს ამ ტრაგედიის თარგმნა, რომელიც მის ახალგაზრდობას, ბედნიერების წლებს, სპეტაკ და გულუბრყვილო ოცნებებს, პირველ მარცხიან სიყვარულს უკავშირდება... ახლავე, პირველ რიგში უნდა თარგმნოს მან ეს ტრაგედია... ათრთოლებული ხელებით გადაშლის წიგნს, კალმისტარს მოიმარჯვებს, მოემზადება... „Two households, both alike in dignity... from ancient grudge break to new mutiny“... კითხულობს მაჩაბელი, მაგრამ ზედმეტად აგზნებულია და კალამი აღარ ემორჩილება, ხელი უკანკალებს. აგონდება პეტერბურგიდან სამშობლოში დაბრუნება. პირველი შეხვედრა საფაროვის ქალთან. მაშინ სულ ახალგაზრდა იყო, ენერგიითა და ჯან-ღონით საესე. რა გულუბრყვილო იყო!.. სამშობლოსა და ქალის სიყვარული ერთმანეთს დაუპირისპირა!.. მაშინ, როდესაც ამ ორ გრძნობას ერთმანეთი უნდა შეეეხო; ერთი მეორეს ლაზათსა და ხალისს შემატებდა!.. სრულებით ახალგაზრდა იყო მაშინ მაჩაბელი, გამოუცდელი, გულუბრყვილო!.. რამდენი რამ შეიძლებოდა უკეთ წარმართულიყო! ნეტა ახლა მისცა ის ენერგია, უფრო ბრძნულად მოახმარდა მამულს, მშობელ ხალხს! მაჩაბელს აგონდება სერგეი მესხთან გამოთხოვება. მაშინ ის და ყაზბეგი ერთად ისხდნენ და სამშობლოს კეთილდღეობაზე საუბრობდნენ!.. რა უდროოდ მოხუცდა და დაიღუპა სერგეი მესხი!.. რა უბედურად დაასრულა სიცოცხლე ყაზბეგმა!.. მაჩაბელს თავი დაუშპიმდა, გონება დაებინდა... გაჭირვებით წამოდგა და ძლივს მილასლასდა ლოვინთან...

* * *

„ნეტა რა დრო იქნება?“ ფიქრობს ბურანში წასული მაჩაბელი, მაგრამ ვერ მოუხერხებია თავი გადასწიოს და სკამზე საათს დახედოს. სანთელიც ანთებული დარჩენია და იმასაც ვეღარ ახერხებს, რომ გადასწედეს და ჩააქროს. თითქოს უხილავი ძალა ბორკავს; სახეზე

* „ორმა ერთნაირად ღირსეულმა გვარმა... ძველი მტრობა კვლავ განაახლა“... — ასე იწყება „რომეო და ჯულიეტა“.

აღმური ედება, მთელი სხეული უხურს, იწვის. ცეცხლი ეკიდება, თაებრუ ესხმის, პირი გაუშრა, საშინელ წყურვილსა გრძნობს, მაგრამ ვერ ამდგარა და წყალი ვერ დაუღვია!.. თავის წამოწვევას ცდილობს და ვერ ახერხებს. „ნეტა სიზმარში ვარ?“ ფიქრობს ბურანში წასული მანაბელი, მაგრამ ფიქრსაც კი ვერ მიჰყვება ბოლომდე... ნეტა მართლა ხედავს კარებში ვიღაც მწითურ, წოწოლა კაცს, რომელიც ანიშნებს, გამომყვიო, თუ ეჩვენება?.. თავს ძალა დაატანა, თვალები ფართოდ გაახილა... ოთახს ოდნაე ანათებს სანთლის მკრთალი შუქი, ღამის მყუდროებაში გარკვევით ისმის საათის სუსტი წიკწიკი. პატარა პეპელა სანთელს ეთამაშება და მისი უღონო ფრთების ნიავე ოდნაე ატოკებს სანთლის აღს. კარები დაკეტილია, დერეფანში ჩამიჩუმი არ ისმის. ბუნება მოუცავს ღამის ღიად სიწყნარეს...

მოჩვენება ყოფილა!..

მანაბელი ოფელში ცურავს, სახეზე აღმური ედება, სხეულზე თითქოს ცეცხლი ეკიდება... ძალ-ღონე მოიკრიბა და თავი წამოსწია, წამოდგა, სურასთან მივიდა, ცარიელი დახვდა. სული ეხუთება, ღამის დაიხრჩოს! შანდალს მოჰკიდა ხელი და აივანზე გაეარდა, გადაიხვდა... მაგრამ ეს რა მოსდის?! საშინელი შიში იგრძნო, სიბნელისა და უსასრულობის შიში! მთელს სხეულში უსიამოვნო ჟრუნტელმა დაუარა, სახე შეეშალა, ხელი აუცახცახდა...

მის წინ უცებ გაჰქრა სიბნელე და ახლა გარკვევით ხედავს სამყაროს ვეებერთელა სხეულების სრბოლას. ერთბაშად დაირღვა ღამის მყუდროება და სივრცეში მსრბოლი გოლიათი პლანეტების მოძრაობის ყურისწამლები ხმაური ახშობს სმენას... შიშის გრძნობა თანდათან შესცვალა უცნაურმა აღტკინებამ. მანაბელი არაადამიანურ ძალასა გრძნობს, სახეზე აღმური ედება, სხეულს ცეცხლი ეკიდება, თაებრუ ესხმის. თითქოს თვითონაც შეერია ამ გოლიათი ცის სხეულების სრბოლას. სწრაფი ნაბიჯით გამობრუნდა, ისეთი ნაბიჯით, როგორიც მხოლოდ მტკიცე გადაწყვეტილების დროს შეიძლება ჰქონდეს ადამიანს, და თავის ოთახში შეეარდა...

ოთახიდან გამოჭრილი სინათლის მოფარფატე მკრთალი შუქი ერთ ხანს კიდევ ანათებდა ფანჯარასთან მღვარ ნაძვის ხის ტოტებს. მერე თანათან წაერთვა ძალა ამ შუქს, საცოდავად აფარფატდა და ჩაქრა.

ეპილოგი

სად უნდა იყოს ახლა იგი, ნეტა ვიცოდეთ!
ანტონიოსი და კლეოპატრა

თბილისში, მტკერის სანაპიროების გასწვრივ მცხოვრები ხალხი მთელი ორი კვირის განმავლობაში მწუხარებით შესცქერის ერთ შუახნის წვერულვაშიან კაცს, რომელიც გათენებამდე გამოდის მდინარის ნაპირას და შუალამემდე დადის... მუშტაიდის ბალიდან მოყოლებული, ორთაჭალის ბალამდე ჩაეა, გასცდება კიდევ ორთაჭალას, სოღანლულამდე ჩააღწევს და ისევ უკან გამობრუნდება. ხან ერთ ჯგუფს მიადგება დაქირავებული მეთევზეებისას, ხან მეორეს...

მაგრამ ამაოდ.

ზოგჯერ მეთევზეთა და მცურავთა რომელიმე ჯგუფი დამხრჩვალის გეამს ამოათრევს წყლიდან და მაშინვე ამ კაცთან აფრენენ პატარა ბიჭს. ისიც მიეშურება, მივარდება, გეამს გულის ფანცქალით ათვალიერებს, თან ცახცახებს...

მაგრამ ამაოდ...

არც ეს არის.

— იქნებ გეშლებათ, კნიაზ, ვერა სცნობთ... — მიმართავს მეთევზე.
— დამხრჩვალის გეამი ძნელი საცნობია!..

მეთევზემ არ იცის, რომ ეს შეუძლებელია. არ შეიძლება, რომ ამ კაცს შეეშალოს. იგი ყოველ პატარა ნაკეთს, პატარა ნიშანს იცნობს იმისას, ვისაც ეძებს. გულდათუთქული გამობრუნდება და ისევ მდულარე ცრემლების ფრქვევით განაგრძობს ძებნას. ხალხი გრძნობს, რა ცეცხლიც ტრიალებს მის გულში და მწუხარე თანაგრძნობით შეპყურებს... ვინ იცის, რას ფიქრობს ეს კაცი; ძნელი გამოსაცნობია, რა ეპიზოდი აგონდება ახლა იმის ცხოვრებიდან, ვისაც დაეძებს და ვერ უპოვნია, რადგან მის გონებაში, დღეში რამდენჯერმე, ეფემერულის სისწრაფით გაირბენს მთელი ცხოვრება იმ უბედური ადამიანისა... ხანდახან მწარედ იკვნეტს ხოლმე ტუჩებს — ეს სინანულია: იქნებ ისეთი რამ დაუშალა ცხოვრებაში, რასაც ეხლა გულდაწყევტით ნანობს, იქნებ რაიმე გულისწადილი არ შეუსრულა! ზოგჯერაც მის სახეს უწყინარი ღიმილი გადაეფინება და წუთით გაქრება შუბლთან თავმოყრილი ხაზები — ეს ბაეშობის ტკბილი მოგონებაა...

ასე გრძელდება ყოველდღე... ზოგჯერ ამ კაცთან სტუდენტებისა და მოსწავლეების მთელი ჯგუფი მიევა, დახმარებას შესთავაზებს. ახალგაზრდები თვითონვე მოედებიან მტკვარს. მაგრამ ამაოდ...

ქალაქის ქუჩებში ხშირად შეჯგუფდება ხოლმე ხალხი. ახლაც ერთ ჯგუფში ვილაცას გაზეთი გაუშლია და ხმამაღლა კითხულობს — „დღეს უკვე მეშიდე დღეა, რაც ვერ უპოვნიათ თავ. მაჩაბელი. ამდენი ხნის მოუძებნელობის გამო თბილისში ათასი ლეგენდა და მითქმამოთქმა შეითხზა... ყველგან, სადაც კი ტელეგრაფის მათუღია, ღეპეშით აცნობეს, რომ თავ. მაჩაბელი იქნება ვინმემ დაინახა... მტკვარში ეძებენ ორმოცი ვერსის მანძილზე.. გუშინ და გუშინწინ 200 პოლიციელი თუ ცხენებზე, თუ ფეხით პოლიციეისტერის ბრძანებით დაეძებდნენ მთელს ქალაქში და ქალაქის მიდამოს ყველა ხევეებში, ღრეებში, მაგრამ კიდევე ვერას გახდნენ...“ „ყველა თბილისის გარშემო ხევეები, ბაღები დაჩხრიკეს და არაეითარი ნიშანი არა ჩანს... — კითხულობენ მეორე ჯგუფში, — დღეს მერევე დღე არის და კიდევე ვერ გაუგიათ, თუ რა მოუვიდა თავ. მაჩაბელს... გასაკვირვეღია ასეთი ამბავი: კაცი, რომელსაც თითქმის მთელი თბილისი იცნობდა, დაიკარგოს ისე, თითქოს ნემსი იყოს...“

უსაქმური ადამიანები ახლაც არ კარგავენ ხელსაყრელ შემთხვევას და ათასგვარ ჭორებს აერცელებენ... ხალხი გულწრფელად სწუხს...

აგერ, ოღღას ქუჩაზე ფოსტალიონი მიეშურება, ხელში ერთი წერილი უჭირავს და კი არ მიღის, მიაქრის. უცნაური ამბავია, მთელი კვირა გაეღდა იმ უბედურების შემდეგ, და ისევე მაჩაბლის სახელზე მოღის წერილი. იქნებ რა ამბავია! საღარბაზო კარებიდან შესეღას ფოსტალიონი მოერიდება, წილკნის ქუჩაზე შეუხვეეს და უკანა ეზოდან მიაღება სახლს. წერილს მსახურს გადასცემს. თვითონ იქვე კუთხეში მიიყუება. ამბავს ელოდება. მსახური ხალხით სავსე ოთახში შევა. დამწუხრებული ქალი ვინ იღის მერამდენედ უამბობს ამ ცნობისმოყვარე საზოგადოებას ავადმყოფობის ყველა ღეტალს. ქალი უცებ გადაიკითხავს წერილს, ამოიოხრებს, ცრემლები გაღმოსციევა და ქაღალდი ძირს დაუვარდება. ახლობლები წერილს მისციეღებიან და წაიკითხავენ.

„ძმაო ვანო, თქვენი წერილის პასუხი ვამჯობინე გაცნობოთ წერილითვე. მთელს აბასთუმანში სამს აღაგას ენახე ისეთი ოთახი, როგორიც თქვენ გნებაეთ. იღლევიან ოთახს სეზონობით ათი

თუმნიდან თხუთმეტ თუმნამდე. უმოსამსახუროდ და უსამოვროთ. ოთახები მივარდნილ, უკანა ადგილას არიან, უსუფთაო, მოუწყობელი და უმარჯვო... აგტოფსკის დაჩაზე არის ოთახი, მაგრამ ნესტიანი და ბნელი, არ ვარგა, ამისათვის ვამჯობინეთ გასტინიცაში; ბე მიცემული მაქვს, ფაფუკი სავარძელი და სკამი ერთიც არ არის... თქვენი პატივისმცემელი სპირიდონ ვაწაძე. 29 ივნისი, 1989 წ. აბასთუმანი“...

წილკნის ქუჩის მეორე თავში ორსართულიანი სახლი დგას. აქა ცხოვრობს გამოჩენილი ქართველი მსახიობი ქალი. ახლა იგი თავის ოთახში გამოკეტილა, მაგიდას მისჯდომია და ქაღალდებს ათვალიერებს. ეტყობა, მწუხარე მოგონებებთან უნდა იყოს დაკავშირებული ეს ქაღალდები, რადგან ქალი ყოველი ფურცლის აღებაზე მოიღრუბლება, ამოიოხრებს... კითხულობს, მაგრამ თვალეზე მომდგარი ცრემლები ხელს უშლის. ქაღალდის ერთი ფურცელი უფრო დიდხანს გაუჩერდება ქალს ხელში. „აი საკმელას ბალახი, — კი არ კითხულობს, ზეპირად ამბობს ამას ქალი, — ეს ნიშნავს, არ დამივიწყოო. გთხოვ, ჩემო საყვარელო, არ დამივიწყო, აგერ კიდევ ქვეყნისგულა, გულიდამ არ ამომიღოო... აი კამა შენტვის და ღიღილოები... მინდოდა იაც მომეცა, მაგრამ სულერთიანად დაჭკნა...“ ცრემლები და ყელში მოზღვავებული ნალველი ხმას წაართმევენ ქალს. დიდხანს ტირის იგი ჩუმად... „შეიდ წელიწადში ერთხელ მოგივლის ხოლმე სიყვარული“, — ჩურჩულით ამბობს ქალი, — „შეიდ წელიწადში ერთხელაც მაინც გამეხსნას ცა...“ თითქოს შორეული უდაბნოდან ჩაესმის ეს სიტყვები...

„ივერიის“ რედაქტორს ჩეულება აქვს: ჩაიკეტება ხოლმე კაბინეტში, მთელ ღამეს თეთრად გაათენებს, პაპიროსს აბოლებს, და სტატიებსა წერს. ვერც კი ამჩნევს, რომ ოთახი თამბაქოს კვამლით არის სავსე, გარედან შესული კაცი შეიძლება ერთბაშად გაიგუდოს. ახლაც ზის და გაზეთისათვის მოწინავე სტატიას ამზადებს. გუშინ ნაშუადღევს რომ ჩაიკეტა, ჯერაც არ გამოსულა. თანამშრომლები კარებთან დაფუსფუსებენ, მაგრამ შესვლას ვერავენ ბედავს, ეშინიათ ხელი არ შეუშალონ... თან კი სტატიაც საჩქაროა, ახლავე უნდა გაიგზავნოს სტამბაში. რა იციან, რომ რედაქტორს ჯერ ერთი ბწკარიც არ დაუწერია, თუმცა მთელი ღამე თეთრად გაათენა!.. გადაუშლია „მეფე ლირი“ და კითხულობს. წაიკითხავს ერთ სტრიქონს, ან

ერთ მონოლოგს, და ფიქრობს... საათობით ფიქრობს, ნერვიულად აბოლებს პაპიროსს და ფიქრობს... ეტყობა, ყველა სტრიქონი რაღაც მოგონებას აღძრავს მასში: „ეშმაკეულნო საღმობანო, წარვედით ჩემგან და შენც, ნალეულავ, გულს მომდგარო, ძირსეე დაეშეი“... ჩუმი ხმით კითხულობს რედაქტორი, ხოლო გონებაში ათასი სტრიქონი ცოცხლდება: „ნალეულა ყელში მოშებიჯნა და გვემა მომდის... ყელთმობჯენილო საღმობანო, ნუ დამახრჩობთ მე... ნალეულა გასკდა და ბაღლაში გულს გადამესხა“... რედაქტორს ცოცხლად წარმოდგება პაპიროსის კვამლით გავსებული პატარა ოთახი, მაგიდას ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, მწვანეთუფალებიანი კაცი მისჯდომია და წიგნს ჩაჰკირაკიტებს, ოთახში საათის მონოტონური ტაკატუკი ისმის, მეორე კაცი ლოგინზე წამოწოლილა და გაზეთს კითხულობს, გარეთ ცრის შემოდგომის გულისგამაწვრილებელი წვიმა...

კარებზე კაკუნი გაისმის. „შემოდით“, გასძახებს რედაქტორი და „მეფე ლირს“ სწრაფად გადააფარებს ქალღღებს — არ უყვარს თავისი გულის-პასუხის სხვისთვის გაზიარება, გულჩათხრობილი კაცია. კარები გაიღება. ოთახში ბოლქვებად დაგროვილი კვამლი ერთბაშად გაიწევეს კარებისაკენ და რედაქციის თანამშრომელს სახეში ეცემა... იგი უნებურად აიქნევს ხელს კვამლის მოსაშორებლად... მაგიდას მიუახლოვდება. რედაქტორი ქვემოდან ახედავს. გაზეთის თანამშრომელი უხმოდ შეკყურებს რედაქტორს დაღლილ, სევდიან თვალებში; ვერ უბედავს სტატია მოსთხოვოს, ელოდება, თვითონვე მომცემსო. რედაქტორიც ელოდება, რომ რაღაც ახალს იტყვის თანამშრომელი. იმას, რაზედაც ახლა ყველა ლაპარაკობს ქალაქში, და რაზედაც მას არაეისთან არა სურს ლაპარაკი. მაგრამ თანამშრომელი სდუმს; თითქოს ხედება რედაქტორის ფიქრთა დენას, და მაინც ვერაფერს ეუბნება, არც არაფერი აქვს სათქმელი.

„კიდევ ვერ უნახავთ!“ — გადაწყვეტს რედაქტორი და თავს ნალელიანად ჩაღუნავს.

(ვახტანგ ჭელიძის „სამუშაონი და ღღენი“)

ჩვენს თაობასა და ჩვენზე შეიდი-რეა წლით უფროს მწერლებს უთუოდ გაუმართლა, რომ ახლადდაარსებულ ჟურნალ „ცისკრის“ პირველი რედაქტორი იყო დიდად ნიჭიერი და განათლებული, უზადო გემოვნების მქონე ლიტერატორი, თხემით ტერფამდე ინტელიგენტი, ყოველგვარი სიკეთით შემკული ადამიანი, განუმეორებელი მომხიბლაობის პიროვნება ვახტანგ ჭელიძე. იგი გერონტი ქიქოძის მსგავსი მრავალმხრივი მოღვაწე გახლდათ და ივანე მაჩაბელზე დაწერილმა მისმა საუცხოო ბიოგრაფიულმა რომანმა, ლიტერატურულმა პორტრეტებმა და თარგმანებმა მთელი ეპოქა შექმნა გასული საუკუნის ქართულ ლიტერატურაში.

უფროსი ასაკის მწერლებიდან არავისთან ისეთი ახლო, მეგობრული კავშირი არ მქონია, როგორც ბატონ ვახტანგთან მქონდა. ძველი და მომდევნო თაობის ცისკრელები ვერასოდეს დაივიწყებენ იმ დაუცხრომელ შზრუნველობასა და ყურადღებას, რასაც სამოციანელთა ბრძენი მოძღვარი მათ მიმართ იჩენდა. „ცისკრის“ ფურცლებზე მან გამოაქვეყნა პირველი ლექსები, მოთხრობები და რომანები, პირველი წერილები, ნარკვევები და თარგმანები მწერლობის სარბიელზე გამოსული, სიახლის მაძიებელი მძლავრი, უნიჭიერესი თაობისა, რომელმაც სულ სხვა ფერი და ლაზათი შემატა ქართულ ლიტერატურას. სამწუხაროდ, ვედარაფერი დააბრუნებს უსასრულობის წიაღში ჩაქანებულსა და ჩახვეულ დროს, მხოლოდ გახსენება თუ შეიძლება იმ ნეტარი და მღელვარე წლებისა, საკმაოდ ღრმა კვალი რომ დაამჩნიეს ჩვენი ერის სულიერ ცხოვრებას.

შემდგომ, სხვადასხვა დროს მიცემულ ინტერვიუებში ბატონი ვახტანგი ხშირად აღნიშნავდა — ჩემი ცხოვრების ერთი მთავარი მიზანთაგანი იყო, ჩემ გარშემო ნიჭიერი ახალგაზრდები შემომეკრიბაო. ამ ახალგაზრდებში, მწერლების გარდა, მოიაზრებდა — მხატვრებს, მოქანდაკეებს, მუსიკოსებს, ხელოვნებათმცოდნეებს, რეჟისორებს... ძნელია ყველა მათგანის ჩამოთვლა, დასახელება. ათეული წლების მანძილზე ზრდიდა, აწრთობდა და აყალიბებდა იგი ამ თაობებს, ასწავლიდა სამშობლოს, შრომის სიყვარულს, იუველირის მოთმინებით ხვეწდა მათ გემოვნებას, რითაც ფასდაუდებელი ამაგი დასდო ქართულ კულტურას. სხვანაირად წმინდა კაცის,

ერეკლე ტატიშვილის უსაყვარლესი და უერთგულესი მოწაფე ვერ მოიქცეოდა.

სხვების მსგავსად, ვერც მე დაევიწყებ, რომ ჩემი ლიტერატურული ნათლობაც მის ხელში გამომაქალ „ციხის“ ფურცლებზე მოხდა, თანაც პირველსავე წელს. იმხანად იქ მომუშავე პირველ ციხურელებს — მუხრან მაჭავარიანს, ჯანსუღ ჩარკვიანს, რევაზ თვარაძეს, მედუა კახიძესა და სხვებს კარგად ვიცნობდი. ისინი ყოველნაირად მხარს მიჭერდნენ. ბატონმა ვახტანგმაც კეთილი თვალთ წაიკითხა ჩემი ლექსები. მაშინდელი სითბო აქამდე მომყვება.

მისი სიცოცხლის ბოლო ათ წელიწადს ბატონ ვახტანგთან თითქმის ყოველდღიურმა ურთიერთობამ ბევრი რამ შექმინა, რის გამოც დღემდე უზომო შინაგან კმაყოფილებას განვიცდი და მის ნათელ სულს მადლობას ვწირავ. კარგა ხანია ვეშხადები და დიდი სურვილი მაქვს მოეხაზო ჩემი ძვირფასი მასწავლებლის რამდენადმე სრული ლიტერატურული პორტრეტი, რასაც ისევ მისი ხსოვნისადმი მოკრძალება და სიყვარული თუ შემაძლებინებს. ვიდრე ამ, არცთუ იოლი მიზნის განხორციელებას უშუალოდ შეეუდგებოდე, ბუნებრივია, მინდა ნაწილობრივ მაინც ვიცოდე ის გზა, რაც ბატონმა ვახტანგმა მანამდე გაიარა, სანამ მე და ჩემი მეგობრები მას პირადად გავიცნობდით.

საუკეთესო ლიტერატორმა, გამოჩენილმა კინორეჟისორმა, მრავალმხრივი ნიჭიერების შემოქმედმა ლანა ლოლობერიძემ რამდენიმე წლის წინ გამოაქვეყნა მოგონებების ძალზე საინტერესო, დრამატული ეპიზოდებით აღსავსე წიგნი „რაც მაგონდება და როგორც მაგონდება“, რომელშიც დაწერილებით აღწერს ახალგაზრდობის, განსწავლის წლებს, სხვების გვერდით, მაღლიერებით იგონებს ვახტანგ ჭვლიძეს და შთაბეჭდილება იქმნება, სწორედ მაშინ მოხდა მოგონებათა წიგნის ავტორის სულიერი ფორმირება. ნათქვამი რომ უფრო გასაგები გახდეს, მოვიტან მცირე ამონარიდს:

„იმ დროს გატაცებით ვსწავლობდი ინგლისურს. კერძო მასწავლებლის აყვანა, ცხადია, არ შეგვეძლო, მაგრამ იმდენად მინდოდა ენის დაუფლება, რომ გამოსავალიც ვიპოვე: ჩავეწერე პიონერთა სასახლეში, ინგლისური ენის წრეში, რომელსაც მაშინ სულ ახალგაზრდა ვახტანგ ჭვლიძე ხელმძღვანელობდა. ის უამრავ საინტერესო ამბებს გვიყვებოდა და იუმორით სავსე ინგლისურ თქმულებებს ზეპირად გვასწავლიდა: მაშინ იმ წრეში წავიკითხე

ედგარ პოს ლექსი „ანაბელ ლი“. სულით ხორცამდე შემძრა პატარა გოგოსა და ბიჭის ტრაგიკული სიყვარულის ამბავმა. ის ისე ახლოს იყო ჩემთან, ამ უცხო და მშვენიერი სახელის მატარებელი გოგონა, ანაბელ ლი, რომელიც ზღვის ახლო ცხოვრობდა და რომელიც ცოცხლობდა სიყვარულით, რომ მისი სიკვდილი, როგორც პირადი დრამა, ისე განვიცადე...”

როცა ბატონ ვახტანგს ეს ვუთხარი, სიამოვნებისგან სახე გაეზარდა, თვალებში სხვანაირი სხივი ჩაუდგა — ეტყობა ახალგაზრდობა, თავისი პედაგოგიური მოღვაწეობის ლამაზი წლები გაახსენდა. ის წიგნი, ქალბატონი ლანას გულთბილი სამახსოვრო წარწერით დაშვებულნი, მალე თავიდან წაიკითხა და დიდად კმაყოფილი დარჩა.

ახლახან ცნობილმა გეოლოგმა, კარგმა სამეგობრო ვაჟკაცმა, ქართული მწერლობისა და, საერთოდ, ლიტერატურის მოყვარულმა ადამიანმა, ერის საამაყო ქართველი მოცეკვავის ნინო ანანიაშვილის მამამ ვახტანგ ანანიაშვილმა, რომელსაც დიდი ხანია ვიცნობ (ადრეულ წლებში მუდამ ესწრებოდა მწერალთა კავშირში გამართულ დისკუსიებს), ისეთი რამ მითხრა, ძალიან გამახარა: „ჯერ კიდევ ომის დამთავრებამდე, 1944 წელს სიარული დავიწყე ალექსანდრეს ბაღთან, ყოფილი ძნელაძის ქუჩის შუა ადგილას მდებარე სამსართულიან შენობაში. იქ მშვენიერი ბიბლიოთეკა იყო, რომლის ღირებულებაც ჩვენი გამოჩენილი მწერალი და მოღვაწე, ბატონი ვახტანგ ჭვლიძე მუშაობდა. მიუხედავად ტრამეაის ხმაურისა, სამკითხველო დარბაზში იდეალური პირობები იყო, სამაგალითო წესრიგი სუფევდა. წიგნადი ფონდიც, მაშინდელი მდგომარეობის კვალობაზე, საკმაოდ მდიდარი, მრავალფეროვანი ჰქონდათ. ბევრს ვკითხულობდი. ხშირი სტუმარი ვიყავი იმ ბიბლიოთეკისა, ზედიზედ სამ წელიწადს დაედიოდი, ვიდრე უმაღლესში მოვეწყობოდი. მუდამ სიხარულით მიმიწევდა გული ბიბლიოთეკისკენ. თანაც გამგედ ძვირფასი და საყვარელი პიროვნება, კოტე მახარაძის დედა, ქალბატონი ვარა იყო.“

კარგა ხნის მერე თეატრმცოდნე ალექო შალუტაშვილის ოჯახში, მცირე წვეულებაზე, ბატონ ვახტანგს შევხვდი და შევახსენე, რომ მისი ბიბლიოთეკის ერთგული მკითხველი ვიყავი. დამაკვირდა და ხელად მიცნო, სახეზე ღიმილი მოეფინა. ძალზე ესიამოვნა იმ წლების გახსენება“...

რამდენადაც ვიცი, ვახტანგ ჭვლიძის მრავალმხრივი მოღვაწეობის ეს ფაქტი — ბიბლიოთეკის ღირებულებობა — ასე რომ შეეფერებოდა

მის შინაგან ბუნებას (გაეიხსენოთ, ლუის ბორხესი თითქმის მთელი ცხოვრება იყო თავისი ქალაქის ბიბლიოთეკის დირექტორი), არაა ცნობილი და ეს კიდევ ერთ ფერს მატებს მის ბიოგრაფიას.



ოჯახურმა მდგომარეობამ (მამა ორჯერ დაუჭირეს და ბოლოს დახვრიტეს) ბევრჯერ შეუშალა ხელი, მაგრამ ხელისუფალნი, მისი დიდი ცოდნისა და უნარის გამო, იძულებულები იყვნენ, დროდადრო საპასუხისმგებლო თანამდებობებზე დაენიშნათ. სადაც არ უნდა მისულიყო სამუშაოდ, ვახტანგ ჭელიძე ყველგან ლიტერატურულ, ხალისიან გარემოს ქმნიდა, ჩვეულებისამებრ, მაშინვე იწყებდა ნიჭიერი, საიმედო ძალების (უმთავრესად ახალგაზრდობის) შემოკრებას. ასე მოხდა, როცა იგი „ნიანგის“ რედაქტორად გაამწესეს. კარლო კალაძის ხელში (მას გონებამახვილობა, სხარტი სიტყვა-პასუხი, ფუნაგორიების შეთხზვის უნარი არ აკლდა, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, კარგი იუმორისტული ჟურნალი გაეკეთებინა) „ნიანგი“ გულისამრევად დაიშტამპა, უღიმღამო გახდა. ამის უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ რედაქტორი თითქმის ყველა მასალას თავად წერდა, წამდაუწუმ იცვლიდა ფსევდონიმებს (გოგოთურ მიგრიაული, დელი ოდილაეაძე და მისთანები) და ზნეობის მხრივაც მოიკოჭლებდა — ჰონორარის დიდ წილს იჯიბავდა. ასეთმა სიხარბემ, რაღა თქმა უნდა, მძიმე დაღი დაასვა პატარა ჟურნალს, რომელშიც სატირა და იუმორი, მოსწრებული ხუმრობა სანთლით იყო სამებარი. ამდენად, ბატონ ვახტანგს ყველაფერი თავიდან უნდა დაეწყო.

აქ ერთი რამ უნდა გაეიხსენო. მაშინდელ დაჭაობებულ „ნიანგს“ სერიოზულ კონკურენციას უწევდა, ამკარად ჯაბნიდა და კიდევ უფრო აფერმკრთალებდა თბილისის უნივერსიტეტის იუმორისტული კედლის გაზეთი „ჭინჭარი“, რომელსაც მეურვეობდა ეკონომიკის ფაკულტეტის ლაბორანტი, სავსებით ახალგაზრდა ნოდარ დუმბაძე. უნივერსიტეტში ახალი ჩარიცხული ვიყავი, ლიტერატურულ წრეშიც დავედიოდი და ნოდარს (ადრეც ეხვდებოდი ვერის ბაღში) მალე დაეუახლოვდი. „ჭინჭარს“ პირველ კორპუსში, მეორე სართულზე, საგანგებო ოთახი და იქვე, ბიბლიოთეკაში ამავე კიბესთან, სტენდიც ჰქონდა. ნოდარ დუმბაძე იქ აშზადებდა საგაზეთო მასალებს,

თანამოაზრეებით გარშემორტყმული. ხელად მიიზიდა ისინი, ვისაც იუმორი, ხუმრობა ეხერხებოდა. მასთან ხშირად ნახავდით ჯანსუღ ჩარკვიანს, ზაურ ბოლქვაძეს, ფილიპე ბერიძეს, რეზო ესაძეს, ედუარდ სიხარულიძეს, დიტო კიკვაძეს, რეზო ჭეიშვილს, ძალზე თავისებურ მხატვარ-კარიკატურისტს თემო ფაფერაშვილსა და სხვებს. „ჭინჭრის“ ყოველი ახალი, ლამაზად, თვალისმომჭრელად გაფორმებული ნომრის გამოსვლას მოუთმენლად მოელოდნენ სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები და პირველ დღეებში სტენდთან ახლოსაც ვერ მიხვიდოდი. ნოდარმა მეც მომცა რამდენიმე თემა მოდას აყოლილ უგემოვნო სტილიაგებზე. პაროდია დაეწერე ლექსად და შემიქო, გამოაქვეყნა. სწორედ „ჭინჭრიდან“ გაერცვლდა მთელ ქალაქში ორი გამკილავი სტრიქონი, სადაც ნოსტალგია გამოსჭვივის საქართველოში იუმორის ჩაკედომაზე — სამიზნედ თუ საკბილოდ სწორედ ზემოთ ნახსენები ჟურნალია გამოყენებული და მწარედ გაკილული:

აბ, „ნიანგო“, „ნიანგო“,
როდის უნდა იანგლო?!

ორიოდე წლის მერე ნოდარ დუმბაძემ უნივერსიტეტის ბაღში მითხრა: პატარ-პატარა იუმორესკები ბლომად დამიგროვდა, რაც მოზრდილის დაწერას ვაპირებ, კოლდუელის „ჯორჯიელი ბიჭი“ ძალიან მომეწონა, იმასთან პირდაპირი კავშირი არ ექნება, რალაცნაირი ბიძგი მომცა და ვფიქრობ, ცუდი რამე არ გამომივაო. ეს იყო მისი პირველი, შედარებით მოზრდილი წიგნი „სოფლელი ბიჭი“, რომელსაც მერე, გიგი გეგეჭკორის რჩევით, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ დაერქვა და „ცისკარში“ დაიბეჭდა, პატარა შრიფტით ააწყვეს, სატირისა და იუმორის განყოფილებაში გადაიტანეს, რათა ავისგანმზრახველებს თვალში არ მოხვედროდათ, მაგრამ ამ ფანდმაც არ გასჭრა...

მანამდე კი, უნივერსიტეტში ლაბორანტად გაფორმებული, ესოდენ პოპულარული „ჭინჭრის“ დამაარსებელი ვახტანგ ჭელიძეს ნანახი არ ჰყავდა, მაგრამ მალე კი შეხვდა. სიმბოლურია ისიც, რომ ვახტანგ ჭელიძეს ნოდარ დუმბაძე გააცნო კეთილშობილებით გამორჩეულმა, ანგელოზური სულისა და რაინდული ბუნების კაცმა ედიშერ ყიფიანმა, ვინც მანამდე ბატონ ვახტანგთან „დროშაში“ მუშაობდა და მისი ხასიათის ყოველი წერილმანი ზედმიწევნით

იყო. იგი დარწმუნებული იყო (არც შემცდარა), რომ ვახტანგ ჭელიძე უთუოდ შეიცნობდა ნოდარ დუმბაძის ხალას ნიჭს და ისინი განუყრელი მეგობრები გახდებოდნენ. ასედაც მოხდა. ნოდართან შეხვედრის ამბავი ბატონ ვახტანგს ისე ცოცხლად, მიძინიდეულად აქვს აღწერილი („ნოდარ დუმბაძის ორი გახსენება“), იმის წაკითხვას არაფერი სჯობს, დოკუმენტური პროზის ნამდვილი შედეგია.

„ნიანგის“ რედაქტორად ახალდანიშნულ და სამომავლო გვმებით აღჭურვილ ვახტანგ ჭელიძეზე, ვერის დადმართის პატარა სკვერში (იქ პქონდათ დანიშნული პაემანი) წვერმოშვებულ, ნაღვლიან, სიტყვაძუნწ ნოდარ დუმბაძეს სასურველი შთაბეჭდილება ვერ მოუხდენია, ასეთ ჩაჟამულ ტიპს იუმორთან რა კავშირი უნდა პქონდესო, უფიქრია, მაგრამ რადგან ნოდარს ედიშერ ყიფიანი ახლდა, იგი რედაქციაში მაინც დაუბარებია — ორი ღლის მერე უნდა შეველო. მისულს წვერი კი გაეპარსა, მაგრამ კვლავ ისეთივე გულჩათხრობილი და ნაღვლიანი იყო და მისდამი არცთუ კეთილად განწყობილ რედაქტორს თვითონაც უნდობლად უყურებდა. მერე ჯიბიდან „ოთხად გაკეცილი და საკმაოდ დაჭმუჭნული“ რვეულის ფურცლები ამოუღია და რედაქტორისთვის უხალისოდ გაუწვდია. ცხადია, არც ეს ვესტი იყო მთლად დელიკატური და სასიამოვნო, მაგრამ აქ მომხდარა წარმოუდგენელი მეტამორფოზა. ეს „გახსენება“ თავიდან ბოლომდე გადასაწერია, მაგრამ მე მხოლოდ ერთ აბზაცს უნდა დაეჯერდე:

„დაეიწყე კითხვა. თავი არ ამიღია. ვერ ვიტყვი, ამ დროს მიყურებდა თუ არა, აკვირდებოდა თუ არა ჩემს განწყობილებას... თავი რომ ავწიე და შეეხედე — არ ვიცი გაოცებას უფრო გამოხატავდა ჩემი სახე თუ აღფრთოვანებას — თვალები გაბრწყინებოდა და ღიმილით შემომტკეპროდა. ეს იყო ნოდარ დუმბაძის ღიმილი — კეთილი, ალერსიანი, სევდაგარეული ღიმილი, რომელიც მას შემდეგ აღარ მომშორებია და ალბათ სამარის კარამდე გამყევება“.

ამის მერე უზუსტესადაა დახასიათებული სამ ფურცელზე დატეული იმ ყოვლად უბრალო, არავის გამქირდავი, სხივმოსილი, უმრეტი მაღლით განათებული იუმორი და ნათქვამია თუ ვინ გახდა ვახტანგ ჭელიძისა და ქართული მწერლობისთვის ნოდარ დუმბაძე, რა განუმეორებელი სამყარო მოიტანა მან და მისმა თაობამ, რომელთან უმჭიდროესი მეგობრობა, სიახლოვე „ციხკარში“ რედაქტორობისას ვახტანგ ჭელიძემ კიდევ უფრო გააღრმავა.

„გახსენების“ მეორე ნაწილს, რომელსაც ბატონი ვახტანგი

„ყველაზე სევდიან შეხედრას“ უწოდებს, უცრემლოდ, საშინელი გულდაწყევტის გარეშე ვერ წაიკითხავ. 1984 წლის ზაფხულს, უკვე უიმედოდ დააკადებული, ლანდალ ქცეული ნოდარ დუმბაძე მანქანით წავკისში ასულა ვახტანგ ჭვლიძესთან, რათა თავისი უფროსი, სათაყვანებელი მეგობრისთვის სრულიად ბუნებრივი, აუღელვებელი, სასაუბრო კილოთი ეთქვა: „მე მალე მოვკვდები...“ ჟრუანტელი დაგივლის, შეგძრავს, ეს ეპიზოდი ისეთი ძალითა და შინაგანი ძრწოლით არის გადმოცემული. ფერმიხდილმა, შეჭვებლად განწირულმა, ნუგეშისცემა არ დააცადა: „...დავიბენი, რაღაცის თქმა მოვიწოდებ, თავად არ ვიცი, რისი... გამიცინა და გამაჩრუმა, ხელი ხელზე დამადო.“

თუ როგორი უზადო, დახვეწილი წერა იცოდა ვახტანგ ჭვლიძემ, ამას მთელი მისი უმდიდრესი შემოქმედება და განსაცვიფრებლად ნაყოფიერი მთარგმნელობითი მოღვაწეობაც ცხადყოფს. შემიძლია ეთქვა — მრავალჯერ დაერწმუნებულეარ, იგი ასეთივე ბრწყინვალე მთხრობელიც იყო; ისე ოსტატურად ხატავდა იმ ადამიანებს, ვისზედაც გიყვებოდა, ლამის ხედავდი, ხელით შეგეძლო შეხებოდი.

ერთხელ, როცა ვაკის ბინაში ვესტუმრე (ჭავჭავაძის გამზირი N70), ახალგაზრდობის ხანა გაიხსენა, ოცდაათიანი წლები და მითხრა, რომ მასთან ერთად გამომცემლობის ოთახში იჯდა სამაგალითო ინტელიგენტი, ფილოლოგი, კარგი მექართულე, უადრესად ზრდილი პიროვნება ალექსანდრე მალულარია (იქვე დაატანა, რომ ოცდაჩვიდმეტ წელში სრულიად უდანაშაულოდ დახვრიტეს), ვისთანაც გაცნობისთანავე იპოვა საერთო ენა და სშირად საუბრობდნენ მწერლობაზე. იმავე ოთახში მჯდარა ერთი ხეპრე, პარტიული ხაზით დაწინაურებული ტიპი, რომელიც რაღაც მასალას ასწორებდა და ბატონი ალექსანდრესთვის უკითხავს — ასეთი წინადადება (ყოვლად მოუხეშავი ფრაზა ყოფილა) თუ შეიძლება დავწეროო. იმას მორიდებულად უპასუხნია — რა თქმა უნდა, შეიძლება, მაგრამ ვფიქრობ, ასე აჯობებსო და მაშინვე იმ წინადადების გამართულ-გაწკრივებული ვარიანტი მიუწოდებია. ეს ერთეული შეკითხვა როდი იყო, საწყალი კაცი გაწამებული ჰყავდაო, ღიმილით დაატანა.

მაშინ ვუთხარი, რომ ალექსანდრე მალულარიას ოჯახს, ქერივ

მეუღლესა და უფროს ვაჟიშვილს, საუკეთესო გეოლოგს თამაზ მალულარიას კარგად ვიცნობდი და სამწუხარო ისტორია მოვუყევი. თამაზ მალულარიას ცოლად ჰყავდა მასავეთ ობლობაში გაზრდილი, ჩემი ახლობელი, მშენიერი ქალი ციალა გეარჯაღაძე. მათი ვაჟი ალექო (დაღუპული ბაბუას მოსახელე), მართლაცდა ვარსკვლავივით ბიჭი იყო, ოქროსთმინანი, ტანადი, ჭკვიანი, ტოლ-სწორებში ყველაფრით გამორჩეული. ჩვენს თვალწინ დაჭაბუკდა, ერთ ზაფხულს (მაშინ იგი თხუთმეტი წლისა იყო) მოხდა საშინელება. რაღაც ეშმაკად, კუს ტბაზე გაჰყოლოდა ამხანაგებს. დასიცხული, ნავიდან წყალში გადამხტარა, ბანაობა მონდომებია, ფეხებზე თურმე წყალმცენარეები გამოედო, შებორკა, გველი ჰგონებოდა, შიშისგან გული გასკდომია, იქვე მომკვდარა. დაზაფრულები, თავზარდაცემულები ვიყავით...

ამის გაგონებაზე ბატონი ვახტანგი გაფითრდა, გუნება მოეშხამა, სახე უმაღლ შეეცვალა, რას ამბობ, ადამიანო (ასე იცოდა წამოძახება უკიდურესი მღელვარების ჟამს)?! ეს რა მითხარი, საცოდავი ალექსანდრე მეორედ დაღუპულაო, ამოიოხრა.

გაუბედურებულ ცოლ-ქმარს ბოლო მოუღო ამ განუზომელმა ტრაგედიამ. მალე არ დახოცილან, მაგრამ სიცოცხლის ყოველგვარი ხალისი დაკარგეს. მერე ერთმანეთს მიჰყვნენ. შესანიშნავი ქალიშვილი კი დარჩათ, თამრიკო, დაკვირვებული, მცოდნე ექიმი, რომელმაც მშენიერი ოჯახი შექმნა, წმინდად ინახა ეს ძმისა და დედ-მამის ხსოვნას.

ბატონ ვახტანგსა და მის მეუღლეს ქალბატონ ვალია ტატიშვილს ვაკეში ხშირად ვაკითხავდით გივი გეგეჭკორი და მე, განსაკუთრებით მას მერე, რაც ორივენი შეუძლოდ გახდნენ. ქალბატონი ვალია უფრო მძიმედ იყო და ბატონ ვახტანგს დაერდომილი მეუღლის მოვლა უხდებოდა. შვილები — მარინა და ღათო ხშირად მოდიოდნენ, მაგრამ ეს მათ მღგომარეობას ნაწილობრივ თუ ამსუბუქებდა.

ვახტანგ ჭელიძეს, სრულიად უსამართლოდ, ბევრჯერ ატკინეს გული. ყოველად აბსურდულს გავდა მისი გაათავისუფლება „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორობიდან, ვინაიდან ეს გაზნეთი მის დროს სამაგალითო იყო და არსებობის მანძილზე ასეთი დიდებული რედაქტორი არც ჰყოლია. ცეკას იდეოლოგიურ მდივანს, არც ისე თვალსაჩინო დამსახურების კაცს ეთქვა — ბატონი ვახტანგი დაიღალა და ეს გაზნეთსაც დაეტყოო (მტკნარი, აღმაშფოთებელი სიცრუე იყო). ასევე ვერაგულად გაათავისუფლეს გამომცემლობა „ნაკადულის“ დირექტორობიდან, სადაც სანიმუშოდ ააწყო საქმე და

არაერთ ბრწყინვალე სერიას ჩაუყარა საფუძველი, რითაც დღემდე უდგას სული ამ გამომცემლობას.

სრულიად განსაკუთრებული იყო, ადრეულ წლებში, ვახტანგ ჭვლიძის დაუცხრომელი მუშაობა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში“. ვახტანგ ჯაფარიძე ახლაც უდიდესი მადლიერებით იგონებს იმ ბედნიერ დროს, როცა სახელოვან სეხნიასთან უხდებოდა თანამშრომლობა. მაშინ დაიგეგმა მსოფლიო ლიტერატურის ოთხმოცტომეული. განხორციელდა მეტად მიშხიდველი, ბრწყინვალედ გაფორმებული სასაჩუქრო წიგნები ჩვენი კლასიკოსებისა, დასაქმებული იყვნენ ჩვენი საუკეთესო მხატვრები. დიდი მეცნიერის, სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქტორობით გამოიცა საქართველოს მრავალსაუკუნოვანი მატეიანის „ქართლის ცხოვრების“ ტომები. ქართულ წიგნს დღევანდელი დღისათვის წარმოდგენლად დიდი ტირაჟი ჰქონდა.

სწორედ მაშინ გვითხრა ბატონმა ვახტანგ ჭვლიძემ მე და ჩემს მეგობრებს, რომ ყმაწვილებისთვის განკუთვნილი დიკენსის წიგნის მსგავსად გადაწყვეტილი ჰქონდა დაეწერა „ქართლის ცხოვრების ქრონიკები“, სადაც ქართული ახალგაზრდობისათვის უნდა მოეთხრო ჩვენი ქვეყნის ისტორია, მაგრამ რაც მან შემდგომში გააკეთა, ბევრად აღემატებოდა თავდაპირველ ჩანაფიქრს. ესაა გრანდიოზული ეპოპეა, რომლის გასასრულებლად, სამწუხაროდ, ავტორს სიცოცხლის წლები აღარ ეყო. ძნელია ყველა იმ დამსახურებათა უბრალოდ ჩამოთვლაც კი, ვახტანგ ჭვლიძეს საქართველოს გამომცემლობათა წინაშე რომ მიუძღვის.

ცალკეა აღსანიშნი ის უდიდესი ამაგი, რაც მან მხატვრული თარგმანის საშეილიშვილო საქმეს დასდო. მარტო მის მიერ ბრწყინვალედ, შესაშური პროფესონალიზმით თარგმნილი ავტორები რომ დავასახელოთ (მოლდაწუობის ამ მხარეს, ქვემოთ საგანგებოდ მიუვებრუნდები), ეს უკვე მთელი ბიბლიოთეკაა. ვახტანგ ჭვლიძემ გამოზარდა პირველხარისხოვან მთარგმნელთა პლეადა, რაშიც გადაწყვეტი მნიშვნელობისა იყო მის მიერვე დაარსებული ალმანახი „ხომლი“.

დღესდღეობით, მთარგმნელობით ალმანახ „საუნჯეს“ მეტად არასახარბიელო პირობებში, სათავეში უდგას ქალბატონი ნანა დარჩია. იგი ყველაფერს აკეთებს, დროსა და გამოცდილებას არ იშურებს, რათა ალმანახმა არსებობა არ შეწყვიტოს.

აქ იძულებული ვარ, ზოგი რამ წარსულიდან გაეიხსენო. ახალდაარსებული „ცისკრისა“ და მისი ღირსეული რედაქტორის მიმართ, მეტად აქტიურმა კრიტიკოსმა ბესარიონ ჟღენტმა, ჩვენდა სამწუხაროდ, იმთავითვე მტრული, შეურიგებელი პოზიცია დაიკავა, სხვადასხვა უკადრისი ხერხებით ებრძოდა ახლაგაზრდულ ჟურნალს და პირადად ეახტანგ ჭვლიძეს. ნიშანდობლივია, რომ თავისი პროვოკაციული გამოხდომები მერეც გააგრძელა, ჯანსუღ ჩარკვიანის რედაქტორობის დროსაც (მაშინ მეც „ცისკარში“ ვმუშაობდი), როცა მთლიანად აღდგა ბატონი ეახტანგის მიერ დანერგილი ტრადიციები, სულისკვეთება; არ შეუწყვეტია ფარული თუ აშკარა თავდასხმები „ცისკრის“ წინააღმდეგ, რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად, ხშირი, მაგრამ არც ისე სასურველი სტუმარი იყო ცეკას პირველი მდივნის მოსაცდელისა (ბატონი ედუარდ შევარდნაძე მუდამ კეთილგანწყობილად უყურებდა თითქმის მის თანატოლ სამოციანელთა უძლიერეს თაობას და „მოიერიშეებმა“ ვერაფრით აიყოლიეს), მაგრამ საწაღელს ვერ მიაღწია: მასა და მის „თანამებრძოლებს“, ნაირნაირ ლუკა ისარლოვებს ვალში არ ვრჩებოდით და ჩვენგანაც ბევრი მწარე სიტყვა იწვნიეს (ამაზე უფრო კონკრეტულად სხვა დროს დავეწერ). როგორღაც გვესიამოვნებდა, ცისკრელებს „ეახტანგის ბიჭებს“ რომ გვეძახდნენ და ჩვენს კეთილ მოძღვარს ხშირად ვაკითხავდით, თვითონაც არ გვაკლებდა ყურადღებასა და რჩევა-დარიგებებს.

ბატონი ეახტანგის დაუსრულებელი მემუარების წიგნში (ეს ჩემთანაც უთქვამს) ცალკე თავი უნდა დათმობოდა „ცისკარში“ მისი მუშაობის პერიოდს. სამწუხაროდ, ჩანაფიქრი ჩანაფიქრად დარჩა, მაგრამ იმდენი დოკუმენტური მასალა დატოვა, საერთო სურათის აღდგენა მაინც ხერხდება.

ადრეც მიფიქრია — ეახტანგ ჭვლიძეს ეს წიგნი მისებურად რომ გაესრულებინა, იგი თამამად დაუდგებოდა გვერდით დავით კლდიაშვილის მემუარებს — „ჩემი ცხოვრების გზაზე“. თუმცა მანამდე შექმნილ ბრწყინვალე დოკუმენტურ პროზასთან ერთად, თავისი მეტად დაძაბული და აზრით სავსე ცხოვრების ხატონად და შესასურრი უბრალოებით ამსახველი ისეთი ძვირფასი თავები დაგვიტოვა, რომ იმავე დავით კლდიაშვილის პერსონაჟის მსგავსად უნდა ვთქვათ: „ამაზედაც გმადლობ, უფალო!“

მას მერე დიდი დროა გასული, მაგრამ ბევრს ახსოვს — მწერალთა კავშირში „ცისკრის“ ნომრებს განიხილავდნენ და ბესარიონ ჟღენტმა კიდევ ერთხელ გამოაჩინა გააღმასებული ბრჭყალები. იქვე მყოფმა, შეუპოვრობით ცნობილმა ნოდარ ჩხეიძემ შესძახა: ახალგაზრდების მიმართ თქვენცა და თქვენი მეგობრებიც ცოტა ფრთხილად მოიქეცით, ბოლო გზაზე ჩვენი გასაცვილებელი ხართო.

ასეთი რამის თქმა ალბათ არ იყო მთლად გამართლებული, მაგრამ ეშხში შესულმა ორატორმა ამაზე მეტი უზნეობა გამოამჟღავნა, როყოფ, ცინიკურად უპასუხა რეპლიკის მტყორცნელს: არ გაგიგონია, ჩემო ნოდარ, ქართული ანდაზა — მწიფეს ესრფდნენ და მკეახე ცვიოდაო?

ამის გაგონებაზე დარბაზში უსიამოვნო ზრიალი გაისმა. შეიშმუშნა ხალხი. მერე უხერხული დუმილი ჩამოვარდა. ორმა თუ სამმა კვირამ გაიარა და ის აებელითი წამოძახილი ახდა: ნოდარ ჩხეიძე თავისი სახლის მახლობლად, ყოველად უაზროდ, აბსურდულად დაიდუპა. ავარიის ასაცდენად, გზიდან უცაბედად გადმოხვეულმა ავტობუსმა, ზურგშექცევით მდგარი, რკინის მესერთან მიასრისა...

ბესარიონ ჟღენტს ხშირად ახსენებდნენ თავის წილ დანაშაულს, რაც ქართველი ერის სიამაყის, მიხეილ ჯავახიშვილის დაღუპვაში მიუძღვოდა; ბევრმა წაიკითხა მისი აღმაშფოთებელი წერილი ოცდაჩვიდმეტი წლის „ლიტერატურულ გაზეთში“, შავბნელი მიზანდასახულობა რომ ქჷონდა. როცა ერთხელ კვლავ შეუტიეს უნივერსიტეტში, გამწარებულმა (სახე ისედაც ჭარხალივით უღუოდა) ჰკითხა შეტევაზე გადასულებს — გინახავთ თქვენ რომელიმეს ცოცხალი ბერია?

გასაგებია, რომ თვითონაც გამუდმებით დაჭერის მოლოდინში იყო, კარგად იცოდა, მაშინ დაჭერას რაც მოსდევდა, მაგრამ, საკუთარი ტყავის გადასარჩენად, სხვა ასე არ უნდა გაემეტებინა.

მწერალთა კავშირში „ცისკრის“ განხილვის ამბავი ბატონ ვახტანგსაც ჩაუნიშნავს (მაშინ იგი გამომცემლობის დირექტორი იყო), მაგრამ რეპლიკის ავტორად, ნოდარ ჩხეიძის ნაცვლად, უნებლიე შეცდომას უშვებს და ჯანსუღ ჩარკვიანს ასახელებს. ეს არსებითად არ ცვლის საქმის ვითარებას. ჯანსუღ ჩარკვიანი არანაკლები შემართებით პასუხობდა ბესარიონ ჟღენტის საჩოთირო, ჩვენი მწერლობისთვის ზიანის მომტან გამოსვლებს. ბევრი შემთხვევის გახსენება შემიძლია, მაგრამ აქ საამისო ადგილი არაა.

ზომ საარაკო შრომის უნარი კქონდა ვახტანგ ჭელიძეს (დილის ნ საათზე საწერ მაგიდასთან იჯდა), ახლობელთა წრეში მოღზენაც ლაზათიანი იყოდა. მახსოვს, რეკაზ მარგიანის დაბადების შესამოცე წლისთაეზე რა ლაღად, ეღვანტურად ითამადა, უწყინარი ხუმრობებით შეზავებული სათქმელი არ ეღყოდა. ყოველ საღღერძეღოს ახღებურად, განსხვეავებული კუთხით ამბობდა, თუმიცა სასმისებს არ ცელიდა. მასპინძღებს საიღანღაც ხისტარიანი სათამაშო ჩაქუჩი მოატანინა (აღბათ წინასწარ შეათეაღიერა). მწვანე, გარმონივით ნაკეცებიანი პღასტმასი თუ რეზინი კქონდა წამოცმული, რაიმე მკერიე საგანზე დარტყმისას მჭახე, სასაციღო ხმას გამოსცემდა. როცა წყეიღების საღღერძეღო უნდა წარმოეთქეა, ცოღ-ქმარს, საღაც თეითონ იყო, სუფრის თაეში აყენებდა. რიგრიგობით დაამწკრეია, მეუღღეებითურთ, ლაღო სუღაბერიძე, არჩიღ სუღაკაური, ნოღარ ღუმბაძე, ნოღარ ჯანბერიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, გივი გვექკორი, ზაურ ბოღქეაძე და სხვები. თაეღაპირეღღად, როგორც ჯენტღმენებს სწეეიათ, ქაღებს დიღი მოწიწებით აღღერძეღლებდა, მერე ქმრებს ახღო მოიხმობდა, თაეს ახრეეინებდა, ორიოღე სახუმარო სიტყვას ეტყოდა და იმ უმტკეიენეუღო, სათამაშო ჩაქუჩს ჩასცხებდა კინკრიხოში. იყო ერთი სიციღ-ხარხარი.

იმ საღამოს ბეკრი ყურადსაღები რამეც თქეა ჩენმა თამაღამ, გაიხსენა ღირსეუღი წინაპრები, განსაკუთრებული პატივი მიაგო გარღაცეღიღ მეგობრებს. ცხაღია, არც ქართული მწერღობის საჭირბოროტო საკითხები დაეიწყებია, არავინ შეუზღუღაღეს, თუ ეინმეს რაიმეს თქმა უნღოღა, ყვეღას სათითაოღ მოგეეფერა, ბეღნიერება და წარმატებები გვისურვა. ასეთი ხაღისიანი ბატონი ვახტანგი მერე აღარც მინახავს.

შინ როცა ვეწეეოღით, დაბაღ ტაბღასთან დაგესვამღა და მაშინვე დატრიაღღებოღა, გამასპინძღება უყვარღა. გვიანი შემოღგომა იყო. დეურეკეთ, გივი გვექკორმა და მე მოვინახუღეთ ვაკეში. გახარებული შეგეეება, ჩემი სოფღიღან ნობათი ჩამომივიღა და უნდა იგემოთო. სუფრა გაგეიწყო ცოღ-ქმარმა. უგემრიეღესი ხაპერიე მიირთვითო, გურუღი კიღოთი თქეა პატარა კვახზე, რომღის კანს გრანიტის ფერი დაქკრავს და იმის ტემას არაფერი ჯობს, ყვითეღი, მშრალი გუღი აქეს, მოხარშული წაბღივით გეფხენება პირში. იზაბეღას ფეღამუშიც გამოგეიტანეს, თეფშზე ოთხაღ გასყერიღი,

ხელად რომ მოგიმსუყუებს გულს. დაეილოცეთ კიდეც, რამდენიმე ჭიქა დაელიეთ. ჩვენც გვაამბობინა ახალი ამბები და თვითონაც გვიამბო. ძალიან უყვარდა თავისი სოფელი ბახეი. ეამაყებოდა, რომ გაბრიელ ეპისკოპოსი და გერონტი ქიქოძე იქაურები იყვნენ. არაფრით არ უნდოდა იმის დაჯერება, რომ ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულება მისი მოკვლის თაობაზე, არაკაცების შეკრება, ბახეში გაიმართა. სულ გვეუბნებოდა, იმდენი უდანაშაულო ადამიანის სისხლი დაღვარეს ბოლშევიკებმა, შეუძლებელია, ცოდვამ არ უწიოთო.

არგონათუ საბჭოთა კავშირის დაშლის მერე (ეს ისედაც ხდებოდა, ჩვენ არ უნდა გვესხმარტალა, უტვინო, ამბიციური ლიდერების მოწყობილმა 9 აპრილმა წელში გაგვტეხა, ცუდად დაგვადგეს ბნელმა ძალებმა თვალი) ზედიზედ საშინელი უბედურებები დაგვატყდებოდა. ამდენი შეცდომის დაშვების უფლება აღარ გვაქვს, ვშიშობ, უარესი არ დაგვემართოსო, ამბობდა. ავადმყოფობაზე მეტად, საქართველოს დაგლეჯამ და დაწიაწებამ მოუსწრაფა სიცოცხლე.

ბუნების, სილამაზის მოტრფიალე კაცი იყო ბატონი ვახტანგი და გული უწუხდა, ვაკის პარკის მახლობლად, მთის მხარეს, მშენიერი ხედი თანდათან რომ მახინჯდებოდა. ოხრად ნაშოენი ფულით, ვისაც რა მოეპრიანება, იმას აშენებს, ამ უშნოდ ახორხლილი შენობების შეხედვა მზარავსო, დაიჩივლა. ჯუნა მიქატაძის გალაკტიონი, წინა მხარეს, ყიფშიძის ქუჩის თავში რომ დგას, მოსწონდა — ნამდვილი ჯვარცმულის იერი აქვს და ასედაც იყო, ჩემი ფანჯრიდან სახე კარგად მოჩანსო, გვითხრა. როდენის „ბალზაკს“, საკვირველ, მისტიური იერის ქმნილებას რომ წააგავდა, ამას მაინცდამაინც დიდ ცოდვად არ თვლიდა. ახლა ის ქანდაკება ვეება შენობების ალყაშია მოქცეული და შემოფიცრული, სივრცე სულმთლად დაკარგულია, ამბობენ, სხვაგან უნდა გადაიტანონო. საფრთხილოა, სადმე, მანქანების ორომტრიალში, რომელიმე გახურებული მოძრაობის ტრასაზე არ გადაიტანონ, სადაც კაციშვილი ვერ მიუახლოვდება...

გივის და მე (ცხადია, სხვებსაც) ბატონი ვახტანგი მუდამ გვისმენდა ხოლმე. მახსოვს, როცა „ციცკარში“ ვმუშაობდით, თვითონ კი „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი იყო, გაზეთში პასუხისმგებელი მდივნის ადგილი გათავისუფლდა. ჯანსუღმა მითხრა, ერთად ყოფნა კარგია, მაგრამ დროა გაეიშალოთ, კარგი იქნება თუ შენ „ლიტერატურულ საქართველოში“ გადახვალ, ჩვენი პოზიციები გაძლიერდება, იქ ვინმე არასასურველი პიროვნება არ

გაგზავნონო. მე მცირეწლოვანი ბავშვები მყავდა, პასუხისმგებელ მდივანს ხშირად უწევდა სტამბაში ტრიალი და მორიგეობა, რაც იმხანად არ შემძლო. ჯანსუღს ეუთხარი, მაცალე, რამეს მოვიფიქრებ-მეთქი. გივი გვგეჰქორი გაეინხმე გვერდზე, გაეანდე, ასეა საქმე, ჩემზე ბევრად შესაფერი კანდიდატურა თამაზ ბიბილურია, გამოცდილი ჟურნალისტი და ნიჭიერი მწერალი, თანაც დატანჯა, არაქათი გამოაცალა იმ გაზეთში მუშაობამ, თავისას ვედარაფერს წერს, „ლიტერატურულ საქართველოში“ მეტი თავისუფალი დრო ექნება, სასწრაფოდ ვინახულოთ ბატონი ვახტანგი და მისი მიღება ეურჩიოთ-მეთქი. მართლაც, იმავე საღამოს მივედი და ბატონი ვახტანგი ერთი წუთითაც არ შეყოყმანებულა, მაშინვე დათანხმდა და თვითონვე დაურეკა თამაზს. თამაზ ბიბილურმა ერთგან თავად აღწერა, როგორ გაუჭირდა მასთან განშორება „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორს გიორგი გელაშვილს, კეთილ ადამიანს, მაგრამ მეტისმეტად სუსტ, უბადრუკ მწერალს; ერთხელ თავისი ნაცოდვილარი, ნამდვილი აბღაუბდა, რომელსაც არანაირი გასწორება არ უხერხდებოდა, ძალათი შემოგეტენა „ცისკარში“. ატყდა ერთი უბედურება, მკითხველები, ხელისმომწერლები გვირეკავდნენ, ეს რა უსუსურობა დაბეჭდეთო. ჯანსუღს, როცა გაიგო, „ლიტერატურულ საქართველოში“ პასუხისმგებელ მდივნად თამაზ ბიბილური მივიდოდა, ადარაფერი უთქვამს, პირიქით, დიდად კმაყოფილი დარჩა, გაუხარდა.

ვახტანგ ჭვლიძის გვერდით ყოფნა, მასთან წლების მანძილზე მუშაობა უდიდესი სკოლა იყო და თამაზ ბიბილურისათვის იგი ყველაზე ნაყოფიერი გამოდგა. სწორედ ვახტანგ ჭვლიძის უშუალო რჩევით დაწერა საწუთროსთან ნაადრევად განშორებულმა თამაზ ბიბილურმა, ქართული სოფლისა და ჩვენი ტრადიციების ძირფესვიანად მცოდნემ, თავისი საუკეთესო ქმნილება „წელიწადის დრონი“, რომელსაც უამრავი აღტაცებული და მაღლიერი მკითხველი ჰყავს..

ამ წიგნმა, სრულიად სამართლიანად, დახვეწილი გემოვნების ლიტერატორთა არაერთი საქებაარი სიტყვა დაიმსახურა. ამჯერად დაეჯერდებით მხოლოდ ვახტანგ ჭვლიძის გამონათქვამს, რომელშიც უმცროსი მეგობრის ნახელავის მთელი არსია წარმოჩენილი:

„წელიწადის დრონი“ ყმაწვილებისთვის არის დაწერილი, მაგრამ მას ყველა სიამოვნებით წაიკითხავს.

...ახალგაზრდას დააფიქრებს იგი, მოხუცს სიხარულის ცრემლს მოჰკერის, რადგან ამ წიგნს დაჰკრავს ის ნათელი სეედა, რაც მუდამ

ახლავს წარსულის გახსენებას. ასეთი წიგნები უბრუნებს ადამიანს მისგანვე შეურაცხყოფილი ბუნების მოკრძალებასა და სიყვარულს“.

ადვილი წარმოსადგენია, რამდენად დამთრგუნველი, თავზარდამცემი იქნებოდა თამაზ ბიბილურისთვის რედაქციიდან ვახტანგ ჭვლიძის წასვლა, რასაც მანამდე ათასგვარი ჭკორი, გულისამრევი ინსინუაციები უძლოდა. აჯობებს, თვითონ მას დაუუგდოთ ყური. მცირე, ფრაგმენტულ, დიდი ადამიანური სითბოთი და სიყვარულით მსუნთქავ მოგონებაში თამაზ ბიბილური წერს: „... ბატონ ვახტანგს თითქმის შუალამისას აცნობეს, რომ ხვალიდან „ლიტერატურულ საქართველოში“ სხვა რედაქტორი მოდიოდა და თავად კი გამომცემლობა „ნაკადულში“ უნდა წასულიყო, რომ ასე მოითხოვდა საქმე (საბავშვო წიგნების გამოცემაზე ზრუნავდნენ) და, რაც მთავარია, შეუნარჩუნებდნენ ყველა პრივილეგიას...“

ბატონი ვახტანგი არ აღელვებულა. „პრივილეგიებზე“ კი მისთვის ჩვეული სარკაზმით თქვა: ვერ ვეღირსე რედაქციისთვის შესაფერის ბინას, მეხუთე სართულზე ფეხით აედივარ. რედაქციას ერთი დაფეხვილი მანქანა ემსახურება. კრწანისის განსაკუთრებულ მაღაზიაში ერთხელაც არ დამიდგამს ფეხი... თუ ამ პრივილეგიებს გულისხმობთ, კი ბატონოო...

იმ „ზეციურმა ძალებმა“ ტრიუმფალური გამარჯვება იზვიამეს. ბოლოს ეს ტრიუმფი „ნაკადულშიც“ განმეორდა. წიგნის საქმეს ჩამოაშორეს კაცი (იორამ ქემერტელიძე ჩაანაცვლეს — ე. კ.), რომელმაც დაიწყო გამოცემა მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკისა (გამომცემლობა „საქართველოში“), შექმნა „ცისკარი“, დააარსა ალმანახი „ხომლი“ და ბოლოს გამოჩნდა მსოფლიო ლიტერატურის საბავშვო ბიბლიოთეკა „ნაკადულში“.

ხოლო ლიტერატურაში თავად რა წვლილი მიუძღვის, ამის აღნუსხვას ახლა ვერ შეუდგები.

მეტი რაღა უნდა გაეკეთებინა?“

ვერ დავეთანხმები ჩემს ძვირფას თამაზს, განუზომლად მეტს გააკეთებდა, ათასნაირი ინტრიგის ხლართები რომ არ გაებათ, მზაკურულად ორმოები რომ არ ეთხარათ, ფიზიკურად არ დაეუძღურებინათ უკეთურ ადამიანებს, რომელთა ბნელი სახეები, ალაგ-ალაგ, ამაზრზენად იკვეთება სახელდახელო ჩანაწერებში. შეურაცხყოფისა და დამაბულობისაგან ინსულტი მოუვიდა და დამბლისგან სახე, მთელი გამომეტყველება შეეცვალა. ცალი, მარცხენა თვალის

უბე დაჭიმული, ჩამოქაჩული ქქონდა, ლოყები — არაბუნებრივად აწითლებული. წელში მოხრილს, ხელის თითებიც დაეკრუნჩხა; ბოლოს კალმის აღებაც აღარ შეეძლო, წიგნსაც ევლარ კითხულობდა. ვინ იცის, კიდევ რამდენი ჩანაფიქრი დარჩა განუხორციელებელი, რამდენი დაკარგა ქართულმა მწერლობამ, ჩვენმა კულტურამ, რომელსაც მთელი ცხოვრება ემსახურა!..

* * *

ვახტანგ ჭელიძე უაღრესად ზრდილი და თავმდაბალი (სანამ „ლიტერატურულ საქართველოს“ რედაქტორობდა, იქ მისი საქებური სიტყვაც არ გააჭაჭანა, საკუთარი საიუბილეო თარიღების აღნიშვნასაც შეუვალად ეწინააღმდეგებოდა), მაგრამ, ამავე დროს ძალზე პირდაპირი კაცი იყო. ადამიანის ბუნებას შეუცდომლად ამოიცნობდა ხოლმე და უმიზეზოდ არავის შეიჯავრებდა. ვინც არ უყვარდა და სიგლახეში შემჩნეული ჰყავდა, მერე თავით ქეამარილი რომ დაენაყა, იმაზე იოლად აღარ მოიბრუნებდა გულს.

ნოდარ დუმბაძის ქვრივმა, დასაევით ახლობელმა ნანული გუგუნავამ ამას წინათ უცნაური რამ მითხრა. ბატონ ვახტანგს, თავშეყრის ადგილას, საზოგადოებაში, როცა ვინმე, მისთვის უსიამოვნო პიროვნებას თვალს მოკრავდა, უეცრად ცხვირის ცემინება აუტყდებოდა. შინაურები, რომელთაც ეს „საიდუმლო“ იცოდნენ, ღიმილით ბეჭზე ხელს დაკრავდნენ და სიცოცხლეს, ჯანმრთელობას უსურვებდნენ. ზოგიც რომელიმე ახალგაზრდაცელილს გაიხსენებდა, იმის მოსვლამდე არაფერი გეტკინოთო, ეტყოდნენ (მოგეხსენებათ, არის ასეთი დალოცვა). ბატონ ვახტანგს ბოლოს თურმე თვითონვე ეცინებოდა თავის ამ უნებლიე თვისებაზე, რომელსაც შეიძლება „დისტანციური ალერგია“ ეწოდოს (ნამდვილი, სულისშემხუთავი ალერგიაც ტანჯავდა წლების მანძილზე და ვერაფერი მოუხერხა).

მეორე მხრივ, ვისაც შეიყვარებდა და გულთან ახლოს ჰყავდა, ბოლომდე ერთგულობდა, თანადგომას არ აკლებდა. არ ყოფილა შემთხვევა, წესიერი, პატიოსანი მწერლისთვის, რედაქციაში ანდა გამომცემლობაში, რაიმეზე უარი ეთქვას. მე ზედმეტად ხათრიანი ვარ. ხშირად ხდება — ჩემს გასაკეთებელს გადავებ ხოლმე და სხვებზე ეხარჯავ დროს, ძალ-ღონეს.

კარგა ხნის ამბავია. მოიხოვეს — ერთი ახალგაზრდა, დახეობრებუ-

ლი კაცია (ბიჭობისას, მღინარეში გადამხტარს, ხერხემალი წვეტიან ქვაზე დაერტყა, წელს ქვემოთ მოწვევტილი იყო და ოთახში საგორავი ეტლით დადიოდა), ნიჭიერი, დისერტაცია წარმატებით დაიცვა. შტატს პპირდება აკადემია, მაგრამ რაღაც უნდა გამოქვეყნდეს მასზე გაზეთში და მერე სამსახურშიც მიიღებენო. სამადლო საქმე ჩანდა. გამაცნეს ის მართლაც კარგი ვაჟკაცი (ობლად იყო გაზრდილი). რუსთაველზე ცხოვრობდა ოპერის წინ. ვესაუბრე. ძალიან მომეწონა. ოჯახი (დედა და დეიდა) გაგვიმასპინძლდა. მან ღვინოც დალია ჩემთან და თავის მეურვესთან, ქომაგთან ერთად. გული დამწყვიტა მისმა უმწეო მდგომარეობამ. გასაჭირს არ იმჩნევდა, ხალისიანად თამაძობდა.

წერილი მალე გაეაშხადე და ბატონ ვახტანგთან მივიტანე „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში. გაეხარდა ჩემი დანახვა, დამსვა, რაზე შეწუხებულხარო, მკითხა. ვუთხარი, რისთვისაც ვიყავი მისული და ის სამი ფურცელი გაუწოდე. მაშინვე დაიწყო კითხვა. თავი როცა ასწია, სახეზე გამომცდელი ღიმილი დასთამაშებდა:

— ხომ იცი, მე შენ უარს არაფერზე გეტყვი, მაგრამ გირჩევ, ამის დაბეჭდვაზე თავი შეიკავო. დანარჩენ ინვალიდებს რაღას უპასუხებ, გამოქვეყნებისთანავე რომ დაგესევიანო, მკითხა.

ვუთხარი, რომ ამაზე ადამიანის, პატიოსანი ოჯახის ბედი იყო დამოკიდებული და ძალზე კეთილ საქმეს გააკეთებდა, თუ დაბეჭდავდა.

მე ჩემი მითქვამს, აწი შენ იცოდეო, ისევე გაღიმებულმა მითხრა და პირველსავე ფურცელს, თავში, ხელად წააწერა: „აიწყოს!“

დიდად გაიხარა იმ ყმაწვილის ოჯახმა — თვითონ ხეიბარმა (ერთ კვირაში მისცეს შტატი), დედამ, დეიდამისმა. დამირეკეს, უზომო მაღლობა გადამიხადეს.

წერილის გამოქვეყნებიდან მეორე თუ მესამე დღეს, შინ მისულს, დედაჩემმა მითხრა — ვიდაც საწყალმა კაცმა დარეკა, ისიც ლოგინად ყოფილა ჩავარდნილი რამდენიმე წელიწადია, პოლიომიელიტს დაუღუპავეს, ლექსებს წერს თურმე, უტირია შენს წერილზე. თავისი გვარ-სახელი, მისამართი და ტელეფონი ჩამაწერინა, თქვენი შვილი დეთისნიერი ადამიანი ჩანს, უსათუოდ დამირეკოს, რაღაც უნდა ვთხოვოო. ნუ გააწბილებ, დაჩაგრული იქნება!

დამრეკავი სულიყო დიასამიძე აღმოჩნდა, დადიანის თორმეტში მცხოვრები. მე მაშინ არ შევხშიანებივარ. მალე თვითონ შემახსენა თავი.

მორიდებული პიროვნება ჩანდა, მაგრამ რალაცნაირი შემაწუხებელი, ღნაილა. ხმა პქონდა, ჩემზე ცუდად იმოქმედა. სხვა გზა არ იყო, წავედი, ვინახულე. ლურჯი სპორტული პიჟამო ეცვა. ტახტზე გაწოლილს ხელი ჩამოვართვი, პარკში ჩაწყობილი ნამცხეარი სასთუმალთან დავედე. რატომ წუხდებოდითო, წამოიკნაველა. ოთხკუთხედი ნიკაპი და გამხდარი, დაკუთხული ყბები, შავი, წერილი უღვაშები და გვერდზე გადაეარცხნილი თხელი თმა საწყლურ იერს აძლიერებდა. მისი ასევე დაერდომილი, წვერმოშეებული, თვალეზჩადამებული მოხუცი მამაც მოშორებით, კედელთან იწვა. ტახტურეტზე ლობიოთი სავსე, ორთქლადენილი მათლაფა ედგა და მღუმარედ ილუკებოდა, დაღებისას პირი პატარა, შავ ორმოს უგაედა. ვან გოგის გენიალური სურათის — „კარტოფილის მჭამელების“ — ესკიზს წააგაედა, თუმცა ამოლესილ ლობიოს გეახლებოდათ. გურიაში გამიგია დამცინავი, სახუმარო გამოთქმა — ნუ დაგიღია სალობიე პირიო. იმ კაცს სახუმაროდ სულაც არ პქონდა საქმე. გამოხედეაზე ეტყობოდა, დიდი დღე არ ეწერა.

სულიკომ მითხრა, რომ და გათხოვილი პყაედა, ახლოს ცხოვრობდა და ყოველდღე აკითხაედა, პატრონობდა აეადმყოფ მამასა და მას (კარი სწორედ დამ გამიღო), მერე სუფთად გადაწერილი თავისი ლექსები გამომიწოდა. ბალიშის ქვეშ პქონოდა ამოდებული. ცოდვას ვერ დაეიდებ, დასაბეჭდად გამოსადეგი იყო. მოკლე წინათქმა დაეურთე (ასეთი რამ ბეერჯერ გამიკეთებია), რომელიღაც რედაქციას მიეუტანე და ზედიზედ გამოუქვეყნეს. ორ თუ სამ წელიწადს გაეუძელი ამ ურთიერთობას. როცა ტელეფონში გაეიგონებდი მის მიკნაელებულ ხმას: „გამარჯობათ, სულიკო ვარ!“ — ცუდად ეხდებოდი. იმ წერილის გამო სხვებიც გამოემეხმანენ, მათაც პქონდათ რალაც სათხოვარი, მაგრამ ისინი, შედარებით იოლად მოეცილე. ზოგჯერ ჩემი ამბავი კომიზმამდე მიდის. ერთ ქალს (იმის გამო ახლობელი მომადგა), კარგახნის წინ, ეურედაქტორე, მის ძალიან საშუალო ლექსების კრებულს წინასიტყევაობა დაეურთე. ახლახან დამირეკა — ფონიჭალაში ეცხოვრობ, ლოგინად ვარ ჩავარდნილი, ნათესავი მიეღის, ლექსების ახალი წიგნი მოეამზადე და სპონსორი მამოენინეთო. ბოდიში მოეუხადე, სპონსორის შოენა არ მეხერხება, სპონსორი ჩემთეისაც ვერ მიპოენია-მეთქი.

ბატონ ვახტანგს დიდხანს ეუმალავდი ჩემს გასაჭირს. ბოლოს გამოეუტყდი, რაც დამემართა. გადაიხარხარა, ახია შენზეო.

ესეც კეითხე, წყლიან ტაშტში ხომ არ იხედებოდიტ გრძნეული

მკითხავევით, წინასწარმეტყველი ყოფილხართ-მეთქი.

ამას რა წინასწარმეტყველება უნდოდა, ცხოვრებისეული გამოცდილება მაქვს, ვიცი, რას რა მოჰყვებაო, მითხრა. გამოცდილება მართლაც რომ უზარმაზარი კქონდა. ბევრჯერ მივსულეარ მასთან, ზოგიერთის საქციელით გამწარებული, წინასწორობადაკარგული, რჩევის საკითხაეად და მუდამ ისეთი რამე უთქვამს, ყოველთვის გამომდგომია.

გულწრფელად უნდა ვაღიარო — ჩემს მდგომარეობაში მყოფ ადამიანს ზედმიწევნით მიესადაგება მარკ ტვენის ჭკუის სასწავლებელი მოთხრობა „საქველმოქმედო ლიტერატურის შესახებ“. მოთხრობაში სხარტადაა ნაჩვენები, როგორ დააზარალა ავტორი საქველმოქმედო შინაარსის ნაწარმოებთა კითხვამ (გავიხსენოთ სარაინდო რომანებისგან ჭკუაზე შეშლილი დონ კიხოტი), სადაც გამოჩენილი ქველმოქმედების გასამართლებლად და მხარდასაჭერად, ყოველ ამბავს ბედნიერი ფინალი აქვს. ტენი აღნიშნავს, რომ ასეთი დაბოლოება სინამდვილეს არ შეეფერება, მან თვითონ შეისწავლა რამდენიმე შემთხვევა და თითოეულს ნამდვილი, დამაჯერებელი დასასრული მიაბა.

პირველს („მადლიერი პუდელი“) არაკის ფორმა აქვს და მოგვითხრობს, კეთილმა ექიმმა მაწანწალა, ფეხმოტეხილ პუდელს როგორ მოურჩინა ფეხი და მალე მადლიერმა ცხოველმა მასაევით დასახიჩრებული სხვა ძაღლი მიუყვანა. ექიმში მასაც განკურნავს და ღმერთს მადლობას სწირავს, რომ ამის გაკეთების შესაძლებლობა მიეცა.

კომიკურიამარკტვენისეულიგაგრძელებაამამბისა. განკურნებულ ძაღლებს იმავე რაოდენობის სხვა, ფეხმტკივანი ძაღლები მოჰყავთ და მათი რიცხვი გეომეტრიული პროგრესიით იზრდება. ბოლოს დასტაქარს მთელი ხროვა მიაღდება, იქაურობას წკმუტუნითა და ყმუილით იკლებენ. გამწარებული ექიმში თოფს გამოიტანს, უნებურად კუღზე ადგამს ფეხს მის მიერ მორჩენილ პირველ პუდელს, რომელსაც თურმე ცოფი შეჰყროდა. ყოფილი პაციენტი მკურნალს უკბენს და ერთი თვის მერე იგი იღუპება.

მეორე ამბავი, უშუალოდ ლიტერატურას რომ ეხება („დიდსულოვანი მწერალი“), კიდევ უფრო სარკასტულია. აქ მოთხრობილია კეთილგანწყობილი სახელოვანი მწერალი როგორ უანგაროდ ეხმარება ღარიბ, შიშმილისგან ღონემიხდილ ახალგაზრდა მწერალს, თავის საქმეს გადასდებს, უსწორებს ხელნაწერს, სასწრაფოდ

უბეჭდავს ჟურნალში და ახალბედა ავტორმა აღარ იცის, როგორ გამოხატოს თავისი უსაზღვრო მადლიერება.

მთლად ანეგლოტურია და თანაც მწარე სიმართლედ გამოიყურება ამის გაგრძელება, როცა ახალგაზრდა მწერალს დასტა-დასტად მიაქვს დიდოსტატთან ხელნაწერები, გულის შეღონებამდე ასწორებიანებს თავის უბადრუკ ნაცოდვილარს. ამასობაში იგი ხელს გაიწაფავს და ამდენი მადლის გამკეთებელ კეთილისმყოფელზე ისეთ შხამიან პასკვილს დაწერს, რომ საწყალს გული გაუსკდება.

ასევე დამაფიქრებელი და ჭკუისსასწავლებელია მესამე ამბავი („მადლიერი ქმარი“); მოხერხებული, მარჯვე ყმაწვილი უილიამ ფერგიუსონი შეძლებულ კაცს თომასონ მაქსპადენს ცოლ-შვილს გადაურჩენს, ეტლში შებმულ დაფეთებულ ცხენებს დაამშვიდებს, მოთოკავს და ამის გამო ოჯახის პატრონისგან გეარიაან გასამრჯელოს მიიღებს.

გაგრძელებაში მოთხრობილია, იგივე ფერგიუსონი როგორ ძმრად ამოადენს სიკეთეს მაქსპადენს — ნაირნაირ სარფიან სამსახურებში მოაწყობინებს თავს, ხან რას დააეალებს და ხან — რას, სიგიჟემდე მიიყვანს. აქ უნებურად გაგახსენდება ჩვენი გენიალური სულხან-საბას არაკი „ორმოში ჩაეარდნილი მეფე“.

მარკ ტვენის მოთხრობას (მსგავსი ამბები „ტომ სოიერის თავგადასავალის“ ავტორს, ეტყობა, თვითონაც გადახდა) ერთვის მშვენიერი, ღიმილიანი შგონება, რომელმაც სხვა თუ არაფერი, უნდა დაგეაფიქროს:

„აღბათ ჩემს ყოველ მკითხველს, თავისი ცხოვრების რომელიდაც განსაზღვრულ და სასიამოვნო დროს თავად უთამაშია საქველმოქმედო ამბავთა გმირის როლი და ახლა იცით, რა მანტერესებს? ნეტავ მაცოდინა, რამდენია მას: შორის ისეთი, რომელთაც უყვართ ამაზე საუბარი, ან საერთოდ, სიამოვნებთ თუ არა, როცა მოაგონებენ, რა შედეგი მოჰყვა მათ ქველმოქმედებას“.

ამის აღიარება და „ამაზე საუბარი“ ღიდად სასიამოვნო ნამდვილად არ გაზღავთ, მაგრამ როცა ბატონი ვახტანგი თავის ღროზე მაფრთხილებდა, მას უთუოდ ახსოვდა დიდი ამერიკელი მწერლის ბრძნული მოთხრობა. უფრო გულახდილი თუ ვიქნები, იმის თქმაც შემიძლია — ეს იუმორესკა ჩემზე დაწერილი მგონია.

ბატონი ვახტანგისნაირად ცოტა ვინმემ თუ იცოდა ცინცხალი ხუმრობის, მოსწრებული სიტყვის ფასი. იუმორის შეუდარებელი გრძნობა ჰქონდა. ერთი ვაი-ლიტერატორის, უშნოდ მჩხრეკელის,

ყოფილი პარტიული მუშაკის ტოპონიმიკური ძიებანი წაეკითხა. სხვა, ძნელადგასაშიფრავ „პრობლემებთან“ ერთად ისტორიული სოფლის — ბოდბეს — წარმოშობას უტრიალებდა და ეტიმოლოგიის მეშვეობით ცდილობდა დაედგინა, თუ რატომ უწოდეს მაინცდამაინც ეს სახელი. ვარიანტებად წარმოადგენდა და ძირებს აცალკევებდა: ბოდ-აეი, ბოდ-ბე და ა.შ. ბატონი ვახტანგი ოდნავ უტრირებას კი ახდენდა, მაგრამ „მეცნიერული მიგნების“ არსს არ ამახინჯებდა. განზრახ სერიოზული სახით მითხრა: ანბანზე აქვს გაწყობილი: ბოდ^ა და ბოდ^ბ; პირველი და მეორე ანუ ზემო და ქვემო ბოდბეო. მერე დაატანა — თვითონ არა, რას ვერჩი, მაგრამ ის კი არის ნამდვილად მოსაკლავი, ვინც ამ ნაბოდვარს უქვეყნებსო.

მეც ახალწაკითხული მქონდა იმავე ლაგამაწყვეტილი „მკვლევარის“ ვაჟოლოგიური შტუდიები და ერთგან, საცა „ბახტრიონის“ ფინალის ფარული პლანის მისებურად ამოცნობას ცდილობდა, ასეთ „მარგალიტს“ წაეაწყვი: „ვაჟას გენიოსობა იმითაც ფიქსირდება, რომ მან სიკეთის გზაზე შემობრუნა ისეთი ბოროტი პირუტყვი როგორც გველია“...

ამის გაგონებაზე ბატონი ვახტანგი კინალამ ჩაბჟირდა, ლამის სუნთქვა შეეკრა სიცილისგან, ცრემლები მოიწმინდა და თქვა: ასეთი შეურაცხყოფა მსოფლიოში ჯერ გველისთვის არაეის მიუყენებია. ბოლოსდაბოლოს სიბრძნის სიმბოლოდაა ცნობილი, პირუტყვად როგორ მოიხსენია... ხელები უნდა აეწიო, შენი მაგალითი ჩემსას ნამდვილად ჯობსო. ასეთ ლალ გუნებაზე ადრე უფრო ხშირად დგებოდა და ის დრო, კარგა ხანია, მოსანატრებელი გახდა.

მოწმე ვარ, დღემდე როგორ ემადლიერება ბატონ ვახტანგს ჩვენი უნიჭიერესი მხატვარი და ასეთივე მწერალი ელგუჯა ბერძენიშვილი. მათი მეგობრობა სრულიად განსაკუთრებული იყო. ელგუჯას პროზის შედეერი „ხასანბეგურა“ (იგი უცილოდ დაიკავებს თავის ადგილს ათ საუკეთესო ქართულ მოთხრობაში, მაგრამ ახლანდელ შემდგენლებს, მათდა სავალალოდ, დიდ ანთოლოგიებშიც არ შეაქვთ) ბატონმა ვახტანგმა გახარებულმა დაბეჭდა „ლიტერატურულ საქართველოში“. მერე, როცა მწერლების გაზეთს გაარიდეს და გამომცემლობა „ნაკადულის“ ღირექტორი გახდა, ავტორისთვის არც შეუტყობინებია, ისე ააწყო და შეკრა წიგნად. ელგუჯა დაბნეული იყო, ამოდენა ყურადღებას არ მოველოდიო. ბოლო წლებში ბატონი ვახტანგი ევლარ გამოდიოდა სახლიდან. ელგუჯასაც ჩვევად ექცა შინ ჯდომა, სიარული უჭირს, შეუძლოდ არის, მაგრამ ბევრს

და ნაყოფიერად მუშაობს. ისინი, როცა რაიმეს დაწერდნენ ანდა გამოაქვეყნებდნენ, ერთმანეთს უგზავნიდნენ. ზოგჯერ ეს მისია მეც მერგებოდა ხოლმე. ერთხელ (ელგუჯას გაზეთ „კალმასობაში“ ახალი გამოქვეყნებული ჰქონდა თავისი საკმაოდ კომპარული მოთხრობა „ღამის სტუმარი“ ალგორიულად გამოყვანილი სიკედილის გამოჩენაზე). ჩემმა უფროსმა მეგობარმა მითხრა, ბატონმა ვახტანგმა ისეთი სწორი შენიშვნა მომცა ფინალზე, მკითხველს ზედმეტად უღეჭავ სათქმელსო, წიგნში შეტანამდე უსათუოდ უნდა შევცვალო, რამდენიმე სტრიქონი წასაშლელიაო. მგონი ხასიათი გაეუფუჭე მოხუც კაცს სიკედილის მოლანდებებით, ახლა სხვა, ნათელი განწყობილების მოთხრობას ვწერ და თუკი ივარგა, მას მიუძღვნისო. მართლაც, ერთ კვირაში მომცა ძალზე პოეტური და ამაღლებული ქმნილება „ფეხშიშველა ანგელოზები“. სოფლად, ძველ ეკლესიაში, სამუშაოდან დაბრუნებული ფეხშიშველა გოგოები დემეტრე მეფის იამბიკოს, სწორუპოვარ უძველეს საგალობელს („შენ ხარ ეენახი!“) მღერიან, ქარ-წვიმისგან ფერგადასული, ნიშბებიანი ფრესკების ადგილს იკაეებენ. ჭემმარიტად, სხეანაირი მაღლით გაბრწყინებული ფინალია — ავტორი ამბობს ჩაის კრეფისგან თითებგამწვანებულ, ხელისგულებდახეთქილ გოგოებზე — მინდოდა დაშეკოცნა მათი გატალახული ფეხები... როგორც ნაცარწყაყრილი ღველფი ინახავს ცეცხლს, რათა დილით სული შეეუბეროთ და კერია გაღვივდეს, ჩენი კულტურა, ჩენი საუნჯე ამ ფეხშიშველა ანგელოზებმა შემოგვინახესო. ამ პასაჟის გახსენებისას მე განზრახ ავერიდე ზუსტ ციტირებას, მეხსიერებას დავენდე.

როცა ბატონმა ვახტანგმა ჩემი მიტანილი მოთხრობა, თავისი მიძღვნითურთ, წაიკითხა, სიხარულისა და აღფრთოვანებისაგან თვალები მოუწყლიანდა, რა კარგი რამე დაუწერიაო. დიდი მიხვედრა არ სჭირდებოდა, მეტად კმაყოფილი რომ დარჩა. ელგუჯას მოგვიანებით დაეურეკა და მადლობას ვეტყვიო, აღელვებულმა მითხრა...

ვახტანგ ჭელიძე არავის პატიობდა უზნეობას. მით უმეტეს, როცა ასეთ რამეს მწერლები სჩადიოდნენ. ივანე მაჩაბლის ქალიშვილის ელისაბედ მაჩაბლის გარდაცვალების გამო დაწერილ მცირე, მეტად მგრძნობიარე გამოსათხოვარში (1982) მოყოლილი აქვს ფრიად

საჩოთირო ამბავი, როდესაც, რომოცდაათიან წლებში, ივანე მანაბლის თარგმნილი შექსპირის ტომებად გამოცემისას მემკვიდრეებს არაფერი არგუნეს, ყოვლად გაუმართლებელი სიხარბე გამოიჩინეს. მანამდე იყო რამდენიმე შემთხვევა — მემკვიდრეობის თხუთმეტწლიანი ვადა გადასწიეს (ვაჟა-ფშაველას მემკვიდრეებს მისცეს პონორარი). ვახტანგ ჭელიძემ ხსენებულ წერილში არ დაასახელა გამომცემლობის დირექტორი და ერთი მისგან წაქეზებული ცნობილი მწერალი; ისინი საჯაროდ გააკვიროდნენ, მწერლებს პირიდან ლუკმას გვაცლიანო. მემკვიდრეებზე გასაცემი თანხა (უკვე შზად იყო მინისტრთა საბჭოს დადგენილება ერთდროული დახმარების გაცემაზე), მოგებასთან შედარებით, მიზერული იყო, ხოლო მანაბლის შთამომავლები იმხანად ძალზე ხელმოკლედ ცხოვრობდნენ. საარქივო ჩანაწერში მითითებულია დირექტორისა და იმ გაწინააღმდეგებული მწერლის ეინაობა.

არც ისე იშვიათია შემთხვევები, როდესაც შეილებმა არ იციან თავიანთი მამების ნამდვილი ფასი. ერთი ასეთი ფაქტის მომსწრე მეც ვყოფილვარ, მაგრამ აქ არ მინდა იმ კონკრეტული შემთხვევის დასახელება, დიდ ალიაქოსს გამოიწვევს. იმ ქალბატონის „აზრის“ მოსმენისას კი სახტად დავრჩი. ამგვარი იმედგაცრუება და გაოცება, თავის დროზე, ბატონ ვახტანგსაც უგრძენია და ეს, რამდენადმე, კუროზად გამოიყურება:

„მანაბელზე“ მუშაობას რომ შევეუდექი და ელენე ჩერქეზიშვილთან დავიწყე საუბრები, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ელენემ არ იცოდა მამის ფასი, დედას უფრო აფასებდა, უფრო უყვარდა და უფრო დიდ მოღვაწედ მიაჩნდა... იცოდებდა, მამამ ამ დღეში ჩააგდო... ჩემგან სულ ისა სწყინდა, რატომ დედაჩემით არა ხართ დაინტერესებული და მარტო მამაჩემზე წერთო (როცა წაუუკითხავდი ხოლმე ნაწყვეტებს). ამით, რა თქმა უნდა, კი არ ვამცირებ ელენეს — იგი ძალიან, ძალიან კარგი ქალი იყო... ამით იმას მინდა ხაზი გაუუსვა, დედამისი როგორა ზრდიდა“.

ეს სტრიქონები როცა წაუკითხე, მე თვალნათლივ დავინახე საწერ მაგიდასთან დახრილი ბატონი ვახტანგი, მისი კეთილი, ალერსიანი, მიმტევებელი ღიმილი.

მანაბლის ცხოვრებაზე მასალებს რომ აგროვებდა, ვახტანგ ჭელიძემ მთელი იმდროინდელი პერიოდიკა და, რამდენადაც ხელი მიუწვდებოდა, მიწერ-მოწერა (ბარათები) გადაიკითხა. აშკარაა, როგორ შენატრის გარდასულ ეპოქას, სადაც გაცილებით მეტი

ბუნებრიობა და ურთიერთსიყვარული იყო და ეს სრულებითაც არ გიკვირს, სიკეთის წილ, თვითონ მან იმდენი ვერაგობა და სიბოროტე, შხამი იწენია. იმ ნაირგეარ მასალებში, ალაგ-ალაგ, ღიმილისმომგერელ ფაქტებსაც წაწყდომია და აღუნიშნავი არც ეს დარჩენია:

„მაჩაბელზე“ მუშაობის დროს არქივებში და ძველ გაზეთებში მასალების მოძიება...

რა საინტერესო იყო ყოველი ქრონიკა ძველი გაზეთებისა, რა უშუალოდ, არაოფიციალურად, ინტიმურად გადმოშლიდნენ ფაქტებს, და როგორ არა ჰგავს ეს ჩვენს დღევანდელ დაშტამპულ მასალებს...

რა გულუბრყვილოდ გეჩვენება ზოგი მასალა და სინამდვილეში როგორი ადამიანური და საყვარელია... პირად წერილებშიც რაოდენ საოცარ და მიშხიდველ ამბავს, ზოგჯერ კურიოზულსაც წაწყდები. ერთ წერილში მაჩაბელი მეუნარგიას სწერს — დავით ერისთავისა არ იყოს, როცა სწუხს: — ყველას რუსთაველი აკერია პირზე და მამაჩემ გიორგი ერისთავს არავინ ახსენებსო“.

ახლობლის, სისხლისმიერი ნათესავის, მშობლის ბრმა სიყვარული ისეთ სისულელეს დააწერიანებს ადამიანს, თვალს არ დაუჯერებ.

ბატონი ვახტანგის ნოსტალგიას კიდევ უფრო მძაფრად გვაგრძნობინებს 1982 წლის 19 ივლისის ჩანაწერი, მემუარებში გამო-საყენებლად რომ იყო განკუთვნილი:

„მეცხრამეტე საუკუნის ამბებზე რომ ეწერ, რაღაცნაირად გადავიდიარ იმ ეპოქაში, თითქოს იმ ხალხს ვუახლოვდები და ეს მიაღვილებს ბევრ თანამედროვე ადამიანთან ურთიერთობის სიძნელეს. ამიტომ როგორმე ჩქარა უნდა დაეამთავრო ქრონიკები და მე-19 საუკუნის ქრონიკაზე გადავიდე“.

ასეა, იქ ყველაზე ლაღად, შეუბოროკავად იგრძნობდა თავს, ჭეშმარიტად მისიანებში მოხედებოდა.

თუ როგორი შემართებით ეშხადებოდა ვახტანგ ჭელიძე თავისი დიდი ბიოგრაფიული რომანის შესაქმნელად, ეს მის მრავალ ჩანაწერში ჩანს. ერთ მათგანში სამაგალითო მაღლიერებითა და სიფაქიზითაა დახატული ძველი ინტელიგენტი, ივანე მაჩაბელთან შენახვედრი ექიმი დემურია, რომლის თითოეული მოძრაობა დოკუმენტური კინოკადრის სიზუსტით არის აღბეჭდილი და გაცოცხლებული. ბატონი ვახტანგი ამ ჩანაწერსაც პირდაპირ, ჩვეულებრივი ფრაზით იწყებს, სათქმელს შორიდან არ უვლის:

„მაჩაბელზე“ რომ ვმუშაობდი, ვცდილობდი პირადად მენახა

ყველა, ვისაც კი რაიმე ურთიერთობა ჰქონდა ან ვინც რაიმეთი დაკავშირებული იყო მასთან. მითხრეს, რომ ექიმ ღემურიას შეეძლო ზოგი რამ საყურადღებო ეთქვა. მართლაც მითხრა და მე ეს წიგნში მაქვს. ეს კაცი ძალიან სიმპათიური იყო და მე ბავშვობიდანვე ვიცნობდი — ესე იგი ბავშვობაშივე მენახა. ბავშვობაში სულ ტუბერკულოზის შიში მქონდა — მაშინ ჭლექი მძინეარებდა. ჩემს შიშს დედანემის ფეთიანობაც აძლიერებდა. საკმარისი იყო ცოტათი დამეხველებინა, ან გვერდში ჭვალა მგერძო, რომ მაშინვე ექიმთან გამაქანებდა — ხარიტონ ჭელიძესთან, ქალაქში, უმთავრესად, რეკავასთან. ერთხელ, მერვე კლასის მოწაფეს, ისევე მომეჩვენა, რომ აჟად ვიყავი და პოლიკლინიკაში წავედი — სწორედ აქ ვნახე პირველად ღემურია — საოცრად სიმპათიური და თბილი კაცი, მაშინ ალბათ შედარებით ახალგაზრდა იყო, ოღონდ ჭადარაშერეული. მან ძალიან თბილად მიმიღო. დამსვა, ყველაფერი გამომკითხა. ზამთარი იყო და ოთახში საკმარად ციოდა, ენთო დიდი მაგიდის ლამპა (ნავთის ლამპა), მერე გასასინჯი მილი აიღო, ლამპის შუშას დაადო ერთხანს და გამსინჯა. მე მეგონა, ბაცილებს კლაედა, რაკი ლამპის შუშას დაადო (სულ ბაცილები მეჩვენებოდა). ახლად ვხედები, რომ მან გაათბო გასასინჯი მილი, რომ სხეულზე ცივი არ შემხებოდა. ახლა ექიმები ასეთ „ნიუანსებს“ ყურადღებას აღარ აქცევენ“.

ვიდრე უშუალოდ „მაჩაბლის ცხოვრებას“ (სიმარჯვის გამო ამ სათაურითაც მოვიხსენიებ ვახტანგ ჭელიძის ბიოგრაფიულ რომანს) განვიხილავდე, წინასწარ ვიტყვი ზოგიერთ რამეს.

ახლახან, დაწერიდან (1929) თითქმის ოთხმოცი წლის შემდეგ, მოსკოვში გამოიცა გამოჩენილი ლიტერატორის ლეონიდ გროსმანის დიდად საინტერესო, მრავალპლანიანი ისტორიულ-ბიოგრაფიული რომანი „დანტესი და გონჩაროვა“, რომელშიც ჟორჟ დანტესის ახლო ნათესავისა და სეკუნდანტის, განათლებული და კეთილშობილი პიროვნების, ევროპელი დაპლომატის, ვიკონტ დ'არშიაკის პირით მოთხრობილია პუშკინის ცხოვრების ტრაგიკულ ბოლოზე. შესავალ ნაწილში ავტორი არ მალავს, რომ იგი იყენებს ასეთი შემთხვევებისათვის „წარსულის თავისუფლად დამუშავების ჩვეულებრივ ხერხს“ და იქვე დასძენს: „მაგრამ მე ვეყრდნობოდი წყაროების ზუსტ მონაცემებს და წარმოსახვის საზღვრები, ისტორიული საბუთების ცნობებით, მკაცრად შემოვფარგლე“.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვახტანგ ჭელიძე ამ გამოცდილი, საიმედო მეთოდის მომხრე და მიმდევარია.

იმავე ხანებში (2007) რუსულად გამოიცა გამოჩენილი ინგლისელი მწერლის გრემ გრინის (1904-1991) ძალზე საინტერესო ბიოგრაფიული რომანი მეჩვიდმეტე საუკუნის უნიჭიერეს ლირიკოს და სატირიკოს პოეტზე (მას ჯონ დონსაც კი ადარებენ, ხოლო სკანდალური ისტორიებით ოსკარ უაილდსაც აგონებთ) გრაფ როჩესტერზე. წიგნი, რომელზედაც ახალგაზრდა გრემ გრინმა ბევრი იმუშავა (უზარმაზარი საარქივო მასალა, დღიურები, პირადი წერილები...) გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში იყო დაწერილი, მაგრამ ავანტურისტული თავგადასავლებით აღსავსე, გაუთავებელი ორგიების მოყვარული და მეტისმეტად სკაბრეზული ლექსების ავტორის ცხოვრების ამსახველი წიგნის გამოქვეყნებაზე დიდი ბრიტანეთი ორმოცი წლის განმავლობაში თავს იკავებდა და თითქმის ამდენივე დრო დასჭირდა, იგი რუსეთში რომ გამოეცათ.

წიგნის შესავალში გრემ გრინი საგანგებოდ აღნიშნავს: „რაც უფრო დიდხანს ვსწავლობდი პოეტის ბიოგრაფიას, მით უფრო სრულად იხსნებოდა ჩემს თვალწინ მისი ადამიანური არსი“. იგივე შექმლო ეთქვა ვახტანგ ჭვლიძესაც, ოღონდ პიროვნება, ვისზედაც მან წიგნი დაწერა, ზნეობის მხრივ, სამაგალითო იყო.

გრემ გრინის მეორე გამონათქვამი, რომელსაც აქვე მოვიტანთ, მთლიანად შეგვიძლია მიეუსადაგოთ ვახტანგ ჭვლიძის მრავალწლიან გარჯას და იმასაც, რომ იგი ყველგან და ყველაფერში განუზრელად იცავდა ზომიერების ესოდენ საჭირო გრძნობას. ზღვა მასალისადმი მიდგომაში გრემ გრინი გამოაცალკეებს იმ მთავარ მიმართულებას, რამაც მისი ბიოგრაფიული რომანის შთამბეჭდავი წარმატება უზრუნველყო:

„მე შევეცადე თანმიმდევრობით და ერთ მთლიანობად შემეკრა როჩესტერის ცხოვრება და შემოქმედება, მაგრამ, ამასთანავე, საკუთარ წარმოსახვას ზედმეტ თავისუფლებას არ ვაძლევდი“.

ადრეც აღვნიშნე და ისედაც ცხადია, ვახტანგ ჭვლიძემ თურა დიდი დრო და კოლოსალური ენერგია შეაღია ივანე მაჩაბლის ცხოვრებაზე წიგნის დაწერას. დაუცხრომელმა შრომამ ნაყოფიც შესაფერისი გამოიღო. ეს წიგნი იმთავითვე თამამად დაუდგა გვერდით დოკუმენტური პროზის, ბიოგრაფიული რომანის აღიარებულ ოსტატთა (სტეფან ცკაიგი, ანდრე მორუა, ანრი პერიუშო, პელვი ალენი, იური ტინიანოვი, ვიქტორ შკლოვსკი, ლეონიდ გროსმანი...) ქმნილებებს.

მოულოდნელი სულაც არ არის, რომ როსტომ ჩხეიძეს, ვინაც თავად

არაერთი საუცხოო ბიოგრაფიული რომანის ავტორია, „მაჩაბლის ცხოვრება“ ამ ჟანრის ეტალონად მიაჩნია და ვახტანგ ჭვლიძეს გზის გამკვალავად, მოამაგედ, თავის ძვირფას მასწავლებლად თელის.

საქართველოს დიდ სულიერ მამაზე იაკობ გოგებაშვილზე დაწერილი საუკეთესო წიგნის — „ბურჯი ეროვნებისა“ — მეათე თავში („ჩემი პირველი მოთხრობა“) იგი განსაკუთრებული სიყვარულით მოიხსენიებს ვახტანგ ჭვლიძეს, ვინც კარგად იცოდა, რომ ბატონობით მიმართვა საქართველოში პირველად ილია ჭავჭავაძემ შემოიღო, ასე სწორედ იაკობ გოგებაშვილს მიმართა, ოღონდ კონკრეტული წყარო აღარ ახსოვდა. არც ისე დიდი ხნის წინ როსტომ ჩხეიძემ დაადგინა, რომ 1939 წელს, ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში საძიებელი დოკუმენტი შეუტანია აკაკი შანიძეს; 1886 წლის 8 მარტს, როცა ილია ჭავჭავაძეს სალიტერატურო ნორმების დამდგენი კომისიის სხდომა მოუწვევია, წევრებისთვის მიმართვა გაუგზავნია და იაკობ გოგებაშვილის სახელზე გაგზავნილი ბარათი გადარჩენილა; სწორედ მასში, პირველად დასტურდება შემდგომ მკვიდრად დანერგილი ეს ფრაზა: „მოწყალეო ბატონო იაკობ სიმონის ძე“.

როსტომ ჩხეიძე იქვე თავმდაბლად აღნიშნავს: „ეარაუდითაც შეიძლებოდა აღდგენა ამ რეალური ვითარებისა, მაგრამ დოკუმენტური ცნობა მაინც სხვაგვარად ადასტურებს ყოველივეს“.

ეს თავი — „ჩემი პირველი მოთხრობა“ — როგორც საერთოდ როსტომ ჩხეიძეს სჩვევია, ნოველასავით შეუნელებელი ინტერესით იკითხება, ხოლო სათაურში ნაგულისხმევია ქართული საყმაწვილო პროზის მარგალიტი „იავნანამ რა კქმნა?!“, რომლის დაწერას, შემთხვევით, იაკობთან სტუმრად მყოფი ანდრია სრესელი შესწრებია. „დედაენის“ შემოქმედი მაშინ 50 წლისა ყოფილა.

სასიხარულოა, რომ როსტომ ჩხეიძე ასეთ განსაცვიფრებელ ნაყოფიერებას იჩენს, იმდენ რამეს ასწრებს და უყრის თავს, ძნელი დასაჯერებელია ერთი კაცისგან ამის გაკეთება, თანაც, ზედიზედ გამოსულ მის წიგნებს ნაჩქარეობისა არაფერი ეტყობა, მათში უამრავი ძვირფასი, დაუღალავი ძიებით მოპოვებული ცნობაა გაბნეული, ამომწურავადაა დახასიათებული ესა თუ ის ეპოქა, ყოველი პიროვნების დეაწლი, ვისზედაც მონოგრაფიაა დაწერილი; ამავე დროს, არავისი დამსახურება არაა დაეიწყებული. ექსპრესიული სტილი, ზომიერი ხატოვანება, საჭიროების შემთხვევაში, იუმორის თანდაყოლილი გრძობა და ლირიზმი ბევრწილად აშხადებს ნიადაგს

საიმისოდ, რათა როსტომ ჩხეიძის ნახელაეი მუდამ ცოცხლად, ცხოველი ინტერესით იკითხებოდეს, ხოლო ეს მცირე ღირსება როდია. ერთი სურვილი კი უნდა გამოეთქვა ავტორის მიმართ; როცა ამ წიგნების ახალი, შევსებული გამოცემები განხორციელდება (სხვანაირად არც მოხდება), უთუოდ საჭიროა, თვითუელ მათგანს შენიშვნები და პირთა საძიებლები დაერთოს, რაც მკითხველებს და მომავალ მკვლევარებს საქმეს საგრძნობლად გაუიოლებს.



„მაჩაბლის ცხოვრებაში“ იდეალურად არის შეზავებულ-შეწონასწორებული დოკუმენტური და მხატვრული პროზის ელემენტები, იგრძნობა ბელეტრისტის დაკვირვებული თვალი, რეალურ პიროვნებათა ხატვის იშვიათი უნარი და მძაფრი პუბლიცისტური პათოსი, ეს კი, ბევრწილად, მასალამ, ჟანრის სპეციფიკამ განაპირობა. თუმცა მთავარი მაინც ის არის, როგორ შეასხამ ხორცს წლობით ნალოლიაეებ ჩანაფიქრს. ვახტანგ ჭელიძემ ბრწყინვალედ გაართვა თავი ამ უძნელეს ამოცანას.

დიდებულია პირველივე თავი — „ჯოხისცხენიანი მხედარი“ — მამაპაპეულ სახლში და-ძმებთან მიმყუდროებული პატარა ვანოს გარეგნობასა და მეოცნებე ბუნებას რომ გვიხატავს. გეჩვენება, ყმაწვილის ხარბი, ცნობისმოყვარე თვალითაა დანახული თამარაშენის ზამთარი, სამუდამოდ რომ გებეჭდება მეხსიერებაში:

„თოვს, ბარდნის, მსხვილი ფანტელები ზანტად ეცემიან თეთრად გადაპენტილ ეზოს. ასწლოვანი კაკლისა და თუთის ხეები ჩამობურულან, ტოტები დაბლა დაუხრიათ. დამძიმებული რტო ზოგჯერ შეირხევა, თოვლს დაიბერტყავს და გასწორდება, მაგრამ ახალი ფიფქები ისევ მალე დაახრეინებენ თავს, მაღალ გალავანს ადლი თოვლი დასდებია, შორიდან გვეონება, პირდაპირ უერთდება გადათეთრებულ ცასაო. პორიზონტი შემოზღუდულა. ზამთრის სამარისებურ მყუდროებას ხანგამოშეებით სანადირო თოფის მჭახე ხმა თუ დაარღვევს, ერთს ყრუდ დაიგრუხუნებს და ექო სადღაც შორს გადაიკარგება. ლიახვის ხეობაში დამფრთხალი შაშივი ჭახჭახით გადაიფრენს. კიბის ქვეშ მიყუყული მთელემარე ყურშა ერთბაშად ყურებსა ცქევეტს, თავს წამოწევს, მაგრამ მოტყუებული, უხალისოდ გააყოლებს თვალს ფრინველის ნავარდს და ისევ მოიყუჟება“.

უაღრესად ცოცხლად, ხელშესახები სიცხადითაა წარმოსახული სამაჩაბლოს უკანასკნელი მთავარი, ეანო მაჩაბლის ნამეტნავედ ფიცხი და საამაყო პაპა, გიორგი ერისთავის მეგობარი, სვიმონ მაჩაბელი. ნანობს, ერეკლეს გადახდილ ფიცხელ ბრძოლებს რომ ვერ მოესწრო. ოცდათორმეტი წლის შეთქმულების ფარული მონაწილე იყო, მაგრამ გაუტეხელი ნებისყოფა გამოაეღინა და პატიმრობა აიცილა, ვერაფერი ათქმევინეს.

ვანოს აღზრდას მთლიანად მეურვეობს ძველი ქართული ტრადიციების ერთგული პაპიდა ელენე, დიასამიძის ქვრივი, ვინც ძმის ოჯახში დაბრუნებულა და მის დასახმარებლად ძალ-ღონეს არ იშურებს.

სვიმონ მაჩაბელი, არცთუ უსაფუძვლოდ, ფრიად უკმაყოფილოა შვილის, ნიჭიერი და მამაცი გიორგი მაჩაბლისა, რომელსაც დაცოლშვილებამაც არ უშეუღა; „ტკბილი ცხოვრების“ მოყვარულს, დღეები ქეიფსა და დროსტარებაში გაჰყავდა, ნაირნაირ ღუქნებში, ორთაჭალის ბაღსა და ბალ-მასკარადებში ერთობოდა ქალებთან, ფულს უმოწყალოდ ფლანგავდა და მამულების დაგირაეებასაც მიჰყო ხელი.

ანგარების მიზნით, უზრუნველად, ფუქსაეატურად რომ ეცხოვრა, მდიდარი დაბაღის ქალი ნატალია ერეევანცოვა შეერთო (ამან სულ გააცოფა სვიმონ მაჩაბელი, თავისი გვარის დამცირებად ჩათვალა), მაგრამ რა ფულსაც ელოდა, სიმამრმა სიძეს არ მიუთვალა. გიორგი მაჩაბლისთვის დამცინაევი ღუქსები გამოუთქვამთ, გაუმასხარაეებიათ. ერთი მათგანი წიგნშიცაა მოტანილი:

მაჩაბელო ფესაო,
თვალი დაგიდგესაო,
დაბღის ქალი ცოლად შეგრთეს,
ფული არ მოგცესაო.

პაპიდამ სულ მცირეწლოვანს შეასწაეღა ვანოს წერა-კითხვა და მალე იგი სოფელ-სოფელ დაჰყავდათ, ნაკლებად განათლებული დიაკენების ნაცეღად „სამოციქულო“ რომ ეკითხა. სწორედ იმხანად უნახავს იგი ათი წლის ეკატერინე გაბაშვილს, ვისაც ციება პქონია შეყრილი და ბებიას გერისთავის ეკლესიაში წაუყვანია. ეკატერინე ცოცხლად იხსენებს მაშინდელ შთაბეჭდილებას, როცა მამამისს ხელჩაჭიდებული დაჰყავდა ეკლესიის ეზოში:

„ხატების წინ მრავალი სანთელი ენთო, მაგრამ ეკლესიაში მაინც ბნელოდა, პატარა საყდრის ვიწრო სარკმლებიდან საკმარის სინათლე არ შემოდის და ხალხს ვერ ატანდა. ამ ბინდში მკაფიოდ მოჩანდა მხოლოდ ხელში აყვანილი რუა წლის ბაეშვი, რომელსაც მარჯვენა ხელში დიდი კელაპტარი ეჭირა და წინ გადაშლილ უშველებელ წიგნს კითხულობდა.

სიზმარივით ჩამრჩა ეს სანთლის შუქით განათებული მშვენიერი ბაეშვის გაფითრებული სახე. დიდრონის, მომწევანო თვალებით შემკული და ქერა ხუჭუჭი თმით გადაფენილი საყუბანი შუბლი“.

ეს და სხვა ამნაირივე მშვენიერი ნაწყვეტები ვახტანგ ჭელიძეს ოქრომჭედლის სიფაქიზით ჩაუსვამს თავის წიგნში და, ამდენად, თხრობის ბუნებრიობა არსად არ ირღვევა.

ამ წიგნის ავტორი, რა თქმა უნდა, გვერდს ვერ აუვლიდა მანაბლთა წარმომავლობას; იმოდენა მასალა ჰქონდა ხელთ, ვეება გამოკვლევას დაწერდა, მაგრამ ექსიოდე გვერდი იქმარა და იქაც ბევრ სიახლეს შეიტყობს მკითხველი. ჩვენი ვეება სწავლულის, რენესანსული მასშტაბის პიროვნების, „ახუმტი ბაგრატიონის ცნობით, მანაბლების გვარი აფხაზეთს უკავშირდება: „მანაბელი, იტყვის ანჩაფისძეობას, აფხაზეთიდან მოსულას“. ვახტანგ ჭელიძე იქვე ამბობს: „ერთი შტო მანაბლებისა რაჭაშიაც ყოფილა. ბროსეს ცნობით, ამბროლაურის ციხე მანაბელს ეკუთვნოდა. ირკვევა აგრეთვე, რომ მანაბლების წინაპრები ახალციხეშიც გადასულან და მუსულმანური რჯული მიუღიათ“.

უმთავრესად მაინც დიდი ლიახვის მიდამოებში ყოფილან დასახლებულნი და დღევანდელი სოფელი თამარაშენი ერთ დროს მძლავრი საეპრო ქალაქი ყოფილა; პლატონ იოსელიანის ცნობით, იგი 1190 წელს თვით თამარ მეფეს დაუფუძნებია, ხოლო მერე ჯალალედინის შემოსევას ემსხვერპლა.

მართალია, როგორც ხშირად ხდება, ეს გვარიც თანდათან დაკნინდა, მაგრამ მეთვრამეტე საუკუნის მიწურულს დაბადებულ, საკმარისად განათლებულ სვიმონ მანაბელს (იგი ლექსებსაც წერდა) შერჩენილი აქვს ძველი სიამაყე, სულით არ ეცემა, რუსთხელმწიფის წყალობას არ ეპოტინება, „...სამანაბლოს დიდი მთავარი და უფლებამოსილი მებატონე, მთავარმართებლის კარზე წანწალსა და წრიალს არ კადრულობს, სხვა გადაგვარებულ თავადებს არ ბაძავს, რომელთაც პირფერობისა და ერთგულების გასამრჯელოდ მკერდზე ჯვარ-მედლების ადგილი არ დარჩენიათ...“

ასეთ გარემოცვაში იზრდებოდა მომავალი დიდი მოღვაწე, მერ-

ძნობიარე ბუნების ბავშვი მუდამ ღარიბ-ღატაკთა მხარეს იყო და, რამდენადაც შეეძლო, გაჭირვებულთა დაჩაგვრას არავის ანებებდა.

მაჩაბლებს კარგი საოჯახო ბიბლიოთეკა ჰქონდათ, პაპიდა ელენე ყველაფრის წაკითხვას არ ანებებდა, მაგრამ რვა წლის ყმაწვილს ბევრი რამ, მისი ასაკისთვის შეუფერებელიც კი, უკვე წაკითხული ჰქონდა. თამარაშენივე ეზიარა ჩენს უმდიდრეს ზეპირსიტყვიერებას, ისმენდა ზღაპრებს, არაკებს, ლექსებს და ქართული სიტყვის განუმეორებელი მაღლი იქვე იგრძნო.

მომდევნო თავში მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლების თბილისი ისე სახიერად, ხელშესახებად არის დახატული, იქაურობას ხედავ და ხმებსაც გარკვევით ისმენ. ეს სიტყვები („ხედავ“ და „მოსმენა“) სათაურშია გატანილი და გსიამოვნებს, ავტორი ყოველ აბზაცში ასეთ შესაშურ ოსტატობას რომ ავლენს.

აქ აღწერილია თბილისისკენ მიმავალი გზა. ერთმანეთში ირევიან ურმები და ფურგონები, ნახსენებია „ვერაზე სახელდახელოდ ამე-ნებული რამდენიმე აგურის ქარხანა და საკირე“. ვახტანგ ჭელიძეს არ უყვარს რაიმეს ფუჭად, სიტყვის მასალად ხსენება. „საკირე“ სხვანაირად მენიშნა. მაჩაბლის საეჭვოდ დაკარგვის მერე ისიც კი ითქვა, რომ იგი მოკლეს და გვაში საკირეში დაწვეს (გადმოცემას, ლგენდასაც თავისი უცნაური, იდუმალი შეფერილობა აქვს). ღამის ბურუსში თეთრად აბოლებული საკირე პეიზაჟს ჯოჯოხეთურ იერს აძლევს. ერთი გვერდის მერე, თავად ბატონი ვახტანგი პატარა ბიჭის შხერაში მოქცეულ პირქუშ ნაგებობებს ავის მომასწავებელ სიმბოლოებად მიიჩნევს, რასაც ქვემოთ ვნახავთ.

ისეთი შგერძნება გვაქვს, თითქოს ჩვენს თვალწინ იზრდება და შენდება საქართველოს დღენიადაგ მოფუსფუსე დედაქალაქი. გარეუბნებში ბოლავს ახალაშენებული ქარხნები, ირევიან მუშათა შავი სილუეტები, ერთმანეთს გვერდს ძლივს უვლიან გზაზე გაბაწრული ურმები. ერთ-ერთ ურეშში, უფროსებთან ერთად, თამარაშენიდან გამომგზავრებული პატარა ვანო მაჩაბელი ზის, არასოდეს რომ არ დააეიწყდება მთებს შუა მომწყვდეულ ღამის თბილისში პირველი ჩასვლა:

„საბურთალოს აღმართი რომ აიარეს ჩვენმა თამარაშენელმა მგზავრებმა, პირველად სწორედ ცეცხლში გახვეული აგურის ქარხნები დაინახეს. შუალაძე იყო და ეშურებოდნენ, ამიტომ სა-ბურთალოზე, საცა მეურმეები გრძელი აღმართის შემდეგ ჩვეუ-ლებრივ ისვენებდნენ ხოლმე, ახლა აღარ შეჩერებულან. თავქვე

დაეშენენ, გაიარეს მდინარე ვერაზე გადებული ოთხთაღიანი ქვის ხიდი და ჯერის აღმართს შეუღვნენ, დაქანცული ხარები ზანტად მიათრევდნენ ურემს, მეურმე წარამარა აქეზებდა — ხან სააღერსო სიტყვებს ეტყოდა, ხანაც სახრეს გადაუჭერდა“.

ერთმანეთს ენაცვლება ინფერნალურად შემურული ხილები, წამით არ გტოვებთ უტყუარი განცდა იმისა, რომ დიდოსტატის ხელით ჯადოქრულად ამოძრავებულ ძველ გრაეიურებს შეკყურებთ. შთაბეჭდილება მექმნება, რომ ვახტანგ ჭვლიძის მწერლურმა ნიჭმა განსაკუთრებით მძლავრად ამ ეპიზოდებში იჩინა თავი. ამის დასტურად რამდენიმე აბზაცის ამოწერა იკმარებს:

„აგერ ზანტად ქშინავს საბერეელი და მჭედელი ღონიერად ურტყამს კვერს გრდემლზე; ძიღმორეული შეგირდი კი ცალი ხელით საბერეელის ტარს ჩაფრენია, ხოლო მეორე ხელით თვალებს იფშენეტს, უკმაყოფილოდ და უსიცოცხლოდ გადახედავს ოსტატს. აქ საფოსტო ეტლების სახელოსნოა. გზის მარჯვენა მხარეს კი, სახელოსნოდან გამოსულ შუქზე მოზრდილი შენობა მოჩანს. პატარა ვანო ძმას ჰკითხავს, ეს რა არისო და ძმაც დაუზარებლად პასუხობს, რომ ეს სააედამყოფოა, ვანო დააკვირდება ამ პირქუშად აღმართულ შენობას და უსიამოვნოდ მიმოიხედავს ირგვლივ...“

მაშინ რას იფიქრებდა, რომ დიდი ხნის შემდეგ სწორედ აქ დასახლდებოდა, და აქედანვე გაქრებოდა სამუდამოდ!..

სააედამყოფოს პირდაპირ სასაფლაოა. ამ ადგილებში აგურის ქარხნებისა და საკირის სინათლევც აღწევს. ისედაც ცხელი აგვისტოს პაერი თითქოს კიდევ უფრო შეხუთულა. ცოტა უფრო იქით, სადაც მბუჟტაეი ფარნებით განათებული გოლოვინის პროსპექტი იწყება, მდებარეობს ვრეთ წოდებული მოსკოვის ხეობა, სადაც სამსახურიდან გადამდგარი სალდათები დასახლებულან. ღამის სიბნელეში ბუნდოვნად მოჩანს თეთრად შეღებილი ქოხმახები. მოპირდაპირე მხარეს დიდი ხრამია, იქვე ახლოს კი წყლის საქაჩაეი ორთქლის მანქანა. სწორედ ამ წყლით ირწყვება ახლად გაშენებული ალექსანდრეს ბაღი...“

საქართველოში და, კერძოდ, თბილისში სავაჭრო კაპიტალის შემოსელაზე ბევრი დაწერილა, მაგრამ ისე მომჭირნედ, დამაჯერებლად და სურათოვნად ეს მოვლენა, როგორც ვახტანგ ჭვლიძეს აქვს გადმოცემული წინამდებარე წიგნში, იშვიათად თუ წაგვიკითხავს. თვალნათლივან დახატული მოსახლეობის სიტყრელე. განვიცდით ლუკმა-პურის საშოენელად გადმოხვეწილი ადამიანების

დამორგუნველ სიღუხჭირეს, ოჯახები სოფლად რომ კყავთ მიტო-
ვებული და ორიოდ გროშის საშოვნელად მონებივით შრომობენ.
მოკლედ და ზუსტადაა დახასიათებული იმდროინდელი რუსულ-
ქართული პრესა. წარსულის აღსადგენად, მარჯვედ, მუდამ თავის
ადგილზეა მოხმობილი მემუარული ლიტერატურა, რაც თხრობას
დამაჯერებლობას მატებს.

დამაჯერებლობა და სიცხადე არც ავტორის მახვილ თვალს
აკლია, სამიზნედ ქუჩაში გამოფენილი ხალხი რომ გაუხდია. ეს
ის დროა, რუსეთის იმპერატორმა ბატონ-ყმობის გამაუქმებელი
მანიფესტი რომ გამოსცა და ახლა მოქალაქეები გროვდებიან,
რათა მოედანზე მოისმინონ ეს მანიფესტი, რასაც ბევრი არაფერი
შეუცვლია. მანამდე კი ძველი თბილისის ერთ აფუთფუთებულ უბანს
შეგზედოთ, რაც თითქოს ჯადოქრული კვერთხის მოუხელთებელი
დაქნევით გაუცოცხლებია მწერალს:

„აგერ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი, მხარბეჭიანი თავადი
მიაბიჯებს მედიდურად, მკერდზე ჯვრები და მეღლები უბრწყინაეს,
გვერდით მიჰყვება ჩიხტი-კოპით თავდამშეენებული ახალგაზრდა
კნენა და გიმნაზიის ფორმაში გამოწყობილი პატარა ბიჭი. თავადი
თითქოს გვერდზე გახედვასაც არ კადრულობს, მაგრამ ერთხელ
მანც შეუბღვერს ახმახ კინტოს, რომელსაც თავზე შემოდგომის
ხილით სავსე ვეება თაბახი დაუდგამს, დონჯი შემოუყრია და
რწევით მიდის. თურმე ეს კინტო უტიფრად მიაშტერდა ლამაზ კნენას
და თავადის გულისწყრომაც ამან გამოიწვია. მაგრამ კინტო დიდად
არ ეპუება გაბღენძილ თავადს. თავისთვის რაღაცას ჩაიბუტბუტებს
და ტანის რწევით მიიკვლევს გზას დუნდგოდ გამოსულ ხალხში.
მოშორებით ქოლგაამოჩრილი, სათვალღიანი ჩია კაცი დგას, ეტყობა
ახალმოწყვეული ლათინურის მასწავლებელია, რადგან ყველაფერი
უკვირს ამ აზიურ ქალაქში. ჯერ იყო და, კისერწაგრძელებული,
კნენას შესცქეროდა, ახლა კი, თავადის დაბღვერილ სახეს რომ
წააწყდა, კინტოზე გადაიტანა მზერა და კიდევ უფრო გააკვირებულმა
თავისთვის რამდენიჯერმე ჩაილაპარაკა: O sancta sanctorum!.. წერილი
ჩარჩები ერთად მობაჯბაჯებენ, თითებზე რაღაცას ანგარიშობენ
და ხშირად შესძახებენ — „ეაჰ,“ „ეაჰ!“ ქალაქის ჩინოვნიკები
ჩვეულებრივი ნაბიჯით მიემართებიან, სახე თითქო გაყინვით
— ვერც სიხარულს შეამჩნევ, ვერც წყენასა და გაკვირებას!..
მოედანი კი თანდათანობით იესება ხალხით. არის ჩოჩქოლი,
ყაყანი; რამდენიმე ადგილას ზურნაც აუჭყეიტინებიათ. ტევა აღარ

არის; სალდათურ დაძველებულ მაზარებში გახვეულ ახლომახლო სოფლების გლეხებს, რომელთაც ყველაზე უფრო მეტად შეეხებათ ეს დიდი მიტინგი, სახედრები მოშორებით დაუყენებიათ და ერთად მიყუჟულნი გაურკვეველი გრძნობით ელოდებიან, რა მოხდება. უფრო მოგვიანებით გენერლებმა, ჩინოსანმა წარჩინებულებმა და დიდმა მოხელეებმა აიარეს დროშეებითა და კარეტებით, და ამის შემდეგ მალე დაიწყო კიდეც...“

ყმაწვილი ვანო მაჩაბელი თბილისში იმ დროს ჩამოდის, როცა მამებსა და შეილებს შორის, ენის თაობაზე, გამძაფრებული ბრძოლაა გაჩაღებული. მალე იგი გრიგოლ ორბელიანის ოჯახში მოხედება, სადაც ადრე პაპამისის უცხოვრია (გრიგოლი და სვიმონ მაჩაბელი მგობრები იყვნენ), „სადღერძელის“ ავტორს მოსწონებია მკვირცხლი, გონებანათელი ბავშვი და როცა გაუგია, ვისი შთამომავალი იყო, ძალზე გახარებია, შეუქია იგი.

მოკლედ, სხარტად არის შეფასებული გიმნაზიაში განსწავლის წლები, ნაჩვენებია, რაოდენ დაუოკებელ ინტერესს იჩენს ახალგაზრდა ვანო მაჩაბელი უცხო ენებისადმი, როგორ სისხლხორცეულად აქვს შეთვისებული შმიობლიური ქართული. მისი ერთ-ერთი მასწავლებელი ყოფილა ჩვენნი ზეპირსიტყვიერების დაუღალავე მოჭირნახულე პეტრე უმიკაშვილი („ტკბილი პეტრე“), რომელსაც უმაღ შეუმჩნევია ბიჭუნას გამორჩეული ნიჭი და ნაირნაირ დაეალებებს აძლევდა, სამომავლოდ აწრობდა.

დადგა 1871 წლის ზაფხული. ვანო მაჩაბელს გიმნაზია დამთავრებული აქვს. იგი დაეაჟაკცებულია, დაშვენიებული, საამო შესახედავი, ტანი აიყარა და ახლა ომნიბუსით პეტერბურგს უნდა გაემგზავროს სწავლის გასაგრძელებლად. დაეაკვირდეთ, რა პოეტურად, როგორი შთაგონებითა და თანაგანცდითაა დახატული ეს გამგზავრება. თითქოს ჩვენც ვესწრობოდეთ ამ მღელვარე წუთებს, ჭრელ სურათებად რომ იჭრება ჭაბუკის გონებაში:

„სადგურზე დარჩენილნი დიდხანს იქნევენ ცხვირსახოცებს, ხელით კოცნას უგზავნიან გამგზავრებულებს. ომნიბუსში ერთმანეთს აწყდებიან, რათა, სანამ თვალს მიეფარებოდნენ, ერთხელ კიდე დაინახონ ნაცნობი სახეები. გამცილებელთა გუნდი დაპატარავდა. გაქანებული ომნიბუსიდან ძლივსლა მოჩანს ჭრელი ქოლგები და მზის სხივებით აელვარებული ოქროსფერი ეპოლეტები...“

ვანო მაჩაბელი არაეის გაუცილებია, ამიტომ უკანაც არ იხედება,

იგი კოფოზე მოთავესებულა მეეტლისა და კონდუქტორის გვერდით და გაკყურებს დილის მზის სხივებით აფერადებულ ცას, რომელზეც დინჯად დასცურავენ თეთრი ღრუბლების ქარაენები“.

პეტერბურგში გატარებული ივანე მანაბლის სტუდენტური ცხოვრება კარგადაა ცნობილი, ისიც — როგორ ყოველმხრივ უწყობდა მას ხელს უფროსი ძმა ვასილი. ძმები აქ შეხვდნენ პირველად ბანკის საქმეებზე ჩამოსულ ილია ჭავჭავაძეს. ილიამ წაიკითხა ეანო მანაბლის ნათარგმნი „მეფე ლირის“ ნაწყვეტები და აღტაცებული დარჩა. ვასილმა შესთავაზა ილიას, მასა და ეანოს ერთად ეთარგმნათ შექსპირის ეს ტრაგედია და მართლაც, სამ თვეში მუშაობა გაასრულეს.

ვახტანგ ჭელიძემ საგანგებო გამოკვლევებიც მიუძღვნა შექსპირის მანაბლისეულ თარგმანებს, მაგრამ აქ გულმოდგინედ გააღვენა თვალი ილიასა და მანაბლის ერთობლივ ნამუშევარს, ღირსეულადაც შეაფასა: „...როცა „ლირის“ თარგმანი მოველინა ქართულ ლიტერატურას, ჩვენმა მკითხველმა პირველად განიცადა შექსპირის გენიის ძალა“.

ნაჩვენებია, როგორ მუშაობდა ენაზე ივანე მანაბელი, როგორ იმდიდრებდა ინგლისურ ლექსიკას — ერთნაირი ჟღერადობისა და სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვებს ერთად ალაგებდა, რაც იმაზე მეტყველებდა, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ფრაზის კეთილზმონებას; საფუძვლიანად არის შესწავლილი უცხო ენის ასათვისებლად გამიზნული „მანაბლის მეთოდი“.

ამ თავეშივე ვიგებთ, რა გულითადი დახმარება გაუწია ახალგაზრდა ივანე მანაბელს, მისი მუყაითობით მოხიბლულმა, პეტერბურგში მცხოვრებმა გამოჩენილმა ქართველმა სწავლულმა, ცნობილმა ლექსიკოგრაფმა დაეით ჩუბინაშვილმა — საშუალება მისცა თავის მდიდარ ბიბლიოთეკაში ემუშავა და მდივნადაც მოაწყო პეტერბურგელ მოხელესთან, რაც ხელმოკლე სტუდენტს ასე ესაჭიროებოდა.

მაღე ძმებს უბედურება დაატყდა თავს. ლოთობას გადაყოლილი მათი მამა, გიორგი მანაბელი, ოჯახის სამარცხეინოდ, რომელიდაც მიკიტნის სარდაფში აღესრულა და მედუქნემ გვამი არ გამოატანა ჭირისუფალს, მიცვალებულს ჩემი ოთხმოცი თუმანი მართებსო.

ვასიკოს სხვა გზა არ დარჩენოდა — ეანოს საზღვარგარეთ გასაგზავნ, სიმწრით მოგროვილ ფულს, ნასესხებიც დაამატა და მამა დაასაფლავეს. ჰქონდა სხვა ხარჯებიც, რამაც ეანო მანაბლის საზღვარგარეთ წასვლა (მოგვიანებით გერმანიასა და

საფრანგეთში აგრონომიული მეცნიერება შეისწავლა) რამდენიმე ხნით დააბრკოლა.

ივანე მაჩაბლის მიერ უცხოეთიდან გამოგზავნილ წერილებს ვახტანგ ჭვლიძემ დღიურების სახე მისცა, თარიღების მიხედვით მარჯვედ დაალაგა, რაც ძალზე ბუნებრივად ჩაჯდა თხრობაში. მათში ცოცხლად არის აღწერილი საზღვარგარეთის დიდ ქალაქთა თავისებურებანი, მაგრამ არაფერი შეედრება ძმისადმი გაგზავნილ ბარათს, სადაც იგი შორიდან ეფერება მშობლიურ თამარაშენს: „...იმ დღეს შენგან მოწერილს წიგნებს ვათვალისწინებდი და ვკითხულობდი და ვკითხულობდი იმას, რაც ჩვენს კოპწია სახლ-კარს შეეხებოდა... ახლაც თეალწინ წარმოდგენილი მაქვს, რა მშვენიერი იქნება ჩვენი კარ-მიდამო, როდესაც ეს ხე-ხილი წამოიზრდება. თუ სამოთხე დაერქმევა რასმეს, ეს სახელი მაშინ ჩვენს სახლ-კარს მოუხდება...“

ამ სტრიქონებს რომ წაიკითხავს ამჟამად ქართველი კაცი, სიმწრისგან სისხლი ამოასხამს. რა დღე დააწიეს ველურმა გადამთიელებმა ჩვენი წმინდა მოღვაწის ივანე მაჩაბლის სახლ-მუხეუმს, როგორ ააფეთქეს და მოაოხრეს ყველაფერი. ყველაზე სამწუხარო, სამარცხეინო და აუტანელი ის არის, რომ რუსეთის გაუმაძღარ, მოდერნიზებულ იმპერიას ცხინვალში ხან ერთი მარიონეტი ჰყავს დასპული, ხან მეორე და მათი ხელით ათას სისაძაგლეს სჩადის, ძიძგნის ჩვენს სამშობლოს.

ამჟამად, 2008 წლის აგვისტოში რუსეთმა, პროვოკაციათა სერიების შემდეგ არნახული მასშტაბის ინტერვენცია განახორციელა საქართველოს წინააღმდეგ, როკის გვირაბიდან შემოჭრილებმა, გაანადგურეს ცხინვალი და დიდი ღიახევის ხეობა, მიწის პირისგან აღგავეს, ხელისგულივით მოასწორეს ქართული სოფლები, გაუკაცრიელდა იქაურობა. ჯალალედინის შემოსევა (ზემოთ ითქვა, რომ მის სახელთანაა დაკავშირებული თამარაშენის განადგურება) მკრთალდება რუსების ვანდალიზმის, საღიზმისა და ცინიზმის ფონზე, მათ გადათელეს, მოაოხრეს, გაძარცვეს და გადაბუგეს თითქმის მთელი საქართველო, არაფრად ჩააგდეს მსოფლიოს პროტესტი და თუ მათი ყოველგვარ წრეს გადასული ჯალათობა დაუსჯელი დარჩა, მაშინ პლანეტას უდიდესი საფრთხე მოელის. ყველა ჭკუათმყოფელი ხედება — ეს არ არის მხოლოდ პატარა, გაუბედურებული საქართველოს ტრაგედია.

ისიც უნდა ვაღიაროთ — ყველაფრის სხვაზე გადაბრალება თავის მოტყუებაა. ჩვენმა ბედოვლათობამ და მუცელღმერთობამ

გამოუსწორებელი ზიანი მოგვიტანა. გონიერულად და წინდახედულად არც საბჭოთა პერიოდში ვიქცეოდით. მაშინ დაეთმეთ ბევრი რამ აფხაზეთსა და სხვა კუთხეებშიც (ჩვენი თანამდებობის პირები ფულს იჯიბავდნენ და ქართულ მიწებზე უცხოთესლი სახლდებოდა, რაც ცუდად შემოგვიტრიალდა); გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული კი, მრავალი საბედისწერო შეცდომა დაევშებით, შინაურმა ღალატმაც ბევრჯერ იჩინა თავი. ჩვენი ჩაყლაპვის მოსურნე, მოდარაჯებულმა გარეშე მტერმა მალე იშოვა ჩვენს ტერიტორიაზე შემოჭრის საბაბი, აფხაზეთში, უძველეს ქართულ მიწაზე, ჩრდილო კავკასიის ელურ ბანდებთან ერთად, მოაწყვეს ჩვენი მოსახლეობის უმაგალითო, გაუგონარი სისასტიკით ხოცვა-ჟლეტა. იმ საშინელებათა შედეგებს დღემდე ვიმკით.

კიდევ ერთხელ, საგანგებოდ უნდა ითქვას, წლევეანდელ აგვისტოში, რუსი ფაშისტების შემზარავ ბოროტმოქმედებაზე. სხვა ქართულ სოფლებთან ერთად, მათ პირწმინდად გადახნეს შექსპირის კონგენიალური მთარგმნელის, დიდი მოაზროვნისა და საზოგადო მოღვაწის ივანე მაჩაბლის მშობლიური თამარაშენი, გაანადგურეს მისი სახლ-მუზეუმი, ბარბაროსულად ჩაანგრიეს უმაღლეს ცივილიზაციასთან გადებული ჩვენი მძლავრი ხიდი, რითაც უპატიებელი დანაშაული ჩაიდინეს მთელი კაცობრიობის წინაშე.

რუსებს იმის კარგად დახსომებაც მართებთ, რომ ანდრეი რუბლიოვის შედევრები დალუპვას ქართველმა კაცმა დავით არსენიშვილმა გადაარჩინა და იგი იყო ომის შემდგომ (1917) გახსნილი რუბლიოვის მუზეუმის პირველი დირექტორი.

ავადსახსენებელი როკის გვირაბიდან რომ შემოვარდნენ ურჩხულივით აჯაგრული ტანკებით, იმავდროულად, ავიაგამანადგურებლები ბომბავდნენ თითქმის მთელ საქართველოს (მარტო ტყე-პარკებისა და ბორჯომის ხეობის ხანძარში გახვევა, ვეება ეკოლოგიური კატასტროფა იკმარებს მათ სამაგალითოდ დასასჯელად), ხომ უნდა სცოდნოდათ, სად შემოიჭრნენ, ასე დაუნდობლად რას ანადგურებდნენ? წლების მანძილზე, ველური ბანდების მხარდამხარ, ლიახვის ხეობას თუ ჯიჯვინდნენ და ცეცხლს უშენდნენ, ხოცავდნენ უიარაღო ადამიანებს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ქართველები იყვნენ, ახლა ქსნის ხეობაც გაიხადეს იმგვარადვე სათარეშოდ. ვინ იცის, კულტურის რამდენი უნიკალური ძეგლი მოსპეს. ეს ჩვენი ხელოვნებათმცოდნეების დახმარებით უნდა აღრიცხონ უცხოელმა ექსპერტებმა. „იუნესკოს“

უნდა წარუედგინოთ არა მარტო საქართველოს, მსოფლიოს წინაშე ჩადენილ უმძიმეს დანაშაულთა ამსახველი ფაქტები და ქვეყნიერებას ჭირად მოვლენილი რუსული ფაშიზმი საერთაშორისო ტრიბუნალმა გაასამართლოს. ამაზე თვით რუსეთის ინტელიგენციის სინდისიერი, საუკეთესო წარმომადგენლები უკვე ხმამაღლა ლაპარაკობენ.

არსებობს სარწმუნო გადმოცემა: როცა უძლეველმა ალექსანდრე მაკედონელმა, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 335 წელს, ქალაქი თებე აიღო და დაანგრია, წინასწარ გასცა ბრძანება, საუკუნით ადრე მცხოვრები დიდიბერძენი პოეტის პინდარეს სახლისათვის (მას პომპროსის გვერდით მოიხსენიებდნენ) ხელი არაეის ეხლო. პინდარე თავის უკედავ ოდებში ხოტბას ასხამდა სიმამაცის იდეალსა და რაინდულ კეთილშობილებას, რისი ფასიც საუცხოოდ იცოდა არისტოტელეს გაზრდილმა, ყველა დროის უდიდესმა მხედართმთაუარმა, ვისაც პოეზიის სიყვარული და რაინდული საქციელი არაეისგან ესწავლებოდა. სამწუხაროდ, ამასვე ვერ მოეთხოვთ კაგებეში ნაწრთობ პუტინს და მის ხელში თოჯინად ქცეულ ფიქტიურ პრეზიდენტს მედევედეს, რომელიც, მედიდურად ყელმოღერებული, აქეთ გედებდა ბრალს ოსების გენოციდში (ოსებს მხოლოდ ქართველებმა შეუნარჩუნეს ენა და თვითმყოფობა). ამაზე მეტი ცინიზმი და დემაგოგია წარმოუდგენელია.

კრემლის მესვეურთა პირდაპირი მითითებით, შიდა ქართლის დაპყრობილი ადგილებიდან, გამარცვისა და გადაწვის მერე (ტანკებს სახანძრო რაზმის მანქანებიც ახლდა, წინასწარი გეგმით, მხოლოდ ქართველთა სახლებს წვედნენ, ოსების საცხოვრებელზე გაჩენილ ხანძარს უმაღ აქრობდნენ), დახოცეს და მამა-პაპეული კერებიდან აყარეს ათასობით ქართული მოსახლეობა, განახორციელეს ნამდვილი ეთნიკური წმენდა. სტალინის მიერ ნაღმად ჩადებული, არარსებული და ხელოვნურად შეკოწიწებული „სამხრეთ ოსეთი“ რუსეთის კუთვნილებად გამოაცხადეს. ასევე, ბოლომდე მიიტაცეს საქართველოს ისტორიული კუთხე — აფხაზეთი და ამ სისხლიანი დანაშაულის საბოლოოდ დაკანონებას ცდილობენ. ვიმეორებ — ყველამ უნდა გააცნობიეროს — რაც მოხდა, ეს მხოლოდ პატარა საქართველოს ტრაგედია როდია; თუ ყველასთვის საძულეული და მომაკედინებელი, აღვირახსნილი რუსული ფაშიზმი დროზე არ აილაგმა, იგი მსოფლიოს დაღუპავს.

ისევე მიუებრუნდეთ ძირითად სათქმელს — ივანე მაჩაბელმა ახალგაზრდობაშივე იგრძნო ფოთის ნაესადგურის დიდი მნიშვნელობა, განჭვრიტა მისი მომავალი. იგი გულმოდგინედ აკვი-

რდებოდა ახლადშემოჭრილი კაპიტალიზმის თავისებურებებს და აფიქრებდა სამშობლოს ხეაღინდელი დღე, ახალგაზრდობაში ავლენდა ეკონომიკის ღრმა ცოდნას, საჭირო, ილიასებურ სიბრძნეს: „... ახალმა ვითარებამ მალე მოუღო ბოლო ჩვენის ძველის ცხოვრების წესებს. ეს წესები სრულად აღარ შეეფერებოდა ამ ახალს ვითარებას. თუ მალე არ შევითვისეთ ეს ახალი ვითარება, ჩვენი ეკონომიური კეთილდღეობა, ჩვენი უზრუნველობა, ნივთიერი და ამის გამო გონებრივიც და ზნეობრივიც, საეჭვო საგნად შეიქმნება, საშიშროებაში ჩაყარდება... დღეს დრო სხვაგვარს მხნეობას ითხოვს ჩვენგან. დღეს დრო და ეკონომიური ვითარება ისეთია, რომ გაფაციცებით უნდა ვადვენებდეთ თვალყურს ყოვლის ახალის წყაროს აღმოჩენას ქვეყნის წარმოების გასაძლიერებლად, სიმდიდრის გასამრავლებლად...“

დღეს დაწერილს ჰგავს ეს რჩევები და, საერთოდ, ჩნდება აზრი, პერიოდულ პრესაში გაბნეული ივანე მაჩაბლის ძვირფასი პუბლიცისტიური წერილები შეიკრიბოს და ცალკე წიგნად გამოიცეს — იგი დიდად წაადგება დღევანდელ, საემოდ რთულ მდგომარეობაში მყოფ საქართველოს.

მესამე თავში — „მამულო, საყვარელო...“ — ვახტანგ ჭელიძეს მოხაზული აქვს გადაუდებელ საჭიროებათა და ძნელად დასაძლევ პრობლემათა ის წრე, რაც აუცილებელი იყო, რათა სამოქმედო ასპარეზზე გამოსულ, უძნელეს პირობებში მოქცეულ ერის თავდადებულ შვილებს თავიანთი უზარმაზარი მისია აღესრულებინათ. სულის შემხუთველი ცენზურა ათასგვარ დაბრკოლებას ქმნიდა. ყოველივე ქართული არნახული სისასტიკით იღვენებოდა. ივანე მაჩაბელი ამ დროს საწერ მაგიდას უზის, დილით კი, სამსახურში მისული, დაღილობას არ იმჩნევს. გვერდში უდგას ილია ჭავჭავაძეს და ყველა საზოგადოებრივ საქმიანობაში თავდაუზოგავად მონაწილეობს.

მომხიბლავი ლირიზმითაა აღსავსე ის ეპიზოდები, როცა ვანო მაჩაბელი ცხრამეტი წლის მშვენიერ მაკო საფაროვას ხედება და ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობი ეუბნება, როგორ ოცნებობს შექსპირის ქალთა როლებზე (ეს რომანტიული ხაზი ბიოგრაფიული რომანის ბოლოს კელავ, უკვე ეფემერულად, იჩენს თავს). მაჩაბელი ამ დროს მთელი გატაცებით მუშაობს „ჰამლეტის“ თარგმანზე.

აქვეა საუბარი იმ უდიდეს დანიშნულებაზე, რაც ჩვენი სამშობლოსთვის „ეროვნულ თავშესაფრად“ სახელდებულ და მიჩნეულ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ჰქონდა. ამ საზო-

გადოების მიერ დასახული და, ხშირ შემთხვევებში, წარმატებით განხორციელებული ამოცანები ჩვენს წინაპართა ფანატიკურ თავდადებაზე მეტყველებს. იმგვარი კულტურული და ეკონომიკური გეგმების განხორციელება არც დღევანდელ, წიგნზე გულაცრუებულ საქართველოს აწყენდა.

1879 წელს, ილია ჭავჭავაძის მხარდაჭერით, ივანე მაჩაბელი თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის ინსპექტორად იწყებს მუშაობას, უნარიანად უძღვება საქმეს, მაგრამ ზოგ-ზოგები ისეთ დაბრკოლებას უქმნიან, იძულებული ხდება, იქაურობა მიატოვოს.

ვახტანგ ჭელიძე, უკვე ამ დროს, შენიშნავს: „...ბევრსა შურდა ჭავჭავაძისა და მაჩაბლის მეგობრული დამოკიდებულება, გრძნობდნენ, რომ ეს ორი ადამიანი ერთად დიდი და საშიში ძალა იყო“. მოშურნეებმა კიდევ უფრო ავებდითი როლი შეასრულეს, როცა სათავადაზნაურო ბანკში ილიასა და მაჩაბლის დაპირისპირება მოხდა. ისინი ცეცხლზე ნათეს ასხამდნენ. იყო მომენტები, როცა მოწინააღმდეგეთა შერიგება შეიძლებოდა, მაგრამ ბნელი ძალები ახალ-ახალ ხრიკებს მიმართავდნენ, რათა განხეთქილება კვლავ გაღვივებულიყო. წიგნში ეს არასასურველი, ქვეყნის საზიანო შერკინება დიდძალი დოკუმენტური მასალის ფონზეა გაშუქებული და მასზე დაწერილებით შერჩევა არ იქნებოდა გამართლებული.

ვახტანგ ჭელიძეს მოთხრობილი აქვს, რა გადამწყვეტი როლი შეასრულა ივანე მაჩაბელმა „ეეფხისტყაოსნის“ ქართველი-შვილისეული მდიდრული გამოცემის რედაქტირებასა და დასტამბევაში, როგორ ყველანაირად უწყობდა იგი ხელს საქართველოზე უზომოდ შეყვარებულ უნგრელ მხატვარს მიხაი ზიჩის, რათა მას ამ უკვდავი პოემის შესაფერისი ილუსტრაციები შეექმნა. ბატონი ვახტანგის სიყვარულით გამთბარი სიტყვები საუცხოო მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა დაეაფასოთ ქართული კულტურის უცხოელი მოამბეგენი:

„განგებ გაეაგრძელეთ სიტყვა ზიჩიზე. ჩვენმა ხალხმა ყოველთვის დიდი სიყვარულითა და პატივისცემით უნდა მოიხსენიოს ეს დიდებული ადამიანი, რომელმაც ისე შეიყვარა ჩვენი ერი და კულტურა, რომ წლების განმავლობაში სრულიად უსასყიდლოდ, მთელის გატაცებით და სიყვარულით იმუშავა ქართველი ხალხის ძვირფასი საგანძურის — „ეეფხისტყაოსნის“ — დასურათებაზე. ამ გამოცემის შემდეგ ჩვენი ხალხის შვენებაში ისევე მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს რუსთაველისა და ზიჩის სახელი, ხოლო

პოემის ცალკეული ეპიზოდების გახსენებისას ისევ თვალნათლივ წარმოგვიდგება ხოლმე ზიჩის მადლიანი კალმით დახატული გმირები, როგორც სერვანტესის ხსენებისას მოგვაგონდება ხოლმე დორე და მისი კალმით გაცოცხლებული მწუხარე სახის რაინდი“.

აქ ალბათ მაინც საჭირო გახდება მოვიხმოთ მრავალი ფაქტის შესწავლაზე დაფუძნებული ვახტანგ ჭვლიძის შეხედულება, რომლის ჭეშმარიტება ეჭვს არ იწვევს და რაზეც ცოტა რამ ზემოთაც ითქვა: „იმ დიდი ბრძოლის განმავლობაში, რაც მაჩაბელსა და ჭავჭავაძეს შორის გაიმართა, ბევრჯერ ყოფილა წუთები, როდესაც ერთსაც და მეორესაც გულით სდომიათ უკან დახევა, დათმობა, კვლავ სასურველი ურთიერთობის დაპყარება, მაგრამ ხელს უშლიდათ, ჯერ ერთი, სიამაყე, და, რაც მთავარია, ის წყვედიანით მოცული საზოგადოება, რომელსაც დიდი ადამიანების შუღლი ართობდა“.

სწორედ ეს ძალად გაღვივებული, ხელოვნური დაპირისპირება, იყო მიზეზი, რომ აუადმყოფობისგან დაუძღურებული სერგეი მესხის ნაცვლად „დროების“ რედაქტორად როცა ივანე მაჩაბლის არჩევა იყო გადაწყვეტილი, ილია ჭავჭავაძემ ვინმე ქანანოვი დაასახელა.

ყველაფერი ილიას სურვილის საწინააღმდეგოდ მოხდა — მაჩაბელი „დროების“ რედაქტორი გახდა და ბანკის დირექტორადაც აირჩიეს, ამან კი ისედაც რთული ვითარება კიდევ უფრო დაძაბა.

ვახტანგ ჭვლიძე იოლად აქარწყლებს ყოვლად უსაფუძვლო ბრალდებას, დასაეღეთის ღირებულებებისადმი მონურ ქედმოხრას, ბრმა მიბაძვას, რასაც საქმეში ჩაუხედავნი ივანე მაჩაბელს უკიჟინებდნენ:

„საერთოდ, ბევრსა წერდნენ ხოლმე მაჩაბლის ევროპულობაზე, იმაზე, რომ იგი ყველგან და ყველაფერში ევროპული წესრიგისა და ზნე-ჩვეულების დანერგვას ცდილობდა. ამ საკითხს ცოტა უფრო ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ. მაჩაბელი მრავალმხრივ განათლებული ადამიანი იყო, ევროპული ენებისა და ლიტერატურის ჩინებული მცოდნე, მაგრამ იგი ერთი წუთითაც არ მოშორებია მშობლიურ ნიადაგს, ხალხს, მის სიბრძნეს, მის ადათებსა და ზნე-ჩვეულებას, მის ცოცხალ მეტყველებას; არასოდეს არ ყოფილა კოსმოპოლიტი. მისი აზრით, განათლებამ, სხვა ქვეყნების ლიტერატურისა და ხელოვნების შესწავლამ ეროვნული სახე კი არ უნდა დაგვაკარგვინოს, პირიქით, ხელი უნდა შეუწყოს ეროვნული თვითცნობიერების გაღვივებას, ეროვნული კულტურის გამოვლინებასა და განვითარებას“.

ბატონ ვახტანგს აქვე მოჰყავს მაჩაბლის ძალზე მნიშვნელოვანი

წერილის მეტად საგულისხმო ადგილი, რომელიც, ისე და ისე, დღეს დაწერილი გვეგონება, ისე აშკარად აბათილებს და უპირისპირდება ხელოვნურად დანერგილი გლობალიზაციის მომხრეთა თვალსაზრისს. მოზრდილი ამონარიდიდან შედარებით მცირე, სახელმძღვანელოდ გამოსადგვი, ნაწყვეტის ამოწერას უნდა დავეჯერდეთ, ვინაიდან ამითაც ნათელი გახდება, როდენ საღად და დამაჯერებლად მსჯელობდა ჩვენი ღირსეული წინაპარი ნამდვილი ცივილიზაციის სიკეთეზე, რაც მან ყოველ ერს უნდა მოუტანოს:

„განათლება ხალხს გონებით ავარჯიშებს, ზნეობით ამაღლებს. ნივთიერად ამდიდრებს, თვითცნობიერებას უღვიძებს, მანვე ჩვეულებას უსპობს, ხასიათს უშალაშინებს, სხეადასხვა ერს ერთმანეთთან აახლოებს. ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ განათლება ხალხთა შორის ყოველგვარ განსხვავებას სპობდეს: ღიდად ცლებიან ისინი, ვინც ოცნებობენ, ვითომ ცივილიზაციის დანიშნულება იყოს ფრანცუზისა და ნემეცის შორის ყოველგვარი განსხვავება ამოაგდოს, ინგლისელი და ჩინელი სრულებით გააერთოს, ეროვნული პირადობა განაქროს. ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული პირობები ისეთს დაღს ასმენ ხალხს, რომლის ამოშლა, ამოხოცვა ცივილიზაციას არ ძალუძს და არც ცდილობს. იმისი დანიშნულებაა აღნიშნულ ადგილზე შექმნას ისეთი პირობები, რომელთა საშუალებით ადამიანს და საზოგადოდ მთელ ხალხს შეეძლოს თავისი ცხოვრების გაუმჯობესება. ცივილიზაცია ახლდება, ჭაბუკდება იმ ელემენტებით, რომელთაც ჰკრებს იგი სხეადასხვა ხალხთა ცხოვრებიდან. ამით იმატებს იგი ძალას, ხანგრძლივობას, სიცხოველეს. აქედან სჩანს, რომ განათლება ზნეობით აახლოებს და აერთებს ხალხებს, მაგრამ ამასთანავე იგი არ ცდილობს მოსპოს განსაკუთრებული ხასიათები, რომელთაგან შესდგება ეროვნული პირადობა, ნაციონალური ინდივიდუალობა“.

ივანე მაჩაბელი, როგორც მისნაირ ბრძენ მოაზროვნეს შეეფერებოდა, სასტიკი წინააღმდეგი გახლდათ ბრძა მიმბაძველობისა, მისი გულისყური მუდამ მყარი, მარადიული ღირებულებებისკენ იყო მიმართული. განსაკუთრებული სიამაყითა და მღელვარებით მსჯელობს იგი ქართულ ხალხურ სიმღერებსა და სხეადასხვა კუთხის ჩვენს სამოსელზე. მართლაცდა, ვის არ მოხიბლავს ხეესურული ტალავარი, ფერთა იშვიათი შეხამებით და ორნამენტთა დახვეწილი ფორმით, უზადო გემოვნებით, მკაცრად განლაგებული გეომეტრიული ფიგურებით რომ გამოირჩევა. ანდა, თუშური ფარდაგის ზღაპრულ სილამაზეს განაბეერი მეტოქე გამოუჩნდება თუნდაც მთელ ქვეყნიერებაზე?

ჩვენი ხალხის ეს ამოუწურავი სიმდიდრე და ყველასაგან განსხვავებული ნიჭიერება აღანთებდა შექსპირის ტრაგედიების უბადლო მთარგმნელს, მშობელი ერისთვის შეეხსენებინა:

„დაეუბრუნდეთ ჩვენს სიმღერებს, ჩვენს ტანისამოსს, ჩვენს კარგთ ჩვეულებათ, ჩვენს ვარჯიშობას, ჩვენებურს დროს გატარებას! ნუ დაევიწეებთ ჩვენს ხასიათს და ვეცადნეთ იმათ შევათანხმოთ, დაუნათესავოთ, ევროპული განათლება. ამგვარი ჩვენი მოქმედება, მეცადინეობა გააძლიერებს ჩვენს წინმსვლელობას, ზნეობით აგვამაძლებს, ეს იქნება ჩვენი განახლება“.

უბრალო ჩამოთვლაც კი გაძნელდება ყველა იმ ღირსებისა და დამსახურებისა, რაც ივანე მაჩაბლის რედაქტორობით გამომაველ „დროებას“ ჰქონდა. რამდენი უთანასწორო ბრძოლის გადატანა მოუხდა, რა ძალისხმევა დასჭირდა რედაქტორს, რათა ლუკა ისარლოვისთანა გაიძვერა ცენზორებთან თავისი გაეტანა, სამშობლოს ინტერესები დაეცვა.

რამდენის მთქმელია თუნდაც ცბიერი პოლიტიკოსის, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის, იანოესკის ბნელ ზრახვათა მხილება, ვისი ქმედებანიც საქართველოს დაქუცმაცებისა და დაუძღურებისკენ იყო მიმართული. მან განიზრახა სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის განდევნა (ქართული მეგრული ბაეშეებისთვის უცხო ენად გამოაცხადა), მისი აზრით, სკოლაში მეგრული და რუსული უნდა დარჩენილიყო. ვერაგობას ვერაგობა ემატებოდა, მეგრელებს რუსულ ანბანს სთავაზობდნენ, რაც შორს გამიზნული პროვოკაცია იყო.

„ნოვოე ობოზრენიეში“ გამოქვეყნებული ეს მზაკერული ცირკულარი ივანე მაჩაბელმა „დროებაში“ გადმოებჟჭადა, რასაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეების მღელვარება მოჰყვა. „დროების“ რედაქტორმა შეუცდომლად აუღო ალლო სიტუაციას. ვახტანგ ჭველიძე იხსენებს და აღადგენს მაშინდელ ვითარებას: „ორიოდე დღის შემდეგ სამეგრელოს სხვადასხვა კუთხეებიდან იწყო დენა კორესპონდენციებმა, სტატიებმა, მოწოდებებმა..., რომელთა ავტორები აღშფოთებით გმობდნენ იმ აზრს, თითქოს მეგრული ენა ქართულის „ღვიძლი შეილი“ არ ყოფილიყო“.

რაოდენ შემადრწუნებელი და სამარცხვინოა ის ამბავი, რომ ამჟამად რუსეთის მიერ ოკუპირებულ ქართულ მიწაზე, გალში, მეგრულ ენაზე (შრიფტი, ცხადია, რუსულია) იბეჭდება ყოველად პრიმიტიული ანტიქართული გაზეთი, რომელსაც ბნელი პიროვნება, „აფხაზთა სიძელ“ ცნობილი ჯორჯ პიუიტი მეურვეობს. ამ დემაგოგს,

თავის დროზე, გამანადგურებელი პასუხი გასცა ჩვენმა გამოჩენილმა სწავლულმა და მწერალმა აკაკი გაწერელიამ და ვფიქრობ, ის წერილი ხელახლა, დიდი ტირაჟით უნდა გამოქვეყნდეს, რათა ზოგიერთებს თვალი აუხილოთ — მიხედნენ, რა საშიშროების წინაშე ვდგავართ.

ადვილი წარმოსადგენია, როგორი ლახვარი იქნებოდა ივანე მანაბლისა და მთელი საქართველოსთვის ერთადერთი ქართული გაზეთის „დროების“ დახურვა მეფის რუსეთის მიერ, გაზეთისა, რომელიც ოცი წლის განმავლობაში უმძიმეს ჭაპანს ეწეოდა ჩვენი ეროვნული ცნობიერების გამოსადეიქებლად, საქართველოს ღირსების დასაცავად.

ვახტანგ ჭვლიძეს, „დროების“ დახურვასთან დაკავშირებით, მოაქვს ილია ჭავჭავაძის პირადი ბარათი, დავით მესხისადმი გაგზავნილი, სადაც დიდი ილია შემოფოთებას გამოთქვამს ჩვენი საზოგადოების გულგრილობის გამო, ძალმომრეობას რომ ურიგდება. ეს წერილი ილიას მოკვლის შემდეგ გამოქვეყნდა.

„დროების“ დახურვამ საშინლად დათრგუნა ივანე მანაბელი, უიმედობამ შეიპყრო, კარგა ხანს გულს ვერაფერს უღებდა. მერე კვლავ შექსპირის ტრაგედიების თარგმნა განაახლა, უმთავრესი სიმწელებები დაძლია — ზედიზედ თარგმნა „ჰამლეტი“ და „ოტელი“. წიგნებადაც გამოსცა. პრესაში გამოხმაურებას ვინ ჩივის; უმადური, სხვისი გარჯის არად ჩამგდები ადამიანები ყოველთვის მრავლად იყვნენ საქართველოში და თურმე მასაც გააგონეს ხეპრული საყვედურები — რა დროს შექსპირია, შექსპირის ტრაგედიებისთვის ახლა ვისა სცხელაო.

ვახტანგ ჭვლიძე სინანულით, გულისტკივილით წერს:

„ცხოვრების წერილმანებში ჩაფლულ საზოგადოებას მაშინ არც კი მოჰფიქრებია, რომ ამით იწყებოდა ახალი ერა ქართულს მთარგმნელობითს ლიტერატურაში; მტკიცდებოდა ნიადაგი ახალი ქართული სალიტერატურო ენისა, რომელსაც რამდენიმე ხნის წინ ილია ჭავჭავაძემ ჩაუყარა საფუძველი და მთელი ექვსი-შვიდი საუკუნის შესვენების შემდეგ, ღირსეული მემკვიდრე უჩნდებოდა ძველი დროის ჩვენს გამოჩენილ მთარგმნელებს“.

ეს ისეთი ავტორიტეტული, უტყუარი და უნივერსალური შეფასებაა, რომელსაც ვერავინ და ვერასოდეს გადასინჯავს. ვახტანგ ჭვლიძე ეპოქალური ლიტერატურული მოვლენის მარტოოდენ აღნიშვნით არ დაკმაყოფილებულა, როგორც ადრე ვთქვით, მან

საფუძვლიანი გამოკვლევები მიუძღვნა შექსპირის ტრაგედიათა მაჩაბლისეულ თარგმანებს.

იუანე მაჩაბლის ცხოვრების მთავარ ეტაპებს საფუძვლიანად გვამცნობს მესამე, უმნიშველოვანესი მოვლენებით გაჯერებული თავი „შეიდწლიანი ომი“. უამრავ, დიდ და პატარა საზოგადოებრივ საქმეებში ჩაბმული მაჩაბელი, ამ დროს, მთელი შემართებით თარგმნის შექსპირის ყველაზე მისტიკურ და პირქუშ ტრაგედიას „მაკბეტს“. ამ ნაწარმოებისკენ, ეტყობა, განსაკუთრებულად მიუწევდა გული. მალე დედნიეული ექსპრესიით გადმოიტანა სამი კუდიანი დედაბრის სცენა, მათი ჯადოქრული შელოცვის ტექსტი, როცა ისინი ქვაბში ათასგვარ საძაგლობას ხარშავენ.

თითქოს ზეგარდმო ძალთა ჩარევით ხდება ყველაფერი. ტექსტი იმდღევანდელი ხელნაწერისა ასე თავდება: „შენი სტუმრები ვართ ამაღამ, მშვენიერებით, სიტურფით საესე ქალბატონო“. წინასწარმეტყველებას დაემსგავსა თარგმანის ეს სიტყვები, იმავე საღამოს ახდა. მუშაობაში გართულს, უეცრად გაახსენდება, რომ სადილად ნიკო დიასამიძესთან არის დაპატიჟებული. შეიძლება კიდევ დაზარებოდა წასვლა, მაგრამ ეტლით თავის მეგობართან, მიშო მაჩაბელთან უნდა გაეელო... სწორედ ნიკო დიასამიძის ოჯახში გაიცნო ფერიებივით მომხიბლავი სამი ულამაზესი და, სამეფო გვარის შთამომავლები, ერთმანეთზე უკეთესები, ქართლის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მემამულის ალექსანდრე ბაგრატიონ-ქართველიშვილის ქალიშვილები. ერთს მანამდეც ხშირად ხედებოდა ქუჩაში, მაგრამ ეინაობა არ იცოდა. ეს იყო საშუალო და, შავგერემანი, თაფლისთვალება, ანასტასია. მან ყველაზე მეტად მოხიბლა სტუმრად მისული მაჩაბელი, დაჯდა დებთან და მაშინვე გაამხიარულა სამივენი. ამ დროს ოჯახს სტუმრობდა პოლკოვნიკი არჯევანიძე, რომელსაც ცოლად უნდა ეთხოვა სწორედ ეს საშუალო და (შინაურები მოლაპარაკებულები იყვნენ ამის თაობაზე), მაგრამ პოლკოვნიკმა დებთან საერთო ენა ვერ გამონახა და გაბუსხული, დაღერემილი იჯდა.

ნიკო დიასამიძის ოჯახში სტუმრობის ეპიზოდები შესაშური ოსტატობით არის დაწერილი, რომელიც გნებაეთ საუკეთესო ევროპულ რომანს დაამშვენიებდა, მაგრამ აქ აღარ შეუუდგები საამისო მაგალითების ამოწერას, არ მინდა მკითხველს სიამოვნება გაუუნახვერო. ერთი კია — სამი უმშვენიერესი დის, ბაგრატიონების, ხილვამ მაჩაბელს ალბათ გაუნელა კოშმარული გამოცხადებანი

ბოროტების განსახიერებად ჩაფიქრებული სამი კუდიანი დისა, „მაკბეტში“ დროდადრო რომ გამოჩნდებიან.

ოცდამეორე წლის ანასტასია (ტასო) ბაგრატიონ-დავითაშვილის შეუღლება მასზე ასაკით უფროს ეანო მანაბელთან ელვის სისწრაფით მოხდა. ჯერისწერა პატარა კარის ეკლესიაში დრამატულად წარიმართება. მანაბელი მღვლეარებას შეუპყრია. საცოლესაც ხელი უთრთის და მიმრქმელის მიწოდებული ბეჭედი უეარდება, თლილ ქვაზე დაეცემა, წკრიალით გაგორდება საკურთხეველისკენ. ეკლესიაში მყოფნი აჩოჩოლდებიან, ამას უბედურების ნიშნად მიიჩნევენ. მერე დაბნეული ტასო სანთელს გულზე მიიხუტებს და ალი მის პირბადეს წაეკიდება. დაფეთებული ნეფე მყისვე აქრობს ცეცხლს, მაგრამ იქ მყოფნი კვლავინდებურად ჩურჩულებენ: „აჰ, უბედურნი იქნებიან, უბედურნი!..“

უცნაურია, იგივე დაემართათ რუსეთის უკანასკნელ, უიღბლო იმპერატორ ნიკოლოზ მეორეს და მის მეუღლეს ალექსანდრას. ჯერისწერის დროს დედოფალს წასძერა ბეჭედი და გაგორდა. სხვა ავის მომასწავებელი ამბებიც მოხდა იმ დღეს (არეულობაში, მოედანზე, ხალხი დაიხოცა) და ხალხში მაშინვე დაწყებულა მითქმა-მითქმა: ახალშეუღლებულები ცუდად დაამთავრებენ სიცოცხლეს, რომანოვთა დინასტიას უბედურება მოეწიოსო.

მანაბლის დაქორწინებიდან რამდენიმე თვე გადის და მასა და ილიას შორის ხელახლა, უფრო მეტი დაუნდობლობით იფეთქებს უთანხმოება, რომელსაც „შეიდწლიანი ომი“ შეარქვენ. თუ რამდენად აენო ამ ყოვლად გაუმართლებელმა დაპირისპირებამ ორ, ტიტანური ძალის მოღვაწეს და მთელ საქართველოს, წინამდებარე წიგნი ამის შეულამაზებელი მატინაეც არის. ივანე მანაბელი ერთგან თვითონ წერს (ეახტანგ ჭელიძეს მოზრდილი ციტატა მოაქვს), დიმიტრი ყიფიანის დაარსებულმა საადგილმამულო ბანკმა რამდენ კეთილ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საქმეს დაუდო სათავე და რა დასანანია, რომ ივანე მანაბელი ხვანჯების დამხლართაემა ბოროტმა სულებმა აიძულეს ამ ბანკიდან წასულიყო. კინკლაობის მოსურნენი კვლავაც იმას წუხდნენ, ვაითუ მოქიშპენი შერიგდნენო. უამრავი ბინძური ჭორი იყო დარხეული, რათა უსპეტაკეს ადამიანს, ივანე მანაბელს, ჩირქი მოსცხებოდა, იგი „სამშობლოს მოღალატედ, ბოროტ დამბეზღებლადაც“ კი გამოაცხადეს. სამწუხაროდ, ილიამ პერ გამოიჩინა კეთილი ნება, ვერ მოერია თავს, იგი მანაბლის კეთილსინდისიერებაში დააეჭვეს. შესამოწმებლად ჩამოსული, პოლო-

ნური წარმოშობის ჭკვიანი და წესიერი რევიზორი ევსტაფ ღობეცკი მალე გაერკვა შექმნილ ვითარებაში, მიხვდა, რომ ილიასა და მაჩაბელს ერთმანეთის საწინააღმდეგო პრინციპულად არაფერი ჰქონდათ, მოიწადინა მათი შერიგება, მაგრამ ინტრიგანებმა მასაც აუბნიეს თავგზა. ილიასა და მაჩაბელს ცალ-ცალკე აგულიანებდნენ, არაფერი დათმოდნენ. ისტერიულად გააჰყვიროდნენ, სამარცხვინო შერიგება არ უნდა მოხდესო. ზოგ შემთხვევაში ამ ქიშობას კომიკური იერი დაკრავდა, ივანე მაჩაბელი ორ კოლას შორის იჭყლიტებოდა. ერთი, კოლა ორბელიანი, სულ იმის ცდაში იყო, როგორმე წაექეზებინა და აეფორიაქებინა იგი, მეორე კი, სიყრმის მეგობარი, კეთილშობილი პიროვნება კოლა ფაველნიშვილი მაჩაბელს გონიერულ რჩევებს აძლევდა, რათა იგი დაეიდარაბას გარიდებოდა და ასე ჭეშმარიტება უფრო გამოჩნდებოდა. მოწინააღმდეგე ბანაკთა ლიდერების შერიგება შეუძლებელი გახდა, საქმეს კარგი პირი არ უჩანდა.

ამავე თავში მოთხრობილია 1893 წელს ახალი გაზეთის — „კეალის“ დაარსებასა და მასში ივანე მაჩაბლისა და აკაკი წერეთლის აქტიურ მონაწილეობაზე. „კეალის“ დამსახურებად ისიც იკმარებს, რომ პირველად იქ დაიბეჭდა აკაკის პოეზიის გვირგვინი „განთიადი“. ივანე მაჩაბელს ბევრი რამ გამოუქვეყნებია ამ გაზეთში. ვახტანგ ჭელიძე აღნიშნავს, რომ ხშირად იგი იქ „გვარისა და ინიციალების მოუსწერლად“ ბეჭდავდა მასალებს; მომავალ მკვლევართა საყურადღებოდ წიგნში ნათქვამია: „ახლა დიდი დაკვირვებაა საჭირო იმის გამოსარკვევად, რომელი წერილი ეკუთვნის მაჩაბლის კალამს“.

აქ ერთხელ კიდევ დაბეჯითებით უნდა ითქვას — ქართულ თუ სხვა პრესაში გაფანტული ივანე მაჩაბლის პუბლიცისტური წერილები, დღიურები, პირადი ბარათები გულმოდგინედ უნდა შეგროვდეს, დაერთოს საფუძვლიანი გამოკვლევა, კომენტარები და ხელისუფლების ან რომელიმე ქველმოქმედის დახმარებით ცალკე ტომად გამოიცეს; ყველანი დაერწმუნდებით, რაოდენ თანამედროვედ ჟღერს დღევანდელ დღეს მისი ბრძნული ნააზრევი, ვიხილაეთ, რა ახალი და მოულოდნელი კუთხით წარმოჩნდება იგი შთამომავალთა წინაშე. ამ წმინდა მამულიშვილურ ვალს, ჩემი ღმრა რწმენით, სათანადო ხელშეწყობა თუ ექნება, უეჭველად გაართმევდა თავს ჩვენი ახლო წარსულის საუცხოო მკვლევარი თამაზ ჯოლოგუა, ვისაც არაერთი ასეთი სამადლო საქმე გაუკეთებია.

სიტყვის როგორი განსაცვიფრებელი ოსტატია ივანე მაჩაბელი,

ეს ყველაზე მკაფიოდ მის დღიურებში, მოგზაურობის ჩანაწერებში იგრძნობა. ერთ რამედ ღირს მთიან რაჭაში, ონის მახლობლად მისი მოგზაურობა და შუაზე გაპობილი, გამაოგნებელი შესახედაობის, კლდის-ქვაგახეთქილას — აღწერა. მოვიტან მცირე ნაწყვეტს დაუეიწყარი პეიზაჟისა, რაც ვანო მაჩაბელს ღეთაებრივად წარმტაცი გადასახედიდან უხილავს: „რიონსა და გზას იქით სჩანან თვალწევდომელი კავკასიის მთები, ისე ახლო, თითქო ხელი რომ გაიწვდინოთ, შეხება არ გაგიჭირდებათო. ხედავთ ბურუსში გახვეულ მწვერვალთ, გრძნობთ თითქოს მათგან მობერილ სიცივის ჟრუანტელს, თვალს გტაცებთ ყინულის სპეტაკი მდინარე, ორ მაღალ მთას შორის ნელად და უჩინრად თაექვე დაბლობისაკენ მიმავალი...“

ყველაზე მცირე და ამავე დროს უძლიერესი, ყველაზე ტრაგიკულია ცნობისწადილის აღმძრაუად დაქარაგმებული ბოლო თავი — „რ.“ და „ჯ.“-88 — მაჩაბლის მძიმე ავადმყოფობას (ექიმებმა მას ჩირქოვანი პლევრიტი დაუდგინეს) და იდუმალ გაქრობას რომ ეხება.

ვახტანგ ჭელიძე თავადვე ხსნის ამ ქარაგმას; ავადმყოფი მაჩაბელი „ანტონიოს და კლეოპატრას“ ხელნაწერს გადმოიღებს და თვალში მოხედება დიდი ხნის წინ ფანქრით მინაწერი: „რ.“ და „ჯ.“-88... გაახსენდა, პეტერბურგიდან ახალდაბრუნებული როგორ შეხვდა 19 წლის მაკო საფაროვას, ვის მიმართაც ნამდვილად არ იყო გულგრილი, დაპირდა ახალგაზრდა, ძალზე ნიჭიერ მსახიობ ქალს, რომ თარგმნიდა „რომეოს და ჯულიეტას“ და ეს დღემდე ვერ შეძლო. დაფიქრდა ბედნიერების მოჩვენებითობაზე, იმაზე, თუ რა სწრაფად მიექანება დრო, ნაღველი მოეძალება „პირველი, მარცხიანი სიყვარულის“ გახსენებაზე.

სევდისმომგვრელი, ამაღლელებელია ეპიზოდი, როცა ივანე მაჩაბელი ხედავს, მისი და მისი მეგობრის, მარიამ ღემურიას შეილები როგორ თამაშობენ „ბანკობიას“. ერთმანეთს უპირისპირდებიან და მარიამის ბიჭებიც მაჩაბლისტობას იჩემებენ. გული უკედება ამის მხილველს, სანამდღე მისულა საქმეო, და ბავშვებს ურჩევს, სხვა რამე ითამაშეთო.

რამდენიმე დღის მერე მარიამ ღემურია, თავისი ბიჭებით, ილიას ესტუმრება. მასპინძელს მოეწონება მკვირცხლი ბიჭები და კანფეტებით გაუმასპინძლდება. მარიამ ღემურია ხუმრობით ეუბნება ილიას, ესენი მაჩაბლისტები არიან და რომ გცოდნოდათ, დაასაჩუქრებდით კი არა, სახლშიაც არ შემოუშვებდითო.

ბიჭებს ხასიათის სიმტკიცე გამოუჩენიათ, მაჩაბლისტობა არ

იუარეს და შეთავაზებული კანფეტები მაგიდაზე დააწყვეს. ილიას გულიანად გასცინებია და ისე მოქცეულა, როგორც მისნაირი ბრძენი პიროვნება მოიქცეოდა:

„— ესენი მანაბელით პრინციპის ხალხი ყოფილა! არა უშავს, იყენენ მანაბლისტები, ასეთი მტკიცე ხალხი მიყვარს და პატივს ვცემ, — ილიამ ბიჭებს მიუაღერსა, მერე თავისი დიდი წიგნი გამოუტანა და წააწერა: — ჩემს მტრებს — პატარა მანაბლისტებს. ძია ილია ჭკუჭკუაძე.“

აქ მთელი არსებით, კაცური სიმაღლით ჩანს „ნიკოლოზ გოსტაშაბაშვილისა“ და „ოთარაანთ ქერივის“ დამწერი. ილიასთანა პიროვნებას შეუძლებელია არ ეტარებინა მოუნელებელი წუხილი, იეანე მანაბელთან სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებამ რომ დაუტოვა. ეს ტკივილიანი წუხილი, რამდენადმე შეფარულად, გამოჩნდა წიგნის ფინალურ ეპიზოდებში, სადაც ავტორმა, შეიძლება ითქვას, ბეწვის ხილზე გაიარა.



ვიდრე „მანაბლის ცხოვრებაზე“ ბოლომდე ვიტყვოდე სათქმელს, ერთი მოზრდილი გადახვევა დამჭირდება. ჩემნაირი დახშული, განუვითარებელი სმენის პატრონს არანაირი უფლება არა აქვს მუსიკაზე ილაპარაკოს, მაგრამ როდესაც ვახტანგ ჭვლიძისთანა უნივერსალური, ფართო ინტერესების პიროვნებას ეხები, ძალაუნებურად, მუსიკის სფეროც უნდა გაითავისო. ჩემს უკიდურეს შეზღუდულობას, ნაწილობრივ, იმით ვინაზღაურებ, რომ მუსიკაზე დაწერილ საუკეთესო ესეებსა თუ გამოკვლევებს ხშირად ვკითხულობ. აქ, შეძლებისდაგვარად, დაერჩები თემათა და შთაბეჭდილებათა იმ წრეში, სადაც ასე უყვარდა ყოფნა ჩემს ძვირფას მასწავლებელს.

მახსოვს, როგორ გაიხარა ვახტანგ ჭვლიძემ, როცა 1989 წელს, პარიზში, მარგარიტა ლონგისა და ჟაკ ტიბოს საერთაშორისო მუსიკალურ კონკურსზე ჩვენი დაუვიწყარი მეგობრის ზაურ ბოლქვაძის ოცდაორი წლის ქალიშვილმა, უნიჭიერესმა პიანისტმა ელისო ბოლქვაძემ ტრიუმფალური გამარჯვება მოიპოვა. იმ კონკურსს ესწრებოდა ევროპაში ცნობილი მუსიკოსი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი მიშელ სონი. მას ბილეთი აღებული ჰქონდა და თავის სახლში, შვეიცარიაში უნდა გამგზავრებულიყო, როდესაც

ელისოს გვარი გამოუცხადებით, მისთვის უცნობმა ქართველმა გოგონამ მოცარტის პირველი აკორდები აიღო. ეს კაცი მონუსხული-ვით დამჯდარა ადგილზე, შინ დაბრუნება მაშინვე გადაუფიქრებია. დაკერის დასრულებისთანავე, ალტაცებულს უთქვამს, მოცარტის ასეთი სუფთა ბგერა ჯერ არავეისგან მომისმენიაო. მერე თავად ელისოსთვის შეუთავაზებია — სიამოვნებით გავხდებოდი თქვენი მენეჯერი, თუკი მშობლები თანახმანი იქნებიანო, იმ დღიდან დაიწყო ელისო ბოლქვაძის დიდი, გამარჯვებებით აღსავსე მუსიკალური გზა და რაოდენ საამაყოა, რომ მისი ნიჭის თაყვანისმცემელთა რიცხვი ყოველწლიურად მატულობს. ბატონი ვახტანგი ერთი ამთვანი იყო.

კლავესინზე დიდოსტატურად დამკერვლმა, გამოჩენილმა მუსიკათმცოდნემ ვანდა ლანდოვსკამ ძველ მუსიკოსებზე შექმნა ბრწყინვალე სერია ლიტერატურული პორტრეტებისა, რომელთაგან გამოირჩევა მოცარტის საკონცერტო ნაწარმოებზე დაწერილი „გალანტური სტილი“. იქ ნათქვამია, რომ მოცარტი შემსრულებლებს იმპროვიზაციის შეუზღუდავ თავისუფლებას უტოვებდა. ერთგან ეს აზრი ასეა გამოხატული: „ვერც ერთი ვირტუოზი ვერ გაბედავს, მოცარტის ზოგიერთი ფრაზა ისე შეასრულოს, როგორც იგი მას აქვს ჩაწერილი. მრავალი ისეთი ადგილია, განსაკუთრებით მისი სონატებისა და კონცერტების შენელებულ ნაწილებში, რომლებიც უბრალოდ ესკიზებს წარმოადგენენ: „ისინი ასე დატოვებულია შემსრულებლისათვის, რათა მან ეს ესკიზები დაამუშაოს და შეამკოს.“

თავად მოცარტს, საკუთარი ქმნილებების შეუდარებელ შემსრულებელს, როგორც აღნიშნულია „გალანტურ სტილში“, ეჯავრებოდა ფუჭი ფეიერვერკები, დამანგრეველი გადამლაშება და ყოველგვარი გაჭიფხუვა, ღრმა, მღელეარე ექსპრესიას იგი მომაჯადოებელ სისადავეს უთავსებდა. ლანდოვსკა წერს, რომ სწორედ ამით დაამარცხა მან თავისი მრისხანე მეტოქე კლემენტი.

ყველაფრიდან ჩანს — ელისო ბოლქვაძემ იმთავითვე შეისისხლხორცა მოცარტის ქმნილებათა ეს უმთავრესი თავისებურება, „იმპროვიზებული ორნამენტის“ რთული ხელოვნება, იცის, როდის როგორ შეახოს თითები კლავის, რათა ცისკენ მიმსწრაფი გენიის შთაგონების წიაღში შობილი უსუფთავესი ბგერა უმაღლესი შეიგრძნოს. და ასევე გაახშიანოს.

ლიტერატურის შემდეგ, ვახტანგ ჭელიძე ისე ლაღად არსად არ გრძნობდა თავს, როგორც მუსიკის სამყაროში. აქ იმოდენა

გამოცდილება და გემოვნება ჰქონდა, რომ ყოველი რანგის მუსიკათმცოდნესთან შეეძლო გაემართა პაექრობა თუ დიალოგი. მისი უცვლელი ღმერთი იყო მოცარტი (ვერდის და შოპენსაც უსაზღვრო სიყვარულს მიაგებდა) და ამან მრავალ ჩანაწერში იჩინა თავი. იმ ჩანაწერებმა და სხვა რამემაც სურვილი აღმიძრა, ჩემი, უმწეო დილეტანტის, დამოკიდებულება გამომეხატა მოცარტისადმი, თუმცა ამ შემთხვევაში სხვათა ნააზრევს უფრო ვეყრდნობოდი. ეს თავიდანვე საცნაური გახდება. ჩემი მოკრძალებულზე მოკრძალებული ცდა მხოლოდ იმით განისაზღვრება, მკითხველს მცირეოდენი წარმოდგენა რომ შეექმნას ვახტანგ ჭვლიძის სულიერი სამყაროს სიმდიდრეზე. ისიც გაცნობიერებული მაქვს — თვით დიდად განსწავლულ მუსიკათმცოდნეებსაც გაუჭირდებოდათ გულდინჯი, ამომწურავი საუბარი, ზალცბერგელ გენიაზე ისეთი ზღვა ლიტერატურაა დაგროვილი.

მოცარტზე დაწერილი გერმან აბერტის ვეებერთელა მონოგრაფია, სპეციალისტთა შეხედულებით, დღემდე ყველაზე ღრმა და მასშტაბურ ნამუშევრად ითვლება. მასში უმცირეს წერილმანებამდეა აღნუსხული „ჯადოსნური ფლეიტის“ ავტორის ბიოგრაფია და სწორუპოვარი შემოქმედება. თვითონ აბერტს მიაჩნდა, დიდ ადამიანთა ცხოვრება ყოველ ორმოცდაათ წელიწადში ერთხელ თავიდან უნდა დაიწეროს, მაგრამ თითქმის საუკუნის წინ დაწერილ მის წიგნს დაძველებისა არაფერი ეტყობა. აბერტის ანალიტიკურ განსჯას არასოდეს აკლია ემოციური ტალღა, ხოლო ის თავები, მოცარტის გარდაცვალებასა და „რეკვიემს“ რომ ეძღვნება, ძნელია, მღელვარების გარეშე წაიკითხო.

გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე, უკიდურესად დაუძღვრებული მოცარტი დაუდგენელ პიროვნებას წერდა, რომ მას გამუდმებით ელანდებოდა უცნობის სახე, რომელიც „რეკვიემის“ დამთავრებას ემუდარებოდა. თვითონ არაერთგზის თქვა, რომ „რეკვიემს“ იგი თავის თავს უწერდა და ეს იქნებოდა მისი დასაფლავების საგალობელი. ამასთანავე გრძნობდა — მის დასრულებას ვერ მოასწრებდა და ტირილი აუვარდებოდა ხოლმე. შიშობდა, „რეკვიემის“ შემკვეთი უცნობი გადახდილ ჰონორარს უკან მოითხოვდა. როგორც ვიცით, მოცარტის სიკვდილის შემდეგ, „რეკვიემი“ გაასრულა მისმა დიდადნიჭიერმა მოწაფემ ფრანც ქსავერ ზიუსმაირმა, ვინაც მოცარტის ხელოვნების მრავალი საიდუმლო და „რეკვიემზე“ მუშაობის ყოველი წერილმანი ზედმიწევნით იცოდა, მისი კალიგრაფიაც კი ძალზე

წააგავდა მოცარტისას. სტილისტური და კომპოზიციური მთლიანობა იმდენად უნაკლოდ იყო დაცული, რომ მოცარტის სამგლოვიარო მესას „ყველაზე ამაღლებული ადამიანის უმაღლესი ქმნილება“ უწოდეს. მიუხედავად მისი შემოქმედების ფანტასტიური მრავალსახოვნებისა და სირთულისა, იგი სიცოცხლის ბოლომდე ბავშვად დარჩა, რაც დიდ შემოქმედთათვის ასე დამახასიათებელია.

აბერტი აღნიშნავს, რომ იდუმალისა და ზებუნებრივისაკენ სწრაფვა მოცარტს ბავშვობიდანვე ეტყობოდა, მაგრამ მისი სიცოცხლის ბოლო ხუთ წელიწადში ეს მიდრეკილება განსაკუთრებით გაძლიერდა, იგი სულ უფრო მეტს ფიქრობდა სიკვდილსა და მიღმა სამყაროზე; ზებუნებრივის არსებობამ პირველად „ღონ ქუანში“ შეაკრთო, ხოლო მერე იქვე დაანახვა თავისი ამაღლებული და გამაკეთილშობილებელი ძალა. „ჯადოსნური ფლეიტა“ ზებუნებრივს გვამცნობს, როგორც ადამიანის მისწრაფებათა უმაღლეს მიზანს, „რეკვიემი“ კი მას მეტაფიზიკური მხრიდან განიხილავს, როგორც ყოველი წარმავლობისგან გამმიჯვნელ ძალას...

სწორედ სიცოცხლის ბოლო წლებში გამოვლინდა ძალუმაღლედ მოცარტის მუსიკის „მისტიკური ამაღლებულობა“, რაც აშკარად იყო „ჯადოსნურ ფლეიტაში“ და გადმოვიდა „რეკვიემშიც“, მაგრამ აბერტი აღნიშნავს, რომ აქ რიგი საკრავებისა აღარ ფიგურირებს. რის გამოც, „ფერების მხრივ გაცილებით მუქდება“. თუმცა იმასაც ამბობს, რომ „ორივე ნაწარმოებს ერთმანეთთან აკავშირებს მკაცრი ეკლესიური სტილი.“ 36 წლის ასაკში გარდაცვლილ მოცარტს, მიუხედავად საარაკო ნაყოფიერებისა, არ დასცალდა თავისი გენიისა და ზღვარდაუდებელი ფანტაზიის სრული გამოვლენა. ამიტომაც სინანულს გამოთქვამს აბერტი: „ძველ ჩრდილოგერმანულ კლასიკოსთა მსგავსად, იგი უნდა გამხდარიყო ვენის საეკლესიო მუსიკის განმაახლებელი. „რეკვიემი“ აშკარად მაჩვენებელია ამ გზისა“.

ერთ პირად წერილში მოცარტი, ვინც უფრო არსებული ტრადიციების გამაღრმავებელი იყო, წერდა — სალიერისგან განსხვავებით, ეკლესიური სტილი ჭაბუკობიდანვე სრულყოფილად ავითვისეო.

მოცარტის შემოქმედების მკვლევარები ხაზგასმულად აღნიშნავენ, რომ იგი ნაკლებად ჰგუობდა ლირიზმს, მისი გენია დრამატურგიული ხასიათისა იყო, წარმართავდა მძლავრი „დრამატურგიული ინსტინქტი“ და უმთავრესად ოპერებში გამოვლინდა. გამოთქმულია მრავალთაგან გაზიარებული აზრი, რომ ტრაგიზმის განცდამ

უმაღლეს წერტილს „დონ ჟუანში“ და შემდგომ „რეკვიემში“ მიაღწია, ოღონდ აქ აშკარაა სიკვდილის წინათგრძნობა, მისი მიღება და ფილოსოფიური ახსნა, რაც ახალგაზრდულ სიბობოქრეს ვედარ შეუთავსდებოდა, რადგან მოცარტი ვირტუოზულად ფლობდა ყველა თავისი ნაწარმოების ტემპსა და ტონალობას, ჰქონდა სტილის განსაცვიფრებელი გრძნობა. „რეკვიემი“ სიკვდილთან თავისებურ შერიგებად აღიქმება.

აქ შეიძლება გავიხსენოთ გალაკტიონ ტაბიძის ჯადოქრულად დატრიალებული ლექსი „შერიგება“, თავიდან ბოლომდე მოცარტის ღვთაებრივი, ზეადმტაცი მუსიკით რომაა სხივმოსილი და გადანათებული. პირველი და ბოლო სტროფის მოხმობაც იკმარებს, რომ განუმეორებელ ექსტაზს ევზიაროთ:

ტოტებს ქარისას გადააყვა მარტი,
თეთრ ტანსაცმელში მე მოვირთვები
და წავალ ქარში, როგორც მოცარტი,
გულში ხიმღერის მსუბუქ ზვირთებით.

.....

ამაღლდი, სულო, ბნელ აკლდამაზე,
მშვენიერების ლექსით მქებული.
ღღეს ყველგან მზეა და სილამაზე,
სიკვდილთან ჩემი შემრიგებელი!

ყოველი გენიალური ქმნილება, ლექსი იქნება, მუსიკალური ნაწარმოები, ნახატი თუ ქანდაკება, სიკვდილთან შერიგების გარდა, მისი გადალახვაცაა, უკვდავების ტალღებში გახვევა. გალაკტიონის გრძნულ სტრიქონებში სწორედ სამყაროს, ირგვლივ განფენილი სილამაზის მოცარტისეული ჭკერეტა ჩანს, „ბნელი აკლდამის“ მრუმე, ტლანქი კედლებისა და დამხუთველი თაღის გარღვევა, ჰაეროვნად გადალახვა, მარადიულ ნათელში გასვლა.

მრავალს გამოუთქვამს ამჟამად უკვე უდავო ჭეშმარიტებად ქცეული შეხედულება, რომ მოცარტი ყველა ნაციონალურ საზღვრებსა და შეზღუდვებზე მაღლა დგას, იგი ყველაზე უფრო უნივერსალური გენიაა, ვინც კი ჩვენს პლანეტაზე ოდესმე დაბადებულა.

მოცარტზე ერთ-ერთი ღრმა, ძალზე მნიშვნელოვანი წიგნის ავტორი, გამოჩენილი მუსიკათმცოდნე ალფრედ ეინშტეინი წერს:

„მიწიერი არაფერი დარჩა მოცარტისაგან, გარდა რამდენიმე

უვარგისი პორტრეტისა, სრულებით რომ არ გეანან ერთმანეთს. სიმბოლურია — ყველა ტეიფარი სიკვდილის შემდეგ აღებული ნიღბისა, რომელიც მართლა შეეფერებოდა მოცარტის სახეს, ერთიანად დაიმსხვრა. თითქოს მსოფლიო გონებამ გადაწყვიტა ჩვენთვის დაემტკიცებინა, რომ ეს კაცი კოსმოსში, დედამიწის მიზიდულობის მიღმა მოლივლივე ბგერაა, მიწიერი ქაოსის გადამლაზველი, თვით სამყაროს სული სულთაგანი“.

ყოველად უცნაური ხასიათის მქონე და ესთეტიკის რადიკალური სიახლით გამორჩეულ კომპოზიტორ ერიკ სატიზე დაწერილ მცირე ესკიზს ჟან კოკტო (იგი სატის გენიოსს უწოდებს) ძალზე მახვილგონიერულად, ეფექტურად ამოაერებს.

როსინისათვის უკითხავთ, კომპოზიტორებში ყველაზე დიდი ვინ არისო. ბეთპოვენი! — უთქვამს მას. — მოცარტი? როსინის, ჩანს, სახეზე გაკვირვება გამოხატვია. — თქვენ ხომ გინდოდათ, უდიდესი დამესახელებინა, მაგრამ არ გიკითხავთ, თუ ვინ არის შეუდარებელი!“ — ასე უპასუხნია.

როდესაც ბატონ ვახტანგს ეს ვუთხარი, სიამოვნებისგან სახე გაებადრა, როსინის დიდებული პასუხი გაუციაო. ეტყობოდა, თავადაც ამ აზრისა ბრძანდებოდა.

ჩემთვის უჩვეულო, სახიფათო თემაზე ამდენი ერთი რამის გამო ვილაპარაკე. ზემოთ უკვე ვთქვი, რომ ვერდი და შოპენი უსაზღვროდ უყვარდა, მაგრამ მოცარტი მისი ნამდვილი ღმერთი იყო. თანაც ისეთი განცდა დამეუფლა და კიდევაც ვირწმუნე, რომ მაჩაბლის აგონიის დიდოსტატურად, განსაცვიფრებელი ძალით აღწერისას, ბატონ ვახტანგს განუწყვეტლივ ჩაესმოდა მოცარტის „რეკვიემის“ არაამქვეყნიური, მიწის მიზიდულობას გაცდენილი და ცის უსასრულობისკენ მიმქროლავი, შემატორტმანებელი ჰანგები. ასე ვიფიქრე, რომ მან მაჩაბელს სიტყვიერად გადაუხადა მისი კეთილშობილი სულის შესადარი სამგლოვიარო მესა.

გარდაცვალებამდე თუ გაუჩინარებამდე ცოტა ხნით ადრე, მძიმე სენისგან ღონემიხდილ, სადარდელისგან დათრგუნულ მაჩაბელს მუდღისთვის უთქვამს, რომ მან ახალგაზრდა ქალს ვერავეითარი ბედნიერება ვერ მიანიჭა, პირიქით, ზედმეტ ტვირთად ექცა და უმჯობესია გაშორდეს, ამ ტანჯვისგან გაათავისუფლოს იგი. წიგნის ავტორი შენიშენაში ამბობს, რომ საქართველოს ცენტრალურ არქივში დაცული ჟანდარმერიის დაკითხვის ოქმები და სხვა მასალებიც ამასვე ადასტურებს.

მიწიერ ცხოვრებასთან მაჩაბლის განშორების საშინლად დაძაბული, ჯოჯოხეთური წუთები, როგორც უკვე ვთქვი, სულის-შემძვრელად, იშვიათი ოსტატობითაა დახატული. აგონიაში მყოფს, გონდაბინდულს ეჩვენება თუ „ხედავს კარებში ვიღაც მწითურ, წოწოლა კაცს, რომელიც ანიშნებს, გამომყევით...“ რა საკვირველად ჰკავს ეს ადგილი მასაერთ უღვთოდ განაწამები მოცარტის სიზმარულ ხილვას, აეის მოლოდინს...

ვახტანგ ჭველიძე ჰაიპარად, სიტყვის მასალად არაფერს ახსენებს. ყოველ საგანსა თუ სურათს იოლად მისახვედრი თუ ფარული ქვეტექსტი აქვს. ის, რომ აფორიაქებული, კომმარული ჩვენებისგან აღგზნებული მაჩაბელი შანდალს წამოაველებს ხელს, რალაციის მიმანიშნებელია. რომელიღაც ძველი მოღვაწის მემუარებში ამომიკითხავს, რომ მაჩაბელი მოულოდნელად გამოჩენილმა უცნობმა, ვგონებ სამხედრომ, იმ იდუმალებით მოცულ შუაღამისას, შანდლით მოკლა. უბედურ შემთხვევებთან დაკავშირებულ ნათქვამს, დამაჯერებელი რომ იყოს, ხშირად კონკრეტული დეტალები ახლავს.

სულისშემბუთველ, აეის მომასწავებელ სიჩუმეში ზოგიერთი ფრაზა უცვლელად მეორდება, რეფრენივითაა, რაც მთელ მონაკვეთს მუსიკალური ნაწარმოების იერს აძლევს. ერთ გვერდზე ოდნავ მეტია ეს უძლიერესი ადგილი, ერთი სიტყვის ამოგდებასაც ვერ აიტანს და, ამდენად, უმჯობესია, იგი მთლიანად მოეიტანოთ, შთაბეჭდილება რომ სრული იყოს:

„ნეტა რა დრო იქნება?“ ფიქრობს ბურანში წასული მაჩაბელი, მაგრამ ვერ მოუხერხებია თავი გადასწიოს და სკაშხე საათს დახედოს. სანთელიც ანთებული დარჩენია და იმასაც ვერ ახერხებს, რომ გადასწვდეს და ჩააქროს. თითქოს უხილავი ძალა ბორკავს; სახეზე ალმური ედება, მთელი სხეული უხურს, იწვის. ცეცხლი ეკიდება, თავბრუ ესხმის, პირი გაუშრა, საშინელ წყურვილსა გრძნობს, მაგრამ ვერ ამდგარა და წყალი ვერ დაუღვია!.. თავის წამოწვევას ცდილობს და ვერ ახერხებს. „ნეტა სიზმარში ვარ?“ ფიქრობს ბურანში წასული მაჩაბელი, მაგრამ ფიქრსაც კი ვერ მიჰყვება ბოლომდე... ნეტა მართლა ხედავს კარებში ვიღაც მწითურ, წოწოლა კაცს, რომელიც ანიშნებს, გამომყევით, თუ ეჩვენება?.. თავს ძალა დაატანა, თვალები ფართოდ გაახილა... ოთახს ოდნავ ანათებს სანთლის მკრთალი შუქი, ღამის მყუდროებაში გარკვევით ისმის საათის სუსტი წიკწიკი. პატარა პეპელა სანთელს ეთამაშება და მისი უღონო ფრთების ნიაევი ოდნავ

ატოკებს სანთლის ალს. კარები დაკეტილია, ღერეფანში ჩამიჩუმი არ ისმის. ბუნება მოუცავს ღამის ღიად სიწყნარეს...

მოჩვენება ყოფილა!..

მაჩაბელი ოფელში ცურავს, სახეზე ალმური ედება, სხეულზე თითქოს ცეცხლი ეკიდება... ძალ-ღონე მოიკრიბა და თავი წამოსწია, წამოდგა, სურასთან მივიდა, ცარიელი დახვდა. სული ეხუთება, ღამის დაიხრჩოს! შანდალს მოჰკიდა ხელი და აივანზე გაეარდა, გადაიხედა... მაგრამ ეს რა მოსდის?! საშინელი შიში იგრძნო, სიბნელისა და უსასრულობის შიში! მთელს სხეულში უსიამოვნო ჟრუნანტელმა დაუარა, სახე შეეშალა, ხელი აუცახცახდა...

მის წინ უცებ გაჰქრა სიბნელე და ახლა უკვე გარკვევით ხედავს სამყაროს ვეებერთელა სხეულების სრბოლას. ერთბაშად დაირღვა ღამის მყუდროება და სიერცემში მსრბოლი გოლიათი პლანეტების მოძრაობის ყურისწამლები ხმაური ახშობს სმენას... შიშის გრძნობა თანდათან შესცვალა უცნაურმა აღტკინებამ. მაჩაბელი არაადამიანურ ძალასა გრძნობს, სახეზე ალმური ედება, სხეულს ცეცხლი ეკიდება, თავბრუ ესხმის. თითქოს თვითონაც შეერია ამ გოლიათი ცის სხეულების სრბოლას. სწრაფი ნაბიჯით გამობრუნდა, ისეთი ნაბიჯით, როგორც მხოლოდ მტკიცე გადაწყვეტილების დროს შეიძლება პქონდეს ადამიანს, და თავის ოთახში შეეარდა...

ოთახიდან გამოჭრილი სინათლის მოფარფატე, მკრთალი შუქი ერთხანს კიდევ ანათებდა ფანჯარასთან მდგარ ნაძეის ხის ტოტებს. მერე თანდათან წაერთვა ძალა ამ შუქს, საცოდავად აფარფატდა და ჩაქრა“.

„სინათლის მოფარფატე, მკრთალი შუქის“ თანდათანობით მიბეჭუტვა და ჩაქრობა სულის ხორცთან გაყრის პლასტიკური, მეტაფორული სახე რომ არის, ამას არავითარი ახსნა და განმარტება არ სჭირდება, ყველაფერი ისედაც ცხადია.

წიგნის ეპილოგი რამდენიმე ერთმანეთზე უკეთესი ნატიფად დაწერილი მცირე ნაკვეთისგან შესდგება და ყოველ მათგანს უსასობის, განწირულობის ნაღვლიანი განწყობილების ტონალობა მსჭვალავს. პირველში „შუახნის წვერულეაშიანი კაცი... გათენებამდე გამოდის მდინარის ნაპირას და შუალამემდე დადის...“ მდინარის გაყოლებაზე სათითაოდ ნახულობს შესახელებულ მეთევზეებს, მაგრამ სანუგემოს არავინ არაფერს ეუბნება... დაქირავებული მებაღურები, მთელი კვირის განმავლობაში, ხან ერთი დამხრჩველის

გვამს აჩვენებენ, ხან მეორისას, მაგრამ ვისაც იგი დაეძებს, არა და არ ჩანს, თითქოს ცამ ჩაყლაპაო.

ბოლო ნაწილში დრამატიზმი კიდევ უფრო ძლიერდება. აქ იმდენად აშკარაა მინიშნება, რომ უმაღლ ყველაფერს ვხვდებით. კაბინეტში ჩაკეტილ, პაპიროსის ბოლში გახვეულ „ივერიის“ რედაქტორს საჩქარო სტატიის სტრიქონიც ვერ დაუწერია, ისე დაათენდება თავზე. მთელი ღამე „მეფე ლირს“ კითხულობს. რამდენი რამე აკავშირებს ამ ერთობლივ თარგმანთან. იმ ადგილზე შეაჩერებს შხერას, სადაც ყელში მობჯენილ, გამგუდველ ნაღველზეა ლაპარაკი და თვითონაც ასე იხრჩობა ახლა მოძალებული მწუხარებისაგან — მაგიდასთან, წიგნში თავჩარგული, „ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, მწვანეთვალებიანი კაცი“ ელანდება.

აქ მთელი სისრულით გამოჩნდა მხატვრულ სიტყვასთან ვახტანგ ჭვლიძის დამოკიდებულების სიფაქიზე, ვეება ტაქტი, ადამიანის სულის იღუმალღი ხვეულების წედომის და შეცნობის უიშვიათესი უნარი. ისე, რომ ნახსენები ერთხელაც არ არის ამ ბრწყინვალე ეპილოგში, ჩვენს წინაშე წამოიძარება საქართველოს „თანამდევნი, უკვდავი სულის“, ილია ჭავჭავაძის მონუმენტური ფიგურა. იგი უზარმაზარი სიცარიელის, მოუნელებელი წუხილისა თუ სინანულის პირისპირ მარტოდმარტოა დატოვებული.

ეპილოგის ორი საკვანძო ეპიზოდი, პირველი — „შუახნის წვერულვაშიანი კაცის“ მტკერისპირას, დაქირავებულ მეთევზეებთან სიარული და ბოლო — „ივერიის“ რედაქციაში განმარტოებით ჩაკეტილი რედაქტორისა, კომპოზიციის შემკრავ იშვიათ ხერხად გამოიყურება — ერთმანეთზეა მიშუქებული, რათა ჩაელილი ეპოქის უნაკლოდ აღდგენილ ფონზე ილიას მჭმუნვარე სილუეტი გამოიკვეთოს.

„ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“ ის წიგნია, რომლითაც ვახტანგ ჭვლიძემ ხელთუქმნელი ძეგლი დაუდგა დიდი ათონელების მემკვიდრესა და თავის საამაყო წინამორბედს და, ამავე დროს, მის გვერდით, ქართულ მწერლობაში, თვითონაც სამუდამოდ დაიმკვიდრა გამორჩეული ადგილი.

ვახტანგ ჭვლიძის არქივში წაეაწყდი მცირე ჩანაწერს, რომელშიც ერთგვარი წყნა გამოკრთის უფროსი თანამოკალმის სიმონ ჩიქოვანის მიმართ, ვისაც „მაჩაბლის ცხოვრება“ კი შეუქია, მაგრამ კეთილ სიტყვას მაღლი დააკლო. თუმცა აჯობებს, თვით ეს ჩანაწერი მოვიხმოთ:

„ერთხელ გრიშა აბაშიძესთან ვიყავით, წვეულება აქონდა.

მოვიდა სიმონ ჩიქოვანი. იგი საიდანდაც ახალი დაბრუნებული იყო (იქნებ პოლონეთიდან). მოილხინა, როგორც იცოდა, დალია. როცა ავიშალეთ სუფრიდან და მოვდიოდით, მაშინ მითხრა — კაცო, შენი მაჩაბელი წაეკითხე, კარგა დაგიწერია, ხომ იცი — ჩემმა ცოლისძმამ მიქო ძალიან და დამინტერესა, კარგი გამოგსვლია... მაგრამ ცოტა „სნისხოდიტელობა“ დაკარავდა მის სიტყვებს — თითქოს უკვირდა, წიგნს მართლა არა უშავს, მაგრამ შენ როგორ გამოგივიდაო. მე ასე მომეჩვენა“.

ვახტანგ ჭვლიძე ის კაცი არ გახლდათ, რაიმე ტყუილად მოსჩვენებოდა. მისი შთაბეჭდილება უტყუარია. სიმონ ჩიქოვანს ბოლომდე ვერ გაუმეტებია ქება. გულით რომ სდომნოდა ახალწაკითხული წიგნის ავტორის გახარება, ეს ცოტა უფრო ალაღად შეეძლო სუფრაზევე, სადღეგრძელოში ეთქვა. მისი ნათქვამი მხარზე ხელის მოთათუნებასავითაა. ისიც არ ჟღერს მთლად კარგად, ჩემმა ცოლისძმამ მიქო, ზემოდან ყურებას ჰგავს. ვახტანგ ჭვლიძეს არაფერი ჰქონდა ეინმეს ზემოდან დასახედავი. სიმონ ჩიქოვანი ძალზე კარგი ლიტერატურული წერილების ავტორია, დიდად განათლებული კაცი იყო, მაგრამ „მაჩაბლის ცხოვრების“ ბადალი წიგნი არ შეუქმნია.

გულნაკლული რომ არ ყოფილიყო, ვახტანგ ჭვლიძე ასეთ რამეს არ ჩაიწერდა. აქ შეიძლება გაგვახსენდეს ერთი დიდი ესპანელი პოეტის ნათქვამი: „ძველი ჭრილობები შუშდება, წყენა კი არასოდეს“.

ივანე მაჩაბელზე დაწერილ ვახტანგ ჭვლიძის ჭეშმარიტად სრულქმნილ ბიოგრაფიულ რომანს და შექსპირის თარგმანებისადმი მიძღვნილ გამოკვლევებს თავისებურად ეხმიანება, აესებს მშვენიერი, მრავალმხრივ გამოსადეგი წიგნი „ივანე მაჩაბლის ტრადიცია“ (2005), რომლის ავტორია ბევრის მცოდნე, დახვეწილი გემოვნების კაცი, ძალზე პირუთენელი მკვლევარი პაატა ჩხეიძე. ამ წიგნს მეტად დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მიმაჩნია, რომ იგი ყველა განათლებული მთარგმნელისა და ლიტერატორის მაგიდაზე უნდა იდოს. მცირე შესავალ ნაწილში თავიდანვე მკაფიოდ არის აღნიშნული:

„ნაშრომში განხილულია მსოფლიო მთარგმნელობითი ისტორიის ცალკეული ეტაპები, დაკავშირებული თარგმანის სიზუსტესა და თავისუფლებასთან.“

ანალიზისას ნათლად გამოიკვეთა, რომ დიდ მწერალთა და მთარგმნელთა უმრავლესობა თარგმანის თავისუფლებისა და შედარებითი თავისუფლებისკენ იხრება“.

ბუნებრივია, თავისი ლიტერატურული მრწამსისა და პრინციპებიდან გამომდინარე, პაატა ჩხეიძე თარგმანში მონური სიზუსტის მომხრე ვერ იქნებოდა, მაგრამ არც ის უნდა გეიკვირდეს, რომ დედნიდან გადამეტებულ დაშორებასაც არ იწონებს. აქ ყველაზე უფრო გამართლებულია „ოქროს შუაღელი“. იგი თვალს აყოლებს თარგმანის ძირითადი პრობლემებისადმი გამოჩენილ მოაზროვნეთა მიდგომას, ანტიკური ხანიდან მოყოლებული დღემდე.

შესაუბრებელი ნათქვამია იმ დიდ მნიშვნელობაზე, რაც მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებში პეტერბურგს მყოფი ილია ჭავჭავაძისა და სტუდენტ ივანე მაჩაბლის ერთობლივად თარგმნილ „მეფე ლირს“ აქონდა:

„ამ თარგმანით იწყება ახალი ეტაპი არა მარტო ქართულ შექსპირიანაში, არამედ ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაში.“

არსებობს უდავო ჭეშმარიტებანი, რომელთა დროდადრო შესხენება აუცილებელი და სასარგებლოა. თუნდაც ეს აზრი:

„თარგმნა, როგორც ერებსა და კულტურებს შორის ურთიერთობის (ურთიერთგაცნობისა და ურთიერთშეგავლენის) პროცესი და თარგმანი ანუ თარგმნილი ტექსტი, როგორც ამ ურთიერთობის შედეგად შექმნილი ლიტერატურული ფაქტი, ძველთაძველი მოვლენაა და კაცობრიობის ცივილიზაციის პირველსავე საფეხურზე გეხედება“.

განვიხილოთ საუკუნეთა გამოცდილება უხედავ იძლევა საიმისო მასალას, ორი ძირითადი დასკვნა გამოვიტანოთ:

1) თარგმანი უხსოვარი დროიდანვე ახალი, ეროვნული მწერლობის შექმნაში არა თუ მონაწილეობს, არამედ გადამწყვეტ როლს ასრულებს და

2) თარგმანის, როგორც შემოქმედების გარიჟრაჟზე წამოიჭრება მთავარი საკითხი: ზუსტი და თავისუფალი თარგმანისა“.

პაატა ჩხეიძე კეთილსინდისიერად და თანმიმდევრულად განიხილავს თარგმანის როგორც უცხოელ, ასევე ქართველ მეცნიერთა და მთარგმნელთა ნააზრევს, აფასებს მათ აუ-კარგს, რაზედაც აქ სიტყვას ვერ გაუაგრძელებ.

წიგნის მეხუთე თავში განხილულია ის ფაქტი, რომ შექსპირის „მეფე ლირი“ და „რიჩარდ მესამე“, მაჩაბლის შემდგომ, ხელმეორედ ითარგმნა ვახტანგ ჭელიძისა და ზურაბ კიკნაძის მიერ.

ილიასა და მაჩაბლის თარგმნილ „მეფე ლირში“ ხუთსამდე სტრიქონია ზედმეტი და ვახტანგ ჭელიძე, ბუნებრივია, შეეცადა, მის

თარგმანში შესაბამისობა დაცული ყოფილიყო, თუმცა ოთარ ჩხეიძემ აღნიშნა, რომ იგიც „იმავე თარგს“ იყენებს, ხოლო პაატა ჩხეიძე, თავის მხრივ, ასკვნის: „...ვახტანგ ჭვლიძე მთლიანად ილიასა და მაჩაბლის გაელენის არეალში რჩება, იგი მხოლოდ ამცირებს თარგმანის სტრიქონთა რაოდენობასა და ათანამედროვეებს თარგმანს“. ვახტანგ ჭვლიძის მიმართ, აგრეთვე, ნათქვამია (ეს საუესებით გაცნობიერებული ქმედებაა), რომ „კონკრეტულ შემთხვევებში მას უცვლელად გადმოაქვს ილიას და მაჩაბლის თარგმანის პასაჟები“.

პაატა ჩხეიძის ერთ-ერთ საუკეთესო დაკვირვებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ოლბენის ბრალდება ლირის ქალიშვილებისადმი, როცა მათ გულმხეცობის გამო ვეფხეებს აღარებს (ინგლისურენოვან სამყაროში ეს ბუნებრივია) ილიასა და მაჩაბლის თარგმანში აფთრებითაა შეცვლილი, ვინაიდან „ვეფხეები“ რომ დარჩენილიყო, „ლირის ქალიშვილები ქართველი მკითხველის თუ მაყურებლის ცნობიერსა თუ ქვეცნობიერში მაშინვე ნესტანის ასოციაციას გამოიწვევდნენ“.

ვახტანგ ჭვლიძე უთუოდ სწორად მოიქცა, ახალი შედარების ძებნა რომ არ დაიწყო, „ილიასა და მაჩაბლის მიგნება ირჩია“, ტექსტში „აფთრები“ ჩატოვა, ოღონდ ფრაზას მეტი დინამიზმი შესძინა („თქვენ აფთრები ხართ“).

სხვაგან (მეოთხე მოქმედების მეექვსე სურათი), როცა გლოსტერი, გონებაშერყეული ლირის შემხედვარე, შეწუხებულია, ილიასა და მაჩაბლის თარგმანში კი ალექსანდრე ჭავჭავაძის „გოგჩის“ გამოძახილი ისმის („აჰა ბუნების აღნაგისა ნგრეული ნაშთი...“), ვახტანგ ჭვლიძე ტექსტს ზეაწეული ტონის, ჭარბი პათეტიკისგან ათავისუფლებს, მისი მეტყველება სადა, ბუნებრივია („როგორ ერთბაშად განადგურდა ბუნების შვილი.“).

მანამდე მკვლევარს აღნიშნული აქვს, როგორ აზუსტებს ვახტანგ ჭვლიძე შეჭირვებული ედგარის ჩივილს — ილიასა და მაჩაბლის პირველი სტრიქონი უცვლელადაა დატოვებული, მეორეში კი, დედანთან დასაახლოებლად, „სიხარულს“ ენაცვლება „სიცილი“:

...ცვლილება არის სამწუხარო ბედნიერთათვის,

ხოლო უბედურთ — სიცილად და თამაშად უჩანთ.

აქ ალბათ, მეორე სტრიქონში, შეიძლებოდა „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ადგილის, ავთანდილისეული ლალი ქაღილის, აღუზნა დაგვენახა: „ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად“.

მიუხედავად წინაპრებისადმი დიდი პატივისცემისა, პაატა ჩხეიძე არ ერიდება იმის აღნიშვნას, რომ მესამე მოქმედების მეორე სცენაში

სტიქიონური ძალების პირისპირ მდგარი ღირი ილიასა და მაჩაბლის თარგმანში „უფრო მრისხანეა, ანჩხლი და დაუმორჩილებელი, იგი თითქოსდა ბუნების ძალებზე მბრძანებლობს, რითაც შინაარსობრივ ქარგას კი ინარჩუნებენ ნაწილობრივ, მაგრამ კონცეპტს შორედებიან“.

საფუძვლიანია შემდეგი შენიშვნაც: „ემოციის გასაძლიერებლად ილია და მაჩაბელი ერთ ცნებას რამდენიმე სინონიმით თარგმნიან და ამით განაერთებენ, გადატვირთავენ თარგმანს...“

მოტანილია პარალელური ტექსტები, რითაც აშკარა ხდება გამოთქმული შენიშვნის მართებულობა, იმდენად თვალშისაცემია განსხვავება ფრაზის მოქნილობის, ოსტატობის მხრივ. ამდენად, ეს დასკვნა არ უნდა გვეხამუშოს:

„ასეთია შექსპირის ნაწყვეტის გაქართულებული ვარიანტი და მიუხედავად აქ არსებული პოეტური ხერხებისა (მაგ. ალიტერაცია), ეს პასაჟი პირველ რიგში იმას გაგვახსენებს, რომ შექსპირი უფრო დიდი პოეტია, ვიდრე ილია და მაჩაბელი იყვნენ“.

განუზომლად მეტი უხერხულობა უნდა ვიგრძნოთ (ეს პროვინციალიზმის და უგემოვნობის საგანგაშო გამოვლინებაა), როდესაც შექსპირის სონეტების რომელიმე მთარგმნელზე თავდაჯერებულად წერენ, რომ მან ნიჭითა და ოსტატობით შექსპირს წააჭარბა.

ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია ხანგრძლივი დაკვირვების შემდეგ გამოტანილი პაატა ჩხეიძის დასკვნა: „ეახტანგ ჭელიძე ივანე მაჩაბლის ტრადიციის გამგრძელებელია.“

უფრო განზოგადოებული სახით, ეს დასკვნა ნაშრომის ფინალურ ნაწილში ფიგურირებს და მთელი გამოკვლევის არსს გამოხატავს:

„XXI საუკუნის დასაწყისისათვის ქართული მთარგმნელობითი შექსპირიანა ივანე მაჩაბლის მთარგმნელობითი მეთოდისა და შემოქმედების არეალში რჩება.“

შეიძლება ვინმეს გაუჩნდეს აზრი, რომ ეახტანგ ჭელიძის მიერ „მეფე ღირის“ ხელმეორედ თარგმნა არ იყო აუცილებელი. ასეთი შეხედულება საფუძველშივე მცდარი და მთარგმნელობითი ოსტატობის შემდგომი სრულყოფის დამამუხრუჭებელია.

მიხეილ გასპაროვი დანტეს „ღვთაებრივი კომედიის ახალი თარგმანის (ე. მარანცმანი) მოკლე წინათქმაში ამბობს — როცა ერთი ქმნილების ორ ან რამდენიმე თარგმანს ერთმანეთს ვუდარებთ, მკითხველს შეუძლია მიიღოს ორიგინალის სტერეოტიპული გამოსახულება, სხვადასხვა კუთხიდან შეხედოს მას.

პაატა ჩხეიძე, ტექსტზე გულმოდგინე დაკვირვებისას, არასოდეს ჩქმალავს თარგმანის ნაკლს, მაგრამ აღუნიშნავი არც მისი ღირსება რჩება.

ცნობილია, კონსტანტინე გამსახურდია კრიტიკულად იყო განწყობილი ივანე მაჩაბლის მთარგმნელობითი ოსტატობის მიმართ. იწუნებდა არაერთ ფრაზას თუ სიტყვას, განიზრახა, თავად ეთარგმნა „ჰამლეტი“ და პირველი მოქმედება კიდევაც გამოაქვეყნა, მაგრამ ეს თარგმანი ვერ ახდენს სასურველ შთაბეჭდილებას. პაატა ჩხეიძეს არაერთგან მოაქვს მაგალითები — სისადავეს, ბუნებრიობას მოკლებული გაფუყული მაღალფარდოვნებისა და გაგვიჭირდება ეჭვი შევიტანოთ მისი შეფასების სისწორეში, რომელიც ასე გამოიყურება: „კონსტანტინე გამსახურდიას თარგმანი აშკარად მაღალფარდოვანია და უქმი სიტყვებით გადატვირთული...“

პაატა ჩხეიძის საგანგებო კვლევამ და დაკვირვებამ ისიც ცხადი გახადა, რომ „ჰამლეტის“ თარგმანის გამსახურდიასეული რევიზია ყოველად უსაფუძვლო იყო და უფრო ახირებას წააგავდა.

დაბოლოს, იმის აღნიშვნაც არ იქნება ზედმეტი, თუ რას და როგორ ფიქრობს პაატა ჩხეიძე პოეტური ტექსტის თარგმანსთან დაკავშირებულ ერთ ურთულეს პრობლემაზე. იგი სადავოდ არ ხდის მსოფლიოში სახელმძღვანელო ფრანგული მთარგმნელობითი სკოლის თვალსაზრისს, რომ დედნის ენასთან ორგანულად შეზრდილი, შესისხლხორცებული პოეზია უთარგმნელია, მაგრამ ამ თითქოსდა შეუვალ შეხედულებას იგი ერთადერთ სწორ პასუხს მიაგებს:

„პოეზია უთარგმნელია, ეს ეჭვშეუვალი ჭეშმარიტებაა. გამოდის, რომ ჩვენც ყველა ქვეყნის პოეზია პროზად ეთარგმნოთ? — ვფიქრობ, ასეც უნდა მოვიქცეთ უბრალო მოკვდავნი, მაგრამ არსებობენ გამონაკლისები. გამონაკლისი შეიძლება ასეც განისაზღვროს: პოეზია შეიძლება ხელახლა შეიქმნას ანუ სხვა დროსა თუ სივრცეში სხვა ენაზე, სხვა მსოფლმხედველობრივ გარემოში შეიძლება შეითხზას ბადალი ორიგინალური პოეზიისა, რაც თვითონ ორიგინალური არ არის, მაგრამ შთაგონებული და განხორციელებულია ორიგინალის უშუალო ზეგავლენითა და მორჩილებით.“

ეს თეზისი სხვადასხვა სახით მრავალჯერ გამოთქმულა და მისი არსებობის უფლებას იძლევა არაერთი პოეტური შედევრის ბრწყინვალე თარგმანი“.

ესეს ტიპის ლიტერატურული პორტრეტი გამორჩეულად რთული ჟანრია და მეოცე საუკუნის ქართულ მწერლობაში ძნელი მოსაძებნია პიროვნება, ამ მხრივ ვახტანგ ჭვლიძეს რომ გაუტოლდეს. ერთადერთს, გერონტი ქიქოძეს, იგი თავადაც განკერძოებულად აყენებდა, თავმდაბლობითა და თვითთრონით ცნობილი ბრძენკაცი ლიტერატორის ეტალონად მიაჩნდა, თვალშეუდგამ სიმაღლეზე ეგულებოდა.

აქ საჭიროა სამი მთავარი რამ: თანდაყოლილი ნიჭი, უზარმაზარი განსწავლულობა და ასეთივე შინაგანი კულტურა, შეუმცდარი გემოვნება, რაც წერის დახვეწილ მანერაში, თავისებურ სტილში გამოიხატება.

ყოველივე ეს უხეად ჰქონდა მომადლებული და შეძენილი ვახტანგ ჭვლიძეს და მისთვის ჩვეული სისადავით, მომზიბლავი უბრალოებით ავლენდა. ბატონი ვახტანგი განსაკუთრებული მოკრძალებით იყო განმსჭვალული ამაგდარი წინაპრებისადმი და მისი გაუნელებელი ზრუნვა და სიყვარული კარგად ჩანს პატარა წინათქმაში, ლიტერატურულ პორტრეტებს რომ წაუშძღვარა. ამას ასე გულშიჩამწვდომად სხვა ვერაინ იტყოდა: „რა მოსაწყენი იქნებოდა ცხოვრება, რომ გუშინდელი დღის ლამაზი სეედა თან არ ახლდეს. რა ძნელი იქნებოდა სუნთქვა, ჩვენი წინაპრების აჩრდილი რომ არ გვიმსუბუქებდეს“.

წარსული მას ძვირფასი, მონატრებული ადამიანებით დასახლებულ კუნძულად ესახებოდა და იმ საკრალური კუნძულის ორ კეთილშობილ ბინადარს — თედო სახოკიასა და შალვა დადიანს ერთი ესე — „მეცხრამეტე საუკუნის სილუეტები“ — მიუძღვნა, რადგან მის მახსოვრობაში, ყველაზე მეტად მათ „დაპკრავდათ წარსული საუკუნის ფერი, იმ საუკუნის მაღლი გამოპყოლოდათ“.

ზედმეტია თქმა იმისა, თუ რა სხარტად და ოსტატურად არის დახატული თედო სახოკია, რომელმაც მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს (1898) სოხუმიდან სუბტროპიკულ მცენარეთა ნერგები გაუგზავნა მძიმედ დასნეულებულ ივანე მაჩაბელს და დარიგებაც მოაყოლა, როგორ ეხარებინა ისინი. უზომო მაღლიერებით აღსავსე პასუხი, რაც მაჩაბელს ასეთი ამაღელვებელი ყურადღების გამოჩენისთვის მიუწერია, ერთ-ერთი უკანასკნელია, რადგან ამის მერე მალევე დაიღუპა.

ბატონი ვახტანგი მცირე ნაწილს ჩამოთვლის იმ უზღვეავი ამაგისა, თედო სახოკიამ თავის სამშობლოს რომ დასდო და გულახდილად ამბობს: „გიძნელდება თქმა, რომელს უფრო მეტი მნიშვნელობა მისცე — „ხატოვან სიტყვა-თქმათა ლექსიკონს,“ ამ საოცარ წიგნს, რომელიც არღვევს ჟანრობრივ რკალს და გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მას სათაური გვიხასიათებს — ერის სულიერ ცხოვრებას კჲფენს შუქს, ქართველი ადამიანის ბუნებას გვიხსნის, მის ხასიათს გაგვაცნობს.

თუ ასევე საოცარ „მოგზაურობანს“, რომელიც აგრეთვე ეთნოგრაფიის ჩარჩოებში ვერა თავსდება და დოკუმენტური პროზის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს, დიდი ბელეტრისტის ხელით გამოკვეთილი ხასიათებითა და სურათებით.

თუ მის თარგმანებს, რომელთაც ჭეშმარიტად გაამდიდრეს ქართული ლიტერატურა და ბევრი თაობის ადამიანი აზიარეს უცხოეთის დიდ მწერლობას.

თუ მისივე საოცარ მოგონებებს, სადაც მშრალად კი არ გადმოგვცემს, არამედ ცოცხალ სურათებად გვიხატავს წარსულის ამბებს...“

უდიდესი როლი შეასრულა თედო სახოკიამ მამულიშვილურ საქმეში, როცა მეფის რუსეთს სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის განდევნა და პროვოკაციული, ბოროტი მიზნით, მეგრულად სწავლის შემოღება უნდოდა. ვახტანგ ჭელიძემ მიაგნო კავკასიის ოლქის მთავარმართებლის კანცელარიის საიდუმლო დოკუმენტს, სადაც შემოფოთებაა გამოთქმული, რომ სოხუმის ოლქში მცხოვრები თედო სახოკია ადგილობრივი მოსახლეობის გარუსებაში ხელს გვიშლის და მის მიმართ ზემოქმედების ადმინისტრაციული ზომები მიიღეთო.

მეტი რაღა ზომები უნდა მიეღოთ, დაიჭირეს და ციმბირში გადასახლეს. თედო სახოკიას ბევრი რამ აქვს მოთხრობილი თავის მოგონებებში, გასაოცარი იუმორის გრძნობითა და ფერადონებით რომ გამოირჩევა. ერთხელ დალუპავს შემთხვევით გადაურჩა. მეგრულს და ლაზს, მათი პატრონის დაეალებით, თედო სახოკია საზღვარგარეთ უნდა გაეყვანათ. უფიქრიათ, უცხოეთში მიდის, ფულიანი იქნებაო და ერთს მეორისათვის ლაზურად (მეგრული და ლაზური დიდად არ განსხვავდება) უთქვამს, წავართვათ ეს ფული, მოეკლათ და ზღვაში ჩაეაგლოთ, ეინ რას გაიგებსო. მალე ზღვის გასწვრივ დასახლება გამოჩნდება და მგზავრი „გამცილებლებს“,

აეის განმზრახველებს, მეგრულად ეკითხება — ეს რომელი სოფელი არისო. იმათ გაკვირებისგან ენა ჩაუვარდებათ. თედოს თავად გამოჰყავს სირცხვილნაჭამები უხერხულობიდან, ვიცოდი, ხუმრობდით და ლაპარაკში არ ჩაგერიეთო. საქციელწამსდარი მენავეები შეეხვეწებიან, ჩვენს პატრონს ნუ გააგებინებთ ამ ჩვენს უხერხულ ხუმრობასო.

თედო სახოკიას მრავალი წიგნი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობადაა ქცეული, დღევანდელი ახალგაზრდობისა და უფროსებისთვისაც ხელმიწვდომელია. ჩვენს უპატიებელ გულგრილობასა და დაუდევრობაზე მეტყველებს ისიც, რომ ამოდენა მოღვაწის ხელიხელსაგომანებელი მემკვიდრეობა საკადრისად (ტომეულებად) ვერ გამოგვიცია, როცა წიგნის ბაზარი ათასგვარი, ყოვლად უსარგებლო და უნიჭო, გადასაყრელი მაკულატურიითაა დატბორილი.

ასეთივე სითბოთი და სიყვარულითაა მოთხრობილი შალვა დადიანზე, რომელზედაც რამდენიმე წლით იყო უფროსი თედო სახოკია. მოკრძალებითაა ნახსენები მრავალმხრივი მოღვაწე, შალვა დადიანის მამა „დიდი ნიკო“, ვინც ილიასთან და აკაკისთან მგობრობდა. აკაკის მან ბევრი იშვიათი ცნობა მიაწოდა, როდესაც იგი თავის ისტორიულ დრამაზე — „მედიანზე“ — მუშაობდა. პატარა შალვას არაერთხელ უნახავს ილია და აკაკი, თვით გრიგოლ ორბელიანიც, რაც ყველაზე ძვირფას მოგონებად დარჩა.

ვახტანგ ჭელიძე არაერთი კუთხიდან აშუქებს შალვა დადიანის მომხიბლავ პიროვნებას, უყურადღებოდ არ ტოვებს მისი სამწერლო თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობის არც ერთ მნიშვნელოვან ფაქტს. განსაკუთრებული ადგილი ეთმობა თეატრალურ საზოგადოებაში მის მრავალწლიან მუშაობას, პერიფერიის თეატრებზე შეუწელებელ ზრუნვას, ამ საზოგადოებასთან დაარსებულ მცირე გამომცემლობას, რომელმაც ბევრი კარგი წიგნის გამოცემა შეძლო.

ჟურნალ „ციხკარში“ რედაქტორობის დროს, ბატონმა ვახტანგმა შალვა დადიანს დააწერინა მოგონებათა მშვენიერი წიგნი „რაც გამახსენდა“. ვახტანგ ჭელიძის მონათხრობი, ჩვეულებისამებრ, განუმეორებელი იუმორითაა შეზავებული და ასეთი ეპიზოდები აქაც მრავლად გვხვდება. ერთი ნამდვილი კურიოზია: „ოციან წლებში შალვა ხელოვნების განყოფილებას ხელმძღვანელობდა. თბილისში გასტროლებზე ვიდაც ვიოლენჩელისტი ჩამოსულა, ხელოვნების განყოფილების უფროსს აფიშა შემოუტანეს ხელმოსაწერად, ასეთი წესი ჰქონიათ იმ დროს“. ხსენებულ მომენტს ერთი ტვინბნელი

პიროვნება, რევოლუციონერი შესწრებია. თვითონ შალვა დადიანი პყევბა: „ამ დროს ჩემს კაბინეტში იჯდა ერთი ხანდაზმული ბოლშევიკი და როდესაც გაიგო, რაშია ც იყო საქმე, მითხრა: შალვა, რას ჩადიხარ, რის ნებართვას აძლევ, ვიოლონჩელი ხომ ბურჟუაზიული საკრავიაო“.

შეუძლებელია არ ჩახედეთ ვახტანგ ჭელიძის გულის ნადებს, ადამიანურ სინანულს, როცა მას შალვა დადიანის ძვირფას აჩრდილთან განშორება უჭირს:

„ბევრი რამ მაგონდება — რაც ჩემი თვალით მინახავს, რაც მისგან მომისმენია, და მენანება, წერტილი დაუუსვა ამ წერილს. ისევე, როგორც მასთან საუბრის შეწყვეტა გენანებოდა ხოლმე კაცს“.

იქვე თითქოს თავადვე უკვირს:

„რამ გამახსენა ერთად ეს ორი ადამიანი. ერთმანეთისგან სავსებით განსხვავებული და მაინც საოცრად მსგავსი ერთმანეთისა? ის საოცარი თვისება პქონიათ — უკვე რამდენი ხანია ამქვეყნიდან წავიდნენ და მაინც ცოცხლად მიდგანან თვალწინ, მათი ხმა ისევე ყურში ჩამესმის, თითქოს რამდენიმე წუთის წინ მენახოს...“

რა უხვად გაგვინაწილეს მათ — როგორც წმინდა მოციქულებმა, მადლი წარსული საუკუნის, საიდანაც ისინი შოემგზავრებოდნენ.

და რა ღარიბი იქნებოდა ჩვენი ცხოვრება, რომ ისინი არ ყოფილიყვნენ!“

მწერლისა და მოქალაქის იდეალად, ვისაც კი ცხოვრებაში შეხვედროდა, ვახტანგ ჭელიძეს გერონტი ქიქოძე მიაჩნდა და ეს სრულებითაც არ გახლდათ მოულოდნელი, გასაკვირი, თუ ამ უბადლო პიროვნების იშვიათ ნიჭს, აზროვნების სიღრმეს და კულტურას, ზნეობრივ სიწმინდეს გაეითვალისწინებთ. ყოველივე ამას ისიც ემატებოდა, რომ იგი მისი შშობლიური სოფლის, ბახვის მკვიდრი იყო. თვალეგაბრწყინებულ ბატონ ვახტანგს შეეძლო საათობით ელაპარაკა თავის უფროს, საამაყო თანამედროვეზე, უამრავი რამ გაეხსენებინა და სათქმელი კიდევ არ დაელოდა.

რამდენის მაცნე და დამტვევია თუნდაც პირველივე სხარტი, მოქნილი წინადადება, რითაც გერონტი ქიქოძისადმი მიძღვნილი ესე იწყება: „გერონტი ქიქოძის ნაწერები ლექსივით მოგენტრება“. იქვეა მონიშნული ის უმთავრესი თვისება, რაც ამ კაცის ლაპიდარულ სტილთან შესისხლხორცებული იყო: „იგი ახერხებს ორიოდ სტრიქონით ჩამოაყალიბოს და დაასაბუთოს აზრი, რასაც,

ჩვეულებრივ, რამდენიმე ფურცელი და, ზოგჯერ მთელი გამოკვლევაც დასჭირდებოდა“.

ფრიად მესიამოვნა, რომ ამ დაკვირვებას უყოყმანოდ იზიარებს ჩვენი გამოჩენილი გერმანისტი ნოდარ კაკაბაძე (ისიც ერეკლე ტატიშვილის მოწაფე გახლდათ), ვინაც გერონტი ქიქოძის მცირე ფორმის ნაწერებზე დიდებული ესე გამოაქვეყნა — „ლიტერატურული გემშებისა და კამეების ოქრომჭედელი“. ასევე ძალიან გავიხარე, როცა ბატონმა ნოდარმა საგანგებოდ გამოაცალკევა „ძველი იბერიელების ფსიქოლოგიიდან“, სამართლიანად უწოდა მას „მსოფლიო ესეისტიკის ერთ-ერთი შედეგი“ და მოიხმო გერონტი ქიქოძის საკვირველი, ძველი ქურუმის შესადრისი, საუკუნეთა წიაღიდან ამოქანებული უკვდავი ხილვა, რომლის წარმოდგენა, გასიგრძეგანება, თუნდ ნაწილობრივ წედომა სუნთქვას შეგიკრავს: „იბერიელი მეფეები და ერისთავები თავიანთ ციხე-კოშკებში, ალბათ, ისე ისხდნენ, როგორც არწივები კლდის ბუდეებში და იქიდან ყოველი მხრივ ათვალთვლებდნენ თავიანთ სამყოფელს, რათა მტრის მოძრაობა არ გამოჰპარვოდათ“.

ბევრჯერ ვყოფილვარ მომსწრე, ამ ესეს სიღრმეს და გაუნელებელ შთამბეჭდაობაზე, სხვადასხვა დროს, როგორი აღტაცებით ლაპარაკობდნენ გურამ ასათიანი, თამაზ ჭილაძე, აკაკი ბაქრაძე, ჭაბუა ამირეჯიბი, თამაზ ჩხენკელი, ბაჩანა ბრეგვაძე და სხვები. ხშირად მიფიქრია — გერონტი ქიქოძის ესეები, პორტრეტები, წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, მემუარული პროზა ევროპულ ენებზე დედნის შესაფერისად რომ თარგმნილიყო, მაშინ, ალბათ, ქართველებს გაცილებით მოკრძალებულად, მეტი პატივისცემით მოგვეპყრობოდნენ, ასე არ მოექცეოდნენ ჩვენს კულტურას.

ძველი იბერიელების საცხოვრისსა და მათ სულიერ სამყაროზე როცა წერდა, გერონტი ქიქოძის ბრძნულად მოჭუტულ თვალს როგორ შეიძლებოდა გამოჰპარვოდა ზევას პიტიახშის ასულის, შუუდარებელი სილამაზის სერაფიტას სამარეზე ამოსული ბროწეულის ხის სასწაული, რომლის დაკლაკნილმა ფესვებმა სამარხის ქვაყუთი გაარღვია. გერონტი ქიქოძე ანტიკური ხანის მცხეთის მამასახლისის, იოდმანგანის ასე ნაადრევად გარდაცვლილი მეუღლის სახელის ხსენებას ერიდება, თითქოს ცდილობს, სიმყუდროვე არ დაურღვიოს; მხოლოდ მიანიშნებს, რომ „აღორძინებულ ბროწეულის ხეს“ ქვესენელს ჩაჭიდებული ფესვები „...ძვირფასი სერდოლიკის ყელსაბამის თვლებში გაუყრია, რომელიც შეიძლება, ერთ დროს,

უმშენიერესი ქალის გულმკერდს ამკობდა“. ამის თქმა თავისთავადაა დიდი, ცხოვრებისეული, ზეამაღლებული პოეზია და გალექსეა აღარც ესაჭიროება.

გუშინდელ დღესათვის მახსოვს — ჩემი სტუდენტობის დროს, როცა ცისფერ გალერეაში ბნელი ძაღვები აბრკოლებდნენ თავის სახელოსნოში წლობით გამოკეტილი, ტაბუდადებული ლაღო გუდიაშვილის გრანდიოზულ პერსონალურ გამოფენას (მთავრობას არწმუნებდნენ, ეს ძალიან საშიში იქნებაო), მაშინ იძალა მხცოვანმა, მღელვარებისაგან ნესტოებაცახცახებულმა გერონტი ქიქოძემ, ყავარჯნით შეანგრია იმ გალერეის კარები და ჩვენც, მის ზურგს უკან მდგარნი მივეყვით, წუთში თვალისდამაბრმავებელ ზღაპარში აღმოვჩნდით. დიდხანს ვიდექი გაოგნებული გუდიაშვილის ვეება, არაამქვეყნიურად გასხივოსნებული, ძველი საქართველოს დიდების წარმომჩენი სურათის წინაშე, რომელსაც „სერაფიტას გასეირნება“ ერქვა და იმ ბედნიერებას სპეტაკი ჭაღარით მოსილ გერონტი ქიქოძეს ვუმაღლიდი.

ახლა კვლავ ვახტანგ ჭელიძის ნახელავს მიუვბრუნდეთ, ასე რომ აცოცხლებს და სულს უდგამს გერონტი ქიქოძის სათაყვანებელ ხატს: „ხშირად ნახავდით მწერალთა კავშირში, მგობრების წრეში ტკბილად მოსაუბრეს. უყვარდა საუბარი, და კარგი მოსაუბრეც გახლდათ. მარტო მისი ხმის მოსმენაც უდიდეს სიამოვნებას მოგგვრიდათ. გარდა იმისა, რომ დიდად ნაკითხი და ერუდირებული იყო, იცოდა ძველი საინტერესო ამბები, და ყვებოდა დინჯად, მხრების თავისუფალი რხევით, თვალეში ჩაღვრილი ალერსითა და სიკეთით შემოგცქეროდა, და ყვებოდა. გიზიარებდა თავის აზრს გულუხვად, უშურველად, არ გაგრძობინებდა, რომ მან შენზე მეტი იცოდა, შენზე მეტი ენახა და წაეკითხა... იმ არტისტულ მანერას, რაც მის ადამიანებთან ურთიერთობასა თუ საუბარს დაკარავდა, ერთი ბეწო ხელოვნურობა არ ახლდა და ამიტომ განსაკუთრებით მიმზიდველი იყო, საყვარელი. იშვიათად გამოერეოდა დღე, რომ მწერალთა კავშირში არ შეეელო, და მისი გამოჩენით თითქოს განუშეორებელი ხიბლი ემატებოდა ამ შენობას, თითქოს შარავანდედი ადგა, და რაგინდ ბოროტი და გულღრმო ყოფილიყო კაცი, იარალს აპყრიდა, ათვინიერებდა. არ გამართულა ასე თუ ისე მნიშვნელოვანი საღამო, რომ გერონტი ქიქოძე გამოკლებოდეს, არ გამოჩენილა ასე თუ ისე ნიჭიერი ახალგაზრდა, რომ გერონტი ქიქოძეს თავისი მაღლიანი ხმითა და გულით არ დაელოცოს“...

ისიც ნათქვამია, როგორ არ შეეძლო ბრძოლა და შეტევები, უსულგულო, მიუხედავად, მეთავისე მედროვეებთან შებმა და თავის დაცვა, როდესაც მისი, ოქროს ფასის მქონე წიგნები გვემიდან გვემაში გადააქონდათ. ამ დროს თურმე სახეზე მიმტყეებლური, „შემწყნარებელი ღიმილი“ დასთამაშებდა. ბევრ რამეს ეუელი გვერდს, ეტოვებ, მაგრამ ვახტანგ ჭელიძისეული უზუსტესი დახასიათება (ჩემს თაობასაც თვალნათლივ ახსოვს ეს ბრძენკაცი), გერონტი ქიქოძის გარეგნობისა და თვით სამოსელის ხელშესახები აღწერილობა უთუოდ უნდა მოეიტანო:

„არისტოკრატობა არასოდეს უთამაშნია; ბუნებით იყო არისტოკრატი. არასოდეს არ დაიწუწუნებდა — არც ავადმყოფობაზე, არც ვისიმე მხრით უსამართლო მოპყრობაზე, არც არაფერზე. თავისივე წერილებსა ჰგავდა — ნათელი, სადა, ბრძენი, ლაღი, კეთილმოსურნე და მუდამ სასურველი... მოდიოდა დინჯი ნაბიჯით... ზამთარში, რაგინდ ყინვა ყოფილიყო, ეცვა თხელი პალტო, საყელოს არც კი წამოიწედა. არც ფეხს ააჩქარებდა. ეს ახოვანი კაცი თითქოს ზემოდან გადმოჰყურებდა ქუჩაში გამოფენილ ხალხს, და, მიუხედავად იმისა, რომ გარეგნობა და სიარულის მანერა უფრო მედიდური კაცისა ჰქონდა, სახით სიკეთეს ასხივოსნებდა, თითქოს თვალებით ეალერსებოდა ყველას“.

ყველაფრიდან ჩანს, რა მეოცნებე, პოეტური ბუნებისა ბრძანდებოდა, სილამაზის, მშვენიერების როგორი შემცნობი და დამფასებელი: „მემინახავს იგი შუა ქართლის სოფელში, შუალამით ეზოში გამოსული როგორ იდგა და ხარბად შეჰყურებდა ეარსკველეებით გადაჭედილ ცას, ღამის საამო მყუდროებას უგდებდა ყურს. ეს სურათი კარგად აქვს აღწერილი ოთარ ჩხეიძეს თავის მოთხრობაში“.

რამდენი რამე თქმულა და დაწერილა სიკედილზე, მაგრამ გერონტი ქიქოძე აქაც არავის ჰგავს. სულიან-ხორციანად შეგძრავს, ისეთი ნეტარებით ეფერება და აფერადებს მრუმე აჩრდილს, ვისთან შესაგებებლადაც ვითომ პაემანი ჰქონდეს დანიშნული. ეგებ წამიერ განწყობილებას გამოხატავდეს, მაგრამ სამუდამოდ გებეჭდება მენსიერებაში. ასეა ქალაქზე გადმოტანილი ეს მცირე, სამოთხის ფერებით ნაქსოვი არაბესკი:

„უგუნური და უნიჭო მხატვრები მთარულ ჩონჩხად გხატავენ. ხელში ცელს გაძლევენ მჭრელს, მოელვარეს და ყინულივით ცივს. ეს სახე ბავშვობიდანვე შეეითვისე, ეძრწოდი მის წინაშე.“

გვიან დაერწმუნდი, რარიგ საშინლად ვცდებოდი. ეხედავ,

შენ ნაზი, კეთილი მეგობარი ხარ, ჩვენს შორის უხმოდ დადიხარ, რათა მოსვენება და ბედნიერება მოგვიტანო. სშირად ვერძნობ შენს სუნთქვას, ის ძილის რულზე უფრო მსუბუქია, ის უფრო ნაზია, ვიდრე სიყვარულის ალერსი უცოდველი დედაკაცისა...“

საუკუნო ხსენებისა და საყოველთაო თაყვანისცემის ღირსია პიროვნება, ვინც იმ ტანჯვა-ვაებით საესე, სისხლის მღინარეებით მორწყულ, დაუნდობელ, ქარიშხლიან ეპოქაში (უკეთესი დღე არც ამჟამად გვადგას) ძველი რომაელების სტოიკურ ნებისყოფასა და შესაშურ უშფოთველობას ავლენდა.

გერონტი ქიქოძე და ლეო ქიაჩელი ნამდვილი სულიერი ძმები იყვნენ, ერთნაირად მორიდებულები და კეთილშობილები; ერთად უყვარდათ რუსთაველზე გამოსვლა, სეირნობა და მერე მწერალთა კავშირის ან ალექსანდრეს ბაღში მასლაათი. იმ დაუეიწყარ დროს განსაკუთრებული სითბოთი და სიამოვნებით იგონებს ეახტანგ ჭელიძე შედარებით მცირე ზომის პორტრეტში, ასე დამაჯერებლად რომ გვიხატავს ლეო ქიაჩელის მონოლითურ, გაუბზარავ პიროვნებას, ვისაც წინამორბედთა შემოქმედებაში და, კერძოდ, აკაკის პროზაში დიდად ხიბლავდა ერთობ ძნელად მისაღწევი „თხრობის დამატყვევებელი უბრალოება“. ეს ლტოლვა რომ შემთხვევითი არ ყოფილა და გარკვეული მიზნის მისაღწევად იყო მიმართული, შემდგომ, უფრო ჩამოქნილ და განმაზოგადებელ მსჯელობაში ჩანს: „იგი სამწერლო გზის დასაწყისშივე თითქოს ალღოთი გრძნობდა, რომ ზომიერი და სასურველი უბრალოება თითქმის იდეალურსა ხდის შემოქმედის ქმნილებას“.

ეახტანგ ჭელიძე, როგორც მუდამ სჩეოდა, არაფრის შელამაზებას არ ლამობს და ასეთი რამ არც თვითონ ლეო ქიაჩელს სჭირდებოდა. ვერაერთარ უზუსტობას, ვერანაირ სიყალბეს, ყურით მოთრეულ მსჯელობას ვერ იპოვით ამ სადა, დარბაისლურ ნააზრევში: „ქიაჩელი არ ეკეკლუცება მკითხველს, არ ცდილობს გააოცოს იგი, სიტყვიერი სამკაულებით გააბრუოს და დათრგუნოს. ქიაჩელი ყველგან ერიდება უადგილო პათეტიკას და „ამაღლებულობას“, რაც ზოგს, სრულიად უსამართლოდ, ქართული ენის ბუნებად მიაჩნია. ფილოლოგებს უყვართ ხოლმე გამოთვლა, რამდენი სიტყვა გამოუყენებია ამა თუ იმ მწერალს თავის შემოქმედებაში. ქიაჩელის ენა ამ თვალსაზრისით მგონი არავეის შეუსწავლია, მაგრამ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ იგი არ გამოირჩევა ლექსიკური სიმდიდრით, არც რაიმე განსაკუთრებული ენობრივი თავისებურებით. ლეო ქიაჩელი იქნებ ის

მწერალი არ იყოს, ვისგანაც ენას სწავლობენ, მაგრამ ის მწერალი კი ნამდვილად არის, ვისგანაც მწერლობა უნდა ისწავლო“.

პორტრეტის ბოლოს ლეო ქიაჩელსა და გერონტი ქიქოძეს კვლავ ერთად ვხედავთ და ჩვენც გვეძნელება მათთან განშორება, მღელვარედ, სუნთქვაშეკრულნი ვაყოლებთ თვალს უკედავებისკენ დინჯად, დარბაისლური მუსაიფით მიმავალთ:

„რა კარგი მეგობრობა იცოდნენ, როგორ უყვარდათ ერთმანეთი. წამოვიდოდნენ მწერალთა კავშირიდან — უსათუოდ ფეხით — ეს ორი დიდებული მწერალი, ორი დიდი ინტელიგენტი, ორი ტკბილი ბერიკაცი... მოდიოდნენ ღუღუნით, ქუჩაში გამოფენილი ახალ-გაზრდების ყრიაბულით ხარობდნენ, მათი ცქერით ტკებოდნენ...“

რა კარგები იყვნენ, რა საყვარლები!..“

თედო სახოკიას, შალვა დადიანის და გერონტი ქიქოძის ლიტერატურული პორტრეტების გვერდით, თავის ადგილს ბუნებრივად დაიჭერს პავლე ინგოროყვაზე შედარებით გვიან (1988) დაწერილი ბრწყინვალე ეტიუდი „ძლიერება სულისა“, რომელიც შესულია ვახტანგ ჭვლიძის სიცოცხლეში გამოცემული წერილების ყველაზე სრულ კრებულში „ძვირფასი სილუეტები“ („მერანი“, 1989).

პირველივე გვერდიდან შემოგანათებთ ერისთვის ფანატურად თავდადებული, უნიჭიერესი და საკვირველად ნაყოფიერი მეცნიერის, დიდი მამულიშვილის „...საოცრად მოწყალე თვალები, მისი კეთილად ირონიული სახე...“ ვახტანგ ჭვლიძე არაერთგან აღნიშნავს, რომ პავლე ინგოროყვას დამსახურებათა აღნუსხვა შეუძლებელია, მაგრამ მაინც ხილულად წარმოგვიდგენს მეცნიერებასა და საგამომცემლო საქმიანობაში მძიმე სნეულებისგან ფილტვებდახრული კაცის განუზომელ ღვაწლს, უმაგალითო თავგანწირვას, როცა ოციან წლებში, შავი ზღვის გადალახვისას, უბადრუკ ფელუკაში მჯდომი, ამთავორებულ ტალღებსშუა მოქცეული, თვალებში უყურებდა სიკვდილს და ასე იცავდა „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალს“, ჩვენი მამულის „ყოველ მტკაველს“.

ამ პორტრეტში მრავალი, ნატიფი ოსტატობითა და ფსიქოლოგიური სიმართლით აღბეჭდილი პასაჟი თუ ეპიზოდია, მაგრამ ვახტანგ ჭვლიძე, მეტწილად, თავიდანვე იწყებს მისთვის ახლობელი ადამიანის ხატის აღდგენას, გაცოცხლებას, რაც მკითხველს ესთეტიკურ სიამოვნებას განაცდევინებს. ამგვარად იქცევა იგი პავლე ინგოროყვას მიმართაც და ჩვენ ისე ახლოდან ვხედავთ ყველაასათვის

საყვარელ და ძვირფას პიროვნებას, მის თითოეულ მოძრაობას, ფუსფუსს, ფორიაქს, თითქოს წარსულის ბინადარი არ გამხდარიყოს და მის მიწიერ არსებობას წლები არ გვაშორებდეს:

„ეინც პაელე ინგოროყვას ახლოს არ იცნობდა, იქნებ ეს დაუჯერებელიც მოეჩვენოს. ამ შეუპოვარ კაცს ადამიანებთან ურთიერთობაში საოცრად რბილი ხასიათი ჰქონდა, ბავშვსა ჰგავდა და თუ შეგატყობდა, მისდამი კეთილად განწყობილი იყავი, ბავშვივით მოგეკეროდა, მოგენდობოდა... ადამიანებთან კეთილ ურთიერთობას დანატრებული კაცივით, სულ შენთან ყოფნა უნდოდა და თავისი ნააზრევის გაცნობას ეშურებოდა. მოვიდოდა, გახსნიდა თავის დიდ, მძიმე პორთფელს და სანამ წინა თუ წინა დღეების ნაწერს ამოიღებდა, ჯერ დიდხანს ეძებდა, ეძებდა... ან დასაწყისი გაებნეოდა, ან — შუიდან რომელიღაც ფურცელი... ამოალაგებდა ქაღალდებს და სათითაოდ ფურცლაკვდა... ერთჯერ, ორჯერ... მერე უკვე შემცბარი და დაბნეული, ხან თავში ეძებდა, ხან ბოლოში, არეულად... დრო გადიოდა და ბატონ პაელეს აშკარად შემფოთება ეტყობოდა. თანდათანობით დაიძაბებოდა, ეძებდა უკვე ჩქარა, ნერვიულად... თითქოს ცოტა შიშითაც, ხომ არაფერი დაიკარგაო... და ეს დაძაბულობა თანდათანობით თქვენც გადმოგედებოდათ. გინდოდათ დახმარებოდით და არაფერი შეეძლოთ. ამ დროს იგი წამომდგარია, მხრებში მოხრილი, დაფიქრებით შემოგხედავს, თითქოს იგონებს, სად შეიძლებოდა დაკარგულიყო... და ბოლოს — როდის, როდის — მიაგნებს, ერთბაშად შეებით ამოისუნთქავს, გაბრწყინებული თვალებით შემოგხედავს, ხელის მტევენებს გაშლის და ორივე ხელს ამ ფურცლებს დაადებს, ნუ გეშინია, ყველაფერი აქ არისო.

ამას არ გეტყვის, ისე გაგრძნობინებს.

ეს თითქმის ყოველთვის ასე ხდებოდა, თითქოს საკვალდებულო რიტუალი იყო“.

ქართული კულტურის სასიკეთოდ (ვახტანგ ჭვლიძე ამით ძალზე გახარებული გახლდათ) ამჟამად უკვე გვაქვს როსტომ ჩხეიძის მრავლის მომცველი ბიოგრაფიული რომანი „ბედი პაელე ინგოროყვასი“, სადაც დრამატულად, შეუნელებელი ექსპრესიით, მთელი სიღრმითა და სისრულითაა წარმოჩენილი ჩვენი წმინდანად შესარაცხი მოღვაწის განსაცვიფრებელი, ტიტანური გარჯა.

ვახტანგ ჭვლიძე თავის ერთ-ერთ საყვარელ მასწავლებლად თელიდა ქართული კლასიკური ფილოლოგიის დედაბოძს, დიდ სწავლულს, უსპეტაკეს მოქალაქეს სიმონ ყაუხჩიშვილს და,

ბუნებრივია, ცდა არ დაუკლია, რათა მისი სახე ცოცხალი და სრულყოფილი გამოსულიყო. მიუხედავად კოლოსალური ცოდნისა, იგი არ იყო კაბინეტში გამოკეტილი, ცხოვრების მდინარებას განრიდებული მეცნიერი, ნიადაგ ხალხის შუაგულში ტრიალებდა და მისი ეს მომზიბლავი უბრალოება პორტრეტის პირველივე გვერდზე თვალსაჩინოა, თითქოს კინოქრონიკის იშვიათ კადრებს ვუყურებდეთ:

„სიმონ ყაუხჩიშვილს ყოველდღე ნახავდი მტკიცე, ენერგიული ნაბიჯით მიმავალს. ძველებური შავი კოსტიუმი ეცვა (ძველებურივე ვიწრო ტოტებიანი შარვალი), ზამთრობით — ასევე შავი თხელი პალტო; ეხურა შავი შლიაპა, რომლისგანაც ზოგჯერ შეჭადარავებული სქელი თმა ოდნავ ჩამოეშლებოდა ხოლმე. სქელლანჩიანი ფეხსაცმელი ასფალტზე რიტმულ ხმას გამოსცემდა, და რომ შეხედავდი, მოგეჩვენებოდა, თითქოს მის ფიქრთა დენა ამ რიტმზე იყო შეწყობილი. შაბათ-კვირას — ზოგჯერ სხვა დღეებშიც — დილაადრიან, ვერის ბაზრიდან მოდიოდა, სანოეაგის ჩანთით ხელში; სწრაფად შემოივლიდა ხოლმე ვერის პატარა ბაზარს, ახარებდა დახლებზე უხვად დალაგებული ნაყოფი ქართული მიწისა, მშრომელი კაცის მონაგარი. გლეხები ცნობდნენ და სახე გაებადრებოდათ — ეამაყებოდათ ამ კაცის სალამი. თითქოს პატივი და ღირსება ემატებოდათ. მომადლო ტანისა იყო, ზომიერად გამხდარი, ამაყი, მაგრამ არა ქედმაღალი... და მაინც მის გარეგნობაში ყველაზე დამახასიათებელი თვალები იყო — ჭაბუკურად ანცი და ცნობისმოყვარე, მოძრავი, მკვირცხლი, სასიამოვნოდ ირონიული და ამავე დროს კეთილი და შემწყნარებელი... მეტყველება — თითქოსდა მკვეთრი, მაგრამ ამ სიმკვეთრის განწყობილებას სიტლანქე კი არ ქმნიდა, რაც მას ოდნავადაც არ აქონია, არამედ მეტყველების ლაკონიურობა და ოდნავ უფრო გამოკვეთილი მახვილები, ვიდრე ჩვენი ენისათვის არის დამახასიათებელი. სათქმელის გამოსახატად მუდამ ზუსტად შესაფერი სიტყვები აქონდა...“

დაულაღავი მეცნიერის ნამოღვაწარიდან ვახტანგ ჭვლიძე, უპირველეს ყოვლისა, ახსენებს „გეორგიკის“ ეგზომ მნიშვნელოვან სერიას, რომელსაც თავის მოწაფეებთან ერთად ამზადებდა და სიცოცხლეში მხოლოდ რვა ტომის გამოცემა მოასწრო. ბატონი ვახტანგი აღტაცებას ვერ ფარავს ბერძნული და ბიზანტიური ლიტერატურის ორი ევებერთელა ტომის გამო. ეს წიგნები უზარმაზარი ცოდნის მომცემია და, ამასთანავე, წასაკითხად იმდენად

მიმზიდველია, „ჭანრის ჩარჩოებიდან გამოდიან...“

ვახტანგ ჭვლიძე საგანგებოდ საუბრობს იმაზე, მისი გამოცელობაში დირექტორობის ფაშს, როგორ სამაგალითოდ მოაშხადა სიმონ ყაუხჩიშვილმა „ქართლის ცხოვრების“ ტომები. მეოთხე ტომად გამოაცემინა ვახუშტი ბატონიშვილის ისტორია და გეოგრაფია, რისი განხორციელებაც, ვეება მოცულობის გამო, ტექნიკურად ურთულესი იყო და ყველა სიძნელის მოგვარება თვით ბატონმა სიმონმა ითავა. მესამე ტომი ჩაუეარდათ. ბატონმა ვახტანგმა მიაშხო — სიმონ ყაუხჩიშვილი ერთმა პიროვნებამ, ისტორიკოსმა, დააღალატა, შეპირდა, სასწრაფოდ გამოგიცემო (იმ ტომში ფარსადან გორგიჯანიძის ისტორიაც შედიოდა), მაგრამ პირობა არ შეასრულა, ყაუხჩიშვილის მიერ უნაკლოდ მოშხადებული ნაშრომი დაანაწევრა და სათავისოდ გამოიყენა.

ვახტანგ ჭვლიძეს არც ის დავიწყნია, რამოდენა ამაგი დასდო სიმონ ყაუხჩიშვილმა ახალგაზრდა მეცნიერების აღზრდას. დიდად ნიჭიერი მეცნიერი და მთარგმნელი, უდროოდ დაღუპული და მინც, ქართულ კულტურაში თვალსაჩინო წვლილის შემტანი აღექსანდრე გამყრელიძე მისი მოწაფე იყო. იგი, როგორც ჭეშმარიტ ჯენტლმენს შეეფერებოდა, ვიდაც საღახანას მიერ შეურაცხყოფილ ქალს გამოესარჩლა და იმ პირუტყვის ვერაგული დარტყმის მსხვერპლი შეიქნა. ის ქალი სასამართლოზედაც არ გამოცხადებულა.

პორტრეტის ბოლო მონაკვეთში შევიტყობთ, თუ რა ხალასი იუმორის გრძნობა ჰქონია ბატონ სიმონს. ქუთაისში მას და მასავით სპეტაკ, უბრალო პიროვნებას, ფილოსოფოს კოტე ბაქრაძეს ლექციები ჰქონიათ, იმ დღეს უთავდებოდათ და ღამით თბილისში მატარებლით უნდა დაბრუნებულყვნენ. სიმონ ყაუხჩიშვილი შეხვედრია ქუთაისში ჩასულ თავის საყვარელ ნასტუდენტარს, ვახტანგ ჭვლიძეს, იმხანად ახალგაზრდა კაცს და უთხოვია, ამ საღამოს შემომიარე სასტუმროში, კოტეც იქნება ჩემთან და ვიქეიფოთო. ბატონი ვახტანგი გაკვირვებული იყო, იმ შენობას საბანკეტო დარბაზი არ ჰქონდა. ოთახში როცა შესულა მოპატიჟესთან, ის თურმე ჩვეულებრივად იჯდა და მუშაობდა. საათისთვის დაუხედავს, მალე კოტეც მოვა და ქეიფს შეუდგებითო. დაპატიჟებული განცვიფრებულია — არც ღვინო, არც ხორაგი და არც ჯამ-ჭურჭელი არსად ჩანს. მალე მასპინძელს ისეე დაუხედავს საათისთვის, თავისი უშველებელი პორთფელიდან ორი ბოთლი შამპანური ამოუტერენია და უთქვამს, ახლა კი უკვე დროა, სხვებიც მოვიდოდნენ და წავიდეთო. აქ აჯობებს, სიტყვა თვითონ ბატონ

ვახტანგს დაუთმოთ, მასავით მარჯვედ, ელგანტურად ვერავინ გვაგრძნობინებს იმ დაუვიწყარი საღამოს ეშხსა და მომზიბლაობას:

„ღერეფნის ბოლოში დიდი ოთახი იყო და იქ შეეკედით. იქ სამი თუ ოთხი ადამიანი დაგეხვდა, ორი საწერი მაგიდა ერთმანეთზე მიედგათ და ზედ დაელაგებინათ თონის პური, ყველი და ძეხვი. აშკარა იყო, მეტი საჭმელი არ ჰქონდათ. მაგრამ ღვინო? მივიხედ-მოვიხედე — ღვინო არსად ჩანდა, არც დიდი ბოცოთი, არც პატარა ბოცოთი, არც ბოთლებით... არადა, სუფრას შემოვუსხედით ზუთი მამაკაცი და ორი მანდილოსანი. ისინიც მატარებლით მიემგზავრებოდნენ იმ ღამეს. მატარებელი ღამის 12 საათზე გადიოდა. ბატონმა სიმონმა ის ორი ბოთლი შამპანური მაგიდაზე დადგა, საიდანლაც მოიტანეს მინის პაწაწინა სათითურებისხელა ყანწები და ქეიფი დავიწყეთ. თამადობა შეუთავაზებლად თვით სიმონ ყაუხჩიშვილმა იკისრა. რვა საათი იქნებოდა, რომ დაესხედით და დაახლოებით თერთმეტის ნახევარზე ავიშალეთ. ძნელია სიტყვებით გადმოსცე სიამოვნება, რაც იმ ღამეს იქ განვიცადეთ. შესანიშნავი თამადა გამოდგა. ქართული სუფრის ყოველგვარ წესს იცაუდა, ერთხელ დააჯარიმა კიდევ ვიღაც სუფრის წესის დარღვევისათვის. იყო სიმღერა, ანგლოტები, ზუმრობების ფეიერვერკი — თამადა და კოტე ბაქრაძე თითქოს ერთმანეთს ეპაექრებოდნენ, და ორივე შესანიშნავი იყო, სიცილით ღამის ცრემლები მოგვდიოდა თეალებიდან, და საოცარია — ამ ორი ბოთლი შამპანურით, იმ მინის სათითურებით კარგად შევზარხოვდით. ისე შემეყვარდნენ ყველანი, რომ როცა წასასვლელად გაემზადნენ, გული დამწყდა, თითქოს ძალიან ახლოებულ ადამიანებს დიდი ხნით ეშორებოდნენ“.

მწერლის აე-კარგს, მის ნიჭსა და ღირსებას ყველაზე მეტად სიტყვასთან დამოკიდებულება განსაზღვრავს და ამის ერთი უთვალსაზიროესი მაგალითთაგანი ქართულ მწერლობაში გიორგი შატბერაშვილი იყო. სიტყვაზე დაუქანცავი, დაუცხრომელი მუშაობა, ლექსიკის განუხრელი გამდიდრება, სტილის სრულყოფაზე თავგადაკლული ზრუნვა გახლდათ ვახტანგ ჭელიძის ჭეშმარიტად უპირველესი თვისება და გასაკვირი სულაც არ არის, ეს ორი სპეტაკი ადამიანი განუყრელი მეგობრები, თანამოაზრენი რომ იყვნენ, ასაკობრივი განსხვავების მიუხედავად (ზუსტად შვიდი წელი), ისინი ერთი სახელოვანი, ომისდროინდელი ლიტერატურული თაობის საუკეთესო წარმომადგენლებად ითვლებიან.

გიორგი შატბერაშვილმა, ყოველგვარი ანგარებისგან თავისუ-

ფალმა კაცმა, თავისი ცხოვრების უმთავრეს წესად ახალგაზრდებთან ახლო ურთიერთობა, მათი ჭირისა და ღვინის განხიარება გაიხადა და ვახტანგ ჭვლიძესაც, მისი ცხოვრებიდან, ყველაზე მეტად ამ ურთიერთობის ამსახველი ეპიზოდები დაამახსოვრდა. შემთხვევით არ მომხდარა, რომ ახალგაზრდობის ჟურნალ „ციცკარში“ პროზის განყოფილება მას მიანდო (მერე პოეზიასაც შეურევობდა) და ამან ნაყოფიც შესაფერისი გამოიღო. ცნობილია, როგორ მამობრივად უპატრონა მან ჩვენს უნიჭიერეს გურამ რჩეულიშვილს, ჯერ „ციცკარში“ პირველი მოთხრობების დაბეჭდვისას და შემდგომ მისი ტრაგიკულად დაღუპვის მერე.

შეუძლებელი იყო, წინამდებარე პორტრეტში ვახტანგ ჭვლიძეს „თვალადური ჭაშნიკის“ ავტორის ფენომენი მისებურად არ შეეფასებინა, ვინაიდან ბატონი ვახტანგი ყურადღებას ამახვილებდა არა მხოლოდ სიტყვის შინაარსობლივ მხარეზე, არამედ და არანაკლებად ჟღერადობაზე, ბგერით აგებულებაზე, კეთილხმოვანებაზე. გიორგი შატბერაშვილის მწერლურ მოღვაწეობაში ყველაზე მეტად ეს თვისება მოსწონდა და ამიტომაც წერდა: „იგი ათასნაირად შეამოწმებდა ხოლმე სიტყვას, ათასი კუთხიდან შეხედავდა და, როცა დარწმუნდებოდა, თავის ადგილზე ზისო, მხოლოდ მაშინ მოისვენებდა. ცნობილია, რომ ქართული სალიტერატურო ენა უმთავრესად ქართლურ დიალექტს ეყრდნობა. გიორგი შატბერაშვილი წარმოშობით ქართლის გულიდან იყო. ზოგმა იქნებ ამითი ახსნას შატბერაშვილის კარგი ქართული. ეს სერიოზული საკითხია და საჭიროა ამაზეც ითქვას რამე. ზოგს მართლაც კგონია, რომ თუკი მწერალი ქართლის ან კახეთის რომელიმე სოფლიდან არის, მორჩა, მისი ენა უზადოა, მდიდარი და ყველასათვის სანიმუშო. ეს რომ ასე არ არის, მრავალი კონკრეტული მაგალითით შეგვიძლია დავამტკიცოთ. გარკვეული მნიშვნელობა მართლაც აქვს ამ ფაქტორს, იქნებ დიდი მნიშვნელობაც, მაგრამ არა გადამწყვეტი. გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანის შინაგან სმენას, ენის განსაკუთრებულად შეგრძნების უნარს. იმის უნარს, რომ იმ ურიცხვ ბგერებში, რაც ჩვენ განუწყვეტლივ გვესმის და რისგანაც სიტყვები შედგება, სწორედ შესაფერი ბგერა შეარჩიო. იმის უნარს, რომ ღუმილის დროსაც, როცა ადამიანი წერს და თითქოს ბგერები არ ესმის, შინაგანი სმენით მაინც ჩაესმოდეს მათი ჟღერადობა. გიორგი შატბერაშვილს ბუნებით აქონდა მიმადლებული ასეთი შინაგანი სმენა და ენის განსაკუთრებული გრძნობა“.

ესოდენ მოზრდილი ამონარიდი იმიტომაც მოვიხმეთ, რომ იგი

სახელმძღვანელოდ გამოადგებათ ახალგაზრდა მწერლებს და არა მარტო მათ. ზემოთ გამოთქმულ თვალსაზრისსა თუ დაკვირვებაში სადავო არაფერია. ქართლსა თუ კახეთში დაბადება და გაზრდა ვერაფერს გიშველის, მწერლად ვერ გაქცევს თუ საამისო ნიჭი და ალლო არ დაგყვა. რამდენი ვიცით წარმოშობით ქართლელ-კახელები, ამ კუთხეებში დაბადებულ-გაზრდილნი და მწერლობას მიძალბებულნი, რომელთა წიგნებს წასაკითხად ძნელად თუ გადაშლი (იგივე ითქმის საქართველოს სხვა მხარეთა ამგვარ მოხალისეებზე), მაგრამ ვახტანგ ჭვლიძე მისთვის ჩვეულ ტაქტს იჩენს, რომ საამისო მაგალითები არ მოაქვს.

აქვე ნათქვამია, რომ ქართლის სოფლებში მოგროვებული თავისი ჩანაწერებითურთ გიორგი შატბერაშვილი ხშირად აკითხავდა ხოლმე მთაწმინდის ძირში მცხოვრებ მხცოვან თედო სახოკიას და ისინი საათობით საუბრობდნენ. სადღა არიან ამჟამად ქართულ სიტყვაზე ასე ფანატიკურად შეყვარებული ადამიანები?

ვახტანგ ჭვლიძე ცალკე მსჯელობს ენის ალლოზე, ყნოსვაზე, ასე მძაფრად რომ ჰქონდა განვითარებული გიორგი შატბერაშვილს და ამითაც ხსნიდა მის მწერლურ წარმატებას: „მის მოთხრობებსა თუ ლექსებში სიტყვა არ ყვირის, არ ეღვარება, ამოვარდნილი არ არის, თავის ადგილზე ზის, ხელს არ გიშლის, როცა კითხულობ, გიორგი შატბერაშვილი სამკაულებით არ ხუნძლავს ნაწარმოებს, მდიდრულად, მაგრამ უგემურად ჩაცმული კეკლუცი ქალივით“.

წინამდებარე პორტრეტის ავტორი ზოგადი, თეორიული განცხადებებით არ იფარგლება. როდესაც გიორგი შატბერაშვილმა ქართული პროზის უდავო შედეგერი — „მკედრის მზე“ — გამოაქვეყნა, ეს ბევრისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა, მოთხრობამ იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. არაერთი საქებარი წერილი დაიბეჭდა, პროზაიკოსები, კრიტიკოსები გამოთქვამდნენ თავიანთ აღფრთოვანებას, მაგრამ ის, რაც ვახტანგ ჭვლიძემ დაწერა, მრავალს შეუძმნეველი დარჩა; მან შეუცდომლად ამოიცნო „მკედრის მზის“ ფილოსოფიური სიღრმე და თხრობას ზედმიწევნით მისადაგებული სტილის ხასიათი, ტონალობა: „მოთხრობაში თითქოს მოხსნილია საზღვარი სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის და მკითხველი გრძნობს, რომ ადამიანური ცხოვრების ეს ორი უდიდესი მოვლენა ერთად არის, გათქვეფილია, განუყოფელი, და არა იმ მოჩვენებითი გადაულახავი ზღუდით გაყოფილი, როგორც ქვეცნობიერად წარმოგვიდგენია ხოლმე ადამიანებს. ნაწარმოები თითქოს დაწერილია შენელებული

ტემპით, და მთელი ფერადოვნება მოთხრობისა მართლაც მკედრის უსიცოცხლო მზით არის განათებული. სიზმარში განცდილი ფერებით შეეფერძნობთ. ასევე სიზმარეულად აღვიქვამთ ნაწარმოების მთლიან მუსიკასაც...“

ვახტანგ ჭვლიძე უფრო საფუძვლიანი მოგონების დაწერას აპირებდა სამომავლოდ და აღარ დასცალდა (ერთი მცირე წერილი — „თვალადური ქართული“ ადრეც მიუძღვნა მის უკვდავ წიგნს „თვალადურ ჭაშნიკს“), მაგრამ ამ პორტრეტშიც დიდი სიმართლითა და ოსტატობით არის გახსნილი უახლოესი მეგობრის არც ისე იოლად ჩასაწვდომი ბუნება. ეს რომ ცხადი გახდეს, რამდენიმე, მახვილგონიერულად მიგნებულ შედარებაზე დამყარებული ერთი აბზაცის ამოწერა კვლავ დაგვეჭირდება:

„უცნობი ადამიანის თვალში გიორგი შატბერაშვილი გულჩახვეული და უკარება კაცი ჩანდა. თითქოს ცივი და გაულიმარიც. იგი მოკლებული იყო უნარს, როცა კაცი ერთბაშად მოგხიბლავს და მიგიზიდავს ხოლმე, მასთან დაახლოება ნელ-ნელა ხდებოდა, მძიმედ გაუხსნიდა ადამიანს გულს, მძიმედ იფანტებოდა მასთან პირველი შეხვედრით მიღებული შთაბეჭდილება, გვიან იგრძნობდი, რომ ამ ერთი შეხედვით ცივი ადამიანის გულში მეგობრობის დაუმრეტელი ცეცხლი გიზგიზებდა, თითქოსდა გაულიმარ კაცს ისეთი მომხიბლავი ღიმილი აღმოაჩნდებოდა, რომ ამ ღიმილით თავის ახლობლებსა და მეგობრებსაც უადვილებდა ცხოვრებას; როგორც მაჭრის დაღვინებას სჭირდება დრო, ასევე გიორგი შატბერაშვილთან დაახლოებას დრო სჭირდებოდა. და იქნებ ამიტომაც, მასთან მეგობრობა მუდამ ურყევი და მტკიცე იყო — კარგად დაყენებულ ღვინოსავით წმინდა, გამჭვირვალე, უხინჯო. მაგრამ მთავარი ის არის, რომ მისი ურთიერთობა მარტო მეგობრებთან კი არ ყოფილა ასეთი წმინდა და გამჭვირვალე. გიორგი შატბერაშვილი მტერთანაც ყოველთვის პატიოსანი იყო. მისი იარაღი მუდამ ხმალი იყო და ნაღმი არასოდეს არავის მიმართ არ გამოუყენებია“.

ბატონი გიორგი „ციცკრის“ რედაქციაში მისულს მუდამ სიბოთი და სიყვარულით მეგობებოდა. ბოლოს, როცა „მნათობში“ გადავიდა სამუშაოდ გრიგოლ აბაშიძესთან, კიდევაც დაემეგობრდით, მაგრამ მისმა ნაადრევმა სიკვდილმა აღარ დამაცადა, იმ დიდებული პიროვნების სამყაროში უფრო თავისუფლად მეგრძნო თავი. მისი გარდაცვალების მერე გივი გვეგეჭკორი და მე აველით ქალბატონ ნათელასთან, უფაქიზესი სულის ადამიანთან. იგი შევემიძღვა

ბატონი გიორგის კაბინეტში. გვეგონა, ათონელი ბერის სენაკში შეეაბიჯეთ, იმდენი სიწმინდე იფრქვეოდა ირგვლივ. ჩვენ ერთი კვირა ვიმუშავეთ ხელნაწერებზე, დღიურებზე, შევაგროვეთ, დავალაგეთ დაუშთავერებელი რომანის („აბოს წამების ათი დღე“) ფრაგმენტები და, რამდენადაც შეგვეძლო, ვუჭირისუფლეთ.

ერთ-ერთი სტუმრობისას, ბატონ ვახტანგს კვითხე — გიორგი შატბერაშვილი, გარეგნულად, ქრისტეფორე კასტელის დახატულ გიორგი სააკაძეს ზომ ჰგავს-მეთქი. ნამდვილად ასეა, ამაზე მეც მიფიქრიაო, დამეთანხმა. გამიხარდა, რომ ასეთი დამთხვევა მოხდა.

ბოლოს ვახტანგ ჭელიძე იგონებს გიორგი შატბერაშვილის ერთ პოეტურ გატაცებას (ამაზე ნოდარ დუმბაძემაც დაწერა, ყველამ ვიცოდით), სოფლიდან შინდისა და იფნის ჯოხები რომ ჩამოჰქონდა და საჭრეთელით იმათგან ნაირნაირ საგნებსა და ცხოველებს, ადამიანებსაც აქანდაკებდა. ბატონი ვახტანგი აღნიშნავს — ამ ნამუშევრებს სინატიფე, პროფესიული დახვეწილობა აკლდა, მაგრამ ხასიათი მუდამ ზუსტად იყო დაჭერილიო.

გიორგი შატბერაშვილზე დაწერილ ნაღვლიან, გულშიჩამწედომ მოგონებას მისი მონატრული ვახტანგ ჭელიძე ასე ამთავრებს:

„ჩუმი იუმორი ჰქონდა და ამ ნამუშევრებში განსაკუთრებით იგრძნობოდა ეს. შინ არ იტოვებდა; გამოთლიდა და ახლობელ ადამიანს მიუძღვნიდა. თითქოს გრძნობდა, რომ ადრე წავიდოდა ამ ქვეყნიდან და ყველას დაგვიტოვა მოსაგონარი, რათა ხშირ-ხშირად მოგვეგვაროს სედიის ღიმილი და ის ტკბილი დღეები მოგვაგონოს, როცა ეს საოცრად ალალი და მართალი ვაჟკაცი ჩვენს შორის ტრიალებდა“.

ვახტანგ ჭელიძის მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობას, განსაკუთრებით, ესეებსა და დოკუმენტურ პროზას როცა ვეცნობით, იკვეთება არა მარტო მისი დიდებული ავტოპორტრეტი, ჩვენს თვალწინ ლაგდება მთელი გალერეა მეოცე და წინა საუკუნეების ქართული მწერლობის საუკეთესო წარმომადგენლებისა და მეც ვცდილობ, ეს საერთო სურათი, რამდენადმე მაინც, წინამდებარე წინასიტყვაობაშიც აირეკლოს.

„მაჩაბლის ცხოვრების“ ავტორის თვალსაწიერი ძალზე ფართო იყო; იგი რომელიმე ეპოქის ერთი საუკუნის მწერლობით არასოდეს შემოფარგლულა და შორეული წარსულის მემკვიდრეობასაც ისევე თვალისჩინივით უვლიდა, როგორ შეუნიღებელ ყურადღებასაც თანამედროვეთა მიმართ იჩენდა.

იგი განუწყვეტლივ შეგუასხენებდა, რომ წარსულის მაცოცხლებელ ფესვებს არასოდეს უნდა მოვწყდეთ. ამის მეტყველ მაგალითად გამოდგება სიბრძნით გაჯერებული მისი წერილი „წინაპართა აჩრდილი“ (1987), სადაც დაწყვილებულია დიდად დამორებული ეპოქების ორი სულიერი მამა საქართველოსი — გრიგოლ ხანძთელი და ილია ჭავჭავაძე, რომლებიც განგებად, დაცემის ჟამს, ჩვენს ერს მოუვლინა. სწორედ მათ აღადგინეს მკედრებით ჩვენი სამშობლო და ეს ორი წმინდა სახელი შემთხვევით არ არის ერთმანეთთან გადაჯაჭვული.

ასეთივე ამაღლებული სულისკვეთებითაა გაჟღენთილი „კაცად კაცადმან თვისი ტვირთი იტვირთოს“ (1986), დიდი მღვდელმთავრის, იმერეთის ეპისკოპოსის, გაბრიელ ეპისკოპოსის უკედავ ფენომენს, მის ქადაგებათა მარადიულ ღირებულებასა და მრავალმხრივ ნიჭს რომ გვისურათხატებს; მასში ვახტანგ ჭელიძე ბიბლიის, საერთოდ, თეოლოგიის საფუძელიან ცოდნას ავლენს და ეს ნაშრომი საუკეთესოა იმათ შორის, რაც დღემდე გაბრიელ ქიქოძეზე დაწერილა. თავმდაბლობით გამორჩეული, მოკრძალებული ავტორი, ბოლოში, მომავალ მკვლევარებს მოუწოდებს: „მის მოღვაწეობას ღრმა შესწავლა სჭირდება“.



რაოდენ განუზომელი წვლილი მიუძღვის ღრმად განსწავლულ, კეთილშობილებით აღსავსე უდა ხვეწილეს ინტელიგენტს, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორს, ევროპული ენების, მსოფლიო ისტორიისა და მწერლობის, ინგლისური ენისა და ლიტერატურის ბრწყინვალე მცოდნეს (იგი საერთაშორისო სამართლის, აღმოსავლეთის ქვეყნების დიალომატიის ისტორიის სპეციალისტიც იყო) ერეკლე ტატიშვილს ვახტანგ ჭელიძისა და მომდევნო თაობების დასავლეთ ევროპის ფაკულტეტის სტუდენტთა აღზრდა-ჩამოყალიბებაში, ეს ამჟამად კარგად არის ცნობილი.

ბატონ ვახტანგს ამდენი მაღლიერების გრძნობა არავის მიმართ არ გამოუთქვამს და ყველაზე მეტად მის ჩანაწერებში ეს წმინდა, მრავალი უსამართლო წამებისა და დამცილების გადამტანი ადამიანი ფიგურირებს, რაზედაც შემდგომ, როცა ვახტანგ ჭელიძის მემუარების დაუმთავრებელ წიგნსა და მის არქივში გაბნეულ სხვადასხვა

მასალებს განვიხილავ, მაშინ უფრო საფუძვლიანად ვილაპარაკებ.

ვახტანგ ჭელიძე თანამედროვეებისადმი მიძღვნილი ლიტერატურული პორტრეტების უმრავლესობას თვითოეული მათგანის გარეგნობის აღწერით იწყებს და ერეკლე ტატიშვილის ყველასგან გამორჩეულ ცოცხალ ხატსაც, მისი შინაგანი ბუნების მთავარ თვისებებთან ერთად, იგი თავიდანვე გვაწვდის:

„ვისაც ოცდაათიან წლებში რუსთაველის და მელიქიშვილის ქუჩებსა თუ მათ მოსაზღვრე უბნებში უცხოვრია, ან სასწავლებლითა და სამსახურით ყოფილა დაკავშირებული ამ ადგილებთან, უსათუოდ ემახსოვრება მომადლო, გამხდარი, მაგრამ ძვალმსხვილი, მხრებში გამართული, მუდამ სუფთად წვერგაპარსული კაცი, რომელიც ყოველგვარ ამინდსა და პირობებში, ყოველ ცისმარე, მძიმე, თანაბარი ნაბიჯით დაუყვებოდა ხოლმე ბესიკის დაღმართს, შეუჩერებლივ გაივლიდა რუსთაველს, გავიდოდა მელიქიშვილის მაშინდელ მეტისმეტად ვიწრო და ხმაურიან ქუჩაზე და მხოლოდ ახლანდელი ჭავჭავაძის პროსპექტის დასაწყისში შედგებოდა, პენსნეს გაისწორებდა, თავის ყვითელ, სიძველისაგან გაპრიალებულ, მუდამ წიგნებით გამობერილ, ღია პორთფელს — რომელიც განუყრელად თან დაჰქონდა ხოლმე, — უფრო მარჯვედ მიიკრავდა ფერდზე და ხაზგაუსმელი მოწიწებით შესდგამდა ფეხს უნივერსიტეტის ეზოში. ნაბიჯი მოკლე და სუსტი ჰქონდა, მაგრამ დაკვირვებულ ადამიანს ეს სულაც არ შეუშლიდა ხელს, ერთის შეხედვით მიმხედარიყო, რომ ამ კაცის მთელი არსებიდან საოცარი სიმტკიცე და ნებისყოფა გამოსჭვიოდა. ქართველს არა ჰგავდა გარეგნულად, ჩრდილო ევროპის რომელიმე ხალხს უფრო მიაკუთვნებდი; პირქუში იყო, ცივი გამომეტყველება ჰქონდა; მონაცისფრო თვალები ღრმად არა ჰქონია ბუდეში ჩამჯდარი, მაგრამ როცა შემოგხედავდა, სხივი მისი მხედველობისა თითქოს სადღაც სიღრმიდან გამოდიოდა და ერთბაშად აღგიქვამდა არა მარტო თვალებით, არამედ მთელი არსებით“ (მოგვიანებით წარმოგიდგენთ ამის დამადასტურებელ საკვირველ მაგალითს, როდესაც ერეკლე ტატიშვილმა ერთი შეხედვით ამოიცნო კაცის მკვლეელი).

ერთგან, როცა ნოდარ კაკაბაძე აფასებს გერონტი ქიქოძის ესეიში („ლეგენდა და სინამდვილე“) დახატულ დავით გარეჯელის უძლიერესი ეფექტის მომხდენ „სკულპტურულ პორტრეტს“, აღტაცებული ამბობს:

„ასეთი სტილის, ასეთი პლასტიკური წარმოსახვის უნარი შრომითა და ნაკითხობით ვერ მიიღწევა — ეს თანდაყოლილი და თანდათანობით დახვეწილ-განვითარებული „ზეციური“ მადლია, რაც საწერ მაგიდასთან ხანგრძლივი ჯდომით არ არის გარანტირებული“.

მართლაც, ეს ზეგარდმო ნიჭი ერთეულთა ხედრია. მათ რიცხვს უთუოდ უნდა მიეკუთვნოთ ეახტანგ ჭვლიძე და ზემოთ მოხმობილი სიტყვები მის მიმართაც შეიძლება ითქვას, თუნდაც მის მიერ ასე ფილიგრანულად გაცოცხლებული ერეკლე ტატიშვილის ყველასგან განსხვავებული იერსახის გამო.

ესეში ძუნწადაა გაბნეული ამ დიდებული პიროვნების უმთავრესი ბიოგრაფიული ცნობები, რაც საჭირო წარმოდგენის შესაქმნელად საკმარისია. ჩანს, რამდენი დრო და ენერგია მოანდომა ერეკლე ტატიშვილმა უნივერსიტეტში დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის შექმნას. როგორ დღედაღამ ზრუნავდა მის გაძლიერებაზე. მისი მუშაობის მასშტაბისა და დიაპაზონის შესახებ თუნდაც ეს ფაქტი მეტყველებს: „ერეკლე ტატიშვილს ძალის უდიდესი დაძაბვა უხდებოდა, რათა ღირსეული ახალგაზრდობა მიეზიდა, უკვე მიღებული სტუდენტები დაეინტერესებინა და წახალისებინა. თავისი პირველი მოწაფეები მისიონერებად კავდა დაგზავნილი სკოლებში, რათა ადრევე ჩაენერგა ენებისა და ევროპის ლიტერატურის სიყვარული ბავშვებისათვის, და ნიჭიერი, განათლებული ცვლა დაეხვევებინა. თვითონაც ესწრებოდა ხოლმე თავისი ყოფილი მოწაფეების გაკვეთილებს სკოლაში, და გარდა იმისა, რომ მეთოდურ დახმარებას უწევდა ახალგაზრდა მასწავლებლებს, ამასთან საკუთარი თვალით არჩევდა თავის მომავალ სტუდენტებს“.

აქვე ნაჩვენებია, როგორ თანდათანობით აჩვენდა სტუდენტებს იგი სირთულეებს, რათა სწავლების პროცესი არც ერთ ეტაპზე არ ყოფილიყო დუნე, მოსაბეზრებელი, „...გამოცდილი მასწავლებელი მარჯვედ ახერხებდა ამას და არასოდეს დამარცხებულა... ერეკლე ტატიშვილი წინააღმდეგი იყო ყოველგვარი მოსაწყენი და გაუმართლებელი პედანტიზმისა; და თვით უზუსტეს მეცნიერებაშიც კი პოეზიას მოითხოვდა. რამდენჯერ უთქვამს, ახლაც თითქოს ყურში ჩამესმის მისი სიტყვები — ვინც დიდი პოეტი არ არის, დიდი მეცნიერი ვერ გახდებაო“.

ერეკლე ტატიშვილისგან უამრავი რამ შეითვისა ეახტანგ ჭვლიძემ, გაიარა პედაგოგისთვის ესოდენ აუცილებელი უდიდესი

სკოლა, იყო ამ თავშეწირული მოღვაწის უერთგულესი მიმდევარი და ამან შეაძლებინა პიონერთა სასახლეში მომუშავე ახალგაზრდა კაცს, როცა იქ ბავშვებს ინგლისურ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა, ამდენი მადლიერი მოწაფე დარჩენოდა.

ერეკლე ტატიშვილს თეორიული ნაშრომები თითქმის არ დაუტოვებია, მისი თარგმანებიდან აღსანიშნავია ნიცშეს „ზარატუსტრა“, რომელსაც დედნის სული და ექსპრესია შეუნარჩუნა (უნბიერსიტეტში დარეინის ვეება წიგნი ათარგმნინეს და დედანი დაუკარგეს), მაგრამ იმდენი რამ გადასცა თავის აღსაზრდელებს, უნებურად ღვთაებრივი პლატონის მასწავლებლის, სოკრატეს გრანდიოზული ფიგურა გახსენდება. ასეთ შედარებას ბატონი ვახტანგი, ეგონებ, არ იუცხოებდა.

ოცდაათიან წლებში ჩვენთან მთარგმნელობითი საქმიანობა უნუგეშოდ ჩამორჩებოდა და ამ აუტანელი ხარვეზის აღმოსაფხვრელად აშზადებდა ერეკლე ტატიშვილი ახალგაზრდა ნიჭიერ კადრებს. ვახტანგ ჭელიძე სწორედ ამის გამო შენიშნავს: „ეს იყო მეტად სავალალო მდგომარეობა. მდიდარი ტრადიციების ქართული ლიტერატურა ამას, რა თქმა უნდა, ვერ მოითმენდა. სხვას რომ თავი დავანებოთ, არ შეიძლება ორიგინალური მწერლობის ცალმხრივი განვითარება, თუ მას ზურგს არ უმაგრებს და კვალდაკვალ არ მიჰყვება თარგმნილი ლიტერატურა. მე ნება მივეცი თავს ასე ფართოდ დამეწყო ამ საგანზე ლაპარაკი არა იმიტომ, თითქოს საჭირო იყოს ვინმეს შევახსენო ეს თავისთავად ნათელი და ყველასათვის გასაგები ფაქტი, არამედ იმისთვის, რომ უფრო თვალსაჩინოდ წარმოვიდგონოთ ერეკლე ტატიშვილის მოღვაწეობის მასშტაბი და ასპარეზი, რადგან მან ამ საქმესაც — დიდი ღვაწლი და ამაგი დასდო“.

ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვისა და მოიარების გარეშე შეგვიძლია ვთქვათ - ის, რაც ურთულეს, ოცდაათიან წლებში წარმოუდგენელი შრომისა და დაძაბვის ფასად გააკეთა ერეკლე ტატიშვილმა, დიდი ხნის მერე, სამოციან, სამოცდაათიან და შემდგომ წლებში, სხვა პირობებში და სხვა მოცულობითაც ბრწყინვალედ შესძლო ვახტანგ ჭელიძემ. ახლო მომავალი ამ ფაქტს კიდევ უფრო უეჭველს გახდის.

სხვათა შორის, ერეკლე ტატიშვილი თითქმის ერთადერთი კაცი იყო, ვინც იმ ძნელბედობაში გული გაუთბო ლიტერატურისგან გარიყულ, მიუსაფარ უნიჭიერეს პოეტს ნიკო სამადაშვილს და მის ბედზედაც უაღრესად კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა.

დიდ პედაგოგსა და მოაზროვნეს ბევრმა თავისმა აღზრდილმა

გაუმართლა, კმაყოფილება მოჰგვარა, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთისაგან ამაზრზენი ვერაგობა და უმადურობა იწყნია, რის გამოც ციხეში მოხდა. ვახტანგ ჭვლიძეს სულისშემძვრელი მღელვარებით აქვს აღწერილი ეს დრამატული მომენტი: „ინგლისური ენის ლექცია გვექონდა. ზარი დაირეკა და სტუდენტები პატარა აუდიტორიაში კელოდით ლექტორის შემოსვლას. ერეკლე ტატიშვილმა კარი შემოფეთა და აუდიტორიაში ფეხის შემოდგამამდე მოატარა თვალი ყველა მერხზე. უკვე ვიგრძენით, რა გუნებაზე იყო... შემოვიდა, პორთფელი უხალისოდ დააგდო კათედრაზე და იშვიათი სილამაზის წითელი ტყავის ყდაში ჩასმული შექსპირის ერთტომეული ამოიღო. ჩვენც ხელად გამოვიღეთ ჩვენ-ჩვენი შექსპირი და გადავშალეთ. „ჰამლეტს“ გავდიოდით. არაო, ცივად გვითხრა, დღეს „ლირზე“ გადავდივართ. წიგნი გადაშალა და თავიდან კი არ დაიწყო, რომელიღაც სცენიდან დაგვაწყებინა. ეს ის ადგილია, როცა შეილებიდან დაგმობილი ღირი მწუხარედ შენიშნავს: ვაი მას, ვინაც გვიან ჩაეარდება სინანულში... უმადურება ქვისგულიანი ეშმაკია და შეილის სხეულში თუ შეძერა, ზღვის ურჩხულად იქცევა... დე მაგათაც იგრძნონ, რომ შეილის უმადურება ასპიტის ნაკებნუდაც უფრო მწარეა...“

ბოლოს ვახტანგ ჭვლიძე აღნიშნავს, რომ შექსპირის ტრაგედიებიდან ერეკლე ტატიშვილს ყველაზე მეტად „ჰამლეტი“ ჰყვარებია, თითქმის ზეპირად სცოდნია მთელი პიესა და თავის ბრწყინვალე მოგონებას, კიდევ უფრო რომ გააბრწყინოს სათაყვანებელი მასწავლებლის ნატანჯი სახე, „ჰამლეტის“ მაჩაბლისეული თარგმანის სიტყვებით ამთავრებს: „ის კაცი იყო, ვით შექთერის კაცსა კაცობა“.

აქ ერთი მცირე გადახვევის უფლება კვლავ უნდა მიეცე ჩემს თავს; იგი მაინცდამაინც დაშორებული არ არის ამ წერილის საგანს. ჩემმა უფროსმა მეგობარმა, საუკეთესო თეატრმოცდნემ ვასილ კიკნაძემ, სამიოდე წლის წინ, გამოსცა მემუარების ძალზე სასიამოვნო, მართალი და სასარგებლო წიგნი „გამოთხოვება მოგონებებთან“, რომლის მრავალი თავი („მათი ხსოვნისა იყოს“, „პასტორალური მელანქოლია“, „მოსეს ფაეტონი“, „შაოსანი ქალები მღერიათ“, „ეროსის გახსენება“ და სხვები) ისეთი მხატვრული ძალით, ოსტატურადაა დაწერილი, პირველხარისხოვანი ნოველებივით იკითხება.

ერთგან („ოჰ, ეს ლენინი“) მოთხრობილია კურიოზული ამბავი. საშინელ თოვლიან ზამთარში, უგზობაში, კულტურის სამინისტროს

ვასილ კიკნაძე მივლინებით გაუგზავნია ონში, რათა სახალხო თეატრის მიერ დადგმული, ლენინისადმი მიძღვნილი სპექტაკლი ენახა. ცხინვალიდან მოუვლია და ძლივს, ისიც დაგვიანებით, ჩაულწვია ადგილამდე. წარმოდგენა მეორე დღისთვის გადაუდიათ და, აჰა, როგორც იქნა, გაიხსნა ფარდა. ლენინის როლში გამოეყვანათ იქაური სცენისმოყვარე, ფეხსაცმელების მწმენდავი ონელი ებრაელი, ტანად თვით ლენინზე დაბალი, დაფსხილული. პირველსავე ეპიზოდში შეშლილივით შემოეარდნია. სკამზე შემხტარა სიტყვის სათქმელად. ხელის გაშეერა კი მოუსწრია და გადაყირაუებულა, გამოშლია სკამი, ძირს მოუდენია ზღართან. ამტყდარა სიცილ-ხარხარი, სტვენა და ყიჟინა. შეიქმნა ფრიად უხერხული მდგომარეობა. საპატო მისიით მივლინებული ვასილ კიკნაძე სპექტაკლის მერე დასს შეხვდა და ტაქტიანად ურჩია — ის სცენები, სადაც კარიკატურული ლენინი თამაშობდა, მაქსიმალურად შეემციოებიანთ. ამას უკვალოდ არ ჩაუვლია.

ეს ამბავი საბაბი გახდა იმისა, რომ ვილაც დამსმენს, ზნედაცემულს, სუკში საჩივარი შეეტანა, ვასილ კიკნაძე დიდ ლენინს და უკვდავ მოძღვრებას ებრძვის და მის მიმართ ახლავე შესაფერისი ზომები მიიღეთო.

ცოტა ხნის მერე, იტალიაში მოგზაურობიდან დაბრუნებული ვასო სუკის ჩინოსანმა თანამშრომელმა, გვარად ტატიშვილმა ინახულა, პირისპირ დარჩა მასთან კაბინეტში, კარი ჩააკეტინა და ყველა კარტი გაუხსნა. ვასილ კიკნაძეს, როგორც საბჭოთა იდეოლოგიის საშიშ მტერს (ეს ვერაგულად გათვლილი ფსიქოლოგიური დარტყმა იქნებოდა), იტალიაში ტურისტად მიმაველს, თურმე თვითმფრინავიდან ჩამოსმას უპირებდნენ და იმ ტატიშვილმა ჩაფარცხა ეს საქმე, თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა. მისი ვასილ კიკნაძესთან მისვლა და საუბარი ორგანოების ყურამდე რომ მისულიყო, ის კაცი სამსახურს დაკარგავდა და ალბათ ამასაც არ აკმარებდნენ (კულტურის სამინისტროს მუშაკსაც არ მოსწევდნენ კაი დღეს), ვასოს უთხრა — უმკაცრეს კონტროლზე ხარ, სასწრაფოდ რამე დაწერე ლენინზე და გამოაქვეყნე, რომ შენი საქმე ჩამოეწერო და შეგეშვანო. ყველაფერი მცირე დროში შესრულდა. ქობულეთში ჩასულ ვასილ კიკნაძეს ნიჭიერი იუმორისტი მწერალი, გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქტორი ალი სამსონია შეხვდა (ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული!), გამოუქვეყნა მეგობარს თათარიახნად გამომცხვარი სტატია „ლენინი და თეატრი“, ორმაგი ჰონორარიც გამოუწერა. მალე ვასილ

კიკნაძეზე შეთითხნილი „დანოსი“, როგორც ცილისწამება, აქტივით გაანადგურეს და „საქმეც“ დაიხურა.

ეს რომ წაეკითხე, მაშინვე მივხვდი, ის კეთილმყოფელი ერეკლე ტატიშვილის ძმისწული რატი ტატიშვილი იქნებოდა (ვასილ კიკნაძემ უმაღლ დაადასტურა ჩემი ვარაუდი), უპატიოსნესი, ქერა ვაჟკაცი, დახვეწილი მანერების ინტელიგენტი. პირველი შეხვედრისთანავე ამყაად უთხრა ვასოს: „მე ერეკლე ტატიშვილის გენის ვარ. ხომ იცით, ვინ იყო ერეკლე ტატიშვილი?“

ვასილ კიკნაძეს მყისვე უპასუხნია: „ვიცი, დიდი პატრიოტი, საქართველოს დამოუკიდებლობაზე მეოცნებე კაცი“. ერეკლე ტატიშვილის სახელი ორივესთვის ყოელისგადაძმალახავი პაროლი აღმოჩნდა.

რატის პირადად ვიცნობდით მე და ჩემი მეგობრები, უნივერსიტეტში ვხვდებოდით ხოლმე. ვიცოდით, იმ საჩოთირო უწყებაში იმიტომაც დაიწყო სამსახური, ბიძამისთან დაკავშირებული საქმეები ძირისძირობამდე სურდა გამოეკვლია. დასავლეთ ევროპის ფაკულტეტი პქონდა დამთავრებული, უცხო ენები იცოდა, საუცხოოდაც მღეროდა. სუკს ასეთი ახალგაზრდები ძალიან სჭირდებოდა. რატი ტატიშვილს ერთხელაც არ ჩაუდენია რაიმე სიგლაზე. დაწერილებით შეიტყო, ვინც იყო ერეკლე ტატიშვილის ჩამშვები და გამაუბედურებელი, მაგრამ იმ პიროვნებისთვის არაფერი უთქვამს და უგრძნობინებია, არც სამაგიერო გადაუხდია. მთელი ცხოვრება იმას ცდილობდა, ადამიანებისთვის უსიამოვნება აეცლინა. ნამდვილი ქრისტიანი იყო. ის, ვისაც ძარღვებში ერეკლე ტატიშვილის მოდგმის სისხლი დაუდიოდა, სხვანაირად ვერ მოიქცეოდა.

ერთხელ რატი ვერაზე შემხვდა, კაფეში შევიდეთ, ლუდი დავლიოთო, მითხრა. მარტონი ვიყავით. როგორღაც ლაპარაკის გუნებაზე დაღვა. მომიყვა, როგორ მიაეღინეს ლონდონში და იქ კარგა ხანს დაჰყო. გარდა იმისა, რომ ინგლისური ბრწყინვალედ იცოდა, გარეგნობა, შესახედაობა ბიძასავით ნორდული, ჩრდილოელი კაცისა პქონდა. არც რუსს ჰგავდა და არც ქართველს. ზომიერად მწითურს, ოდნავ ხაოიანი ხმა და ხორციანი ცხვირი თავისებურ ელფერს აძლევდა. დიდ ბრიტანეთზე ბევრი რამ წაეკითხა, მაგრამ ქვეყნის ნახვა და იქ ცხოვრება მაინც სულ სხვაა. დიდად მოეხიბლა ინგლისელთა ყოფას, კულტურას, რესპექტაბელურობას. სასაუზმოდ, სადილად და ვახშმად თურმე ერთ მყუდრო, მის ბინასთან ახლო მდებარე რესტორანში დადიოდა. ცდილობდა, არაფრით მიექცია ყურადღება,

მაგრამ შობის წინა დღეს იმ რესტორნის შეფს, ინგლისელებისთვის დამახასიათებელი დელიკატურობით, თავისთან შეუხმია, უთქვამს — ამდენი ხანია ჩვენს რესტორანში დაბრძანდებით, არ ვიცით, ვინ ხართ, მაგრამ ძალიან მოგეწონს თქვენი თავდაჭერილობა, გარეგნული იერი და ფირმის სახელით მცირე საშობაო საჩუქარი უნდა მოგართვათო.

უარს რანაირად ვეტყოდი (იღიმებოდა რატი), გამომიწოდა საკმაოდ მოზრდილი ყუთი, რომელშიც ვიქტორიანული ეპოქის სტილის ვერცხლის დაჩუქურთმებული ულამაზესი ჭურჭელი (დანა-ჩანგლები, კოვზები, სამარილები, კორპსაძრობები და სხვა ამნაირი რამეები) იყო ჩალაგებული, ნამდვილი ხელოვნების ნიმუში. ცხადია, ყველაფერი ეს სასტუმროში მისულმა დავათვალიერე, ერთი სული მქონდა, სანამ გავხსნიდი. მანამდე, ბუნებრივია, რესტორნის პატრონს დიდი მადლობა მოვახსენე და ბედნიერი შობის გათენება ვუსურვე. ცხოვრებაში ისე არაფერს გაუხარებებივარ, როგორც იმ კაცის ყურადღებამ გამახარა. ყუთი თბილისში ჩამოვიტანე და უმეტესობა იმ ნატიფი ნივთებისა ნათესავეებსა და ნაცნობ-მგობრებს დაეურიგე, თითო-ოროლა შემომრჩა... — ასე დაამთავრა ინგლისზე თავისი შთაბეჭდილებები.

ვიცოდით, რატი ტატიშვილი (თავად მოიწადინა და ეს ყველაზე მეტად შეეფერებოდა მის კაცთმოყვარე ბუნებას) რეაბილიტაციის განყოფილებას, რეპრესირებულთა საქმეებს მთელი გულისყურით მუშაობდა და ვინ მოსთვლის, რამდენ უდანაშაულოდ დაღუპულ ადამიანს აღუდგინა ჯალათების მიერ აყრილი პატივი და ღირსება.

ბოლო წლებში იმ ოხერმა ორგანოებმა შეატყვეს — რატი ტატიშვილი მათი ხაზის პირდაპირი გამტარებელი რომ არ იყო, უცხო სხეულად გამოიყურებოდა იმათ შორის და კიდევაც მოიშორეს. გულმა უმტყუნა. ზედიზედ ორჯერ დაემართა ინფარქტი. ძლივს დადგა ფეხზე, ის რატი უკვე აღარ იყო. მერე, იმ არეულობის (ოთხმოცდაათიანი წლები) დროს გარდაცვლილიყო. გვიან გავიგე. საშინლად მეწყინა. სიცოცხლეში ორიოდე თბილი სიტყვა ვერ გავაგონე, ვერც უკანასკნელი პატივი მივაგე. ღმერთმა სასუფეველი დაუმიკვიდროს.

თავისი გზის გამკვალავ, საფიცარ მოძღვარზე, ერეკლე ტატიშვილზე, სიცოცხლის ბოლომდე მადლიერმა მოწაფემ, ვახტანგ ჭელიძემ, მხოლოდ ლიტერატურული პორტრეტის დაწერა როდი იკმარა; უამრავ ჩანაწერზე რომ არაფერი ეთქვათ, ზემოთ ნახსენებ

„ძვირფას სილუეტებში“ შეიტანა „მემუარებისთვის“ განკუთვნილი მოზრდილი ნარკვევი — „ათი წელი ერეკლე ტატიშვილთან“, რომელშიც ყველასათვის ხელმისაწვდომი სიცხადითაა გათვალსაზრისწოდებული ენის სწავლების ტატიშვილისეული მეთოდი, ყოველგვარი ტრაფარეტისა და შაბლონისგან თავისუფალი მიდგომა საგნისადმი, როცა სტუდენტები ვერც კი გრძნობდნენ, რომ მათ მაესტრო გრამატიკას ასწავლიდა. ეს უნიკალური, მოუძველებელი მეთოდი ყოველ დროშია გამოსადეგი; იგი ბრწყინვალედ აითვისა ვახტანგ ჭვლიძემ და დიდად გამოადგა პედაგოგიურ სარბიელზე მოღვაწეობისას.

ამავე ნარკვევში ვეცნობით ერეკლე ტატიშვილის დამხმარე, თანამდგომს, ვახტანგ ჭვლიძის, ალექსანდრე გამყრელიძის, ნათელა კეშელავასა და სხვათა საყვარელ ლექტორს, ფრიად ტრაგიკული ბედის უძწეო ინგლისელ ქალბატონს ჯონსონ-მეგდისოვას.

ვახტანგ ჭვლიძეს აქ მსუბუქად აქვს მინიშნებული უკეთური პიროვნებისაგან ერეკლე ტატიშვილის დასმენასა და იმ აუადსახსენებელი ორგანოებისგან მის დაპატიმრებაზე (საარქივო მასალებში ყველაფერი გახსნილადა ნათქვამი), წერს თუ როგორ უძნელდებოდა უნივერსიტეტთან, ასე შეჩვეულ მასწავლებლებთან გამოთხოვება და აქ გვიმხელს ერთ გასაოცარ დაკვირვებას, კონტრასტს — „საამურად გრძელ ბავშვობის დღეებსა“ და „სიცოცხლის ბოლო წლებს შორის“, რასაც ყოველი ადამიანი მეტნაკლები სიმწვავეთ განიცდის:

„რაც უფრო ახლოვდებოდა მეხუთე კურსის დასასრული, დრო უფრო სწრაფად გადიოდა. ზუსტად ისე, როგორც ადამიანის სიცოცხლეში ხდება — რა საამურად გრძელია ბავშვობის დღეები და რა სწრაფად მიჰქრის სიცოცხლის ბოლო წლები...“

ეს თავი დაუსრულებელი „მემუარების“ ორგანული ნაწილია და მასზე უფრო ვრცლად მაშინ დავეწერ, როცა ვახტანგ ჭვლიძის დიდოსტატურ პროზაზე მომიწევს საუბარი. ისე კი, ერთი წინადადებით ვიტყვოდი — ქართულად, მასწავლებელზე მოწაფისგან დაწერილი, ამაზე უკეთესი არაფერი წამიკითხავს. აქვე თვით ბატონი ვახტანგის ნათქვამსაც დაუშვებდით: „რაც კარგია, ყველაფერი წვალებით იწერება“.

ვახტანგ ჭვლიძის წერილებსა და სხვადასხვა პერიოდის დიდსა თუ მცირე, პირუთვნელ ჩანაწერებში, უკიდურესი ძნელბედობისა,

სულისშემბუთველი რეჟიმის დროს მოწამებრივად მცხოვრებ და სამაგალითო თავდადებით მოღვაწე ერეკლე ტატიშვილს ისეთი უქრობი შარავანდედი ადგება, იგი მთელი სიმაღლით არის წარმოჩენილი შთაქომაველთა წინაშე.

* * *

ალექსანდრე საჯაიაზე ახლობელი, ძმასავით შეზრდილი მეგობარი ვახტანგ ჭვლიძეს სხვა არაეინ ჰყავდა; ყველაფრიდან ჩანს, მისმა უღეთო, მოულოდნელმა სიკვდილმა რა გაუსაძლისი, ფიქრისგან განუშორებელი მწუხარება დაუტოვა. თავად უნდა განიცადო მსგავსი რამ, რათა ცოცხლად დარჩენილის ტანჯვა გაიგო. მეც მერგო მსგავსი ვარამი. დღემდე გულსა და გონებას მიშხამავს ზაურ ბოლქვაძისა და გივი გეგეჭკორის გაქრობა და მათ არყოფნას ვერასოდეს შეეურიგდები.

ორი, სევდით განსტევალი, ერთმანეთზე უკეთესი მოგონება, ვახტანგ ჭვლიძემ ანგელოსური სულის პოეტის ხსოვნას რომ უძღვნა, მისი სიტყვიერი ოსტატობის უმაღლესი გამოვლინებაა და აუღელვებლად ვერაინ წაიკითხავს. პირველი უფრო ლიტერატურული პორტრეტისკენ იხრება და თავიდანვეა გამხელილი უძირო ურეა იმის გამო, რომ დიდ შემოქმედად დაბადებული ჭაბუკის ნიჭი ჩანასახშივე დარჩა, ვეღარ გაიშალა. გიკვირს, ყოველივე ეს ისე სადად თავშეკავებულად არის ნათქვამი; გრძნობ, ამ სიტყვების დამწერს ყელში გორგალი როგორ ებჯინება, ცრემლს ძლივს იკავებს:

„ალექსანდრე საჯაია ძალიან ადრე გარდაიცვალა. იგი ვერ მოესწრო გემნა ცხოვრების მთელი სიტკბო და სიმწარე. არც იმედის გაცრუების დიდი ტკივილები განეცადა და არც ადამიანური უმადურობის ყველაზე საშინელი ნაღველი. არც ბავშვობის მოგონებათა სიტკბოების განცდა დასცალდა და არც ჭაბუკის გულუბრყვილო ოცნებებთან გამოთხოვების სიმწარე; დიდი სიყვარულით აფეთქებულ მის გულს ჯერ ვერ მოესწრო ეჭვითა თუ ღალატის საშინელებით აფორიაქებულიყო“.

მწერლის გარეგნობის ანდა შინაგანი სამყაროს თავისებურებათა დახატვა როცა უნდა, ვახტანგ ჭვლიძე მუდამ მთავარს, არსებითს გამოაცალკევებს ხოლმე. ძნელია იმის თქმა და სრულად წარმოდგენა,

ლადლო ასათიანისა და ალექსანდრე საჯაიას ესოდენ ნაადრევად დაღუპვამ რამდენი დააკარგვინა ქართულ პოეზიას. ვახტანგ ჭვლიძემ ერთგვარად შეაპირისპირა ამ ორი, თითქმის თანატოლი, ერთდროულად მცხოვრები, ერთმანეთის მიყოლებით გარდაცვლილ მეგობართა პიროვნებანი და ზუსტი, შეუმცდარი სურათი წარმოგვიდგინა; წინასწარ აღნიშნა, რომ ორი, უფრო განსხვავებული ხასიათის, სულისკვეთებისა თუ ტემპერამენტის ადამიანი იშვიათად თუ შეგზედება: „ლადლო იყო ზედმეტად გაღიზიანებული და ნერვული კაცი. იგი თითქოს თვითონვე ეძებდა და იწვევდა მაღალი შემოქმედებისათვის აუცილებელ იმ დიდ ცხოვრებისეულ ტკივილებს, რაც ადამიანს სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა პირობებში ეწვევა ხოლმე. ამას გარდა, სიმონ ჩიქოვანის მოხდენილი თქმისა არ იყოს, ლადლო ასათიანი თითქოს გრძნობდა მოახლოებულ სიკვდილს და ცდილობდა ბევრი მოესწრო, ბევრი ეთქვა პოეზიაში. ეს, სხვათა შორის, მისი ლექსების რიტმსაც ეტყობა. მის ლექსებს რომ ვკითხულობთ, თითქოს გვესმის სიცხიანი ავტორის აჩქარებული მაჯისცემა. და მან ბევრის თქმა მოასწრო, თუმცა, რაღა თქმა უნდა, უფრო მეტა მანაც უთქმელი დარჩა.

ალექსანდრე საჯაიას ბუნებით ნაკლები სიფიცხე და მგზნებარება არა ჰქონია, მაგრამ იგი იჩენდა საოცარ საერთო სიმშვიდეს, დიდ ზომიერებასა და ტაქტს ადამიანებთან ურთიერთობაში. ამიტომაც იგი ყველასაგან განებიერებული იყო. სიკვდილი მასაც თურმე იქვე ჰყავდა ჩასაფრებული, მაგრამ ალბათ ვერ გრძნობდა ამას და არც ეჩქარებოდა. იგი წერდა და ბეჭდავდა ლექსებს. ეს ლექსები მაშინვე ამჟღავნებდნენ ავტორის ნიჭს, ხიბლავდნენ მკითხველს და დღესაც სიამოვნებას გვანიჭებენ თავისი მუსიკალობით, უშუალოდით, პოეტური სითბოთი და გულწრფელობით“.

ვახტანგ ჭვლიძეს ამომწურავად აქვს დახასიათებული და შეფასებული ალექსანდრე საჯაიას ძვირფასი დანატოვარი, ვისი ბედიც ასე გვაგონებს ამქვეყნიდან მისებრ ნაადრევად წასული გენიალური ინგლისელი ლირიკოსის ჯონ კიტსის სამწუხარო ხვედრს. ალექსანდრე საჯაიამ იდეალურად თარგმნა შელისა და ედგარ პოს რამდენიმე ლექსი (განუზომლად მეტის გაკეთებას აპირებდა), ისიც ერეკლე ტატიშვილის საყვარელი მოწაფე იყო და დიდ მაესტროს სიამაყით ევსებოდა გული, როცა მის თარგმანებს ისმენდა.

აქ აღწერილია, როგორ ჩადიოდა ბატონი ვახტანგი მეგობართან სამეგრელოს ულამაზეს სოფელ ლედგებიეში (ახლანდელი ოდი-

ში), საკვირველი სიცხადით ჰყავს დახატული მისი კუშტი გამო-
მეტყველების ბეზია ნაია, მაღალ საკარცხულში რომ იჯდა და
კრიალოსანს მარცვლად, ზოგჯერაც ჩიბუსს აბოლებდა. ხანდა-
ზმულმა ქალბატონმა იცოდა, რა ფაქიზი ბუნებისა იყო მისი
შვილიშვილი და ეზოდან გადასულს, დროდადრო, კოკისთვის (ასე
ეძახდნენ ალექსანდრე საჯაიას შინაურები და მეგობრები) მინდერის
ყვავილების ულამაზესი თაიგული მოჰქონდა. ასე გამოხატა
სიყვარულს.

ვახტანგ ჭელიძე ამბობს, რომ ალექსანდრე საჯაიას მუსიკისა
ბევრი არაფერი გაეგებოდა, მაგრამ მისი ლექსები — ორიგინალურიც
და თარგმნილიც — იშვიათი კეთილხმოვანებით, საამო ჟღერადობით
გამოირჩევა. აქ არაერთი წინააღმდეგობა არაა — ვახტანგ ჭელიძემ
ძალიან კარგად იცოდა, რომ ლექსის მუსიკა სულ სხვა მოვლენაა,
საფუძველიც, ძირიც სხვა აქვს; ამიტომაც ამბობს ცოტა ქვემოთ:
„ეტყობა, შინაგანი სმენა თუ გრძობა პქონდა მუსიკისა“.

ერთ კეთილშობილურ ქმედებას, ასე რომ ასხივოსნებს ალექსანდრე
საჯაიას ისედაც ნათელ პიროვნებას, გვერდს ვერ აუუვლი. ომის
დროს ისა და ლადო ასათიანი, მცირე ხანს უბრად ყოფილან. ლადოს
მისმა ვერაგმა აუადმყოფობამ შეახსენა თავი, სისხლი ამოახველა.
სასწრაფოდ უნდა ეშოვნათ ყინული. ლადოს მეუღლემ, ანიკო ვაჩნაძემ,
მთელი ქალაქი შემოიარა და როცა ხელცარიელი ბრუნდებოდა, გზად
ალექსანდრე საჯაია შეხვდა. გაიგო ახლობლის გასაჭირი, გაეარდა,
სადღაც იშოვა ყინულის ლოდი, აიტანა ჭავჭავაძის ქუჩაზე, სადაც
მაშინ ლადო ცხოვრობდა. თვითონ არ გამოჩენილა, იუხერხულა,
ყინული პატარა ბიჭის ხელით შეუგზავნა.

იოლი წარმოსადგენია, რა თავზარდამცემი იქნებოდა მთელი
თაობისთვის ამისთანა გულის პატრონის უეცარი გარდაცვალება.
სადგურში როცა აცილებდა ბატონი ვახტანგი (თავისი სოფლიდან
სვანეთში უნდა ასულიყო), გზაში სიკვდილის წინათგრძობა
მოსძალებია. მეგობრებთან ხშირად იმეორებდა თურმე დიკენსის
ერთი გმირის ფრაზას: „როდესაც კარგი გეჩვენებოდი, სწორედ ისეთი
მომიგონეო“. სხვანაირს მას ვერც ვერავინ მოიგონებდა.

„პოეტის უკანასკნელი დღეები“, გამაოგნებელი სიცხადით რომ
წარმოგვიდგენს ალექსანდრე საჯაიას ფატალურ სიკვდილს, შოაენის
„სამგლოვიარო მარშივით“ გულისგამსერავე და, ამასთანავე, ტრა-
გიკულად ლამაზია. თავისი მწუხარე ფიქრებისთვის ვახტანგ
ჭელიძეს დღიურის იერი მიუცია, რაც ასე სასურველ ბუნებრიობას

ანიჭებს თხრობას. მულახში, რევან მარგიანთან საზაფხულოდ ჩასული ალექსანდრე საჯაია ავად ხდება. II სექტემბრისათვის მისი მდგომარეობა შემამწოთებელია. ტუბერკულოზური მენინგიტი დაუდგინეს, მესტიის საავადმყოფოში წევს და გადარჩენის არავითარი იმედი აღარაა. ბატონი ვახტანგი რევან მარგიანის დეპეშას იღებს, სასწრაფოდ ჩამოდი, ექიმი წამოიყვანეო. იგი ქუთაისში ცნობილ ექიმს შალვა კოკოჩაშვილს ნახულობს, მოჰყავს აეროპორტში და რის ვაი-ვაგლახით გაამგზავრებს (მისი ადგილი პაწია თვითმფრინავში აღარაა), თვითონ შემდეგ რეისს უნდა დაელოდოს. ახსენდება რამდენიმე წლის წინ ამ საშინელი სენით გარდაცვლილი თავისი უმცროსი და. გუნება სულ უფრო და უფრო ეშხამება. ხავსს ეჭიდება, როგორმე მეგობარი სიკვდილის კლანჭებიდან რომ იხსნას. ჯიბეში სიმწრით ნაშოენი სულფიდინი უდევს და იმისგან ელის სასწაულს. ენით აუწერელი წვალება გადახდება თავს. ავადმყოფი იღუპება. მამამისი მესტიაშია ჩასული, რათა შეილი ჩამოასვენოს. ამ უბედურებას არაფერი შეედრება.

ბატონი ვახტანგი გადაუღებელ თავსხმაში საბარგო მანქანის ძარაზე აძვრება და მესტიისკენ მიდის. უცნაურია ადამიანის მესსიერება. გზად ახსენდება შეეცარიაში განსწავლული, ოდნავ შექანებული, პატარა ტანის კაცის, პავლე აკობიას სტრიქონები, საჯაიასგან გაგონილი. იმ კაცს უცხოეთში ახლო მეგობარი გარდაცვლია და შეეცარიის მიმართ საყვედურს ლექსად გამოთქვამს. ზუგდიდელი ყოფილა. საწოლი ხეზე ჰქონია მოწყობილი და იქ იძინებდა. ჭლარა წვერი მკერდზე ეფინა, ბრეზენტის უხეში ლაბადა ჰქონდა მოსხმული და ხელში ჯოხი ეჭირა. ოცდაათიან წლებში თბილისში უცხოვრია. რომელიღაც ცნობილი, უგზო-უკელოდ ნაკითხი მეცნიერის აბლაუბდა რუსთველოლოგიურ ლექციას დასწრებია (ბატონი ვახტანგი არ ასახელებს „სწავლულის“ გვარს), მერე სიტყვა მოუთხოვია და იმ ვაი-მეცნიერს თურმე სულ ბღღვირი აღინა. დარბაზი ღიღხანს ხარხარებდა. ერთი საუკეთესო ნოველაა ეს ჩანართი. კონტრასტი კიდევ უფრო აძლიერებს ტრაგიზმის განცდას, როცა მეგობრის ცხედრის შესახვედრად კოკისპირულ წვიმაში მანქანით მიმქროლავს იმ ახირებული კაცის სამგლოვიარო სტრიქონები ამოუტივტივდება მესსიერებაში.

გასაოცარი ძალითაა აღწერილი მგლოვიარე მამასთან და რევან მარგიანთან გზაში შეხვედრა, კუბო რომ მოაქეთ. ღამე ხაიშში უნდა გაათიონ. რევან მარგიანი და ვახტანგ ჭელიძე მანქანის კაბინაში

არიან, აღგზნებულები ლაპარაკობენ, მერე ძილი მოერევათ. კოკის მამა ჟგუთ წვიმაში გარეთ დგას და თავისი დაღუპული შვილის მეგობრებს დარაჯობს. გული შეგიქანდება ამ სტრიქონების წაკითხვაზე: „ირველიე წყვილია იდგა, ნისლს ფიზიკურად ვგრძნობდით, ვერა ვხედავდით. ვერ ვიტყვი, რამდენი ხანი გავიდა. ენგურის შორეული გრგვინვა ნელ-ნელა მიწყდა, და უცებ თავზე ვიგრძენი თბილი, ალერსიანი ხელი. ნელ-ნელა გავახილე თვალი და ვხედავ: მამას ხელები შემოუყვია კაბინაში და თავზე გვისვამს, გვეფერება. ერთბაშად შემრცხვა, რომ ჩაგვეძინა და მობოდიშება მოვინდომე, ამ წუთში წაგეთვლიმა-მეთქი. დაიძინეთ, შვილო დაიძინეთ გენაცვალე, გვითხრა ამ ბრძენმა კაცმა. მთელი ღამე იგი გარს უვლიდა მანქანას“.

ძვირფასი ცხედარი სოფელში ჩააქეთ. დამთრგუნეელი წუთები. საშინელი სასოწარკვეთა. გონის დამბინდველი სინამდვილე, რომლის დაჯერება არაფრით არ გინდა. არადა, ყველაფერს თადარიგი სჭირდება:

„ჩვენ — მე და რეზო — პატარა ოთახში შეგვიყვანეს — „კოკის ოთახში“. რამდენჯერ ვყოფილვართ აქ სამნი, ღამე ლაპარაკში შემოგვთენებია, რა ბედნიერი დღეები იყო!.. ახლაც სამნი ვართ, ოღონდ კოკი გვერდით, დიდ ოთახში ასვენია...“

მეგობრები ჩანთას ხსნიან და ერთად კითხულობენ გარდაცვლილის ლექსებს. უკვირთ, ერთ თვეში რამდენი რამე მოუსწრია, „ჩაილდ-პაროლდის“ ნაწყვეტიც უთარგმნია. ნეტავი მისადმი მიძღვნილი მშვენიერი კაფია თუ ახსენდებოდა იმ უძძიმეს წუთებში ბატონ ვახტანგს. ეტყობა, იგი ხშირად ამხნევებდა ხოლმე ბუნებით მზიარულ, ენამოსწრებულ, მაგრამ ზოგჯერ ხელჩაქნეულ, მოწყენილ კოკის (ეტყოდა: „არაფერია!“) და პოეტიც ამ ნუგეშისცემას იხსენებდა ლექსში, ერთ რითმაზე გაწყობილ სათქმელში. ბატონი ვახტანგი გადამეტებულ თაემდაბლობის გამო, მუდამ წინააღმდეგი იყო ალექსანდრე საჯიას კრებულებში ამ ლექსის შეტანისა და ახლა პირველი და ბოლო სტროფი მაინც უნდა ამოეწერო; ისეთი განცდა დამეუფლა, თითქოს პოეტი გარდაცვალების მერეც თხოვდა გამხნეებას ძმად ნაგულეებ ადამიანს:

არაფერია, წვიმას აპირებს!
ქარი, აედარი და მისტერია!..
ფიქრებმა ერთხელ მეც ამატირეს,
შენ კი მითხარი: არაფერია!

მოიტათ ღვინო... ღვინო სისხლს ერთვის,
შეგათოთოლებს და სისხლის ფერია...
ეგვიდები... ახლაც მალირსე ერთი,
ძმავე, ეგ ძვირფასი: არაფერია!

იმ ლექსებში, ვახტანგ ჭვლიძემ და რევაზ მარგიანმა გარდაცვლილის ჩანთიდან რომ ამოაღაგეს, ერთი დედისადმი მიძღვნილი ნამდვილი შედეგერია. სვანეთიდან სამეგრელოში მომავლებს ყველაზე მეტად ოჯახის დელასთან შეხვედრისა ეშინოდათ, ზარავდათ დანახვა მწუხარებისგან განადგურებული ადამიანისა, ვისთვისაც შეილის უსულო ცხედარი უნდა მიეტანათ. მეხდაცემულ ქალბატონს არც მაშინ და არც მერე არ ეცოდინებოდა, როგორ უკვდაყუო მისი სახება სვანეთის ზვიად მთებში დაღუპულმა, იმედად გაჩენილმა ვაჟმა.

თავის გულიდან ამომსკდარი „რეკვიემის“ ფინალად ვახტანგ ჭვლიძე უკეთესს ვერაფერს ინატრებდა (სწორედ ამ დროს იგრძნო, ალბათ, მცირეოდენი შეება — ისევე გარდაცვლილმა მეგობარმა შეაშველა ხელი); „პოეტის უკანასკნელი დღეები“ ამ, ღვთისმშობლას ცრემლივით კამკამა ლექსით მთავრდება და ვგრძნობთ, მთელი სამყარო როგორ იძირება მოახლოებულ ბინდში:

მზე მთის საფარს ეფარება,
ეზოს მწუხრი ეპარება,
და ჩრდილები ხეთა
ფერად ნისლში იძირება,
აივნიდან იშზირება
მოწყენილი დედა.

შეუძლებელია, განცვიფრებული არ დარჩე — როგორ ძვირფასს ქვასავით მოარგო და მიუერთა უსაყვარლეს მეგობარზე დაწერილ გლოვის დღიურს ვახტანგ ჭვლიძემ პოეტისავე სრულქმნილი ლექსი. აქ უნებურად მახსენდება გალაკტიონ ტაბიძის ელვარე სტრიქონი, გენიალურ უნგრულ დირიჟორს, ნიკიშს რომ ეძღვენება: „ოჰ, ცრემლი მისი იყო მისივე...“ სიკვდილის მერე ალექსანდრე საჯაიამაც ასევე გაამშვენიერა თავისი სამუდამო განსასვენებელი, აივნიდან მოშზირალი, შვილის მომლოდინე, „მოწყენილი დედა“ რომ დაგვიხატა.

ჩემი სიყრმის მეგობარი ვახტანგ ჯავახიძე იგონებს: როდესაც

ალექსანდრე საჯაიას წიგნს ვცემდით, ვახტანგ ჭვლიძემ მისი ხელნაწერები მოიტანა გამომცემლობაში. ათრთოლებული ხმით მიკითხავდა და ბატონი ვახტანგის თვალზე ცრემლი პირველად მაშინ დაეინახო.

ვახტანგ ჭვლიძის აცახცახებული ხელით დაწერილ მწუხარე მოგონების ყოველ სტრიქონში ის შეუშრობელი ცრემლი ციმციმებს.

ნიკა აგიაშვილის უბერებელი წიგნის გვერდით, „კვირფას სილუეტებში“ შესული ვახტანგ ჭვლიძის ნახელავი ლიტერატურული პორტრეტი „ჩენი ლაღო ასათიანი“ (1987) ერთი ყველაზე საუკეთესოთაგანია, რაც ამ ზეციური მადლით განათებულ პოეტზე, „ადრე წასულ კაცზე“ დაწერილა. მასში ბევრი რამეა ნათქვამი, ზოგიც, ძალზე დამაღონებელი, სამოძაველოდ ჰქონდა შემონახული. რამდენიმე შემამფოთებელი ეპიზოდი, ლაღო ასათიანის მწარე ხვედრს უშუალოდ რომ უკავშირდება, ვახტანგ ჭვლიძის არქივშია დაცული და იგი ცალკე ტომში გამოქვეყნდება.

ხსენებული პორტრეტის ბოლოს, 1943 წლის ადრიან გაზაფხულზე, ავტორთან ერთად, ჩვენ შეეყურებთ გულსაკლავად დაუძღვრებულ, აწრდილად ქცეულ ლაღო ასათიანს, რომელსაც ქუჩაში გამოსვლის თავიც აღარ ჰქონდა. „ძლიესლა დაელოდავო“, წერდა იმხანად ფრონტზე მყოფ თავისი გულის მესაიდუმლესა და უერთგულეს ქომაგს ნიკა აგიაშვილს. სწორედ მაშინ შეხვედრია ვახტანგ ჭვლიძეს იგი ცივ, ნესტიან-ბურუსიან დღეს „მაშინდელ კერის ბაზარსა და რუსთაველის მოედანს შორის...“

ბატონი ვახტანგის იმდღევანდელი უმძიმესი შთაბეჭდილების მხოლოდ ნაწილს ამოვწერ და ესეც საკმარისი იქნება საშინელი ტრაგიზმის შესაგრძობად, ბედისა და ადამიანთა უგულობისგან განწირული, ღვთით კურთხეული პოეტის იერი რომ გვამცნობს: „შორიდან დაეინახე ლაღო — პალტოში გახვეული, მობუზული, თითქოს დაპატარაებული, ყელზე თავისი ნაცრისფერი კაშხე ჰქონდა მოხვეული, ქუდი მომადლოდ ეხურა. ცხელ შუბლზე ცივი პაერი სიამოვნებდა. მოდიოდა ძალიან ნელა, თითქოს მართლაც მოლოდავდა, და სახე მისი არაფერს გამოხატავდა — არც მოახლოებული სიკვდილის შიშს, არც წუხილს, არც ტანჯვას, არც სინანულს... გახვეებული, დაღლილი ადამიანის გამომეტყველება ჰქონდა. ცხელ, ოფლიან ხელს ძალა სულ აღარ შერჩენოდა“.

არ მინდა, ასეთად დარჩეს, ასე უმწეოდ და უილაჯოდ გამოიყურებოდეს იგი ჩემს წარმოსახვაში და ამის მერე (თანმიმდევრობას

განზრახ ვარდევ) — ლიტერატურული პორტრეტის შესავალ ნაწილს უნდა მიემართო.

ეახტანგ ჭელიძესავით საფუძვლიანად, სიღრმისეულად ცოტა ვინმემ თუ იცოდა მისი თაობის პოეტთა ავ-კარგი; ეს ამ პორტრეტშიც ცხადად ჩანს და, როგორც უკვე აღვნიშნე, ერთ მოზრდილ აბზაცს მოვიხმობ, სადაც ლაღო ასათიანის განუმეორებელ, ჩვენთვის ესოდენ ახლობელ გარეგნულ იერზეა გამახვილებული ყურადღება და, ამავე დროს, პოეტის იოლად მოწყვლადი, ფაქიზი სულიც იხატება:

„ახლაც თვალწინ მიდგას, თითქოს ცოცხლად ვხედავდე — ნელი, ძალიან არათანაბარი ნაბიჯით მოდის და დროდადრო ერთბაშად შედგება, თითქოს უხილავი თოკით ვინმემ უკან დასწიაო; თავს ასწევს, ცას ახედავს, სახლებს შეათვალიერებს და ისევ მძიმედ წამოვა, თუ ზაფხულია, შარვალზე გადმოშვებული, ჯიბეებიანი მოთალხო ბლუზა აცვია, წელზე ბრტყელი ქამარი შემოურტყამს; ზამთარში სიახლედაკარგული პალტო აცვია, საყელო წამოუწევია, ღილები კი გახსნილი აქვს, ღია ნაცრისფერი კაშნე შემოუხვევია, ქუდი ლამის თვალზე ჩამოუფხატავს... თუმც ჯერ შორსაა და სახეს ვერ გაარჩევ; და როცა მოგიახლოვდება, ერთბაშად თვალები შემოგანათებს — დიდრონი, ანთებული თვალები. რომ მკითხონ, ყველაზე დამახასიათებელი რა გახსოვს ლაღო ასათიანისო, თვალებს ვიტყვოდი, სედიტ დანისლულ თვალებს, რომლებიც ერთდროულად სითბოსაც ასხივებს, სიკეთესაც, სევდაგარეულ ირონიასაც. და კიდევ რაღაც სხვას, რისთვისაც სახელის შერქმევა გაგიჭირდება — იქნებ იმედგაცრუებას, თუ დაღლას... მაგრამ არა გესლსა და სიძულვილს, როგორც შეიძლება ვინმემ წარმოიდგინოს, როცა მის მეტისმეტად მწუკვე ეპიგრამებს გაეცნობა. როცა დაგინახავს, გულწრფელი სიხარულით გაგიღიმებს და თავის ვეება ხელის მტევანში მოიქცევს შენს ხელს. ხმაში ოღნავ, სულ ოღნავ, რაღაცნაირი ხრინწი დაკრავს, და ეს ერთგვარად არბილებს მის მეტყველებას. ლაპარაკობს გატაცებით, მგზნებარედ და ამ დროს ხელების ქნევა უყვარს. ტანმადალია, ძვალმსხვილი, შუბლმადალი და შუბლნათელი. ასეთ ადამიანებს ნათელი აზროვნება აქვთ. უყვარს ხუმრობა და ამ დროს თვალებში ეშმაკი ჩაუჯდება“.

არ იქნება გადამეტებული თუ ვიტყვი, რომ ასე არავის უგრძენია და გაუცოცხლებია „კრწანისის ყაყაოების“ დამწერი. ეს ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, რა მაგიური ძალა აქვს მხატვრულ სიტყვას,

როცა კალამს ხელს კიდებს დიდად ნიჭიერი და განათლებული პიროვნება.

კარგად ვიცი, როგორ მთელი არსებით უყვარდა ვახტანგ ჭვლიძეს მისი თაობის ბრწყინვალე სამეული; ორ მათგანს მიაგო შესაფერი პატივი, მირზა გელოვანზეც ასეთივე პორტრეტის დაწერას აპირებდა, ჯანმრთელობას რომ არ ეღალატა. მხოლოდ ერთი პაწია საგანზეთო წერილი დარჩა, საიუბილეოდ თიანეთის გაზეთში გამოქვეყნებული.

თითქმის სამოცი წლის სულიერი ძმობა და ყოველდღიური ურთიერთობა აკაემირებდათ ვახტანგ ჭვლიძესა და ოთარ ჩხეიძეს. ისინი სიტყვის უთქმელად უგებდნენ ერთმანეთს და ბევრ რამეში თანამოზიარენი იყვნენ, ჭირსა და ღზინს თანაბრად იყოფდნენ.

სიმბოლურია, რომ თავისი ერთ-ერთი ბოლო, სითბოთი და სიყვარულით აღსავსე ლიტერატურული პორტრეტი — „სოფელი ქართლის გულში“ — ვახტანგ ჭვლიძემ, დაბადების სამოცდამეათე წლისთავე უძღვნა თავის უგულითადეს მეგობარს, ვინაც მას აღექსანდრე საჯაია შეუცვალა.

უნდა წაიკითხოთ და განიცადოთ, როგორ ეფერება და რა ზღაპრულ ფერებში გვიხატავს პორტრეტის ავტორი ქართლის უღამაზეს სოფელ ყელქეულს, სადაც ოთარ ჩხეიძის თითქმის ყველა რომანი და მოთხრობა, ეტიუდი, პიესა, მოგონებები თუ ესე დაიწერა. თავაუღებელი მუშაობის გარდა, ბატონმა ოთარმა მოღხენაც მამაპაპური იცოდა, მუდამ ალაღად ხვდებოდა სასურველ სტუმრებს და უხედაც უმასპინძლდებოდა. ჩვენ ეხედავთ ყელქეულში ჩასულ და იქაურობით აღტაცებულ გერონტი ქიქოძესა და ლეო ქიაჩელს, ვისმენტ გიორგი ლეონიძისა და სიმონ ჩიქოვანის თამაძობის საარაკო ამბებს. ბატონი სიმონი ოთარის ძმის, აეთანდილ ჩხეიძის ქორწილში თამადა ყოფილა და მაშინ, სრულიად ჯანმრთელს, ხალისიანს, სანაქებოდ, ყველასათვის სასიამოვნოდ წარუშმართავს ღზინის სუფრა.

ბევრ ვინმეს, შეჭირვების ჟამს, სული მოუბრუნებია იმ მაღლიან სოფელში. უპირველეს ყოვლისა, ბატონი ვახტანგი ჩხეიძეების სისხლისმიერ ნათესავს (მისი სტუდენტი ოთარ ჩხეიძეც იყო), უკეთილშობილეს ერეკლე ტატიშვილს იხსენებს: „1943 წლის ზაფხულის პირზე ციხიდან ახლად გამოსული, ნაგვეში და ჯანგატეხილი, ბატონი ერეკლე მოსასულიერებლად და ძალის მოსაკრებად სწორედ აქ, ყელქეულში წამოიყვანა თავისმა სტუდენტმა ოთარ ჩხეიძემ... შემდეგ თბილისში დაბრუნებული ერეკლე ტატიშვილი ხშირად მონატრებდა ხოლმე ყელქეულსა და ოთარ

ჩხეიძის სახლში გატარებულ დღეებს. პურს რომ გატეხდა, ოპ, ერთი ქალბატონი ნატოს გამოძცხვარი პური და ნახუქი მაჭამაო; კარაქს თუ მიირთმედა, იქაური კარაქი გაახსენდებოდა, ნატოს შედღეებილ კარაქს სულ სხვა გემო აქვს. აქაურ ღოსაც კი მოინატრებდა“.

ჩვენ ვიცით, პატარაობიდანვე, რა სასოებით ზრდიდა პატიოსნების სიმბოლოდ გამოსადგვი ქერივი (მეუღლე და ახლო ნათესავები ჯალათებმა დაუხერიტეს) თავის შვილებს, როგორ განიცდიდა შემდგომ, როცა უკეთური ადამიანები თავს ესხმოდნენ ოთარ ჩხეიძეს და პორტრეტში არც ესაა დაეიწყებული.

კარგადაა ცნობილი, რაოდენ სრულყოფილად იცოდა ვახტანგ ჭელიძემ თავისი მეგობრის შემოქმედება, ენის თავისებურებანი, სტილის როგორი ზემოქმედობიარე, „სეისმური“ შეგრძნება ჰქონდა, მაგრამ ისიც აღნიშნა, რომ „საგაზეთო წერილში ეს არ მოხერხდებოდა“. 1955 წლის 23 აგვისტოს გაგზავნილ ერთ პირად ბარათში კი (მაშინ იგი ჯერ კიდევ არ იყო „ცისკრის“ რედაქტორი) ვახტანგ ჭელიძე მეგობარს „მნათობის“ მეშვიდე ნომერში გამოქვეყნებული „ბურუსის“ თაობაზე თავის აღტაცებას ამცნობს და იქვე წერს: „შენი სტილი, რაც წინა ნაწარმოებებში მერყეობდა და, თუ მართალი გინდა, ერთგვარად მაშინებდა კიდევ, ახლა მტკიცედ ჩამოქნილა და ჩამოყალიბებულია, განგებ მუშტრის თვალით უკითხულობდი, მაგრამ ამ ხუთ-ექვს ფორმა ნაწყვეტში ერთი საჩოთირო ადგილიც კი არ შემხვედრია“.

კვლავ წინამდებარე პორტრეტს უნდა მიუბრუნდე, კერძოდ, მის ფინალს, სადაც ბატონი ვახტანგი ქართლის შუაგულში ძვირფასი თვალივით ჩასმულ ყელქცეულს ოცნებით თავს დასტრიალებს:

„ახლა, შობა-ახალწლის დღეებში, იქ თოვს. თოვლშია გახვეული წამოქოჩრილი ნაძვები, ოთარის ეზოს გადაღმა; თოვლი ადევს დიდრონ ლოდებსაც. აქ სპეტაკ მღუმარებას დაუსადგურებია.

თოვლშია გახვეული მთელი სოფელიც და აქ კი ორღობეებს ბავშვების მხიარული ჟრიამული ავსებს. თითქოს ყურში ჩამესმის მათი ჟივილ-ხივილი. სოფელი საშობაოდ ეშზადება. სახლებიდან ლურჯი კვამლი ამოდის და ცისკენ მიემართება...

და რატომღაც მომინდა საშობაოდ დავლოცო ქართლის გულში გაშენებული ეს მშვენიერი სოფელი. ალბათ იმიტომ, რომ ამ სოფლის შვილს ოთარ ჩხეიძეს ახლახან 70 წელი შეუსრულდა.

იმიტომაც, რომ აქაურ ორღობეებს თითქოს ახლაც ამჩნევია ჩვენი საყვარელი და სასიქადულო მოღვაწეების ნაკვალევი.

და ალბათ იმიტომაც, რომ აქ მთის წყაროსავით ანკარა ქართული ისმის... 29.XII.1990“.

დაბოლოს, რამდენიმე თვის მერე გაკეთებული, დიდი პოეზიის სხივით და მადლით გადანათებული მინაწერიც უნდა მოვიშველიო:

„გული აღარა მწყდება, რომ ამ წერილის დაბეჭდვა საშობაოდ ვერ მოხერხდა. ახლა ბრწყინვალე აღდგომა მოდის, და ოთარ ჩხეიძის ეზოში იები აფეთქებულია; ეს იები ოცდაათამდე წლის წინათ დარგო აქ სწორედ აღდგომის დღეებში გიორგი შატბერაშვილმა.“

ღმერთმა დალოცოს ეს ეზოცა და ეს სოფელიც, ღმერთმა ყველა ქართული სოფელი დალოცოს, მრავალი ბედნიერი აღდგომა გაუთენოს ჩვენს ხალხს.“

„სოფელი შუა ქართლში“ დღემდე მწერლის არც ერთ კრებულში არ ყოფილა შეტანილი, მან თავისი ადგილი წინამდებარე მრავალტომეულში უნდა დაიკაოს.

ქართველმა კაცმა ვახტანგ ჭვლიძის მარტო წერილები და პორტრეტები რომ წაიკითხოს, იმითაც დიდ განათლებას შეიძენს, ესთეტიკურ სიამოვნებასთან ერთად, მისი გემოვნებაც ამაღლდება, დაიხვეწება.

ყველაზე დიდი ადგილი ვახტანგ ჭვლიძის სულიერ ცხოვრებაში, ლიტერატურის შემდეგ, მუსიკას ეკავა. ეს განსაკუთრებით გამოჩნდა სახელდასხელო, ზოგჯერ ნაუცბათეე ჩანაწერებში, რომელთა გამთლიანება და წერილებად ქცევა, სამწუხაროდ, მან ვეღარ მოასწრო. მწერლის დიდ კულტურაზე, მუსიკის ისტორიის სამაგალითო ცოდნაზე მეტყველებს ის რამდენიმე წერილი, რაც მან სიცოცხლეში გამოაქვეყნა და სხვადასხვა კრებულებშიც შექქონდა. ერთი მათგანი ქართული საოპერო ხელოვნების ფუძემდებელს ზაქარია ფალიაშვილს მიუძღვნა. ბატონი ვახტანგი სრულიად მართებულად აღნიშნავს, რომ ფალიაშვილის შემოქმედებას საფუძვლად დაედო „ქართველი ხალხის დიდი საერთო მუსიკალური კულტურა“, რისი ნაყოფიც უხვი და სამარადისო გამოდგა: „ქართული საოპერო მუსიკა სწორედ ფალიაშვილის შემოქმედებით იწყება. ამდენად, განუზომლად დიდია ზაქარია ფალიაშვილის დამსახურებაც ქართული კულტურის წინაშე და მისი გენიის ძალაც — მან მოუზადებლად შექმნა საკაცობრიო მნიშვნელობის ოპერები და ერთბაშად ამოავსო ჩვენი ისტორიის შაბებდითობით გამოწვეული ეროვნული კულტურის დასანანი ხარეუზი. ამ მხრივ მას შეიძლება ბადალი არცა ჰყავდეს ხელოვნების ისტორიაში“.

წერილის ავტორი, ცხადია, საგანგებოდ მსჯელობს ზაქარია ფალიაშვილის ოპერების ხალხურობაზე, მათში ქართული ჰანგების სიმრავლეზე და ამ მოვლენასაც შეუმცდარი ალღოს მქონე კომპოზიტორის უთვალსაჩინოეს, ერთ-ერთ უპირველეს ღირსებად თვლის:

„ხალხურისა და კლასიკურის ეს იდეალური შერწყმა უაღრესად დახვეწილი გემოვნებისა და გენიალური ნიჭის ნაყოფია. კომპოზიტორი აქ საოცარ ტაქტსა და ზომიერების გრძნობას იჩენს. ასეთი შერწყმა სამაგალითოა არა მარტო მუსიკალური, არამედ ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა დარგისა და ჟანრისათვის“.

ბატონი ვახტანგი მთელი ცხოვრების მანძილზე საუკეთესო მომღერლების თაყვანისმცემელი, დამფასებელი იყო და ეს კონკრეტულად გამოჩნდა დავით ანდლულაძის საიუბილეოდ დაწერილ მცირე წერილში. აქ არის ერთი მშვენიერი ადგილი, თავისებურად რომ ეხმიანება და აგრძელებს გენიალური რიპარდ ვაგნერის თვალსაზრისს ცოცხალი ხმის უპირატესობაზე:

„ადამიანის ხმაზე უფრო რთული, საკვირველი და ემოციური ქვეყნად არც ერთი მუსიკალური საკრავის ბგერა არ არის. რა უღია იმ უთვალავი ნიუანსების გამო, რაც მას თან ახლავს; საკვირველია იმ საარაკო მრავალფეროვნებით, რის გამოც კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე გაჩენილი მილიარდობით ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავდებიან; ემოციურია იმ ცოცხალი სუნთქვის გამო, რაც ხმას თან მოჰყვება ხოლმე“.

წერილში გამოთქმულია უზომო მაღლიერების გრძნობა იმ თავდადებული ამაგის გამო, რაც დავით ანდლულაძემ ჩვენს ოპერას დასდო. არც ის არის დაეიწყებული, რომ მან, სრულიად ახალგაზრდამ, ნიკო ქუმისაშვილთან ერთად, ოციან წლებში, ლევენდარული ვანო სარაჯიშვილი შეცვალა, ეს კი იოლი საქმე როდი გახლდათ.



ვახტანგ ჭვლიძის მოგონებების კითხვისას არაერთხელ მიგრძენია უმაღლესი ნეტარება. „ქვიშხეთი, ჩვენი ქვიშხეთი... გახსენება ახალწლის დღეებში“ — დოკუმენტური პროზის ნამდვილი მარგალიტია. მისი წამკითხველი უმაღლ მიხვდება თუ რამდენს ნიშნავს ქართველი მწერლებისთვის, მათი ოჯახებისთვის — საქართველოსთვის წამებული წმინდა კაცის დიმიტრი ყიფიანის

სოფელი და მწევანედ მოშრიალე ცაცხეებით შემობურული დიდი სახლი, რომელიც ყიფიანების სასახელო რძალმა კეთილი ნებით და სრულიად უანგაროდ ქართველ მწერლებს გადასცა და მას შემდეგ საყვარელ დასასვენებელ ადგილად იქცა. იქ, ზღაპრულ გარემოში, აღიზარდა ჩვენი ბავშვების მრავალი თაობა, რასაც ვერაინ დაივიწყებს.

მოგონებათა კარიბჭესთან ბატონი ვახტანგი შორიდან ეფერება, ჯერ კიდევ იქ ჩაუსვლელად ელოლიაება ქართველი მწერლების ამ საოცნებო ადგილს, რომელიც თითქოსდა განგების ძალით „... იმერეთის, ქართლისა და სამხრეთ საქართველოს თავშესაყარად“ ქცეულა. დავაკვირდეთ, რა ლაღად იწყებს ვახტანგ ჭელიძე თავის სანუკვარ მოგონებებს, მატარებლის მოძრაობასავით, როგორ თანდათან ძლიერდება რიტმი და რა თავბრუდამხვევი ექსპრესიით ენაცვლება ერთმანეთს ცოცხალი, ფერადოვანი სურათები:

„ადამიანზე იტყვიან ხოლმე, ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებულიო... ბედნიერი სოფლებიც არიან, და როგორც ყველა კეთილად მოსაგონარ ადამიანს გაიხსენებ ახალწლის დღეებში, ისე ეს სოფლებიც გახსენდება. ქვიშხეთი ერთი იმათგანია. იგი ლიხის ქვემოთა კალთებზე შეფენილა და, თითქოს საგანგებოდ მოქცეულა რკინიგზის ორ ხაზს შორის, შორიდანვე მაცდურად გიღიბის: როცა, ხაშურიდან გასული, ან იმერეთისკენ მიდიხარ, ან სამხრეთ საქართველოსკენ, უსათუოდ გამოპყოფ თავს ვაგონის ფანჯრიდან და დიდხანს უყურებ — ჯერ როგორ ბუნდოვნად მოიხაზება ბურუსში გახვეულ პორიზონტზე, და როგორ სულ უფრო და უფრო იზრდება... შენ კი არ უახლოვდები, ისმობის შენკენ, მკლავები ფართოდ გაუშლია და გიცინის, გულში უნდა ჩაგიკრას; თანდათანობით გამოიკვეთება მთის კალთებზე ფართოდ შეფენილი ყველა სახლი, ამ სახლებიდან ლურჯად ამომავალი კვამლი, და სანამ მატარებელი წიფის გვირაბს მიაკიელებდეს, ან ტაშისკარს გასცდებოდეს და ბორჯომის ხეობაში შევიდოდეს, ათასნაირ საამურ მოგონებებს აღგიძრავს. დაუვიწყარი სურათები განვლილი ცხოვრებისა თითქოსდა შენს თვალწინ თანმიმდევრობით წამოიშლებიან...“

მომდევნო გვერდზე გაიელვებს იმქვეყნად წასულთა „ძვირფასი სილუეტები“ — მარტო ჩამოთვლაც კმარა, თუ ვის დაუდგამს ფეხი ქვიშხეთის კურთხეულ მიწაზე: მიხეილ ჯავახიშვილი, გერონტი ქიქოძე, პავლე ინგოროყვა, ალექსანდრე აბაშელი, პოლიკარპე

კაკაბაძე, გიორგი ქუჩიშვილი, რაჟდენ გვეტაძე, ვიქტორ გაბესკირია...
ეს სია ამჟამად განუზომლად დიდია, ყველაფერი წუთისოფლის
გარდუვალ წესს მორჩილებს. ყოვლის წინ მაინცილიას სათაყვანებელი
აზრდილი დგას, ხატი საქართველოს გადამრჩენი სულიერი მამისა,
ენიც სტუმრად ჩადიოდა ხოლმე დიმიტრი ყიფიანთან.

გაოცებული რჩები, ისეთი სიცხადითა და ოსტატურად აღ-
წერს ბატონი ვახტანგი ოდესღაც იმერეთიდან ჩამოსახლებული
ლაცაბიძეების შთამომავალთა ოჯახს, „ლაცაბიძეების უბანს“.
გენიალური დავით კლდიაშვილის პროზა გვეგონება, ისე ხელშესახე-
ბად არიან დახატული საუკუნეს მიწვენილი კიძო ლაცაბიძე და მისი
მეუღლე პელო. ხედავ, როგორ წუხს უკვე დაბრძანებული მოხუცი
ოდესღაც ხშირი ტყის გაჩეხვაზე, იმდენად იცის ის მიდამო, სტუმრებს
მაინცი შეუმცდარად უთითებს მოტიტვლებულ მთაზე, რომელსაც სამი
ვერხვილა შერჩენია.

ბევრ ამაღლელებელ, პოეტურ ეპიზოდს შესვდებით ამ მოგო-
ნებებში, რომელთაგან ერთი მაინცი უნდა გამოვაცალკევოთ.
ქვიშხეთის დასასვენებელ სახლში დიასახლისად ყოფილა იშეიათი
გულისხმიერების, ნიადგ მოფუსფუსე მანდილოსანი ანეტა ყაზიშვი-
ლი, რომელიც გადაყოლილი იყო მწერლებსა და მათ შვილებზე,
ყველას უსრულებდა საწადელს, დალლას არ იმჩნევდა; საკუთარი
ოჯახი არ ჰყოლია, დასასვენებლად ჩასულ მწერლებზე ამოსდიოდა
ძზე და მთვარე. ჩენი სახელოვანი მწერლებიც არ რჩებოდნენ ვალში,
სიყვარულს სიყვარულითვე პასუხობდნენ. ერთხელ გასაოცარი რამ
მომხდარა — ქალბატონი ანეტა მწერალთა კავშირში ჩამოუყვანიათ
და იქ მეტად თბილი საიუბილეო საღამო გაუმართავთ. იმ ხალისიან
საღამოს თურმე თვით გერონტი ქიქოძე უძღვებოდა. ამაზე მეტი
პატივი და დაფასება ძნელი წარმოსადგენია.

„ქვიშხეთი, ჩენი ქვიშხეთი...“ მხატვრობითა და მიზან-
დასახულობით, კეთილშობილური სულისკვეთებით იმდენად მნიშვნე-
ლოვანი, შთამბეჭდავია, რომ მან ვახტანგ ჭელიძის მოგონებების
დაუსრულებელ წიგნშიც შეიძლება გადაინაცვლოს.

წინასწარ ვიტყვი — პოლემიკური ხასიათის მოზრდილი წერილი
„ჩარჩოები“, ალბათ ერთადერთია, რომელში გამოთქმულ ყველა
მოსაზრებასაც უყოყმანოდ ვერ გავიზიარებ, მაგრამ აქ ბევრი
ანგარიშგასაწევი, დამაჯერებლად დასაბუთებული შეხედულებაცაა
და ეს უთუოდ ამ ნაშრომის ღირსების დამადასტურებელია.

რა თქმა უნდა, სწორი არ არის „შუშანიკის“, „აბოს წამების“,

„გრიგოლ ხანძთელის“, „სერაპიონ ზარზმელის“ და ძველი ქართული მწერლობის სხვა უმნიშვნელოვანესი ძეგლების ვიწრო ჩარჩოებში მოქცევა, ეს უთუოდ დააქვეითებს მათ მხატვრულ ღირებულებას, მაგრამ პაგიოგრაფიული მწერლობიდანაც მათი მთლიანი მოწყვეტა არ იქნებოდა გამართლებული.

ბატონ ვახტანგს მოაქვს პაგიოგრაფიული მწერლობის, საკუთრივ ჟანრის „მარტივი სქემა“, რომელშიც ფერები ზედმეტად გამუქებულია, პრობლემისადმი რამდენადმე ცალმხრივი მიდგომა იგრძნობა. ძნელი სარწმუნოა, რომ პაგიოგრაფიულ ჟანრში შედის „უმთავრესად სქემატური, ვნებებისგან დაცლილი, უსულგულო, უძარღვო, უსისხლო, უემოციო, ყალბი და ფშუკი ნაწარმოებები, რომლებშიც გადმოცემულია ფანატიკოსი წმინდანების ზღაპრული სასწაულებით საესე მეტად მოსაწყენი და უინტერესო ცხოვრება“.

ვახტანგ ჭვლიძეს არაერთი მეტყველი მაგალითი მოაქვს იმისა, რომ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ ცნობილი საეკლესიო მოღვაწის, თუნდაც წმინდანის დროს მომხდარი ამბების მშრალი ქრონიკა კი არა, დიდი მხატვრული ტილოა. ყოველად შეუძლებელია, ქართული ლიტერატურის ისტორიის სერიოზულმა მკვლევარებმა წინამდებარე წერილის ავტორის მწყობრად ჩამოყალიბებული თვალსაზრისთა რიგი არ გაითვალისწინონ (გრიგორ ფარულავა, მაგალითად, ხაზგასმულად აღნიშნავს, რომ გიორგი მერჩულეს მიწიერი მადლი, ამქვეყნიური სილამაზე, სიცოცხლის ხალისი სრულებით არ ეუცხოებოდა). ნამდვილი მკრეხელობა იქნებოდა, რომ ვახტანგ ჭვლიძის გამოკვლევაში, სადაც ყოველ აბზაცში იგრძნობა ავტორის დახვეწილი გემოვნება, ფარულ სიღრმეთა წვდომის იშვიათი უნარი, ვინმემ ათეისტურ კვალს დაუწყოს ძებნა. დასაძრახი არც ის გახლავთ, რომ „ჩარჩოებმა“ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია და ცნობილი ფილოლოგები ვახტანგ ჭვლიძეს შეეკამათნენ, მძაფრი პაექრობა გაუძარტეს.

ნახევარი საუკუნის წინ გამოქვეყნებულ ვახტანგ ჭვლიძის ფუძემდებლურ წერილს „საშვილიშვილო საგანძური“, ქართული ენის სიწმინდესა და უწიგნურთაგან მისი დაცვის პრობლემებს რომ ეხება, ოდნავადაც არ დაუკარგავს სიცხოველე, პათოსი, ღღეს დაწერილი გვეკონება. ბატონი ვახტანგი უდავოდ სწორად ფიქრობს, რომ ენაში ხელოვნურად შეკოწიწებული სიტყვები არ უნდა შემოვიტანოთ, ხოლო იმ უცხო ტერმინებს, ჩვენს ენაში ბუნებრივად რომ დამკვიდრდა, არ უნდა ვებრძოლოთო. ამის გამო წერს: „ეს იქნებოდა

ყოვლად გაუმართლებელი პურიზმი, ცრუ და ყალბი პატრიოტიზმი. საკვებით გაუმართლებელია აგრეთვე ზოგის სკეპტიციზმი, როცა სადმე ამოიკითხავს, ესა თუ ის სიტყვა რომელიღაც ენიდან შემოსულა და „წმინდა ქართული“ არ ყოფილაო. ენის სიმდიდრე და სიდიადე, თუ არ ვცდები, ასე არ უნდა იზომებოდეს, რადგან ვერ შეხვდებით ვერც ერთ ენას — ასეთ უხე სესხება-ჩასესხებაში არ იყოს“.

წერილში უამრავი მაგალითია მოტანილი იმისა, სასკოლო სახელმძღვანელოები როგორ უმახინჯებს ბავშვს გემოვნებას; რანაირ დაღვარჯნილ, უხეირო წინადადებებს არ წააწყდებით იქ, რაც მოსწავლეთა მეტყველებას მძიმე დაღს ასეამს, გაუგებრად წერას აჩვენებს.

ვახტანგ ჭვლიძე ხშირად ეყრდნობა ქართული ქედაგოგიკის მამამთავრის, იაკობ გოგებაშვილის, ბრძნულ გამონათქვამებს, სადაც ყველასათვის გასაგებად, თვალსაჩინოდ არის დახასიათებული ქართული ენის ბუნება, მისი სიმდიდრის დაუშრეტელი წყაროები.

თითქოსდა საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს „საშვილიშვილო საგანძურის“ ავტორი თავისებურად აღრმავებს, ახლებურად აშუქებს: „ქართული სალიტერატურო ენის ძირითადი წყარო, როგორც ცნობილია, ქართლური და კახური დიალექტებია, აგრეთვე ზემოიძერული. რა თქმა უნდა, ამ კუთხეებში გაზრდილი ბავშვებისათვის უფრო ადვილი უნდა იყოს ქართულ სალიტერატურო ენაში გაწაფვა. მაგრამ იაკობ გოგებაშვილის ბრწყინვალე „დედაენის“ წყალობით, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან გამოსულმა ბევრმა მწერალმა ჩინებულად იცოდა და იცის ქართული ენა. თედო სახოკიას, შალვა დადიანისა და დემნა შენგელაიას ენა სამაგალითოა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სამეგრელოდან არიან; გერონტი ქიქოძე გურულია, მაგრამ მისებრ კარგი ქართულით წერა ნეტა ყველას შეეძლოს. მე ვფიქრობ, ეს არის შესანიშნავი გავლენა იაკობ გოგებაშვილის „დედაენისა“.

ეს წერილი — „საშვილიშვილო საგანძური“ — ყველას წინ უნდა ედოს გზის გამკვლევადა და სახელმძღვანელოდ, ვინც სასკოლო ანდა უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოთა შედგენის მეტად საპატიო საქმიანობას ჰკიდებს ხელს.

„ქართლის ცხოვრების ქრონიკებზე“ წლების განმავლობაში გაწეულმა დაძაბულმა მუშაობამ, ისტორიული წყაროების, ლიტერატურული ძეგლების, მეცნიერთა ნაშრომების საგანგებო, დაკვირვებულმა კითხვამ და შესწავლამ ვახტანგ ჭვლიძეს ბევრი სიკეთე

მოუტანა, რომელთაგან აღსანიშნავია მისი ერთ-ერთი საუკეთესო ლიტერატურული პორტრეტის „ქართლის ერისთავი ნერსეს“ შექმნაც. ეს დიდებული ფიგურა ჩვენი წარსულის უმნიშვნელოვანეს ანალებსა და იოანე საბანიძის „აბოს წამებაში“ მიზნუთა გამო ასე რელიეფურად არ ჩანდა; მწერლის განსაკუთრებულმა ნიჭმა და ალლომ, შემოქმედის ესოდენ საჭირო, მაგრამ დაურევებულმა, რეალურ მოვლენებზე დამყარებულმა ფანტაზიამ შეაძლებინა მას ბრძენი სახელმწიფო მოღვაწის, მამულისთვის თავდადებული პიროვნების საკმაოდ რთული, მრავალგანზომილებიანი ხასიათი დაეხატა, ხშირ შემთხვევაში, დაბინდული ისტორიული სინამდვილე გაენათებინა და გაეცოცხლებინა. ამდენად, მწერლის მახვილი თვალთახედვით დაწერილ ესეს ლიტერატურულ პორტრეტებში შეტანა ყოველმხრივ გამართლებულია.

ნერსე ერისთავი, ცხადია, რეალურ მოღვაწედ ითვლებოდა და იხსენიებოდა მანამდეც, მაგრამ ვახტანგ ჭელიძემ სული ჩაუდგა, ხორცი შეასხა ვეება ისტორიულ პიროვნებას, აამოძრავა, გმირად დაბადებულის ვეებერთელა სამოქმედო ასპარეზი გადაგვიშალა, განჭვრიტა და სრულად დაგვანახა მისი ნაღვაწი, საშხეოზე გამოიტანა წლობით ნალოლიაეები მისი ფარული ფიქრები, ნიადაგ სამშობლოს გადარჩენისა და გაძლიერებისკენ რომ იყო მიმართული. შთაბეჭდილება იქმნება — გამოცდილმა მწერალმა და ისტორიკოსმა დროის ქარტეხილებისგან თითქმის წაშლილი და ფერნაცვალი, ჟამთასელის მტერით დაფარული, ძველი ტაძრის დიდებული ფრესკა აღადგინა, წინაპრის ნაკეთებს პირვანდელი გამომეტყველება და იერი დაუბრუნა; აქა-იქ გაბნეულ ცნობებს, ფაქტებს, მოვლენებს ერთ ფოკუსში მოუყარა თავი. ასე შეიკრა და გამთლიანდა ურთულესი, მრავალი რამით განპირობებული ხასიათი, გამუდმებით მეთვალყურეობასა და ხიფათში მყოფი, ალესილი დანის პირზე მონარული დიდი კაცისა, ვინაც ამდენი რამ გაუკეთა საქართველოს. საამაყოფ, ერის ხსოვნაში სამუდამოდ დასარჩენად ისიც ეყოფოდა, რომ მან იშვილა და გაზარდა უდიდესი საეკლესიო და საერო მოღვაწე გრიგოლ ხანძთელი, ვისმა ხანგრძლივმა, განსაკვიფრებელმა ძალისხმევამაც კოლოსალური როლი შეასრულა, რათა არაბებისაგან დაპყრობილი საქართველო (თბილისი დაეით აღმაშენებლის გადამწყვეტ, ძლევაამოსილ გალაშქრებამდე იმათ ეპყრათ), აღორძინებულიყო, წელში გამართულიყო.

აქვეა აღსანიშნი მეორე, ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტი, რაც

იოანე საბანისძის თხზულების ღერძსა და საფუძველს წარმოადგენს. ბაღდადში, 772 წელს დაბარებული უტყვიანესი ნერსე ერისთავი ცბიერმა, გაბოროტებულმა ხალიფა მანსურმა საყრობილეში დაამწყვდია. სამი წელი ჰყავდა დატუსაღებული და მისმა სიკედილმა უშველა დიდ ნერსე ერისთავს — მანსურის შვილმა, კეთილგონიერმა მაკდომ იგი გაათავისუფლა, ერისმთავრობა დაუბრუნა, ძველი უფლებებით აღჭურვა და სამშობლოში გამოისტუმრა. ნერსემ ბაღდადშივე გაიცნო დიდად ნიჭიერი დგონებაგახსნილი არაბი ჭაბუკი აბო, ვინაც მშობელივით შეიყვარა ნერსე, მოექცა მის გავლენაში (ასეთი რამ, როგორც ბატონი ვახტანგი წერს, უბრალოდ არ ხდება), სიყვარულით განიმსჭვალა ქართველებისა და საქართველოსადმი, თან წამოაყვია ნერსეს და თბილისში ჩამოსული გაქრისტიანდა.

ქრისტეს რწმენის გამო, არაბებისგან დაუნდობლად ნაწამები აბო (იგი, სხვა თვისტომთა დასაშინებლად, დაწვეს, დაფერულეს) ქართველთა ეროვნულ წმინდანად იქცა და ჩვენი ხალხის ცნობიერება გამოაღვიძა.

თავისი, უჩვეულოდ ახალი და გაბედული, ნარკვევის დასაწყისშივე ბატონი ვახტანგი (მას ამ დროს ფრთხილად მოქმედების, მისხალმისხალ აწონილი, ზუსტი, სხვათაგან შეუძნეველ წერილმანებადღე გათვლილი გეგმა ხელთა აქვს) რამდენიმე საკვანძო კითხვას სვამს.

„რითი იყო მანცნერსე ერისთავი „დიდი“? რისთვის მიანიჭეს ასეთი მაღალი ტიტული? რა ღვაწლისათვის, რა დამსახურებისათვის?“

როცა ამას დაუფიქრდები, სურვილი აღარ გასვენებს, შორეული წინაპრის ცხოვრებას საუკუნეების ყოვლისშთამთქმელი ბურუსი გადაწმინდო და გამოაჩინო დიდი მამულიშვილის ღვაწლი და დამსახურება.

იქნებ მოხერხდეს ამის აღდგენა!

იქნებ მოხერხდეს გაშიფერა და გაშლა იმ მწირი ცნობებისა, რაც ისტორიას ნერსე ერისთავის შესახებ შემოუნახავს!“

ჩვენს უპირველეს ძატიანესთან, „ქართლის ცხოვრებასთან“ ერთად, ქართული მწერლობის გრანდიოზული, უმნიშვნელოვანესი ძეგლი „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“ ვახტანგ ჭელიძის ხელში აღმოჩნდა ის ჯადოსნური, სასწაულმოქმედი სარკე, რომლიდანაც მან ამოზიდა ნერსე ერისთავის მონოლითური ფიგურა და გარდასული ეპოქის სრული, განუმეორებელი სურათი დახატა, ყველა კითხვას დამაჯერებელი პასუხი მოუძებნა და ნერსე ერისთავის უნაკლო, დაუვიწყარი, უნიკალური პორტრეტი შექმნა. თამამად შეიძლება

ითქვას — ამის გაკეთებას ქართულ კულტურაში, მის გარდა, ვერავინ შეძლებდა. თანამედროვე ტერმინი რომ გამოვიყენოთ, „ქართლის ერისთავი ნერსე“ (1975) ბოლო ათეული წლების ერთი ყველაზე უფრო წარმატებული „ლიტერატურული დეტექტივია“.

ვახტანგ ჭელიძეს განზრახული ჰქონდა (საამისოდ ყველა მასალა წინასწარ შეაგროვა) „მემუარების“ ცალკე თავში მოეთხრო „ცისკართან“ დაკავშირებული საკმაოდ დრამატული ამბები. სამწუხაროდ, დაწერა და გამოაქვეყნა მხოლოდ შედარებით მცირე მოგონება („ცისკარის“ პირველი რედაქცია, პირველი ავტორები და პირველი ნომერი“), რომელიც ჟურნალის დაარსების ოცდამეხუთე წლისთავს მიეძღვნა.

აქ არის ერთი ადგილი, სადაც გახარებულ ნოდარ დუმბაძეს „ჭაშნიკისთვის“ გურამ რჩეულიშვილის ახალწაკითხული მოთხრობები მოაქვს (იგი ედიშერ ყიფიანმა დააკვლიანა). ვახტანგ ჭელიძე, ცხადია, უმაღლესად მიხვდა ავტორის დიდ ნიჭიერებას, სიახლის გამძაფრებულ, იშვიათ გრძნობას და მაშინვე გადაწყვიტა პირველივე ნომრის „ჭაშნიკში“ მისი გამოქვეყნება. ბატონი ვახტანგი გურამ რჩეულიშვილის ხელნაწერთა გამო აღნიშნავს: „...მათი მოპოვება იმიტომ გაძნელდა, რომ ახალგაზრდა კაცს უკვე მოესწრო გულისგატეხა... მერე გაირკვა, რომ ამ მოთხრობებით უკვე ყველა რედაქცია მოუვლია და ყველგან ცივად და ამრეზით შეხვედრიან“.

ერთ-ერთი გაუმართლებელი, რამდენადმე უნებლიე უარის მოწმე მე თვითონ ვიყავი და ამაზე ვიტყვი ჩემს სათქმელს. გურამ რჩეულიშვილს სტუდენტობის დროსვე ვიცნობდი. ერთი წლით ჩემზე წინ იყო; კენწეროწახრილი, გაბარჯლული ფიჭვის ძირში ძელსკამი იდგა და იქ ვისხედით ხოლმე ბიჭები, რაზე აღარ ვლაპარაკობდით. მაშინ „პირველი სხივის“ მეოთხე წიგნი მზადდებოდა. ჩემი უსაყვარლესი მეგობარი და პოეტი ზაურ ბოლქვაძე იყო პასუხისმგებელი მდივანი და იმას ვეხმარებოდი. მასალები წრის ხელმძღვანელთან, პროფესორ ტარიელ კვანჭილაშვილთან იყრიდა თავს და დაბეჭდვაზე იმას უნდა მიეცა დასტური.

გურამ რჩეულიშვილმა იცოდა, კარგა ხნის შუალედის მერე „პირველი სხივი“ რომ უნდა გამოსულიყო და მითხრა, მოთხრობებს მოგიტანო. მალე კიდევაც მომცა ულამაზესი ხელით გადაწერილი ოცამდე გვერდი. მარტო დახედვა გაგახარებდა, თვითვეული ასო დახატული და უცნაურად ორნამენტირებული იყო — ტ-ს ორი წერტილი — თვალეები ჰქონდა ჩასმული და თითქოს შემოგცქეროდა,

გვერდულად იყო ჩამოგრძელებულ-დახუჭუჭებული. წაკითხვამ კიდევ უფრო მასიამონა. ეს გახლდათ მისი მშვენიერი მოთხრობები „ქიტესა იწვა და კედებოდა“, „მუსტანგები“ და სხვები და, აგრეთვე, ბლომად დიალოგები. ოსტატურად გამართული. ჩამომწერიეებული, თითქმის ურემარკო დიალოგები გურამ რჩეულიშვილის წერის მანერის ერთ-ერთი გამოხატულება იყო და არა ახალგაზრდა ავტორის კაპრიზი, ახირება, როგორც შეიძლებოდა ვინმეს მოჩვენებოდა.

გახარებულმა გურამის მოთხრობები წრის ხელმძღვანელს გადაეცეც და ჩემი აზრიც ვუთხარი. ბატონი ტარიელი უაღრესად კეთილი კაცი იყო (ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული), მაგრამ როგორღაც ალღომ უმტყუნა და ხელნაწერი დამიბრუნა — ნიჭიერი ყმაწვილი ჩანს, მაგრამ უმწიფარია, ჯერჯერობით აჯობებს თავი შევიკავოთო. კი ვიცოდი, რაც აჯობებდა, მაგრამ რაღა მექნა, შეკამათებას აზრი არ კქონდა. „პირველი სხივის“ იმ ნომერში რეზო ჭეიშვილის ფეხბედნიერი დებიუტი შედგა და იქვე გურამ რჩეულიშვილის სრულიად ახლებური მოთხრობებიც რომ დაბეჭდილიყო, ეს უთუოდ დაამშვენებდა უნივერსიტეტის ლიტერატურული წრის ალმანახს, რაც, ჩვენდა დასანანად, არ მოხდა.

ძალიან ვიყავი დაბნეული და შეწუხებული, მერიდებოდა გურამთან პირისპირ შეხედრა, მაგრამ იმან თვითონვე მომხსნა ის მძიმე ლოდი; როცა ხელნაწერი დაუბრუნე და ვამცნე ჩემი უხერხულობა, გასაჭირი, მისებურად გაიცინა — არა გრცხენია, რაზე მებოდიშები, მაგაზე მეტი საწყენი ცხოვრებაში არ შეგხვედროდესო, დამამშვიდა.

ჩემს წინ იდგა ოცდასამი წლის გურამ რჩეულიშვილი (ვინ წარმოიდგენდა მაშინ, რომ იმ სასწაული ძალის ბიჭს სიცოცხლის სამი წელიღა ჰქონდა დარჩენილი და სამ წელიწადში ამდენს მოასწრებდა) — მაღალი, დაკუნთული, ქედმაგარი, თვალებში ღვთიური სხივი ჰქონდა ჩამდგარი. ახლა ვფიქრობ — რა უცნაური, ყოვლისშიმტყევებელი, ანგელოზური იყო ის ღიმილი, ასე რომ უხდებოდა მის, თითქოსდა თეთრ ფიქალში ნათალ, ანტიკური სილამაზის სახეს. სად გაქრა მისი თხელი ბაგეებისა და კეთილშობილური ნაკეთების წამიერი, შეუდარებელი მოძრაობა, რომლის აღბეჭდვასაც ვერც ერთი ფოტოაპარატი ვერ შეძლებდა; მხოლოდ დოკუმენტური კინოკადრები თუ მოიხელთებდა და თანაც ბოლომდე ვერ შეუნარჩუნებდა იმ ვაჟკაცურ, განუმეორებელ მომხიბლაობას. ყველაფერი უკანმოუბრუნებლად

მიდის, უსასრულობაში მიექანება, ლურჯ ცაზე გაკრული ღრუბლის თეთრ ფთილასავით დნება, იცრიცება...

ვახტანგ ჭველიძე ინგლისური ლიტერატურის უებრო მცოდნე იყო და ყველაზე მეტი დრო მან შექსპირის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლას, მისი პიესების თარგმნას მოანდომა. ამ შემთხვევაში იგი ერთი და ორი წერილით არ შემოფარგლულა და თეორიულ ნაშრომებშიც უდიდეს ადგილს უთმობს შექსპირის გენიას. თვითუფლ პორტრეტში აუცილებლად შექმნილია ისტორიული ფონი, ეპოქის დამაჯერებელი სურათი, რადგან ყოველი შემოქმედი თავისი დროის ღვიძლი შეილია. ვახტანგ ჭველიძე სადად, მიმზიდველად მოგვითხრობს ბიოგრაფიული ფაქტებით მწირ, შექსპირის ბევრის მხრივ დაფარულსა და იღუმალ ცხოვრებაზე, გულმოდგინედ აკვირდება მის გრანდიოზულ მემკვიდრეობას, ყოველთვის ცდილობს მკითხველს მთავარი, არსებითი რამ მიაწოდოს:

„შექსპირი უპირველეს ყოვლისა დიდი პოეტია და ეს მაღალი პოეზია თანაბარი ძალით გამოსჭვियის მის ტრაგედიებში, კომედიებშიც და სონეტებშიც. იგი ყველგან ჯადოქრული სიმარჯვით და ოსტატობით ახერხებს უაღრესად დაძაბული დრამატული ეპიზოდი თუ მეტისმეტად კომიკური სიტუაცია მაღალი პოეტური ელვარებით გააბრწყინოს“.

შექსპირი არასოდეს ერიდება ბოროტების არსის მხილებას, ტრაგიკული ამბების დაუფარავი სიცხადით ჩვენებას, მაგრამ მისთვის არც კარნავალური მხიარულება და თავაშეებულებაა უცხო. ამ კონტრასტის გამო წერს ვახტანგ ჭველიძე: „ჰამლეტის“ ან „მეფე ლირის“ შემდეგ „ზაფხულის ღამის ზღაპარს“ რომ გადაიკითხავ, არა გჯერა, ერთი კაცის დაწერილი თუა, საოცარი სიღალღე და სიმსუბუქეა, რა სინათლეა, როგორ ლაღად ძვერს გული. თითქოს იმ დიდ უბედურებაზე, რასაც ტრაგედიებში ვხედავთ, თავის ღღეში არ ეფიქროს აქტორს. კაცს, რომელსაც ამდენი მანკიერება და ბოროტება შეუნიშნავს ადამიანის ხასიათში, როგორღა შეუძლია ასეთი გულმხიარული იყოს. მსახიობზე ხომ იტყვიან ხოლმე, გარდასახვაო. ეს უკვე მწერლის გარდასახვაა“. ალბათ ამან ათქმევინა კოლრიჯს თავის დიდ თანამემამულეზე — „ათასსულიანი შექსპირი“.

სხვა, ასეთსავე მნიშვნელოვან და ამგვარივე განმანათლებლური ხასიათის წერილში — „შექსპირის მემორიალური თეატრი“ — ვახტანგ ჭველიძე სტრადფორდელი ჯადოქრის კიდევ ერთ უნიკალურ თვისებაზე მიგვითითებს: „...შექსპირის გენიის სიღიაღე ხომ სწორედ

ისაა, რომ მის პიესებს ერთნაირი ძალა აქვთ — როგორც საკითხავ წიგნსა და სცენაზე განსახიერებულ პიესას, როგორც ლიტერატურულ პირველწყაროს და სცენურ მასალას. მსოფლიო ლიტერატურის, კერძოდ დრამატურგიის ისტორიაში, ცოტას თუ დაასახელებთ ისეთ პიესას, რომელიც წასაკითხავად და სცენაზე საყურებლად ერთი სიძლიერისა იყოს. ამ მხრივ შექსპირს ბადალი თითქმის არა აქვას“.

ბატონ ვახტანგს ბედნიერება ერგო ინგლისში ენაჩა მემორიალური თეატრის სამი სპექტაკლი („ჰამლეტი“, „რომიო და ჯულიეტა“, „მეთორმეტე ღამე“) და სამივე დადგმას, როგორც რეჟისურას, ასევე ცალკეული მსახიობების თამაშს, დიდი პროფესიონალის თვალთახედვით უდგება. მრავლად შემქმნლო მომეტანა შექსპირის შემოქმედებაზე მისი ძალზე ფასეული დაკვირვებები, მაგრამ მათი პოვნა არც მკითხველს გაუძნელდება.

ჯონ მილტონის პიროვნებისა და პოეზიის სიდიადე ვახტანგ ჭვლიძეს ახალგაზრდობიდანვე აქონდა ღრმად გაცნობიერებული (შესანიშნავად თარგმნა მისი უმთავრესი პოემები „დაკარგული სამოთხე“ და „დაბრუნებული სამოთხე“) და, ბუნებრივია, არ გასჭირვებია, შეექმნა მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ღირსეულად ამსახველი ლიტერატურული პორტრეტი, რომელიც მკვლევარებსა და ინგლისური ლიტერატურის მოყვარულთ ბევრ რამეში დაეხმარება. აქვე ვნახავთ ყველა მთავარ და აუცილებელ ცნობას, რაც გაგვიადვილებს მილტონის საკმაოდ რთული პოეტური აზროვნების თავისებურებათა გაგებას, ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის ტრაგიზმით აღსავსე მის ქარიშხლიან ცხოვრებაზე, რომელსაც სამშოქმედებიან დრამას ადარებენ. ყველაზე გაუსაძლისი გამოდგა მესამე მოქმედება. ორჯერ დაქერივებულ, ქონებაჩამორთმეულ, უკიდურესად გაღარიბებულ მილტონს ხელისუფლება ყოველნაირად ავიწროებდა, რასაც აუტანელი საოჯახო პირობებიც ერთვოდა. ამის გამო ვახტანგ ჭვლიძე სევდიანი ირონიით შენიშნავს: „სამი თავნება ქალიშვილი, მეფე ლირისა არ იყოს, ნუგეშისა და სიყვარულის ნაცვლად, ყოველდღიური უსიამოვნებისა და სიმწრის ფიალას ასმევდა მამას; ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ლირს ერთი ქალი მაინც შერჩა ნუგეშად, მილტონს კი სამივე ქალი მტრად მოეკიდა“.

თუ რა ბუნებრივად, ძალდაუტანებლად იკითხება ხსენებული პორტრეტი, ამის შესაგრძნობად ერთი მცირე ნაწყვეტიც გამოდგება: „არსებობს გადმოცემა, თითქოს მილტონს უკვე დამთავრებული პოემა, „დაკარგული სამოთხე“, ერთი თავისი მგობრისთვის

გადაეცეს წასაკითხად. მეგობარმა წაიკითხა პოემა, ალბათ თავისი აზრიც უთხრა ავტორს და დასძინა: „სამოთხის დაკარგვა კი გვაჩვენე, მაგრამ დაბრუნებას როდისღა გვაჩვენებო“. თითქოს ამის შედეგი იყოს მეორე პოემის, „დაბრუნებული სამოთხის“ შექმნა. კიდევ რომ არ იყოს ეს გადმოცემა მართალი, მაინც საინტერესოა, იმიტომ რომ სიმართლეს ჰგავს“.

იმ მწერალთა უმრავლესობა, რომლებზეც ვახტანგ ჭვლიძეს ლიტერატურული პორტრეტები აქვს გამოქვეყნებული, მის მიერვეა თარგმნილი, მაგრამ არის ზოგიერთი გამონაკლისიც. ასეთი გახლავთ დიდ შოტლანდიელ პოეტზე, რობერტ ბერნსზე (მასა და ვაჟა-ფშაველას ტყუილად როდი ადარებენ ერთმანეთს) დაწერილი უბრწყინვალესი ესე, რომელსაც ყველა რანგის მკითხველი გაუნელებელი ცნობისწადილითა და სიამოვნებით წაიკითხავს.

მან უბრალო გლეხივით იცხოვრა, მინდვრად, ყანაში ღვრიდა ოფლს და საღამოობით ღარიბულ ქოხში მეზობლებს, მასავით დღიური შრომით დაქანცულებს თავის გასაოცარ ლექსებს უკითხავდა, რომელთაც მერე ისინი ხალხურ მოტივებზე აწყობდნენ და მღეროდნენ, თუმცა ფიქრადაც არ მოსდიოდათ, რომ მათი ყანის მოზიარე გენიალური ბარდი იყო. პორტრეტის ავტორი მთელი თავისი არსებით იმ ულამაზეს სამყაროშია გადასული და ამიტომაც წერს ასე უშუალოდ, გულშიჩამწედომად:

„მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, დროთა ქარტახილმა ბევრი დიდებული და მკვიდრად ნაგები სასახლე აღგავა პირისაგან მიწისა, ბევრის სახელი გააცამტვერა და დავიწყებას მისცა, ის პატარა ისლის ქოხი კი, რომელშიაც ორასი წლის წინათ შოტლანდიის დიდი პოეტი დაიბადა, ძველებურადვე დგას, რათა ღარიბი კაცის ჩვეული სიამაყითა და გულღიობით მიიღოს დიდი პოეტის ლირიკით მოხიბლული ყველა ქვეყნისა და ყველა დროის ურიცხვი სტუმარი“.

ამ გრძნეულ, უცნაური ბედის ქოხშია დაწერილი ჯონ კიტსის საკვირველი ემოციური ძალის სონეტი, ბერნსსა და მისი პოეზიის უჭკნობ მშვენიერებას რომ ეძღვნება. ეს ამაღელვებელი, იშვიათი ზნეობრივი სისპეტაკისა და უსაზღვრო სიყვარულის გამომხატველი მოვლენა პორტრეტის ავტორს საგანგებოდ აქვს აღნიშნული.

ვახტანგ ჭვლიძის ცხოვრებაში მუდამ გამორჩეული ადგილი ეჭირა პოეტების საყვარელ მწერალს ჩარლზ დიკენსს და არა მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რომანი „ნიკოლას ნიკლბი“ ისეთი შემართებითა და შთაგონებით თარგმნა. საათობით

შეეძლო ესაუბრა დიკენსის რომანების განუმეორებელ, ესოდენ ადამიანურ, უმაგალითოდ მრავალფეროვან სამყაროზე და აღტაცება ოდნავად არ გაუნელდებოდა. დიკენსის უზარმაზარი სულიერი მემკვიდრეობის ღრმა მცოდნეს საფუძველი ჰქონდა დაეწერა:

„ბოროტისა და კეთილის დაპირისპირება, ცხოვრებაში მისი გამოვლინება და ჭიდილი, საერთოდ მხატვრული ლიტერატურის მარადიული თემაა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ არსად, არც ერთი მწერლის შემოქმედებაში არ არის ეს ისე გამოკეთილი და ხაზგასმული, როგორც დიკენსისაში“.

ვახტანგ ჭვლიძეს განსაკუთრებულად ხიბლავდა პერსონაჟთა ხატვის ის იშვიათი ნიჭი, რითაც დიკენსი მკვეთრად განირჩეოდა პროზის სხვა, ასევე დიდი ოსტატებისგან. მას მოაქვს „დავით კოპერფილდის“ ერთი ადგილი, რომელიც უმაღლეს გვაგრძობინებს, რამდენი შეუძლია მწერლის მიერ თითქოსდა უმნიშვნელო წერილმანის შემჩნევასა და გაცხადებას: „დიკენსი ერთი კალმის მოსმითაც კი აცოცხლებს ტიპს და მის დასრულებულ სახეს გვაძლევს, მკითხველს პირველივე გაცნობით უქმნის სათანადო განწყობილებას. როდესაც თვალთმაქცი და გაიპყერა ური ჰიპი შემოდის სცენაზე და მას რომანის მთავარი გმირი ხელს ჩამოართმევს, თითქოს ადამიანისთვის კი არა — სველი ბაყაყისთვის წაეელოს ხელი ახალგაზრდა დავით კოპერფილდს. და ის ჟრუანტელი, რაც რომანის მთავარმა გმირმა განიცადა ური ჰიპის ხელის ჩამორთმევით, მაშინვე მკითხველს დაუელის ტანში“.

მასხოვს, ერთ-ერთი მისვლის დროს უკვე შეუძლოდ მყოფ ბატონ ვახტანგს ეუთხარი — რა კარგი იქნებოდა, დიკენსის „საშობაო მოთხრობებიც“ გეთარგმნათ, თქვენსავე იმათ იდუმალ, მისტიკურ სულს ვერავენ გადმოიტანდა-მეთქი. გაელიმა, იცოცხლე, კარგი იქნებოდა, მაგრამ ახლა რაიმეს თარგმნის თავი ნამდვილად არა მაქვსო. სინანული ერია იმ ღიმილს, ძველებურად ხალისიანი არ იყო.

თავისთავად ცხადია, სხვა უცხოელ მწერლებზე შექმნილი ლიტერატურული პორტრეტები (მან რიდი, მარკ ტვენი, ერნესტ ჰემინგუეი და სხვები) ასეთივე სიღრმითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მხატვრული თარგმანის მნიშვნელობაზე, ავ-კარგზე ვახტანგ ჭვლიძეს ბევრი აქვს ნაფიქრი და დაწერილი. იგი გერონტი ქიქოძისა და ერეკლე ტატიშვილის მოსაზრებათა ერთგული დარჩა, თავის მხრივაც ბევრი სიახლე შეიტანა თარგმანის თეორიასა და პრაქტიკულ საქმიანობაში. დიდი პროფესიონალიზმით არის აღბეჭდილი წერილთა მთელი ციკლი: „თარგმანის პრობლემები“,

„შენიშვნები თარგმანის საკითხებზე“, „შექსპირის ქართული თარგმანები“, „აბსურდის ზეიმი“, „დამუქრებული გული“, „მაოხრებელი მკედარი“ და სხვები.

ვახტანგ ჭვლიძის ბასრ გონებასა და სამაგალითო პუბლიცისტურ ნიჭზე მეტყველებს ქვეყნის საჭირობოროტო პრობლემებზე გამოქვეყნებული მისი საუკეთესო, პედაგოგიური მეცნიერებისა და ფსიქოლოგიის ცოდნით აღსავსე წერილები: „წიგნი“, „ოსტატი და შვირიდი“, „ფიქრები ხვალისდელ დღეზე“, „ჩაიხედოთ ჩვენი შვილების სახელმძღვანელოებში“, „როდის წაიკითხოს ადამიანმა „ომი და მშვიდობა?““ „ვისწავლოთ ტელევიზორის გამორთვა“, „კოლორიტული ჟანრი“, „ბუნება და ადამიანი“...

თავმოსაყრელია კრებულებში შეუტანელი, პრესაში სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული, ბევრი სიმართლის მთქმელი და კეთილი რჩევების შემცველი ინტერვიუები. ბატონი ვახტანგი ჩინებული პოლემისტი იყო, მაგრამ იგი არასოდეს ეძებდა შეხლა-შემოხლის საბაბს და თუ მწვავე პასუხს უწერდა შეტევაზე ჯიქურ გადმოსულთ, ეს მისი ბრალი არ გახლდათ, იძულების გამო იქცეოდა ასე; როცა ვინმე ნამეტანს იზამდა, დაუკრფაეში გადავიდოდა, როგორც იტყვიან, ცხრა პირ ტყავს გააძრობდა ხოლმე და ეს ახიციყო მათზე.

ცალკე განხილვის ღირსია მისი დიდად ღირებული თეატრალური ჩანაწერები: „სიძნელეები... პრობლემები“, „თეატრის სიხარული“, „წერილმანი საკითხები“, „საკონცერტო დარბაზის სევეა“ და სხვები. ყოველი მათგანი დაგაფიქრებს, სამოქმედოდ აგანთებს, საგანგებო განხილვის ღირსია, მაგრამ ამის გაკეთება მხოლოდ მონოგრაფიაში თუ იქნება შესაძლებელი; ჩემი სურვილი ბევრად უფრო მოკრძალებულია — ეცდილობდი, საერთო სურათი მომეხაზა.

ერთ წერილზე კი, ჩვენში საკმაოდ ფესვებგადგმულ ჭირს — იუბილეომანიას — რომ ეხება, ზოგი რამ უნდა ვთქვა. ამ სამარცხენო მოვლენას ჯერ კიდევ დიდი ვაჟა ამათრახებდა („იუბილეი გახშირდა, როგორც მაისში რწყვილები, ბედნიერი ხარ, სამშობლოვ, ბედნიერი გყავს შვილები!“)

თავისი მოკრძალებული ბუნებიდან გამომდინარე, ვახტანგ ჭვლიძეს გულს ურევდა, სძაგდა ზოგიერთი მწერლის ყოველგვარ საზღვარს გადამცდარი ამბიციები, ავადმყოფური პატივმოყვარეობა, სახელ-დიდებაზე გაუთავებელი ჩალიჩი, როცა ჩვენს სამშობლოს გამუდმებით ემუქრება დაღუპვის, გადაშენების საფრთხე. ბატონი

ვახტანგის არქივში მრავლად მოიპოვება კონკრეტული მაგალითები „უკვდავებაზე“ პათოლოგიურად დაფუთებული კალმოსნებისა, მაგრამ როცა ამ სამარცხეინო მოვლენაზე საგანგებოდ წერს („კეისარსა კეისარისა“, 1974), იგი გეარ-სახელებით, კარიკატურულ ფერებში გვიხატავს ასეთ „ძალად მაცხოვრეთა“ განზოგადოებულ ტიპს, ნამდვილ გოგოლისეულ სარკაზმს იჩენს.

აქ მთელი „ეტაპებია“ ნაჩვენები ამნაირი მწერლის პარანოიკული ქმედებებისა. „მრგვალი თარიღის“ დადგომამდე კარგა ხნით ადრე, იგი ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს ბიოგრაფიული ცნობებითა და სხვადასხვა დროს გადაღებული ფოტოსურათებით ამარაგებს, თან ვითომ სასხვათაშორისოდ აფრთხილებს, სირცხვილი არ ჭამოთ, ამ თარიღის ჯეროვნად აღნიშნვა არ დაგაეიწყედეთო. მთავარი ამ ფატიფუციანი შხადების მერე იწყება. დაეაკვირდეთ:

„ხოლო როცა საიუბილეო თარიღი მოახლოვდება, წინასწარ შექმნის კომისიას, წინასწარვე შეადგენს საიუბილეო საღამოს პროგრამას. თვითონვე ჩამოწერს, ვინ სიტყვით მიესალმოს (ხშირად ისეთ თავმდაბლობას გამოიჩენს, რომ თვითონვე გაუკეთებს რედაქციას ამ სიტყვას: ზოგჯერ არც იმას დაიზარებს, თვითონ შეადგინოს თავისი მისამართით წარმოთქმული სიტყვა), ვინ ლექსი მიუძღვნას, ვინ (და როდის, რომელი გამოსვლის შემდეგ) თაიგული მიართვას, როდის უნდა დაეშვას სცენის ფონზე დაუნის ფოთლებით შემკული, ოქროსფრად შეღებილი და მსუქნად გამოყვანილი ციფრები — ხოლო როცა ტელევიზიით გადაცემას მოაწყობს, გამოცდილი რეჟისორივით თვითონვე აწესრიგებს — სად გაინაზოს მსახიობმა ხმა, სად აუწიოს, თვითონ იუბილარი როდის გადაიღონ „მსხვილ პლანში“ და როდის შორიდან მიაპყრონ ობიექტივი...

ერთი სიტყვით, თავისი საიუბილეო საღამოს რეჟისორობასაც თვითონვე კისრულობს.

„საიუბილეო საღამოსო“, ვთქვით და ამასაც დაზუსტება სჭირდება, რადგან ხშირად ერთ საიუბილეო საღამოს როდი სჯერდება ფუჭი ღიღების მაძიებელი. მთელი ციკლია ასეთი „საღამოებისა“ — სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა ქალაქსა თუ რაიონში...

ფიქრი ნუ გაქვთ, პრესაში რაც შეიძლება ფართოდ და მრავალფეროვნად გაშუქებაზეც თვითონვე ზრუნავს...“

რამდენს ვიცნობდით და ვიცნობთ, საკუთარი პერსონის საამებლად დაქინძამებულ ასეთ „ორგანიზატორებს“. ზოგმა დოკუმენტური ფილმიც გადააღებინა საკუთარ თავზე (რა თქმა უნდა, სცენარიც

პქონდა ჩამოწიკწიკებული, პოზებიც დამუშავებული. მშობლიური კუთხის ჩვენებაც არ დაეიწყებია — გადამღები ყგუფი დაკყეებოდა). ისიც იცოდა, სასურველი განწყობილების შესაქმნელად, როგორ გაეელო ძირს დაფენილ შემოდგომის ჭრელ ფოთლებში, ბოლთის ცემა როდის დაეწყო. მერე, შთაგონებით სახეანთებული, შვეულეებულ ძელსკაშხე როგორ ჩამომჯდარიყო, ღრმა ფიქრებში წასული, თითებში სიგარეტგაჩრილი. ხელს ნულარ შევეშლით, შემოქმედებითი წეის ამ პოზაში დაეტოვოთ...



ვიდრე უშუალოდ გამოეთქეამდე ჩემი, როგორც მკითხველის, არასპეციალისტის, მოკრძალებულ შთაბეჭდილებებს ვახტანგ ჭვლიძის სამწერლო მოღვაწეობის უმნიშვნელოვანეს ქმნილებაზე, „ქართლის ცხოვრების ქრონიკების“ ხუთწიგნულზე (ბოლო, მეექვსე წიგნის დაწერა, სამწუხაროდ, მან ვეღარ მოასწრო), ზედმეტი არ იქნება, ისტორიის პრობლემებზე ზოგიერთი ცნობილი მოსაზრება გავიხსენოთ, აგრეთვე, თავისი ნაღვაწის ხასიათისა და მიზანდასახულების მიმართ თვით ავტორის დამოკიდებულება წარმოვაჩინოთ.

მომზიბლავ სიმართლედ მეჩვენება ერთი ძველი ფრანგი დიპლომატის შეხედულება ისტორიაზე: „ისტორიკოსი მოვლენების დახატეას უნდა ესწრაფოდეს და არა ანალიზს. უამისოდ მის კალამს მშრალი ფაქტებიდა შერჩება, ასეთ ღროს იგი ჩქარობს, რათა მათგან გამოიტანოს დასკენები და საერთო თვალსაზრისის მიხედვით განაღვაგოს. მათი ცხოველმყოფელობა თვალდახელშუა ქრება. ქვეყნის ხალისიან და ხატოვან სახეს გეოგრაფიული რუკის ზუსტი კონტურები ენაცვლება: თქვენ შეგეძლებათ განსაზღვროთ, სად მდებარეობს ესა თუ ის ადგილი, ზუსტად გეცოდინებათ მისი ზედაპირიც, მაგრამ თვით მასზე არაეითარი წარმოდგენა არ შეგექმნებათ“.

ვახტანგ ჭვლიძე აშკარად ხატეას ანიჭებს უპირატესობას, ოღონდ მის მონათხრობს არც ფაქტების დაკვირვებული, დამაჯერებელი ანალიზი აკლია, თუმცა ეს ოდნავადაც ვერ უკარგავს პირველყოფილ სიცხოველეს საუკუნეთა სიღრმიდან ამოზიდულ ჩვენი ქვეყნის დრამატულ თავგადასავალს, ყოველ ეპიზოდში შენარჩუნებულია თავისებური სურნელი, გარდასული ღროის გაუხუნარი იერი.

„ქართლის ცხოვრების ქრონიკების“ ავტორს უთუოდ ეხსომებოდა კვინტილიანეს ანგარიშგასწვევი მოწოდება, ისტორიკოსისათვის რომ არის განკუთვნილი: „წერეთ თვით ამბისთვის, მოთხრობისათვის და არა რაიმეს დასამტკიცებლად!“ ასეთი მიდგომისას ტენდენციურობა ნაკლებად მქლავნდება და ყველაფერი თავის ადგილას ლაგდება ხოლმე.

ერთ-ერთ გამოუქვეყნებელ ჩანაწერში ბატონი ვახტანგი აღნიშნავს, თუ რა ხასიათის, რა სიძნელის იქნება „ქართლის ცხოვრების ქრონიკები“ და თავის „ჩვეულ სიზარმაცეს“ ახსენებს კაცი, ვისაც მთელი სიცოცხლის მანძილზე არ მოუსვენია, ნიადაგ იღვეწოდა. ეს ჩანაწერი ბევრ რამეს აყენს ნათელს, კერძოდ, იმასაც, როდენ დიდი მნიშვნელობა აქვს პირველ, ტონალობის მხრივ, შეუცდომლად შერჩეულ ფრაზას; ამდენად, იგი მთლიანად უნდა მოვიტანოთ:

„მიუხედავად იმისა, რომ ჩემი წიგნი თითქოს ადვილი დასაწერი უნდა იყოს — მასალა შზამზარეულია, ისტორიას ხომ ვერ შეცვლი; სულ სხვა საქმეა, როგორ მოიპოვებ რაც შეიძლება მეტ მასალას — ამის მიუხედავად, ყოველთვის ძალიან მიჭირს ცალკეული თავების დაწება, ლოგიკური გადასვლა ერთი თავიდან მეორეზე. ზოგჯერ რამდენიმე კვირას ვერ დავიწყებ მუშაობას, სანამ პირველ ფრაზას დავეწერდე (თუმცა აქ ჩემი ჩვეული სიზარმაცეც მოქმედებს).

ერთხელ ტოლსტოი თავისი უფროსი შვილის ოთახში შევიდა; იგი თავის მოხუც ბიცოლას უკითხაედა პუშკინის „Повести Белкина“-ს (ეს იყო 1873 წელს); ტოლსტოიმ წიგნი გამოართვა შვილს და წაიკითხა ერთ-ერთი მოთხრობის დასაწყისი: „Гости съезжались на дачу“. აი, როგორ უნდა დაწყება, თქვა ტოლსტოიმ, გამობრუნდა, შევიდა თავის ოთახში და დაწერა: „Всё смешалось в доме Облонских“. — ასე იწყებოდა „ანა კარენინა“ — ახლა რომ წინ რამდენიმე ფრაზა უძღვის ბედნიერი და უბედური ოჯახის შესახებ, ის მერე დაუმატა.

ტოლსტოი რომ გამახსენდა, ამით იმას კი არ ვადარებ ჩემს თავს...“

ბატონი ვახტანგის თანდაყოლილმა თავმდაბლობამ არ შეგვაცდინოს — ტოლსტოისთვის ნამდვილად არ შეუდარებია თავი, მაგრამ ჭეშმარიტად ტიტანური შრომა გასწია, „ქართლის ცხოვრების ქრონიკებს“ როცა წერდა და ეს ამაგი შთამომავლობამ ჯეროვნად უნდა დააფასოს.

განმარტებითი დანიშნულების მცირე წერილში — „ქართლის ცხოვრების ქრონიკების“ გამო“ (1975), — ვახტანგ ჭელიძე

ხაზგასმულად აღნიშნავს, რომ მისი ერთი მთავარი მიზანთაგანი იყო, გაეფანტა ყალბი მითი, ცრუ შეხედულება იმის თაობაზე, თითქოს ბუნების სიუხვით განებივრებული, გაზულუქებული ქართველები ღვთისგან ბოძებულ მიწაზე უზრუნველად ცხოვრობდნენ და ყველაფერი იოლად მოსდიოდათ.

„ქართლის ცხოვრების ქრონიკების“ დედაარსი ავტორმა ასე მოგვაწოდა:

„როცა ამ წიგნის წერა დაეიწყე, მიზნად დაეისახე ჩვენი მეცნიერების მდიდარი მონაცემების გამოყენებით მხატვრულად მომთხრო (ხაზგასმა ავტორისაა — ე. კ.) ქართველი ხალხის ისტორიის მთავარი ეპიზოდები, გამეცოცხლებინა ჩვენი ხალხის თავდადებული, პატიოსანი შრომითა და ასეთივე თავდადებული, პატიოსანი ბრძოლების სურათები. წიგნის მიზანი ძალიან მარტივი და გასაგებია: მასობრივ მკითხველს მოუთხროს ის, რაც ჩვენს დიდ საისტორიო მეცნიერებასა და მის მონათესავე დარგებს მოუპოვებიათ. ესე იგი, ტლანქად რომ ვთქვათ, ეს წიგნი შუამავალია დიდ მეცნიერებასა და მასობრივ მკითხველს შორის“.

დიდი მიხედვრა არ ჭირდება იმის გაცნობიერებას, რომ ბატონი ვახტანგი აქ ზედმეტ მოკრძალებას იჩენს. მას საერთოდ არ უყვარდა რაიმე მოვლენის ჩარჩოებში მოქცევა და შემოთავაზებულ მარტივ სქემაში ვერც მისი ნახელავე მოთავსდება. აკაკი წერეთელიც კი ამბობდა თავის საპროგრამო ლექსში: „შუაკაცი ვარ უბრალო, ხან მიწისა ვარ, ხან ცისა“, მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით თუ რასაც ნიშნავდა ეს შუამავლობა.

ვახტანგ ჭელიძე „ქართლის ცხოვრებას“ უწოდებს „უკედაე წიგნს“ და არაერთგან აქვს აღნიშნული, რომ იგი მისი მთავარი წყარო იყო, თუმცა იქვე იმასაც მიუთითებდა — სხვა ისტორიული მასალებიც უხვად გამოიყენა. ამას იოლად ირწმუნებს ყველა, ვინც „ქრონიკებს“ გულისყურით წაიკითხავს.

თავიდანვე უნდა აღვნიშნო — ვახტანგ ჭელიძის „ქართლის ცხოვრების ქრონიკებს“ არ დაკლებია პროფესიონალ ისტორიკოსთა და მწერალთა ყურადღება, მაგრამ ჩვენი საზოგადოება, მთლიანობაში, მოუშნადებელი აღმოჩნდა, თავისი მნიშვნელობით ამ უთვალსაჩინოესი წიგნის ნამდვილი ფასი რომ გაეგო; მკითხველთა უმრავლესობას არ ეყო ცოდნა, გემოვნება და ურაპატრიოტიზმით, პროვინციული აღტყინებით მოპირთავებულ სუროგატებს მიეძალნენ. იმედია, თანდათან, ყველაფერი დალაგდება და გაირკვევა — „ქრონიკები“

ახლანდელი და მომავალი თაობების ერთ-ერთ, ყველაზე ინტერესით საკითხაუ და დიდი სარგებლობის მომტან მხატვრულ მატრიანედ აქცევა (ეისაც მიხედობის უნარი აქვს, მან იცის, დაწერისთანავე ასეთი გახლდათ). თავდაპირველად იგი ოთხ წიგნად იყო ჩაფიქრებული, მაგრამ ხუთმაც არ იკმარა. ბატონი ვახტანგი, როგორც უკვე ითქვა, ერთი წიგნის დაწერასაც აპირებდა, საამისო გეგმა შედგენილი ჰქონდა, მძიმე ავადმყოფობას რომ არ დაებრკოლებინა.

1973 წელს, როცა „ნაკადულმა“ გამოსცა „ქართლის ცხოვრების ქრონიკების“ პირველი წიგნი, ჩვენი კულტურის ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენას მე საგანგებო წერილი მიუძღვენი — „გაცოცხლებული მატრიანე“. თავიდანვე მოვიხიბლე იმის გამო, რომ მას ინტერესით წაიკითხავდა მოსწავლე და მხცოვანი მეცნიერიც, ყველა თაობისა და გემოვნების მკითხველი. ხსენებულ წერილში აღვნიშნავე:

„არიან ერები (და საკმაოდ დიდი კულტურული წარსულისაც), რომლებიც საჭიროდ არ თვლიდნენ ყოველდღიურად მომხდარი ფაქტები და მოვლენები აღვსახათ; აწყო მათთვის მოუხელთებელი წარმავლობის წამიერი ჩვენება იყო და ყოველივე დაუსრულებელი დინების ფონზე გამკრთალ აჩრდილებად ესახებოდათ. ჩვენ ამგვარ ნირვანაში ჩაძირვის უფლება არ გვექონდა; ბედმა სასტიკი ქართველების შუაგულში ტრიალი გვარგუნა და ყველაფრისთვის ფხიზლად უნდა გვედევნებინა თვალი, უნდა გეხსომებოდა — ვისგან გეჭირდა ნახმლევი თუ ნატყვიარი, ვინ კიდევ დახმარების ხელი გამოგვიწოდა.

ვახტანგ ჭელიძე თავიდანვე განსაზღვრავს ქართველი ერის დამახასიათებელ თვისებებს და მთავრის უმთავრესად, საეხებით სამართლიანად, შრომის უსაზღვრო სიყვარულს მიიჩნევს. ჩვენთვის შრომა იგივე ბრძოლა იყო, არსებობის შესანარჩუნებლად გამართული მძიმე ბრძოლა. გარდა ამისა, შრომაში ვლინდებოდა ქართველი ხალხის ნიჭი, სამყაროს გაგების განუყოფელი უნარი, მისი ხასიათი.

ავტორის დიდ ტაქტზე მეტყველებს ის გარემოება, რომ არსად მინიშნებულაც კი არ აქვს ეროვნული განსაკუთრებულობის გრძობაზე, ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მხოლოდ ძალთა უკიდურესად დაძაბვამ და გაუტეხელობამ გადაარჩინა ჩვენი ხალხი ფიზიკურ განადგურებას. სხვანაირად ვერც გაუსწორებდა მოძაველს თვალს, ვერ გაიმართებოდა წელში ამდენი ბარბაროსის ნაჯიჯვნი სხეული“.

ვახტანგ ჭვლიძის შვერა წვდება პრეისტორიულ ხანას. აღნიშნავს ჩვენი ხალხის მიღწევებს სოფლის მეურნეობასა და მესაქონელობაში. ცხადია, არ იფიქრებს იმასაც, რომ საქართველო ძველთაგანვე ვაზის სამშობლოდ ითვლება. ჩვენმა წინაპრებმა შორეულ წარსულში სახელი გაითქვეს ლითონის დამუშავებით. ხალიბები ცივილიზაციის გარიჟრაჟზე ფლობდნენ ფოლადის გამოდნობისა და სხვა საიდუმლოს, რაზედაც ძვირფასი ცნობები შემოგვინახეს უძველესმა წყაროებმა და ანტიკური ხანის პოეტებმა. მრავლისმთქმელი, არაერთი ფიქრის აღმძვრელია ვახტანგ ჭვლიძის გონებამახვილური დაკვირვება არქაულ ქართულ მითოსზე, ამირანის შემორჩენილ პოეტურ ნამსხვრევებზე, მჭედლების ხელობაზე რომ მიგვანიშნებს.

დიდი ესპანელი პოეტი ანტონიო მანადო ხშირად წერდა ლიტერატურაში დამკვიდრებულ უძველეს ხატ-სიმბოლოებზე, მათ შორის, ცეცხლზე და მასთან დაკავშირებულ მოვლენებზე. ძალზე საყურადღებოა მისი მოსაზრება, რომელსაც ლიტერატურათმცოდნე ა. მიროლიუბოვა გადმოსცემს: „შე და ცეცხლი ნიშნებია ჩასახვის, შემოქმედების, მაგრამ სტიქიურის, ამბივალენტურისა; სამაგიეროდ, გრდემლი ანდა ქურა, თუმცადა მათ ძველთაძველი კავშირი აქეთ ცეცხლთან, მაგრამ ესაა დამორჩილებული ცეცხლი, რომელიც ექვემდებარება ქმნადობას და, ამდენად, სულიერი შემოქმედების სიმბოლოებია“.

ვახტანგ ჭვლიძე იმიტომაც შეჩერდა საგანგებოდ ქართველი ტომების წვლილზე ლითონის დამუშავებაში, რომ ეს მოვლენა, იმ უშორეს დროში, კულტურის საკმაოდ მაღალ საფეხურზე ყოფნის მიმანიშნებელია.

საქართველოში, უძველეს ქრისტიანულ ქვეყანაში, მრავალი დიდად ფასეული არქიტექტურული ძეგლია. მეტად შთაბეჭდავია ვახტანგ ჭვლიძის შეხედულებანი კლდეში გამოკვეთილი ქალაქის — უფლისციხის ნაშთებზე. მატერიალური კულტურის გარდა, ყურადღება გამახვილებულია ჩვენი ქვეყნის სულიერ საგანძურზე, უძველეს ქართულ მწერლობაზე.

„ქრონიკების“ ავტორი ხანგრძლივად ჩერდება ჩვენი ისტორიის საკვანძო პერიოდებზე, მთელი სისრულით წარმოსახავს ჩვენი დიდი მეფეების (ფარნავაზი, ვახტანგ გორგასალი, ბაგრატ დიდი, გიორგი ბრწყინვალე და სხვები) ბრძოლას საქართველოს გასამთლიანებლად და მრავალრიცხოვანი მტრების შემოტევებისგან დასაცავად. თავის დროზე, ბუნებრივია, განკერძოებული ადგილი ეთმობა საქართველოს

მეფეთა შორის უდიდესსა და უგონიერესს, დავით აღმაშენებელს, რომელიც მსოფლიოს ნებისმიერ სახელგანთქმულ მონარქს დაუდგებოდა გვერდით. ასევე ღირსეულადაა წარმოდგენილი თამარის ეპოქა, როცა კულტურას დაუდგა ჭეშმარიტი აყვავების ხანა, რომლის გვირგვინსაც რუსთაველი და მისი გენიალური პოემა წარმოადგენს. სხვადასხვა ჯურის მტერთაგან აობრებულ საქართველოს ძნელბედობა არასოდეს აკლდა, მაგრამ სელჯუკთა, შემდგომ მონღოლთა შემოსევების გამო კარგა ხნით წყველიადა დაისადგურა საქართველოში.

ყოველი თავი მხატვრული ნაწარმოებივით იკითხება, თხრობა ლაღია, ძალდაუტანებელი. ვახტანგ ჭელიძე მარჯვედ, ოსტატურად იყენებს ე.წ. „დროის მანქანას“, რომლითაც, მკითხველთან ერთად, დაუბრკოლებლად მოგზაურობს საუკუნეთა წიაღში, გარდასულ ეპოქებში და ისეთი შვერძნება გვაქვს, რომ ათასწლეულთა მიღმა ჩაეღილი მოვლენები ამჟამად, ჩვენს თვალწინ ხდება.

სხვადასხვა ჯურის მოძალადეთაგან განუწყვეტელი თავდასხმების დროს საქართველო არაერთხელ ჩაეარდნილა საშინელ განსაცდელში, იყო სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე, ბევრჯერ იდგა განადგურების საფრთხის წინაშე, მაგრამ სასოწარკვეთას არასდროს მისცემია, ქართველი ხალხი თავის თავში მუდამ პოულობდა ძალას, ფერფლისგან აღმდგარიყო, თავიდან ეშენებინა ის, რაც მტრის ხელმა დაანგრია.

თავისი არსებობის გრძელ მანძილზე, ვინ აღარ უტყვედა, იყრობდა და ძიძგნიდა ჩვენს უიღბლო, ათასგანსაცდელგამოვილილ ქვეყანას: ქიმერიელები, სკეითები, სპარსელები, რომაელები, პართელები, სასანიდები, არაბები, სელჯუკები, ხვარაზმელები, მონღოლები, ვიზილბაშები, ლეკები... სამწუხაროდ, არც ერთმორწმუნე რუსეთმა დაგვაკლო ხელი.

მარტო სახელები რომ ჩამოეთვალათ იმათი, ვინც საქართველოში სისხლის კალოებს აწყობდა და ჩვენს მამულს ხანძრების ალში ხვევდა, შემწარავი სურათი დაიხატება. ყოველ ქართველში ელდას იწვევს ჩვენი მატრიანეებიდან ცნობილ ჯალათთა ხსენება. აი, მათი ერთი ნაწილი: მურვან ყრუ, ბულა თურქი, ჯალალედინი, თემურლენგი, შაჰ-თამაზი, შაჰ-აბაზი, ალა მაჰმადხანი.

საქართველოს დედაბუდიანად ამომგდები, ჩვენი სისხლით გაუძლომელი შაჰ-აბასი „ქრონიკების“ მეხუთე წიგნში ახალგამეფებული

ილანდება, სრულიად ახალგაზრდაა, მაგრამ უკვე იგრძნობა, რამდენად ფარისეველი, ქვეშქვეშა და გაიძეერა იგი, რამდენ ბოროტებას დაატრიალებს მომავალში. გულდასაწყვეტია, რომ ვახტანგ ჭელიძეს მისი და აღა მაჰმადხანის დასრულებული პორტრეტების დახატვა აღარ დასცალდა.

ენით აუწერელი ტრაგედიები დაატყდა თავს საქართველოს მეოცე საუკუნეში და ოცდამეერთე საუკუნის გარიჟრაჟზე. ისევ დადგა სისხლის ტბები; არ დაგვკლებია ხერეტა, დაბოძბვა, ნგრევა, ყაჩაღობა, ხანძარი, საღისტური მკვლელობები, მამაპაპური მიწების წაგლეჯა და იქ ჩვენი სახსენებელის მოსაზობა, დაუნდობელი ჟღერა. აუცილებელია ყოველივე ეს რაც შეიძლება მალე, ყოველგვარი შელამაზების გარეშე ასახოს ჩვენი ისტორიკოსების დღევანდელმა თაობამ, დახატოს როგორც ქვეყნის დამღუპველი შინაური მოღალატეების, ასევე გარედან მოსული სეავეების მართალი სურათები, მსოფლიოს სამსჯავროზე გაიტანოს მათი ამაზრზენი დანაშაულებანი.

საქართველოს მიერ გადახდილ სისხლისმღვრელ ბრძოლებს როცა ძირისძირობამდე ეცნობოდა, ვახტანგ ჭელიძეს ჩვენს ბედში მყოფი სხვა ერებიც აგონდებოდა; ქართველობაში ძველი სიამაყე, მხედრული სული რომ გაედვიძებინა, თავისი ეპოპეის მეორე წიგნში მან გმირი შოტლანდიელი ხალხის ერთი ძალზე ღრმამაზროვანი, შთამბეჭდავი ლეგენდა გაიხსენა. იმ ლეგენდის შუაგულში რეალური პიროვნების, მეფე-სარდლის რობერტ ბრუსის შეუდრეკელი სახე ანათებს. იგი მუდამ წინ მიუძღოდა შოტლანდიელებს, როცა ინგლისელები მათ დასაპყრობად მოემართებოდნენ. შოტლანდიელებს უჭირდათ მოზღვავებულ მტერთან გამკლავება და ზედიზედ მარცხდებოდნენ, ბოლოს კი ინგლისელებმა თითქმის მთლად გაჟლიტეს მეღვარი შოტლანდიელები. მათმა წინამძღოლმა ძლივს გაარღვია ტყის ალყა და დაბურულ ტყეში ქოხს შეაფარა თავი. ბრუსი საგონებელში იყო ჩაყარდნილი, აღარ იცოდა, რა ეღონა ქოხის კუთხეში უნდილად მიგდებულს. წარმოიდგინა, რას დამართებდა გათავხედებული მტერი უმწეო მოსახლეობას, რა დამცირება და განადგურება ელოდა მის ხალხს. დაკარგა რწმენა და სურვილი, ისევ შეგროვებინა ლაშქარი მტერთან შესაბამელად. აქ კი მან იხილა საკვირველი სურათი, რამაც თვალის დახამხამებაში შესცვალა მწუხარებისგან დათრგუნული მეფის უმძიმესი განწყობილება:

„სიძველისაგან ჩამომპალ ისლის სახურაეში ჩამავალი შხის სხივებს შემოეჭვრიტა. ერთი ობოლი სხივი ობობას ბუდეს მისწვდომოდა. ობობა ქსელის ერთ კუთხეში მიყუყულიყო. მეფემ ანგარიშიუცემლად ასწია ჯერ ისევ ხელში შერჩენილი მახვილი და ობობას ქსელი დაუშალა. გავიდა ცოტა ხანი და შენიშნა, რომ ისევ გაუბამს ქსელი და ისევ კუთხეში მიყუყულა ობობა. ბრუსმა ახლაც თავისდაუნებურად ასწია მახვილი და კვლავ ჩამოუშალა. ხოლო როცა მესამედაც გააბა ობობამ ქსელი, მეფე უკვე დანიტერესდა. წამოჯდა. და ალბათ ახლა გაუელეა იმ ბედნიერმა ფიქრმა. ახლა უკვე აქეთკენ მოიძართა მისი არეული გუნება. კიდევ ჩამოშალა ქსელი და გაფაციცებით დაელოდა. შეკყურებდა, როგორი დაუღლეელი მონდომებით გრიალებდა ობობა... მეოთხედაც გააბა, მეხუთედაც, მეექვსედაც...

ხოლო როცა მეშვიდედაც გააბა ქსელი, მეფეს უკვე გაკვირება აღარ ეტყობოდა. მას უკვე ბედნიერი გადაწყვეტილების სხივი უნათებდა სახეს.

თუკი უსუსური მწერი ზედიზედ შეიდი ღამარცხების შემდეგ მაინც გაუტეხელი სულითა და იმედით შეუდგა საქმეს, მე რაღა ღმერთი გამიწყრაო. და მტკიცე ნაბიჯით გამოვიდა ქოხიდან.

გადამწყვეტი ბრძოლა შოტლანდიელმა ხალხმა მოიგო.

ეს იყო ისტორიაში კარგად ცნობილი ბანოკბერნის ბრძოლა“.

ვახტანგ ჭვლიძეს სიტყვის მასალად, მარტოოდენ სამკაულად არასოდეს არაფერი მოაქვს. უკომენტაროდ, განყენებულ არაკად არც ამ ამბავს ტოვებს, თავისი ტანჯული ქვეყნის სვე-ბედს უკავშირებს, შეფარულ ქვეტექსტს თავადვე გვაწვდის, დამაჯერებლად, ბრძნულად ახსნილს:

„ეს ლეგენდაა, ლამაზი შოტლანდიური ლეგენდა. მაგრამ მართლაც რომ მომხდარიყო ასეთი რამ, ჩვენ მაინც ისე უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ეს შემთხვევა უბრალო ბიძგი იყო. დიდი ისტორიული მოვლენები ასე უბრალოდ და შემთხვევით არ ხდება. მთავარი ფაქტორი, რამაც გატანჯულ ხალხს ისევ ააღებინა იარაღი გადამწყვეტი ბრძოლისათვის, ამ ხალხის გაუტეხელი სული იყო, მონობისადმი შეურიგებლობა, თავისუფლების სიყვარული.

მით უფრო მტკიცედ შეგვიძლია ესა ვთქვათ ჩვენს ხალხზე, რომელიც სხვადასხვა მტრის განუწყვეტელი შემოსევის, რბევისა და განადგურების მიუხედავად არა ტყდებოდა და მტერს მუდამ მედგრად

ხედვობდა. ამით აიხსნება საარაკო შეუპოვრობა, რაც ქართველმა ხალხმა თავისი ისტორიის იმ გრძელ მონაკვეთზე გამოიჩინა“.

ცოცხალი რომ ყოფილიყო, პირში რომ სული დგმოდა, ერთიანად შეძრულ ბატონ ვახტანგს საქართველოს ამჟამინდელ კომმარულ მდგომარეობაში კვლავ და კვლავ გაახსენდებოდა ეს გაუხუნარი შოტლანდიური ლეგენდა. უკიდურესად დაუნდობელი და ხარბი, მიწით გაუმაძღარი ჩენი ჩრდილოელი მეზობელი ვერასგზით ვერ შერიგებია საქართველოს დამოუკიდებლობას, უმოწყალოდ ბომბავს და ხოცავს მშვიდობიან მოსახლეობას, ჩენს ქალაქებსა და სოფლებს; ადრე შემოგვესია ჩრდილოკავკასიელ, კაცის კელაში გაწერთსილ ბანდებთან ერთად, წაგეართვა შიდა ქართლი, აფხაზეთი... ახლაც გაუთავებლად ჯიჯგნის, სისხლისგან წრეტს საქართველოს. მარტო პასიური დაგმობა გათაეხედებულ, მძარცველ ბარბაროსებს ვერ შეაჩერებს. ამის მოთმენა და ატანა შეუძლებელია. სანამღე უნდა ვიყოთ სასწაულის იმედზე?!

ვახტანგ ჭვლიძე ნაბიჯ-ნაბიჯ, ფხიზელი თვალით, მიუკერძოებლად მიჰყვება ისტორიის ხვეულებს, სულიერი კმაყოფილებით, დიდი სიამაყით წარმოაჩენს გმირთა სახეებს, მაგრამ არც მოღალატეთა შავბნელი ნამოქმედარის მხილებას ერიდება.

„ქრონიკები“, როგორც უკვე ვთქვით, ოთხ წიგნად იყო ჩაფიქრებული, მაგრამ მასალის სიმრავლემ და საეციფიკამ მუშაობის პროცესშივე მიახვედრა ავტორი, რომ დამატებით კიდევ ორი წიგნი უნდა დაეწერა, მაგრამ მხოლოდ ერთის, მეხუთეს დაწერადა მოასწრო. მას დართული აქვს მოზრდილი ანოტაცია, რაც წარმოდგენას გვიქმნის წასაკითხი თავების შინაარსზე. იქვე მოხაზულია ქრონოლოგიური მიჯნები ბოლო, საეარაუდო წიგნისა, რომლის დაწერა, ჩვენდა სამწუხაროდ, ვახტანგ ჭვლიძემ ვეღარ შეძლო. იგი სიდიდითაც და დრამატიზმითაც, ალბათ, აღმატებული იქნებოდა წინა ტომებზე. აი, ეს ანოტაციაც:

„მეხუთე წიგნში მოთხრობილია სამი საუკუნის ამბები — 1289 წლიდან, როცა მონღოლებმა დიმიტრი მეორეს მოკვეთეს თავი, 1500 წლამდე, ოსმალთაგან სიმონ პირველის შეპყრობამდე, რომელმაც ტყვეობაში დალია სული. მეტად დრამატულია ეს დრო ქართველი ხალხის ცხოვრებაში. დიმიტრი თავდადებულის ძის, გიორგი ბრწყინვალეს ეპოქას, როცა მონღოლთა ბატონობა დაემხო და ქართველი ხალხი ახალი ძალით შეუდგა ქვეყნის აღორძინებას, მალევე მოჰყვა ჯერ თემურლენგისა და შემდეგ შაჰ თამაზის

შემოსევები... ყველაზე საეკლალლო კი ქვეყნის დაქუცმაცება — სამეფოებად და სამთაეროებად დაყოფა გამოდგა, ქვეყანა სრული გადაგვარებისა და გაქრობის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა... ქართლის გმირმა მეფეებმა ლუარსაბ პირველმა და სიმონ პირველმა მოახერხეს დაერაზმათ ხალხი და თავდადებული ბრძოლებით ქვეყანა განადგურებისგან ეხსნათ...

ეს ამბები დაწერილებით არის მოთხრობილი წიგნში.

როგორ წარიმართა ამის შემდეგ ჩვენი ხალხის ცხოვრება, ამას მკითხველი „ქართლის ცხოვრების ქრონიკების“ ბოლო, მეექვსე, წიგნიდან გაიგებს, სადაც მოთხრობილი იქნება ამბები 1600 წლიდან 1801 წლამდე“.

სწორედ ეს ბოლო წიგნი დარჩა განუხორციელებელი.

ვახტანგ ჭელიძე, ჩვეულებისამებრ, უხვად იყენებს სანდო პირველწყაროებს, როცა ერთობ ცხადად, თვალთ მხილველივით აღწერს სამარყანდის მრისხანე მბრძანებლის, ნახევარი მსოფლიოს დამლაშქრავის, თემურლენგის შემოსევებს საქართველოში, მაგრამ ჩვენ მათზე არ შევიჩრდებით, ზოგ რამეს ვიტყვი უშიშარი, ხმალჩაუგებელი ქართლის მეფის ლუარსაბ პირველის ღირსეულ მემკვიდრეზე, სიმონ მეფეზე, რომელიც მთელი სიცოცხლე დაუცხრომლად იბრძოდა და ორ ვეშაპს, ირანსა და თურქეთს შორის მოქცეულმა ბევრი რამ გააკეთა, რათა ქვეყანა ფიზიკური განადგურებისგან ეხსნა.

1556 წელს, ყიზილბაშებთან შეტაკების შემდეგ დაღუპული ლუარსაბის ნაცვლად (ახდა მისი გრძნეული, საბედისწერო სიზმარი), მეფედ, შშობლის ანდერძის თანახმად, ცხრაშეტი წლის სეიმონ პირველი აკურთხეს. ახალგაზრდა მეფემ, უპირველეს ყოვლისა, ყიზილბაშებისგან თბილისის გასათავისუფლებლად მიმართა მთელი თავისი ძალისხმევა და მის მონდომებას ამაოდ არ ჩაუვლია. სახელოვნად, შეურცხვენლად განელო ტანჯვითა და ბრძოლით აღსაესე გზა. ერთხელ, ყიზილბაშებთან შერკინებისას, აზნაურ კახაბერ ყორღანაშვილის ღალატის მეშვეობით (მან დაანახვა მომხდურებს მეფე და მისი მცირე რაზმი) სეიმონი შეიპყრეს და ყაზვინში მიჰგვარეს საქართველოს დიდ მტერს, შაკ-თამაზს. შაკი პატივით მოეპყრა სეიმონ მეფეს, ბევრი ეცადა, მისთვის მაჰმადის რჯული მიეღებინებინა, მაგრამ რაკი კეთილშობილი ტყვე ვერ მოდრიკა, ალაშუთის პირქუშ ციხეში გამოამწყვდია, სადაც სეიმონმა ცხრა წელიწადი დაჰყო.

გათავისუფლებულიც, ოსმალეთის შეურიგებელ მოწინააღმდეგედ დარჩა. სიმამაცე და გამჭრიახობა ნამდვილად არ აკლდა. მის დიდ სტრატეგიულ ნიჭზე მეტყველებს ალება ძლიერად გამაგრებული გორის ციხისა, რომელსაც მანამდე ცხრათვიანი ალყა შემოარტყა. სამწუხაროდ, ასეთი ვაჟკაცი ზოგჯერ გაუმართლებელ სიჯიუტეს იჩინდა, ჭკვიანურ რჩევებს ყურს არ უგდებდა (თრიაქის წევას იყო მიჩვეული და, ეტყობა, ამნაც წაუხდინა ზნე). უთხრეს, სულთანის სარდლის, ჯაფარ-ფაშას, უზარმაზარ ლაშქარს პირისპირ არ შეებოდა. არ დაიშალა. მერე მისი ცხენი ტალახში ჩაეფლო. ერთმა გადაჯიშებულმა ქართველმა, გვარად ბარათაშვილმა, უღალატა. მეორედ შეიპყრეს და დატყვევებული ჩაიყვანეს სტამბოლს, იედიკულეს ციხეში დაამწყვდიეს, საიდანაც ცოცხლად გამოსულა აღარ ეწერა. მისმა შვილმა, გიორგიმ, ყველაფერი იღონა, სულთანს აუარებელი გამოსასყიდი ჩაუტანა, მაგრამ მამამისი ციხეშივე გარდაიცვალა. როგორც იქნა, გამწარებულმა შვილმა დაინარჩუნა მამის ცხედარი და იგი ლუარსაბის გვერდით დაკრძალეს მცხეთაში.

ოსმალების ბატონობას საქართველში უამრავი ბოროტება ახლდა, მაგრამ ერთი, ყველაზე ამაზრზენი, ტყვეების გაყიდვა იყო. სტამბოლისა და სხვა ბაზრებზე ათასობით გაჰყავდათ უღამაზესი ქართველი ქალ-ვაჟები, უპირატესად ახალგაზრდები. შემოსავლის წყაროდ გადაქცეულ ამ სამარცხვინო საქმეში დაუფარავად მონაწილეობდნენ, ხელს ითბობდნენ ქართველი მთავრებიც, ჩვენი დიდგვაროვნები. „ქრონიკების“ მეხუთე წიგნში ამ მოვლენის გამო ვკითხულობთ: „ეს იყო ყველაზე საშინელი უბედურება, რაც საქართველოს აქამდე დასტყდომოდა. გარდა იმისა, რომ ქვეყანა სისხლისგან იცლებოდა, მას გამუდმებით აკლდებოდა ყველაზე ჯანსაღი ნამატი მოსახლეობის — გამრავლებისა და კეთილდღეობის მთავარი წყარო. ეს იყო აგრეთვე მორალური გადაგვარების საშინელი გამოვლინება. დიდი ეროვნული უბედურება“.

ვახტანგ ჭელიძე მუდამ განსაკუთრებულად მგრძნობიარე იყო სტილის მიმართ. იგი მოუხიბლავს „მესხური მატიალის“ ერთ ადგილს, სადაც „მუხრან ბატონიშვილების მესამე თაობის წარმომადგენლის“, ბავშვობიდან უდედმამოდ დარჩენილი, ათაბაგის სასახლეში მამიდის მიერ გაზრდილი ახალგაზრდა ერეკლეს განსაცვიფრებელი მეომრული შემართება აღწერილი. ლალა-ფაშას გამოგზავნილ დიდ ლაშქარს ამოუვლია ქართლი, იმერლების ჯარი ამოუწყვეტია და ამის მერე

შებრძოლებია მათ ჭაბუკი მუხრან-ბატონი. მართლაც უჩვეულო ექსპრესიითა და საგრძნობი სიამაყითაა დახატული მტერთან ეს თავდაუზოგავი შერკინება:

„მეორედ ერეკლე დაემწყუდია შიგა ომში, პატრონის არჩილის შვილი და მას გაემუარჯუა, უცხოფრად შებმულიყო, ცხენი ქუეშ გამოეკლა მისთვის; თექუსმეტი მუზარადს კქონდა ნაკრავი ისარი, ორმოცამდი ჯაჭუს და ვერც ჯაჭუი და ვერც მუზარადი ვერ გაეკუეთა. ერთი ხრმალი ხანჯარს სცემოდა; ხანჯარის ტარი ზედ დაეჭირა; ექუსი ახნაურიშიელი მძიმედ დაუჭრეს, დაუკოდეს, გამარჯუებაი ერეკლეს დარჩა; გამოაქციეს თათარნი, უფროსი — ერთანი დახოცეს და ამოსწყუიტეს“.

დიდებულია ვახტანგ ჭელიძისეული უმაღლესი შეფასება ამ ნაწყევტისა, მაგრამ მას გული სწყედება; ისტორიული ძნელებდობის, ქაოსის გამო, ჩვენთვის უცნობი რომ დარჩა ასეთი სწორუბოვარი რაინდის შემდგომი ზეღარი. ზედმეტი არ იქნება, აქვე ეს მარჯვე დაკვირვებაც ამოვიწეროთ:

„სიტყვაძუნწი მემატთანე ისე აღუფრთოვანებია ახალგაზრდა კაცის გმირობას, რომ ამჯერად ლალატობს ქრონიკის სტილს: ზედავთ, როგორ ცოცხლად და დინამიურად გვიხატავს გაათურებული ბრძოლის სურათს, თითქოს თვალნათლივ შექყურებდე. ამკარად ჩანს, რომ ქართველთა იმ ბრძოლის სულისჩამდგმელად ეს ჭაბუკი მიაჩნია. სწორედ ის ტრიალებდა გორგალივით ომის ცეცხლში. ცხენი გამოუკლეს, ისრების სეტყვა დააყარეს, შუბებითა და ხმლებით ეკვეთნენ, მაგრამ ვერ შეაჩერეს მტერთა სამკედრო-სასიცოცხლოდ შებმული ჭაბუკი. სიტყვაც რა მარჯვედ შეურჩევია მემატთანეს — „უცხოფრად შებმული“. მამისგან მოსდგამდა დაუღვრომელი სული. აკი საგანგებოდ აღნიშნავს მემატთანე, რომ სწორედ მამამისი არ აძლევდა მოსვენებას თბილისში დაბანაკებულ ყიზილბაშებს, ყველაზე თავგანწირულად იგი „ეკირთებოდა“ მტერს...“

სამწუხაროდ, კვალი ამ მამაცი ჭაბუკისა აქვე იკარგება. ჩვენ აღარ ვიცით მისი შემდგომი ბედი. წყაროებს აღარავითარი ცნობა აღარ შემოუნახავთ. ძნელი წარმოსადგენია, არ ყოფილიყო რაღაც ცნობა, მაგრამ დაიკარგა, ჩვენამდე ვერ მოაღწია“.

ბატონ ვახტანგს გულში ხინჯად კქონდა ჩარჩენილი, რომ „ქართლის ცხოვრების ქრონიკების“ ცალკეული თავები ადრე ვერ დაასათაურა და ამის გაკეთებას სამომავლოდ აპირებდა. დარწმუნებული ვარ, მისებურად, მოხდენილად შეარჩევდა სათაურებს და

იქვე, განსხვავებული შრიფტით, მთავარ მოვლენებსა და ფაქტებს მიუწერდა, რაც მკითხველს დააკვალიანებდა, წიგნით სარგებლობას, საჭირო ცნობის თუ ეპიზოდის მიგნებას გაუადვილებდა.

ხშირად გაიგონებთ და წაიკითხავთ, რომ მრავალსაუკუნოვანი არსებობის და განვითარების მანძილზე ქართულ ენას არსებითი ცვლილებები არ განუცდია და ძველი ლიტერატურული ძეგლები, მათიანეები დღევანდელი ქართველისთვის ისევე ხელმისაწვდომი და გასაგებია, როგორც ჩვენს შორეულ წინაპრებს ესმოდათ. ეს მთლად ასე არ გახლავთ. უთუოდ სწორად მოიქცა ვახტანგ ჭვლიძე, რომ ჩენი დიდი წარსული (მოგეხსენებათ, იგი უამრავ წყაროსა და სპეციალისტთა ნაშრომებს ეყრდნობოდა, მაგრამ სამეცნიერო აპარატით, სქოლიოებით, უცხო ტერმინებით თავისი „ქრონიკები“ არ გადაუტვირთავს), საქართველოს ძნელი, გმირულ-ტრაგიკული, მრავალფეროვანი ისტორია ასე სადად, ხატონად, ყველასათვის გასაგებად რომ მოგვითხრო. თანაც მის ენას ლექსიკური სიმდიდრე და ლაზათი, მოქნილობა რომ არ აკლია, ამას ყველა გონიერი მკითხველი მიხედება.

ვახტანგ ჭვლიძის დარჩენილი ჩანაწერები (მათი დიდი უმრავლესობა მოგონებათა წიგნისთვის იყო განკუთვნილი) ცალკე ტომში შევა მემუარების იმ დასრულებულ თავებთან ერთად, რომელთა დაწერაც მან მოასწრო. საჭიროებისდა მიხედვით კომენტირებული ჩანაწერები, ბუნებრივია, თემატურად დალაგდება და, შეძლებისდაგვარად, გამთლიანდება.

ყოველივე ეს შეადგენს ბატონი ვახტანგის დოკუმენტურ პროზას (ბიოგრაფიული რომანი „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“ სხვა ჟანრის ნაწარმოებია) და, ამდენად, ხსენებულ ტომს საგანგებო წერილი უნდა დაერთოს.

წინამდებარე ლიტერატურულ პროგრეტში მაინც საჭიროდ ჩავთვალე, ზოგიერთ საყურადღებო ჩანაწერზე მეთქვა რაიმე, რათა მკითხველს საარქივო მასალებზე გარკვეული წარმოდგენა შექმნოდა.

ბატონ ვახტანგს ბევრი ისეთი მოსაზრება აქვს ჩანიშნული, თითოეულ ჩვენგანს გზის გამკვლევადა, სახელმძღვანელოდ რომ

გამოადგება; პაწაწინა, ხელისგულისსიფართო ფურცლებზე ჩვენ გვესაუბრება დიდად ნაკითხი, ცხოვრების გამოცდილებით დატვირთული, უამრავი რამის მომსწრე და განმცდელი ბრძენკაცი, რომელმაც იცის, რისგან რა გამოარჩიოს. როგორ უნდა იქნეს მიღწეული საბოლოო მიზანი, კერძოდ, „ღეთაებრივი უბრალოება“, ეგზომ სანატრელი კეთილშობილი, დარბაისლური სისადავე, რაც ნამდვილი მწერლობის, საერთოდ, ხელოვნების ყველა დარგის უპირველესი საზრუნავი, უტყუარი ნიშანი და საზომია. ბატონი ვახტანგი შეგვახსენებს დიდი ვაიძარელის მიერ საგანგებოდ გამოყოფილ ოთხ ფაზას, დაოსტატების გზაზე დამდგარმა მწერალმა რომ უნდა გაიაროს, რათა ბოლოს საწადელს ეწიოს, სულიერი კმაყოფილება იგრძნოს.

ყური დაუვგდოთ ჩვენს დინჯ, გაწონასწორებულ, ყოველგვარი აე-კარგის გამგებ ბრძენკაცს, ვინც მუდამ ცდილობდა „ოქროს შუალედისთვის“ მიეგნო, ჭეშმარიტებას ჩასწვდომოდა და უკიდურესობას, გადამლაშებას — ზომიერების გრძნობას მოკლებულთა ნაკლად, მდარე გემოვნების გამოვლინებად მიიჩნედა. ვახტანგ ჭვლიძე წერს:

„შემოქმედმა (ყოველი დარგის შემოქმედმა) ბევრი უნდა იშრომოს და ოფლი ღეაროს. ისე ვერაფერს მიაღწევს. უშრომლად და ოფლის უღერელად დიდებული არაფერი შექმნილა ქვეყანაზე. მაგრამ ისე უნდა ღეაროს ოფლი, რომ ოფლის სუნი არ დაჰკარავეს მის ქმნილებას. ესე იგი, შენ ვერ უნდა გრძნობდე, რომ ამ კაცს ოფლი უღერია. პირიქით, ისეთი გრძნობა უნდა გქონდეს, სულ იოლად და უწვალებლად არის შექმნილიო. ასეთ შემოქმედებას აქვს მადლი. ბევრჯერ მინახავს ასეთი მსახიობი — საქვეყნოდ აღიარებული და სახელმოხვეჭილი, მაგრამ ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ოფლის სუნი მცემს-მეთქი.

იხილეთ მოცარტის წერილი მამისადმი („ჩემს მუსიკას რომ ისმენ, არ გგონოს, ასევე ლაღად და უწვალებლად დამეწეროს — ვერც კი წარმოიდგენ, რა ტანჯვით და წამებით ვწერ...“).

სასურველი სისადავე და სილაღე-სწელი მისაღწევია...

გოეთე სწორედ ამაზე ამბობდა:

ჯერ წერენ მარტივად (ანუ უბრალოდ) და ცუდად, მერე რთულად და ცუდად, ამის შემდეგ რთულად და კარგად, და, საბოლოოდ, მარტივად და კარგად... სწორედ ეს მეოთხეა ძნელად მისაღწევი არა მარტო მწერლობაში, არამედ ხელოვნების ყველა დარგში“.

ბატონი ვახტანგი მუდამ იმ აზრისა იყო, რომ პატივმოყვარეობისგან გაფუყულ, ხელოვნურად განდიდებულ მწერლებს სისადავე ნაკლებად იზიდავთ და ისინი მეორე ფაზაზე რჩებიან.

ერთ ციციქნა ფურცელზე გოეთეს „ფაუსტის“ ცნობილი სტრიქონი (რამდენადმე თავისუფლად თარგმნილი) ჩაუწერია და იქვე თავისებურად ხსნის ამ ნათქვამის უღრმეს აზრს, უმაღლესი პოეზიის ნათელში რომაა გახვეული:

„შედექი, წამო! შენ ისეთი ძვირფასი ხარ!“

ამ წამის შეჩერება მართლაც არ შეიძლება, დრო ულმობლად გარბის. ამასვე გულისხმობს გოეთე. მაგრამ ის წამი (აწ უკვე სვედაგარეული) მაინც ცოცხლად რჩება ადამიანთა მოგონებაში და უბედურია კაცი, ვისაც ამის განცდის უნარი არა აქვს“.

ცხადია, იმის თქმაც შეიძლება — მსოფლიო შედეგები სწორედ ასეთ შეყოვნებულ, დატყვევებულ უმშვენიერეს წამთა კრებულია, სამარადჟამოდ შეკრული და გამთლიანებული, რომლებსაც ვერაფერს აკლებს დროის დინება.

დროის ულმობელ, შეუჩერებელ სროლას, ყოველი მუცლით ნაშობის მსგავსად, ვახტანგ ჭელიძეც მწვავედ, მტკივნეულად განიცდიდა. მას, ცხადია, ახსოვდა სევდიანი ქართული გამოთქმა: „ორი პარასკევი დამრჩენია“. გარდა ამისა, მრავალი წლის განმავლობაში რედაქტორობდა ამჟამად, ჩვენდა სამწუხაროდ, გაუქმებულ „ლიტერატურულ საქართველოს“, რომელიც პარასკეობით გამოდიოდა და მუდამ ველოდით ამ დღეს. პაწია ჩანაწერში, სადაც დროის სწრაფ დინებაზეა ჩივილი, სწორედ „პარასკევი“ ფიგურირებს: „ასმანეთიანს რომ დაახურდავებ და მოიხედაე, აღარაფერი შვგრჩება, მაშინვე შემოგადნება ხელში. კეირაც (неделя) ასეა — ერთ პარასკევს რომ გააგორებ, მოიხედაე და მაშინვე მეორე მოსულა.“ რაოდენ ნაცნობია ყველა ჩვენგანისათვის ეს განცდა!

წიგნზე გადაგებული, წიგნის უსაზღვროდ მოყვარული კაცი იყო. სულით ხორცამდე ლიტერატორს, შორეული წარსული, ისტორიული ამბებიც განსაკუთრებულად იზიდავდა. ამის ანარეკლია საგულისხმო ჩანაწერი, რომლის გამოყენებასაც, ალბათ, სამომავლოდ აპირებდა:

„ინგლისელები სამაგიდო წიგნს უწოდებენ Bedside Book-ს. რიო, კომეროსის ორივე პოემის ინგლისურად — პროზად — მთარგმნელი წერდა (ალექსანდრე მაკედონელზე): „Alexander the Great took him a bedside book adventurous cameings (ლაპარაკია ილიადაზე). [„ალექსანდრე დიდს ლაშქრობებში თან დაჰქონდა იგი (იგულისხმება

კომეროსის „ილიადა“), როგორც სამაგიდო წიგნი“].

აქ ძალზე მნიშვნელოვანია ბატონი ვახტანგის მინაწერი, სადაც პარალელურად გაველებული ჩვენს სახელოვან მონარქთან — „საოცარია: დავით აღმაშენებელსაც ხომ ბრძოლების დროს თან დაჰქონდა წიგნები!“

ზედმეტია თქმა იმისა, თუ მუსიკის რა ფანატიკური მოყვარული, როგორი მელომანი იყო ბატონი ვახტანგი. შეეძლო საათობით ელაპარაკა თავის საყვარულ კომპოზიტორებსა და მომღერლებზე. როგორც აღვნიშნეთ, მის არქივში ბევრი ასეთი ჩანაწერია დიდ-პატარა ზომის ქაღალდებზე. ერთი მათგანი, სადაც იგი თავის აღტაცებას ვერ ძალავს მუსიკის ორი ღმერთკაცის მიმართ, მინდა ხილად იგემოს ამ პორტრეტის წამკითხველმა, რადგან აქ თვით მისი ხატიც თვალნათლივანა წარმოჩენილი. შთაბეჭდილება თითქოს ერთ ამოსუნთქვას ამოჰყვაო:

„საოცარია შოპენის „ვარიაციები“ „ღონ ჟუანის“ თემაზე — სიხარულითა და სიყვარულით აღგავსებს. შოპენი მოუჯადოებია მოცარტის ჭეშმარიტად ღეთაებრივ მელოდიას, და როგორ ეალერსება, როგორ ეფერება! — როგორც სატრფოს, მეობარს, საყვარულ ქმნილებას. ველარ შორდება, იმეორებს და იმეორებს, თავად უკვირს და სურს, რომ თქვენც გაგაკვიროთ, თქვენც განგაცდევინოთ არაამქვეყნიური ჰანგი. ოპერაში ამ მელოდიას 3-4 წუთი უჭირავს, შოპენი კი ვერა და ვერ ელევა, მთელი ოცი წუთი უკრავს და გასმენინებს, მისი ალერსით არ იღლება, გული ვერ უჯერებია... გაოცებულად არის ამ მელოდის სილამაზით, აღტაცებულად, მოხიბლულად... თითქმის შურს კიდევ კეთილი შურით, სინანული მოძალებია, რომ სხვამ დაასწრო, პირველმა სხვამ გაიგონა ღმერთისაგან ასეთი დიდებული მელოდია, რასაც თვითონაც უსათუოდ მოისმენდა, რომ არ დაესწროთ... იმეორებს, ეალერსება და გრძნობთ, რომ არა სწყინდება. და როცა ისმენთ, არც თქვენ გწყინდებათ. ოპერის ეს მონაკვეთი (ცერლინასა და ღონ ჟუანის დუეტი) რომ რამდენჯერმე მოისმინოთ ასეთივე სიხშირით, იქნებ მოგწყინდეთ კიდევ, აქ კი პირიქით, თქვენც გათრობთ და გაჯადოებთ მელოდის სილამაზე, მაღლდებით, ცისკენ მიიწევთ... აქ ორი გენიის ბედნიერი შეხვედრა... მოცარტს რომ მოესმინა ეს „ვარიაციები“, ალბათ სიხარულის ცრემლები მოერეოდა. მუსიკოსები ბედნიერები არიან — მათ აქეთ ასეთი ალერსის უფლება. ხელოვნების სხვა დარგებში ეს უფრო ძნელია“.

აქ ის აზრია დელიკატურად შეყარული, რომ პოეტები და მხატვრები სიცოცხლეში ნაკლებად ამხნევენ ერთმანეთს, იშვიათად იმეტებენ თბილ სიტყვას. როცა ეს სტრიქონები პირველად წაეკითხე, დელაკრუას დახატული შოპენი დამიდგა თვალწინ, უმაღლესი შთაგონებით ანთებული სახე კანგებად დაღვრილი მუსიკოსისა, ვისაც „პოლონელ მოცარტს“ უწოდებდნენ. აქ სრულად გამოჩნდა ბატონი ვახტანგის შესაშური ნიჭი — მომაჯადოებელი მელოდიით აღძრულ შთაბეჭდილებათა სიტყვიერად გამოხატვისა.

ბევრგან ჩანს მუსიკის თავგადაკლული სიყვარული, მაგრამ თუკი რაიმე საბაბი ექნება, ცდილობს ყველაფერი მუსიკის სიყვარულს დაუკავშიროს. აი, ერთი პატარა მაგალითი:

„შოპენის კონცერტის შემდეგ (1842 წლის 21 თებერვალს) ერნესტ ლევიუეს დაუბეჭდავს რეცენზია, რომელშიც წერია — „შოპენში ორი პიროვნებაა: პატრიოტი და მხატვარი, ხოლო პირველის სული მეორის გენიას აგულოვნებს“.

ამაღლელებელი, ბევრის მთქმელია ბატონი ვახტანგის ერთწინადადებიანი მინაწერი: „ეს შეიძლება ითქვას ლადო ასათიანზე“. ამ აზრს შემდგომში იგი უთუოდ გაშლიდა, განავრცობდა, უფრო თვალსაჩინოს გახდიდა. შედარება სრულებითაც არ არის ნაძალადევი. ლადო ასათიანის მადლმოსილი პოეზია თავიდან ბოლომდე სამშობლოს სიყვარულით სულდგმულობდა და ამიტომაც არ დაიშურა მასზე მეგობარმა კეთილი სიტყვა.

ბევრი აქვს ნაფიქრი ქართული ხალხური სიმღერის ბუნებასა და თავისებურებებზე, გარეგან და დროისმიერ ცვლილებებს ნაკლებად რომ ემორჩილება. ჩვენი ეროვნული სული და თვითმყოფობა ყველანაშე მეთად სიმღერაში გამოვლინდა. ეს ღრმად ჰქონდა გაცნობიერებული ვახტანგ ჭელიძეს, ვინაც ქართული ხელოვნება, ქართული სიმღერის გარდა, „გაძარცულ ხახულის ხატს“ შეადარა და ამ საკვირველი, თანაც უზუსტესი შედარების არსი თავადვე ახსნა. ამას ქვემოთ ვნახავთ. აქ უნდა მოვიტანო მისი ჩანაწერის, ნამდვილი განძის, ფრაგმენტი, რომელშიც ერთმანეთს ადარებს ენასა და სიმღერას, ხოლო კერძოდ სიმღერაზე იგი ამბობს:

„მართალია, ისიც დაზარალდა — რაკილა მისი გადმომცემი ხალხი წელში გაწყვეტილი და დაკნინებული იყო, მაგრამ სიმღერა მაინც მთლიანობაში გადმოვიდა, მთელი ჩვენი კულტურა — ლიტერატურა და ხელოვნების ყველა დარგი — გაძარცულ ხახულის ხატს შეგვიძლია შევადაროთ; იგი გაძარცვეს, დასცალეს...

სიმღერა კი, რადგან ფიზიკურად ხელშეუხებელია, ვერ მოსპეს, გადარჩა, თაობიდან თაობას გადმოეცა, თუცა ალბათ ნაწილობრივ დაზარალებული, რაკილა მისი შემსრულებელი ხალხი ის აღარ იყო, რაც წინათ, მისი არსებობის უკეთეს დღეებში — ამიტომაც არის მნიშვნელოვანი ქართული სიმღერის ფენომენი. ქართული ენისა და ქართული სიმღერისა.

თუცა ენამ (ლექსიკამ) მეტი ცვლილება განიცადა. სიმღერა ვერ განიცდიდა ამდენ ცვლილებას, მისი თავისებურებების გამო (დამახასიათებელია, როგორ შეწუხებული წერს ზაქარია ფალიაშვილი, როცა საქართველოში გავრცელება იწყო გიტარამ. იგი შიშობდა, ქართული სიმღერისათვის ნირი არ შეეცვალა გიტარას).

ქართული სიმღერა ერთგვარი ექსპორტია ჩვენი მაღალი კულტუროსნობისა. ლიტერატურისა და ხელოვნების ნიმუშები ბევრი განადგურდა, ბევრში გვედავებიან უმადური მეზობლები, სიმღერა კი შეუვალა, ერთადერთია, განუმეორებელი ფენომენია. მართალია, ახლაც დაიწყეს მიბაძვა და გადაღება ჩვენი სიმღერებისა და ცეკვებისა, — რასაც უსათუოდ სჭირდება ხმამაღლა აღნიშვნა, — მაგრამ აშკარად ჩანს, რომ ის იმათთვის „უცხო სხეულია, მოურგებელია“.

უფიქრობ, აქ გამოთქმული მოსაზრებანი განსაკუთრებულად ახლობელი და ღირებული უნდა იყოს ჩვენი ძვირფასი, ამგდარი პიროვნების, ანზორ ერქომაიშვილისთვის, ვინაც ამდენი რამ გააკეთა და კვლავაც დაუღალადად იღვწის, რათა ქართულ სიმღერას მთელ მსოფლიოში ის სიმაღლე და სახელი აქონდეს, რისიც იგი ჭეშმარიტად ღირსია.

ბატონი ვახტანგი მორწმუნე კაცი გახლდათ, მაგრამ უცხო თვალი ამას ნაკლებად შეამჩნევდა. ათივე მცნების შეუვალად დამცველს, ქრისტეს მრწამსისათვის არასოდეს უღალატნია. მთელი ცხოვრება საქეტაკად გაატარა. პირადად სცნობია საქართველოს დიდი კათალიკოსი კალისტრატე ცინცაძე და გულდასაწყვეტია, რომ მასთან შეხედრა სულ რამდენიმე სტრიქონშია აღწერილი. სიონში წასულა პანაშვიდზე. პოეტი კონსტანტინე ჭიჭინაძეც იქ ყოფილა. ისიც დასანანია — უწმინდესისა და უნეტარესის ნაუბარი არ ჩაუწერია, მხოლოდ მის სენაკს აღწერს:

„კალისტრატე ერთ პაწაწინა ოთახში იჯდა. ედგა უბრალო მაგიდა და ასევე უბრალო სკამი. ოთახში ციოდა. მეზობელ ოთახში, რომელიც დერეფანივით იყო, ერთი სასულიერო პირი იჯდა, მღვდელი,

რომელიც ალბათ მდივნის მოვალეობას ასრულებდა.

ლაპარაკობდა ნელა, კეთილი თვალებით. ხშირად შემოგხედავდა ხოლმე ლაპარაკის დროს. მე მეჩვენებოდა, ხომ არ მამოწმებს, რამდენად გულწრფელია ჩემი ღვთისმსახურება-მეთქი“.

ყველაზე ხშირად, როგორც ვიცით, ბატონი ვახტანგი თავის უსაყვარლეს მასწავლებელს, სანთელივით კაცს, ერეკლე ტატიშვილს ახსენებს. მცირე ჩანაწერში აღნიშნავს, რომ მან შეუცდომლად იცოდა კაცის ცნობა, მაშინვე იტყოდა, რა სულიერიც იქნებოდაო. ერთხელ ლამაზი გარეგნობის ყმაწვილი წარუდგინეს. თვალებში შეუხედავს და მერე უთქვამს, ბოროტი სახე აქვს, ეგ კაცს მოკლავსო. სულ მალე, რამდენიმე თვეში ასრულებულა ეს სამწუხარო წინასწარმეტყველება.

გიორგი ლეონიძის რედაქტორობით გამოსულ „ლიტერატურულ მათიანეში“ (წიგნი N3-4, 1942, გვ. 39) ჩაწერილია საუკუნეს მიტანებული სხვიტორელის, ივანე ცქიტიშვილის, მონათხრობი თავის თავზე:

„აკაკი მეტყოდა ხოლმე: — შენ ისეთი თვალების პატრონი ხარ, აუცილებლად კაცი შემოგაკედებაო. მართლაც, დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, ეს სიტყვა რომ მითხრა, ცხონებულმა, შემომაკედა კაცი. მაშინ კი მითხრა აკაკიმ: — შენი ცოლ-შვილი რომ არ მებრალებოდეს, შენზე ახია, რომ გაგაციმბირონო“.

მახსოვს, ყველა ჩვენგანზე გამაოგნებელი შთაბეჭდილება მოახდინა ვახტანგ ჭელიძის მოგონებების ადრევე, „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულმა ერთმა თავმა, სადაც იგი სოფლის ამბებს იგონებს, პატარა დის მძიმე ავადმყოფობა, გარდაცვალება და დასაფლავება დამთრგუნველად, უადრესად ტრაგიკული ფერებით არის აღწერილი. ზემოქმედების მხრივ, ის ეპიზოდები ერთ-ერთი უძლიერესია, რაც კი ოდესმე წამიკითხავს. სწორედ იმ საშინელებას უკავშირდება მოზრდილი ჩანაწერი, სადაც მოთხრობილია, ყმაწვილი, თექვსმეტიოდე წლის ვახტანგი როგორ გააგზავნა უფროსმა ძმამ სკოლაში, რათა დირექციისათვის ეს უბედურება (დის გარდაცვალება) შეეტყობინებინა. ცხადად ვხედავთ — რა განსაცდელი გამოუვლია ავჭალაში წასულს, რამოდენა შიში და სიმწარე ჩარჩენია გულში:

„დაი რომ მოკვდა (ეს იყო 1933 წლის 12 მარტს), ჩემმა ძმამ ავჭალაში გამაგზავნა, სადაც იგი მასწავლებლობდა. წერილი გამატანა თავის სკოლაში, ასეთი უბედურება დამემართაო. მე ავჭალაში ჩამოვხტი და ზემო ავჭალამდე ფეხით წავედი. ახლაც მახსოვს ზემო

აეჭალოს სკოლის ლამაზი შენობა და ასევე ლამაზი ეზო. იქ დიდი თანაგრძობით შემხედნენ; ეს იყო და ეს, ამიტომ გამაგზავნეს. რომ გამოვბრუნდი, უკვე შებინდებული იყო. მატარებელი შუალამედე და იქნებ დილამდეც არ იქნებოდა თბილისისაკენ. იქვე ორთქლმავალი იდგა. რამდენიმე მოწიფული ვაჟკაცი შემოახტა ამ ორთქლმავალს. მეც მოვახტი და თბილისში ჩამოვედით. აქ ის ბიჭები ადრევე ჩამოხტნენ და გაიფანტნენ, მე ჩამოხტომა ვერ გაებედე. როცა გაჩერდა ორთქლმავალი, ვაგზლის მილიციის გუშაგები მწუნდნენ — ჩამოსვლა არც მაცალეს — წინ გამიგდეს და თავიანთ განყოფილებაში მიმიყვანეს. საშინლად ციოდა, ცივი ქარი ძვალ-რბილში ატანდა. მეცვა ბობრიკის გახეხილი მოკლე და ვიწრო პალტო — არც შეკვრებოდა და მუხლებამდე ძლივს მწუნდებოდა.

განყოფილებაში ლამაზ ბეჭუტაედა, ოთახში მძიმე სუნი იდგა. მაგიდას ვილაც ჭლარაშერთული კაცი უჯდა და რაღაცას წერდა; მეორე — ახალგაზრდა — ლოგინზე მიგდებუდიყო. შემადგეს ოთახში — აგერ, კიდევ მოვიყვანეთო, თქვეს. მაგიდასთან მჯდარს არც გამოუხედავს. გულს ბაგაბუგი გააქვს. არც ლოგინზე მწოლს მოუხედავს, ისე თქვა, გულგრილი სიზანტით — „ახლავე უნდა მიახვერიტო მაგენი!“ ამის გაგონებაზე თავზარი დამეცა. გული ლამის ამომივარდა საგულედან. იმ ხნიერმა, მაგიდას რომ უჯდა — „რატომ, კაცო?!“ — ხმადაბლა, უემოციოდ უპასუხა ლოგინზე მწოლს და მე შემომხედა, არაფერი უკითხავს, მაგრამ ვიგრძენი, რომ თავი უნდა მემართლებინა. მე ტირილი ამივარდა — ვუთხარი, ასე და ასე მომივიდა-მეთქი. ჯერ კი ეჭვით შემომხედა, მაგრამ მერე, ეტყობა, დაიჯერა და გამომიშვა...

სახლში რომ მივედი, მაშინლა ენახე — მახუთით ვიყავი მოთხერილი“.

სათქმელად იოლია, მაგრამ წარმოედგინოთ, რა მღელვარებას გადაიტანდა იმ წუთებში უპატიოსნესი ყმაწვილი კაცი, ვისი სიცოცხლეც ბეწვზე ეკიდა და სულ იოლად შეიძლებოდა, რომელიმე გაპირუტყვებულ ჯალათს, ვინაც იგი ბაცაცად ჩათვალა, სადმე ხევში გაეყვანა და დაეხვერიტა. მე თქვენ გეტყვით და ვინმე პასუხს აგებინებდა.

ეს დამალონებელი გახსენება უჩვეულო სიცხადით აცოცხლებს იმ სასტიკ დროს, როცა სისხლსა და ძალმომრეობაზე დამყარებული დიქტატორული რეჟიმი არაეის და არაფერს ინდობდა. პატარა ბავშვებსაც, თუ სადმე გადაეყრებოდნენ ასეთი „გუშაგები“, აპატი-

მრეხდნენ და როგორც მანწანწალეხს, ასობით ჟუჟეკდნენ. ბრალდების წაყენება მათ ხელთ იყო.

წამიკითხავს გამოჩენილი ფრანგი მწერლის რომენ როლანის სტალინთან შეხვედრის დღიური. სტალინი ასეთ დროს ყოველთვის ცდილობდა, უცხოელ მწერლებზე სამართლიანი, კეთილად განწყობილი, ლმობიერი კაცის შთაბეჭდილება მოეხდინა. ოცდაათიან წლებში, როგორც ჩანს, საბჭოთა კოდექსში იყო საგანგებო მუხლი, რომლითაც „დივერსიების“ მომწყობი 12-13 წლის ბავშვებიც კი უნდა დახვეტილიყვნენ.

ჰუმანისტმა რომენ როლანმა სთხოვა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს, დიდსულოვნება გამოეჩინა და გაეუქმებინა ის მუხლი, ვითომდა დამნაშავე მცირეწლოვანთა დახვერეტას რომ ითვალისწინებდა. როლანმა ისიც დასძინა, ევროპის სახელმწიფოებს ამ ფაქტზე საბჭოთა კავშირისთვის არასასურველი რეაქცია აქეთო.

სტალინმა საპატიო სტუმარს ღიმილით უპასუხა — თქვენ წარმოდგენილიც კი არა გაქეთ, ის მცირეწლოვანები რაეხს სწადიან, რა საშინელებებს ატრიალებენო.

დაბოლოს, დოკუმენტური პროზისათვის განკუთვნილ ტომში მკითხველი არაერთ, უადრესად მნიშვნელოვან მასალას გაეცნობა. ვახტანგ ჭელიძეს ზოგიერთი შემადრწუნებელი ფაქტი, თანამედროვეთა საძრახისი საქციელი, ისტორიის სამსჯავროზე გასატანად, დაუფარავად აქეს მხილებული და ჩვენი საზოგადოება ვალდებული იქნება, არასასიამოვნო, მკაცრ სიმართლეს თვალი გაუსწოროს.

ვახტანგ ჭელიძემ ცხოვრების უდიდესი ნაწილი ჩვენი მწერლობისთვის, ქართული კულტურისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ საქმეს — მხატვრულ თარგმანს და მასთან დაკავშირებულ პრობლემებზე მუშაობას დაუთმო და, ამდენად, შეუძლებელია, მისი მოღვაწეობის ამ მხარეზე ცოტა რამ მაინც რომ არ ითქვას.

ბატონი ვახტანგი მუდამ ერთგული იყო ჩვენი საამაყო მწერლისა და მთარგმნელის გერონტი ქიქოძის დებულებისა, რომელიც უშუალოდ მისგან ჰქონდა მოსმენილი:

„როცა უცხოელი მწერლის რომელიმე ფრაზას თარგმნით ქარ-

თულად, წარმოიდგინეთ, როგორ დაწერდა ამ ფრაზას ავტორი, ის რომ ქართული ყოფილიყო“.

ძალზე საყურადღებოა ამ ამოსავალი დებულების ვახტანგ ჭყელიძისეული დახასიათება, მისი არსის ხელშესახებად და ამავე დროს ამომწურავად მთელი სიღრმით გადმოცემა. მომაქვს ხსენებული შეფასების ზოგიერთი პუნქტი:

„ჭეშმარიტად ნათელი აზროვნებისა და გონების პატრონს თუ შეუძლია უპასუხოს რთულ პრობლემას ასე უბრალოდ, ასე ნათლად და ლაკონიურად...“

„ზემოთ მოტანილი დებულება კარგი გასაღებია, ძალიან მარჯვე იარაღია მთარგმნელისათვის, ოღონდ დებულების უბრალოება სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ეს იარაღი ადვილად მოსახმარი იყოს და ყველას შეეძლოს მისი გამოყენება.

იარაღის გამოყენებას ნიჭი და ცოდნა უნდა!“

„ნიჭი და ცოდნა“ კი ამ სტრიქონების დამწერს უხეად ჰქონდა მომადლებული, რაც ბევრჯერ დაამტკიცა. ვახტანგ ჭყელიძის მიერ უხადო ოსტატობით თარგმნილ წიგნებს ერთი დიდი თარო ვერ დაიტევს. მან საქართველოს იმგვარივე ამაგი დასდო, რაც რუსულ კულტურაში გააკეთარაბლეს, სერვანტესისა და პრუსტის დიდებულმა მთარგმნელმა ნიკოლაი ლიუბიმოვმა, რომელსაც სიტყვის, ხატოვანების აუთიყე მძაფრი შერგძეება ჰქონდა და დაწერა მოგონებათა ბრწყინვალე, ეპოქალური მოვლენებით აღსავსე წიგნი „გაუხუნარი ფერი.“ ვახტანგ ჭყელიძემ იმდენი სხედასხეა დროისა და განსხეეეებული სტილის მწერალი თარგმნა, ისეთი ალლო და გარდასახვის დაუშრეტელი უნარი გამოიჩინა, გაგიჭირდება დაიჯერო, რომ ყოველივე ეს ერთი კაცის ნახელაეია. თეალი გადაეეელოთ თუნდაც ნაკლულ სიას იმ შემოქმედთა, ვისი ქმნილებებიც მან გადმოაქართულა: უილიამ შექსპირი, ჯონ ფლექტერი, ჯონ მილტონი, დანიელ დეფო, უოლტერ სკოტი, ჩარლზ დიკენსი, მარკ ტენი, ალფრედ დე მიუსე, რომენ როლანი, ჯონ გოლზუორთი, ერნესტ ჰემინგუეი, ჯონ სტაინბეკი, ჩარლზ ჩაპლინი, არტურ მილერი, ედუარდო დე ფილიპო, რედარდ კიპლინგი, არტურ ლორენტსი, ჯერომ სელინჯერი...

ბატონი ვახტანგი ერთ დაუთარიღებელ ჩანაწერში გეამცნობს: „ყოველი წიგნის გასრულების შემდეგ ვიტყვი ხოლმე — მორჩა, თარგმანს მეტს ხელს აღარ მოეკიდებ (ძნელია თარგმნა). გეეა დრო — ზოგჯერ დიდი ხანი, ზოგჯერ ნაკლები... ვკითხულობ რაიმე წიგნს — კლასიკოსს, თანამედროვეს — და ისეე მომენატრება თარგმნა,

ისე მომენატრება, რომ ედღარ მომისვენია. ერთი სული მაქვს, მანამ დაევადებოდე და თარგმნას დაეიწყებდე, პირველ სტრიქონს გაკავლებდე ქალაღზე.“ თარგმნა მისი უპირველესი მოწოდება, დაუოკებელი სულიერი მოთხოვნილება რომ არ ყოფილიყო, ცხადია, ამას არ დაწერდა. რა ნეტარებაა ჩაღერილი ბოლო წინადადებაში. ეს ჟინი თითქმის სიცოცხლის ბოლომდე არ განელებია, ვიდრე მის თითებს კალმის დამორჩილება შეეძლო.

ვახტანგ ჭვლიძის მრავალრიცხოვანი თარგმანებიდან, როგორც იტყვიან, ხილად, ორი შევარჩიე და მათზე ვიტყვი ზოგ რამეს; ესაა უოლტერ სკოტის „აივენპო“ და ჩარლზ ჩაპლინის „ჩემი ბიოგრაფია“.

უოლტერ სკოტის ისტორიულ რომანთა შორის „აივენპო“ სამართლიანად ითვლება საუკეთესოდ და მთარგმნელის არჩევანიც, ძირითადად, ამან განაპირობა. ვახტანგ ჭვლიძეს ისიც ხიბლავდა, რომ ამ წიგნს დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს და მასში ჭარბადაა ესეისტური ნაკადი, აგრეთვე, ყოველნაირ საშუალებას გაძლევს, გამოავლინო ლექსიკის სიმდიდრე, საგანთა ხატვის ნიჭი, გამოცდილებით დაგროვილი ოსტატობა, რითაც იგი ყოველთვის გამოირჩეოდა. ორიოდე მაგალითის მოხმობაც იკმარებს იმის ნათელსაყოფად, თუ რაოდენ სანაქებოდ გაართუა მთარგმნელმა თავი ერთობ ძნელ ამოცანას.

დამპყრობელი ნორმანებისა და მათგან შევიწროებული ანგლო-საქსების სისხლიანი შეტაკებების, შუღლის ფონზე, წარმოსახულია რელიქტური ტყის დიდებული პეიზაჟი, რომელიც ავტორს მხოლოდ სილამაზისათვის, განყენებულად კი არ ჭირდება, აქაც გარდასული ხანის ისტორიულ რეაღიებსა და ნაშთებს წარმოაჩენს, ყველგან ადამიანის კვალსა და მითოლოგიური იერის საკულტო ნაგებობათა კვალს ვხედავთ:

„ჩამავალი მზის უკანასკნელი სხივები აბიბინებულ მღელოს ეცემოდა იმ დაბურულ ტყეში, რომელიც ჩვენ ამ თავის დასაწყისში მოვიხსენიეთ. ასობით ჯმუხ, გაბარჯღულ მუხებს, რომლებიც ალბათ რომაელი ჯარისკაცების დიდებული ლაშქრობის მოწმენი იყვნენ, ფართოდ გაეშალათ თავიანთი დაკოჟრებული ტოტები და მწვანე ბუსნოს ფაფუკ ხალიჩაზე გადაეფინათ. ამ მუხნარში ალაგ-ალაგ წიფლის, ჭყორისა და თეთრიას ხეებიც იყო გარეული, სულ სხვადასხვა მოყვანილობისა, და თან ერთმანეთზე ისე მჭიდროდ მიზრდილი, რომ ჩამავალი მზის აღმაცერ სხივებს არც კი ატარებდნენ. ზოგან კიდევ

ისე დაშორებოდნენ ერთმანეთს ეს ხეები, რომ გრძლად გაჭიმულ, საამოდ საჭკერეტ ხეივანსა კქმინდნენ. ფოთლებში გამძვრალი მეწამული სხივები შხისა მკრთალად ეცემოდა გაბარჯულ ტოტებსა და ხავსმოკიდებულ ხეებს, ბუნსოზედაც, აქა-იქ, მოკიაფე ზოლებს აჩენდა. ძველ დროში, ეტყობოდა დრუიდების კერპმსახურებისთვის იყო ეს ღია ადგილი გამოყენებული, რადგან აქვე შენიშნავდით უთუოდ ხელოვნურად დაზეინულ მიწას, რომელსაც შემადლებული ბორცვის იერი მიედო და რომელზედაც აქამდე შემორჩენილიყო წრედ დახეკებული ვეება გაუთლელი ქეები, შვიდი ქვა ახლაც ზეაღმართული იდგა, დანარჩენები კი გადაეყირავებინათ, — ალბათ ქრისტიანობისთვის მეტისმეტად თავგამოდებულ მორწმუნეებს, — და გვერდზე ეყარა — ზოგი ყორისავე მახლობლად, ზოგიც კიდევ ბორცვის ძირში ჩაგორებულიყო. ერთი ღოღი უფსკრულში ჩაჩეხილიყო, მთის ძირში გამაეალ პატარა რუს გადალობეოდა და მთელს გზაზე უხმოდ მიმდინარე ნაკადული აქ აებუტბუტებინა“.

უოლტერ სკოტი მუდამ ზუსტად, უტყუარად წარმოგვიდგენს მის მიერ გაცოცხლებული ეპოქის სურათს, სადაც ყოველ წერილმანის თავისი ადგილი აქვს მიჩენილი. საცხოვრისთა ინტერიერების, მორთულობის სრულყოფილ, განსაცვიფრებელი სიცხადით აღწერაზე რომ არაფერი ვთქვათ, პერსონაჟთა ხატვის ოსტატობა ასევე სამაგალითოა და ქართულადაც უდიდესი სიამოვნებით იკითხება, ვგრძნობთ, ყველგან შენარჩუნებულია დედნის სული და მომხიბლაობა.

თავდაპირველად გმირის გარეგნობა და მის ხასიათზე მიმანიშნებელი ნაკეთებია დახატული, მეტი ყურადღება ეთმობა თვალთა გამომეტყველებას; ყველაფერი წინასწარ არის შეშხადებული და მწერალი ამის მერე გადადის ჩაცმულობაზე, რომელიც ზედმიწევნით ეხამება სიმდიდრითა და პატივით მთელ მხარეში გამორჩეულ მემამულეს სედრიკ საქსონელს და პორტრეტიც უნაკლო, ტეშმარიტად სრულყოფილია:

„ეცვა ხასხასა მწვანე ხიფთანი, რომლის საყელოებსა და ყ:უმბზე ბეწვის თეთრი ქობა კქონდა შემოელებული. ეს ბეწვი ყარყყმსა ჰგაედა, მაგრამ უფრო მდარე იყო, ალბათ სინჯაბისა. ხიფთანი გაღელილი კქონდა და ქვეშ მოუჩანდა ტანზე მჭიდროდ შემომჯდარი წითელი ჟილეტი, ასეთივე წითელი შარვალი გატიტვლებულ მუხლებამდედა სწედებოდა. ფეხებზედაც გლეხური ქალამნები თუ ბანდულები ამოეკრა, მაგრამ უფრო კარგი ტყავისა და თან

ოქროს აბზინდიანი. ხელებზე ოქროს სამკლავეები გაეკეთებინა და კისერზედაც ამავე ძვირფასი ლითონის ბრტყელი ყელსაბამი ჰქონდა მობმული. მდიდრულად მოოჭვილ ქამარზე ეკრა მოკლე ორღესული, წვეტიანი ხმალი, რომელიც ბარძაყზე სცემდა. საეარძლის უკან, კედელზე ეკიდა ბეწვის ქობაშემოვლებული წითელი მაუდის მოსასხამი და ამავე ქსოვილის დიდებულად მოქარგული ქუდი. ეს გახლდათ მდიდარი მემამულის საგარეო ტანსაცმელი. საეარძელზე ჩამოკიდებული იყო ტახის ეშვისაგან გაკეთებული პრიალა ლითონის ბრტყელტარიანი მოკლე ხელშუბი თუ ზუფანი, რასაც, სახლიდან გასული, საჭიროების მიხედვით, ხან ჯოხად ხმარობდა და ხანაც იარაღად“.

ამგვარი დიდოსტატური პასაჟების ამოწერა უხვად შეიძლებოდა, მაგრამ გემოს გასაგებად, ენობრივი ქსოვილის ფერადოვნების შესაცნობად, ესეც კმარა. „აივენპო“ — ჯვაროსნულ ლაშქრობათა ეპოქის დიდებული მხატვრული ტილო — საგანგებოდაა გასარჩევი. ვახტანგ ჭელიძემ გზა გაუკვალა, საუკეთესო მაგალითი მისცა უოლტერ სკოტის რომანების მომავალ მთარგმნელებს.

არაერთხელ ეყოფილვარ მოწმე, რა აღფრთოვანებული ლაპარაკობდა ბატონი ვახტანგი ჩარლზ ჩაპლინის ამოუწურავ ნიჭზე და სრულებით არ გამკვირვებია, როცა მან ჩაპლინის ცხოვრების წიგნი, მემუარული ლიტერატურის შედევრი „ჩემი ბიოგრაფია“ თარგმნა. ეს გადაწყვეტილება იმითაც იყო განპირობებული, რომ გარდა გენიალური მსახიობისა და რეჟისორის ინტიმური ცხოვრების დეტალებისა, წიგნს უაღრესად დიდი პრაქტიკული დანიშნულება აქვს — სახელმძღვანელოდ გამოადგება ბევრ ახალგაზრდა შემოქმედს, არსებობის აზრსა და ავ-კარგზე დააფიქრებს ადამიანებს, მას მთელ მსოფლიოში თანაბარი გატაცებით კითხულობენ მოზარდებიცა და ხანდაზმული ადამიანებიც; მხატვრულ ძალმოსილებასთან ერთად, გეხიბლავს ავტორის უშუალობა, პირდაპირობა. რამდენის მთქმელია ის ფაქტი, რომ გამოჩენილი გერმანელი ფილოლოგი და კულტუროლოგი ერის აუერბახი ჩაპლინს, როგორც მოვლენას, შექსპირთან აწყვილებს. ამ დროს თავად ჩაპლინი გულახდილად აღიარებს: „შექსპირის თამაში განსაკუთრებულ მანერას მოითხოვს, თავისებურ ამაღლებულობას, რაც მე არ მიყვარს და არ მადლელებს. ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს სწავლულის ტირადას ვისმენდე“.

ვახტანგ ჭელიძე, უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი პატარა ბავშვების, დაბეჩავებული ადამიანების უპირველესი ქომავის ჩარლზ დიკენ-

სისა და მისი განუმეორებელი სამყაროს მოთაყვანე იყო (გაეიხსენოთ, რა დიდებულად თარგმნა „ნიკოლასნიკლი“) და ჩაპლინის მემუარებზე კიდევ იმიტომ შეაჩერა არჩევანი, რომ გენიალური ხელოვანი „დავით კოპერფილდისა“ და „ოლივერ ტვისტის“ ავტორს თავის უსაყვარლეს მწერლად თვლიდა. ეს სიყვარული ჩაპლინს გაუღვია დიკენსის გმირების საუცხოოდ განმსახიერებელმა ბრენსბი უილიამსმა, რის გამოც მისი სამუდამოდ მადლიერი დარჩა — ლიტერატურისადმი მძაფრი ინტერესი ამ მსახიობის მომავადობელმა თამაშმა აღუძრა. ჩაპლინი, უპირველეს ყოვლისა, დიკენსს გულისხმობდა, როცა პასკალის ერთ გამონათქვამს იხსენებდა: „მხოლოდ იმ მწერალს ვაფასებ და ვადიდებ, რომელიც თვალში ცრემლმძრეული, მართალს წერს ადამიანების შესახებ“.

ვიდრე ცხოვრებაში თავის ადგილს მოძებნიდა, ჩაპლინმა უამრავი იმედგაცრუება იწვნია: მიუზიკ-პოლში მისი მიღება საეჭვო გახდა. ლაქიად აპირებდა მუშაობის დაწყებას. ერთი ხანობა ინგლისის ყველაზე დიდ საცირკო დასებში გამოდიოდა. პოეტური სულის ადამიანი რომ იყო, ყველაფრიდან ჩანდა. ამერიკაში გამგზავრებამდე, ღამეულ ლონდონში გაელა გადაწყვიტა. ერთ პატარა წინადადებაში ჩანს მაშინდელი განწყობილება: „ნაშუადამევეის ორ საათამდე დავებეტებოდი ქუჩებში, და ცარიელი ქუჩების პოეზიითა და ჩემი საკუთარი სევდით ვტკბებოდი“.

ძნელია, მღელვარებისა და წუხილის გარეშე წაიკითხო ჩაპლინის, შინაგანი თავშეკაეებით აღბეჭდილი, ადამიანური სევდით აღსაესე სტრიქონები, როდესაც იგი ცხოვრებისგან უღვთოდ განაწამები, ობლების გადასარჩენად ლუკმაპურის ძებნაში დაქანცული დედის გალულ ცხედარს დაჰყურებს: „გარეთ შუე აცხუნებდა, ოთანში სირუმე იდგა. ვიჯექი და შევეყურებდი საწოლზე პატარა სსეულს, უკან გადაწეულ თავს, დახუჭულ თვალებს. სიკედილის შემდეგაც კი შეწუხებული სახე ჰქონდა, თითქოს ეშინია, იქაც ტანჯვა და განსაცდელი მომელისო“.

ჩაპლინის სტილის, თხრობის მანერის სანიმუშო მოქნილობაზე მეტყველებს ისიც, რომ ორიოდ გვერდზე ათავსებს დიდი ფრანგი კომიკოსის მარსელინის სამწუხარო თავგადასავალს. ოდესღაც ყმაწვილი ჩაპლინი ამ უნიჭიერეს მსახიობთან ერთად პანტომიმაში მონაწილეობდა, ნილაბაკრული კატის როლს თამაშობდა. კარგა ხნის მერე ლოს ანჟელესში შეხედება, უკვე აბუჩად აგდებულს, დამცირებულს, „...როცა კლოუნების მოზრდილ ჯგუფში... უზარ-

მაზარ არენაზე დაჩიქჩიქებდა.“ ჩაპლინი შეახსენებს, როგორ გამოდიოდნენ ისინი ერთ დროს იპოდრომზე, მაგრამ ნაკაცარი სიცოცხლის ნიშანწყალს არ ამჟღავნებს და აქ ერთ ფრაზაში ყველაფერია ნათქვამი; „კლოუნის ნილაბშიაც კი აშკარად ეტყობოდა საშინელი ნალექი და აპათია“.

ერთი წლის მერე (ასეთი ბოლო ბევრ სახელოვან კომიკოსს ჰქონდა) მარსელინი ნიუ-იორკში თავს იკლავს; ოსტატურად მოფიქრებულ დრამატულ სცენად ანდა მძაფრსიუჟეტოანი ფილმის კადრებად აღიქმება გაზეთის მუნწი ცნობა — სროლის ხმაზე მასთან ოთახში შევარდებიან და მარსელინის გაშხლართულს ხედავენ. რეეოლვერი ისევ ჩაბღუჯული აქვს, ხოლო იქვე გრამაფონის ფირფიტა ტრიალებს, „მთეარესა და ვარდს“ უკრავს.

არაერთი ეპიზოდი გეარწმუნებს, რომ გენიალურ მსახიობსა და რეჟისორს დიდი მწერლის თვალიც ჰქონია.

ჩაპლინს შეუმცდარად აქვს მოძებნილი თვითთული თავის ტონი, რაც ზუსტად ეხამება საერთო განწყობილებას; ნათქვამი სამუდამოდ გებეჭდება მეხსიერებაში. მან იცის, ვისგან რა ამოარჩიოს და მთარგმნელიც ბუნებრივ სადინარს უძებნის ყოველ წინადადებას, ყველაფერს აკეთებს, რათა სურათი იოლად წარმოსადგენი, ქართულად გამართული, ცოცხალი გამოვიდეს:

„ჯოზეფ კონრადი სწერდა თავის მეგობარს — ცხოვრებაზე როცა ვფიქრობ, თავი ბრმა ვირთაგვად წარმომიდგენია, რომელიც კუთხეში მიუჩიხავთ და საცაა კეტებს დასცხებენო“.

მსგავსი განცდა, ალბათ, ბევრ ჩვენგანს ჰქონია სხვადასხვა დროს, უსიამოვნო მომენტებში, და მეტაფორაც ძალზე მარჯვედაა მოძებნილი.

ერთხელ, ფილმის („ახალი შვეიცარი“) გადაღებისას, რეჟეტიციას ძველი მსახიობი ღორითი ღვეენპორტი დასწრებია და ჩარლი ჩაპლინის თამაშის ყურებაზე, როცა უფროსს თავს აბრალებდა, პატარა ბავშვები მყავს, დიდი ოჯახის პატრონი ვარ, ნუ გამაუბედურებთ, სამსახურს ნუ დამაკარგინებთო, ცრემლები მოსძალებია. მაშინ ჩაპლინმა კიდევ უფრო ირწმუნა თავისი განუმეორებელი ნიჭის ძალა: „მან დამიდასტურა ის, რასაც დიდი ხანია ვფიქრობდი: მე უნარი მქონდა, არა მარტო სიცილი გამომეწვია, არამედ ცრემლებიც“.

ეს მომავადობელი უნარი მერე და მერე არნახული ძალით გამოვლინდა ჩაპლინის დიდ-პატარა შედეგებში და, ძირითადად, ამის გამოა, მთელი მსოფლიოს საყვარელი და სათაყვანებელი ხელოვანი

რომ გახდა. ამას მთარგმნელიც აღნიშნავს მცირე ბოლოთქმაში.

ერთგან ჩაპლინი ასეთ გამოთქმას ხმარობს — „მკაცრი უბრალოება“, რაც უთუოდ სიღინჯეს, სიღარბაისლეს, შეუმცდარ გემოვნებას უკავშირდება და მენიშნა, რომ თავად ბატონი ვახტანგიც ცხოვრებასა თუ შემოქმედებაში „მკაცრი უბრალოების“ მიმდევარი გახლდათ.

ჩაპლინს ბრწყინვალედ აქვს აღწერილი სიგიჟის ზღვარზე მყოფ გენიალურ რუს ბალერონთან, ნიჟინსკისთან შეხვედრები (რამდენიმე თვეში იგი კიდევაც შეიშალა), რასაც საკმაო ადგილი უკავია.

ერთ აბზაცში დაუეინყარი, ფეერიული ფერებით ხატავს ლეგენდარულ მოცეკვავეს ანა პავლოვას და მის მიერ ოდესღაც განცდილი ჟრჟოლა ჩვენც გადმოგვედება. მთარგმნელი ამ შთაბეჭდილების გადმოცემის დროსაც ჩვეულ ოსტატობასა და სინატიფეს იჩენს:

„ხელოვნების რომელი დარგიც არ უნდა აიღო, უზალო სრულყოფილება იშვიათი მოვლენაა და პავლოვა ერთ-ერთი ასეთი გამონაკლისი იყო. არ ყოფილა შემთხვევა, მის ხელოვნებას არ მოვეჯადოებინე. ბრწყინვალე ტექნიკის მიუხედავად, მის ხელოვნებას რალაცნაირი მქრქალად მოციმციმე სინაზის ელფერი დაკრავდა, თეთრი ფარდის სინაზეს განასახიერებდა. ყოველი მისი მოძრაობა მომაჯადოებელი იყო. გამოჩნდებოდა თუ არა სცენაზე, რაც არ უნდა მხიარული და მომხიბლავი ყოფილიყო, ტირილი მომინდებოდა ხოლმე“.

თავიანთი კარიერის დასასრულს, მოხუცებულობის ჟამს, უნახავს ჩაპლინს ორი დიდი მსახიობი — სარა ბერნარი და ელეონორა დუზე — ორივე ისე მოქნილად, ვირტუოზულად არის წარმოდგენილი, მათი იერი და მოძრაობა სამუდამოდ გეამახსოვრდება.

უთუოდ ანგარიშგასაწეია, ხანგრძლივ დაკვირვებას ემყარება თეატრზე მისი შეხედულება: „მე თუ მკითხავთ, უპირატესობა გრძნობებს უნდა მიენიჭოს, რადგან თეატრში გრძნობაა მთავარი და არა გონება. ყველაფერი ამისთვისაა მოწყობილი თეატრში; სცენა, პროსცენიუმი წითელ ფარდებში, მთელი არქიტექტურა თეატრისა მაყურებლის ემოციისთვისაა გათვალისწინებული. რალა თქმა უნდა, გონებაც მონაწილეობს, აგრამ გონება აქ მეორე პლანზეა“.

სხვაგან (ეს წინააღმდეგობად არ აღიქმება, ხედვის სხვა წერტილთან გვაქვს საქმე) საესებით სამართლიანად წერს: „დიდ მსახიობს გრძნობა და ინტელექტი პარმონიულად შერწყმული უნდა ჰქონდეს“. აკაკი მთელი ცხოვრება ამას ქადაგებდა, ოღონდ ლექსთან

მიმართებაში და თვითონ ამის უპირველესი მაგალითი იყო.

შემდეგი რჩევა ზოგადი ხასიათისაა, უეჭველი ჭეშმარიტება გახლავთ და ყოველ დამწვებ შემოქმედს ეხება: „როგორი ნიჭიერი ახალგაზრდაც არ უნდა იყოს, მსახიობმა თავიდანვე უნდა შეისწავლოს ტექნიკა, რათა საშუალება მიეცეს მარჯვედ გამოიყენოს თავისი ნიჭი“.

რეჟისორ სენეტიხ, ვისთანაც შეხვედრა კქონდა, ჩაპლინი სხარტად, ერთ წინადადებაში უხსნის თავისი გმირის ნაირსახეობას: „მრავალმხრივი კაცია ჩემი პერსონაჟი, მაწანწალაც არის, ჯენტლმენიც, პოეტიც, მეოცნებეც, ეული ადამიანი, რომელიც მუდამ რომანტიკული სიყვარულისა და თავგადასავლების მოლოდინშია...“

ჩაპლინის დიდ პუმიანურობასა და ნათელ გონებაზე მეტყველებს ის ფრაზა, რომელიც მას, ხელისუფალთა გასაგონად, ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე უთქვამს: „იმისთანა სისტემა არა მწამს, სადაც ადამიანი იძულებულია არსებობის შესანარჩუნებლად იმუშაოს“.

პოლიტიკოსებისა ნაკლებად სწამდა და პოლონეთის პრემიერ-მინისტრზე, პადერევესკიზე, ვერსალის ზავის დადების გამო, კლემანსოს ირონიული ნათქვამი გაიმეორა: „ნიჭიერი ხელოვანი ისე როგორ დაკინდით, რომ პოლიტიკური მოღვაწე გახდით“. ეს სიტყვები ჭკუის სასწავლია და ბევრ, კარიერისტულად მომართულ, ახუნტრუცებულ შემოქმედს უნდა ახსოვდეს.

ჩარლი ჩაპლინს, მუნჯი კინოს შედეგის — „ბიჭუნას“ — გადამღებს, კქონდა უფლება ეთქვა: „ყველა ბავშვი რაღაც კუთხით გენიალურია — მთავარია, გამოავლინო ეს გენიალობა“. ნათქვამი ლიტონი განცხადება არ გახლავთ. ზემოთ ნახსენებ ფილმში პატარა ჯეკი კუგანის განსაცვიფრებელი თამაში ამის პირდაპირი დასტურია.

ჩაპლინი მტკიცე, მთლიანი ხასიათის პიროვნება იყო; ვერც სიღარიბე თრგუნავდა და არც ფულს გაუთამამებია. ამიტომაც სუფთა სინდისით წერდა: „გამდიდრების პერსპექტივას არ შეუცვლია ჩემი ცხოვრების წესი“. პოპულარობასაც სიფრთხილით ეკიდებოდა: „წარმატება დიდებული რამ არის, მაგრამ მასთან ერთად დაძაბულობაც იზრდება, იმისი გამუდმებული ცდა, რომ როგორმე ფეხი აუწყო მერყევსა და ცვალებად ნიშფას — დიდებას. მიუხედავად ამისა, ნუგემს მუდამ მუშაობაში ვპოვებდი ხოლმე“.

უაღრესად ფაქიზი, პოეტური ბუნების ჩაპლინი მთელი ცხოვრება

მეგობრობდა თავის თანამედროვე გამოჩენილ პოეტებთან და ეს კიდევაც აისახა მის მოგონებებში. გულთბილი, ახლობლური იყო მისი ურთიერთობა „ხიდის“ ავტორთან, სილარიბისგან დათრგუნული ტრაგიკული ბედის პარტ კრეინთან (დიდ ამერიკელ პოეტად აღიარებულმა კრეინმა ოცდაცამეტი წლისამ მოიკლა თავი). წიგნში მოტანილია პარტ კრეინის ერთი თავისუფალი ლექსი, რომელიც საუცხოოდ უთარგმნია ვახტანგ ჭვლიძეს, მაგრამ ამჯერად ამ თარგმანის ღირსებებზე არას ვეიტყვი.

საგანგებო მოხსენიების ღირსია ჩარლზ ჩაპლინის და მასავით მრავალმხრივი ნიჭის შემოქმედის ჟან კოკტოს გულითადი მეგობრობა. ერთ-ერთი შეხვედრისას მან კოკტოს „შხის ელვარების პოეტი“, ხოლო თავის თავს „ღამის პოეტი“ უწოდა. ერთხელ, რომელიღაც ბაზრობაზე, კოკტოს კალია უყვიდა, პაწაწინა გალიაში ჩაუსვამს და მერე, გემით მოგზაურობის შემდეგ (ალბათ კაიუტაში ერთობოდა), გაუშვია. გალიაში დატყვევებული კალია ხანდახან თურმე მისებურად მღეროდა.

ნაადრევად დაღუპულ უნიჭიერეს უელსელ პოეტს დილან თომასს (ამერიკაში ტურნეს დროს გული გაუსკდა) ჩაპლინისთვის ერთი ლექსი წაუკითხავს და ორიოდე სტრიქონში ჩანს, ჭეშმარიტი პოეზიის გამოსხივებათა შეცნობის რა მგრძნობიარე საცეცები პქონია „დიდი ქალაქის ჩირაღდნების“ შემქმნელს: „სახეები იმ ლექსისა არ მაგონდება, მაგრამ ერთმა სიტყვამ — „ცელოფანმა“ — ისე გაიღევა მის მაგიურ სტრიქონებში, ბრჭყვიალა საგანზე არეკლილი შუბ რომ მოგჭრის თვალს“.

რამდენის მთქმელია თუნდაც ის ამბავი, რომ მისთვის იგორ სტრაენისკის შეუთავაზებია „ერთად დაედგათ რაიმე ფილმი“.

შემთხვევითი არ უნდა იყოს ჩაპლინის მემუარებში ატონალური მუსიკის ფუძემდებლის არნოლდ შონბერგის ხსენება და მისი ნოსტალგიური წამოძახილი: „ბგერები მიყვარს, მშვენიერი ბგერები“.

როდესაც ერთხელ ჩაპლინს სენტიმენტალიზმის მოძალევა უსაყვედურეს (მანინცდამაინც „დიდი ქალაქის ჩირაღდნებს“ გულისხმობდნენ), მან გულგამოცარიელებული სკეპტიკოსების გასაგონად თქვა: „...ფილმისთვის სინამდვილე კი არ არის მთავარი, არამედ ის, რასაც ამ სინამდვილისაგან ხელოვანის ფანტაზია შექმნის“.

შეუძლებელია დავეჭვდეთ, ჩაპლინს არ ეუნდოთ (რამდენჯერ პქონდა გამონაცადი), როცა იგი ამბობს: „არაფერს არ სჭირდება გონების ისეთი სიმკვირცხლე, როგორც კომედიის მოფიქრებასა და დადგმას“.

მისი ცინცხალი იუმორი ზომიერად გაკრთება მოგონებაშიც. კანადისკენ მიმავალი, გემზე, გათავხედებულ ვირთაგვებს შეუწუხებიათ: „უტიფრად წამოსკუპდებოდნენ ხოლმე საწოლზე, ფეხებთან, და იძულებული ვიყავი, ფეხსაცმელი მესროლა და თავიდან მომეშორებინა“.

პოლიეუდის მსახიობზე პეგი ჰოპკინს ჯოისზე, უცნაურად მოხერხებულ, თილისმიან ქალბატონზე მისებური ღიმილით, ირონიულად ამბობს: „...სულ მარგალიტებით იყო შემკული და ბანკშიაც სამი მილიონი დოლარი ჰქონდა, თავისი ხუთი ქმრისაგან შეგროვილი... ხუთჯერ გათხოვდა და ხუთივეჯერ მილიონერებზე“.

ზოგჯერ მემუარებში წააწყდებით ცნობილ ჭეშმარიტებას, რომელსაც ჩაპლინი თვითონაც ხშირად ითვალისწინებდა და ახორციელებდა: „ნამდვილ ხელოვანს სრული თავისუფლება და დაკანონებული ტრადიციიდან გადახვევა უფრო დიდ შემოქმედებით სტიმულს აძლევს“.

ასეთი რამ კი მხოლოდ დეითური მადლით მოსილ ხელოვანს შეეძლო ეთქვა და იგი ყოველ ჩვენგანს გულის ფიცარზე უნდა ეწეროს:

„რწმენის უარყოფა, საკუთარი მე-ს უარყოფაა, იმ სულიერი ძალის უარყოფაა, რაც შემოქმედებითს ძალას გვაძლევს.“

მე მწამს შეუცნობელი, ის, რასაც გონება ვერ მისწვდება. მე მწამს, რომ ჩვენი ცნობიერების მიღმა არსებული მოვლენები სხვა განზომილებას ეკუთვნის, მწამს, რომ სწორედ ამ შეუცნობელის სამყაროში არსებობს სიკეთის განუზომელი წყარო“.

ჩარლზ ჩაპლინის ბიოგრაფიულ წიგნზე საუბრისას მე ნაკლები ყურადღება დაუთმე ვახტანგ ჭელიძის დიდ მთარგმნელობით ოსტატობას, მაგრამ, ვფიქრობ, ეს ისედაც, ციტატების მოხმობის დროს, გამოჩნდებოდა.

ძნელია აღწუხსო, რამდენი ბედნიერად მიგნებული სიტყვა თუ მარჯვე გამოთქმაა გამოყენებული ამ თარგმანში (თუნდაც „უჯრულა კოსტიუმი“ ეთქვათ, უსიამოდ მჟღერ „კუბოკრულს“ რომ შეენაცვლა). მეექვსეა, ბატონი ვახტანგის გარდა, ვინმეს ასეთი ზუსტი და საგნის ასე გამომხატველი სიტყვა გახსენებოდა თითქოსდა ჩვეულებრივი ფრაზის თარგმნისას: „ბუფეტზე ჩამწკრივებული ყინტორა სურები შიშა მგვრიდა...“ ერთგან კი თამამად შემოაქვს ძალზე მოხდენილი დიალექტური სიტყვა, რომელსაც სხვა ძნელად თუ გაიხსენებდა. როცა ჩაპლინი სკოლის პერიოდს იგონებს,

თავისი თანატოლის, დასასჯელად გაშზადებული, ზედმეტად ცელქი ბიჭუნას დაუეიწყარ პორტრეტს ხატავს: „მარტო თავი და მხრები მოუჩანდა, პატარა იყო. გაცქინტული სახე ჰქონდა, დიდი თვალები“. ამ სიშორიდანაც, დროის ასეთი მანძილიდანაც სიბრალულს იწვევს დასჯის მომლოდინე ის პატარა ბიჭი და ამ სიბრალულს მარჯვედ ჩასმული სიტყვა უფრო ეძაფრებს.

თუ რაოდენ მახვილი თვალი აქვს ჩაპლინს, ერთი მცირე დეტალითაც ცნაურდება (მთარგმნელი, რა თქმა უნდა, აქაც მხარს უსწორებს ავტორს). დიდი ხელოვანი გემით იაპონიაში მიემგზავრება. მის მიერ შემჩნეულ მრავალ სილამაზეთაგან აქ მხოლოდ ერთს ამოეიწერ: „შემდეგი ნავსადგური — სინგაპური — ისეთი მოგვეჩვენა, თითქოს ჩინური ფაიფურის ლარნაკზე დაეხატოთ, ინდური ლეღვის ხეები პირდაპირ ოკეანიდან ამოზიდულიყვნენ“.

ჩარლზ ჩაპლინმა სიცოცხლის განმავლობაში მიიღო უამრავი სამადლობლო ბარათი, რომლებშიც მისი შეუდარებელი ნიჭაა აღიარებული. აქ მხოლოდ ერთ მათგანს დავასახელებ. პარიზში „რამპის ჩირაღდნების“ ტრიუმფალური ჩვენების შემდეგ საფრანგეთის დრამატურგთა და კომპოზიტორთა საზოგადოების პრეზიდენტმა როჟე ფერდინანდმა მას მოზრდილი წერილი გამოუგზავნა, სადაც, სხვათა შორის, აღნიშნულია:

„სიტყვა „გენიოსს“ ჩვენ წარამარა ვახსენებთ ხოლმე, მაგრამ როცა თქვენს მიმართ არის წარმოთქმული, მაშინ ჭეშმარიტი აზრი ეძლევა, რადგან თქვენ შესანიშნავი კომიკოსი კი არა ხართ მხოლოდ, არამედ ავტორიც, კომპოზიტორიც, რეჟისორიც და, რაც ყველაზე მთავარია, გულმხურეალე და დიდსულოვანი ადამიანი. ამას ემატება უბრალოება, რაც კიდევ უფრო გამაღლებთ თქვენ; სწორედ ეს თვისებები იზიდავენ თქვენკენ ხალხის გულებს, რომლებიც ისევე იტანჯებიან, როგორც თქვენი საკუთარი გული...“

ზემოთ ნახსენებ მოკლე ბოლოთქმაში („მთარგმნელისგან“) ვახტანგ ჭვლიძე სხარტად, ოსტატურად შემოსწერს გენიალური ხელოვანის პორტრეტს და მის უჩვეულოდ ცხოველმყოფელ ბელეტრისტულ ნიჭზეც ამახვილებს ყურადღებას: „იმდენად დიდია მისი მწერლური ოსტატობა, ისეთი დამაჯერებელი და შთაგონებული მთხრობელია, რომ შთაბეჭდილება გექმნება, თითქოს შენს თვალწინ იკვეთებოდეს და ყალიბდებოდეს სუედიანი ღიმილის მომგვრელი მაწანწალას სახე, რომელმაც მსოფლიო დაიპყრო და ასეული

მილიონობით ადამიანების, სულ სხვადასხვა ასაკისა და თაობათა მაყურებლის თანაგრძნობა და სიყვარული მოიპოვა“.

აქვეა დასახელებული ძირითადი მოტივი, რის გამოც ბატონმა ვახტანგმა „ჩემი ბიოგრაფია“ ასეთი გულისყურითა და მონდომებით თარგმნა და ყველა თავისი სანაქებო თვისება (შესაშურად მდიდარი ლექსიკა, ფრაზის მოქნილობა და სინატიფე, თანდაყოლილი ზომიერებით განპირობებული სტილის უფაქიზესი გრძნობა...) ასე უხვად გამოავლინა: „წიგნი ფასდაუდებელია ყველა ახალგაზრდისათვის, რომელსაც გადაუწყვეტია ჭეშმარიტ ხელოვნებას ემსახუროს“.

ჩარლზ ჩაპლინის „ჩემი ბიოგრაფიის“ თარგმანი 1975 წელს მეორედ გამოსცა „ხელოვნებამ“ ძალიან უხარისხოდ, მდარე ქალაღზე. საჭიროა მისი ხელახლა და რიგიანად გამოცემა.

პოლიეუდში ცხოვრობდა მწერალი და ფილოსოფოსი უილდიურენტი, რომელიც ჩაპლინის ოჯახის ხშირი სტუმარი ყოფილა. ერთხელ მას მასპინძლისთვის უკითხავს: „მშვენიერებას რაში ხედავო. ბევრ რამეში-მეთქი, ეუპასუხე; იმაში, რომ სიკვდილი და სილამაზე ყველგან სუფევს; ღიმილის გამომწვევ მწუხარებაში, რასაც მუდამ გრძნობს პოეტი; ეს შეიძლება განიცადო სანაგვე ყუთის ნახვის დროსაც, რომელსაც შზის სხივი დასცემია; ეარდის ხილვისას, რომელიც გზისპირა თხრილში ჩაეარდნილა. ელ გრეკო მშვენიერებას ჯვარცმული მაცხოვრის წარმოდგენით განიცდიდა“.

სხვებთან ერთად, მეც მიფიქრია — აუცილებელია, ვახტანგ ჭელიძის ეგზომ ნაყოფიერი და მნიშვნელოვანი მთარგმნელობითი მოღვაწეობა, დღევანდელი გადასახედიდან, პირუთენელად შეაფასოს ლიტერატორთა, მთარგმნელ-თეორეტიკოსთა დღევანდელმა თაობამ (ღვთის წყალობით, დასაუღეთ ევროპის ენისა და ლიტერატურის არაერთი საუკეთესო მცოდნე გვყავს), რაც შეიძლება სრულად წარმოაჩინოს ღირსეული წინამორბედის დაუღალავე, სამშვილიშვილო გარჯა, მისი ძნელად აღსანუსხი დამსახურებანი.

* * *

ადრეც მომიხდა იმის თქმა, რომ შეუგნებელმა, მედროვე ადამიანებმა, ხელისგულზე სატარებელ მოღვაწეს, ვახტანგ ჭელიძეს ბევრჯერ ატკინეს გული. გარდაცვალებამდე ორიოდ თვის წინ რომ ვინახულე,

ძალზე დასუსტებულმა მითხრა: „მერანში“ სამ ტომად განზრახული „ქართლის ცხოვრების ქრონიკების“ პირველი ტომი ნაკლულად, დამახინჯებულად გამოვიდა — ორი წიგნი გაეაერთიანე და მეორე წიგნისთვის, სრული სახე რომ ჰქონოდა, სამი ფორმა მჭირდებოდა; ბევრი ეხევეწე ღირექტორს, დაემატებინა ის სამი ფორმა და არაფრით არ ქნაო (ნაგულისხმევ წლებში მატერიალურ ანაზღაურებაზე, იმ ნაშრომის შესაფერის პონორარზე ფიქრიც კი ზედმეტია). ამაზე მეტი უმადურობა და გულქვაობა ძნელი წარმოსადგენია.

სხვა შემთხვევა არანაკლებ კუროზულია. „ცისკრის“ რომელიღაც საიუბილეო თარიღი იყო და ერთმა პიროვნებამ (თუკი შეიძლება ასეთ არსებას პიროვნება ეწოდოს) თავის წერილში, მხოლოდ მისთვის გასაგებ მიზეზთა გამო, ყოფილ რედაქტორთა სიდიან გამოტოვა ეახტანგ ჭელიძე და ჯანსუღ ჩარკვიანი, რომელთა გარეშე „ცისკარზე“ ლაპარაკი ყოვლად შეუძლებელია. თან ისიც ნიშანდობლივია, იმ მოხერხებულმა სარფისმაძიებელმა, თავის დროზე, ორივეს სიკეთით საკმაოდ ისარგებლა.

საბედნიეროდ, მადლური, კეთილად მომგონებელი, ბატონ ვახტანგს გაცილებით მეტი დარჩა. ტყუილად როდი ამბობს ჩვენი ხალხი, სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავსო. ჩვენი საუკეთესო თეატრალური მოღვაწეები ვასილ კიკნაძე და ნოდარ გურაბანიძე (ნოდარი მაშინ ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქტორი იყო) განსაკუთრებული კმაყოფილებით იგონებენ იმ წლებს, როდესაც „ცისკრის“ რედაქტორობიდან გათავისუფლებულ ვახტანგ ჭელიძეს კულტურის სამინისტროში, ხელოვნების სამმართველოს უფროსად დაუსწია მუშაობა. „ჩვენი სამინისტრო მაშინვე გახდა უძძლავრესი ინტელექტუალურ-ზნეობრივი, ყველაზე უფრო დემოკრატიული ცენტრი, — იგონებს ვასილ კიკნაძე — სარეპერტუარო-სარედაქციო კოლეგია ნოდარ ღუმბაძეს ებარა. ეს იყო გამოჩენილი ქართველი მწერლების, კულტურის და ხელოვნების მოღვაწეთა თავშეყრის სანუკვარი ადგილი, იქაურობას ადმინისტრაციული, სამთავრობო დაწესებულებისა არაფერი ეტყობოდა. ყველას გვიხაროდა სამსახურში მისვლა. მინისტრის მოადგილემ აკაკი დვალისძემ პავლე ინგოროყვას, სამუშაოდ ცალკე ოთახი მისცა და იგი თითქმის ყოველდღე მოდიოდა (იმ ხანას დაწერილებით იგონებს თვით ბატონი ვახტანგცი). პოლიკარპე კაკაბაძეც ხშირად სტუმარი იყო ჩვენი. ვახტანგ ჭელიძე ყველაფერს აკეთებდა, სამინისტროში შემოქმედებითი გარემო რომ შექმნილყო. მეც და ჩემი მეგობრებიც

იმ დროს იქ მუშაობას ჩვენი ცხოვრების ყველაზე ბედნიერ წლებად ვთვლით, — ამბობს ვასილ კიკნაძე და დასძენს, — კულტურის სამინისტროს მაშინდელ, არნახულ რენესანსს, უპირველეს ყოვლისა, ჩვენს ძვირფას ვახტანგ ჭვლიძეს უნდა ვუმადლოდეთო. მსგავსი აღფრთოვანებული სიტყვები სხვებისგანაც მსმენია და ეს თანდათან უფრო თვალსაჩინო გახდება.

არავითარი ილუზია არა მაქვს იმისა, თითქოსდა მისი უმდიდრესი პიროვნების ყველა მხარე სრულყოფილად წარმოვაჩინე. მანამდეც აღვნიშნე, რომ ლიტერატურის გარდა ხელოვნებაზეც (თეატრი, კინო, მუსიკა, მხატვრობა, ქანდაკება, არქიტექტურა, ოპერა და ბალეტი, ხალხური შემოქმედება...) უსაზღვროდ იყო შეყვარებული და ყოველივე ეს მის ნაწერებშიც შესაფერისად აისახა. ვახტანგ ჭვლიძისთანაა პარმონიულად განვითარებული პიროვნება სხვანაირი ვერც იქნებოდა.

ადამიანში, ბუნებრივი ნიჭის კვალდაკვალ, პატიოსნებას, შრომისმოყვარეობას, სიალალეს, სილალეს სცემდა პატიეს, ვერ იტანდა მანიაკურ თვითგანდიდებას (მუდამ წინააღმდეგი იყო, მის დამსახურებაზე ვინმეს რაიმე ეთქვა ან დაეწერა), სულის სიტლანქეს, უმადურობას, ქვემძრომობას და ვისაც ამ საძრახის თვისებებს შეამჩნევდა, მასთან ურთიერთობას ყოველნაირად ერიდებოდა. გაცეცხლებული იტყოდა, ვეღერეთს კაცად არ უქნიაო და არ ყოფილა შემთხვევა, ვინმეს შეფასებაში შემცდარიყო.

სპორტი ერის სიჯანსაღის გამოვლინებად მიაჩნდა და ჩვენი სპორტსმენების ასპარეზობას მუდამ გულისყურით ადევნებდა თვალს. განსაკუთრებულად უყვარდა ფეხბურთი და ეს სიყვარული თავის ვაჟს, დათოსაც, გადასდო. პატარაობისას ხშირად დაჰყავდა დიღმის საწვრთნელ მინდორზე, რათა პატარა ბიჭს ენახა ჩვენი ფეხბურთის ვარსკვლავები, გასცნობოდა თვითუფლის თამაშის მანერას. უხაროდა, რომ დათო კარგი სპორტული ჟურნალისტი დადგა და ხელოვანთა სამყაროშიც თავისუფლად გრძნობდა თავს.

გულს უკლავდა ქართული ფეხბურთის ბოლო წლების დამამძვირებელი წარუმატებლობა (კრიზისი მეტიმეტად გახანგრძლივდა). ჩვენი გუნდის წაგების დროს (ეს კი არც ისე იშვიათად ხდებოდა და ხდება) გუნება უფუჭდებოდა, სულ წახდნენ ვეგლახაკები, მაგათი სახელის გაგონებაც არ მინდაო, იტყოდა და ხელს ჩაიქნევდა. ეამაყებოდა, როცა ჩვენი ბიჭები საზღვარგარეთის კლუბებში წარმატებულად თამაშობდნენ და დროდადრო იმედი

უნრდებოდა, ეგებ რაიმე გვეშველოსო.

თავისი ღრმად შინაარსიანი და დაძაბული ცხოვრების მანძილზე ვახტანგ ჭელიძემ, სამშობლოს ნამდვილმა მოჭირნახულემ, განსაცვიფრებლად ბევრი გააკეთა, მაგრამ კიდევ უფრო მეტს გააკეთებდა, ათასნაირი, ყოველად გაუმართლებელი ინტრიგის ქსელები რომ არ გაებათ ზოგიერთებს, ბინძური ხერხებით რომ არ ებრძოლათ მის წინააღმდეგ და ესოდენ ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობაში ხელი არ შეეშალათ. ავისმოსურნეთა საძრახისი საქციელი თავადვე აქვს აღნიშნული და იმ ჩანაწერებიდან არაერთი უამური სახე შემოგვცქერის.

განუწყვეტელი, კოლოსალური შრომის საკმაოდ დიდი დანაზოგი ბატონმა ვახტანგმა ერთი ხელის მოსმით დაკარგა. შეილები და ახლობლები რომ არა, არსებობის არანაირი საშუალება არ ქონდა, წამლის ფულიც არ გააჩნდა ამოდენა სულიერი საგანძურის შემქნელს.

წაკითხული მაქვს (სადღაც გამებნა მოგონებათა ის პატარა წიგნი) კაციჭამია ბოლშევიკების მიერ გაჩაღებული სამოქალაქო ომის დროს, უკიდურეს გასაჭირში ჩაუარდნილი, ლანდად ქცეული ალექსანდრ ბლოკი, როგორ ყიდდა თავის ინტიმურ ბიბლიოთეკას. წიგნების დიდი შეკერა მიიტანა ბუკინისტთან და ხმადაბლა, ირგვლივ მყოფთ რომ არ გაეგონათ, შეევედრა, პურის ფული მანც მომეცითო. იმან უარით გაისტუმრა.

ვახტანგ ჭელიძეს ერთდროულად რამდენიმე მძიმე ავადმყოფობა აწუხებდა და ხშირად უწევდა სასწრაფოების გამოძახება. ხელს ცხელ წყალში ჰყოფდა ხოლმე, რომ წნეეაწეულისთვის დაწყებულ შეტევას გადაეელო. მაგრამ ყოველთვის არც ეს აძლევდა შეებას. არითმიისგან გატანჯული ჩიოდა — ეს ოხერი წამალი ერთ რამეს რომ უხდება, მეორეს ვნებსო (ქრონიკულმა ალერგიამ ცალკე გააწამა).

ერთხელ მითხრა, ომის შემდეგ გამოცემული ოცტომიანი აქერიკული ლექსიკონი მაქვს, კარგა ხნის წინ მოსკოვში საელჩოს თანამშრომლისგან შევიძინე და თუ ვინმე გამოიხდა ისეთი, გადაწყვიტე, გაეყიდოო. ერთი ტომი ვნახე, მშვენიერი ნაბეჭდი, მდიდრ ულად ილუსტრირებული. ცნობილ ბრიტანულ ენციკლოპედიას ვერ შეედრებოდა, მაგრამ არც ბევრად ნაკლები იყო. ეუთხარი, წიგნის ფასი ამჟამად დაცემულია და იაფად იმის გამეტება დასანანია, თქვენს შთამომავლებს გამოადგებათ-მეთქი. გაელიმა, ჩემს გაჭირებას ეს მანც ვერ უშველისო.

ძლიერი, უდრეკი ნებისყოფის პიროვნება იყო, სანამ შეეძლო, იბრძოლა, მაგრამ საქართველოს თავს ზედინედ დამტყდარმა უბედურებამ ბოლოს გატეხა, მოიღწო, მხნეობა დააკარგვინა, სიცოცხლეც მოუსწრაფა. სულ გვეუბნებოდა, ამდენი შეცდომის უფლება არა გვაქვს, თუ გონება არ მოვიკრიბეთ, მოქმედებას აზრი არ დავატანეთ, ახლა რომ ვიმყოფებით, იმაზე უარეს დღეში აღმოვჩნდებითო.

ბატონი ვახტანგის ბევრი ფოტო მინახავს. ყველაზე მეტად ის მომწონს, მწერლების ჯგუფთან რომ არის გადაღებული და წინ მოხუცი სერგო კლდიაშვილი უდგას, საყვარელზე საყვარელი ადამიანი, საუკეთესო ნოველისტი, დიდი დავით კლდიაშვილის ნაშიერი. აშკარად ზამთრის თეა, ბატონ ვახტანგს თბილი პალტო აცვია, მაგრამ ქუდი არ ხურავს. ალერსიანად უმზერს უფროს მეგობარს, ვისგანაც უამრავი რამ ახსოვდა და მუდამ ახლობლური დამოკიდებულება აქონდა. ბატონი სერგოც ჩათბუნებულია. მოხუცებულობისას მხედველობა საგრძნობლად დაუსუსტდა, უფრო ხმაზე სცნობდა ხალხს, თუმცა იმ სურათზე ისიც სხვანაირად, მხნედ გამოიყურება, სათვალის ლინზებიც კი ხალისისგან უციმციმებს. ეტყობა რაღაც კვიმატი აქვს მომდგარი ენაზე და საცაა მოსაუბრეს ეტყვის. ბატონი ვახტანგი ჯანსაღი, ძალ-ღონით სავსეა და სიბერის, სიძაბუნისა არაფერი ეტყობა. ნეტავი იმ დროს!

არ მინდა ამის გახსენება. სიცოცხლის მიწურულს მეტისმეტად დაუძღურდა. როცა ვაკეში მივაკითხავდი ხოლმე, კარის გაღება უჭირდა, თან ბოდიშობდა, რამდენს გაწუხებო. ოღონდ იმას ეცოცხლა და ჩემს ან კიდევ რამდენიმე ადამიანის შეწუხებას ვინ ჩიოდა. ქალიშვილი და ვაჟი სულ ნახულობდნენ, მაგრამ თვითონ არ ტოვებდა დიდხანს, თქვენი ოჯახები გყავთ და იმათ მიხედეთო.

ძლიერი გაჟონვის მერე (იმდენმა უსიამოვნებამ თავისი კვალი დაამჩნია) ცალ, მარცხენა მხარეს თვალის კუნთი, ქვედა ქუთუთო დაეჭიმა და არაბუნებრივად გაწითლებულ სახეზე შეშფოთებული გამომეტყველება აქონდა აღბეჭდილი. გადატანილი დამბლავე იყო მიზეზი, რომ წელში მოხრილი, ხელ-ფეხს თავისუფლად ვერ ამოძრავებდა, ჯოხს იბჯენდა და ისე ალებდა კარს. ცოტა მოგვიანებით, ესეც აღარ შეეძლო, ლოგინად ჩავარდა.

იცოდა, დიდი დღე რომ არ ეწერა და წუხდა, ბევრი რამის გაკეთებას ვერ ვასწრებო. ჩემთვის ეს ადვილი მისახვედრია. თვითონაც, ათას

წერილმანებში გახლართული, გასაკეთებელი ეერმოსწრებაზე, მეც განუწყვეტლივ ვწუხვარ, ვშფოთავ, წლების განმავლობაში, უმთავრესი გაუკეთებელი რომ ძრჩება. ბატონმა ვახტანგმა საფლაეში ჩაიტანა ეს წუხილი, მაგრამ რაც გააკეთა, ბარე ათ ადამიანს ეყოფოდა საიმისოდ, ქართულ კულტურას სამუდამოდ რომ შერჩენოდნენ.

ბოლოს სხვა გზა არ იყო და ქალიშვილმა მარინამ, რომელიც არასოდეს აკლებდა შხრუნელობას მამას, სოლოლაკში გადაიყენა, თავის ბინაზე (ჭონქაძის N10²). იქ ყოველნაირი მოვლა ჰქონდა, მაგრამ სასიცოცხლო ენერგია დაეშრია. ღონეშიხილს, კალმის დაჭერაც აღარ შეეძლო. გონება არასოდეს დაბინდვია. ზოგჯერ ახალი წიგნები მიძქონდა, მისთვის საინტერესო და მუდამ სწრაფად კითხულობდა. ზაირა არსენიშვილის რომანის („ეაჰ, სოფელო!..“) წაკითხვა მოიწადინა, მაგრამ როცა დაერეკე, მარინამ მიპასუხა, ნულარ შეწუხდებით, აღარაფრის წაკითხვის თავი არა აქვს, ჭამაც მიატოვაო. ეს უკვე ცუდის ნიშანი იყო. მანამდე ვეხეეწებოდი, დათოს ან მარინას დიქტოფონი მოატანინეთ, სანამ წერას ისეე შესძლებდეთ, თქვენი მოგონებები ფირზე ჩაწერეთ-შეთქი. პირველად თითქოს დამეთანხმა, მაგრამ მერე ამასაც ვერ მოება თავი.

არ მინდა დაწერილებით აღვიდგინო 2005 წლის ცხელი ზაფხული, როდესაც ბატონმა ვახტანგმა სამუდამოდ დახუჭა თვალები. წერტილი დაუსვა თავისსაეე ხანგრძლივ ტანჯვას და მისმა ახლობლებმა, ნათესაეებმა, მეგობრებმა, მოწაფეებმა, მისი ნიჭის და კაცობის მრავალრიცხოვანმა თაყვანისმცემლებმა უკანასკნელ გზაზე გაეაცილეთ, რათა დიდუბის საეანეში ეპოეა, ეალმოხდილს, სამუდამო განსასეენებელი.

ჩვენს ამაგდარ ისტორიკოსს თედო ჟორდანას რომ დაეესესხოთ, მეცნიერთა გარჯისა არ იეოს, მწერლის შრომაც „უმაღურია და სასყიდლის არ მომცემი“, მაგრამ სხვა გზა და უკეთესი არჩეეანი არ არსებობს — სამშობლოს ბოლო ამოსუნთქეამდე, დაუეეკრებლად უნდა ვემსახუროთ. ბატონი ვახტანგი ასეთი ერთგული სამსახურის უპირეელესი მაგალითი იყო.

სამწუხაროდ, დასაბამიდან ასე მოეეგამს — ეეელაფერს ეაკეიანებთ. გამოეიჩინოთ მაღლიერება და გარდაცეალეების მერე მინც მიეეაგოთ ამ დიდებულ ადამიანსა და მოღეაწეს კუთენილი პატიეი. კარგად მაქვს გაცნობიერებული — ჩემს ნაფიქრსა და დაწერილში მხოლოდ მცირედი ნაწილია მოქცეული იმისა, რასაც ვახტანგ ტელიძე,

ხატის წინ დანთებული სანთელივით, თავისი წმინდა ცხოვრებითა და ტიტანური შრომით განასახიერებდა.

ვახტანგ ჭელიძის გარდაცვალების გამო დაწერილი გამო-სათხოვარის ბოლოში ვწერდი; „იმედი უნდა ვიქონიოთ, ამ საუკუნეშივე გამოჩნდება პიროვნება, ეინც ისევე გულმოდგინედ შეისწავლის ვახტანგ ჭელიძის მდიდარ შემოქმედებას და წარმოაჩენს ქართული კულტურის წინაშე მის უდიდეს დამსახურებას, როგორც თვით მან ივანე მაჩაბლის სახელის უკედაესყოფად გააკეთა“.

პირადად მე ასეთი ადამიანი დღევანდელ საქართველოში, მის მოწაფეთა შორის, უკვე მეგულება და დარწმუნებული ვარ, იგი ღირსეულად გაართმევს თავს ამ ძნელ ამოცანას.

ამქვეყნიდან წასული ადამიანები, რომელთა გვერდით თითქმის მთელი ცხოვრება გამიტარებია, დროდადრო სიზმარში მეცხადებიან. მეტისმეტად ხანმოკლეა, სულ რამდენსამე წამს გრძელდება ეს ნეტარი ხილვა, მაგრამ უზარმაზარ სინათლეს და ენით გამოუთქმელ სევდას მიტოვებს. როგორც უკვე ვთქვი, ბატონი ვახტანგის სიკვდილი საქართველოს გაუთავებელმა ძნელბედობამაც დააჩქარა. შარშან, როცა იგი სიზმარში დავლანდე (მერეღა ვიაზრე, რომ იმხანად ოთხმოცდაათი წელი უნდა შესრულებოდა), უზომოდ დაღერემილი, შეწუხებული მომეჩვენა და გამოდვიძებულმა, ნაუცბათევეად, სამიოდე სტროფი ჩაეწერე, მისი გამოცხადება მკრთალად მაინც რომ აღმედგინა; უბრალოდ მეთქვა, აქ დარჩენილთათვის მეგრძნობინებინა — ჭეშმარიტ მამულიშვილს სამარეშიც არ შორდება სამშობლოს ჯავრი:

აღარვინ იდგამს საქვეყნო უღელს,
წამხედურობით ქვეყანა წახდა...
თვალცრემლიანი გიხილეთ წუხელ,
მარტო იდექით, ბატონო ვახტანგ!

სიზმრის და ცხადის ერთვოდა ნარევს —
სასოწარკვეთა, ასე ნაცნობი;
მოგძალეობდათ წუხილი მწარე,
ნაღვლობლით მამულს, უღვთოდ დამცრობილს.

სასიკეთოსაც ვხედავდით არას,
გამზადებული სამგლოვიაროდ...

ჩალუსკუბულს, გახედეთ შარას,
მაინც თქვით:
ერთად უნდა ვიაროთ!..

ჩრეულ თხზულებათა წინამდებარე ცხრატომეული, რომლის რეალურად განხორციელების საპატიო და კეთილშობილური საქმე გამოძცემლობა „საქართველოს მაცნემ“ ითავა (გამომცემელი ბატონი ლეევან ფოფხაძე), იმედი გვაქვს, მალე გასრულდება, რამაც კიდევ უფრო მეტად უნდა გააბრწყინოს, ყველა ქართველისთვის ძვირფასი და ახლობელი გახადოს დიდი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ეახტანგ ჭელიძის სახელი.

მჯერა, ამ ტომეულთა ხელში აღებისა და წაკითხვის მერე, ბევრი წარმოთქვამს გალაკტიონის უკვდავი „ნიკორწმინდის“ ფრთაშესხმულ სტრიქონებს:

რა განძი გექონია,
რა მხნე, რა მდიდარი!..

ერთი დიდი ესპანელი პოეტი ამბობს: „მხოლოდ ფონს შეუძლია გამოავლინოს ადამიანის სახე და ადგილი. უმისოდ ადამიანი და ყველაფერი სხვა მოლანდებაა, მოჩვენებითია“.

ეახტანგ ჭელიძემ, მისაბაძი კაცობითა და შემოქმედებით, ისე შექმნა ესოდენ საჭირო ფონი, თავისი თავი, თანდაყოლილი მოკრძალების გამო, არსად უხსენებია და ამ, ყოველმხრივ სანდო, უტყუარ ფონზე, სრულიად ბუნებრივად და ჩვენდა საბედნიეროდ, მისი ნაჯაფი, პატიოსანი, ნათელი სახე ოკეთება.

ემზარ კვიციანიშვილი
28 აგვისტო, 2008 წელი,
მარიაშობა

ს ა რ ჩ ე ვ ი

ჯოხისცხენიანი მხედარი.....	7
TO SEE - ВИДЕТЬ	
TO HEAR - СЛЫШАТЬ.....	32
მამულო საყვარელო... ..	104
შვიდწლიანი ომი.....	216
რ. და ჯ. — 88	296
ეპილოგი	310
მოძღვარი (ემზარ კვიციანიშვილი).....	314